

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

პრიტიპა

12–13

თბილისი

2017–2018

UDK(უაკ) 22.09(051.2)  
კ-847

რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე

### სარედაქციო საბჭო:

ლალი ავალიანი  
თეიმურაზ დოიაშვილი  
თამაზ გასაძე  
ანი კლდიაშვილი  
ლელა ოჩიაური  
ირმა რატიანი  
მაკა ჯოხაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
თინათი დუგლაძე

გარეკანის დიზაინი:  
სოსო ტაბუცაძე

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი,  
მერაბ კოსტავას ქ. 5  
ტელ. 99-53-00; E-mail: litinstituti@yahoo.com

**ISSN 0206-5746**

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში  
0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179  
Tel. 995 (32) 225 14 32  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

ადანის ნებაძე

## 80-იანი წლების ქართული მოთხოვა

(წერილი მეორე)

მე-20 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, უფრო კი 80-იანებიდან, ქართული ლიტერატურის პალიტრა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. იმ ახალ თაობაში, რომლის ლიტერატურული ნათლობაც ამ პერიოდში შედგა (მერაბ აბაშიძე, გია ლომაძე, მიკა ალექსიძე, თენგიზ ჩალაური, ჯემალ თოფურიძე, ნუგზარ შატაიძე, ბადრი ჭოხონელიძე, გოდერძი ჩოხელი, სოსო პაიჭაძე, ლაშა თაბუკაშვილი, კოტე ჯანდიერი, გიორგი ბაქანიძე და ა. შ.), მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ ახალგაზრდა ქალი მწერლებიც: ნაირა გელაშვილი, მაკა ჯოხაძე, გულო კობიაშვილი, ქეთი ნიუარაძე, ანა მხეიძე. მათ მართლაც თქვეს თავიანთი სათქმელი და 80-იანი წლების ქართულ პროზასაც დაატყვეს განსხვავებული კვალი.

აანალიზებდა რა თანამედროვე რომანის პრობლემებს, ჰერბერტ უელსი წერდა: „ქალები ბევრად უფრო სერიოზულად ეკიდებიან არა მარტო ცხოვრებას, არამედ ლიტერატურასაც. მათ არ ახასიათებთ ამაო და თავდაცვითი ჭურანაკლულობა“ (უელსი 1988: 101). 80-იანი წლების ქართველმა ქალმა მწერლებმა მართლაც განსხვავებულად დაინახეს და გადაიტანეს მხატვრულ ტექსტში ლიტერატურისთვის უკვე ცნობილი თუ დროის მიერ მოტანილი ახალი პრობლემები. მათ პროზას გამოარჩევს აღქმის, გააზრებისა და დამუშავების ნოვატორული ხერხები, სათქმელის ემოციური გადმოცემა, რომელიც ზოგჯერ ლირიკული საწყისითაა გაჯერებული, ზოგჯერ კი განსაკუთრებული ტრაგიულობითა და სასოწარკვეთით გამოირჩევა. ზოგადი სურათის შესაქმნელად 80-იან წლებში დაბეჭდილ რამდენიმე მოთხოვას გავაანალიზებთ: ქეთი ნიუარაძის „ავტოპორტრეტი“, ანა მხეიძის „არჩევანი მე“, ნაირა გელაშვილის „ჩვენება (ანაბეჭდები)“ და „სერსო“.

ლიტერატურათმცოდნეობაში შენიშნულია, რომ ყოველდღიურობაში შემჩნეული წვრილმანების ასახვა, ყოველდღიური ყოფის იმგვარი აღნერა, რომელიც მკითხველს ინტერესს აღუძრავს, გაცილებით ძნელი ამოცანაა მნერლისთვის, ვიდრე გმირული ამბის გადმოცემა. უბრალო ამბავს მეტი ოსტატობა და ძალისხმევა სჭირდება მკითხველის დასაინტერესებლად. ეს რთული ამოცანა არც ისე ძნელი გადასაჭრელი აღმოჩნდა ქეთი ნიჟარაძისთვის. მისი „ავტოპორტრეტი“ საოცარი ძალით ითრევს მკითხველს პირველი ფურცლიდან ბოლო აბზაცამდე. ესაა ერთი ადამიანის, ერთი ქალის ცხოვრება, რომელიც „ჭრილობებამდე გაშიშვლებული გულწრფელობითაა“ (ა. მინდიაშვილი) მოთხრობილი. მისი ტკივილი ზოგადი ტკივილია. მსგავსი პრობლემები მე-20 საუკუნის ბოლოს უამრავ სხვა ადამიანს აწუხებდა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას. ამავდროულად, ეს პრობლემატიკაც და მისი ასახვის სპეციფიკაც პირდაპირ უკავშირდება ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიასა და მის გამოვლინებას ხელოვნებაში – ლიტერატურულ ეგზისტენციალიზმს.

ძირითადი პრობლემატიკა, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული ფილოსოფიური მიმდინარეობა, შემდეგია: პიროვნების უნიკალურობა, მისი გრძნობების სიღრმე და ემოციები, მიტოვებულობის, ცხოვრების უაზრობის განცდა. სიორენ კირკეგორი ამბობდა, რომ ფილოსოფია უნდა მიუბრუნდეს ადამიანის პატარა პრობლემებს, უნდა დაეხმაროს მას ჭეშმარიტების გზის პოვნაში. ქეთი ნიჟარაძის „ავტოპორტრეტის“ ძირითად ლერძზეც ეს საკითხებია ასხმული. მისი მთავარი პერსონაჟის, ლანა უზნაძის ეგზისტენციალური კრიზისი ჯერ კიდევ ბავშვობაში, სკოლის ასაკიდან იწყება. ეს პუბერტატული პერიოდი, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით მგრძნობიარე, ემოციურ მოზარდებს გადააქვთ, კიდევ უფრო ღრმავდება პერსონაჟის მიერ საბჭოთა სკოლის აღქმით. გოგონას უჭირს საკუთარი ადგილის პოვნა ამ წინასწარ დაგეგმილ სამყაროში, სადაც არანაირი თავისუფალი აზრი არ არის, სადაც სავალდებულოა იმის სწავლა, თანაც ზეპირად, რასაც მასწავლებელი მისცემს და არა იმისა, რაც უნდა და მოსწონს თვითონ; სადაც იგი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზეც კი ვერ გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას, ან თუ გამოთქვამს, ამას მშობლების დაბარება და შვილის აღზრდაში მითითების მიცემა მოჰყვება; ისტო-

რიის მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილზე დისერტაციას წერს თუ იწერს; მექრთამე რუსულის მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ იმ მოსწავლეებს უწერს ნიშანს, მასთან კერძო გაკვეთილებზე რომ დადიან და სხვა. ამ კრიზისის აღწერისას იკვეთება საბჭოთა სკოლის იდეოლოგიური და ტრაფარეტული სახე, მის ტიპურ მაგალითად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ მთელ სკოლაში გავრცელებული, „ვეფხისტყაოსნის“ ოდესალაც ვილაცის მიერ დაწერილი თემები, რომლებიც „თაობიდან თაობას გადაეცემა“.

ბუნებრივია, ასეთ გარემოში როგორიცაა ფსიქოკის მოზარდისთვის ცხოვრება. ლანა სექსუალური ძალადობის მსხვერპლიც ხდება ადრეულ ასაკში, რომლის შესახებაც ასევე ვერაფერს ამბობს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას. ის მარტობის განცდა, რომლისთვისაც განწირულია ადამიანი, თავშესაფრის ძიება, რომელსაც ამაოდ ეძებს საზოგადოებში, რადგან ეს უკანასკნელი უპიროვნო ძალაა და ანგრევს და თრგუნავს ინდივიდს, ზოგჯერ ისე მძაფრდება, რომ სრულ სასოწარკვეთაში გადადის: „ღმერთი შორს არის. გაუსაძლისად შორს“ (ნიუარაძე 1999: 110). მასთან ერთად ყოველგვარი იმედი ქრება. ზოგჯერ ახალგაზრდა ქალის ფსიქიკაში იხატება პორტრეტი, რომელიც ძალიან ჰგავს ექსპრესიონისტულ ტილოს, სასოწარკვეთითა და უიმედობით სავსეს:

„გუშინ ვილაც ქალი კიოდა ქუჩაში შუალამისას: „სადა ხარ, ღმერთო?!" ქალი ალბათ გარბოდა და მისი ხმა თანდათან უფრო შორიდან მესმოდა. იქნებ ვინმე მისდევდა... იქნებ შეიშალა.“

ახლა ვფიქრობ, რომ ეს გრაფიკაა: შავი და თეთრი. ღამე, გაშლილი თმა, ქალის შიშველი სხეული. ის გარბის, ის კივის: „სადა ხარ, ღმერთო?!"

„ძახილი“ (ნიუარაძე 1999: 114).

კითხვისას საოცარი სიცხადით შეიგრძნობა მსგავსება ამ ტილოსა და ედვარდ მუნკის „ყვირილს“ შორის. თითქოს მნერალს საუკუნის დასაწყისის ექსპრესიონიზმის სასოწარკვეთა გადმოაქვს თავის მხატვრულ ტექსტში, რათა ამით კიდევ უფრო გაამძაფროს სათქმელი.

ცოტა მოგვიანებით, როცა ლანა ცხოვრებაზე დაკვირვებას იწყებს და გარკვეული დასკვნებიც გამოაქვს, თავის დღიურში ასეთი ნიშნებით ახასიათებს საკუთარ თავს: უკიდურესი გულწრ-

ფელობა, უკიდურესი ეჭვიანობა, დაბნეულობა, დროდადრო სიცოცხლის დიდი სიყვარული. პერსონაჟი ხან საოცარ სასონარკვეთას ჰყავს შეპყრობილი: „არის დღეები, როცა ვეთიშები შვილს, ახლობლებს, ცხოვრებას. მარტო ვარ გაუგებრობებით და ქაოსით სავსე სამყაროში და მაცვიფრებს ადამიანების ლალი სიცილი, კარგი განწყობილება, ყველაფერი ყალბი მეჩვენება. ამიტომ სახლში, როგორც ნაჭუჭში ისე ვიკეტები და მაზოხისტივით ვტკბები საკუთარი უსასობით და სასონარკვეთით“ (ნიუარაძე 1999: 10). ხან კი ყველასა და ყველაფრის მიმართ გახსნილი და ლალია: „ჩემო შტერო კურსელებო, მიყვარხართ! საბავშვო ბალის ხეზე დაყუნცულობელურავ, შენც მიყვარხარ! მზით გაჩახჩახებულო პირველო იანვარო, მიყვარხარ! ყველა და ყველაფერი მიყვარს! მგონი, საბოლოოდ გავრეკე“ (ნიუარაძე 1999: 48). ასეთი ამბივალენტური გრძნობები უკვე მიუთითებს პიროვნების ხასიათის კრიზისულობაზე, შეიძლება ითქვას, ფსიქიკის არამდგრადობაზეც კი, რასაც ხშირად მიჰყავს ადამიანი თვითმკვლელობამდე, რადგან ამგვარ სიტუაციებში ჩვეულებრივია სიკვდილზე, როგორც გამოსავალზე ფიქრი.

ლანაც ხშირად ფიქრობს სიკვდილზე, თავის მოკვლაზე ან სურვილზე, რომ ვინმემ მის გამო მოიკლას თავი – „დღეს ცამეტი წლის გავხდი... ისე მინდა, რომ ჩემი გულისითვის ვინმემ თავი მოიკლას...“ (ნიუარაძე 1999: 12). სიკვდილის თემა ძალზე მნიშვნელოვანია ეგზისტენციალიზმში. კამიუს აზრით, სიკვდილთან შეხება ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია ცხოვრების აბსურდულობის შეგრძნებისა. ლანას ხშირად ახსენდება დეიდაშვილი, ახალგაზრდა და ტრაგიკულად დაღუპული მწერალი გურამ ქართველიშვილი, რომლის ცხოვრებასა და სიკვდილზე ფიქრი კიდევ უფრო ამძიმებს მის არსებობას. პერსონაჟს მიაჩნია, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელიც აუცილებლად გაუგებდა და შექლებდა მარტოსული გოგონას ტკივილის გაზიარებასა და ნუგეშს, მკვდარია.

ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის თანახმად, ადამიანს მუდმივად თან სდევს სიკვდილის შიში. ბავშვობისას ლანაც იტანჯება ამგვარი ფიქრებით, თუმც უკვე მოგვიანებით, როცა იგი ნიკას სიყვარულის ობიექტი ხდება და თავადაც განიცდის ამ გრძნობას, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საყვარელი ადამიანისგან შვილს გააჩენს, თითქოს სამყაროსადმი დამოკიდებულებაც ეცვლება. მარტოსული ადამიანი იწყებს სწრაფვას სხვისაკენ, ეს სხვა რე-

ლიგიურ ეგზისტენციალიზმში ღმერთია. ნაწარმოების დასასრულს ლანას დღიურში სწორედ ეს ტენდენცია იკვეთება. იგი აანალიზებს საკუთარ განვლილ გზას და გარკვეული დასკვნაც გამოაქვა: „მეტ-ნაკლებად ალბათ ყოველი ადამიანის ცხოვრება სამ პერიოდად იყოფა: 1) სიზმარი, 2) გამოღვიძება, 3) რწმენა“ (ნიუარაძე 1999: 117). ეს სქემა ეგზისტენციალიზმის პერსონაჟის სქემაა – სიზმარი იგივე ბავშვობაა, როცა ბედნიერების გრძნობა ყველაფერს ავსებს და სხვა რამისთვის ადგილს აღარ ტოვებს. სიზმრიდან გამოსვლა ანუ გამოღვიძება სამყაროს შეცნობის დაწყების ეტაპია, რომელიც იმთავითვე გულისხმობს სხვადასხვა სახის კრიზისების გაჩენას, საკუთარი თავისა და ადგილის ძეგლის მტკიცენეულ პროცესსა და ბევრ იმედგაცრუებას. რწმენა კი ბოლო ფაზაა, რომელმაც გარკვეული ორიენტირები უნდა აპოვნინოს ინდივიდს, რათა მათზე მოჭიდება შეძლოს და გადარჩეს. აქ აშკარა სიახლოვე ეგზისტენციალიზმის ქრისტიანული ფრთის მსოფლმხედველობასთან. ამიტომ რომანის დასასრულს, მიუხედავად მთელი ტექსტის თანმდევი სასონარკვეთის შეგრძნებისა, მაინც არ რჩება გარდაუვალი ტრაგიზმის განცდა: „სიცოცხლის მესამე პერიოდში უნდა ვირწმუნო, რომ ამ სამყაროს ნაწილი ვარ, მარცვალი ვარ და ამ რწმენით შევეგებო სიკედილს“ (ნიუარაძე 1999: 120). სიკედილთან შეგუებისა და შეგებების მოტივი მაინც ნათელი ფერითაა სავსე, რადგან სამყაროს მიღებასა და საკუთარი თავის მის ნაწილად მოაზრებაზე გადის: „ცხოვრება გრძელდება და თუ ცოცხალი ხარ, უნდა აკეთო რამე. ისე ყოფნას არავითარი აზრი არა აქვს. რამდენიც გინდა, იმდენი იფიქრე ცხოვრების უაზრობაზე, მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის...“ (ნიუარაძე 1999: 54). გამოსავალი მოქმედებაა, მოთხოვნის პერსონაჟის ცხოვრებაში ეს ქმედება ხატვის აქტით გადმოიცემა, ამიტომაცაა, რომ იგი შედარებით მშვიდად გრძნობს თავს ინტენსიური მუშაობის პერიოდებში, თითქოს ამით სამყაროს ქაოსიდან საკუთარ კოსმოსს ქმნის, სიმშვიდის მომცველ საკუთარ გარემოს: „მხატვრის დანიშნულებაც ხომ ის არის, რომ ამ ქაოსიდან გამოარჩიოს და დაინახოს მთავარზე მთავარი – სამყაროს პირველსაწყისი, მისი არსი და აბსურდის საბურველი ჩამოხსნას. ყველაზე მთავარი კი შენი საკუთარი „მეს“ ძიებაა სამყაროს უსასრულობაში. შეუცნობლის შეცნობა...“ (ნიუარაძე 1999: 111).

ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანის-თვის არჩევანი არ არსებობს, იგი მიტოვებულია, ბედის ხელქვე-ითია, მას არ ემორჩილება საკუთარი დაბადებისა და სიკვდილის დრო. სწორედ ესაა ნაირა გელაშვილის მოთხოვნის „ჩვენება (ანა-ბეჭდები)“ ძირითადი სათქმელი. ამ ფილოსოფიურ საფუძველს და მის კავშირს მოთხოვნასთან ჯერ კიდევ 1986 წელს შენიშნავდა გ. კანკავა წერილში „ჰუმანიზმის ახალ ტალღაზე“: „მოთხოვნაში „ჩვენება (ანაბეჭდები)“... მთავარ და არსებით კონფლიქტს ქმნის გა-დაულახავი წინააღმდეგობა მიუღწეველსა და სასურველს შორის. ადამიანის ტრაგიზმის სათავე იქაა, სადაც აუხდენელსა და საწა-დელს შორის გადაულახავი ზღუდე აღიმართება“ (კანკავა 1986: 132). მოთხოვნისთვის ავტორის მიერ არჩეული ფორმა – ადამია-ნის მთელი ცხოვრების გადმოცემა ოფიციალური საქმიანი ქაღალ-დებით, რაც მშობიარობის ისტორიით იწყება და საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატის ქვითონით მთავრდება – დასტურია ზემოაღნიშნული მოსაზრებისა. მოთხოვნას შიგადაშიგ მსჯა-ლავს მწერლის ლირიკული ჩანართები, რომლებშიც გამორჩელია ბიბლიოთეკის წიგნის ციტატები, როგორც პერსონაჟის ბედის, და ზოგადად, ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი წინასწარ-მეტყველება: „ყველა საყდარი დაგენგრევა, მიუსაფარო, ყველა სამკვიდრო... დედის საშოდან გამოდევნილო, გზას გაუდგები, საით? შენს კანს, რომელიც ასკილის ფურცელზე უფრო ნაზია, შეეხეთქება სამყაროს ხაო, სიცოცხლის ხორკლი... საით წახვალ, სად გიძახიან... ხელებს აცეცებ წყვდიადზე და გზას მიიკვლევ, ვინ გელოდება, ვინ მოგყვება? ... ვის მიეკედლები? იპოვი კედელს, შენ რომ მიგიყრდნობს? მოგენატრება დედის საშო თბილწყლებიანი... გამოდევნილ...“ (გელაშვილი 1990: 135). ამ თხოვნაში ნათელია მწერლის მსოფლმხედველობრივი დისკურსი – მუდმივი ტკივილი, როგორც სამყაროში უპატრონოდ გადმოგდებული ადამიანის ბე-დისწერა. ნარაციის ხერხად მშრალი ფაქტების არჩევა კი იმის პედალირებაა, რომ ვერავის ძალუძს შეცვალოს ადამიანის ბედი. ამიტომ აზრი არ აქვს მის გრძნობათა აღწერას, მის ფიქრებს, მის სატკივარს. მწერალი მიუკერძოებელი დამკვირვებელია, რომელიც ვერაფერს ცვლის, ვერაფრით შველის ადამიანს და რაღა აზრი აქვს ასეთ დროს მის განცდათა და ღელვათა მიყოლას? ფაქტებში მოუ-ლოდნელად ჩართული ავტორი ასე იმართლებს თავს: „მეც ავდგები

და შევკრებ ამ ნუსხებს, ნომრებს და ვეტყვი ჩემს თავს: შენ ნუღა-  
რაფერს ნუ დაუმატებ, აი, ცხოვრება ასე მიდის და შენ აღარაფერი  
არ შეგიძლია...” (გელაშვილი 1990: 148).

ამ მშრალი ფაქტებიდან იკვეთება პერსონაჟის პორტრეტი, ხდე-  
ბა შესაძლებელი მისი ტკივილების დანახვა. მწერლის მიზანასახუ-  
ლობაც, შესაძლოა, ეს იყო – ეჩვენებინა, რომ მხოლოდ გარედან პა-  
სიური დაკვირვების დროსაც კი შეიძლება ადამიანის სულიერ სამ-  
ყაროში შეჭვრეტა და მისი ტკივილისა თუ სიხარულის აღმოჩენა.

„ჩვენებაში“ მხატვრული ტექსტის ზედაპირზე დევს ადამიანის  
მწერლისეული კონცეფცია: მიუსაფარი, საბრალო, მიტოვებუ-  
ლი, უდედოდ გადაგდებული სასტიკ სამყაროში. უდედობა ნაირა  
გელაშვილის მოთხრობაში შეუბრალებელი სამყაროს ერთ-ერთი  
მთავარი ნიშანია. დედის სიკვდილით არა მარტო სასიცოცხლო ძა-  
ლები უსუსტდება ადამიანს, არამედ ამით ერთადერთ გულშემატ-  
კივარს, მისთვის დაუფიქრებლად თავის გამწირავ ერთადერთ ადა-  
მიანს კარგავს იგი. მოთხრობაში მკაფიოდ ჩანს დედის მკვლელო-  
ბით დაბადებული გიორგი გიორგობიანის სასიცოცხლო ძალების  
ნაკლებობა (როგორც ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი  
მიდიოდა“). მას თითქოს აღარც სიყვარულისთვის ყოფნის ძალა,  
აღარც საყვარელი საქმისთვის, რომელსაც ასევე იოლად თმობს.  
საბოლოო და ტრაგიკული გზაც ისევ დედას უკავშირდება, საკუ-  
თარი დაბადებისა და დედის გარდაცვალების დღეს მის საფლავ-  
ზე მიმავალი გზაზე გადარჩენილ წითელკაბიან გოგონას აუქცევს  
გვერდს და აქ იკვრება დაბადებისას გახსნილი რკალიც. „მოთხ-  
რობაში ვაჟიშვილის მთელი სიცოცხლე, დაბადებიდან მოყოლე-  
ბული ავტოკატასტროფაში დალუპვამდე მოაზრებულია, როგორც  
არაცნობიერი ლტოლვა დედისაკენ, დასაბამიერი ვანისა და წია-  
ლისაკენ. მინიშნება ამ იღუმალ, გონით უწვდომელ კავშირზე დედა-  
სა და შვილს შორის სათავეს იღებს დედის შინაგან მეტყველებაში  
მშობიარობის წინ. ... შემდგომ ავტოვარიისას ჩნდება დედისეული  
ნიშნები: წითელი კაბა, იმ გოგონას რომ აცვია, რომელიც გზაზე გა-  
დაირბენს და ავარიის უნებური მიზეზი ხდება, დედის ატრიბუტია...  
ბოლოს კი დედის ყველა ნიშანი თუ ატრიბუტი – წითელი კაბა, წი-  
თელი მძივი, ალუბლის ნამცხვარი, ცაცხვი – სიკვდილის წინ ვა-  
ჟიშვილის აგონიისას ჩამოშლილ ხილვებში იყრის თავს...“ (ჩხაიძე  
1987: 129).

სიკვდილი ნაირა გელაშვილთან გააზრებულია, როგორც ეს-თეტიკური კატეგორია, როგორც მწარე და უბედური ცხოვრების ნათელი დასასრული, როგორც ხსნა, ვინაიდან იგი დედასთან, მის მშვიდ და მყუდრო წიაღში დაბრუნებას გულისხმობს. ადამიანის ცხოვრება, რომელიც „მძიმე წიგნია... თავზარდამცემი ნაწერით და მუქი ფურცლებით“ (გელაშვილი 1990: 160), სიკვდილში გა-დასვლით მშვენიერი და მშვიდი ხდება: „...შენ მოგქონდა ხოლმე ალუბლის ნამცხვარი? როგორ მიყვარდი? რომ არ გიცნობდი? ...მე ამოვდივარ. არ მეშინოდეს? როგორ ანათებს ლამპიონი. ან ეგებ დიდი მზესუმზირაა... დეეე... შენ ლაპარაკობ თუ რაღაც მუსიკა ის-მის?... მოვდივარ... ა-მი-... დე... ჰაერი...“ (გელაშვილი 1990: 168).

განხილულ მოთხოვნათაგან განსხვავებულია ანა მხეიძის „არ-ჩევანი მე“ თავისი არქიტექტონიკით, გამომსახველობითი ხერხე-ბითა და უპირველესად, ნარაციით. აქ მთავარი ამბავი, ტრადიცი-ულად განვითარებული სიუჟეტი თავისი კომპონენტებით, თუმც ტრაგიკულობის განცდა და მარტოობის პრობლემა აქაც მნიშ-ვნელოვანია. სიორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ერთ-ერთი მთა-ვარი სამყაროს უკეთურობის გაცნობიერებაა. მისი აზრით, ფი-ლოსოფია გაოცებას კი არ ეფუძნება (პლატონი და არისტოტელე), არამედ იმედგაცრუებას. ეს უკანასკნელი კი ნარმობობა იმისაგან, რომ სამყარო სავსეა აუტანელი ბოროტებით. შეიძლება ვთქვათ, რომ ანა მხეიძესთან ამ ბოროტების გამოხატულება ცხოვრების არაჯანსაღი წესია, რომელიც მთლიანად ანგრევს ორი ადამიანის (და მათთან ერთად მათ ახლობელთა) ცხოვრებას.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ნარკომანის სახე პირველად ნოდარ დუმბაძემ დახატა „ეუკარაჩაში“. მისი მურტალოსგან განსხავებით, ზაზა არ არის უარყოფითი პერ-სონაჟი. იგი მხატვარია, ხელოვნების მსახური, თავისთვის წყნა-რად ცხოვრობს, ადამიანებს არ იყენებს, ფიზიკურადაც ძალზე სიმპათიურია, მაგრამ არასრულყოფილია მისი ცხოვრების წესი, ნარკოტიკული თრობა. ეს რეალობიდან გაქცევის ერთ-ერთი გზაა ან უინტერესო და უაზრო ცხოვრებისგან დროებითი გათიშ-ვა, რაც მისთვის საბოლოოდ სასჯელად იქცევა.

ეგზისტენციალისტები ადამიანის იდეალურ თავისუფლებად მიიჩნევენ პიროვნების თავისუფლებას საზოგადოებისაგან. ადა-მიანს არ აქვს არანაირი მუდმივი საყრდენი არც გარეთ და არც შიგ-

ნით, იგი გადაგდებულია სამყაროში უკომპასოდ. არ არსებობს არც ზნეობრივი წესრიგი და არც კატეგორიული იმპერატივი, რომელიც მას რაღაც ჩარჩოში მოაქცევს. ექსისტენციალისტებისთვის, „უმნიშვნელოვანესია თავისუფლების ცნება, რომელიც პასუხისმგებლობისა და საყოველთაობის იდეას უკავშირდება. ის, რაც ვარ მე, მხოლოდ ჩემი არჩევანის შედეგია, მხოლოდ მე და არა სხვა ვირჩევ ჩემი არსებობის ასეთ წესს და არა სხვაგვარს, ამიტომ პასუხისმგებელიც მხოლოდ მე შეიძლება ვიყო“ (სარტრი). ზაზა ამგვარი თავისუფლების სახეა. მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს გარშემომყოფთა აზრს, ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი ცხოვრებით, ხატავს იმას, რაც უნდა, ხანდახან იმასაც, რასაც სამსახურში ავალებენ, ოღონდ გულგრილად. იგი სწორედ ეგზისტენციალისტების საყვარელი ინდივიდის თვისებებითაა აღჭურვილი, არა ადამიანი ზოგადად, არამედ ინდივიდი ცალკე, თავისი თავისთავადობითა და გამორჩეულობით. სწორედ ამ გამორჩეულობის წყალობით იქცევს იგი ნინოს ყურადღებასაც.

„ოცდაექვსი წლის, გადასარევი შესახედავი, ჭკვიანი, უმაღლესდამთავრებული და ყველა სხვა ღირსებით შემცული“ (მხეიძე 1990: 10) ნინოს ცხოვრება სტანდარტულია, სტანდარტული და ტრაფარეტულია მისი გათხოვების შესახებ ოჯახური თათბირის მოწვევაც (რომელსაც თავად პერსონაჟი შეუფარავი და იუმორგარული ირონიით ყვება), საქმროს არჩევაც და გადაწყვეტილებაც: „საქმროც უცებ გამოიძებნა... სწორედ ისეთი, მე რომ შემეფერებოდა“ (მხეიძე 1990: 10). მაგრამ უეცრად ამ ნინასწარდაგეგმილ მშვიდ ცხოვრებას თავდაყირა აყენებს ერთი სპონტანური შემთხვევა. სწორედ აქ იკვრება კვანძიც. ერთმანეთს ეჯახება ორი ურთიერთსაპირისპირო ცხოვრების წესი. ნინოსთვის ზაზა მხოლოდ იმიტომ ხდება საოცრად მიმზიდველი, რომ მისგან რადიკალურად განსხვავებულია, სულ სხვანაირი თვალით უყურებს ცხოვრებას. ნინო შეხვდა ინდივიდს, როგორებიც საბჭოთა დაგეგმილ ყოფაში არც ისე ბევრნი იყვნენ. ზაზა, განსხვავებით სხვა საბჭოთა ადამიანებისაგან, არავის ნინაშე არ გრძნობს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას. სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო ის, რამაც ნინო სრულიად გაუცნობიერებლად მეორე დღესვე მიაყენა მისი სახლის კარს. ამის შემდეგ ტექსტში ვითარდება ამბავი, რომელშიც ამ ორი სამყაროს, ამ ორი ხედვის დაპირისპირებაა მოცემული. ზაზას

ცხოვრება, რაღაცნაირად ინდიფერენტული, მკვეთრი განცდებისა და მკაფიო მიზნების გარეშე, მხოლოდ მას შემდეგ იცვლება, რაც თავის სამყაროში შეუშვებს ახლადგაცნობილ ქალს (სრულიად გაუცნობიერებლად, სხვა ქალებივით), ამ ცვლილების მთავარი მოქმედი პირი კი უკვე ფეხშიმე ნინოა. იგი მიზანს აღწევს, სიყვარულითა და არაპირდაპირი ზენოლით ახერხებს, მთლიანად შეცვალოს საყვარელი ადამიანი, გაუჩინოს მას ახალი მიზნები, დააინტერესოს ცხოვრებით, ხვალინდელი დღით, დააფიქროს გვერდით მყოფთა ბედზე... ერთი შეხედვით, ზაზა ამით კარგავს განსხვავებულის იმიჯს, სამაგიეროდ, ცდილობს ნორმალური ცხოვრების დაწყებას, ნარკოტიკების გარეშე და პიროვნული პაუხისმგებლობის აღებით.

მოთხოვის ფინალი კიდევ ერთი მოულოდნელობაა. მკაცრია მნერლის განაჩენი, როცა იგი უპასუხისმგებლობისა და გულგრილობისთვის სჯის თავის პერსონაჟებს. მომავალზე ფიქრი, მშობლის მოვალეობა ვერ გაიცნობიერეს ახალგაზრდებმა. ის, რაც ნინოს და ზაზას ემართებათ, უამრავი ადამიანის პრობლემაა მე-20 თუ 21-ე საუკუნეში. ესაა სასჯელი, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი იწვევს. ნინო უარს ამბობს სიყვარულზე, საზოგადოებისაკენ შემობრუნებულ ზაზაზე, ვერ პატიობს ვერც მას და ვერც საკუთარ თავს, რომ დედობის უფლება დაკარგა, რომ მათი უთავბოლობითა და უპასუხისმგებლობით ღვთის მიერ ბოძებული არსების სიცოცხლე რამდენიმე საათში შეწყდა. იგი სჯის საყვარელ ადამიანსაც და სჯის საკუთარ თავსაც. ადამიანს აქვთ არჩევანი, საკუთარი სიცოცხლე ისე ნარმართოს, როგორც მას სურს, მაგრამ მას არ აქვს უფლება, თავისი ამ არჩევანით მომავალს მოუსავოს სიცოცხლე – ეს უკვე მნერლის არჩევანია, სასტიკი, მაგრამ სამართლიანი.

ქალის აქტიურ ცხოვრებისეულ არჩევანზეა ნაირა გელაშვილის მოთხოვის „სერსოც“. მოთხოვისას საინტერესო სტრუქტურა აქვს – დრო და სივრცე, რომელშიც თამაშდება მთავარი ამბავი, ძალიან შეზღუდულია – სულ რამდენიმე დღე, გასართობი პარკი და კუსტები – მაგრამ სწორედ ამ შეზღუდულ ქრონოტოპშია გაცოცხლებული მთავარი პერსონაჟის წინარე ისტორია, კერძოდ, მისი სიყვარულისა და ამჟამინდელი მარტოობის ამბავი, რომელსაც გმირი თავად ყვება (თხოვისა პირველ პირშია). ფოტოგრაფი ქალი მარტოა, მაგრამ თამამად ცდილობს, გაუმკლავდეს ცხოვრებას, აკეთოს საკუ-

თარი საქმე. მისი პროფესიაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ფოტო-გრაფია, ანუ ცხოვრების ასლის გადაღება, პერსონაჟის ცხოვრების მხოლოდ დანიშნულება კი არა – აზრიცაა. მისი ცხოვრებისეული კრედიტით თითქოს სწორედ ამ საქმიანობაში ცნაურდება: „...რაც ადრე შორეული და უმნიშვნელო ფონი იყო მხოლოდ და მხოლოდ, ან სულაც არ ჩანდა, ნინ გადმოიწევს და ეგებ ბოლოს იპოვო კიდეც, რაც მთავარია და რასაც ფონი აღარა აქვს და აღარც სჭირდება? და ამისთვის ის ადგილი უნდა ეძებო, სადაც დადგები, შენ მოთვალ-თვალე, მზვერავი და ნარამარა განდგომისათვის გამზადებული, გულის წინაშე დამნაშავე – რადგან გარედან მაცქერალი, – ფხი-ზელი მზერით, შენი აპარატით, კალმით თუ ფუნჯით – და დაინახო, როგორ მოდის წინ მანამდე ბურუსში ჩაძირული რაღაცა აზრი წყალში ჩაძირული ძვირფასი ნივთივით, რა ნელა მოდის, რა წამნამობით და წუთ-წუთობით გვიახლოვდება და თანდათან ჩუმად ბრნყინდება“ (გელაშვილი 1990: 317). ცხოვრებას, ფოტოს მსგავსად, აქვს წინა და უკანა პლანები, მთავარი და მეორეხარისხოვანი ამბები. თავად ცხოვრება კი მათი ერთიანობაა და არა მხოლოდ ის, რაც უკეთ ჩანს. ფონი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომელიც მხოლოდ ხანდახანაა ფონი, ხანდახან კი წამყვან ამბად იქცევა. წინა და უკანა პლანების მუდმივი მონაცვლეობა განაპირობებს იმას, რომ მთავარი და არამთავარი პირობითი ცნებებია. ადამიანი ვერ აკონტროლებს იმას, როდის რა იქნება მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში. ეს თავად ცხოვრებას მოაქვს. ამ პასაჟში ზუსტად იკვეთება ეგზისტენციალური ფილოსოფიის მთავარი დებულება – ადამიანს არ შეუძლია საკუთარი ცხოვრების კონტროლი, მართვა, იგი სიზიფეა, რომელიც დაუღალავად და ჯიუტად აკეთებს საკუთარ საქმეს, მის ბედს კი „სხვა“ განსაზღვრავს. ამიტომაც ვერ შეინარჩენა სიყვარული ფოტოგრაფმა, მარიანა – სერსოს ქალმა... თუმც, მეორე მხრივ, აქვე ხატავს მწერალი მეამბოხე პიროვნებასაც – პატარა ბიჭს, რომელიც უკანასკნელ წუთებამდე იბრძვის მიზნისთვის, მისი ასაკის ბავშვისთვის შეუფერებელი გულმოდგინებით შრომობს, აგროვებს ფულს და მიზანსაც აღწევს.

და მაინც, რა თქვეს ახალი 80-იანი წლების ქალმა მწერლებმა? მთავარი, რითაც ისინი გამოირჩენ წინა თაობებისაგან, არის თავისუფლების მძაფრი წყურვილი და გაბედულების შეგრძნება. ისინი აქტიურდებიან, თამამად გამოთქვამენ საკუთარ აზრებს, აღარ

ექცევიან სხვათა გავლენის ქვეშ, აღარ უნდათ ისეთი ცხოვრება, როგორიც მიღებულია, როგორსაც მათგან საზოგადოება ითხოვს. „არჩევანი მეში“ კარგად ჩანს, როგორ იცვლება წინო მოთხოვნის დასაწყისიდან ბოლო აბზაცამდე, როგორ იძენს საკუთარი ცხოვრების მართვის უნარს და არ დაგიდევს არავის აზრს. საოჯახო კრების გადაწყვეტილების მორჩილი ქალი უნებურად აღმოაჩენს საკუთარ თავში ჯერ სურვილს, ხოლო მერე ძალასაც, იცხოვოს ისე, როგორც უნდა თვითონ და არა ისე, როგორც სურს დედას. არჩევანი მან უნდა გააკეთოს, რადგან ეს მისი ცხოვრებაა, და შესაბამისად, ყველა ტკივილზე და იმედგაცრუებაზეც მან უნდა აგოს პასუხი, რადგან ცხოვრება სიყვარულთან და ბედნიერებასთან ერთად ტკივილი და იმედგაცრუებაცაა. ასეთივე ძლიერია „სერსოს“ მთავარი პერსონაჟი ქალი, მართალია, მარტოდ დარჩენილი, სევდიანი, მაგრამ მაინც ჯიუტად მიმავალი საკუთარ გზაზე, საკუთარი საქმის ერთგული და მოყვარული. მას უყვარს ზოგადად ადამიანი, უყვარს დაჩაგრული, უბედური, სამყაროში მარტოდ დარჩენილი საბრალო ადამიანი (მოთხოვნბაში სერსოს ქალი). გმირის ცხოვრება, რომელსაც მარტო აგრძელებს იგი საყვარელი ადამიანის გარეშე, იმას გვეუბნება, რომ ქალი ძლიერია სიყვარულითაც და სიყვარულის გარეშეც, მან თავად უნდა გაიკვლიოს გზა ცხოვრებაში და არ შეუშინდეს დაბრკოლებას, არ დანებდეს სიძნელეებს. საყვარელი ადამიანისაგან შორს, მაგრამ თითქოს მუდმივად მასთანაა „ავტოპორტრეტის“ პერსონაჟი ლანაც. მასთან დაძლეულია ფიზიკური სიშორის ტრაგედია სულიერი ერთიანობის მძაფრი შეგრძნებით. ამ შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს შვილი და ლანა ძლიერია, მას აქვს სიყვარულიც, რომელსაც ვერავინ ვერასოდეს წაართმევს, საქმეც და ცხოვრების მიზანიც. და ამ განცდებით უზომოდ გამბედავი ქალი თამამად მიდის ცხოვრების გზაზე.

„მთლიანად აღებული სამყარო ქაოსია...“

...ყველაზე მთავარი კი შენი საკუთარი „მეს“ ძიებაა სამყაროს უსასრულობაში. შეუცნობლის შეცნობა...

ვხატავ... რაღაც ძალა მაჩქარებს: ვებრძვი დროს, რეალობას, ვხედავ ფარულ სიდიადეს და სილამაზეს ადამიანებში; ტანჯვით სავსე თვალებს; ვგრძნობ, როგორ ვთავისუფლდები ხატვისას ტკივილისაგან...“ (ნიუარაძე 1999: 111-112).

„...თუ რაღაც... ნ ა მ დ ვ ი ლ ი იყო... ის გამოჩნდება, თუ მისი დამნახავი თვალი ახელილი დარჩება და მისი მაძიებელი გული არ დაიღლება... მივენდოთ დროს, ეჭ, თუკი დრო გვაქვს... – მუდამ აკეთებს თავის საქმეს და მუდამ ზუსტად: ჩუმად შლის, ცრიცავს, ჩუმად ამჟღავნებს და სახეცვლილად დაგიბრუნებს შენს დაკარგულს – თავის წართმეულს, ისევ თავიდან შეგძენს, თუკი მართლა შემძენელი ხარ... ხოლო ტკივილი ყველგან ძალაშია...“ (გელაშვილი 1990: 319).

თუკი ადამიანი მოახერხებს, დაძლევს ტკივილს და საკუთარ თავს იპოვის სამყაროში, იგი აუცილებლად გადაჭრის ეგზისტენციურ კრიზისს. ოღონდ პოვნა პასიური ცხოვრების შედეგი ვერ იქნება, მას აუცილებლად ძალიან აქტიური, თამამი, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები, ტკივილის ამტანი და ამ ტკივილის ატანით გაძლიერებული ადამიანი სჭირდება. 80-იანები ქალები კი ზუსტად ასეთები არიან.

#### დამოცვებანი:

**გელაშვილი 1984:** გელაშვილი ნ. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1984.

**გელაშვილი 1990:** გელაშვილი ნ. მთვარით განათებული ბალი. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1990.

**კანკავა 1986:** კანკავა გ. ჰუმანიზმის ახალ ტალღაზე. ჟურნ. მნათობი, 1986, №1. **ჩხეიძე 1990:** მხეიძე ა. საფეხური. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.

**ნიუარაძე 1999:** ნიუარაძე ქ. ავტოპორტრეტი. თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 1999.

**უელსი 1988:** უელსი ჰ. თანამედროვე რომანი. ჟურ. ცისკარი, 1988, № 9.

**ჩხაიძე 1987:** ჩხაიძე თ. ნაირა გელაშვილის პროზა. ჟურნ. ცისკარი, 1987, № 2.

## **მაია ჯალიაშვილი**

### **ილუზიები და ცდუნებები – არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“**

„საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,  
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი“  
გალაკტიონი

რომანი, როგორც უმბერტო ეკო შენიშნავს „ვარდის სახელის-თვის“ დაწერილ ბოლოთქმაში, ვარიანტებისა და ინტერპრეტაციების წყაროა. ყოველი მკითხველი საკუთარ წარმოსახვაში უკვე დაწერილის თავისიებურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აღქმისა და ინტელექტის შესაბამისად ქმნის ახალ მოდელებს. სწორედ მკითხველები აძლევენ სიცოცხლეს სიტყვებით შექმნილ სამყაროებს. ეკოს აზრით, „ავტორი უნდა მოკვდეს ნაწარმოების დასრულების შემდეგ. ტექსტის სვლა რომ არ დააბრკოლოს“. არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილოც“ იქნება წყარო ინტერპრეტაციებისა, რადგან ფიქრისა და განსჯის საბაბს აძლევს მკითხველს.

ცხოვრებაში ყველას თავისი გზა აქვს. გზათა სიმრავლე და მრავალფეროვნება განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების არსა და მდინარებას. ის არის უმთავრესი ფენომენი ლიტერატურისა, რომელიც თანაბარი სიმძაფრითა და ვნებით აღწერს ზეციურსა თუ მიწიერ გზებს და ამ გზებზე მიმავალ ადამიანებსაც, რომლებიც სასრულსა თუ უსასრულო ბილიკებზე ხეტიალისას ან იკარგებიან, ან საკუთარ თავსა თუ დანიშნულებას, სიცოცხლის აზრსა და მიზანს აღმოაჩენენ.

გზა არჩილ ქიქოძის რომანშიც „სამხრეთული სპილო“ მთავარი პარადიგმაა. მისი უსახელო პერსონაჟი, რომლის თვალითაც აღვიქვამთ წარსულისა და აწმყოს მოვლენებს, ერთი დღის განმავლობაში თანამედროვე თბილისის ქუჩებსა და საკუთარ თავში ისევე დახეტიალობს, როგორც ჯოისის „ულისეს“ გმირები დუბლინის ქუჩებში. თავდაპირველად ეს ხეტიალი უფუნქციოა, მხოლოდ დროის მოსაკლავად გამიზნული, თუმცა შემდგომ ყველაფერი

იცვლება და მნიშვნელობას იძენს. ამ რომანშიც ისეთი ზუსტი და ცხადია პერსონაჟის მოძრაობის გრაფიკი, შეიძლება რუკაც დაიხატოს, ხოლო რომელიმე მოცლილმა მყითხველმა არა მხოლოდ წარმოსახვით, არამედ თავისი ფეხით „გაიმეოროს“ ეს გზა, რათა წაკითხული რეალური შეგრძნებებით გაამდიდროს.

მწერალი ხატავს მთავარი გმირის მეტამორფოზას, თუ როგორ მიაგნებს ის თავისი არსებობის აზრსა და მიზანს. სახარებისეული ჭეშმარიტება „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ რომანში ღირებულებას იძენს და წარმოჩნდება, როგორც ადამიანის თვითგადარჩენის გზა და საშუალება. პერსონაჟი ერთდროულად მოძრაობს რეალურ დროსა, ანტყოსა და წარსულში. დროის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები ქმნიან ჯვარს და ამგვარი „ჯვარსახოვნებით“ სილრმისეულად წარმოჩნდება მისი შინაგანი სამყარო, ის სირთულეები, რომლებსაც ცხოვრება „ცდუნებებისა და ილუზიების“ სახით სთავაზობს, როგორც დაბრკოლებებს „მეს“ შემეცნების გზაზე.

არჩილ ქიქოძეს სჯერა ადამიანისა, ამიტომაცაა, რომ ერთნაირი შთამბეჭდაობით ხატავს დაცემულსაც და ალდგომილსაც. დემონური თუ ანგელოზური თანაბრად ნიშნეულია მისი პერსონაჟების-თვის, მაგრამ მაინც სიყვარული და თანაგანცდა ჭარბობს. რომანი სავსეა ადამიანური ამბებითა და ისტორიებით, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ მწერლისთვის ყოველი ადამიანი, რომელიც რაიმე შემთხვევითი, აბსურდული თუ კანონზომიერი მიზეზით შემოიჩრება მისი აღქმის ორბიტაზე, მნიშვნელობას იძენს. ეპიზოდურად გაელვებულ პერსონაჟებსაც თავიანთი მშვიდი თუ ბობოქარი ვნებებით სავსე სამყაროები მოჰყვებათ, ისინიც თავიანთ გზებს მიჰყვებიან და დროდადრო სხვებს ხვდებიან, ასე იქმნება გზაჯვარედინები, როგორც ადგილები, სადაც ყოველმა მათგანმა არჩევანი უნდა გააკეთოს. მასაც სჯერა, რომ „არ არსებობს ადამიანი, რომლის შესახებაც რომანი არ შეიძლება დაიწეროს“ (მიხეილ ჯავახიშვილი). ყველა ისინი, თავიანთი ცხოვრებით, პერსონაჟთან სიახლოების მასშტაბების მიუხედავად, ღრმა კვალს ტოვებენ არა მხოლოდ გმირის, არამედ მკითხველის შთაბეჭდილებაში. „ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა კაცს, რომ საკუთარ თავსა და ღმერთს მიაგნოს“ (კონსტანტინე გამსახურდია).

რომანის გმირი, საკუთარ თავსა და სამყაროსთან გაუცხოებული, თავისი ტკივილიანი ფიქრებისავე ტყვე, ერთ ჩვეულებრივ დღეს შინიდან გადის და მკითხველის თვალინ იხატება მხოლოდ ერთი რეალური დღე, რომელიც წუთისოფელზე უფრო გრძელი აღმოჩნდება. ეს არის თბილისური ოდისეა, გმირის შინიდან გასვლით, გზაში თავსგადამხდარი ფათერაკებითა და შინ დაბრუნებით. როგორც იტალო კალვინო წერს: „ეჭვი არაა, ლიტერატურა არ იარსებებდა, ადამიანთა ნაწილი გულჩახვეული და მარტოსული რომ არ ყოფილიყო, გარემომცველი სამყაროთი უკმაყოფილო, უდრტვინველად, დღეობით, თვეობით უხმოდ ჩაჩერებული მუნჯ სიტყვათა უძრაობას“.

გმირის გზა რეალურსა და წარმოსახულ სივრცეში არ არის სწორხაზოვანი, ის გამუდმებით გადაუხვევს მთავარი ხაზიდან და ასე შემოიჭრება რომანში სხვადასხვა ამბავი. ამგვარად, ერთგვარად იწელება თხრობა, თუმცა სისხარტეს მაინც არ კარგავს.

შინიდან გასვლა თვითშემეცნების საფუძველია. გმირისთვისაც შინ მრავალმნიშვნელოვან ცნებად იქცევა და გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ-მატერიალური ბინიდან, არამედ საკუთარი თავიდან გასვლასაც. გზა, რომელსაც გმირი ადგება, ნაცნობი და ჩვეულია, მაგრამ მაინც რაღაც საიდუმლოებით სავსე, რადგან საგნები თითქოს განსხვავებული რაკურსებით შემოიჭრებიან და ახალ სახეებს აჩვენებენ. ქიაჩელის ქუჩიდან ვაკის პარკამდე და მერე ისევ ქიაჩელის ქუჩაზე დაბრუნებული გმირი, დილიდან საღამომდე, თითქოს მთელ ცხოვრებას გაივლის. მისი ალქმის ველში და, შესაბამისად, მყითხველის წარმოსახვაშიც შემოიჭრება აწმყოსა და წარსულის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის, საბჭოთა ეპოქა, ტოტალიტარული რეჟიმი, იდეოლოგიური წნები, ბერიას მსგავსი ადამიანი-ურჩხულები თუ წამებული მიხეილ ჯავახიშვილი. ალუზიები კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის, კინოს, მუსიკის სფეროდან. ყოველივე ეს ქმნის იმ ფერადოვნებას, რომელიც ატყვევებს მკითხველს და აღნერილი მოვლენებისა და შეგრძნებების თანამონაწილედ აქცევს.

შინიდან გასვლისთანავე გზა თითქოს ორად იყოფა – ერთ გზას ავსებს რეალურ დროში ნაცნობსა თუ უცნობ ადამიანებთან შეხვედრები, საუბრები, შთაბეჭდილებები, მეორე გზა კი მეხსიერების

სიღრმეებისკენ მიიმართება და მოგონებების სახით შემოიჭრება თხრობაში. ამგვარად იქმნება ასოციაციების მრავალფეროვანი ჯაჭვი, რომლის ყველა რგოლი ლოგიურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ყოველ შემთხვევაში, მკითხველი არ იძნევა და იოლად მიჰყება მწერალს.

თავდაპირეელად შინიდან მხოლოდ ბანალური მიზეზით (მე-გობარმა სთხოვა ბინა ქალის მისაყვანად) გასული გმირი არაცნობიერად გრძნობს თითქოს, რომ მისი არსებობის საზღვრები უნდა გაფართოვდეს, არა იმ აზრით, რომ რაღაც გააკეთოს, არამედ რაღაც აღმოაჩინოს, უპირველეს ყოვლისა, დაკარგული საკუთარი თავი. ის, ქუჩაში გასული რიგითი უსაქმური, ცხოვრებისეული აბსურდით გაბეზრებული, ყოფილი რეჟისორი, ყოფილი ქმარი, ყოფილი საყვარელი, მოულოდნელად, ერთი შეხედვით, შემთხვევით გარემოებათა წყალობით, ცარიელი „ყოფილობიდან“, მხოლოდ წარსულის მოგონებებით რომ საზრდოობს და ანტყოში პასიური დამკვირვებლის როლს სჯერდება, უცებ ცხოვრების აქტიურ მონაწილედ იქცევა. ის იტანჯება შეგრძნებით: „კლაუსტროფობით შეპყრობილვით ჯოჯოხეთად მექცევა ის სივრცე, რომელშიც ვიმყოფები და გარეთ მინდა, მაგრამ უბრალოდ გასვლა კი არა, გარდვევა მინდება, უცებ მიჩნდება დაუნდობელი სურვილი, ვლენი მინები და ფანჯრიდან გავიდე“, „ფანჯრებს პირდაპირ შუბლით მინდა ვეხეთქო“.

გმირს სახელი არა აქვს და არც ეს არის შემთხვევითი. ის არის თაზოს მეგობარი, ქეთოს მამა, ელენეს ქმარი, ნელიკოს საყვარელი და ა. შ. შესაბამისად, ის მათი ნაწილია, ერთგვარი სარკეა, რომელშიც დანარჩენები ირეკლებიან. მისი „სისუფთავე“ ერთგვარად განსაზღვრავს მასში „მაყურებელთა“ გამოსახულების სიმკვეთე-ბუნდოვანებას, სილამაზე-სიმახინჯეს.

სარკე პირველივე ეპიზოდებიდან ჩნდება ნაწარმოებში. ის გმირის სადარბაზოში ჩამოყიდებული „მედიკოს სარკეა“, ვერტიკალურად აყირავებული თვალი, რომელშიც კიბეზე ამვლელ-ჩამვლელ-ნი ირეკლებიან. ეს თვალის ფორმის სარკე უნებურად წამოატივ-ტივებს ღვთის ყოვლისმხედველ თვალსაც, რომელსაც არაფერი გამოეპარება და მარადიული მოწმეა ჩვენი სიკეთისა თუ ცოდვისა.

რომანი სათაურიდანვე იქცევს ყურადღებას. სამხრეთული სპილო იმ რიგის სათაურებს განეკუთვნება, რომლებიც ეგზოტიკურობით იზიდავენ მყითხველს, თავისი მრავალმნიშვნელოვნებით ერთგვარი საიდუმლოების ბურუსში ახვევენ და გამოცნობისკენ უბიძგებენ. თუმცა, რომანის კითხვისას სათაურის გამოცანას იოლად ეძებნება გასალები, ის ბავშვობისეულ „სამოთხეს“ განასახიერებს. მთხოვნელისთვის ძვირფას რელიკვიად იქცა ფოტო, რომელზეც მეგობარ თაზოსთან ერთად სამხრეთული სპილოს ჩონჩხის ფონზე არის გადაღებული მუზეუმის ეზოში. ეს ფოტო დროდადრო ამოყვინთავს რომანში, როგორც გადამრჩენელი კუნძული, რომელიც ცხოვრების ტალღებში ჩასაძირავად განწირულ გმირს, არაფრობის, სიცარიელის, ამაოების შეგრძებით, დაღლილსა და გამოფიტულს, სასიცოცხლო ენერგიას მიანვდის. თვითონ ავტორი ერთ ინტერვიუში ამ სათაურთან დაკავშირებით ამბობს: „სპილოს პრეისტორიული ჩონჩხი გამოდგა იმ ქალაქის სიმბოლოდ, რომელიც აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო, გინდაც ადამიანების სიმბოლოდ, რომლებიც გადაშენების გზაზე დგანან იმიტომ კი არა, რომ სხვებზე უკეთესები არიან, უბრალოდ, ქალაქთან ერთად ადამიანებიც იცვლებიან და აღარასოდეს იქნებიან ისეთები, როგორებიც კონკრეტულ ეპოქაში იყვნენ. იმის თქმა მინდა, რომ წესიერად არც ვიცი, რისი სიმბოლოა ეს სპილო და მოდი ამაზე სხვამ იფიქროს.“

თხრობაში ბუნებრივად შემოიჭრება ხსენება ოთარ იოსელიანის ფილმისა „იყო შაშვი მგალობელი“. მკითხველს უჩნდება განცდა, რომ გმირის გულში იბადება წყურვილი, თუნდაც კედელზე ერთი ლურსმის ჩარჩობისა, რომელზეც ვიღაცა რაიმეს ჩამოკიდებს. წყურვილი რადგან ჩნდება, წყაროც გამოჩნდება, რადგან ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც. ფეისბუქის ერთმა ფოტომ, რომელზეც მეგობარ თაზოს შვილის, გიოს, შიშველი მუშტი იყო აღბეჭდილი, მისი მე შეძრა და ჩვეული, რუტინად ქცეული ერთფეროვანი ყოფის მდინარებიდან ამოაგდო და იმ გზაზე დააყენა, რომელსაც სინათლისკენ უნდა წაეყვანა. მასში რაღაც ახალი, ავთანდილი-სეული თავგამეტების მსგავსი, სურვილი დაიბადა, რომელსაც ჩვეული მელანქოლიური გულგრილობა ვეღარ გადაელობებოდა.

მწერალი ხატავს ადამიანს, საკმაოდ ნიჭიერს იმისთვის, რომ საკუთარი ადგილი ეპოვა ცხოვრებაში. მისმა ერთადერთმა ფილმ-მა საერთაშორისო ფესტივალებზე არაერთი ჯილდო მოიპოვა, მაგრამ: „მაშინაც კი, როცა ჩემი ფილმით ვმოგზაურობდი, უკვე მქონდა შეგრძნება, რომ იმ ჭყეტელა სამყაროში სრულიად დროებით და ლამის შემთხვევითი ვიყავი მოხვედრილი“. მან შეიძულა პრაგმატულ-ანგარიშიანი, მლიქენელობითა და ფარისევლობით, ყალბი ურთიერთობებით სავსე სამყარო, ყველა ჯილდოს ერთ ტომარაში უკრა თავი და კუთხეში მიაგდო. ყველასა და ყველაფრისგან გაუცხოვდა, შესაბამისად, ასევე აღიქვამდა სამყაროსაც, თუმცა არ დაუკარგავს ადამიანების, მათი პატარა სიხარულისა და ტკივილის დანახვის ნიჭი. ამიტომაც ივსება მისი აწმყო სხვადასხვა ადამიანის ამბებით.

რომანის გმირის ცხოვრებისეულ გზაჯვარედინებს ქმნის მისი ურთიერთობა საყვარელ ნელისთან, ცოლ ელენესა, შვილ ქეთოსთან, მეგობარ თაზოსა თუ სხვა ნაცნობსა თუ შემთხვევით შეხვედრილ ადამიანებთან. ნელის სიყვარულისა და მათი ურთერთობის რომანტიკული ამბები წარსულის დრო-სივრციდან შემოიტრებიან. სანამ ნელის გაიცნობდა, ისეთი ამბავი გადახდა, ჰიჩკოკის ფილმში ეგონა თავი, ძაღლმა უკბინა „ნეორეალისტურ“ ჩიხში. მერე „ოკუპაციური თერაპევტი“, ნელი, დასტირდა თითების ასამოძრავებლად და ასე გაიცნო შავგვრემანი ქალი: „ნელისთან ერთად როცა ვარ, ყველაფერი მინდა ამქვეყნად, ტაჯმაჟალიდან დაწყებული, ნიაგარის ჩანჩქერით დამთავრებული, ჩემია ყველაფერი. ერთ სიგარეტთან ერთად შემიძლია, მთელი სამყარო შევისრუტო და კიდევ მინდოდეს“. ნელის შეუძლია „ურთიერთობა ლამაზ თამაშად გადააქციოს“. თხრობის რეალურ დროში ნელისთან ურთიერთობა ისტორიაა, აწმყოში იგი სხვისი ცოლია, უცხოეთში გადაკარგული. თუმცა მასზე მოგონებები, ფეისბუქზე ნანახი მისი ფოტოები კვლავ ცხოვრების ნაწილია. მკითხველიც გრძნობს, რომ სიყვარულის ნაკვალევს დრო ვერასოდეს წაშლის. „თავისუფლად აწყდები სამყაროს ერთი კიდიდან მეორეს, მე ნელისაც მოვწყდი და ამიერიდან ჩემთვის აღარ არსებობს მიზიდულობის ცენტრი, არსებობს მხოლოდ ხიბლისა და სასონარკვეთის ზღვარზე გამართული მარათონი“.

რომანის გმირის გული, სული და გონება თითქოს პალიმფსესტად ქცეულა, რომლის ყველა შრე ძნელად თუ იოლად, მაგრამ მაინც იკითხება. სიყვარულის კიდევ ერთი ამბავი ელვასავით შემოანათებს მოთხოვნაში. ეს არის ის ეპიზოდები, რომლებშიც დახატულია ქეთოსა და „პარკურის ბიჭის“, კასკადიორის ერთი ნახვით შეყვარება. „პატარა ბიჭი ყვითელქოლგიან პატარა გოგოს კოცნის და მათ ქოლგას აწვიმს, და მთელი სადგური, მთელი სამყარო წვიმაში და ძილბურანშია ჩაფლული“. ამგვარი ფერწერული დეტალებით, როცა შეიგრძნობ და შეისუნთქავ რომანის ფერებს, პაერსა თუ განწყობილებებს, სავსეა თხრობა.

ეს „პარკურის ბიჭიც“ საბედისწეროდ შემოიჭრა გმირის ცხოვრებაში, მისი ფილმის გადაღებისას ბიჭი ვაგონიდან გადმოხტომისას დაიღუპა. ამან კი საბოლოოდ ხელი ააღებინა ისედაც უკვე აცრუებულ საქმეზე, რეჟისორობაზე. აქ მისი ზნეობრივი არჩევანიც ჩანს, მას შეეძლო ეს სცენა შეეტანა ფილმში, მაგრამ ეს მის სინდისს ეწინააღმდეგებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა კინოს ისტორიიდან მსგავსი მაგალითი, ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს. რომანში შემოჭრილ სიყვარულის თემას ამძალებს საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიანი დროის ერთი „ანეკდოტური“ ამბავიც, რომლის გადაღებაც დაიწყო, მაგრამ ტრაგიკული შემთხვევის გამო ვეღარ შეძლო დასრულება. ინგლისელებმა მასობრივად იქორნინეს ქართველ ქალებზე. შემდეგ, როცა მატარებლით ტოვებდნენ საქართველოს, თან ქართველი ცოლებიც წაიყვანეს ცალკე, ბოლო ვაგონით, რომელიც გზაში, ლიხს იქით, ჩასხნეს. მხოლოდ ერთ ინგლისელს ვერ აუტანია ეს, გადმომხტარა და საყვარელი ქალი საკუთარ ვაგონში გადაუყვანია. მთხოვნელმა ჯონათან პოუპი დაარქვა ამ ინგლისელს. როგორც თვითონ ამბობს, ეს იყო „ტრაგიკული კარნავალური ისტორია, როგორც მთელი ის სამი წელიწადი“.

ასეთი გამოგონილი თავბრუდამხვევი ბევრი ამბავია ჩართული რომანში, რომელთაც ცალკე ღირებულებაც აქვთ და რომანის ერთიანი სამყაროს ნაწილსაც წარმოადგენენ.

მთავარი პერსონაჟის ხასიათი კარგად იკვეთება დედასა და მამასთან ურთიერთობაში. ის მამისგან მიტოვებული შვილია, შესაბამისი სულიერი ტრავმებით. ტრაგიკომიკურად იხატება უკვე ცნობილი რეჟისორის შეხვედრა „არტელშჩიკ“ მამასთან. რეალუ-

რად, ორი სრულიად სხვადასხვა სამყარო შეეფეთება ერთმანეთს და ამ შეხვედრიდან არ წარმოიქნება ნაპერწკალი. დონკიხოტური შტრიხებით იხატება გმირის უპერსპექტივო გაუმუღლავნებელი ამბოხი, ოდესლაც ნასწავლი კრივის ილეთებით მამის ცემის და, ამგვარად, მისი დაგვიანებული დასჯის წარმოსახული სცენები.

საოცრად დამაჯერებელია დედასთან ურთიერთობის ეპიზოდები. ზოგადად, ამ ქალის სახე, რომელმაც ამაოდ იბრძოლა ცხოვრებასთან და დამარცხდა. იგი მთელი სიცოცხლე ოცნებობდა, რომ ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებზე რამე აღმოეჩინა, მაგრამ ისე დაიფერფლა, ვერაფერი იპოვა. დედა და მისი მეგობრები, ე. წ. ზვიადისტები, ისევე, როგორც დანარჩენი საზოგადოება, რომელმე ჯგუფურ წარმოდგენებსა თუ ოფიციალურად აღირებულ იდეოლოგიას შეფარებული, ერთგვარი მსხვერპლია კაფკასეული აბსურდისა. თითქოს რაღაც „პროცესში“ მონაწილეობენ, თავიდან შეიძლება ნებით ჩართულნი, შემდეგ კი თვით პროცესისვე მსხვერპლნი. ისინიც რაღაც სამართალს დაეძებენ და ისე იხოცებიან, ვერ არკვევენ, რა დააშავეს. დედა მათგან იმით გამოირჩევა, რომ ამ აბსურდულობას ბოლოს თითქოს ხვდება და დასცინის, ითხოვს საფლავში ჩაატანონ გათხრებში ნაპოვნი უძველესი ნატეხი, რათა მომავლის არქეოლოგებს თავსატეხი გაუჩინოს.

საღამოს შინ დაბრუნებული პერსონაჟი თაზოს ეუბნება, რომ დიდი ხანია სახლიდან არ გასულა, დღეს კი უამრავი ხალხი ნახა და: „ამდენ სიარულში ერთ რაღაცას მივხვდი, კი არ მივხვდი, ვიგრძენი... მგონი არ არის ეს ადგილი ცუდი, ჩვენს საცხოვრებელ ადგილზე გეუბნები, ამ ქალაქზე“. ამ სიტყვებში ჩანს თითქოს არა მხოლოდ, ზოგადად, ადამიანური სამყაროს, სიცოცხლის არსის, არამედ, კერძოდ, მისი საკუთარი არსებობის გამართლებაც. გოდერდი ჩოხელის ფინალური ფრაზა გვახსენდება მოთხრობა „თევზის წერილებიდან“: ადამიანად ყოფნა ღირს, და ამას გაიფიქრებს ადამიანებზე ხელჩაქნეული პერსონაჟი, როცა მათს გაუბედურებულსა და მოწყენილ სახეებზე მოყვასის განირვის გამო სინაულს შენიშნავს.

ერთი ჩვეულებრივი დღის თბილისური ოდისეა თვითშემეცნებით დასრულდა, პერსონაჟმა ამას ერთი კეთილი საქმით მიაღწია, მეგობრის შვილი გადაარჩინა, თანაც ისე, რომ საკუთარი სი-

ცოცხლე დადო სასწორზე, თანაც ისე, რომ ეს არც თაზოს და არც ნანიკოს (გიოს მშობლებს) არ გაუგიათ, ერთი სიტყვით, კეთილი სამარიტელივით მოიქცა, ადამიანი და, ამგვარად, ღმერთი კიდევ ერთ ჯვარცმას გადაარჩინა. ნებისმიერი ცოდვა ხომ ჯვარცმის მისტერიას იმეორებს. ამან ცხოვრებასთან დააბრუნა, ბედნიერება გაუმრავლა: „სამყაროს კინოდ აღქმა აღარ უნდა დავუშალო საკუთარ თავს“.

გმირმაც თავის მიერვე დაშლილ-დატეხილი საკუთარი ცხოვრება „ოქროს ძაფებით“ ისევე შეაწება, როგორც იაპონური კინცუგოს ხელოვნების ოსტატმა, რომელიც კი არ მალავდა ნანიბურებს, არამედ ოქროთი აელვარებდა. მთავარი გმირის აღმდგარი მთლიანობის ოქროს ძაფებად, გამაერთიანებლად სხვა ადამიანები იქცნენ.

ხშირად ძალიან მცირე რამ არის საჭირო, რომ ადამიანმა სიკეთესა და ბოროტებას, სიყვარულსა და გულგრილობას შორის გაჭიმული ბეწვის ხიდი გადაიროს – ცრემლის ერთი წვეთი, სხვისთვის უანგარიშოდ დალვრილი, დაცემულის ნამოსადგომად გაწვდილი ხელი. მთავარმა გმირმა გაარღვია ეგოს ჩაკეტილი სივრცე და „მეს“ წრეში „შენ“-ის შემოყვანით დაძლია სხვაზე მიჯაჭვულობის შიში, რადგან ეს სხვაზე დამოკიდებულება მიიჩნია არა დატყვევებად, არამე გათავისუფლებად. თუმცა, მისი მეგობარი თაზო ისევ ჩაკეტილ სივრცეშია. მან საკუთარი გადარჩენის გზა თვითონ უნდა მოძებნოს და არც მას არ გამოადგება სხვისი გამოცდილება. ამიტომაც არ ეთანხმება მთხობელს და ეტყვის, რომ „ქალაქი... საზარელია“.

მწერალი დამაჯერებლად ხატავს თაზოს ტრავმირებულ სულიერ სამყაროს. ის, ქუჩაში მიმავალი, არ გამოექმაგა უცნობ პატარა ბიჭს, მეგობრებმა საქმის გასარჩევად რომ ჩაიყვანეს მიწისქვეშა გადასასვლელის ლაბირინთში. თაზოს არ შეშინებია, „ჩარევა დაეზარა და ეგ იყო ყველაზე ცუდი“. მეორე დღეს კი მისი მკვლელობის ამბავი გაიგო და თვითონვე დაისაჯა თავი გულგრილობის გამო, საკუთარ თავში ჩაიკეტა. ეს იცის მთხობელმა და ამიტომ ცდილობს თვითონაც უნებურად არ მიბაძოს მას, ამიტომაც იღვიძებს მასში რაღაც რაინდული და აქტიურად ჩაერთვება თაზოს შვილის „გადარჩენის“ საქმეში.

თბილისი, ხმაურიან მეგაპოლისად ქცეული ქალაქი, თურქული რესტორნებით, ჩინური მაღაზიებით, სუდანელი და სირიელი ლტოლვილებით, სამხრეთამერიკელებით, ინდოელებით, აღმოსავ-ლეთიდან თუ დასავლეთიდან წამოსული ტურისტებით, რომანის პერსონაჟია, მრავალსახოვანი ქალაქი, სხვადასხვა ნიღაბს რომ ირგებს და ადამიანებს ხან მფარველად, ხან კი ბოროტ დედინაცვ-ლად ევლინება. თბილისია პერსონაჟთა დროსივრცული ასპარეზი, სადაც თავიანთ ვნებებს შიშვლად თუ შენიღბულად წარმოაჩენენ. სწორედ ადამიანთა, ქუჩათა, შენობათა და ათასი სხვა მსხვილმან-წვრილმან საგანთა თუ მოვლენათა ერთობლიობა წარმოაჩენს ამ ქალაქის სულს, რომელიც ცალ-ცალკე ყოველ მათგანშია. „თავი-დანვე ვიცოდი, რომ ეს უნდა ყოფილიყო ურბანული რომანი და წიგნი ქალაქზე, რომელიც თან მიყვარს და თან მძულს. ჩემთვის ძა-ლიან ბევრი ტკივილია ამ ქალაქთან დაკავშირებული... წერის პრო-ცესში თითქოს შევურიგდი ამ ქალაქს... უფრო მეტად მიყვარდა, ვი-დრე მანამდე“, – ამბობს ერთ ინტერვიუში მწერალი.

რომანის ხიბლი ისაა, რომ მწერალი თავისი მოთხოვილი ამბე-ბით მკითხველს იმაში აჯერებს, რომ სამყაროში სიკეთე, სინათლე და სიყვარული გადასწონის სიბნელეს, სისასტიკესა და ბოროტე-ბას. რომანის ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში მეგობარ ვიდასის ელე-ქტრონული წერილი ამცნობს, რომ ვილნიუსის თავზე მფრინავი ბუშტები ისევ გამოჩნდა. მედიკომ და ლეომ ერთმანეთს მიაგნეს. ფეისბუქის „ჩატში“ ქეთო „გამწვანდა“. და როცა გმირი „ქიაჩელის ქუჩაზე სიჩუმეს უსმენს“, ის სავსეა ამგვარი ფიქრებით: „რა უნდა იყოს იმაზე კარგი, ვიდრე შენს მეგობარს რომ ნანატრი სიხარული ეწვევა“.

„გრძელი შაბათი დასრულდა“, – რომანის ეს ფრაზაც სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ღმერთმაც ხომ შაბათს დაასრულა სამყაროს შექმნა. გმირმაც დაასრულა რაღაც ეტაპი თავის ცხოვრებაში და ახალი დაინტერ, მანაც შექმნა თავისი ახალი სამყარო, რომელშიც ის ხვალიდან სხვანაირად გააგრძელებდა ცხოვრებას და არ არის გამორიცხული, შაბათის შთაბეჭდილებებზე ფილმსაც გადაიღებდა.

რომანში გმირის სულიერ-მატერიალურ გზას ამდიდრებს მას-თან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული უამრავი ადამიანის საოცრად შთამბეჭდავი ამბები. ყველა პერსონაჟს თავისი დასა-

მახსოვრებელი, გამორჩეული ისტორია აქვს, ისეთი, სხვისთვის მოსაყოლად რომ ღირს. თბილისური ოჯახები ირეკლავენ დროში მიმდინარე ცვლილებებს, საქართველოს ბოლოდროინდელ ისტორიას სოციალ-პოლიტიკური ქარტეხილებით.

ქუჩაში მოხეტიალე გმირს გალაკტიონის ძეგლის დანახვისას გაახსენდება: „მეგონა პოეტს გიუჟბის დასაშოშმინებელი პერანგი ეცვა და ხელებიც იმიტომ ჰქონდა უკან გადაგრეხილი. წლების მერე გავიგე, რომ ცეცხლის ალმი იწვოდა და გამიკვირდა“. რომანი სავსეა ასეთი დეტალებით, რომლებიც წამითაც არ ადუნებენ მყითხველს.

ერთ ეპიზოდში პოლონელი პროდიუსერი აგონდება, მისი რჩევა, გადაიღოს ფილმი რუსეთის წინააღმდეგ ქართველების გმირულ ბრძოლაზე, ჰეროიკული საგა. არადა, მთხრობელს მიაჩნია რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა „კოლაბორაციონიზმის უსასრულო გრძელი საგა უფროა, ვიდრე წინააღმდეგობის, გამონაკლისები იყო“. პოლონელი ჯიუტად ამ გამონაკლისებზე, გმირებზე სთავაზობს გადაღებას, მთხრობელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ახსენდება, მარო მაყაშვილი, მაგრამ ეს ამბები თითქოს უფასურდება მთვრალ პროდიუსერთან მოყოლისას. მერე პოლონელი უსვამს კითხვას, როგორ ებრძოდა მისი ოჯახი საბჭოთა რეჟიმს? პასუხად მოყოლილია ამბავი, რომელშიც 10 წლის ბიჭი მამის წაქეზებით „რაგატკიდან“ გასროლილი ქვით სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ფანჯრებს ჩაამსხვრევს. თუმცა ამას მოჰყვება მისი ტკივილიანი აღიარება: „მაპატიეთ იმისთვის, რომ მამაჩემი დისიდენტი არ ყოფილა, რომ არც მე ვყოფილვარ გოლიათ საჭოთა სისტემასთან შერკინებული ყრმა დავითი“.

მთავარი სიუჟეტური ხაზიდან გადახვევით, უამრავი მცირე დეტალით მწერალი ქმნის თბილისის, როგორ ცოცხალი და მფეთქავი სხეულის, მოზაიკურ პორტრეტს. ერთ ამბავს მეორე ებმის, მეორეს მესამე და ამგვარად იხატება წარსულისა და აწმყოს ერთიანობა. შთამბეჭდავ ამბებს შორის გამორჩეულია კიდევ ერთი, ინგლისურის მასწავლებლის რეპრესირებული ოჯახის ისტორია, დაუვიწყარია მისი ეზო, ბავშვებით დახუნძლული თუთის ხით, ოსკარ უაილდის „ეგოისტი გოლიათის“ კითხვით: „რამდენი რამე შეიძლება დაიტიოს ერთმა ეზომ? ერთმა ცხოვრებამ? რამდენ რამეს უძ-

ლებს ერთი გული?“ ბანალური, მაგრამ მაინც უცვეთელი მარადი-ული პასუხგაუცემელი კითხვებია. მთავარია ეს კითხვები დასვა, პასუხები ამბები და ფიქრის ნაკადებია, რომლებიც ადამიანად ყოფნის ტკბილ-მწარე ბედნიერების განცდას ბადებს. შემაძრნუ-ნებელია გადასახლებული ქალის დახვრეტის ისტორია: „ვფიქრობდი ჩრდილოეთის ტრამალებზე, თოვლსა და მხეცებზე, რომლებმაც თოვლში უპატრონოდ დარჩენილი ჩემი მასწავლებლის დედის ცხე-დარი შეჭამეს“. მათ, ისინი – ამ ნაცვალსახელებით მოიხსენიებიან უპიროვნო ჩეკისტები, უსახოები, სისხლით რომ წერდნენ ისტორიას.

მართალია, მთავარი რეალური სივრცე თბილისია, მაგრამ სხვა-დასხვა პერსონაჟის ამბებით რომანის გეოგრაფია ბევრად ვრცელია, თხრობაში შემოიჭრება როზეტას სვანეთი, დედის ნაქალაქევი, მედიკოს ევროპა და, ამგვარად, მკითხველი წარმოსახვით გლობალური სამყაროს მაჯისცემასაც შეიგრძნობს.

მწერლისა და მკითხველის ურთიერთობას, მათ შორის დიალოგს ხელს უწყობს, უპირველეს ყოვლისა, არჩილ ქიქოძის, როგორც მთხრობელის ოსტატობა. მის თხრობას საოცარი მუხტი და ენერგია ახლავს. ამბების თანამიმდევრობა ხორციელდება გარკვეული რიტმით, რომელიც მკითხველს არ ადუნებს. მას აქვს „სტილის მოხდენილობისთვისაც აუცილებელი სიტყვის მოქნილობა, აზრის სისხარტე“ (იტალო კალვინი).

ერთი შეხედვით, არაფერი ახალი და განსაკუთრებული არ არის მის თხრობით სტრატეგიებში, არსებითად, იგრძნობა კლასიკური ტრადიციული თხრობის ერთგულება, მაგრამ გემოვნება, ერთგვარი დახვეწილობა, გამოთქმის სიზუსტე და სიცხადე, ბუნებრივი ნიჭი საგანთა და მოვლენათა შუაგულის, არსებითის დანახვისა და შესაბამის სიტყვიერ ქსოვილში მოქცევისა, კინოსთვის დამასასიათებელი მონტაჟის ტექნიკა, ეპიზოდების ექსპრესიული მონაცვლეობა, განსხვავებული გამოკვეთილი ხასიათების ხატვა მის სტილს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში უდავოდ გამოარჩევს.

როგორი მკითხველისთვის წერს არჩილ ქიქოძე?

პოლ ვალერი ჩვეული მახვილგონივრულობით ასე მიმართავს მწერალს:

„— თქვენ გსურდათ დაგენერათ წიგნი? დაწერეთ? კი, მაგ-რამ, რას მიელტვოდით? რომელიღაც მაღალ იდეალს თუ რეალურ სარფას და სარგებელს – სახელისა თუ ფულის მოხვეჭას? ეგებ სხვა რასმე ისახავდით მიზნად: თქვენს რამდენიმე ნაცნობს მი-მართავდით, ან იქნებ, მხოლოდ ერთადერთ ნაცნობს, ვისი ყურად-ლების მიპყრობაც გსურდათ და ამიტომაც გადაწყვიტეთ გამო-გექვეყნებინათ თქვენი თხზულება? ვისი გართობა გსურდათ? ვისი მოხიბლვა, ვისთან გატოლება, ვისი შურით აღვსება და თვალის დავსება, ვისი გაოგნება, ვისთვის – გატეხა ძილის? გვითხარით, ბა-ტონო ავტორო, ვის მსახურებდით – მამონას, დემოსს, კეისარს თუ მამაზეციერს? იქნება, ვენერას, ან იქნებ – ცოტ-ცოტა ყველას?“

უმბერტო ეკო ამ კითხვას ასე უპასუხებდა? „მე მკითხველის რა მოდელზე ვფიქრობდი, როცა ვწერდი? ცხადია, თანამზრახველზე, რომელიც თამაშში ამყვებოდა... ჩემი მსხვერპლი, ანუ ტექსტის მსხვერპლი, გახდებოდა, დარწმუნებული იქნებოდა, რომ მხოლოდ ის უნდოდა, რასაც ჩემი ტექსტი სთავაზობდა და სხვა არაფერი.“

ყველა მწერალი თავის მკითხველზე ოცნებობს, ერთზე ან მრა-ვალზე, თანადროულსა თუ მომავლის მკითხველზე. ამ ოცნების გარეშე არ დაინერებოდა არცერთი მხატვრული ნაწარმოები. მწერ-ლისა და მკითხველის შეხვედრიდან კი იბადება ის, რასაც მხატ-ვრული ტექსტის გაგება, გააზრება, ინტერპრეტაცია ჰქვია.

ვფიქრობთ, არჩილ ქიქოძის პროზა იოლად მოძებნის თანამ-ზრახველებს, რომლებიც სალიტერატურო თამაშში აჰყვებიან. მი-სი მკითხველები თანაბრად იქნებიან კლასიკური თუ თანამედრო-ვე ლიტერატურის მოყვარულნი.

მაკა ჯოხაძე, ცნობილი მწერალი და ესეისტი, ერთ-ერთი პირვე-ლი იყო, რომელმაც არჩილ ქიქოძის თხრობის გამორჩეულ სტილსა და მანერას ყურადღება მიაქცია და წარმატებული მომავალიც უწი-ნასწარმეტყველა. მან 2006 წელს დაწერილ სტატიაში ზედმინევ-ნით წარმოაჩინა მწერლის ოსტატობა მოთხრობაში „ნასვლა“.

ფაქტია, რომ არჩილ ქიქოძის წიგნებმა უკვე მოხიბლა ლიტე-რატურისმოყვარულნი, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი რამდენიმე ლიტერატურული პრემიის მფლობელი გახდა: პრემია „საგურამო“ – 2017. „გალა“ – კრებულისთვის „მყუდრო“, 2009

წ. საბა – წლის საუკეთესო პროზაული კრებული, 2014, ხოლო რომანისთვის „სამხრეთული სპილო“ – ლიტერა, 2017, ილიას უნივერსიტეტის პრემია – საუკეთესო ქართული რომანი, 2017. „საბას“ ნომინანტი – 2017.

გერმანული გამომცემლობა „ულშტაინი“ 2018 წელს „სამხრეთელ სპილოსა“ და „კაცისა და ჩიტის ამბავს“ გერმანულ ენაზე გამოსცემს, ასე რომ, იმედია, არჩილ ქიქოძის ნაწერები უცხოეთშიც იპოვის თავის მკითხველს.

## სოფიო წულადა

### არაცნობიერი ფსიქიკის გამოვლინება ლია ლიქოკელის პოეზიაში

ლია ლიქოკელის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ აյ სამმოდუსიანი განზომილება „დრო“, რომლის ჩატვეასაც კაცობრიობა ჯიუტად ცდილობს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჩარჩოებში, მეოთხე წახნაგსაც იძენს, მას პირობითად უსივრცო, ან უსაზღვრო დრო შეიძლება, ვუწოდოთ, იმიტომ, რომ შლის რა საკუთარი მნიშვნელობის გარშემო შემოვლებულ ყოველგვარ ზღვარს, იმდენად ტევად აღმნიშვნელად გადაიქცევა, რომ მის მიღმა არა ერთი, ან რამდენიმე, არამედ, თეორიულად უსასრულო რაოდენობის აღსანიშნი მოიაზრება. სამმოდუსიანობა მხოლოდ ერთი, ყველაზე ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი დეფინიციაა, რომელიც ნაწილობრივ გვაზვდის ინფორმაციას საკუთარი აღსანიშნის შესახებ, ის დრო კი, რომელზეც ვწერთ, უსასრულობას, მარადიულობას, წრიულობას, ვექტორული დროის მიღმა არსებულ მითოსურ დროს და კიდევ არაერთ ცნებას აერთიანებს, შესაბამისად, მის გარშემო არსებული სივრცეც განსხვავებულია და თუკი სხვა დროს სიტყვებს ძალუბთ ამა თუ იმ საგანზე კოდური ინფორმაციის მიწოდებით პატარა ტექსტუალური ეტიუდი მოხაზონ და განსხვავებული კუთხით დაგვანახონ ესა თუ ის საგანი, ამ შემთხვევაში პირიქით ხდება: ერთი შეხედვით ჩვეულებრივი საგნები, მაგალითად, ისეთები, როგორიცაა უბრალო ყელსაბამი ცხვრის გამოსახულებით, ან საყვარელი ყავის ჭიქა – თავად იქცევიან ეტიუდებად, უფრო რომ დავაკონკრეტოთ: საგანი ეტიუდად მასზე შექმნილი ყოველგვარი ტექსტის გარეშე იქცევა, ეს კი სიტყვებით აზროვნებაზე მეტად ხატებით, სახეებით აზროვნებას უახლოვდება, სადაც დომინანტი აღსანიშნია, მისი აღმნიშვნელი გრაფიკულ-ფონეტიკური გამოსახულება კი მხოლოდ დეკორია, მაგიურობის განცდას საგნების თავისთავადი აურა ქმნის და არა ამა თუ იმ საგნის შესახებ სიტყვებით მოწოდებული ინფორმაცია.

სანამ უშუალოდ კონკრეტული ლექსების ანალიზზე გადავიდოდეს, აუცილებლად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ასეთი ტი-

პის შემეცნებასა და აღქმას განსაკუთრებით ხელს უწყობს ლია ლიქოკელის პირველ პოეტურ კრებულ „დევის ცოლის სიცილში“ შესული ლექსებისთვის დართული ილუსტრაციები, მართალია, თავიდან ისეთი განცდა ჩნდება, თითქოს ისინი გარკვეულწილად აუფერულებენ ნოველისთვის დამახასიათებელ მოულოდნელობის განცდას, რომელიც ავტორის მიერ ტექსტის ფინალში საგანგებოდაა ჩამაღული და მიახლოებისთანავე ფეთქდება, მაგრამ საბოლოოდ, ეს ილუსტრაციები დადებით როლს უფრო ასრულებენ, ვიდრე უარყოფითს, რადგან გვეხმარებიან დავინახოთ ჯერ საგანი, ხატი და შემდგომ სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ საგანს აღნიშნავს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლია ლიქოკელის პოეზია სწორედ ამ თავისებურების გამოა განსაკუთრებით საინტერესო: ხაზგასმული ვიზუალურობა და მისგან აღძრული მძაფრი ემოციური მუხტი მკაფიოდ გამოარჩევს მას თანამედროვე პოეზიაში.

გარკვეულწილად, ამგვარი ტიპის ცნობიერების ნიმუშია ზღაპარიც, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი. სავა-რაუდოდ, სწორედ ამიტომაა ლია ლიქოკელის პოეტური სამყარო ჟანრობრივად ყველაზე მიახლოებული ზღაპართან, მის-ტერიასთან. ფსიქიკის სიღრმისეული პლასტებიდან გადმოღვრილი, კოლექტიური არაცნობიერისთვის დამახასიათებელი პირველადი არქეტიპების აქტიური შემოჭრა ლიტერატურულ ტექსტში თანამედროვე ავტორის სუბიექტურ წარმოდგენებსა და წარმოსახვას არამცთუ არ აკნინებს, არამედ პირიქით, განსაკუთრებულ ხარისხს ანიჭებს. ამ გზით განზოგადებული, პირველადი სამყაროს გაცოცხლებასთან ერთად პოეტი საკუთარი მითოლოგიის შექმნასაც ახერხებს: საკუთარ თავს ოსტატურად იგონებს, ქმნის და ძერწავს მეტოხელის თვალწინ. მისი მითოლოგიის განუყოფელი ატრიბურებია: საყვარელი კატა, განსხვავებული თმის ფერი, სახლი, რომელშიც ცხოვრობს, მარტოობა... ამ მითოლოგიის ფონზე იკვეთება ლია ლიქოკელის სუბიექტურობა და ინდივიდუალიზმი.

მის პოეტურ ტექსტებში თავს იჩენს კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკისთვის დამახასიათებელი ისეთი არქაული, პირველადი სიმბოლოები, სახე-ხატები და არქეტიპები, როგორიცაა მაგალითად, მზე, ან მთვარე. მათ მთლიანად შემოცლილი აქვთ ადამიანის ცნობიერი ფსიქიკის, კულტურისა და რელიგიის მიერ დაშენებული

სიმბოლური მნიშვნელობები, ისინი უნიკალურები სწორედ თავი-ანთი პირველადობითა და მისტიკურობით არიან, თითქოს, ბოლოს და ბოლოს ახერხებენ ის დაიბრუნონ, რის მიტაცებასაც კულტურა მათგან საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა.

„არაცნობიერთან მიახლოვება კულტურულ ადამიანში პანიკურ შიშს იწვევს სულიერ აშლილობასთან მისი შემაძრნუნებელი ანა-ლოგიის გამო“ – ნერს კარლ გუსტავ იუნგი და იქვე დასძენს: „ის, რომ მას შეენინააღმდეგოს და რეალობად მიიღოს, საშუალო ევრო-პელის გამბედაობასა და უნარს აღემატება“ (იუნგი 2005: 54-55) მართალია, პოეზია საუკეთესო ასპარეზია დაფარულის, მიჩქმა-ლულის, ვერთქმულის, ვერალიარებულის რეპრეზენტირებისთვის, მაგრამ როდესაც თანამედროვე რეალობაში პოეზიაც კი რაციონა-ლური და არაცნობიერისგან მაქსიმალურად დაწმენდილია, ტრო-პული მეტყველება – გარაციონალურებული, დიდი გამბედაობაა საჭირო, საკუთარი წარმოდგენები გვერდზე არ გადადო, პირვე-ლადობა, პირველქმნილობა, პირველსახე შეუნარჩუნო და დარე-დაქტირებისგან, გარაციონალურებისგან იხსნა. სირთულის მიუხედავად, ლია ლიქოკელი ამას ახერხებს, თითქოს თავდაპირველ უფლებებს აღუდგენს პოეზიას იმ ეპოქაში, რომელიც „აზროვნები-სა და წვდომის უმაღლეს ფორმად მხოლოდ ინტელექტუალურ ანალიზს აღიარებს“ (იუნგი 2005: 54-55), მისთვის პრიორიტეტი საკუთარი ინტუიციისთვის ყურისგდებაა და არა არაცნობიერის დამორჩილება, მისი გარაციონალურება. ამ მხრივ განსაკუთრე-ბით საინტერესოა ლექსი „ჩემი გოგო“, სადაც ავტორის ფანტაზია ყოველგვარ რაციონალურ საზღვარს სცილდება და სიურრეალის-ტურ, ამავდროულად კი ძალიან რეალისტურ და ყოფით ხილვად გარდაისახება.

ლექსის დასაწყისში გვეჩვენება, რომ პოეტი საუბრობს მეგო-ბარ გოგონაზე, იქნებ, საკუთარ ალტერ ეგოზეც, რომლის სკამსაც საზურგე აქვს ამომწვარი. მკითხველი ვერ ხვდება, რას შეიძლება გულისხმობდეს პოეტი ამ ფრაზაში, მაგრამ მსგავსი ტიპის წარ-მოდგენა არც უკვირს და არ ეუცხოვება, რადგან პოეტისაგან ამ ტიპის „უცნაურობას“ უკვე მიჩვეულია. კიდევ უფრო საინტერესოა მეტაფორა „ლრუბლის ბეწვზე ალერგია მაქვს“, მაგრამ ლექსის და-საწყისში ის მხოლოდ ორიგინალური მიგნებით აოცებს მკითხველს,

კოზირი ჯერ კიდევ ავტორის ხელთაა, რომელიც გატაცებით საუბრობს ადუღებულ ცრემლზე, კაბებს რომ წვავს, სხივებზე, რომლებიც სცვიგათ და მელოტდებიან, გალოთებულ მეორე ნახევარზე, რომელიც სახლში მხოლოდ ლამ-ლამობით, ანუ მაშინ ბრუნდება, როცა პირველი ნახევარი დაძინებას აპირებს... ხატების ამ შთამბეჭდავ დინამიკას ფარდა მაშინ ეხდება, როცა ლექსის ბოლო ფრაზას ვკითხულობთ: „რა სასაცილო გოგოა ეს მზე“. თავს დატეხილი პირველი მოულოდნელობის მოგერიების შემდეგ ვაცნობიერებთ, რაოდენ ზუსტი სახე შექმნა პოეტმა ამ უძველესი არქეტიპისა და როგორ აღადგინა მისი პირველადი სახესატისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილო, მარტივი, და იმავდროულად, ყველაზე ბუნებრივი, დამაჯერებელი და ზუსტი მნიშვნელობა. ასეთი მოულოდნელობის ეფექტი ავტორის მხრიდან ერთგვარ ირონიულ-სარკასტულ რეაქციად, პროტესტადაც კი შეიძლება აღვიქვათ, რომელიც სტეროტიპულად მოაზროვნე მკითხველისკენაა მიმართული.

რადგან ლია ლიქოკელის პოეზიაში უმთავრესი ადგილი არა-ცნობიერი ფსიქიკიდან ამოყრილ სახე-ხატებს ეთმობა, ბუნებრივია, რომ ამ სამყაროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლასტი სიზმარია, რომელსაც უმთავრესი ფუნქცია – წინასწარმეტყველური უნარი, გარკვეულწილად, შემოცლილი აქვს და ძირითადად არქეტიპების გაცოცხლებას, გახატოვნებას ემსახურება.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსი „ორი ყვითელი აქლემი“:

დავიარე ჩემი ხრიოკი საძილეთი.  
გზაზე დაუმთავრებელი სიზმრები  
მხვდებოდნენ, რამდენიმე  
შემეცოდა და დავისრულე...  
ალბათ ათი წლისაც არ ვიქნებოდი,  
ავტირდი: რა შორს წამოვსულვარ,  
უკან როგორ დავბრუნდე,  
ან რომ დავბრუნდები, დედაჩემი  
რომ აღარ დამხვდეს,  
ვინ მომივლის... მერე უცებ  
გადავწყვიტე და გავიზარდე,

ჩემი ნაკვალევი ქვიშაში აღარ ჩანდა,  
ასე გზას ვეღარ გამოვიგნებდი,  
ამიტომ ავდექი და უბრალოდ,  
გავიღვიძე (ლიქოკელი 2013: 42).

როგორც ვიცით, არაცნობიერი ფსიქიკის საკვლევად აქტიურად იყენებენ მეთოდს, რომელსაც პირობითად „ბავშვობაში დაბრუნება“ შეიძლება დავარქვათ. ეს პროცესი ზოგჯერ თავისთავადია, ზოგჯერ კი მიზანიმართულად ხდება წარსულთან მიბრუნება, რადგან მიჩნეულია, რომ სათავე თუ მიზეზი ამა თუ იმ პრობლემისა, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ბავშვობაშია ჩამალული. ბავშვობა ის პერიოდია, როცა ადამიანისთვის ჯერ კიდევ უცნობია აკრძალვები და ტაბუები, ამიტომაც საკუთარ წარმოსახვებს ბევრად ადვილად და მარტივად აცოცხლებს, მართავს და იმორჩილებს. მოზრდილობის პერიოდში იმისთვის, რომ არაცნობიერისგან მიიღოს სათანადო მითითებები, ინდივიდი ხშირად იძულებული ხდება, ბავშვობაში გადაბარგდეს, ლია ლიქოკელის შემთხვევაში – დაკარგული ყვითელი აქლემების მოსაძებნად, რომლებიც, როგორც თვითონვე აღნიშნავს, აუცილებლად უნდა იპოვოს, თორემ მათ გარეშე ძალიან ეუცხოვება საკუთარი თავი.

კარლ გუსტავ იუნგს აღწერილი აქვს ერთ-ერთი პირველადი სიზმარი, რომელშიც ცხვრებით გარშემორტყმული ახალგაზრდა მწყემსი ქალი ფიგურირებს. ანალიზური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ამგვარი ტიპის წარმოდგენას ან ბავშვობაში ნანა და განცდილ სასიამოვნო მოგონებას უკავშირებს, ან რელიგიურ ალუზიად მოიაზრებს კეთილ მწყემსსა და მის პირმეტყველ ცხვრებთან. მწყემსი, როგორც მეთაური, სივრცეში მაორიენტირებელი საშუალებაა ცხვრებისთვის, რომლებიც მის გარეშე შეიძლება, უფსკრულში გადაიჩეხონ. ლია ლიქოკელის შემთხვევაში გამორიცხული არცერთი ვარიანტი არ არის – შეიძლებოდა, ბავშვობაში ენახა ცხვრის ფარა და პირველი შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი ყოფილიყო, ნანახი სამუდამოდ დალექილიყო მის მეხსიერებაში, რაც შეეხება ცხვრის აქლემით ჩანაცვლებას – შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყოს, რომ პოეტურმა აზროვნებამ ერთგვარი ესთეტიზირება მოახდინა ცნობიერებაში შენახული სახეხატისა და ცხვარი ქარ-

თული რეალობისთვის შედარებით უცხო, ეგზოტიკური, შესაბამისად, ზღაპრული აქლემით ჩაანაცვლა. მეორე ვარიანტი – ანუ რელიგიური პლასტიც სავსებით დასაშვებია. ასეთ შემთხვევაში, გზის მაჩვენებელი ქალი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პიროვნება (კონკრეტულ შემთხვევაში ავტორი), რომელსაც სურვილი აქვს, საკუთარ სურვილებს, განცდებს, ემოციებს, განწყობებს, ტკივილსა თუ სიხარულს სწორი მიმართულება მიეცეს, რომ გზა გაიკვლიოს, ჩიხში არ აღმოჩნდეს, ან უფსერულში არ გადაიჩეხოს. ისიც შეიძლება, ქალის სახეში ზეპუნებრივი ძალა მოვიაზროთ, რომელიც მზად არის, დახმარებების ხელი გაუწოდოს ავტორის ცნობიერებაში ცხვრებივით მიმოფანტულ განცდებსა და მეხსიერებაში ღრმად ჩალექილ უკეე ჩავლილი ცხოვრების ნაგლეჯებს. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსებს ქრისტიანობაზე მეტად წარმართობაში აქვთ ფესვები გადგმული. თუკი იმასაც დავუშვებთ, რომ დაკარგული ყვითელი აქლემები პოეტის მიერ ბაშვობაში დატოვებული, შესაბამისად, ანმყოში დაკარგული სიმშვიდე და ბედნიერებაა, სრულიად ბუნებრივია, პატრონს მათი მოძებნისა და უკან დაბრუნების სურვილი რომ უჩნდება. ასეთი მოგზაურობა, როგორც წესი, სახიფათოა, მაგრამ შედეგი შეიძლება შესაშურიც კი აღმოჩნდეს, ანუ ყვითელი აქლემების დაბრუნება საკუთარი თავის დაბრუნებას ნიშნავდეს, სიზმრებში მოგზაურობამ კი იმდენად რეალური სახე მიიღოს, რომ ცნობიერებიდან ფურცელზე გადმოინაცვლოს და ლექსად ტრანსფორმირდეს, რომ მარტო ერთი ადამიანის საკუთრებად არ დარჩეს. „ბავშვური ცნობიერება მუდამ დედ-მამასთან არის დაკავშირებული და მარტო არასადროს რჩება. ბავშვობაში დაბრუნება შინ, დედ-მამასთან დაბრუნებას ნიშნავს“ – ვკითხულობთ იუნგთან (იუნგი 2005: 62-63). მისივე აზრით, თუ ბავშვობას ყურს არ დაუგდებ, მისგან ვერასდროს გათავისუფლდები, ეფექტური მხოლოდ ხელახალი გახსენებაა, რაც ხელახალ განცდასაც ნიშნავს.

ლია ლიქველის შემოქმედებაში ერთერთი მნიშვნელოვანი მოტივია დედ-მამისეულ სახლში, საკუთარ მშობლებთან მიბრუნება და ეს დაბრუნება ყოველთვის საკუთარი თავის წაშლის, გაქრობისა და მათთან სამუდამოდ მიერთების სურვილითაა ნაკარნახევი. კ. გ. იუნგის აღნიშნული თეორიული კონცეფციის ყველაზე ზუსტ

ილუსტრირებას ახდენს ლექსი „მოვდივარ, დამხვდი“, რომლის ადრესატი ავტორის დედაა, შვილი სიამოვნებით რომ უთმობს საკუთარ ადგილს, უნდა, მისი გასაცლელი გზაც დედამ გაიაროს, ისეთი ამბავი დაახვედროს, საკუთარი ამბავი აღარ დარჩეს, ისეთი დედა დახვდეს, ცხრა შვილი მუცელში გაუწყალდეს, ისე დახვდეს, აღარ დარჩეს, სული კართან გაუთავდეს, თვითონაც ვეღარ იცნოს საკუთარი თავი. დედის წიაღში მიბრუნება ისეთივე მტკივნეულია, როგორც მშობიარობა, იმ განსხვავებით, რომ მშობიარობის დროს დედა განიცდის აუტანელ ფიზიკურ ტკივილს, ამ შემთხვევაში კი შვილს სტკივა საკუთარი ცხოვრება და იმდენად ვერ უძლებს, მზა-დაა დედას აჰკიდოს, თავის გასამართლებლად ისიც კი დაიბრალოს, რომ მან გააჩინა დედა და არა პირიქით... ეს ავტორის სუბიექტური დამოკიდებულებაა საკუთარი დედისადმი და შიში გერემომცველი რეალობისადმი, რომელიც სიურრეალისტურ, ნახევრად ფერიულ სურათებს ტკივილით ავსებს და ხშირ შემთხვევაში პატარა ტრაგე-დიებადაც კი აქცევს. თუკი დედას სუბიექტურობას შემოვაცლით და რეალური პერსონაჟის ნაცვლად განზოგადებულ სახედ წარ-მოვიდგენთ, როგორც სამყაროს ქალური საწყისისა და სიცოცხლის უშრეტი წყაროს სიმბოლოს, უფრო გასაგები გახდება, რატომ აკის-რებს შვილი მას ამხელა ვალდებულებას, რატომ ჰქიდებს საკუთარ თავსაც და რატომ სურს მხოლოდ მან გააჩინოს, თვითონ კი ცხრავე შვილი მუცელში გაუწყალდეს. ამით იგი თავიდან იცილებს ლა-ტენტურ შიშს, იმ ადამიანებს რომ ახასიათებთ, არასდროს რომ არ გაუჩენიათ და ჰგონიათ, ვერც ვერასდროს გააჩენენ.

როგორც ზოგადად ყოველგვარი შემოქმედებითი პროცესის, ისე ლია ლიქოკელის ხატნარმოქმნის თავისებურებათა ახსნა წარ-მატებით შეიძლება სხვადასხვა ფსიქოლოგიური თეორიებითა და არაცნობიერით, თუმცა პოეზიისათვის ამგვარ ახსნას მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი წარმოაჩენენ სი-ახლის მექანიზმს, პოეტურმა ხატმა რომ მოიტანა, „ცოცხალი გან-ვითარების“ იმ საწყისებს, რომელიც, ელიოტის აზრით, „გრძნობა-თა განვითარებას ნიშნავს“. პოეზიის მშვენიერების შესაგრძნობად რაციონალური ახსნა იმიტომ ხდება აუცილებელი, რომ ელიოტი-სავე სიტყვით, „პოეტები უდიდესი ფსიქოლოგებიც არიან, სულის ყველაზე ბეჭითი მკვლევარები“ (ელიოტი 2007: 162). მიუხედავად

იმისა, რომ ამ შეფასებას დიდი პოეტი ბოდლერისა და რასინის მიმართ გამოთქვამს, იგი ძალაში რჩება ყველა იმ პოეტური ტექსტისა და ავტორის მიმართ, რომელთაც ძალუბთ, ახალი განცდა და უჩვეულო ემოციური ნიუანსი აღძრან მკითხველში. ლია ლიქოკელი ერთ-ერთი ასეთი ავტორია.

### **დამონიშვანი:**

**ელიოტი 2007:** ელიოტი ტ. ს. ათი ესეი (ინგლეისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა). ალექსანდრე ორბელიანის საზ-ბა. თბილისი: 2007.

**იუნგი 2003:** იუნგი კ. გ. ანალიზური ფსიქოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2003.

**იუნგი 2007:** იუნგი კ. გ. ფსიქოლოგია და ალქიმია. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2007.

**ლიქოკელი 2013:** ლიქოკელი ლ. დევის ცოლის სიცილი. თბილისი: გამომცემლობა „საუნჯე“, 2013.

## გია არგანაშვილი

### პოეტი სოსო მეშველიანი

„შენ სასტუმროში ათევ ღამეს  
მე – ღია ცისქვეშ  
რა თავი მოგაქვს ხუთი ვარსკვლავით“.  
სოსო მეშველიანი

„უცებ აღმოაჩენ და გგონია, რომ ბედისწერა დაგცინის. აბა, რო-  
გორ უნდა გაიგო: ხან წარმართულ რიტუალს ესწრები, ხან ტრან-  
სების ზეიმს, ხან ხარაჩოზე დგახარ, ხან – სცენაზე, ხან ღია ცისქვეშ  
ათევ ღამეს, ხან – ხუთვარსკვლავიან სატუმროში, ხან კამერის  
კედლებს ათვალიერებ, ხანაც სალვადორ დალის მუზეუმს...“

ეს „აღმოჩენა“ თავად სოსო მეშველიანს ეკუთვნის და იმდენად  
კარგად ახასიათებს საკუთარი ცხოვრების წესს, რომ გადავწყვიტე  
მისი შემოქმედებითი პორტრეტის წერა სწორედ ამ დაკვირვებით  
დამეწყო.

ამგვარი ცხოვრება (როგორსაც პოეტი გვიხატავს), შორიდან  
რომ ცოტა მრავალფეროვანი და ოდნავ რომანტიკულიც მოჩანს,  
ახლოდან გაძალლებულ ყოფას უფრო ჰგავს. მართალია, ის საუკე-  
თესო ნიადაგს ქმნის შემოქმედებითი მუშაობისთვის, მაგრამ  
სულხან-საბას ერთი იგავის პერსონაჟისა არ იყოს, ღმერთი დიდად  
მოწყალეა, მაგრამ ვიდრე კაცს სისხლს არ დაანთხევინებს, არას  
მისცემო!

მიუხედავად ამისა, არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება,  
როდესაც მწერლები, პოეტები (განსაკუთრებით პოეტები) ხე-  
ლოვნურად ცდილობენ ამგვარი ბიოგრაფიის შექმნას, რათა გან-  
ცდებით დაიტვირთონ, მთაბეჭდილებებით გამდიდრდნენ და წარ-  
მოსახვითი სამყაროს იმგვარი „სინამდვილე“ შექმნან, რომელიც  
გამოგონილსაც რეალურ ცხოვრებას დაამსგავსებს.

ამისთვის მიდიან ისინი შორეულ მოგზაურებებში, არ ერიდები-  
ან სახიფათო სიტუაციებს, სჩადიან „დანაშაულს“, თუმცა სულ  
სხვაა, როდესაც წინასწარ დაწერილ სცენარში მონაწილეობ და  
სხვა არის, ბავშვობაში ცხენისწყალში ფეხი რომ დაგიცდება და

მორევში ჩავარდები. შემთხვევით გადაგარჩენენ და მერე მთელი ცხოვრება ცხენისწალივით აღელვებული ცხოვრების მდინარე ლოდებზე გახეთქებს, ათას ნაპირზე მაინც მიგაგდებს, რომ სადმე გამოგრიყოს.

შესაძლოა, სწორედ ესაა შემოქმედისთვის ბედისწერის საჩუქარი, როდესაც ასეთი საინტერესო თავგადასავლები, ისედაც ამღვრეული ცხოვრების პირობებში, ღირებულებათა მკვეთრი ცვლილებებისა და კულტურათა დაპირისპირების ფონზე, სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში იწერება.

სოსო მეშვეობიანს ამ მხრივაც „გაუმართლა“. სვანეთიდან ის „არატურისტული საპარერო რეისით“ პირდაპირ ესპანეთში აღმოჩნდა. უფრო მეტიც (ამის შესახებ თვითონაც წერს), სვან მეჯოგეთა საზაფხულო ქოხიდან უცებ ბილბაოს ქუჩებში ამოჰყო თავი.

ბუნებრივია, ეს იყო რადიკალურად განსხვავებულ გარემოსა და კულტურასთან შეხება, უფრო კი შეჯახება (ურთიერთსანინააღმდეგო ელექტრონული მუხტების ამგვარი შეჯახება ბუნებაში დიდ ნათებას იწვევს). მის ცნობიერებაში საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო კუთხის (სვანეთის) თვითმყოფადი წეს-ჩვეულებები და მთლიანად ქართული კულტურა უცხო ესთეტიკას დაუპირისპირდა. შესაბამისად, მის შემოქმედებაში ერთმანეთს შეერია ქართულ-ესპანური (უფრო დაბალ დონეზე, სვანურ-ბასკური) დინებები.

ზოგადად, ამგვარი პროცესების (კულტურათა დაპირისპირება) გათვალისწინება ადრევე იყო შესაძლებელი. შესაძლებელი იყო გვევარაუდა, რომ ქართული (პოსტსაბჭოური) კულტურა აუცილებლად შეეჯახებოდა დასავლურ კულტურას და თუ ამ შეჯახებას წინა ხაზზე მგრძნობიარე გონება და შემოქმედებით ნიჭი დახვდებოდა, ის აუცილებლად აირეკლავდა ამ დაპირისპირების შედეგს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო გეოგრაფიულად ხეობების ქვეყანაა. ამ თუ სხვა მიზეზის გამო ჩვენი აზროვნებისთვისაც დამახასიათებელია ფილოსოფიურ-მისტიკური სიღრმის ძიება. თუმცა, ამგვარ ძალისხმევას მაშინ ეძლევა აზრი, როდესაც ჩვენი ეს ღირებულებები სივრცით განზომილებაში გადაგვაქვს, როდესაც ზეგანზე გამოვდივართ და ხეობის მოსაწყენ ერთფეროვნებას სხვადასხვა შთაბეჭდილებით ვამდიდრებთ.

სოსო მეშვეობიანის შემოქმედებაში სწორედ ეს მასშტაბური ხედვაა შესამჩნევი.

დღემდე მის შემოქმედებაზე არაერთი საინტერესო წერილია დაწერილი. უკვე შენიშნულია, რომ „მისთვის პოეზია სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთი მისაღები ფორმაა“ (გიორგი ლობჟანიძე), რომ მის ლექსებში „ახალ სიცოცხლეს იძენენ მთები, ყვავილები, მდინარეები... თვით გაცვეთილი მთვარეც კი განახლდება და გრძნობებით ივსება“ (მაია ჯალიაშვილი) და ის, რომ მისი „ლექსები თემებისა და მოტივების მხრივ, შეიძლება პირობითად, ორ – ევროპულ და სვანურ წყებად გაიყოს“ (ნინო დარბაისელი).

მე კი დავამატებ, რომ სოსო მეშველიანის შემოქმედებაში ეს დინებები ძალდაუტანებლად ერწყმის ერთმანეთს და მათ შორის რამე შეუთავსებლობაზე ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლოა..

ზოგადად კი, სოსო მეშველიანის პოეზიის ორიოდე სიტყვით დახასიათება რომ ვინმემ მოინადინოს (ის, რაც მის შემოქმედებას ლოგოდ (დევიზადაც) გამოადგება), საგანთა იმ უცნაური თავსება-დობის გათვალისწინებით, რასაც მკითხველი მის ლექსებში უმაღლ შენიშნავს, მე გაბრიელ ჯაბუშანაურის ლექსის ერთ სტრიქონს შევთავაზებდი, რომელიც საუკეთესოდ აჩვენებს პოეტის უნარს, თუ როგორ შეიძლება უკიდურესად დაშორებული ლირებულებების ერთ კონტექსტში გააზრება.

აი, ეს სტრიქონიც:

„ნახირში ვარ და ვკითხულობ ბოდლერს“.

თავის დროზე (ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში), ნიჭიერმა ავტორმა, გაბრიელ ჯაბუშანურმა ამ სიტყვებით, „ბოროტების ყვავილების“ ავტორი და ზოგადად, ევროპული პოეზია ჩვენს პატრიარქალური ყოფასთან – ჩვენი მთის პოეზიასთან დააკავშირა. ამავე დროს მან განსაზღვრა ქართული პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება (რომელსაც თვითონვე წარმოადგენდა) და მისი მხატვრული კრედო.

ვფიქრობ, ამ აზრის თვალსაჩინო გამოხატულებად მკითხველს სოსო მეშველიანის ეს ლექსიც გამოადგება:

## ადაუიო

სანამ კავლის გაბერილი კვირტები გასკდებიან,  
სანამ ლოკოკინა გადაბობლდება  
ახავსებულ მესერზე –  
მორიგეობით ახამხამე თვალები,  
რომ რამე არ გამოგრჩეს.  
სანამ ქათმები გადაქექავენ ბოსტანში ნაკელს  
და ჯერაც ხარის ნაკვალევში  
წვიმის წყალი დგას –  
იდექი ასე,  
როგორც მუნკი, მუნკის ტილოზე  
უაზრო გამომეტყველებით,  
თითქოს ვერ ხვდები;  
ვერ ხვდები იმას –  
რომ ისედაც არ გინდა მიხვდე.  
რა უბრალოა „ცა მწყუროდა, მინა მშიოდა“...  
ისიც, რომ თურმე შენზე უკეთ ესმოდა რიხტერს,  
ფუტკრის ზუზუნი რომელიმე ადაუიოდან.

ხარაბუზების ხშულ-მსკდომი და ბლაგვი ბგერები,  
„ხოლო ხვთის სიტყვა ორლესულზე მკვეთი და ბასრი“,  
ვინ დამაჯერებს, ჩემზე უკეთ ნუთუ მათ ესმით...  
გასწორდა წელში, დაიკვნესა და მიწით დასვრილ  
კალთებს იფერთხავს დედაჩემი,  
ახლად დათესილ  
ბოსტანში მდგარი.

ამ ლექსში საგანთა სივრცითი და ღირებულებათა კოორდინატები ისეა ერთმანეთს დაშორებული, რომ შესაძლოა ავტორის (მკითხველის) უაზრო გამომეტყველებას სწორედ ეს განსხვავება იწვევდეს. ერთი მხრივ, მუსიკალური ნაწარმოების მშვიდი, ნელი ტემპი (ადაუიო) (რომელიც სვიატოსლავ რიხტერის სახელს და ფუტკრის ზუზუნს უკავშირდება), ხოლო, მეორე მხრივ, ედვარდ მუნკის მხატვრული ტილო და ბოსტანში ნაკელის ქექვით გართულ ქათმები თუ ხარის ნაკვალევში ჩამდგარი წყლი..

მთავარია, რომ ეს ყველაფერი ერთ ფერწერულ ტილოზე ეტევა და „ჩარჩოდან“ არ გადის. უფრო მეტიც, მკითხველს ეჭვიც არ ეპარება, რომ ისინი უხილავი (ზახირისა და ბოდლერის კავშირი) შინაგანი კავშირით არიან შეერთებული.

და უცებ, „ცა მწყუროდა, მიწა მშიოდა“. აქ დამატებით არაფრის ცოდნა არაა საჭირო, რადგან აშკარაა, რომ რაღაც ზღაპრულ-გოლიათურმა წყურვილ-შიმშილის გრძნობამ საკუთარ ჩრდილში მოაქცია მთელი ეს სამყარო.

არ დაგვავიწყდეს, რომ „კადრს გარეთ“ არის კიდევ ერთი ხედვის წერტილი, სადაც კაკლის დაბერილი კვირტები სკდებიან და ლოკოვინა მესერზე გადმოსვლას ლამობს...

ლექსის (პირობითად) მეორე ნაწილში კი „კამერა“ (თვალების ხამხამით) უფრო მეტად იხსნება, ხედვის კუთხე ფართოვდება და კადრში (შორი ხედი) „შემოდის“ ხარაბუზა, ისმის მისი „ხშულ-მსკდომი და ბლაგვი ბგერები“ და იქვე (რატომდაც) ჩნდება დედის პორტრეტი, რომელიც ახლად დათესილ ბოსტანში (დათესილი ბოსტანი აჩენს მოლოდინის განცდას) წელში იმართება და მიწით დასვრილ კალთებს იბერტყავს (მიწას მიწას უბრუნებს).

ავტორი კი თითქოს გამოერკვაო, უმანძილოდ სცილდება ამ დინამიკურ კადრს და მის (ასევე მკითხველის) აღქმაში „მთელ ეკრანზე“ მორბენალი სტრიქონივით გაირბენს ბიბლიური ტექსტი: – „ხოლო ღვთის სიტყვა ორლესულზე მკვეთი და ბასრი“, რომელიც მთელი ამ ამბის (სიუჟეტის) დედააზრს ავლენს და ღირებულებათა სისტემაში შედარებითი (ღვთის სიტყვა და დედის კვნესა) ანალიზის საშუალებას იძლევა...

მკითხველს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს ტექსტიდან უფრო შორსაც გავიდეს და ისტორიულ – შედარებითი მეთოდის გამოყენებით ქართულ კლასიკურ პოეზიასთან დამაკავშირებელი ალუზიებიც მოძებნოს.

დიდია ცდუნება, რომ ამ თემაზე სოსო მეშველიანის კიდევ რამ-დენიმე სხვა ლექსი გავიხსენოთ იმის საულისტრაციოდ, რომ პოეტი ჩვეულებრივ ყოფით სიტუაციებში, მოსაწყენად ჩვეულებრივ სურათებს, თვით უმნიშვნელო დეტალებსაც კი განსხვავებული კუთხით, დიდი მასშტაბით, მთელ სამყაროსთან კავშირში ხედავს და მკითხველის წარმოსახვასაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებებით ამდიდრებს.

\*\*\*

სოსო მეშველიანის პოეზიაზე საუბრის დროს გაკვრით მაინც რომ შევხებოდი ჩვენს დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებს (რომელშიც ავტორის შემოქმედებაც მოიაზრება), მაინც ძალზე შორიდან მომიხდებოდა დაწყება. დაახლოებით იქიდან, სადაც საბჭოთა კულტურა მთავრდება და გზას ეროვნულ კულტურას უთმობს. თუმცა აქვე ვთქვათ, რომ საბჭოთა საქართველოს კულტურა შესაძლოა არც არასოდეს არსებობდა. თუ მაინცდამაინც საბჭოთა სინამდვილეზე ვისაუბრებთ, მაშინ ისიც ვთქვათ, რომ ეს იყო დიდი და მძიმე ლოდი, რომლის ქვეშაც ბალახივით იზრდებოდა ნაციონალური თვითშეგნება და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენ მხოლოდ ლოდი გადავაგორეთ და წლების განმავლობაში დათრგუნულ და ფერდაკარგულ ეროვნულ კულტურას წელში გამართვის საშუალება მივეცით.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა სოსო მეშველიანის ლიტერატურული თაობის (90-იანელთა) შემოსვლა სარბიელზე. შემოქმედთა ეს ნაკადი საბჭოთა საქართველოს ნაგრევებიდან – სიცივიდან, სიბრძნელიდან (პირდაპირი გაგებით), პურის რიგებიდან და გაჭირვებიდან ამოიზარდა. მათში მეტი იყო გაღიზიანება, ეპატაჟი და გადარჩენის ინსტინქტი. ამან გარკვეულად განსაზღვრა მათი შემოქმედებითი მიმართულება და ლიტერატურის ხასიათი. ყოველივე ამან კი უთუოდ დაამჩნია თავისი კვალი დღევანდელ ქართულ კულტურასაც.

გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო (ამ მიზეზებზე ზემოთ ვისაუბრე) სოსო მეშველიანი ამ ტალღას აცდა (ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ლიტერატურული თაობის ზოგიერთ არსებით ნიშანს მისი შემოქმედება არ ატარებს). თუმცა ვფიქრობ, მოვლენების შუაგულშიც რომ ეცხოვრა, ის მაინც წმინდა პოეზიის ერთგული დარჩებოდა, რადგან მისი არჩევანი ქართული პოეზიის მაგისტრალური ხაზის სასარგებლოდ, არა თეორიული, გაცნობიერებული განსჯის შედეგი, არამედ უფრო ბუნებითი მიდრეკილებაა და საფუძვლად ქართული კლასიკური პოეზიის მასშტაბური ხედვის უნარი უდევს.

როდესაც ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზზე ვლაპარაკობ, აქ მხოლოდ ქართული პოეზიის განვლილ გზას, ტრადიციულ

გამოცდილებას არ ვგულისხმობ, რადგან გზა შესაძლოა გამრუ-  
დებული, ხოლო ტრადიცია უსარგებლო და ნეგატიურიც იყოს. მა-  
გისტრალური ხაზი ის კალაპოტია, სადაც ქართული აზროვნება და  
მხატვრული სიტყვა თვითდინებით (აქ არ ვგულისხმობ ინერციას)  
იკვლევს გზას და ეროვნული იდენტობის ზუსტ და მკაფიო ნაკვა-  
ლევს ტოვებს.

ამ მიმართულებით სოსო მეშველიანს პოეზიაში თავისი გზა და  
ბილიკი აქვს. ოღონდაც, ეს გზა სადმე გაუვალ და უდაბურ ადგი-  
ლას კი არ გადის, არამედ აქვა, ყველაზე გადატვირთულ სივრცე-  
ში... ისეთი გრძნობაა, რომ ჩვენს პოეტურ სამყაროში, რომელიც  
მჭიდროდ დასახლებული გვეგონა, თურმე საკმაო ხალვათობა ყო-  
ფილა და მანაც (პოეტმა) უცერემონიოდ მისწი-მოსწია ზოგი ძე-  
ლი, ზოგიც თანამედროვე კალმოსანი და წინ საკმაოდ ფართო  
გზა დაიგდო სავალად.

\*\*\*

წერილის დასაწყისში ვახსენებ, რომ სოსო მეშველიანის შემოქ-  
მედებაში ევროპული და ქართული (სვანური) თემატური მიმარ-  
თულებები გამოიყოფა. ეს უკანასკნელი კი მეტწილად პოეტის ბავ-  
შვობაში განცდილ შთაბეჭდილებებს ეხება, რომელიც, ბუნებრი-  
ვია, უშუალოდ სვანეთთან არის დაკავშირებული. აქ მინდა სანიმუ-  
შოდ ერთი ასეთი ლექსი მოვიტანოდ და (მკითხველთან ერთად) მასში  
კონკრეტული გარემოს (სოფლის ან კუთხის) ამოცნობა ვცადო.

### ყველაზე ჩუმი ლექსი

ხშირად ვიგონებ (თუ იქ არა ვარ)  
სთვლისას და ბინდში ჭრაქების პარპალს,  
ლაშის მეხრეთა უხმო ქარავანს  
და ზვინს, რომელიც წვიმაში დალპა.

მიკვირს, აქამდე როგორ გავძელი,  
ასე მშეიდად და უფათერაკოდ.  
ჯანდაბას ყველა ნაჯღაბნ-ნანერი  
და შენც გამცემო, ლექსო, ვერაგო.  
მინდა პერანგის ფართოდ გაწელილ  
უბეში, მწიფე მსხლები მელაგოს.

თუნდაც ბზიკები მკბენდნენ მუცელზე,  
თუნდ ძლივს გავასწრო მეზობლის ნაგაზს,  
სადღაც კუნტრუშობს ჩემი ბავშვობა,  
ბოროლასავით მომწყდარი ბაგას.  
როგორ დავშორდი, როგორ დამშორდა,  
ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ბავშვობა.

ხშირად ვიგონებ (თუ იქ არა ვარ)  
სთვლისას და ბინდში ჭრაქების პარპალს,  
ლამის მეხრეთა უხმო ქარავანს  
და ზვინს, რომელიც წვიმაში დალპა.

ამ ლექსში არც ტოპონიმები ჩანს, არც ადამიანთა სახელები ისმის და არც რაიმე ისტორიას ვეცნობით. ავტორი არ ცდილობს, რომ ზოგადი სახეების მიღმა კონკრეტული გარემო შევიცნოთ. ფაქტობრივად, ეს ლექსი უმისამართოა (კიდევ მრავალი ლექსის მოტანა შეიძლება ამის დასადასტურებლად). პოეტი იხსენებს თავის ბავშვობას, სოფელს, ჭრაქების სინათლეს, დამის ქარავანს, მეხრებას, წვიმაში დამპალ თივის ზვინს, უბეში ჩაყრილ მწიფე მსხლებს, ბზიკებს, მეზობლის ნაგაზს... მაგრამ ეს სოფელი ნამდვილად არ არის ნანარი (პოეტის მშობლიური სოფელი), არც სვანეთია სვანეთი. ასეთი სოფელი დედამინის ყველა კუთხეში და ყველა ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს. ყველგან, სადაც პოეტებს ჩვენი ავტორივით ენატრებათ საკუთარი ბავშვობა.

აქვე მოვიტან მსგავსი თემატიკის კიდევ ერთ ლექსს, ამჯერად უკვე ევროპული ციკლიდან, რათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მკითხველმა თვითონ შენიშნოს ის განსხვავება, რომელიც ამ ორ ციკლს შორის არსებობს (უნდა არსებობდეს):

ევროპული სოფელი  
აქ ახლოს, ერთი მყუდრო სოფელია,  
სპორტ-კლუბით, ერთადერთი შუქნიშანით  
და ბანკის პატარა ფილიალით.  
მე კი. თვითმარქვია შოპენი ვარ,  
დავდივარ პიჯაკით და მუქი შარვლით  
ლამე კი ისეთი თბილი არი.....

ახლა ერთი კათხა ლუდი მინდა  
და ცოტა გართობა, ბილიარდით.

მე ხომ, თვითმარქვია შოპენი ვარ.  
(ვარ და, ამ აპსურდულ თამაშშიაც  
მთელი ბავშვობა მაქვს წაგებული)  
ახლა გამოვდივარ ოპერიდან,  
მინდვრიდან, ყურთასმენა წალებული.  
ურიცხვი ტენორი ჭრიჭინები,  
მღერიან იმას რაც მე მომპარეს.  
ხმა მიყვარს ამდენი ნიჭიერი,  
ერთ წუთში გაჩენილი მეგობარის.

უკვე არ მაწუხებს მარტოობაც,  
(ყველა ხმას ,რა თქმა უნდა, არ მოვუსმენ)  
ცხოვრება ემსგავსება განტოლებას,  
რთულსა და ბოლომდე ამოუხსნელს.

ჰაერი ბგერების ბუსუსებით,  
სულივით სუფთა და ჟღერადია.  
ცაზე ვარსკვლავები ფუსფუსობენ  
და მჩხვლეტენ. რომ დავდუმდე, ჯერ ადრეა.

განწყობა ამ ლექსში (წინა ლექსთან შედარებით) აშკარად გან-  
სხვავებულია (პოეტი არ მალავს, რომ ამ სოფელში ის უცხოა,  
სტუმარია). აქ თითქოს უფრო მეტი კონკრეტულობაა. თუმცა არც  
ესა საკმარისი, რომ გარემო ვიცნოთ. მიუხედავად იმისა, რომ გა-  
მოჩნდა სპორტული კლუბი, ბანკის ფილიალი, ერთადერთი შუქნი-  
შანი, საბილიარდო.. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ პო-  
ეტს თავისი იმუამინდელი განწყობა ზუსტად გადმოეცა..

მინდვრები, ჭრიჭინები და ვარსკვლავები კი აქაც ისეთივეა (შე-  
საბამისი დატვირთვით), როგორიც სვანური ციკლის ლექსებში.

ზოგჯერ ესპანური ლექსების ციკლში ჩნდება რამდენიმე ტო-  
პონიმი, გარემოსა და ყოფისთვის დამახასიათებელი სახელი ან  
ტერმინი, რომელთაც ტექსტში გარკვეული ხასიათი და ესთეტიკა  
შემოაქვს. ისევე, როგორც სვანურ ციკლში, შეიძლება წააწყდეთ

სიტყვას (ან სიტყვათა ჯგუფს), რომელიც ამ კუთხისთვის დამახა-  
სიათებელი ტრადიციის გადმოსაცემადაა საჭირო, ან რაიმე საგნის,  
ადგილის მნიშვნელობას აღწერს, ან წეს-ჩვეულებას აღნიშნავს (ან  
პოეტის ნაწარმოებთა კრებულების სათაურს). უმეტეს შემთხვევა-  
ში კი ის დეკორატიული დეტალის როლს თამაშობს და ზედმეტ ახ-  
სნას არ მოითხოვს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფელი (სულ ერთია, ის ქართუ-  
ლი იქნება თუ ევროპული) სოსო მეშველიანის პოეზიაში მაინც პი-  
რობითი დასახლებაა, სადაც კონკრეტული შინაარსით დატვირ-  
თული სხვადასხვა დანიშნულების არსებითი საგნები მთვარე (სოსო  
მეშველიანის პოეზიაში ის შეიძლება მწვანეც იყოს), მიწა, ვარსკ-  
ვლავები, ციცინათელები, პეპლები, ლამე, ლოკოკინა, ასკილი, ლენ-  
ცოფა და მრავალი სხვა) ბგერებივით ენაცვლებიან მხატვრულ  
ტექსტში ერთმანეთს და ახალ-ახალი ინფორმაცია მოაქვთ.

ისიც ვთქვათ, რომ ეს საგნები სოსო მეშველიანის პოეზიის  
ანაბანაა. მათი დახმარებით ავტორი ნებისმიერი გრძნობის გამო-  
ხატვას ახერხებს, რადგან თითოეული მათგანი მის შემოქმედება-  
ში არა მხოლოდ სიტყვა, არამედ მრავალფუნქციური საინფორმა-  
ციონ ბლოკია, რომელსაც ავტორი ყოველთვის ზუსტად და დანიშ-  
ნულებისამებრ იყენებს.

\*\*\*

სოსო მეშველიანი საკუთარ თავს სიტყვას შეფარებულ პოეტს  
უწოდებს („ძალიან ხშირად მე საქართველოს გარეთ მიწევს ყოფნა  
და ეს იყო ერთგვარი თავშესაფარი ჩემთვის. მე შევეფარე სიტყვას,  
რომ მთლად არ დავკარგულიყავი..“). ემიგრაციაში მშობლიური  
ენის მიმართ მართლაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ყა-  
ლიბდება. სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანისთვის მშობლიური  
ენა იმ სადღესასწაულო ტანსაცმელს ჰგავს, რომელსაც ყოველ-  
დღიურად წმენდს, ანიავებს და დიდი სიხარულით ელოდება იმ  
დღეს, როდესაც მისი გამოყენების საშუალება მიეცემა.

ბუნებრივია, ვისთვისაც ეს განცდა უცხო არ არის, ის მშობლი-  
ურ ენას მხოლოდ სარგებლობის კუთხით არ უყურებს, არამედ  
უფრთხილდება და მომჭირნედ იყენებს მას (ეს უკანასკნელი შე-  
ნიშვნა უშუალოდ პროზაიკოსებს და პოეტებს ეხებათ). ქართულ

მწერლობაში ლაკონიზმისა და ენისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების სულ რამდენიმე ბედნიერი შემთხვევა გვაქვს და ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად სოსო მეშველიანია.

საერთოდ კი, სოსო მეშველიანის პოეზიას აშკარად ეტყობა ბუნებასთან სიახლოვის (არა მხოლოდ თემატური) კვალი. მისი ლექსების წაკითხვის შემდეგ მკითხველს არ რჩება თანამედროვე პოეზიისთვის დამახასიათებელი დაუსრულებლობის, ფრაგმენტულობის განცდა (აქ „რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმ შემთხვევას, როდესაც დაუსრულებლობა მხატვრულ ხერხად (ნონ-ფინიტო) აღიქმება“). მის პოეზიაში პროცესი (ამბავი) ყოველთვის დასრულებული და შედეგიც ხელშესახებია. ეს კარგად „იკითხება“ თითოეული ტექსტის (ლექსის) კომპოზიციურ არქიტექტურაში. ხელოვნებაში კი ამგვარი სრულყოფილების განცდა მხოლოდ ბუნებასთან სიახლოვეს და სამეურნეო საქმის კარგ ცოდნას შეუძლია მოიტანოს.

ამ გაგებით ის არ არის მეამბოხე შემოქმედი. მისი სამყარო მყარად იცავს წონასწორობას. აქ ღმერთიც თავის ადგილზეა და პოეტი ყოველ სიტყვაში ამჟღავნებს, რომ მისი ქება სწორედ ამგვარ წესრიგსა და ჰარმონიას ეკუთვნის.

\*\*\*

ამ წერილში სოსო მეშველიანის შემოქმედების ყველა თემას ვერ შევეხებით. თუმცა შეუძლებელია დედისა და მამის სახე გამოგვრჩეს. თითოეულ მათგანისთვის პოეტს რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ორი სახე, როგორც სამყაროს ორი პოლუსი, სოსო მეშველიანის შემოქმედების ძირი-თადი საყრდენი წერტილებია.

დედა ამ წუთისოფლის ხატია. მის სახეში ჩანს ტრადიცია, რიტუალი და ერთგვარი მისტიკურობის განცდა.

### **წერილი დედისგან**

მწერს წვიმსო, ისე მწერს ისე წვიმსო,  
წმინდა წყლის მუსიკა იგულისხმა,  
როგორც კი გადაიღებს სველ ტყეებში  
აქა-იქ ისმისო გუგულის ხმა.

მწერს-სარზე ხვიარა ლობიოსი  
ნემსიყლაპია ზის, გამჭვირვალე  
ფრთხებს აფართხუნებს და მზის ჩასვლისას  
ბზინავენ ფოთლები ნაწვიმარი.

დარბიან ყვითელი წიწილები  
ეზოში, წითელ კრუხს დაყვებიან,  
ზოგჯერ შენი ლექსიც მესიზმრება,  
ქოხმახი, ნისლები, არყებიან-

ფიჭვიან-თხმელიანი ტევრები და  
ანკარა ქაფიანი ნაკადული.  
ნუ დარდობ, ჯერ ისევ შემიძლია,  
სახლსაც და ეზოსაც კარგად ვუვლი.

ამ ლექსში იკვეთება დედის სახე, უფრო კი დედაშვილის ურ-  
თიერთობა, რომელიც ტრადიციულიც არის და ახლებურიც. ტრა-  
დიციულია დიდ ქალაქში წასული შვილისა და სოფელში „ადგილის  
დედად“ დატოვებული მშობლის სევდა. დედა კერას არ აქრობს და  
მეურნეობას უძღვება (ცდილობს შვილიც გაამხნევოს). შვილის  
დარდი კი სრულიად უნუგეშოა, რადგან უკან დასაბრუნებლად ის  
დღეებს არ ითვლის. უკვე შეგუებულია იმ მდგომარეობას, რომ დე-  
დის სიცოცხლით მთავრდება სოფლის ცხოვრება. უკეთეს შემთხ-  
ვევაში, შვილი მხოლოდ სააგარაკოდ თუ მიაკითხავს მამაპაპისეულ  
კარმიდამოს. ამიტომ მშობლები (აქ, დედა) მარადიული ცხოვრე-  
ბისთვის (შრომისთვის) არიან განწირულნი.

ქართული სოფლის თემა თითქმის საუკუნენახევარია მოსდევს  
ჩვენს პოეზიას. მას შემდეგ, რაც ასე აქტიურად დაიწყო ჩვენში  
მიგრაციული პროცესები, დამოკიდებულებაც მის მიმართ ჩვენს  
ლიტერატურაში თითქმის არ შეცვლილა. პროცესი თავისთავად  
მტკიცნეულია, მაგრამ სურათს ერთიორად ამძაფრებს სოფელში  
მარტო დარჩენილი დედის სახე. ასევე შვილის არანაკლებ გაუსაძ-  
ლისი მდგომარეობა, რასაც მისი მშობლებსა (წარსულსა) და შვი-  
ლებს (მომავალი) შორის, გამყოფ მიჯნაზე დგომა და წონასწორო-  
ბის შენარჩუნება იწვევს.

შესაძლოა, მომავალში სწორედ სოსო მეშველიანის პოეზიამ მოგვცეს იმის გამბედაობა, რომ ამ პროცესის დასრულება დავინახოთ და ვთქვათ, ქართული სოფლების მტკიცნეული დაცლის პროცესი (რომელიც გარდაუვალი იყო) დასრულდა. მართალია, წყაროს წყლისა და ნატურალური პროდუქტის ნოსტალგია კვლავაც იარსებებს, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით, თანამედროვე მსოფლიო პროცესები სრულიად ახალ სინამდვილეს გვთავაზობს და სოსო მეშველიანიც, ერთი მხრივ, თუ დაასრულებს ამ საუკუნენახევრიან ტკივილს, მეორე მხრივ, გზას გაუხსნის უფრო მასშტაბურ კონფლიქტს (არ მინდა კონფლიქტში მკითხველმა მხოლოდ დაპირისპირება დაინახოს), რომელსაც, ზოგადად, გლობალიზაციის პროცესი და ქართული კულტურის მსოფლიო კულტურასთან შეხება გამოწვევს.

როგორც ვთქვი, სოსო მეშველიანის პოეზიაში მამასაც არაერთი ლექსი ეძღვნება. მისი სახე ადვილად ზოგადდება და მკითხველს დორთა კავშირის აუცილებლობაზე მიანიშნებს, რადგან მამა მხოლოდ წარსულშია და მის სახეს პოეზიაში მარადიულობის ელემენტი შემოაქცეს. მისი ხსოვნა კი თანდათანობით ლეგენდაში გადადის. ამიტომ სონეტი, რომელიც მას ეძღვნება, უმისამართოა:

### **უმისამართო სონეტი (მამის ხსოვნა)**

მადლობთ, უფალო, ყველაფრისთვის, რაც მიწყალობე!

ცრუ სამყაროში შენ ერთი ხარ, ვისაც ვენდობი.

გზა გადის მამის სამარიდან მამის წყარომდე;

გზა, ბილიკებით დაძარღვული მწვანე ფერდობით.

რა უცნაური ფერი ადევს საფლავთან ასკილს!

გაღმა, ზღმარტლები ყვავილობენ ალაგ-ალაგ და...

დასრულდა შენი პალესტრინა. ხოლო ჩემს ბრამსს კი

როგორც უნდოდა, ყველაფერი ისე დალაგდა.

თავმდაბლობს მთვარე, ამაღლების – „ნაქვლი ამეუ“.

თან უმნიშვნელოდ ჩრდილს გადახრის გვერდზე მონასტრის.

ქარის გოდება საფლავებთან, შუალამეში,

დაუსრულებელ პარტიას ჰეგავს დეზდემონასი.

ამოვასუნთქებ ბერწ ნიადაგს, სადაც ბოლომდის

რეპტილიების კვერცხებივით ვმარხავ მოლოდინს.

ხანდახან ხდება, რომ ყვავილივით მოსაწყვეტად დაგენანება ლექსიდან რომელიღაც განსაკუთრებულად საინტერესო მხატვრული სახის „ამოღება“ და ცალკე ანალიზი. ამ შემთხვევაში მე ამ ფრაზამ: „რეპტილიების კვერცხებივით ვმარხავ მოლოდინს“ გადამაწყვეტინა, რომ ლექსი ყოველგვარი (დამატებითი) ახსნის გარეშე შემთავაზებინა მკითხველისთვის, ხოლო ზოგიერთი მხატვრული სახის განმარტება (ელექტრონული ფოსტით) თვითონ ავტორისთვის მეთხოვა.

სულ რამდენიმე წუთში კი ამგვარი შეტყობინება (მესიჯი) მივიღე:

„ნაქვლი ამეუი“ (სვან) – ამაზე იტყვიან, ამაზეა ნათქვამი. პალესტრინა – იგულისხმება ჯოვანი პალესტრინა, იტალიელი კომპოზიტორი, პოლიფონისტი (როგორც ძველი თაობის წარმომადგენელი). ბრამსი უფრო ახალია. რაღაცით ყოველთვის მოდური...

შე მგონი, ამაზე ვრცელ ახსნას მკითხველიც არ ითხოვდა...

\*\*\*

შარშან სოსო მეშველიანმა რამდენიმე პოეტური კრებულის შემდეგ პროზის კრებული „ქუნარეშ“ გამოსცა. მე რატომღაც თავი-დანვე ეჭვით განვეწყე ამ პროექტისადმი, მიუხედავად იმისა, რომ პოეტის მხატვრულ ჩანახატებს ვკითხულობდი ლიტერატურულ პერიოდიკაში და მომწონდა კიდეც. ცალკე გამოცემამ კი მაინც შიში გამიჩინა. თუ მკითხველი კარგად მიღებდა ამ პროზაულ კრებულს, მით უფრო მეტი საფრთხე იყო, რომ შემოქმედის ფიქრში არსებული თემები პროზის უანრისკენ გადაინაცვლებდა და ამით პოეზია დაზარალდებოდა.

ისიც საგულისხმოა, რომ დღემდე ქართული ლიტერატურის ისტორია ერთდროულად პოეტისა და პროზაიკოსის სულ რამდენიმე წარმატებულ შემთხვევას იცნობს. მკითხველი უმეტესად იმის მოწმე ხდება, რომ ეს უღელი ხარი არათანაბარი ძალით ეწევა ჭაპანს და მრუდე კვალს ტოვებს მწერლისა თუ პოეტის შემოქმედებაში.

საბედნიეროდ, სოსო მეშველიანის პროზამ არათუ დააზიანა მისი პოეტური შემოქმედება (ჯერჯერობით მაინც ასეა), არამედ თითქოს შეავსო და ეს პროზაული ჩანახატები (ზოგიერთი ნოველადაც ჩაითვლება) ერთგვარი წინა კარი გახდა მისი პოეზიის სამ-

ყაროში შესაღწევად. ამის საუკეთესო მაგალითია, როდესაც ავტორი ერთი და იმავე თემას ჯერ პოეზიაში შეეხო, ხოლო შემდეგ პროზაში:

„ამას ნინათ, ერთი ლექსი (სონეტი) დავწერე და „დონ კიხოტის მესამედ წაკითხვის შემდეგ“ ვუწოდე. ამან ერთი პატარა ამბავი მოძაბონა. ჩემს ყმაწვილკაცობაში, დონ კიხოტის პირველად წაკითხვის შემდეგ, ხშირად მესიზმრებოდა ლამანჩელის ქვეყანა, ისე სასწაულად განვიცადე ყველაფერი. შემდეგ, როცა ტოლედოში მოვხვდი, კუენკას მინდვრების გავლით, ვიცოდი, რომ აქ სადღაც ტობოსო იყო, დულსინეას სოფელი. ისეთი სევდა მომაწვა, ქვაზე ჩამოვჯექი და ავტირდი. მერე ერთ პატარა ლექსში ჩემი ტირილი დონ კიხოტს დავაბრალე: „ყველას ღიმილს ჰგვრი, მე კი ვკვნესი, შენ რომ ტოლედოს ციხის ნაშალთან ჩამომჯდარი ბავშვითი ტირი“.

### სონეტი

#### (დონ კიხოტის მესამედ წაკითხვის შემდეგ) გიორგი ლობჟანიძეს

რა სიზმარია! მინდორს იქით ერთი სახლი ჩანს,  
იქვე პატარა ბოსტანი და ძველი ბოსელი, –  
ელვამ წყვდიადი, შუაგაბაპო, ორად გახლიჩა  
და წამიერად, კვლავ დავლანდე, ბრძა ტობოსელი.  
დავლანდე, გაქრა, როგორც ხილვა, ან მოჩვენება  
და ყურიც თითქოს მიერვია ქირქილს დამცინავს,  
რა ჩვევად მექცა, ერთი სიზმრის ამოჩემება,  
ვეღარ ვიღვიძებ-ან იქნება, სულაც არ მძინავს.  
მეც სრულქმნილების გარსი მეერა-დღეს კი მიწა ვარ,  
ან უფლის ნების წინააღმდეგ, ნეტავ ვინ წავა.  
შენ გეკითხები, ტოლედელო, თუ ლამანჩელო,  
ამ ჩემი ბნელი მიწურიდან, ვერსად გაგიშვებ,  
ამაზე მეტი რა სიგიჟე უნდა გვაჩვენო,  
იდეალური გიჟი ხარ და ჩვენც გაგვაგიჟე.

და მაინც, მე როგორც სოსო მეშველიანის პოეზიის ერთ-ერთი მკითხველი (და ჩემთან ერთად მრავალი მისი გულშემატკიცარი) ვფიქრობ, რომ სოსო მეშველიანს წინ უამრავი პოეტური თემა ელო-

დება. თანამედროვე ქართული თუ ევროპულის „სოფლის“ შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენ მისგან (ასევე ქართულ ან ევროპულ) „ქალაქსაც“ ველოდებით.

მინდა ყველა უანრში წარმატება ვუსურვო შემოქმედს!

\*\*\*

დროდადრო, პრესაში თუ სოციალურ ქსელებში, ქვეყნდება ინტერვიუები სოსო მეშველიანთან. ზოგჯერ პოეტი სტატუსებში საუბრობს საკუთარ შემოქმედებაზე და ერთგვარად ასრულებს იმ პორტრეტს, რომელიც, რაც არ უნდა მოვიწადინოთ, მაინც არას-რულყოფილების განცდას გვიტოვებს.

„არანაირ სიტყვის სადარაჯოზე მე არ ვდგავარ, უბრალო მალი-არი ვარ, რომელსაც რაღაც დამემართა და პოეტივით თუ მწერა-ლივით დავიწყე ფიქრი და აზროვნება და მაინც იმხელა პასუხისმგებლობას ვგრძნობ, საღმე რომ ტექსტებს ვაგზავნი დასაბეჭდად, ერთი კვირა მოსვენებას ვკარგავ, ლირდა?...არ ლირდა?“

ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ თავმდაბლობა ყველა დროში ამ-შვენებს შემოქმედს, ხოლო თუ ამ შეკითხვის ადრესატად საკუთარ თავს ჩავთვლი, მთელი პაუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა:

ლირდა, ნამდვილად ლირდა!

P. S. მიჭირს წერილის დასრულება, რადგან პოეტის კიდევ უამრავი კარგი ლექსი მინდოდა გამეცნო მკითხველისთვის. ბოლოს კი მაინც „ემიგრანტის საშობაო განწყობა“ ავარჩიე.

ჩვეში ემიგრანტის ცხოვრება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. უცხოეთიდან ყოველდღე მოდის ინფორმაცია ჩვენი თანამემამულების იქაური ცხოვრების შესახებ. ამ ამბებში ზოგი კარგია, ზოგი – ცუდი. თუმცა ვერანაირი ქრონიკა ან სტატისტიკა ვერ დაგვანახვებს მეგაპოლისების ფონზე საკუთარი „ტვირთით“ დამძიმებული საშუალო ქართველის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ეს შემოქმედის ვალია და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ამ ლექსით სოსო მეშველიანს ეს მოვალეობა უკვე მოხდილი აქვს.

(ვისურვებდი, რომ ამ თემაზე ხელოვნების სხვა დარგებსაც მალე შეექმნათ ამ ლექსის ფარდი მუსიკალური ნაწარმოები ან ფერწერული ტილო).

(ემიგრანტის საშობაო განწყობა)  
ჩემს უსაშველო ქართველობას  
აყენებს ეჭვ-ქვეშ,  
ეს საშობაოდ მორთული ქუჩა.  
და საზეიმო განწყობამ თითქმის  
დამიქვეითა სევდის შეგრძება.  
სამშობლოს სევდის,  
ეს ღალატია!  
(მამაჩემი ფიქრობდა ასე,  
გაზაფხულზე რომ მუჭით მიწას მაყნოსიებდა)  
გაშტერებული შუა-ქუჩიდან ვუმზრ კათედრალს,  
ბოლო არ უჩანს საშობაოდ გუგუნს ზარების,  
სიხარულისგან ხალხი კარგავს წონასწორობას  
უცნობმა გოგომ მაკოცა და სადღაც გაიქცა....  
და დაბნეული ვიხედები ვიტრინის შიგნით  
მიშტერებული,ქრისტეშობის დეკორაციებს.

## წიგნის კითხვის გემო

„როცა ვკითხულობ, კი არ ვკითხულობ, არამედ ყოველ ლამაზ წინადადებას ნისკარტში ვიქცევ, კამფეტივით ვწუნები და დიდხანს ვაგემოვნებ, თითქოს ლიქიორს ვსვამ“, – ამბობს წიგნის ნამდვილი გურმანი პანტა, რომელიც კითხვის ვნებით შეპყრობილ პერსონა-ჟებს შორის უდავოდ გამორჩეულია.

„მხოლოდ მზეს აქვს უფლება ჰქონდეს ლაქები“ – გოეთეს ამ სტრიქონის ეპიგრაფად წამძღვარებით ჩეხი მწერალი ბოჭუმილ ჰრაბალი კამერტონივით ტონს აძლევს თავის რომანს, რომელშიც მკითხველი სამყაროს მრავალ ხმას გაიგონებს, მაგრამ სოლი პარტიის შემსრულებელი იქნება ადამიანი, წიგნებზე შეყვარებული უცაური კაცი, ცხოვრებისეული ფსკერის ბინადარი, გარიყული და მარტოსული, მაგრამ მაინც ბედნიერი. წიგნის არაერთი მოყვარული იცის მხატვრულმა ლიტერატურამ. ქართველი მკითხველისთვის კი ყველაზე გამორჩეული ვასიკო კეუწოდეა, გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟი, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, თუმცა, ამჯერად სხვა პერსონაჟი გვინდა გაგაცნოთ. ეს არის პანტა, ბოჭუმილ ჰრაბალის რომანის, „მეტისმეტად ხმაურიანი მარტობის“, უჩვეულო გმირი, რომელიც წიგნების სამყაროში ცხოვრობს და მათით საზრდოობს: „ჩემი ტვინი სხვა არაფერია, თუ არა პიდრავლიკური წნებით დაწნებილი აზრები, იდეების დასტა“.

ბოჭუმილ ჰრაბალი XX საუკუნის ჩეხი მწერალია, რომელიც ბოლო დროს გაიცნო ქართველმა მკითხველმა და ძალიან შეიყვარა. ნახსენები რომანის გარდა, თარგმნილია მისი კიდევ ერთი რომანი „ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“ (ორივე შესანიშნავად აქვს ნათარგმნი სულხან მუხიგულაშვილს). ჰრაბალს კარგად იცნობენ მსოფლიოში. იგი ნობელის პრემიის ნომინანტიც იყო 1994 წელს. მილან კუნდერამ ასე დაწერა მასზე: „ყოველთვის მიყვარდა და დღემდე მიყვარს ჰრაბალის წიგნები. მისი პროზა მაღალი პოეზიაა და შეუზღუდავი ფანტაზიის აღმაფრენა. ასე წერა მხოლოდ ზოგიერთ სახელგანთქმულ ლათინოამერიკელ მწერალს შეეძლო, მაგრამ მათ არ იცოდნენ ჰრაბალის შესახებ და, ვფიქრობ, არც ჰრაბალი

იცნობდა მათ. ერთხელაც იქნება, ყველა დაივიწყებს საბჭოთა ოკუპაციას, იმ წლების შესახებ კი ილაპარაკებენ, რომ ეს იყო დიდებული ეპოქა ჩეხეთის კულტურისა, როდესაც ცხოვრობდა ჰირაბალი, ავტორი რომანისა „მეტისმეტად ხმაურიანი მარტოობა“.

რომანში ერთი პერსონაჟის შინაგანი მონოლოგის საშუალებით ნაჩვენებია უბრალო ადამიანის ბედი თანამედროვე ცივილიზაციულ სამყაროში, რომელიც კულტურული კრიზისის ზღვარზეა. სადღაც ქრება მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები და მათს ადგილს მატერიალურ-პრაგმატული ფასეულობები, თავბრუდამხვევი ტექნილოგიური მიღწევები იკავებენ. მნერალი გვიხატავს ადამიანის, როგორც მოაზროვნე სულიერი არსების გაუფასურებას, თავის თავში ჩაკეტილობას, რომელიც გამოსავალსა და ადგილს ვეღარ პოულობს რეალურ გაუცხოებულ სამყაროში.

ბოკუმილ ჰირაბალი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თაობის წარმომადგენელია, მრავალჭირნახული. ცნობილია, რომ ამ რომანის გმირივით, თვითონაც მუშაობდა მაკულატურის მწნეხავად 1952-58 წლებში. ჰინტას შეგრძნებები და რელიგიურ-ფილოსოფიური წარმოდგენები, რა თქმა უნდა, ნაკვებია ავტორისეული გამოცდილებით. ის არის მომსწრე 1968 წლის პრაღის გაზაფხულისა, როდესაც საბჭოთა ჯარები შეიქრნენ პრაღაში და დემოკრატიული გარდაქმნების წყურვილი ძალადობით ჩაკლეს. მნერალმა ამ რომანის სამი ვარიანტი დაწერა 1973- 76 წლებში, მაგრამ ცენზურას ვერა და ვერ გააღწია და მხოლოდ 1989 წელს დაიბეჭდა. სიმბოლური იყო მისი გარდაცვალებისა თუ თვითმკვლელობის ამბავი. 82 წლის მნერალი საავადმყოფოს მე-5 სართულის ფანჯრიდან საკენჭს უყრიდა მტრედებს და გადმოვარდა 1997 წლის 3 თებერვალს. მისი რომანების ნაკითხვის შემდეგ კი მკითხველს უჩნდება განცდა, რომ ჰირაბალისთვის სიცოცხლეში გადადგმული ეს ბოლო ნაბიჯი ისეთივე არტისტული იყო, როგორც, მაგალითად, ჰინტას თვითმკვლელობა. მან თითქოს უბრალოდ სხვა გზა აირჩია, ჰიერის არამატერიალური სივრცის ბინადრად იქცა.

რომანის მთავარი გმირი ჰინტა პრაღის ერთ-ერთ ნახევრად-ბნელ სარდაფში ტონობით გადაყრილ სხვადასხვა ხასიათის, უანრის, ფორმატის, ხარისხის გადაყრილ წიგნებს წერს. თავიდან მოშორებული წიგნები, რა თქმა უნდა, გვახსენებენ რეი ბრედბერის

რომანს „451 ფარენჰეიტით“. ამ რომანშიც აქტუალურია კრიტიკა ტოტალიტარული რეჟიმისა, რომელიც ამონებდა ადამიანს და ისე აჩლუგებდა, რომ საკუთარ ბედნიერებასა და უბედურებას ვეღარ არჩევდა, რომელიც სამყაროდან განდევნიდა ღმერთს, მისტიკას და იმგვარ ხელოვნებას, რომელიც ზეგრძნობად განზომილებებს აზიარებდა მკითხველს. ჰანტას ამგვარი ცხოვრება ერთგვარი პროტესტია რეალობისა, სადაც ადგილი არ რჩება თავისუფალი აზროვნებისთვის, სადაც სოციალისტური შრომის ბრიგადები ერთ-სულოვნად და ავტომატურად ირჯებიან, სადაც აღარსად არის ინდივიდუალური აღქმა და ესთეტიკაც იდეოლოგიზირებულია. ჰანტა კი ცხოვრობს თავის სამყაროში, რომელსაც ასაზრდოებს მოგონებები და ნარმოსახვანი, ორივე გამდიდრებულ-გამრავალ-ფეროვნებულია მსოფლიო ლიტერატურისა და ფილოსოფიის წიგნების კითხვით.

წიგნებმა ის მიაჩვიეს აზროვნებას, რაც გამეფებული მატერიალიზმის დაძლევაში ეხმარება. ამიტომაც რომანი სავსეა ცხოვრებასა, სიცოცხლესა, სიკვდილსა თუ ბედისწერაზე მისი გონება-მახვილური აზრებითა და დაკვირვებებით. მას ლამაზად მიაჩნია წიგნამდელი ხანა, როცა მთელი აზრები ადამიანების მეხსიერებაში იყო ჩაწერილი. მაშინ ვინმეს წიგნების განადგურება რომ მოქნდომებინა, წნევები ადამიანის თავების გატარება მოუწევდა, მაგრამ არც ეს უშველიდა საქმეს, რადგან „ჭეშმარიტების შემცველი აზრები გარედან მოდის, ჩვენ გვერდით არსებობს“. მისი აზრით, „ტყუილად წვავენ წიგნებს და თუ წიგნებში რამე ჭეშმარიტება წერია, მათი წვისას მხოლოდ ჩუმი სიცილი ისმის, რადგან რიგიანი წიგნი სადღაც სხვაგან და გარეთ იყურება“. „როდესაც კარგ წიგნში ვიყურები და თან დაბეჭდილი სიტყვებისგან ვთავისუფლდები, სხვა არაფერი ჩრება, გარდა არამატერიალური აზრებისა, რომლებიც ჰაერში დაფრინავენ, ჰაერს ეყრდნობიან, ჰაერით იკვებებიან და ჰაერს უბრუნდებიან, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ ჰაერია, თან არსებობს, თან არა, როგორც წმინდა ზიარებისას სისხლი“. ჰანტა ლუდსაც მხოლოდ იმისთვის სვამს, რომ უკეთ შეაღნიოს წაკითხულის გულში.

მწერალი ისეთი ექსპრესით, ლალად, იუმორით მოაყოლებს თავის ჰერსონაჟს ამბებს, რომ უნებურად აღწერილი მოვლენების

თანამონაწილედ აქცევს. ჩვენ თვალწინ გაიელვებს ჰანტასა და მაჩინკას, ჰანტასა და ბოშა ქალების თუ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სურათები. ჰანტა შეცვალა წიგნებთან ურთიერთობამ. სარდაფის ჩაკეტილი სივრცე მისთვის იქცა ერთგვარ კარიბჭედ სხვა განზომილებებში შესაღწევად. „სამეცნიერო ლექსიკონებს დავემსგავსე“, – ფიქრობს იგი, – „საკმარისია ოდნავ დავიხარო და თვით სიბრძნე გადმომდინდება. ჩემდა უნებურად ვარ განათლებული და ისიც კი არ ვიცი, რომელი აზრებია ჩემი, ჩემში დაბადებული და რომელი – ამოკითხული“. ჰანტა თავბრუდამხვევი აზარტით ასაფლავებს უსულგულოდ გადაყრილი წიგნების გროვებს. მან რელიგიური რიტუალის რანგში აიყვანა ეს ხელობა, რათა ცხოვრებისთვის აზრი მიენიჭებინა. ის არ ცვლის რეალობას, არამედ რეალობის შუაგულში იჭრება და ხედავს, ადამიანს შეუძლია ნებისმიერ უბადრუკ სინამდვილეს აღმატოს თავისი შინაგანი სულიერ-გარდამქნელი ძალით. მაკულატურის საწნეხი ერთადერთი დანადგარია, რომელიც მის ცხოვრებას ღირებულებას ანიჭებს. მასთან ურთიერთობაში იცვლება და იზრდება. იგი 35 წლია მუშაობს ამ საქმეზე, გულმოდგინედ და ბეჯითად წნებს ათასი შინაარსისა და ფორმის წიგნს, რომლებიც ადამიანებმა, სხვადასხვა მიზეზის, სიძველისა თუ იდეოლოგური მიუღებლობის გამო გადაყარეს, თითქოს აღარავის სჭირდება წიგნები, თავის დროზე ხავერდის, ტყავისა თუ სხვა ძვირფასი ყდებით შემკული. მათ გადაწყვიტეს გადაემუშავებინათ და წიგნი ისევ ცარიელ ქაღალდად ექციათ. ჰანტა ამ დასაწნეხად გამზადებულ წიგნებს კითხულობს, უამრავი სახლშიც მიაქვს და ასე იქნება იშვიათი გამოცემების უზარმაზარი ბიბლიოთეკა, ჰანტას ცა და მიწა. მას გორებად უნივერსიტეტი წიგნები ყველა ოთახში, მათ შორის, საძინებელში. აქ ყოველი დაძინებისას შეგრძნება აქვს, რომ ერთხელაც იქნება ჩამოზვავდება და შურისძიებით აღსავსე წიგნები ქვეშ მოიყოლებენ და ასე ამოხდიან სულს. ასე და ამგვარად შემოეკითხება მას არა მხოლოდ მხატვრული, არამედ ფილოსოფური, რელიგიური თუ ფსიქოლოგიური ლიტერატურა, მათ შორის, პლატონი, არისტოტელე, კანტი, ჰეგელი, ნიცშე, გოეთე, შილერი, კამიუ, სარტრი და სხვ. იგი იმ „ნეტარი იდეით იყო შეპყრობილი“, რომ ერთხელაც რაღაც ისეთს ამოკითხავდა, რაც არსებითად შეცვლიდა, მართლაც, ამ კითხვაში ის სხვა ადამიანად იქცა, ახალი

სამყაროები აღმოაჩინა, სულიერად გამდიდრდა, გაფილოსოფოს-და და სიცოცხლის ჭეშმარიტი არსს შეიცნო.

მნერალი გვიხატავს ადამიანებს, საკარის განათლებულებს, მათ შორის, უნივერსიტეტის ლექტორებსა თუ სხვა აკადემიური დაწესებულების მუშაკებს, რომლებიც, სამუშაოდან გათავისუფლებულნი, საკანალიზაციო მილების ჯურლმულებში მუშაობენ და იქაც განაგრძობენ კვლევას. საგულისხმოა, ჰანტა როგორ ეკიდება საქმეს, როგორც ხელოვანი, დაწესებილ ფუთებს გადაყრილი ალბომიდან ამოგლეჯილი ნახატებით ამშვენებს. ხოლო ჩასაწერი წიგნების შუაგულში რომელიმე გამორჩეულ წიგნს დებს. ასე ფორმდება გოგენის, ვან გოგის და სხვა ცნობილ მხატვართა ნახატებით დაწესებილი შეკვრები. თუმცა არის წიგნები, რომლებსაც სიამოვნებით გადაუძახებს არყოფნის სიცარიელეში, ეს არის ჰიტ-ლერზე დაწერილი წიგნები და მისი ფოტოალბომები.

ამ სარდაფის ჯურლმულში, სადაც მისი საწერია მოთავსებულ, იგი ცხოვრების შიდაპირს კითხულობს, მის ამაზრზენსა და სასტკი სახეს ხედავს, ამიტომაც დაასკვნის: „წიგნებითა და წიგნებიდან ვისწავლე, რომ ზეცა არ არის ჰუმანური და ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობს, არც თვითონ არის ჰუმანური“. ეს სიტყვები რომანში ვარიაციულად რეფრენივით მეორდება. ერთ დღეს, როცა შეკვრებიდან ვან გოგის „მზესუმზირები“ აკაშკაშდნენ, რაღაცა მნიშვნელოვანი შეიგრძნო: „მოულოდნელად გავსხვოსნდი და საკუთარი თავი ლამაზად მომეჩვენა, რადგან იმის ძალა აღმომაჩნდა, რომ არ გავგიშებულიყვი იმ ყველაფრისაგან, რაც ჩემს მეტისმეტად ხმაურიან მარტოობაში დავინახე და სხეულით განვიცადე; გამაოგნებელი ცოდნის გამტარად ვიქეცი, ცოდნისა, რომელიც ამ სამუშაოს შესრულების წყალობით ყოვლისშემძლეობის უკიდეგანო სივრცეებში მაქცევდა“. ასე შეიძენს მნიშვნელობას სათაურად გამოტანილი ოქსიმორონი. ჰანტას მარტოობა სიჩუმით კი არა, უჩვეულო ხმაურით არის სავსე და ეს ხმები უკიდეგანო სამყაროს იმ სივრცეებიდან მოდის, წიგნების ფერადოვან განზომილებებად რომ იქცნენ.

დაწნებილ წიგნებში თაგვების მთელი ოჯახებიც იწნიხებოდნენ. ჰანტა ერთ დღეს უსამალავოდ დარჩენილი თაგვის მზერას შეეფეთა და იფიქრა: „თაგვი თვალებში მიყურებდა, მე კი კანკალმა ამიტანა,

რადგან ვხედავდი რომ იმ წამს თაგვის თვალებში რაღაც იმაზე მეტი ანათებდა, ვიდრე ვარსკვლავიანი ცაა ჩემოთ და მორალური კანონი ჩემში. მეხის გავარდნასავით დამატყდა უცებ არტურ შოპენპაუერის სიტყვები, რომ უმაღლესი კანონი სიყვარულია, სიყვარული კი თანაგრძნობაა“. სარდაფის ვირთხებზე დაკვირვევისას ის იმასაც აღმოაჩენს, რომ ცხოვრება ბრძოლაა. გამარჯვებული ვირთხები მალევე იყოფიან საწინააღმდეგო გუნდებად, და ისევ იღვრება სისხლი. მიწისქვემაც იგივეა, რაც მიწის ზემოთ.

უმნიშვნელოვანესია ეპიზოდი, როდესაც ჰანტას ლაო ძი და ქრისტე ევლინებიან სარდაფში. ისინი ცხოვრების ორ განსხვავებულ გზას განასახიერებენ: „ვხედავდი, რომ ქრისტე სულ მაღლა და მაღლა მიინევს, ლაო-ძი კი უკვე მწვერვალზე დგას. ვხედავდი მგზნებარე ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სამყაროს შეცვლა სურს, მოხუცი კი მორჩილად იყურება ირგვლივ და საწყისებთან მიბრუნებით საფუძველს უყრის თავის მარადისობას. ვხედავდი, რომ ქრისტე ლოცვით ქმნის რეალობას, რომელიც სასწაულისკენ მიიღლტვის, ლაო-ძი კი ბუნების კანონების დიდ გზას მიუყვება“. სარდაფის ნაგავში ეს ჰატარა ადამიანი საკუთარ თავში ღვთაებრივ ნაპერწკალს აღმოაჩენს და სიკეთის იმ ნაპერწკალს გააღვივებს, რომლის სინათლეში ღმერთს იხილავს. ერთ ეპიზოდში, როდესაც ჰანტა ცაში ფრანს უშვებს, უცნაური შეგრძნებები ეუფლება: „მთელი სხეულით ავკანკალდი, უეცრად ფრანი ღმერთად მომეჩვენა, მე ძე ღვთისა ვიყავი, კანაფი კი – სულინმინდა, რომლითაც ადამიანი ღმერთს უკავშირდება, ნდობით აღსავსე ურთიერთობას ამყარებს და ელაპარაკება ღმერთს“.

ცხოვრება იცვლება. ჰანტა ერთ დღეს აღმოაჩენს, რომ უფრო დიდი დასაწერი დანადგარი შექმნეს, ძალიან მაღე კი სამუშაოდან დაითხოვენ, ცარიელი ქაღალდების შემფუთავად უპირებენ გადაყვანას. ეს კი მისთვის ტრაგედიაა, რადგან მხოლოდ წიგნებთან ერთად შეუძლია ცხოვრება. ჰანტა მიხვდება, რომ მისი ადგილი წიგნებშია, ამიტომაც თავის დასასრულს თვითონვე გამოგონებს. საწნებში ჩაწვება, ხელში საყვარელი ნოვალისის წიგნს დაიჭერს, თან იმ გვერდზე გადაშლის, სადაც წერია: „ყოველი საყვარელი საგანი სამოთხის ბალის ცენტრია“. ეს დაცემა, თანვე, მისი ამღლება-ცაა. იგი სხვა წიგნებთან ერთად შეურთდება უსასრულო სამყაროს

ფურცლოვან სიცარიელეს. მკითხველს უჩნდება იმის განცდაც, რომ მას სურს იქცეს თეთრ ფურცლად, რომელზედაც შემდგომ ისევ დაწერენ, წაშლიან და ასე მიმოიქცევა ყოფნა არყოფნის და-უსრულებელ წრეზე, ამგვარად ეზიარება ანონიმურ უკვდავებასა და მარადიულობას.

თხრობას თავბრუდამხვევი რიტმი აქვს, რომელიც მკითხველს ტალღებივით ჩაითრევს და ატრიალებს ჰანტას რეალურსა თუ წარმოსახულ სივრცეებში, ასოციაციების ნაკადებში. თხრობის ამ განსხვავებული მანერისთვის, როგორც მთარგმნელი აღნიშნავს, თვითონ ჰრაბალსვე უწოდებია უცნაური მრავალმნიშვნელოვანი სახელი „პაბენი“. პაბენის სტილით მოსაუბრე ყოველივეს, წარმო-სახულსა და გამონაგონს, აწმყოსა და წარსულს, ერთ სიბრტყეზე აღიქვამს, ნანახს, გაგონილს თუ წაკითხულს ერთნაირი ვნებითა და გატაცებით ჰყვება და თვით ამ ამბის მოყოლის პროცესს გა-ნიცდის, როგორც სიცოცხლეს.

1996 წელს ამ რომანის მიხედვით რეჟისორმა ვერა კეისმა ფილ-მი გადაიღო, რომელშიც ჰანტას როლს ფილიპ ნუარე ასრულებს. ხოლო 2007 წელს ამერიკელმა რეჟისორმა უენევიევა ანდერსონ-მა თოჯინური ფილმი გადაიღო რომანის მოტივების მიხედვით, რომელშიც ჰანტას თოჯინას პოლ ჯიამატი ახმოვანებს. ქართული გამოცემის ყდა სწორედ ამ ფილმიდან აღებული თოჯინით არის გაფორმებული.

## სოფო წულაძია

### ალეკო შუღლაძის რომანი „გადამალვა“

„–მაინტერესებს, რაც იზამდი უჩემოდ?!“ – ეუბნება მომაკვდავი დედა 50 წელს მიღწეულ შვილს, რომელიც თავის მხრივ ამბობს, რომ ნათესავების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილ უპატივცემლობასა და უნდობლობაში დედამისს მიუძღვდა უდიდესი წვლილი; დედებს, რომელთა მთელი ცხოვრება ე.წ. „ხრუშჩოვკის“ რამდენიმეოთასიან ბინაში იყო გამოკეტილი, სადაც შემთხვევით შეტანილი სულ მცირედი უწესრიგობაც კი ერთგვარ დისკომფორტს ქმნიდა, არასდროს სჯეროდათ შვილების, რომელთა ყოფიერებაც და, შესაბამისად, ცნობიერებაც, პოსტ საბჭოთა ქაოსიდან, უწესრიგობიდან და არასტაბილურობის გაუთავებელი შეგრძნებიდან ამოიზარდა...

ძნელად ენდობიან, ეყრდნობიან, სჯერათ თაობის, „90იანების“ რომ უწოდებენ – ქაოსს გადარჩენილებმა საშუალო ასაკს რომ გადააბიჯეს, მშობლებისგან მემკვიდრეობით, „ხრუშჩოვკები“ რომ ერგოთ, სადაც საბჭოთა ეპოქისთვის ნიშანდობლივი ნივთების დაუკითხავად გადაადგილების უფლებაც კი არ აქვთ, კიბეებზე ასვლა უკვე სიმძიმების ათრევის გარეშეც უჭირთ, რადგან სხეულს სიბერე შეჰპარვია, არადა, ავადმყოფი მშობლები ჰყავთ ზურგზე მოსაკიდებელი და სათრევი... რთული ეტაპი დგება მათ ცხოვრებაში, ეტაპი, როცა „შვილობის“ პერიოდი სრულდება და „მშობლობა“ იწყება, ერთ მხრივ, მშობლობა პირდაპირი მნიშვნელობით, მეორე მხრივ კი, საკუთარი დაუძლურებული მშობლების „მშობლობა“, ამ დროს კი მშობლებს რატომდაც ეჩვენებათ, რომ მათი შვილები ცხოვრებისთვის მზად არ არიან, ვერასდროს გააკეთებენ იმას, რაც ევალებათ, ვერასდროს აიღებენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას... ასე ფიქრობენ მაშინაც, როცა კიბოს მეოთხე სტადიისგან ძალაგამოცლილები, ლოგინად ჩავარდნილები, ტკივილებს მორფინით იყუჩებენ, საკვების დამოუკიდებლად მიღება და საპირფარეშოში გასვლაც კი არ შეუძლიათ – მუდმივად ახენებენ თავიანთ შვილებს საკუთარ უპირატესობას, შვილები კი, მიუხედავად მშობლების მხრიდან გამოჩენილი უნდობლობისა და სისასტიკისა,

მიუხედავად მათ გარშემო არსებული დაუნდობელი რეალობისა, ცდილობენ... და როცა არ გამოსდით – ოღონდ არა იმიტომ, რომ არ შეუძლიათ – უბრალიდ არ (ვერ) გამოსდით, დიდ „გადამალვას“ აწყობენ, პირველ რიგში მათზე დამოკიდებული მშობელი, შემდეგ კი საკუთარი თავი რომ გადაირჩინონ... ასეთ დროს გადარჩენა ყველაზე მნიშვნელოვანია.

„უბრალოდ დავიწყე „გადამალვის“ წერა იმის პარალელურად, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა, ვუვლიდი დედაჩემს, თან ვწერდი. ამან გადამარჩინა. იქ რაღაც ხდებოდა, აქ ვწერდი, თან ვაუფასურებდი, თან ვადიდებდი, რომ არ მომრეოდა“ – წერს რომან „გადამალვის“ ავტორი ალექს შუღლაძე ერთ-ერთ ინტერვიუში (შურნალი „ინ-დიგო“, „დაკარგული მთის ძიებაში“, ალექს შუღლაძის ინტერვიუ ზაზა ბურჭულაძესთან, 25 აგვისტო, 2017 წელი). გოგი გვახარია კი რომანს ასეთ ფეისბუქ სტატუსს უძღვნის: „ყველაფერი ზუსტია... ყველაფერი უკიდურესი სიმართლეა; ეს პროცესი სწორედ იმიტო-მაა საზიზღარი, რომ საყვარელ ადამიანთან დამშვიდობება ნელ-ნელა გაცილებს ამ ადამიანის ტანჯვის შეგრძნებებს და ინყებ სა-კუთარ ტანჯვაზე ფიქრს. ამის აღიარება რაინდობაა. ამის აღიარე-ბას ერთი რამ სჭირდება – თავისუფლება“.

ჩემი აზრით, „გადამალვა“ არ არის რომანი მხოლოდ ავადმყოფ დედაზე, რომელსაც შვილი შეძლებისდაგვარად უვლის, მაშინ კი, როცა აცნობიერებს, რომ ვერ ამარცხებს მის ფიზიკურ ტკივილს, ვერ ამარცხებს სიკვდილს, ცდილობს, გადამალოს, სიკვდილს დაუმალოს, უფრო სწორად, ბანალური სიკვდილისგან იხსნას – მხოლოდ ნათესავების ყალბი ცრემლებით, ქელებით და ბრტყელ-ბერტყელი სადღეგრძელოებით რომ შემოისაზღვრება. ესაა რომა-ნი იმაზე, როგორ სწავლობს ადამიანი ტკივილების მოთვინიერე-ბას, თან რეალობისგან ისე ფრთხილად გაქცევას, რომ ტკივილი არავის მიაყენოს, პირიქით, „ხრუშჩოვის“ რამდენიმეოთახიან ბინაში გამომწყვდეულ ბრმა და ყრუ სიცოცხლეში ბედნიერების რამდენიმე მარცვალი ჩათესოს, მოსალოდნელი ფინალი მოულოდ-ნელით შეცვალოს, დამთრგუნველ წესრიგს საფუძველი საბოლოოდ შეურყიოს და დაამტკიცოს, რომ პროზაულ სიკვდილშიც შეიძლება არსებობდეს პოეზია – საკუთარ ლოგინში კი არ მოკვდე მორფი-ნით გაბრუებული, პამპერსამოცმული, არამედ, ინდოეთში გაემგზავრო,

რის შემდეგაც შენი დასუსტებული სხეულიდან თუთიყუშებმა აკენ-კონ ხორპალი და მზეზუმზირა, მომღერალმა ძალლმა ფურცელზე რის ვაი-ვაგლასით დაგინეროს: „ყველა ავადმყოფობა დავი-წყებას მიეცემა“, სრულიად უცნობმა ადამიანებმა კი ის გითხრან, რაზაც მანამდე არ გიფიქრია: „არავინ კვდება, სული უკვდავია, სულს ვერ მოკლავ, ვერ მოწამლავ, ვერ დაადნობ, ვერ გამოაშრობ, ვერ ააორთქლებ, ვერ გააქრობ, გესმით, ქალბატონო? მარადიული ხართ, მარადიული!“ და ხანგრძლივი გვირაბის ბოლოს მარადიული ნათელი, ანუ ლმერთი გამოჩნდება, სადაც არანაირი სიკვდილი არ არსებობს – არსებობს მხოლოდ გარდაცვალება.

„გადამალვა შავ-თეთრი წიგნია ფერადი დასასრულით, ამიტომაც ჩამოჰვავს ტალახიანი გუბის თავზე შემომდგარ ცისარ-ტყელას“ – წერს ზაზა ბურჭულაძე თავის ინტერვიუში ალექს შუღლაძესთან და იქვე დასძენს: „აქ ყველაფერია, რაც კარგ პროზას სჭირდება: მოლოდინის უფექტიც, მოქნილი სიუჟეტიც, მშვენიერი მონტაჟიც, კვანძის სრულიად მოულოდნელი გახსნაც... თუმცა „გადამალვის“ მთავარი ღირსება მე მაინც ატმოსფერულობა მგონია“, მე კი, ჩემი მხრივ, დავამატებდი, რომ რომან „გადამალვაში“ არის რამდენიმე ისეთი სკაბრეზული ფრაზა, რომელიც ძალიან არაეს-თეტიკურს და ოდნავ ვულგარულსაც კი ხდის ტექსტს, თუმცა, როგორც ერთი რიგითი მკითხველი, ამას ძალიან ადვილად „ვპატიობ“ და ვიგინწებ, თან ვცდილობ, ამ ყოველივემ ჩემს წარმოდგენაში რომანის მთავარ ღირსებას ჩრდილი არ მიაყენოს. ისიც აუცილებლად უნდა ავლინშნო, რომ დიდი ხანია, ქართულ ლიტერატურაში ტექნიკურად და ენობრივად ასეთი გამართული ლიტერატურული ტექსტი არ წამიკითხავს.

თხრობა არალინეალურია, რამდენიმე პერსონაჟის თვალით დანახული სიუჟეტი ერთ-ერთი კორპუსის ლიფტის გარშემო ტრიალდება – წყდება, გრძელდება, ისევ წყდება, ისევ გრძელდება... ძნელია, განსაზღვრო რომელი სიუჟეტური ხაზია რეალური და რომელი წარმოსახვითი... პერსონაჟებიც ერთდროულად ძალიან ყოფითები და პროზაულები, ამავდროულად კი პოეტურები და ეფემერულები არიან – საპნის ბუშტებივით ნებისმიერ წამს შეიძლება გასკდნენ და სამუდამოდ ჩაიკარგონ ჭუჭყიან სადარბაზოებში, კედლები უხამსი წარწერებით რომ აქვთ აჭრელებული,

საბჭოურ ანტურაჟში, ცნობილი კინორეჟისორების პორტრეტებში, მათთვის სრულიად შეუსაბამო ადგილას რომ ჰყიდია, მარტომბასა და სიცარიელეში, ყველას და ყველაფერს რომ აკრავს გარს...

რომანის მთავარი პერსონაჟი თავად მისი ავტორი, ალექო შუღლაძეა – იგი პერსონაჟს სახელს და გვარსაც კი არ უცვლის, რეალურები არიან სხვა მოქმედი პირებიც – ლატიკა, ლენა, ელენე, ქეთინო, სანდრო, ლიკა. . . მიუხედავად ამისა, როგორც შოთა იათა-აშვილი („გადამალვის“ ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი) აღნიშნავს: „ავტორმა ტექსტი ავტობიოგრაფიულობის სიბრტყეზე არ დატოვა, წარმოსახვაც ჩართო და მას სხვა განზომილებაც შესძინა“ – (შოთა იათაშვილი „გადამალული ალექო შუღლაძის გამოჩენა“, რადიო „თავისუფლების“ ბიბლიოთეკა, 27 მაისი, 2016 წელი).

რომან „გადამალვას“ „2016 წლის საუკეთესო რომანის“ ნომინაციაში ლიტერატურული პრემია „საბა“ მიენიჭა. წინა წელს ამავე ნომინაციაში გამარჯვებულ ბექა ქურჩულის რომანისგან განსხვავებით, „გადამალვა“ თითქოს შედარებით კამერულია, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისგან დაცლილი, მაგრამ ამავდროულად ძალიან გლობალურიც, ყველაფერი ის კი, რაც გარშემო ხდებოდა, თითქოს პირდაპირ არ ცვლის პერსონაჟის ბედს, მაგრამ არაც-ნობიერშია დალექილი კომპლექსების, შიშების, აზროვნებაში არსებული სტერეოტიპების სახით არაპირდაპირ მოქმედებს მასზე.. სცენები, ერთი მხრივ, ზედმეტად ნატურალისტურია, მეორე მხრივ კი – ოსტატურადაა გაჯერებული ფენტეზის, მისტიკისა და დეტექტივის ელემენტებით.

ზაზა ბურჭულაძესთან ინტერვიუში ალექო შუღლაძე აღნიშნავს, რომ არასდროს განუცდია არც ერთი ქართველი მწერლის გავლენა, უფრო მეტიც, ამბობს, რომ ძალიან ცუდად იცნობს ქართულ ლიტერატურას, ამიტომ საკუთარი რომანი ლიტერატურული პროცესის არც ნაწილად და არც გაგრძელებად არ მიაჩნია. კოთხვაზე: „ვის გავლენას განიცდით ყველაზე მეტად?“ – პასუხობს, რომ „ბიტიკების“, რომლის პარალელურადაც იყო კინემატოგრაფი, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ „გადამალვა“ არც ბიტიკური ლიტერატურისა და არც, მითუმეტეს, ავტორის საყვარელი რეჟისორების: ბერგმანის, ანტონიონის, ბუნუელის, ტარკოვსკის პირდაპირ გავლენას არ განიცდის, ტექსტის კითხვის დროს

უბრალოდ იგრძნობა, რომ კინო მთხოვობელის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიყვარულია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რომანს როგორც ლიტერატურულ წრეებში, ისე მკითხველთა შორის დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გამოსვლისთანავე დაინერა რამდენიმე კრიტიკული წერილი, მკითხველები თავიანთ ფეისბუქ გვერდებზე აქტიურად აზიარებდნენ წიგნთან ერთად გადაღებულ ფოტოებს და თავიანთ მოსაზრებებს ხმამაღლა გამოთქვამდნენ. შეიძლება ეს ფაქტი იმითაც იყოს გამოწვეული, რომ წიგნის გამოსვლისთანავე საზოგადოებისთვის რამდენიმე ავტორიტეტულმა პიროვნებამ „გადამალვას“ მაღალი შეფასება მისცა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართული ლიტერატურა წელ-წელა თავისუფლდება ჩაკეტილი წრიდან – ერთ დროს რომ მარტო მწერლებსა და ლიტერატორებს აერთიანებდა, უკვე ძალიან დასაფასებელია, ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ალბათ, ისაა, რომ თხუთმეტწლიანი (გა)დამალვის შემდეგ საინტერესო ხმა და საინტერესო ავტორი აღეკო შუღლაძე კვლავ დაუბრუნდა ქართულ ლიტერატურას. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, „გადამალვა“ ჩაფიქრებული ყოფილა ტრილოგიის პირველ წიგნად. მკითხველი დიდი ინტერესით დაელოდება რომანში მომხდარი ამბების შემდგომ განვითარებას.

## ლევან გელაშვილი

### „საღეჭი განთიადების“ ნარატივი

გლობალური კულტურის კონტექსტში დაბადებული ლიტერატურული ტექსტი თავიდანვე იქმნება ორმხრივი მოლოდინის და ურთიერთზეგავლენის მოლოდინში. ტექსტის ქმნადობისას, რეციპიენტის მიზანია იპოვოს, აღმოაჩინოს ის კოდური შინაარსი, რომლის ინტერპრეტირებულ გაგრძელებასაც მოახდენს. როცა ავტორი შეტყობინებას გზავნის, მას მნიშვნელობა კი არ აინტერესებს, არამედ თვით მომხმარებლის მიერ მისი ინტერპრეტირება. ამ დროს საქმე ეხება უკვე არსებული გამოყენებული ფორმის დეკოდირებას და მოდელირებას. რეციპიენტში დიდი მნიშვნელობა აქვს: ინტერაქციის ინტუიციურ ცოდნას, სამყაროს შემცნებით ეფექტებს და კოგნიტურ ინტერპრეტაციებს. ამ ტიპის ორმხირივი ზეგავლენა ქმნის ჰიპერტექსტუალურ ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებიც დამოუკიდებელია ავტორთაგან. ამ შემთხვევაში ნაწარმოების თამაშებრივი პოეტიკა სრულიად იცვლება. სწორედ ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ვმსჯელობთ ზურა ჯიშკარიანის 2017 წელს გამოქვეყნებულ რომანზე: „საღეჭი განთიადები უშაქროდ“.

შინაგანი ილუზიების და რეალურ საგანთა ფორმირების შეხვედრის წერტილი სხვადასხვა სიბრტყეშია. ლოსევი თავის ესეში „დუმილი“ წერს: „რეალობად“ დადგინდა მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც შეგრძნებათა ორგანოებისთვის მისაწვდომია, ყოველი საგნის ლირებულება იმ უნარით განისაზღვრება, რომლითაც იგი ხელშესახებ შედეგებს იძლევა (ლოსევი 1993: 23). ორტეგა ი გასეტი „ხელოვნების დეპუტანიზაციაში“ ამბობს: „ხედვის ადამიანური წერტილი ის წერტილია, საიდანაც ჩვენ განვიცდით სიტუაციებს, ადამიანებსა და საგნებს... გარდა საგნებისა, სამყარო ჩვენი იდეებისგანაც შედგება. ამ იდეებს ჩვენ ადამიანურად ვიყენებთ, როცა მათი მეშვეობით ვიაზრებთ საგნებს, მაგრამ ეს საგნები სულ სხვანაირია წარმოსახვაში“.

მთავარი სლოგანი რაც გმირმა მოიფიქრა, ჯიშკარიანის რომანში ასე ჟღერს: „რეალობა რეალობის წილ“.

რომანის რეალობა სიმულაკრულობის გამოვლენაა. მას და-კარგული აქვს სიღრმისეულ რეალობასთან მიმართება. ტექსტში ჭეშმარიტება, როგორც კოდი, მხოლოდ სიმულაციური რელობაა, რომელიც ვიდეოთამაშის სახით არის წარმოდგენილი. ავტორის მიზანი არც არის ისეთი კოდის შექმნა, რომელიც ჭეშმარიტებას აღ-მოაჩენინებს მკითველს. მწერალი მესიანისტური კოდის ახლიდან გათამაშებას გვთავაზობს: სამყაროს გადარჩენა კიბერსამყაროში ჩასვლით, იქ მეშიახის ანუ უფლის პოვნა, შემდეგ კი ანდროიდში გა-დაყვანა. ჰოლივუდურ ფილმებში გავრცელებული სამეცნიერო ფანტასტიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები ბინოკულარული ნარატივით არის გადმოცემული.

მწერალი საკუთარ თავს არ აღიქვამს ჭეშმარიტებისგან მოწყ-ვეტილად ან ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებულად. რომანში მო-ცემული რეალობები იქმნება იმ მიზნით, რომ მოახდინოს ჩვენთ-ვის უკვე ნაცნობი რეალობების სიმულაცია. რომანის რეალობების დასაბამი რეალობის სიმულაციაშია, რომელიც გამოსამხველო-ბითი ფორმების გადამუშავების საფუძველზე იქმნება.

„ტრანსფერის მთავრი მომენტს ჰქვია, „სინათლეში ათქვეფილი ზეცა“ – მომენტი, როცა ცნობიერება იფანტება კიბერსივრცეში: გონება-ცნობიერება სხეულს გამოეყოფა და ადამიანის ცნობი-ერება გამოიტყორცნება მისი თვალებიდან, როგორც ელვა ცაში“ (ჯიშკარიანი 2017: 149). ტექსტი აღარ ასახავს რეალურ სამყაროს. ყველაფერი ალუზიებში ჩაძირული ფრაგმენტებია. რომანი ასა-ხავს იმას, რომ ნამდვილი სამყარო ტოტალურად გაყალბებულია ან აღარსად არსებობს (მზის ამოსვლას ხალხს ეკრანებზე უჩვენებენ, რადგან დიდი ხანია ცა გამონაბოლქვის სქელი ნისლით არის და-ფარული და ქალაქები მზის ენერგიით კი არა, ელექტროენერგიით ნათდება). რეალობამ დაკარგა ნდობა. რეალობის ამსახველი ტექ-ნოლოგიური საშუალებებიაყალბებს სინამდვილის განცდას. ტექ-ნოლოგიამ საზოგადოების ცხოვრებიდან გამოდევნა სინამდვილე და ბუნების მიერ შექმნილი წესრიგი. წიგნში რეალობა სინამდვილის ზოგადად ჭეშმარიტების განცდის გარეშე არსებობს. მიუხედავად იმისა რომ რომანში რამდენიმე რეალობას ვეცნობით, მკითხველი, ვერსად იპოვის სინამდვილეს/ მის ძებნას არც აქვს აზრი, რადგან ნამდვილობას მწერლის მიერ აღწერილი ვერცერთი რეალობა ვერ

იძენს. „ასოები ღრუბლებივით იცვლიდნენ ფორმებს, აბსოლიტურად სხვა კომბინაციებად ლაგდებოდნენ, ხან როგორც ლოცვა, ბავშობაში ბებომ რომ მასწავლა მფარველი ანგელოზების მოსახმობად ძილის წინ, ხან ლაგდებოდნენ, როგორც სარეკლამო ტექსტი თანამედროვე კორპორაციული შელოცვების უმაღლესი პილოტაჟი (ჯიშკარიანი 2017: 69).

„...მომაკვდავი მეგაპოლისის განწირული, უპერსპექტივო განცხადებები გიფებად იცვლებოდა ელექტრონული უურნალის პაპირუსებზე“ ... „უკვე დიდი ხანა, არავინ კითხულობდა ამ მესიჯებს, მაგრამ დირიქტორი მაინც დაცურავდა ცაში, როგორც პროგრამა, რომელიც გაუზრებალად ასრულებს თავის ალგორითმს, როგორც განმეორებადი სიზმრის სიუჟეტი ან სატელევიზიო რეკლამა, ფილმის ეპიკურ მომენტში რომ შემოდის ხოლმე და წყვეტს სიუჟეტურ ხაზს“ (ჯიშკარიანი 2017: 101).

„თვალები ცისფერი გაქვს, როგორც WINDOWS 10 და ადრეული შემოდგომის ცა, სულ რო გინდა გადააყენო, ან დაგასველოს“ (ჯიშკარიანი 2017: 19).

ჯიშკარიანის ტექსტი ერთდღროულად ნიღბავს და ასახიჩრებს სიღრმისეულ რეალობას, ნიღბავს სირღმისეული რეალობის არარსებობას. ამავდრულად მას არანაირი კავშირი არ აქვს არანაირ რეალობასთან და მხოლოდ საკუთარი თავის სიმულაციას წარმოადგენს.

რომანი აგებულია სიმულაციური ნინშების საფუძველზე. რადგან „რეალობის მცველები“ და „რეალობის პორტატული ვერსია“ რომანში არ იძლევა სიღრმისეულ რეალობასთან რამე მიმართების დამყარების საშუალებას. ამდენად ჭეშმარიტება თუ საერთოდ ის არსებობს რომანში სწორედ ამ სიმულაციური ნიშნების ფარგლებში შეიძლება მოვიაზროთ.

თუ მოდერნისტულ ეტაპზე ჭეშმარიტების არსებობა ეჭვეჭვეშ დგებოდა და ფუტურისტები მოითხოვდნენ ადამიანის ტექნოლოგიებით ჩანაცვლებას, პოსტმოდერნისტულ ეტაპზე არსის ძიებამ დაკარგა აზრი და გარესამყარო აღიქმება, როგორც ჭეშმარიტების ორიგინალს მოკლებული ასლი, რადგან ტექნოლოგიებმა უკვე ჩაანაცვლეს ადამიანი ან ძალიან დიდი ადგილი დაიკავეს მის ცხოვრებაში.

ლიტერატურამ გუტენბერგიდან დაიწყო მანქანური ტექნოლოგიების გამოყენება და შეიძლება ითქვს, რომ ტექნოლოგების ზეგავლენამ ფუტურიზმის ფაზაში მთელი ძალით იჩინა თავი. „ფუტურიზმის მკვლევარი გიუნტერ ბერგპაუსი აღნიშნავს, რომ რამდენადაც ფუტურიზმის პირველი ფაზის მანიფესტები და გამოსვლები ცხადყოფს, მარინეტი ავითარებდა შორსმიმავალ ეს-თეტიკურ და პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც უნდა გამხდარიყო ხიდი ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის.

„ფუტურისტული იდეალი ორ არათანაბარ ჰიპოსტასზე დაიყვანება. ერთია ადამიანი – რობოტი, მასებისთვის შექმნილი, და მეორე თვით ფუტურისტების მიერ შექმნილი ეტალონი – განსაკუთრებული პიროვნება, რომელიც ემორჩილება ძლიერების კულტს, მექანიკურ-მანქანური ელემენტები და მის შინასამყაროშიც კარგად ჩანს. მისი მხატვრული განსახოვნებაა მარინეტის გმირი, „პოეტიზებული იდეალი“, „სუპერმენი“, აღმოსავლელი მმართველი „ფუტურისტი მაფარკა“. ეს არის რომანი ახალი, მექანიკური, უკვდავი სუპერმენის დაბადების შესახებ, თავისუფალი წარსულით და ფრენის უნარით“ (პაიჭაძე 2017: 381, 415).

ფუტურუსტული ტექსტები უნდა გავიგოთ ფუტურიზმის მსოფლებელებრივი სისტემების მეშვეობით. რასაც ფუტურისტები ამბობდნენ, დღეს სხვადასხვა ფორმით ხორციელდება; ინტერნეტისა და „ჭკვიანი პროგრამების“ მეშვეობით. მათი ნააზრევი სხვადასხვა ხაზით განვითარდა სახელოვნებო თუ საზოგადოებრივ სფეროებში. ფუტურისტული მეთოდები გაქრა, მაგრამ მათი მიზნები სიცოცხლეს განაგრძობს თანამედროვე ინტერაქტიულ ტექნოლოგიურ გარემოში (კოლაჟური სხვადასხვა შერეული შრიფტის სურათოვანი ტექსტები ინტერტენტში განთავსებული ტექსტებით შეიცვალა, რომელსაც სმაილები, ფოტოები, გიფები, ვიდეოამონარიდები, ხმოვანი რიგი და კინემატოგრაფიულ ფირის მსგავსად, ვერტიკალური მოძრაობა ახასიათებს. ხელოვნური ინტელექტის განვითარება, „ჭკვიანი პროგრამები“, ოკულუსის სათვალე და სხვა ტექნოლოგიური მიღწევები უკვე ამ ტექსტის კითხვის მომენტშიც მოვლებულია და სოციალური სივრცე, ახალი ინოვაციური სიახლეებით იტვირთება ფუტურსტული თეზისი – ადამიანის შეცვლა ტექნოლოგიით, დღეს წარმატებით ხორციელდება, ურ-

ბანული რიტმი სხვადასხვა სახით ვლინდება ელექტრო ტექსტებში). დღეს სრულიად ორაზროვნად უღერს ფუტურისტული იდეოლოგი-ის წარმომადგენლის ჯინო სევერინის წერილი „მანქანურობის ხე-ლოვნება“ (1923 წ.): „ჩვენ გვიღებენ, როგორც მექანიზმებს, ჩვენც ვგრძნობთ, რომ ფოლადისაგან ვართ აშენებულნი. ჩვენ მანქანები ვართ, ჩვენ მექანიზებულნი ვართ, როგორც ჩვენი სამყარო“.

ფუტურიზმისთვის ეს იყო ალტერნატიული მომავალი, ამიტომ მათი ტექსტები ამ კონტექსტში მოიაზრება. მაგრამ ზურა ჯიშკა-რიანის ერთგვარად ავანტურისტულ რომანში „საღეჭი განთიადები“ ეს უკვე არსებული რეალობაა, რომელიც ნაწარმოების დასა-წყისშივე ცხადდება: „რასაც ყველაზე მეტად ვაფასებ ანანოში, ისაა, რომ მას რობოტების ყველაზე სწორი კლასიფიკაცია აქვს ჩამოყა-ლიბებული. მისი აზრით, არიან რობოტები პოლიციელები, რობო-ტი პატრიოტები და რობოტი გასხივოსნებულები. ერთხელ მითხრა, ჩვენც რობოტები ვართო, ოღონდ მთხოვა, არ გააბაზროო, მაგრამ ანანო არც ერთს სცემს ჰატივს. მის ჰატივისცემას მხოლოდ ანგე-ლოზივით ტერმინატორები იმსახურებენ, მიუხედავად იმისა, რომ წყვდიადით დაფარავენ ცას და ორგონიანი რეინის ფეხისგულებით გათელავენ ჩვენს ქათმის კვერცხივითმსხვრევად გულებს და თავის ქალებს. არ მიკვირს მისი ასეთი გატაცება კაცობრიობის მანქანუ-რი განადგურებით, თუ გავითვალისწინებ სინთეტიკების იმ კატე-გორიას, რომელსაც ის ეტანება. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის შენი ბიოქიმიას, რაც შენი აპოკალიფსის სცენარს განსაზღვრავს... მომავლის მისეულ ვერსიაში ჩვენი, ანუ ადამიანების ადგილი არ არის (ჯიშკარიანი 2017: 20)... „სანამ ვეწევი და ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, რომ იაპონიაში დავბადებულიყავი რობოტად“ (ჯიშკა-რიანი 2017: 36). სხვაგან: „ყველას რომ უსმინო, ვინც ცხოვრებაში დაგლაპარაკება, ტვინის ვინჩესტერი გადაივსება ამ ხმებით“.

ტექნოლოგიას უდიდესი ადგილი უჭირავს ადამიანის თანამედ-როვე ცხოვრებაში, რომანი კი არ ასახავს ამ ტექნოლოგიური სინ-გულარობის დასაწყისს, არამედ თავად არის ამ ტექნოლოგიური სინგულარობის პროდუქტი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ ფუტურიზმში ზედა-პირზეა კინოს გავლენა. ავტორები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ

პოეტი მისაღებია, როგორც სცენარი, რომ მათი მიზანია სიტყვის გაკინემატოგრაფება, ლიტერატურული სკოლის მეთაურად ისინი ჩარლი ჩაპლინს აღიარებდნენ. ცდილობდნენ კინემატოგრაფიული რიტმის პოეზიაში დანერგვას, ტექსტუალური გამოსახულების შექმნას და მოითხოვდნენ ლიტერატურის კინოსტადიებად დაყოფას. ამ მხრივ საინტერესოა წიკოლოზ ჩაჩავას, სტატია „ბეგრათა ორიენტაციის საკითხი“, უურნალში, „ლიტერატურა და სხვა“ (1924-25 წწ.), სადაც იგი წერს: „კინემატოგრაფი მთლიანად გამოდის ნივთობრიობიდან. აქ მთავარი ადგილი უჭირავს მოძრაობით პროცეს... კინემატოგრაფიული ზონარი – მონტაჟი. თანადროული რომანი ისე იწერება, როგორც კინემატოგრაფიული ზონარი. უნინ რომანი იყო დრამა, ფსიქოლოგია და სხვა. დღეს რომანს აინტერესებს მოძრაობა, კომბინაციები და სხვა“.

გრიგოლ რობაქიძე, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განათლების კომისარიატთან არსებულ „ხელოვნების განყოფილებას“ ხელმძღვანელობდა, აღნიშნავდა, რომ „დღეს რომელიმე ნანარმოების ხვეულებს კინოს ხაზებით ვზომავთ“. ის აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკას“ განიხილავდა, როგორც კინორომანს და მასში კინოხერხებისა და დრო-სივრცის მონაცვლეობის კინომეთოდს გამოკვეთდა (რობაქიძე 1925: 2). ფუტურისტი ბესარიონ ულენტი წერდა, რომ სტილისტიკის თვასალზრისით, რომანი შეიძლება იყოს პერსონაჟით, უპერსონაჟო და კინემატოგრაფიული.

ქრონოლოგიურად ფუტურიზმზე ადრე ლიტერატურულ სარბიელზე არანაკლებ საინტერესო მოდერნისტული მიმართულება – იმპრესიონიზმი გამოვიდა. იმპრესიონიზმი, როგორც მოდერნისტული სისტემა, თვისობრივად ახალი მსოფლგანცდა იყო ხელოვნებაში, რომელიც სხვა ინოვაციურ შემოქმედებით გამოცდილებასთან ერთად, ფოტოფიქსაციის მსგავსად, გარე სინამდვილიდან ცნობიერებაში გაჩენილი შთაბჭდილების მყისიერად გადმოცემას ცდილობდა.

მეხსიერებაში შთაბჭდილების ფიქსაცია წამიერი მოვლენაა, დიდხანს დაყოვნება ხელის შემშლელია ამიტომ, სწრაფად ხატავდნენ, რომ დაუფიქრებლად გადმოეცათ აღქმული. ლიტერატურაში იმპრესიონიზმი, მოკლე ლაკონური, მკაფიო ფრაზებითა და ლაპიდალური სტილით აისახა. წიკო ლორთქიფანიძის ნოველაში

„შელოცვა რადიოთი“, არის ერთი ეპიზოდი, როდესაც მწერალს სურს, ექსპრესიული თხრობით, აფორიაქებული, ამაღლვებელი სიჩქარის გარემო შექმნას: „მაგრამ ელის აღარაფერი ესმოდა მოლაპარაკის: სინემატოგრაფიულად თვალწინ მიურბოდა ბორანი მტკვარზე... ფიქრის გორა ... პანსიონის კვიპაროზები... მამა ... სიონი... ნარიყალის ნანგრევები... ოთახი სადღაც ჩიხში... და სულ ბოლოს. ტკბილი ძიძა“ (ლორთქიფანიძე 1959: 169).

ავტორის მიერ მიცემული იმპულსი და კონტექსტი მკითხველს თითქოს აიძულებს, შემდეგი ეპიზოდი სწორედ კინემატოგრაფიულად წარმოიდგინოს. ამბის ვლინებას მკითხველი არა ფოტოგრაფიულად ან სტატიკურად, არამედ კინემატოგრაფიულად აღიქვამს. ასეთივე სტილური ხერხითაა წარმოდგენილი ჯიშკარიანის რომანში შემდეგი ეპიზოდი (ასევე მთლიანად რომანის ნარატივი) სრულიად კინემატოგრაფიულია: „სადღაც სიზმრისეულ კადრებად კრთება: საბრძოლო ყიუინა, მოხატული სხეულები, იაგუარების ღმულის ექი ღამის ჯუნგლებში“ (ჯიშკარიანი 2017: 31).

ქართული მოდერნიზმი ითვალისწინებდა ლიტერატურის გამართვას ევროპული რადიუსით, თუმცა ლიტერატურული სკოლების გაუქმების დეკრეტით ქართული ლიტერატურა მოწყდა იმ ძრითად ტენდენციებს, რაც ევროპული ლიტერატურისთვის იყო დამახასიათებელი. მეორეს მხრივ, დაწყებული პროცესი, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაითვალისებულია, არ გამქრალა და თავს იჩენს ბოლო პერიოდის ქართულ პოსტმოდერნისტულ მწერლობაში. ფუტურიზმის მსგავსად ჯიშკარიანის რომანში არამხოლოდ ტენოლოგიური „რობოტიკა“ ჩართული, არამედ თხრობაც კინემატოგრაფიული და ზოგადად ეკრანული კოდების შესაბამისია. ყველაფერი რაც რომანში ხდება თხრობის ამ გარდაუგალ კანონს ემორჩილება. ჯიშკარიანი თავის რომანში ბინოკულარულ თხრობას მიმართავს როგორც, ეკრანულ ნარატივს, როგორც სიუჟეტის განმავითარებელ ძირითად ხერხს. ამბის განვითარებაში მწერალი ხშირად იყენებს უშუალოდ სატელევიზიო ჩართვებს. გვიყვება იმას, რასაც ტელევიზორით გადასცემენ. მაგალითად, საინფორმაციო გამოშვებებს, „National Geographic-ს“, რეკლამებს, ბანკის გაძარცვის უშედეგო მცდელობას და ა. შ. ყოველივე ამას ავტორი კინემატოგრაფიის ენით გვიამბობს. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკითხ-

ველის როგორც ტელემაყურებლის მდგომარეობა ნარკოტიკულ თხრობას და გარკვეული ნარკოტიკის ზემოქმედებას უკავშირდება, მაგალითად „National Geographic“-ის გადაცემები „მაგრად მიღის“ რაღაც კონკრეტულ ნივთიერებებთან.

აღქმა რომანში ყოველთვის ნაგულისხმევია, როგორც ეკრანული გამოსახულება, ხოლო თხრობა ამ ეკრანული გამოსახულების კონტექსტია. მოვიხმოთ რამდენიმე ამონარიდი:

„კადრებად დაჭერილი მინიატურული ქვეყანა მოძრაობს ანანოსთვის გაშლილ კინოლენტზე, თავზე გიგანტური სიზმრების სპეციალური ცა აქვს, ხელოვნური საცავი: ბედერულპესი, რენდომული ძილის დიდი ოპტიონ-ებით სივრცის სკვერებთან. ჰესიდან ჟონავს, მატარებელი მძინარე ქალაქებთან ჩერდება როგორც გემი პორტში... „ანანო უკვე საწოლზე იჯდა და ცდილობდა თვალებისთვის ფოკუსი დაებუნებინა“ (ჯიშკარიანი 2017: 83-84). „ამ გადაცემამ ვერ გადაფარა ჩემი ტვინის ეკრანი, სადაც ამჯერად ქალბატონი გაღლა ამოტივტივდა“ (ჯიშკარიანი 2017: 14).

„რეალურად შენ, როგორც გონება, არ მიდიხარ ა-დან და ბ - წერტილამდე, ეს არ არის მგზავრობა, შენი სხეული-ანდროიდი უბრალოდ იძახებს ცნობიერებას, როცა შემდეგი ინსტრუქციები სჭირდება და შენ აქ, რეალობაში მხოლოდ კადრებად ხარ წარჩენილი, დროებით, შემდეგი ინსტრუქციების მისაცემად... ამფეტამინის გამო განთიადები გვანან მულტფილმებს“ (ჯიშკარიანი 2017: 30). „ნელ-ნელა ეს აზრები ბიბისის ახალი ინტერაქტიული სატელევიზიო შოუს ქუდად გადაიქცა“.

„კადრში ჩანს ხასხასა მდელო და მცირე ბორცვაკი ძველი ვინდოუსის მონიტორის ფოტოსმაგვარი (ჯიშკარიანი 2017: 80)... კამერა ისეთი კუთხით დგება საიდანაც ეს ახლად მოვლენილი სტუმრებიც კარგად ჩანან“.

პოსტმოდერნისტული ხელოვნება წარსულში გადამუშავებულ ყველა იდეასა და ყველა ფორმას იღებს ისე, როგორც ასლს ორიგინალის გარეშე, რადგან ამ იდეების და ფორმების მიმართ რწმენითი დამოკიდებულება გამქრალი აქვს. ჯიშკარიანის რომანში მოწაფაურ სტრუქტურაში ექცევა რეალობის სხვადასხვა ასლი. „საღეჭვანია დასანახი პროზა სხვადასხვა ეპიზოდების გოგლიმოგლია. თვალით დასანახი პროზა სხვადასხვა ეპიზოდებს მოიცავს, რო-

მელსაც ერთმანეთს ვაბამთ. დანაწევრებული ხედვა არ ცვლის იმ ფაქტს, რომ წიგნში ნაგულისხმევ სამყაროში ყველაფერი ერთიანია. დანაწევრებულ ხედვებს ავტორი ლოგიკურად აერთიანებს იმგვარად, რომ ერთ მთლიანობად აღვიქვამთ. ერთ შრეს მეორე ცვლის, ისინი ერთმანეთში ირევა, მკითხველი თითონ ირჩევს გასააზრებლად მისთვის სასურველ რეალობას. რომანში რეალობის ფორმების შეცვლა – თავისუფლების ილუზია, როგორც წინასწარგანსაზღვრული თავისუფლების ფარგლებში მინიჭებული დამოუკიდებლობა. ამ აზრით რომანი ერთჯერადი მხატვრული ეფექტის მქონეა და ტექსტუალურ საღეჭ რეზინასავით მოიხმარება, მკითხველი მას აგემოვნებს მხოლოდ იქამდე, სანამ გემო არ გაუვა.

ასე ყვება გმირი შესაბამის ეპიზოდს: „შინაარსი ასეთი იქნება. ამ რეჩის დროს ჩემს თვალებზე აჩქარებულ კადრებად ირეკლება სხვადასხვა ისტორიული მონაკვეთი. მე ვიღიმი, ისმის გადაცემის სამნოტიანი მუსიკალური ფონი, ეკრანზე იხაზება გადაცემის ლოგო და იწრება სათაური: „დროის ზიგზაგი – რეინკარნაციული პოლიციის მე-8 განყოფილება“... „ფიქრებში ავალორძინო ჩემი რეპორტაჟი“ (ჯიშკარიანი 2017: 82).

ტექსტში ცალკეული წინადადებები აზრს გვაძებნინებს სხვა წინადადებებთან სინქრონულ მონტაჟში. ისინი რეკომბინაციაში მოდიან ერთმანეთთან ერთად და ცალ-ცალკე წყვეტილი მონაკვეთებით ქმნიან ერთ მთლიანობას. ჯიშკარიანის რომანში მთლიანობას – სრულ ფორმას – სწორედ წყვეტილი იმპულსური მონაკვეთები ქმნის. აღქმის პირველ ეტაპზე რეციპიენტი გაუთვიცნობიერებლად ელის ფორმის მთლიანობის აღმოჩენას. სწორედ ამ მთლიანობის მიღწევაა მონტაჟის პრინციპის უნებლიერი გამოვლენა.

ავტორი ხშირად ისე აღწერს, რომ ალსაწერი არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ ეკრანულ გამოსახულებად წარმოვიდგინოთ: „ყოველთვის მიყვარდა ვიდეოთამაშები, მაგრამ ვერასროს წარმოვიდგინდი თუ ვიდეოთამაშად ვიქცეოდი“... „თვალებს ვახელ, თითქოს დალუქული, ათასი წლის უხმარი სკივრი აიხადა, ობობას ქსელებით ხედვის მონიტორზე (ჯიშკარიანი 2017: 188)... „წამიერი სიზმრების ეკრანი კანკალებს მატარებლის რიტმში.

ის აქრობს სიგარეტს და ფხიზელი ანარყით მთვრალი ქარ-თველებისგან დამცავ ერთადერთ და უკანასკნელ კარიბჭეს აღებს. კარიბჭე იღება, როგორც ფილმის შენელებულ კადრში, თვალებიც ამ კადრივით გვიფართოვდება“ (ჯიშვარიანი 2017: 86).

„რაღაც სქელი გუაშის საღებავივით სველი სიბნელე გადაეკ-რა ჩემი ხედვის ეკრანს. ბოლო რაც ვიხილე“ (ჯიშვარიანი 2017: 162) ... „სამყაროს შიშინი გაქრა თითქოს რამაზიკომ ტელევიზორი გამორთო“.

ჯერ კიდევ ადრეულ ხანებში ფორმის თეორიას პლატონი ასე ხსნიდა: მაგალითად მოჰყავდა საწოლი. არსებობს მრავალი სახე-ობის საწოლი, მაგრამ ფორმა არის მხოლოდ ერთი და დანარჩენი ყველაფერი იმიტაციაა. მხატვარი, რომელიც ხატავს საწოლს, იმი-ტირებას უკეთებს დურგალს, რომელმაც შექმნა ის. დურგალი, თა-ვის მხრივ, ასახიერებს შემოქმედებით აქტს შემქნელის ბუნებაში, რადგან იგი ღმერთის მსგავსად ქმნის მას, იმიტირებას უკეთებს ღმერთს. თანამედროვე ტექნიციისტურ ინტერაქტიულ გარემო-ში არსებული რეალობა შეიცვალა; მხატვარი ხატავს საწოლს, რომელიც გააკეთა დურგალმა, მაგრამ დურგალმა, რომელმაც გადაწყვიტა გაეკეთებინა საწოლი, ინტერნეტში მოიძია ფოტო. მწერალი, რომელიც აღწერს საწოლს, დურგლის მიერ ფოტოს მიხედვით გაეკეთებულ საწოლს უყურებს, ან ნანახი ფოტოებიდან აღიდგენს საწოლს მეხსიერებაში. ფოტოგრაფიის ვიზუალურმა ინტერსემიოტიკურმა გამოსახულებებმა არნახული გავლენა მო-ახდინეს საზოგადოებაზე, თუმცა ჩვენი შეგრძნებები ან გამოსა-ხულების შეფასება არანაკლებ დამოკიდებულია ასევე თვით ჩვენივე აღქმის შესაძლებლობებზე. თანამედროვე ადამიანი შე-ეგუა გაქვავებულ გამოსახულებებს იმდენად, რომ მათ გარეშე ცხოვრება ძნელად წარმოუდგენია. ვიზუალურად აღქმული ქვეც-ნობიერში იღებება და მიკროსკოპული დოზებით კვებას ადამიანს. მწერალი ხშირად სწორედ ნანახი ფოტოებისა და ფილმების მიხედვით წერს რადგან წარმოსახვაში ემოციები ფოტოებს უკავ-შირდება ან მულტიმედიურ გარსშია გახვეული – მხოლოდ ნანა-ხი კადრების კადრების რეკომბინაცია ხდება და არა განცდილის. ფოტოგრაფიის დაბადებამ იმოქმედა ფანტაზიის მოთხოვნილე-ბის გაჩენაზე და იგი უბრალო ტექნიკურ საშუალებად გადააქ-

ცია. საინტერესოა რომ „საღეჭვიადებში“ არის ერთი ასეთი ეპიზოდი: „პირველი ჯარისკაცი ჩემ წინ გახოხდა. თავიდან ანაკუნდა მეგონა, მაგრამ ანაკუნდას გამოჩენა თავთუხებში აბსურდ გავდა, შემდეგ ვიფიქრე, გარეული ტახია-მეთქი, ვცდოლობდი, გამეხსენებინა გადაცემა ტახებზე“ (ჯიშკარიანი 2017: 95). რომანში არამხოლოდ ადამიანის ბინოულარული მზერაა ობიექტივს მიმსგავსებული, არამედ მწერალი ცდილობს, ყოველივე ვიზუალურად წარმოვიდგინოთ, ხოლო ის, რაც გმირმა უნდა გაიხსენოს, ასევესაკუთარ ბიოლოგიურ ინტერნეტში წარსულში ნანახი ვიზუალური მასალის ბაზიდან უნდა მოიძიოს.

მასმედიის აქტიური ჩართულობა ლიტერატურაში ეკფრასისის განვითარების შემდგომ ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ეკფრასის ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. ეკფრასისის გაგება ჩნდება ბერძნულ-რომაულ რიტორიკაში. იგი ხასიათდება, როგორც ხელოვნების ნაწარმოების აღწერა და ზოგადად აღწერითი მეტყველება იმგვარად, რომ მკითხველს თვალს ნათლად წარმოუდგეს აღსანერი ობიექტი. ეკფრასისის მრავალფუნქციონალური გამოყენება ჩვენი დროის კულტურაში, გაზრდილი ვიზუალური მოთხოვნილებითა განპირობებული. თანამედროვე ადამიანის ცხოვრება ყოველდღიურად ვიზუალური სახეებისა და ნიშნების აგრესიულ შემოტევას – ექსპანსიას განიცდის, რომელიც დიდი დოზით სუბლიმირდება და უერთდება ტექსტს. ვიზუალური საწყისის ვერბალიზება ლიტერატურის ჩვეული ხერხი გახდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან, ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო იკვეთება ამ ტენდენციების ნიშნები. სიტყვების საშუალებით გამოსახულების შექმნა, განაპირობებს ტექსტის სინთეზურ ხასიათს. დღეს ეკფრასისი კომიქსებსა და ლიტერატურულ სამაგიდო თამშებში ფსევდოგრაფიკული ხასიათის ელემენტებთან ერთად არსებობს. აღსანერ ლიტერატურულ პასაჟებს ვიზუალური ნიშნები და გამოსახულებები ენაცვლება.

ზურა ჯიშკარიანის „საღეჭვიადებში“ ეკფრასისი, ვიზუალური წარატივის სახით გვევლინება. ჩიტის და ლიანდაგების იკონური გამოსახულებები ტექსტის გვერდით ცარიელ მინდორზე ტექსტთან ერთად თანაარსებობს. ის ტექსტის შინაარსობრივ მხარეს ასოციაციურ მნიშვნელობას აძლევს. ეს არ არის ილუსტრა-

ცია, არამედ ინტენრეტ ტექსტისთვის დამახასიათებელი გიფებისა და მოძრავი იკონური ნიშნების გადატანა ციფრული სამყაროდან ფურცელზე. მსგავსი ვიზუალური და ტექნოლოგიური ჩანართები უცხო არ არის ლაშა ბუღაძის წიგნში „პატარა ქვეყანა“, სადაც მკითხველს წიგნის კითხვის პროცესში ინტერნეტის გამოყენებაც უწევს. გურამ მეგრელიშვილის „საქართველოს ალტერნატიული რუკა“ კი QR კოდს შეიცავს და მკითხველს კითხვის პარალელურად საკუთარ მობილურ ტელეფონში ფოტოების ნახვაც შეუძლია.

ჯიშკარიანის თანამედროვე ტექსტი გაჯერებულია ვიზუალური ნიშნებით. მანქანური ტექნოლოგია ბელესტრისტიკაში ნელნელა შემოიპარა და სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს. აღსანერი ობიექტიც არა ფერწერული ტილო, არამედ მედიარეალობის რომელიმე გამოვლინებაა.

მწერალი აღნიშნავს: „ვიღაცის ცხოვრება რომელიმე სატელევიზიო არხს ჰავას, ზოგის – კონკრეტული პროდუქტის რეკლამას, ვიღაცის – კონკრეტულ შოუს“ (ჯიშკარიანი 2017: 75). ან: „აქ ისმის დაძაბული მუსიკა და წამყვანი ახალი ნოტით აგრძელებს თხრობას: მოგზაურობა კავკასიური ენთეოგების სამყაროში თქვენს საყვარელ წამყვანთან, მწვანე კაცთან ერთად“... „კამერა ნაეზდს აკეთებს და მთაზე ვდგავარ მე, ოლონდ მწვანე. გადაცემის ქუდის სასიამოვნო ჰიპნოზური მელოდია ქრება და მე ვიწყებ ლაპარაკს“.

ავტორი არამხოლოდ გამუშავებით მიისწნეაფვის აღსანერი მოვლენების ვიზუალად წარმოჩენისაკენ, არამედ ცნობიერადაც ფიქრები ვიზუალებად წარმოუდგება: „მინის ზანზარი იქ, სადაც შენ ქვევით გადის მეტრო – ქალაქი ფიქრობს, ფიქრობ შენც, თუმცა აზრები არ გაგაჩნია, მარტო ვიზუალები“ (ჯიშკარიანი 2017: 23).

ეკფრასისის გამომსახველობითი ფუნქცია რეალიზდება მთლიანი მხატვრული ნაწარმოების კონტექსტში. ავტორის საერთო კონცეფციასთან შესაბამისობაშია. ავტორი აფართოებს მხატვრული სამყაროს ჩარჩოებს მის მიერვე შექმნილი სინამდვილეებს შორის. ეკფრასისის დახმარებით ავტორი ახერხებს გადმოსცეს განსაზღვრული ემოციონალური სიახლოვე თავის გმირთან. სურათი, თითქოს ცოცხლდება მკითხველის მზერაში. მხატვრული ეფექტი მიიღწევა მოცემულ სიტუაციაში კონტრასტული სტატიკური აღწერით და ნარატივის დინამიზმით, სადაც მთლიანდება ერთი

მხატვრული ხერხით. ის, რაც უნდა წარმოვიდგინოთ, არის არა ფერწერული ტილო, როგორც ეს შუასაუკუნეებში იყო, არა კინო-ფილმი, როგორც ეს ფუტურისტულ ტექსტებში გვხვდება, არამედ სატელევიზიო გადაცემა: „როცა ტვინი გადაწვას უახლოდება, სულ მერთვება ეს თრიფი: თითქოს იაფფასიან რეალითი შოუში ვარ, სა-დაც ყოველ ხუმრობაზე ხმის ოპერატორი სიცილის საუნდს რთავს, შიგადაშიგ კი მაყურებლების კომენტარებიც მესმის“.

ამგვარად, სიმულაციური რეალობა რომანში ეკრანული ნარა-ტივით არის გადმოცემული, რომელიც ეკფრასისის თავისებური გამოვლინებაა. ამ ყოველივეს გარკვეული მიმართება აქვს საუკუ-ნის წინ ქართულ ლიტერატურაში დაწყებულ პროცესებთან.

ამჯერად, ჩვენ ჯიშკარიანის მხოლოდ ბინოკულარულ ნარა-ტივს და რეალობის ავტორისეულ ხედვას შევეხეთ, თუმცა შეგ-ვიძლია ვივარაუდოთ რომ ჯიშკარიანის ნარატივის გადაძახილი ბურჭულაძის თხრობის სტილთან ქართული თანამედროვე ნარა-ტივის ზოგად ტენდენციებზეც მიანიშნებს.

#### დამონიტანი:

**გასეტი 1992:** გასეტი ხ. მ. ხელოვნების დეპუმანიზაცია. თბილისი: გამომცემ-ლობა „ლომისი“, 1992.

**ლოსევი 1993:** ლოსევი ა. დუმილი. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1993.

**პაიჭაძე 2018:** პაიჭაძე თ. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა ტექსტი, როგორც კულტურა. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტე-ტი, 2018.

**ჯიშკარიანი 2017:** ჯიშკარიანი ზ. საღეჭი განთიადები უშაქროდ. 2017.

## ნონა კუპრეიშვილი

### კულტურის ეკოლოგიისათვის

თავის დროზე აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩივის მიერ გამოყენებული ტერმინი „კულტურის ეკოლოგია“ სულ უფრო მზარდი საფრთხეების პირობებში ბუნებისა და კულტურის ეკოლოგიების ერთმანეთთან გათანაბრებას გულისხმობდა. თუმცა მნიშვნელობათა გაფართოებამ, რომელიც ასეთ ფართომასშტაბიან იდეებს ახლავს ხოლმე, დღის წესრიგში თვით კულტურის ისტორიის მართებული, ობიექტური ანალიზის აუცილებლობა დააყენა. ქართულ გარემოსთან მიმართებით ეს აუცილებლობა დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: დაგვიცავს და გადაგვარჩენს არა წესმიერი, არამედ კულტურის ისტორიის მხოლოდ ის ვარიანტი, რომელიც ობიექტურობაზე, მიუკერძოებლობასა და სრულფასოვან კრიტიკულ ხედვაზე იქნება დაფუძნებული. სწორედ ასეთ მიზანს ისახავს პოეტის, ესეისტისა და სხვათა შორის, პროფესიით ეკოლოგის, ნუეზარ ზაზანაშვილის, ახალი წიგნი „რუსოფობია“, რომელიც მკითხველს გამომცემლობა „არტანუჯმა“ მიაწოდა.

წიგნის ავტორს საგანგებოდ დასჭირდა სათაურის პარეტიკის აქცენტირება და იმის აღნიშვნა, რომ სიტყვა „ფობია“ აქ გამოყენებულია უფრო თავისი პირველადი მნიშვნელობით, ბერძნ. ფობოსზე დაყრდნობით, რაც შიშს წიგნავს („ეს არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებიდან ბუნებრივად მომდინარე პათოსი, რუსეთის იმპერიის, დამცყრობლის მიმართ გამოწვეული პათოსი და ამ კონტექსტში, თუკი ბოლოსართ „ფობიას“ თავის თავდაპირველ მნიშვნელობას დავუბრუნებთ... ჩვენს ბევრ ცნობილ მოღვაწეს თუ „უცნობ“ თანამემამულეს სჭირდა და სჭირს რუსოფობია და ეს არა მგონია, გასაკვირი იყოს...“ – ნ. ზაზანაშვილი). მართლაც, პოეტური იმპერიალიზმის საფუძვლიანი კვლევა მიხაილო ლომონოსოვიდან ევგენი ევტუშენკომდე იმ პრინციპით, როგორსაც ამას წიგნში ვხედავთ, აღძრავს არა იმდენად ზიზღს (ეს საკითხის გამარტივება იქნებოდა), რამდენადაც შიშს მეზობელი ქვეყნისადმი, რომელსაც XXI საუკუნეშიც არ სურს უარის თქმა სხვათა ინტერესების უგულებელმყოფელ, როგორც თვითონ მიიჩნევს, განვითარების სრუ-

ლიად განსაკუთრებულ გზასა და შინაარსზე. საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა „რუსოფონია“ პირველად დიდ მისტიფიკატორად წოდებულ, „რუსეთის ღვთიური არსისა და ღვთიური მისის შესახებ ახალი მითის, მეტამითის შემქმნელ“ ფეოდორ ტიუტჩევს უხსენებია 1867 წელს თავისი ქალიშვილისადმი გაგზავნილ წერილში. ეს ის ტიუტჩევია, რომელიც თავისი ცხობილი იმპერატივით მუდმივად ეღობებოდა, ასე ვთქვათ, ბლოკვავდა, რუსეთის ისტორიაში შეღწევით ამ ქვეყნის რეალური სახის აღმომჩენთა მისწრაფებას ნათელი მოეფინათ „ამოუხსნელი“ რუსული სულისოვის: „Умом Россию не понять,/ Аршином общим не измерить./ Уней особенная стать,/ в Россию можно только верить...“ ამ სტრიქონებს, მართლაც, ციტადელის სიმაგრე აღმოაჩნდათ. მას უკან დღემდე აფარებენ თავს არა რეალობის, არამედ ილუზორულობის მომხრენი, რომელთა რიცხვი, სამწეხაროდ, ძალზე დიდია.

უნდა ითქვას, რომ ნუგზარ ზაზანაშვილმა სრულიად „არა-მომგებიან თემას“ მოჰკიდა ხელი, თუნდაც იმ კონტექსტის გამო, რომელშიც ვარსებობთ („საქართველოს ბევრ ადგილზე რუსოფონია კი არა, რუსოფილია სჭირთ...“ – ნ. ზაზანაშვილი), თუმცა ყველა სირთულე, რომელიც მას ახლდა (პირველ ყოვლისა, რუსეთისადმი, როგორც ხალხთა უანგარო მოსარჩლისადმი, საბჭოთა ისტორიოგრაფიის, და არა მარტო მის მიერ დამკვიდრებული აზრი) ანალიზის სილრმითა და მაღალი პროფესიონალიზმით დაძლია. სწორედ ამიტომ გამოვიდა, როგორც ითქვა, „რუსოფონია სიძულვილის გარეშე“, რაც მსგავსი თემების დამუშავების პროცესში ერთადერთი სწორი ორიენტირია.

„რუსოფონიაში“ ცნობილი პოეტების მოღვაწეობის ე.ნ. ქრისტოფორ ჭრილი არა მარტო მითისექმნადობის ხარისხის მიხედვით იქმნება, არამედ თითოეული ავტორის ღრმად ინდივიდუალური, ცოცხალი შემოქმედებითი პორტრეტით, რომელიც პოეტური ტექსტების საფუძვლან ანალიზზეა დაფუძნებული. ამიტომაც ამ წიგნში ტიუტჩევი, პირველ ყოვლისა, დიდი ლირიკოსია, ველიმირ ხლებინიკოვი „რუსული პოეზიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და საინტერესო პოეტი“, ხოლო მარინა ცვეტაევა „ბრწყინვალე, ფაქიზი, ტანჯული ლირიკოსი“.

საგულისხმოა ერთი ისტორიული პარალელიც, რომელიც „რუ-სოფობის“ ჩანაფიქრისა და შექმნის მოტივაციას ეხება. მართა-ლია, კონტექსტი რამდენადმე განსხვავებულია, მაგრამ XX საუ-კუნის დასაწყისშიც, როდესაც ახალი შემოქმედებითი თაობა დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა საქართველოს დამოუკიდებ-ლობის შესახვედრად, ამასთან გრიგოლ რობაქიძის განმარტებით, „მნიშვნელოვან უღელტეხილს მოჰყვა ქართული რენესანსის გამო-სახვა“, კრიტიკული თვითანალიზის კვალდაკვალ აქტუალიზდა ე.წ. მზერის ორმხრივობა: შიგნიდან გარეთ და გარედან შიგნით. შესაბამისად, ევროპის მრავალი ქვეყნის ისტორიული გამოც-დილების ტრანსლირების პრაქტიკასთან ერთად (გ. ქიქოძე, მ. ჯა-ვახიშვილი, კ. გამსახურდია) გაჩნდა რუსეთთან ორსაუკუნოვანი ურთიერთობის ახლებურად დანახული და თამამი გააზრების სა-ჭიროებაც. იგი ორი ძირითადი ნიშნით ნარიმართა: რუსული კულ-ტურტრეგერობის გაზიადებული მნიშვნელობის გადაფსება (ტ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, ვ. კოტეტიშვილი) და რუსეთის შესა-ხებ კულტუროლოგიური დისკურსის შექმნით აქამდე არსებული სტერეოტიპების რღვევა და რეალური სურათის შექმნა. იმ წლებში გრ. რობაქიძე ქმნიდა სრულიად გამორჩეულ ფსიქო-მენტალურ ჩანახატებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ (ცხადია, ევ-როპული, განსაკუთრებით კი გერმანული, კულტურის შესახებაც) და იქვე კულტურულ პრიორიტეტთა შეფასებით (რად ღირს თუნ-დაც მისი რუსული კლასიკისადმი მიძღვნილი ესეების კრებული) ახდენდა რუსი ერის პორტრეტირებასაც. ყველაფერი ეს ფართოდ გახელილი თვალების ეფექტს ქმნიდა და მომავალი დამოუკიდე-ბელი ქვეყნის თვითდამკვიდრებას ემსახურებოდა. ჩვენ უნდა გაგ-ვეცნო არა მარტო საკუთარი თავი, არამედ გარს მომდგარი სა-მყაროც, რომელშიც საკუთარ ადგილს ვეძებდით და რომელსაც ამ მიზეზის გამოც სწორი აღქმა-გააზრება სჭირდებოდა.

ნუგზარ ზაზანაშვილის „რუსოფობის“ კითხვისას მსგავსი გან-ცდა გვეუფლება: სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცე-სის ნარმატებით დასრულებისთვის დღეს ჩვენთვის საჭიროა არა მარტო სრული დეკომუნიზაციის განხორციელება, რომელიც თა-ვისთავად ურთულეს ამოცანათა რიგს მიეკუთვნება, არამედ თვით თავისუფლებისა და მისი კანონების სწავლა. მითებით გადატვირ-

თული ცნობიერების ფილტრაცია თვით ამ მითების დეკონსტრუქ-  
ციით კი დაიწყო, მაგრამ ამით მხოლოდ გავანაწყენეთ საზოგა-  
დოების გარკვეული ნაწილი, რომელსაც არ სურდა და არც ახლა  
სურს მათგან გათავისუფლება. კარგად მახსოვს გრიბოედოვის  
საქართველოსთან დამოკიდებულების რეკონსტრუქციის ეტაპზე,  
როდესაც განხორციელდა მარტივი რამ (ამ პროცესში მეც მივიღე  
მცირედი მონაწილეობა), მეტი დატვირთვა მიეცა მისი ბიოგრაფი-  
ის ზოგიერთ დეტალს (მაგ. პირად მიმოწერას, ეკონომიკური პრო-  
ეჭტის შედგენას, აქტიურ ჩართულობას 1828 წელს სამხრეთ საქარ-  
თველოში სომეხთა გადმოსახლების პროცესში), მოვლენები და  
ფაქტები მეტი ლოგიკურობით დაუკავშირდა ერთმანეთს, ზუსტად  
იმავე პერიოდში სპეციალისტთა ერთი ნაწილი საძროთა სტილით  
შესრულებულ ერთი შეხედვით ყავლგასულ ტრივიალურ ისტო-  
რიებს, იგივე მითებს, მიუბრუნდა გრიბოედოვის საქართველო-  
სადმი უანგარო სიყვარულის შესახებ. ამ ძველ-ახალი ინტერპრეტა-  
ციების უმრავლესობა ინფანტილური იყო. ამასთან დაკავშირებით  
6. ზაზანაშვილი იმონმებს ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს, სა-  
მოციან წლებში კ. გამსახურდისა მიერ გამოთქმულ პროტესტს,  
გამოთქმულს ქართულ პრესაში ამ თემით სპეციულირების წინააღ-  
მდეგ. აი, რას წერდა თურმე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს  
ლია წერილში კ. გამსახურდია: „მე ვამტკიცებ, მომავალი თაობები  
შეაჩვენებენ იმათ, ვისაც ქართული მწერლობა და ქართველი ხალ-  
ხი ინტელექტისმიერი ვასალობისკენ მიჰყავს. ხომ არის ეს უდი-  
დესი „პოდხალიმობის“ ნიშანი, როცა გაზეთების მჯაღდნელები  
სწერენ: „გორკი და საქართველო“, „გრიბოედოვი და საქართველო“,  
„მაიაკოვსკი და საქართველო“. ნუთუ ისე უნდა დავბრმავდეთ, რომ  
არ გვესმოდეს -ეს მწერლები და არც არავითარი მწერლები ამ-  
ქვეყნად საქართველოს თანატოლნი არ არიან...“.

„რუსოფონის“ ავტორიც აშკარად შეწუხებული ჩანს ქართველ-  
თა ასეთი „თანმიმდევრობით“: „ამ ნარკვევის დაწერა გადამაწყ-  
ვეტინა ზოგიერთი ჩვენი ინტელექტუალის კიუინმა ქართველები-  
სათვის დამახასიათებელი დაავადების, რუსოფონის შესახებ“. სინამდვილეში კი, ეს კი, ძმები სტრუგაცების გამონათქვამს თუ  
გამოვიყენებთ, სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების ფობია ანუ  
თავისუფლების შიში. და მაინც, რა უნდა იყოს რუსეთის ესოდენი

ამბიციურობის მიზეზი? სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დანაშაულთან გათანაბრებულ დაუშვებელს შორის? ნ. ზაზანაშვილი ამ კითხვებითაცაა პროცესურის დაუშვებელი „იმპერიის გიგანტურ სხეულზე ნაცის მოკლე, ვიწრო კანის გადაჭიმვით“ დაიწყო, მოგვიანებით კი გაჩნდა მიდრეკილება უფრო მეტისად-მი: უკვე არსებული „დიდი კულტურის რესურსის ცივილიზაციის ფანტომზე გადაჭიმვა?“. ე.ი. იმგვარი კულტურით აპელირება, რომელსაც პრეტენზია აქვს, იყოს ცივილიზაცია? (გ. ზედანია). წიგნში ამგვარი ეჭვების „ლეგიტიმურობის“ დამადასტურებელ არაერთ საბუთს იპოვით.

ის, რომ „რუსოფონიაში“ წარმოდგენილი დიდი პოეტების წარმოსახვა ვერაფრით უპირისპირდება და ვერც თავისუფლდება „ოფჩიზნას“ დერუაცული მიდრეკილებებისგან, წიგნის ავტორისთვის ნაკლებად სასიამოვნო მოვლენაა. პუშკინის მიერ პოლონეთის აჯანყების გმობა (რის გამოც მას საკუთრივ რუსმა ფილოსოფოსმა გიორგი ფედოტოვმა „თავისუფლებისა და იმპერიის მომდერალი“ უწოდა, უახლოესმა მეგობარმა, ვიაზემსკიმ, კი შეახსენა, რომ „პოეზია ჯალათების მოკავშირე არ არის“), თვით იოსიფ ბროდსკის მიერ კი ჯერ კიდევ 1992 წელს უკრაინის დამოუკიდებლობის გაშარება შემდგარი ფაქტია, თუმცა მათი არსებობა მაინც ძნელად დასაჯერებელია და ახსნას ითხოვს. ნ. ზაზანაშვილის, როგორც ავტორის, ინტუიციას თუ გავყვებით, პოეტთა ამგვარი თავგამოდება გამარჯვებულის ანუ ძალის თაყვანისცემაა, მით უმეტეს, თუ ეს გამარჯვებული ძალა შენი სამშობლოა. ამ ლოგიკით კი თვით ტოლ-სტოიც რომ იყო, ჩრდილოეთ კავკასიაში სხვის დასაპყრობად მოსული ადგილობრივ მკვიდრს „თათარს“ უწოდებ, ხოლო მის ზურგს, რომელსაც დატყვევებული და ცხენზე შემოსმული შენი თანამე-მამულის, ამ მოთხოვნაში უილინის, თავი ეხლება, სუნიანს... (იხ. ლ.ტოლსტოი, „კავკასიელი ტყვე“).

მართლაც, იყო თუ არა იმდროინდელი კავკასია (ჩრდილოეთიც და სამხრეთიც) დანახული, როგორც მშვენიერი, თუმცა უვარგისი ხალხით დასახლებული მხარე? „რუსოფონიაში“ ეს თემა საფუძვლიანადაა განხილული და არგუმენტირებულიც. პირველი მთავარმართებლების ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი რეპლიკებიდან ვიდრე დეკაბრისტების „Русская правда“- მდე მკითხველი

თვითგანწმენდის რთულ გზას გადის, სადაც ილუზიებისთვის ადგილი არ რჩება. იმოწმებს რა კატია ჰოკენსონის წერილს „ლიტერატურული იმპერიალიზმი, ნაროდნოსტი და პუშკინის მიერ კავკასიის გამოგონება“, ნ. ზაზანაშვილი თანმიმდევრულად ნარმოგვიდგენს დიდი პოეტის (ეს კი პუშკინია) კავკასიური ნარატივის ზემოქმედების ძალას, რუსულ ცნობიერებაში ამ უცხო და მიმზიდველი ადგილის მითოლოგიზების მზარდ ტენდენციას. ამ მხრივ სრული დამთხვევაა „რუსოფონბიასა“ და ამ უკანასკნელ წლებში რუსეთის შესახებ შექმნილი კულტუროლოგიური ნაშრომის „ნატაშას ცეკვის“ ავტორის ორლანდო ფაიჯესის შეხედულებებს შორის. არც სიუზი ფრანკი უნდა იყოს შორს ჭეშმარიტებისგან, როდესაც აცხადებს, რომ, ვთქვათ, ლერმონტოვისთვის კავკასია ბიბლიური დაკარგული სამოთხის სიმბოლოა. ის უზუსტობანი, რომელსაც პუშკინ-ლერმონტოვი თუ სხვები ამჟღავნებდნენ, ნ. ზაზანაშვილისთვის კავკასიის „ზერელე რომანტიზაციისა“ და მისი „იმპერიალისტური მსოფლმხედველობის პრიზმაში (ველურობა, პრიმიტიულობა, ვერაგობა, პირსისხლიანობა) დანახვის“ ცალმხრივობის დადასტურებაა.

არის წიგნში მთელი რიგი ავტორებისა (ვლადიმირ სოლოვიოვი, ვიაჩესლავ ივანოვი, ალექსანდრე ბლოკი, ველიმირ ხლებნიკოვი, ვალერი ბრიუსოვი, ოსიპ მანდელშტამი და სხვ.), რომელთა შემოქმედებაც XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ძიებათა ვრცელი პანორამის წარმოდგენას ითხოვს. ნ.ზაზანაშვილი ამ პანორამას დიდი დამაჯერებლობით წარმოგვიდგენს და თავისი წიგნის საუკეთესო, გაუნდებელი ინტერესით საკითხავ მონაკვეთებად აქცევს. ასევე ძლიერია მისი წმინდა წყლის კრიტიკული დისკურსიც, პოეტური ტექსტების სიღრმისეული ანალიზის უნარიც (აკი, შესავალშივე თქვა, პოეზია უკეთ ვიციო), დროის საკმაოდ ვრცელი არეალის მომცველ ლიტერატურულ სტილთა და მიმართულებათა ადეკვატური ინტერპრეტაციები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიულ, ისტორიოსოფიულ თუ ფილოსოფიურ ჭრილში დანახული დროისა და სივრცის მონაცემება, რომელიც სახეს უცვლის თითქმის ყველასა და ყველაფერს, გარდა ერთისა: რუსული პოეზიით გაცხადებულ იმპერიალისტურ მსოფლადქმას, სხვათა ჩაგვრისა და შევიწროების მხარდაჭერასა და გამართლე-

ბას. რად ლირს თუნდაც ჩვენი მწერლობის დიდ მეგობრად შერა-ცხული ევგენი ევტუშენკოს მეტამორფოზა, რომელიც ნიღაბთა ახსნას უტოლდება. მართლაც რომ, „...Что- то пели, что- то ели, что- то Шота Руставели...“.

ნუგზარ ზაზანაშვილის „რუსოფონბია“ რუსული პოეზიის რამ-დენადმე უჩვეულო რეტროსპექტივაა. ის, ფაქტობრივად, მკითხ-ველისთვის მართალი, შეულამაზებელი ინფორმაციების მიწო-დების საუკეთესო ტრადიციის გამგრძელებელიცაა. როგორც იტყვიან, ჩვენ არა ვართ განებივრებული მსგავსი წიგნებით, არადა მათი ნაკლებობა სულ უფრო მეტად იგრძნობა. ოთარ ჭილაძის სიტყვები, რომელიც ავტორმა ეპიგრაფად გამოიყენა, ზედმიწევ-ნითი სიზუსტით ასახავს მდგომარეობას, რომელშიც ვიმყოფებით. ესაა უთანასწორო და დაუსრულებელი ომი თვითგადარჩენისთვის, სადაც სიტყვაც ბრძოლის სრულუფლებიანი იარაღია. მთავარია გვახსოვდეს მარტივი ჭეშმარტება: „ჩვენ ვიდრე ვიპრძვით, იქამ-დე ვართ ანგარიშგასანევი მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც...“ (ო. ჭილაძე). „რუსოფონბიაც“ ბრძოლის ის ფორმაა, რომელმაც უშედევოდ არ უნდა ჩაიაროს.

ამირან არაბული

„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო...“

„გაგიცვდა, საქართველოო,  
მეფის ერეკლის ხმალიო“.  
ხალხური

„ირუბაქიძემ იგრძნო სიკვდილი – და კედლიდან უე-  
ცრად ხმალი ჩამოვარდა. ხალიბის რკინა ორად გადატყდა“.  
გრ. რობაქიძე

„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.  
წარწერა ერეკლე მეფის ხმალზე

საქართველოს ისტორია, დღიდან დასაპამისა, გაუთავებელი  
ომების, უწყვეტი სისხლისღვრის, შინაურთა ღალატისა თუ უცხო-  
თა მოძალების, უმოწყალო რბევა-ანიოკების, მრავალი საარაკო  
გამარჯვებისა და, ასევე, არაერთი მწარე მარცხის მრავლისმეტყ-  
ველი ისტორია.

რა ჯურისა და ჯილაგის მტერთან ალარ უომიათ ჩვენს სახელო-  
ვან წინაპრებს, სად აღარ უღვრიათ და უნთხევიათ სისხლი ქველ  
ქართველ მეომრებს და, მაინც, მიუხედავად ენითუთქმელი, შემ-  
ზარავი ავბედითობებისა, სასწაულებრივად გადარჩა და დღემდე  
მოვიდა ჩვენი ჯიში და გენი – არ გავწყდით, არ გადავშენდით,  
ავისმსურველთა გულის გასახარად არ დავიწრიტეთ...

რამ გვიშველა, რამ გვიხსნა და გადაგვარჩინა, რა იყო ის ძალა,  
რისი წყალობითაც შევინარჩუნეთ მამული, ენა, სარწმუნოება,  
ეროვნული მეობა, სახე და ნიშატი; ვინ იყვნენ ის ჩაუქი ვაჟკაცე-  
ბი, ომში შესვლა (**„შთაბრიალება“**) ლხინად რომ უჩინდათ, ომახი-  
ანი სიმღერით და თავზარდამცემი ყიუინით რომ ხვდებოდნენ

მტრის ურდოებს და სამარადისოდ ხუჭავდნენ თვალს სისხლით გაბასრულ ბრძოლის ველზე. ღვთისაგან ერთგზის ნაბოძები საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ მამულის ღირსებას, კაცობის ძარღვს; წარბმეუხრელ, უშიშარ, გასალკლდევებულ ებგურებად იდგნენ მშობლიური მიწა-წყლის სადარაჯოზე და დღემუდამ ფხიზ-ლობდნენ, რათა საკადრისი მიეზღოთ თავაშვებული, გავეშებული, სულით და სახით ბარბაროსი მოძალადისთვის...

ჩაიარეს ცოდვა-ბრალით აღსავს ე წლებმა და საუკუნეებმა; უამთა უსასრულობაში კრიალოსანივით ჩაიმარცვლა უთვალავი დღე და ღამე; იშფოთეს და იბობოქრეს აშარმა ქარაშოტებმა; სისხლის წვიმებმა წითლად ღებეს მდინარეები; ძირისძირობამდე დაალბეს და გააჟიეს ჩვენი სათაყვანო მთა და პარი; „**ძლევაი საკვირველიც**“ გამოგვიცდია და დამარცხების ბალლამიც გვიგემია; დიმიტრი თავდადებლებიც გვყოლია და მოღალატე, ქვეგამხედვარი ყორლანანაშვილებიც...

„**სათქმელად ადვილია, საქნელად – ძნელიო**“, – შეგვახსენებს სალეური სიბრძნე.

მართლაც ძნელია (შეუძლებელი თუ არა!), გონების თვალი ჩაადევნო უმთენარო საუკუნეების სილრმეებს და ცხადლივ გაისიგრძეგანო დიდი თუ მცირე მასშტაბის ისტორიული მოვლენების თავი და ბოლო, საწყისი და კენწერო, მატიანეებში ამოკითხულით აღადგინო და გაინამდვილო საქართველოს შორეული წარსულის მართალი, რეალისტური სურათები...

„...დაითვრნეს ისარნი სისხლითა და ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა“, – იტყვის მემატიანე და ამ ლაკონიური მხატვრული პასაუით (ეპიური ტილოს ტოლძალ სათქმელს რომ იტევს) ხაზს გაუსვამს არა მხოლოდ ქართველ მებრძოლთა ვაკეაცურ შემართებას, არამედ მათი იარაღის არაჩვეულებრივობასაც.

მტრის ძლევის სურვილით გახელებული ხმალი, ვითარცა იმედი, შემწე და მეოხი თავისი პატრონისა, დაუნანებლად მუსრავს მონინააღმდეგეს; მეომარი თითქოს აღარც ჩანს, ფხამოპირული მახვილი გამოსულა ასპარეზზე და მნარე დღე გაუთენებია გადამთიელთათვის...

„**მჭრელი და ფხაშეუშლელი**“ ფრანგულის, გორდას, ჭარულისა თუ დავითფერულის გამონაკრთომი ელვითაა განათებული ქართ-

ლის ცხოვრების „დიდი დამეები“, ლუსკუმი, უჩინ-უკუნი ხრამები და ხეობები, სავალად ძნელი საცალფეხო ბილიკები და სახიფათო გზა-ხვეულები... განათებული და გათენებული!..

ამიტომაც სარგებლობს ხმალი ქართველი ხალხის განსაკუთრებული, კრძალული სიყვარულით; ამიტომაც ქმნიდნენ უსახელო მთხოვნელნი თუ მელექესენი „ხერხემლის მაღების გამკვეთი“ პირ-შეურცხვენელი ხმლების შესახებ რეალური საზრისით დაუჯერებელ ამბებს, ლექსებს, ლეგენდებს...

ეთნოგრაფიული ცნობით, ხევსურეთში ხმლებს ორ რიგად ყოფილნენ: „ჯიშიანი“ და „უჯიშო“. ჯიშიანი ხმლები იყო „ფრანგული“, „დავითფერული“ და „გორდაფრანგული“. ეს ხმლები გამოირჩეოდა ჭედის სიმტკიცით, ჭრით, ფოლადის მაღალი ხარისხით. უჯიშო ხმლებად ითვლებოდა „ჭარული“ და „ლეკური“. ჯიშიანი ხმლები გაცილებით ძვირად ფასობდა, რაც მათ აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს.

წარმოდგენას ხმლის ჯიშიანობასა და უჯიშობაზე პოეტურ სიტყვაშიაც უპოვია გამოძახილი:

ხმალსა ჯილაგად იყითხვენ,  
მემრ იყიდიან რკინასა,  
მაამებს შენისთანაი,  
არ ჰკარგავს თავის ჯილაგსა...

უსულო საგნების სახელდება „ჯიშიანად“ და „უჯიშოდ“ ანალოგიურია ამიერ საქართველოს მთიელთა გენეალოგიური სტრუქტურისა თუ დიფერენციაციისა. ადამიანთა საზოგადოების წარმომადგენელთა „ჯიშიანობისა“ და „უჯიშობის“ ნიშნით დაყოფის ძველთაძველი წესის გადატანა და გავრცელება საომარ იარაღზე რამდენადმე უჩვეულო, მოულოდნელი და, ამასთან, მრავლისმთქმელი ფაქტია!..

შვილივით უვლიდა და ეფერებოდა ნიადაგ მტრის მომლოდინე ქართველი თავის პირბასრ, ჯაჭვის მჭრელ ხმალს; „დღე-შუ“ ლესავდა, უმარილო დუმით პოხავდა, აპრიალებდა, ფერავდა, უანგის ნასახს არ აკარებდა და „სამამაცოს“ მხარეს, გამოსაჩენ ადგილას კიდებდა საცხოვრებელი სახლის კედელზე ანდა დედაბოძზე...

ჩამორეკდა ძნელბედობის უამი, ჩამოივლიდა წერამწერელი, „სისხლის მწვიმელი ღრუბელი მოეფინებოდა ქართლსა ზედა“, კალიასავით მოედებოდა მტერ-დუმშინის „ვარსკვლავთაებრ ურიცევი“ ლაშქარი ყოვლადნმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას და მუხლში ქარჩამდგარ ხვადებზე ამხედრებულ მოყმეთა მზერაში რისხვის ნაპერწკალი გაკრთებოდა...

მიდიოდნენ „არწივების ასაფრენი“ მჭექარე სიმღერებით და ხშირად ნასულთაგან ამბის მომტანილა თუ გადაურჩებოდა ფიცხელ, ხელჩართულ ბრძოლას...

უტეს სულებში სამშობლოს სიყვარულის სხივი ღვიოდა და, აბა, უცხო თესლისა და ტომის სათარეშოდ ვინ აქცევდა „სამშობლო დედის ძუძუს“! ფანატიკური ერთგულება ყოველივე მშობლიურისა, ქართულისა, თავგადაკლული ტრფიალი წინაპართა ძვალ-სისხლით განედლებული მინისა პირადულს ავიწყებდა ჭეშმარიტ მამულიშვილებს... სისხლის მენამული მელნით იწერებოდა მრავალტანჯული, მუდამ ვერაგულად ნაღალატარი, ობოლი და მიუსაფარი, მაგრამ ღვთისმშობლის მიერ გამორჩეული ქვეყნის ისტორია.

ნუგეშად და სამომავლო ზნეობრივ გაკვეთილად რჩებოდა ქვაში ამოკვეთილი ეპიტაფია: „ჰო, მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო, ნუ ვინ გაგვიცუდებთ ჭირნახულსა ამას ჩვენსა, რამეთუ აღვესრულენით სამშობლოსა ჩვენისათვის და დავსთხიეთ სისხლი ჩვენი“.

გრძელდებოდა საომარ ლელოზე თავის ცდა და თავდადება. დადგებოდა „ახლების“ ჯერი და ვაი მას, ვინც ვერ ივარგებდა, შიშ-სა და ლაჩრობას დაიმჩნევდა, ლირსეულ წინაპართა გვარსა და სახელს მოაყივნებდა!

უნდილი, გულდედალი, მექალთანე კაცის სიცოცხლეს ასწილად ჯობდა სიკვდილი... „სიცოცხლით სიკვდილიანს“ ყველა გაურბოდა, ერიდებოდა, სათოფეზე არ იკარებდა...

გულზე ჯვრით და ხელში ხმლით (გავიხსენოთ გრ. რობაქიძე: „ჯვარი“ და „ხრმალი“ – ორი ნაკადი საქართველოს თავგადასავლისა. „ჯვარი“ – სიწმიდე მისნური, „ხრმალი“ – შემართება რაინდული. „ჯვარი“ და „ხრმალი“ ერთიმეორეს ეულლებიან. შეულლებულთ გააქვთ ლელო“) მიაგელვებდა მუხლად ბედაურს ქორისთვალიანი

ქართველი, „უშიში, ვითარცა უხორცო“; წინ მიუძღვდა „დროშა სვიანად ხმარებული გორგასლიანი და დავითიანი“; გულის ფიცარზე ჰქონდა ამოჭდეული სამშობლოსათვის თავგანწირვის მაღალი შეგნება; მიდიოდა ისე, თითქოს საქორწილო სუფრა ელოდა; ჰქონდა დარდი შინ დარჩენილი მშობლებისა, ცოლ-შვილისა, მაგრამ ერის განსაცდელთან პირადი საწყზარი რა სათქმელი და სახსენებელი, რა მოსატანი იყო!..

სასიკვდილოდ გადადებულ ვაჟეაცს, სააქაო პირი რომ ალარ უჩანდა, მარჯვენა ხელში ხმალს მისცემდნენ, მარცხენაში – სანთელს, რათა ასე, ხმალდახმალ, სანთლის შუქით გაეგნო და გაეკვლია სულეთის გზა. ამ ამაღლებული ხალხური ჩვეულებითაა შთაგონებული გიორგი ლეონიძის „რაინდის ეპიტაფია“:

შიშველ ხმალს ხელში აძლევდნენ  
სულთაბრძოლის დროს ვაჟეაცსა,  
რომ სიკვდილისთვის დაეკრა,  
მზე არ დაეთმო კაშკაშა!..

მრავალ კაი ყმას იცნობს საქართველოს ისტორია, მრავალიც უცნობი და თვალსმიფარებულია, მემატიანე ყველას და ყველა-ფერს როგორ განვდებოდა, როგორ მოიხსენიებდა! იყვნენ ჩინიანნი და უჩინონი, დიდგვაროვანი და მდაბიონი, ვის მკერდშიც მამულიშვილის უშიშარი გული ძგერდა, ვინც მინყივ მზად იყო, პირველს შეელენა მტრის მენინავე რაზმი და სულ ბოლოს დაეტოვებინა სისხლით დაღარული და დაღვარული ველი ბრძოლისა...

და ბრწყინავდა მათი სახელები, „ვითარცა მთიებნი განთიადისანი“.

უჭირდა თუ ულხინდა, გლოვის დღე ედგა თუ სიხარულისა, მღეროდა ქართველი; სიმღერით ჯაბნიდა და იქარვებდა შეუმჩნევლად შემოჩვეულ, განუშორებლად თანმდევ მწვავე წუხილს; პირტუქსი სიკვდილის ზაფრასა და მუქარას.

„პიროფლიანთა“ ხელში ლალობდა ხმალი:

პირიქით პოხილაური  
ამაამღერებს ხმალსაო...

გაუბზარავი სულის სიმედგრე ზარავდა დუშმანს; ზარავდა მას, ვისაც მსგავსი რამ არ ენახა, არ მოესმინა, არ განეცადა... თუ არა

ქართველს, სხვას ვის ძალუძს, უაღრესი სულიერი სიმძიმილის, შეჭირვების და, ამასთან, შინაგანი განწმენდისა და გასულფონების წუთებში, მაშინ, როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, და-აგუგუნოს ურუანტელისდამვლელი, თვისტომთა ტრაგიკული ხვე-დრის შეგრძნებით და ძირსდაუხრელი იმედის უჩვეულო განცდით გაჯერებული სიმღერა...

**დაუკარით, რომ ძეელ ხანჯალს ელდა ეცეს,  
გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს,  
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,  
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს...**

ასე იყო 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ღამეს. სახელდაურქეველმა სისასტიკემ ვერაფერი ავნო, ვერაფერი დააკლო ლოცვად მუხლმოყრილი საქართველოს სიმღერას. ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონი გამარჯვებას ზეიმობდა ყვავ-ყორნების გუნდივით მოულოდნელად შემოშავბნელებულ ტანკებზე, ტირანიაზე, იმპერიის სატანურ სულზე...

ლვთის წყალობით, ჯერაც სალია და უტყუარი საფიცარ წინაპართა გენეტიკური კოდი... იგი არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ მდინარენი აღმა დაიწყებენ დენას, სანამ „**მიწას პირსა ჰბანს ნამია**“...

კარგ მეომარს საჭურველიც სახელისა და დამსახურების შესატყვისი ჰქონდა... საქორნილოდ შემზადებულ მაყარს ჰგავდა რჩეული ვაჟვაცების მხედრიონი... მიდიოდა საპრძოლველად „**ქორ-შევარდნების გუნდი**“ და მტრის მზირითა თუ რაზმით ჩახერგილ გზა-სავალს ხმლებით მიჰკაფავდა და მიიკვლევდა...

წილად ამოხდებოდა დაღლილი მზე.

საომარი ლელოდან ნიავს მოჰქონდა სისხლისლვრის ამბები:

**ომში ჩავიდეს ახლები,  
წევპა ამადის ხმლისაო...  
ლემადეს ამამდინარსა  
კვნესა ამაჰყვა მტრისაო...**

ან კიდევ ასეთი:

**ხმალმა დაყარნა ვადანი,  
სისხლმა დაფერნა ფხანია...**

ჭარმაგი ქართველი, არაერთგზის ნაკეჭნი და ნაომარი, უღონ-კრო, მაგრამ მაინც ამაყი და გულოვანი, კვდებოდა ისე, თითქოს კვლავ ომის კარს შესვლა და მტრისთვის ქნევაში ხმლის გაცვეთა უნევდა; კვდებოდა ლამაზად, მშვიდად, ღირსეულად... მრავალ-თაგან ერთი ტიპიური შემთხვევის გახსენებაც იკმარებს: „თუშე-ბის ლექსებ სრუ ქალების ნაუბარი. „თუშის ქალებმავ ჯერ ლექსებ თქვიანავ, მემრ სახელ ქნიანავ თუშებმავ“. ერთხან ქალებს სიმღერე უთქმავა-დ შაუქავ ერთ თუში. თუშს მასწონებივ: „ნეტავინავ ცდის დღეიმც მამცავ!“ – უთქმავ, გაუკრავ კმლისად ჭელი და გაფრენილ ბანზეითა. ის თუშ მამკვდარ მაშინა და იმის შემდეგ მაუშლავაც ქალებს სიმღერების საუბარი“ (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 367-368).

ყველას როდი შეეძლო სისხლმოწყურებული ხმლის გაძლოლა და ღირსეული მხედრობა... პატრონის უბადლო ვაჟკაცობის წყალო-ბით ხალხი მის ხმალს ზებუნებრივ თვისებებს მიაწერდა. ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ გადმოცემა მთიელთაგან წმინდანი შერაცხილი („მირონი წევე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო...“) ერეკ-ლე მეფის ხმალზე: „ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემორტყისო. ერეკლე როცა ლოცვაზე დაიდგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა გმალსათ“ (ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931, გვ. 365).

ცნობილია გადმოცემები, სადაც სახელმოხვეჭილ ყმათა „ნანი-ლიანი“ (ლვთიურ ძალასთან წილნაყარი) ხმლების სასწაულებრივ ძალაზეა საუბარი. „ხევსურული პოეზიის“ შენიშვნებსა და ვარიან-ტებში აკად. ა. შანიძე წერს: „...ეს შალვათ ხახონი გათქმული ჭევ-სური ყოფილა, 19 ქისტის მომკვლელი. ამისი ჭმალი დღესაც წმინ-დად მიაჩნიათ. ხევსურებმა მითხრეს, „ნანილიან-დავლათიანიაო“. მელოგინეს თუ გაუჭირდა, ჩაჰრეცხავენ ხახონის ჭმალს, დაალე-ვინებენ მელოგინეს, უვეჭველად უშველისო“.

ლოკალური სახალხო გმირის ნაქონი ხმლის ზებუნებრივი თვი-სებაა აქცენტირებული პოეტური ფოლკლორის შემდეგ ნიმუშში:

ნეტარ არ გამახყიდდესა თილისძენ გორგის ჭმალსაო?  
თუ გამახყიდდეს, ვიყიდდი, მივსცემდი ცხვარსა-დ რვალსაო.  
ჩაგზდებდი ციხის ლიბუში, გაიმაგრებდა ქავსაო,  
ლიბუში რო იქნებოდა, ლეკებს მისცემდა ზარსაო...

მსგავსი მოტივი სხვა ლექსებშიც გვხვდება:

ბორბალ აგებენ ციხესა ბროლმარილაის ქვისასა,  
ლიბუდ უსხემდეს ვადათა ხახიკთ ხახონის ხმლისასა...

„ნაწილიან“ ხმალს, მთხრობელთა ღრმა რწმენით და ბეჯითი  
მტკიცებით, წინასწარმეტყველების მაგიური უნარი შესწევს; იგი  
წინდაწინ „გრძნობს“ საპელისწერო დღის დადგომას და მოსვე-  
ნებას კარგავს, ქარქაში აღარ ჩერდება. ასეთი ხმალი ჰქონია  
„მტრის ურჩისა“ და მამაც მეომარს გუროელ მამუკა ქალუნდაურს,  
თავადაც იღბლიან-ყისმათიანს, მცურავი ჯაჭვის პერანგის პატ-  
რონს, ზურაბ არაგვის ერისთავის ჯარის დამმარცხებელს. ერთხ-  
ელ მამუკა ქალუნდაური სათიბზე ყოფილა. უთქვამს მთიბლების-  
თვის: – ხმალი ქარქაშიდან მაღლა იწევსო! არ დაუჯერებიათ.  
– აგე, მეორედ ამაიწიაგ!.. არც ახლა დაუჯერეს. მერე მთიბლებმაც  
ნახეს, რომ მამუკას ხმალმა მართლა ამოინია ქარქაშიდან და თან  
სისხლი ამოჰყავა... წამოსულა მამუკა. გაუგია, რომ მექობაურებს  
ცხვარი გაელადათ ხევსურეთიდან. მიჰყოლია კვალზე. დასწევია...  
მექობაურებს თოფი ჰქონიათ. ეს მამუკას არ სცოდნია. უსროლიათ  
და მოუკლავთ ქალუნდაური. შეუხსნიათ ხმალი, გაუხდიათ ჯაჭვის  
პერანგი და წაულიათ. ჰქონანგი მიწაში დაუმარხავთ – არ გაქანდე-  
სო, ხმალი ხეში ჩაუსვამთ – აღარ ამოეწვადოსო...

მამუკაზეა ნათქვამი:

ბეგენგორ ქალუნდაური  
ყორნის გრილოებს ხყვებისა...

ომი რომ ახლოვდებოდა, „ნაწილიანი“ ხმლები კაცის ხელუხ-  
ლებლად, თვითონ იწევდნენ ქარქაშიდანო, – გვიამბობდა გუდანში  
გიგია ჭინჭარაული; აკუშოელ ბაჭყურათ აპარეკას ჰქონდა ასეთი  
ხმალიო; თექვსმეტ ძროხას აძლევდნენ „ნაწილიან“ ხმლებშიო...

სახელოვან ხმლებს შორის მოიხსენიებდნენ ხევსურეთში აბას „პანარაულას“ და ყურაულთა „ფრანგულს“.

წიგნში „მთას ვიყავ“, ალ. ჭინჭარაული მოგვითხრობს: „საქვეყ-ნოდ გახლდათ განთქმული აბას ხმალი ბანარაულა. აბამ თავის წვრილ ხმალს დაარქვა თურმე პირველად ბანარაულა, შემდევ მრა-ვალ ომში ისახელა თავი ამ ხმლით და მისი ხმლის “თიკუნი” ხევ-სურეთში კარგი ხმლის ეპითეტად იქცა“.

„გუდანელნი ყოფილან ყურაულნი... მათ ჰქონდა ერთი ფრანგუ-ლი ხმალი. ეს ხმალი სახელგანთქმული იყო იღბლით. ვინც ამ ხმალს ომში შეიტანდა, ის აუცილებლივ მშვიდობით და გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ. ეს იყო ხმლის იღბალი“.

აბას ხმლის შესახებ ხალხური ლექსიც არსებობს:

აბაის ბანარაულსა  
გემოზე უქრავ ძვალიო...

ხევსურულ ხმით ნატირალში ნათქვამია:

...ბანარაულას პატრონ უნდაო,  
მასწყურდა სისხლი, ვეღარ შასვაო...

თემ-სოფლისა თუ კუთხის წინაშე სათანადო დამსახურების წილ ესა თუ ის საომარი იარაღი ხელშეუხებლობის, შეუვალობის „გარანტიით“ სარგებლობდა: აკრძალული იყო მისი გაყიდვა, გასხვისება, სისხლ-მესისხლეობის ნიადაგზე დადებულ ვალში ან „ალმანიაში“ წართმევა („ხმალს წუ გაიღებთ სხვაგანა, ნარტყამსა კაის ყმისასა“, – გვმოძღვრავს ხალხური ლექსი).

ვაჟა-ფშაველა წერს: „მოკლულის ნათესავნი მკვლელს იმ შემ-თხვევაში, როდესაც შერიგება მოხდებოდა, თავსისხლის საფასურს გარდა გამოართმევდნენ იმ ნივთს, რომელიც კი მოეწონებოდათ მოკლულის ნათესავებს; დამნაშავეს უარის თქმა არ შეეძლო. ამ ჩვეულებას „ალმანია“, „ყისტი“ ჰქვიან, „ალმანის“ გაღება... ალ-მანიდგან იყო განთავისუფლებული ზოგი სახელოვანი იარაღი, ისეთი იარაღი, რომელიც ომის, ლაშქრობის დროს პატრონს ასა-ხელებდა. ხევისბერი დაჰლოცავდა ხმალს ან თოფს სახელოვანს

და შეაჩვენებდა, „დაარისხებდა“ იმას, ვინც ალმანიაში წაართ-მევდა ანუ „ყისტად მოუდებდა“ მის მექონეს ამ დალოცვილს იარაღს. ამგვარი იარაღი ბევრი იყო ფშავში და ერთი დღესაც არის, რომელსაც ბათურის (კაცის სახელია) ხმალი ჰქვიან“.

მწერალი იქვე მოგვითხრობს ლეკების ჯარისგან ივრის ხე-ობის გათავისუფლების საქმეში ბათურისა და მისი ხმლის უდიდეს დამსახურებაზე...

ხალხში გაგონილი თქმულების საფუძველზე ვაჟა-ფშაველამ შექმნა შესანიშნავი მოთხრობა „ბათურის ხმალი“. ნათელმხილ-ველი შემოქმედის უსაზღვრო ფანტაზიამ სასურველი განი და სიღრმე შესძინა მშობლიურ გარემოში მოსმენილ მომცრო ამბავს, ხიბლი და მშვენება შემატა სასიქადულო გმირის უჩვეულო, ღვთივებული იარაღს.

ქალუნდაურის „მგრძნობიარე“ ხმლის დარად, ბათურის „და-ობლებული“ ხმალიც „ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწობს, მიცვალებულის გვერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდის“ (შდრ. ვაჟასავე პოემიდან „გიგლია“: „ქარქაში აღარ დგებოდა ბასრი ფრანგული ხარისა“).

სამზეოზე დარჩენილი ხმალი ბათურისა ერთთავად მგლოვიარე და დაღონებული იყო.

„ოჯახი ამ ხმალზე ლოცულობდა, იგი სალოცავ ხატად მიაჩ-ნდათ, მით უმეტეს, რომ მთელი ქვეყანაც ასე ფიქრობდა“.

ბათურის ვაჟები ვერ ბედავდნენ, თავს ლირსად არ თვლიდნენ, მამის ხმალი ტანზე ეტარებინათ.

დედაბოძზე მიკრულ ირმის რქაზე დაკიდებული ხმლის სანა-ხავად მისული ხალხი კრძალვითა და მოწონებით სინჯავდა ბა-თურის ოჯახის ამ ფასდაუდებელ „რელიქვიას“. შევაჭრებას ვინ გაბედავდა! „ეს დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა ოჯახისა, თითქმის კაცის კვლასთან შესადარებელი“.

ბედნიერი იყო ოჯახი ამ ლამაზი ხმლის წყალობით, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. იარაღს მოუსვენრობა დაეტყო – ღამით, როცა ყველას ეძინა, ღველფი მიქრებოდა და დარბაზში წყვდიადი გამეფდებოდა, ხმალი თავისთავად ამოენ-ვდებოდა ქარქაშიდან და ჰაერში ნავარდს იწყებდა... ამ ამბავმა ოჯახის წევრები საგონებელში ჩააგდო. აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

ბოლოს სეთურმა, ბათურის უმცროსმა შვილმა, ხმალი კიდობანში მოათავსა. არც ეს ენამლა ხმლის დაუდევრობას. ღამ-ღამობით „კიდობნიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ულარუნი, დაჭრილთა კვნესა, ხმა ლოცვა-მუდარისა, ცოდვათა მიტევებისა“. და ეს ყველაფერი ხმალს ედებოდა ბრალად...

სეთურმა მკითხავს მიმართა. მკითხავმა თქვა: „—ხმალს ლაშარის ჯვარი თხოულობსო. ხმალი ძალიან დაღონებულია, რომ უქმად არი და ომში წამდები არავინ უჩნდებაო; ლაშარის ჯვარი ბრძანებს, თავად მე ვუპატრონებო...“

დღოშის თანხლებით წააპრძანა ხევისბერმა ბათურის ხმალი ლაშარის ჯვარში. ბათურის სულის სახსენებლად და მისი ხმლის სა-დიდებლად დაკვლა რამდენიმე საკლავი...

იმ დღიდან შეწყვიტა ხმალმა მწუხარება, „რადგან მას ომში ყოფნა ხშირად უხდებოდა და მუდამ ღირსეული გმირის ტანს ამშვენებდა“.

გადამდებია უპატრონობით დაღვრემილი და დაბეჩავებული ხმლის განუზომელი კვნესა და ტკივილი. მრავალ ომში გამოვლილ იარალს კვლავ საბრძოლველად მიუწევს გული. უმძიმს უქმად ყოფნა, ოთხ კედელშუა დაუსრულებელი ტყვეობა. ამიტომაც ბობოქ-რობს, გლოვობს, იტანჯება. უმოქმედობით პირზე უანგი ეკიდება, ისევე, როგორც სახნისს, რომელსაც გაზაფხულის უუჟუნა წვიმით დამბალი მიწის გაპობა მონატრებია, მაგრამ, აგერ, უკვე მერამდენე წელია, უძრავად აგდია სადღაც ბნელსა და ნესტიან კუთხეში.

ჯერ ისე არ დავრდომილა და დაბერებულა, მტერს შიშის ურუ-ანტელი არ მოჰვაროს. აგონდება წარსული და ნიადაგ ომის წყურ-ვილი ტანჯავს...

გავიხსენოთ ხალხური პოეზიიდან:

ბეთლემის კარზე ჰეკიდია  
ვოუა ჯურხას ფარიო,  
მაუელის ომის წადილი,  
ხანდისხან შასძრავს ქარიო.

(ალ. ყაზბეგის მიერ ხევში ჩაწერილი ამ ლექსის შესახებ „ხალხური პოეზიის“ (თბ., 1961) წინასიტყვაობაში ვახტანგ კოტეტიშ-

ვილი წერს: „...ვინ იცის, რამდენი ცვლილება განიცადა ამ ლექსმა, ვიდრე ამ მტკიცე ფორმას მიიღებდა, რომლის გარღვევა აღარ შეიძლება. მიქელანჯელო რომ ამბობდა, ქანდაკება ისე უნდა გა-აკეთო, რომ მთიდან დაგორებულს არაფერი უნდა მოტყდესო, ასეთ მტკიცე ფორმას გულისხმობდა“).

თავ-თავიანთუბედობასთან ერთად თითქოსუერთმანეთობაზეც წუხან ბათურის ხმალი და ოუა ჯურხაის ფარი. მამულის დაცვისათვის ბრძოლაში მონანილეობისა და თავგამოდების მძლე სურვილი მოურჩენელ სენად შეჰერია ორივეს; მართალია, ლომ-გული პატრონი აღარც ერთს ჰყავს და აღარ მეორეს, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავენ იმისას, რომ, ადრე თუ გვიან, გამოჩენდება სვილისფერი მოყმე, რომელიც ღირსი იქნება მათი ტარებისა და მოხმარებისა.

რახან ვაჟას მივმართეთ, უპრიანია აქვე ვახსენოთ 1890 წლით დათარიღებული მისი ერთ-ერთი სანარჩევო ლექსი „ჩივილი ხმლი-სა“. დაუანგებული, ქარქაშდაობებული გორდა ყვება:

— სადღა მყავს, ძმაო, პატრონი,  
შამქორს გავწირე მკედარია,  
ორმოცგან სჭირდა ნახმლევი,  
სდიოდა სისხლის ღვარია,  
ომში წინ წასელა უყვარდა,  
ხელთ დაბლუჯული ფარია...

მერე კი მწარედ მოთქამს და ვალალებს თავის „უშნო“, უნუ-გეშო მდგომარეობის გამო. მაინც რა მოხდა? რა და, ლაჩრებმა კე-დელზე დაჰკიდეს, მისთვის ველარავინ იცლის, ვინაიდან „ქვეყანა იქცა დუქნადა“. მზეთამზე თამარის სამეფო გვირგვინის ღირსების მსახური ახლა, ამ უგვან დროში, გზირ-ნაცვლების ხელთ მოხვედ-რილა და „არშინისა“ და „ჩოთქის“ გვერდით ყოფნა რგებია წილად.

თავმომწონე გორდასთვის ამაზე შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი რალა უნდა იყოს? შვიდი საუკუნე ისე გავიდა, დუმით ერთხელაც არ გაპოხილა, არ „ულესია ქართველსა დალილინებით ჩუმითა...“

ვაჟა-ფშაველას პოეტურ მემკვიდრეობაში ხმალი, სხვა საჭურ-ველთა შორის, შეიძლება ითქვას, უპირველეს ადგილზე დგას. იგი,

ერთი მხრივ, სევდა-სიხარულის განცდის კაცებრივი უნარითაა და-ჯილდოებული („პირდაპირ დაყუდებული უანგდება მისი ხმალით, მოსვენებასა თაკილობს, ცრემლსა ლვრის, როგორც ქალიო“, „ხმა-ლი რას შვრება გიგისი, ფრანგული გველის-პირისა? – სამჯერ იღ-ვრება დღეშია, უგიგიობას სტირისა“; „...აბა, დაპევლიე, უტირნავ, ცრემლი აქვ პირზე მცვრეული!“... „...გაუსტა ხმალ-მოლერებით, ფრანგულმა გაიცინაო“, ხოლო, მეორე მხრივ, სხივოსნობაში გამ-ჟღავნებული რჩეულობის ნიშნით არის აღბეჭდილი („ხელი გაიკრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო“; „აფშინას ბანარაულის შუქი შორს გაიფინება“; „იმათი ხმლების პრიალი კლდეებს აშუქებს შუ-ქითა“; „ხმალს აპრიალებს გორდასა, მაზედ ნათელი ჰაფენია“)...

ბარიდან მეფე ერეკლეს ბარათი მიიღეს ლიქოკელებმა:

ჩამოდით, ხევსურთ ვაჟებო,  
ხმლის ქნევა თქვენი ჯერია.  
ქალაქის მიდამოები  
ურჯულოს დაუჭერია...

ატყდა ძახილ-ძუხილი... დაიწყო ფრანგულების ლესვა, შუბების წვერვა და ჯაჭვის პერანგების კერვა... ლაშქრად წვეულ ახალუხ-ლებს „სალუდე ქვაბის დუღილი“ ჩაუდგათ გულში...

ერთადერთი, ვინც ამ დროს ლაჭანზე წევს და წინ „პიტალო ნალველ-ძმარის“ ტაბლა უდგას, ვისაც მზის სხივის და მთვარის სინათლის ნახვაც აღარ სურს, ძაღლიკა ხიმიკაურია, სიმამაცით ცნობილი ვაჟკაცი და მოლაშქრეთა წინამდგომი... ხირიმ-მაჟურებით და ხმალ-ხანჯლებით აღჭურვილი მხედრები ლიქოკის ჭალაში მოგ-როვილან... ელოდებიან მეთაურს, რომელსაც თვისტომთა მუდარა არ ესმის და მოუდრეკელ ციხედ დგას, უარს ამბობს საომრად წას-ვლაზე... ბერდია ბაძურაულის შვილთან საუბარში ამჟღავნებს ხი-მიკაური თავისი უგუნებობისა და გულისწყობის მიზეზს:

თუკი ლაშქაში ვუნდოდი,  
რად გამამართვა ხმალია?!

იქვე ამბობს, რომ მეფეს მისთვის წელზეით ხმლის შეხსნა არ უნდა ეკადრებინა, ხმლისა, რომელიც პატრონს „სახლ-კარს და ცოლ-შვილს ერჩივნა...“

მხედრები რომ ვერაფერს გახდნენ ძალლიკასთან, ახლა დი-აცებმა დაუწყეს „შეგმობა“ და დამუნათება, მწერელჩვილი ქალი-ვით საბურჟეს ჯდომა რა ვაჟუაცის საკადრისია!

ავი სიტყვის თქმაში არც ცოლი – კმარა – ჩამორჩა სხვებს:

**სიკეთე ხმლისა რას გიშველს,  
თუ გულ არ გიძე მწვავია?..**

ცოლის საყვედურს ვეღარ გუძლო ძალლიკამ, მოიკითხა თავისი ნიავქარივით ცხენი, დაისურა ჩაჩქანი, ტანთ რვალი ჩაიცვა, წელზე ხის „ნადურდნი“ ხმალი შეიბა, ასპინძას ნაშოვნი სპილოსტრიანი ხანჯალი ჩამოიკიდა და ფშაველ-ხევსურთა ჯარს შეუერთდა...

დიდუბეში დამდგარ მთიელთა ლაშქარს „**მზე-მთვარის მინაგვარი**“ ბატონი – „**ლომი ქართლისა**“ – გამოეგება... სათითაოდ ჩამოუარა მხედრებს, და ჩვეულებისამებრ, ხმლები გაუსინჯა. ჯერი ხალხის უკან მდგომ, თავდახრილ ხიმიკაურზე მიდგა... ხის ხმლის ხილვაზე მეფე გაოცდა, შუბლი შეიკრა, მერე ღიმილი მოერია და მხლებლებს უბრძანა, ჩამოეტანათ ხიმიკაურის ხმალი.... „ბრიყვი“ ხევსურის ხერხმა გაჭრა. უკან დაიბრუნა მრავალ ბრძოლაში ნაელვები თავისი იარალი!.. სიხარულისგან გადარეული ხიმიკაური ჰკოცნის და ხელ-მუხლზე ეხვევა ერეკლეს...

ახლა კი –

**აღარ ეყოფა ძაღლიკას  
მტრის ჯარი შესახვრეპადა!**

ვეფხვად ქცეული მეომარი ისე ჰკაფავს მტრის ჯარს, როგორც „**ანნლ-ღოლოიანს...**“

ომში გამოჩენილი შეუპოვრობისათვის ქართლის ბატონი წვერამდე დაოქროილ თოფს ჩუქნის ძალლიკა ხიმიკაურს; თანაც თავისთვის ამბობს, რომ „**მაგისთვის ხმლის ჩამორთმევა**“ მართლაც რომ დიდი და შეუნდობელი ცოდვაა...

ზღაპრულ-ფანტასტიკური მოტივებით აღსავსე მოთხრობის „**ცრუპენტელა აღმზრდელი**“ მთავარი გმირი ციხელი ცნობისმოყვარე ბალლებს უყვება ცხოვრებაულისგან ნაანდერძებ „**აბჯარ-აბგარზე**“ და აღნიშნავს: „ხმალი გამოდგა ისეთი, რომ კამბეჩს შუაზე გაჰკაფავდა. სახელოვანი ომებში მე იმ ხმლით და ცხოვრებაულის

აბჯირით ვიყავი, როგორც გველის თვალს, ეხლა იმ იარაღებს ისე ვინახავ და ვუფრთხილდები...“

ეს „ენაადგმული“ ხმალი ქარქაშიდან ეწვდება, ტარით ხელში ეჩეჩება ციხელს და ეუბნება: „შენ, ეი, ციხელო, ძმობილო, სულეურთხეულმა გმირმა ცხოვრებაულმა როცა ჩემი თავი ჩაგაბარა, რა გითხრა? დაგავიწყდა? ამ ხმლით ეომე საქართველოს მტერსო, შენ კი დასდიხარ არხეინად, თხა-ცხვრებს უტრიალებ, მე კი უანგი მჭამს, ვგდივარ უპატრონოდ, მტერი კი ბევრია, ბევრზე ბევრი“...

ხმლის სასწაულებრივი ბუნება-ხასიათი, როგორც ვხედავთ, წარმოჩენილია ვაჟა-ფშაველას არა მხოლოდ პოეტურ, არამედ პროზაულ ქმნილებებშიც. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გულთმისანი შემოქმედისა და ნამდვილი მამულიშვილისათვის ფიქრი ვაჟაცის „მამშვენ“ აბჯარზე, სახელდობრ, ხმალზე, არ ყოფილა ოდენ წამიერი, მომენტალური მოვლენა. პოეტი უხმობდა და ეთაყვანებოდა გარდასული დრო-ჟამის გმირებს, აქებდა მათ სიმხნეს, სიმამაცეს და შორეულ წინაპართა თუ გუშინდელი დღის მედროშეთა საზეო საქმეებით შთაგონებული სიამაყით ამბობდა:

უფლის კურთხევა ანთა  
სამშობლოს მცველის ფარზედა...  
თამარ-დედოფლის ნაკოცი  
ბეჭდად უსვია ხმალზედა.

გმირის საომარი საჭურველის ზებუნებრივ მონაცემებზე მინიშნების თვალსაზრისით ვაჟას უკიდეგანო პოეზიაში მაინც ობოლ კვირიას მისნური სიზმრის ერთი ფრაგმენტი იმსახურებს მკითხველის საგანგებო ყურადღებას: მხედრების დაუინებული თხოვნის პასუხად მჭმუნვარედ მდგარი კვირია ყვება სიზმარს, რომლითაც, ფაქტობრივ, ნაწინასწარმეტყველებია ბახტრიონის ბრძოლის ბედი, ბარელ მოძმეთა მისაშველებლად დაძრულ ამაყ მთიელთა მომავალი. უჩვეულო ხილვა – „საოცარით“ შეძრული და შეფიქრიანებული გმირი ამბობს:

სამი დაენთო სანთელი  
ჩემის ფრანგულის ტარზედა.

## შუქი ციური ჯვარადა გამომესახა ფარზედა...

ეს უკვე ღვთის შეწევნა-წყალობის უეჭველი დასტურია, ეროვნული ღირსებისათვის მებრძოლ ქართველთა გამარჯვების უტყუარი ნიშანი. ღვთისმიერი ნება-სურვილის გამოცხადება სანთლისა და ჯვარსახოვანი ციური შუქის აღით ხდება, ხოლო სასწაულის წამიერი გამოვლინება თავიანთი სიწმინდით და მაღალი მისით ღვთაებრივ ძალებთან წილდებული ფარ-ფრანგულის მეშვეობით ხორციელდება...

სხვათა შორის, ნიშანდობივია ამავე ასპექტით შექსპირის „ორლეანელი ქალის“ ვაჟასეულ თარგმანში ითარგმნას მიმართვა მეფისადმი:

... სულ სხვა ხმალია ღვთისგან რჩეული  
ჩვენგან მტარვალთა დამარცხებისა.  
მე სიზმრით ვიცი, სადც ის ხმალია,  
თვით სასწაული მას აღმოაჩენს...

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: ქართველ მთიელთა სასულიერო ტექსტებში მოლაშქრე ღვთისშვილთა მოუცილებელ ატრიბუტებს შორის ინტენსიურად ფიგურირებს ფარ-ხმალი, როგორც ამ ღვთისშვილთა მეომრული ბუნების ხილული ნიშანი.

სხვა ღვთისნასახებთან ერთად ქაჯავეთზე მოლაშქრე გუდანის ჯვარს „დელამფარი“ (ღვთაებრივი ფარი) ამშვენებს. ქაჯათაგან ნასროლი უსურმაგის თავ-ფეხისგან ამ ფარით იცავს იგი „ანგელოზებს“.

თუ ქადაგი იტყოდა, „არხოტის ჯვარმ სისხლიან ჭმალ გამაილავ“, არხოტიონნი ურჯულოზე გაიმარჯვებდნენ.

„სალაშქრო ჭალას“ შეგროვილ ხევსურებს, რომელთაც მითხოზე თავდასხმა აქვთ განზრახული, თოთია გაიდაურის პირით გუდანის ჯვარი უცხადებს:

– არ მაქვის გამარჯვებაი, ნუ მიზდით ჩემნი ყმანიო,  
ერთის წლის ვადით მამეჭსნა ფხასისხლიანი ჭმალიო...

ლაშარის ჯვრის საყვარელი იარაღიც ხმალი ყოფილა:

**პირდაპირ უდგა გორზედა ლალი ლაშარის ჯვარია,  
თავზე ხურავის გვირგვინი, წელზედ არტყავის ხმალია!**

მაგალითების გაზრდა უსასრულოდ შეიძლება.

ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშებიც, ვფიქრობთ, სავსებით საკმარისია იმის საჩვენებლად, როგორი უქრობი შარავანდელით მოსავს ხმალს ზეპირსიტყვიერებასა და ამ ზეპირსიტყვიერების მდიდარი ტრადიციებისგან დიდად დავალებულ ვაჟა-ფშაველას მთელ რიგ შესანიშნავ მხატვრულ ქმნილებებში.

ხალხური პოეზიისა თუ მცირე მოცულობის ცნობა-გადმოცემების ანონიმი ავტორები და მათი გენიალური უბრალოებით გამორჩეულ ხილვა-ხედვის მაღლს ნაზიარები ვაჟა ერთმანეთს ეტოქებან და ტოლს არ უდებენ ქართველისთვის ესოდენ საამაყო და საყვარელი იარაღის ქებაში. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში იოლად საგრძნობია ფანტაზიის უსაზღვროება. ბასრი და დაუნდობელი ცივი რეკინა ისეა წარმოდგენილი, თითქოსდა მას მართლაც ახასიათებდეს ადამიანური დარდი და სიხარული, დაღონება და სილადე. და ეს ხდება იმგვარად, ისეთ მხატვრულ დონეზე, რომ მკითხველს მისდაუნებურად ეუფლება რეალური საზრისით დაუჯერებული ამბების ნამდვილობის განცდა.

სამუზეუმო ექსპონატად თუ საოჯახო რელიქვიად ქცეული ხმლის ხილვა ახლაც სხვარიგი ძალით ეხება და ახმიანებს მრავალჭირნანაზი ხალხის სულის სიმებს. სისხლით „გაბასრული“ საუკუნეების სუნთქვა მოაქვთ ჩვენს მკაცრ დრომდე ვალმოხდილ, ქარტეხილებგამოვლილ, ჯაჭვის მჭრელ ვადაჯვრიან ხმლებს. საერთო მიზნისკენ მრევლის მხმობელი დედოზარივით რეკავს მათი უნაპირო დუმილი:

**თქვენი რიგია, ახლებო,  
ხელის დადება ხმალზედა,  
ყორნები ლეშით ძლებიან  
მამების ნაომარზედა...**

„ახლების“ ანუ „ახალწამოდეგების“ თაობა იმედია მომავლისა! ერთი მშვენიერი ხმით ნატირლისა არ იყოს —

**დაიზრდებიან მგლის ლექვები,  
მამის ნადგომზე დადგებიან...**

## ქეთევან ჯიშიაშვილი

### დაცარილებული სივრცის ესთეტიკა გოგი ჩაგელიშვილის ფერწერაში

მეოცე საუკუნის ურბანული განვითარება და ეკონომიკური აქსელერაცია ქალაქური ლანდშაფტების განსაკუთრებულ ტიპებს წარმოქმნის, სადაც თვალნათლივ იყითხება პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძვრებისა და კატაკლიზმების კვალი. ამგვარ სივრცეთა შორისაა მიტოვებული, ადამიანებისაგან დაცლილი არქიტექტურული ქსოვილი – საცხოვრებელი სახლები, ქუჩები, უბნები, გაუკაცრიელებული ურბანული ფრაგმენტები ან მთლიანი ქალაქები.

მიტოვებული ქუჩის თემა გოგი ჩაგელიშვილის შემოქმედებაში 1990-იანი წლების ბოლოს იჩენს თავს და წლების განმავლობაში რჩება მხატვრის ინტერესის ობიექტად. უკაცრიელი, ნახევრად-ჩამონგრეული სახლები, ჩამოცლილი ბათქაშითა და დაძველებული ფანჯრებით მარტოობის პოეტურ სახეთა გალერეას ქმნის, რომელსაც ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებათა ძლიერი ემოციური ნაკადი უდევს საფუძვლად: „იმ ქუჩაზე მოვხვდი, სადაც ბავშვობა გავატარე, ცარიელი ქუჩა...თმაგაცვენილი აკაცია, ძაღლი ხის ქვეშ... ეზოს კარი ჭრიალით შევაღე, არავინ დამხვდა, სიჩრუმე, ნყლის ჩხრიალი მოშლილი ონკანებიდან, კატა ხავსმო-დებულ ქვაზე, ეზოს მესერის შაბიამნისფერ სალებავგაცლილ ფიცარს თავი წავი წავამტვრიე, სახელოსნოში მოვიტანე, სურათში ჩავსვი „ნიშანი“ წარსულიდან სერიაში მიტოვებული ქუჩა, ვუძღვნი ყველა ლტოლვილს“.

ურბანული ხატის ცვლილება და ამ ცვლილებით მიღებული ტრაგეზის შემოქმედებითი გადამუშავება მხატვრის მიერ აქ გაცი-ლებით ღრმა დონეზე ხდება და პირადი ნოსტალგიის საზღვარს

სცილდება. ამ განცდის ფსიქოლოგიური ხატი უკავშირდება დროის სვლას, სივრცის ცვლილებას, იდენტობის კრიზისს – ანუ იგი სხვადასხვა ტიპის ტრაგმული გამოცდილების თავშეყრის, კონცენტრაციის ტოპოსია. საქმე გვაქვს სივრცის დაკარგვის ტრავმული გამოცდილების გაზიარებასთან: მხატვარმა თვითონაც დაკარგა ბავშვობის ქუჩა – დრომ წაიღო. ლტოლვილებისა კი – პოლიტიკურმა ცვლილებებმა.

მიტოვებული ქუჩა, სახლი ამ ხატის ფერწერული ვარიანტია – ნიშანი წარსულიდან.

უკაცრიელი სივრცის მტკივნეული განცდა, ვერ შეღწევის, დაბრუნების შეუძლებლობა და ლტოლვილობა, როგორც სივრცის დაკარგვა, გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული ადგილის, არა-მედ მთელი იმ სინამდვილის დაკარგვას, რაც კონკრეტულ სივრცეს „ებმის“. ესაა მარადიული ხეტიალი გამქრალსა და რეალურ სივრცეს შორის, რაც საბოლოოდ იმედგაცრუებით სრულდება.

ჩვეული სივრცის მოულოდნელ დაკარგვას თან ახლავს სწრაფი ტრანსფორმაციის ფსიქოლოგიური ამოცანა, რაც დროთა განმავლობაში სივრცული შეუსაბამობის, აცდენის, სივრცის ვერ ფლობის ემოციურ რეალობად გარდაიქმნება: ადგილი, რომელსაც ინდივიდი თავს მიაკუთვნებს, აღარ არსებობს, მოცემულ ფიზიკური სივრცესთან იდენტიფიკაცია კი სრულყოფილად ვერ ხერხდება. წარსული ცხოვრების ხატი დროთა განმავლობაში სცილდება ხელშესახებ რეალობას, ავტონომიურ სახეს იძენს (თუნდაც იმიტომ, რომ ამ სივრცესთან ფიზიკური შეხება ვერ ხერხდება), ერთგვარ დამოუკიდებელ მენტალურ ხატად გარდაიქმნება და ფანტაზიის, რომანტიზაციის საგანი ხდება – ეს არის ერთგვარი მოუხელთებელი სამოთხე, რომლის წვდომაც შეუძლებელია.

გეოგრაფიული იდენტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაადვილებული გადაადგილების შესაძლებლობა, რომელიც ადამიანში გარკვეულ ფსიქოლოგიურ დანაშრევებს წარმოშობს: ერთის მრივ, მისთვის მიკუთვნებული სივრცის შეუცვლელობა, მეორეს მხრივ კი წებისმიერი სივრცის ათვისების შესაძლებლობა სივრცული იდენტობას კრიზისს აძლიერებს, რაც საბოლოოდ ნოსტალგიის განცდაში იჩენს თავს. საკუთარი სივრცული კონტექსტიდან ამოვარდნა, მიკუთვნებულობის განცდის შესუს-

ტება გლობალისტურ ეპოქაში კიდევ უფრო ღრმავდება, ნოსტალ-გია ინდივიდუალურ საზღვრებს სცდება და მეოცე საუკუნის ბო-ლოსტვის დროის ნიშანი და ადამიანისთვის ჩვეული მდგომარეობა ხდება. ესაა ერთგვარი დამცავი მექანიზმი იმისთვის, რომ ადამი-ანი გაუმკლავდეს დროის აჩქარებულ ტემპს და გლობალიზაციას, რომელიც საკუთარი ადგილის დაკარგვისაკენ უბიძგებს ადა-მიანს. ამის საპირისპიროდ იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტად მიებას ადგილს. ნოსტალგია უშუალოდაა დაკავშირებული დრო-ის შეგრძნებასთან: იგი ბავშვობის ნელ დროში გვაბრუნებს – ჩვენი ოცნების ნელ რიტმებში. ესაა ამბოხი თანამედროვე დროის წინააღმდეგ. ნოსტალგიის განცდა მხოლოდ წარსულს არ უკავშირდება. ხშირად იგი დროის სხვა რიტმს ან უკეთეს დროს გულისხმობს. თავისი ყველაზე ღრმა მნიშვნელობით, ნოს-ტალგია არის მითოსურ დროში დაბრუნების შეუძლებლობა, იმ ჯადოსნური სამყაროს დაკარგვა, რომელსაც დღეს მხატვარი ჩამოძონდილ ნაგებობს შორის ეძებს, მაგრამ ვეღარ აგნებს. მას მხოლოდ მისი კვალის ამოიკითხ-ვა და მასთან ამგვარი ზიარების შესაძლებლობადა რჩება.

მიტოვებული ქუჩების ციკლში სივრცის ღრმა, ინდივიდუალური სახე მხატვართან დიალოგის პროცესში იქმნება. სივრცე, რომელსაც ჩაგელიშვილი ემოციურ ღირებულებას ანიჭებს – ნა-ხევრადჩამონგრეული სახლები ჩამოცლილი ბათქაშითა და და-ველებული ფანჯრებით – მის ბავშვობას უკავშირდება.

ამ დაცარიელებულ სახლებში დღეს აღარავინ ცხოვრობს, აქა-ურობა თითქოს დროით ციკლში აღარ მონაწილეობს. სიცოცხლის მატერიალური სუბსტანცია, რომელიც არქიტექტურაში ხორცი-ელდება და მის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს, აღარ არსებობს, შესაბამისად, გარემო შეუსაბამობითაა დაღდასმული. ამ შეუსა-ბამობის მატერიალურ ზღვარს ნაგებობათა ფასადები წარმოად-გენს. შემთხვევითი არ არის მხატვრის ასეთი გატაცება ფასადების ფერადოვანი ზედაპირითა თუ არქიტექტურული დეტალებით. სწორედ ამ სიბრტყეზე ხდება წარსულის ემოციური ხატების პრო-ეცირება, რაც განუყოფლადა გადაჯაჭვული ანმყოს მტკიცნეულ აღქმასთან და ამ კონტრასტის საფუძველზე იბადება. სათუთი ფერწერული მგრძნობელობით აღწერილი ნაგებობები დიალოგია

მხატვარსა და მის მოგონებებს შორის. ეს ერთგვარი ქმედითი აქტია საიმისოდ, რომ ამ სივრცის მიღმა დარჩენილმა, შეუქცევადი დრო გადალახოს და მტკივნეული ანმყოსთვის თვალის გასწორებით ხელახლა განიცადოს შორს დარჩენილი წარსული. შენობის თითოეული ნაკვთი მისი განვლილი ისტორიის, გამოცდილების შესახებ მოგვითხრობს. ეს უფრო სულიერი პორტრეტებია, ვიდრე ფიზიკური და როგორც მაღალ სულიერ კატეგორიებს ახასიათებს, გარინდება, საკუთარ თავში ჩაღრმავება, მელანქოლია და ტკივილი ახლავს თან.

სახლი, როგორც კაცობრიობის უნივერსალური კონსტანტა, დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია, როგორც ხელჩასაჭიდი იდენტობის კრიზისის დროს. იგი პირადი ცხოვრების სულით არის გაუღენთილი და აერთიანებს ან გამოკვეთს ყველა იმ პრივატულ, ინტიმურ სახე-ხატს, რომელიც გვეხმარება გავიხსენოთ, ვინ ვართ სინამდვილეში. სახლი ადამიანის „მეხსიერების სცენაა“, მისი სახე კულტურითაა განპირობებული და მის ყველაზე ღრმა შრეებს ასახავს.

სახლი დაკარგული რეალობის, კერის, კონკრეტულ სივრცესთან ერთიანობის სიმბოლო ხდება. ამას ამძაფრებს ისიც, რომ თანამედროვე, პროგრესზე ორიენტირებულმა არქიტექტურამ ფაქტობრივად გაანადგურა სახლის პირვანდელი დანიშნულება და იგი რეალობიდან ცნობიერების სივრცეში გადაისროლა: თანამედროვე ადამიანის მიერ ისტორიის უარყოფამ მასთან დაკავშირებული, პირველად სახეებთან მიბმული ფიზიკური მეხსიერებაც გააქრო. ახლით მოცულმა გონმა, შეუცნობელისა და არატრადიციულის კულტმა სრულიად ამოშალა სახლის სახე. როგორც პალასმა აღნიშნავს, „თანამედროვე სახლი ჩვენი სამყოფელია, მაგრამ არა ჩვენი გონებისა“.

სახლთან დაბრუნება სტაბილურობასთან დაბრუნებაა. ბაშლიარის შეფასებით, ეს არის ადგილი, სადაც ადამიანი კოსმოსს ხვდება. ჩაგელიშვილი სწორედ ამ გამქრალ სახლთან დაბრუნებას ცდილობს, თუმცა იგი ცარიელი ხვდება. მისი მიტოვებული შენობები „ანტი-სახლებია“ იმ გაგებით, რომ არქიტექტურული ფორმა იმისა, რასაც სახლი ეწოდება, ფანტომია – არქიტექტურული ფენომენი იმთავითვე გულისხმობს ადამიანის არსებობას. როგორც პალასმა ამბობს, „იგი ეყრდნობა უფრო ზმნებს, ვიდრე არსებით

სახელებს: სახლთან მიახლოვება და არა ფასადი, შესვლა და არა კარები, ფანჯრიდან გადახედვა და არა ფანჯარა, ერთად შეკრება და არა მაგიდა არის ის, რაც ჩვენ ემოციებს აღძრავს.“ ჩაგელიშვილის მიტოვებული ქუჩის მელანქოლია სწორედ იმ წუთას იბადება, როცა წარმოვიდგენთ არა სახლს, არამედ შიგნით მცხოვრებ ხალხს, მათ ცხოვრებას, მათ იმედებს.

სიძველის გაძლიერებით მხატვარი წარსულის ხატის შექმნას ცდილობს, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ზედაპირის მხატვრულ დამუშავება. პირველ რიგში, აღსანიშნავია შენობათა ფასადების ფაქტურული ხასიათი. ზედაპირის დამუშავების მრავალფეროვან ტექნიკასთან ერთად დაძველებული ფაქტურის შთაბეჭდილების ქმნის კოლორიტი. დაწმენდილ ფერს მხატვარი „ჭუჭყიან“ კოლორიტს ამჯობინებს, რომლის შიგნითაც მტვრის ფენა მოიაზრება. ფასადებზე მონაცვლე ფერადოვანი სიბრტყეები და ლაქები გახუნებისა და ცვეთის ზუსტ რუკას ქმნის.

ეს ტენდენცია თვალსაჩინოა ნამუშევართა ციკლში „მიტოვებული ქუჩა“, სადაც მხატვარს დროთა განმავლობაში სახეცვლილი კედლის ფერწერული გადასვლები იტაცებს. ვარდისფერ ფონზე შეფრქვეული მუქი მენამული ლაქები, მწვანე ხავსი მდიდარ ფერწერულ ქსოვილს წარმოვიდგენს. თითოეულ ჩამოცვენილ ნალესობას, ჭუჭყის ლაქას თუ ნაჩხაპნს მხატვარი ტკბობით აღნუსხავს, როგორც დროის შემოქმედებას.

საერთო სახის შექმნაში მონაწილეობს გრაფიკული ნახატიც. ზედმინევნით გადმოცემული დაძრული, მოძველებული ელემენტების რიტმი არქიტექტურულ დეფორმაციას ასახავს. გრაფიკული ნახატი არამაყიორა, წყვეტილი და ფერწერულ ქსოვილში იკარგება. საერთო ბუნდოვანება მთელს სივრცეს ფანტომურობის, ქრობის ზღვარზე მყოფი მატერიის სახეს ანიჭებს.

არქიტექტურული დეტალები: ფანჯრის ჩარჩოები, კიბის საფეხურები, სახურავები – ხშირად ასიმეტრიული – განსაკუთრებულ რიტმულ აქცენტებს ქმნიან ფორმებით მარტივ, ფრონტალურ-სიბრტყობრივ კომპოზიციაში. ფანჯრების რიტმი განსაკუთრებულ როლს თამაშობს საერთო ფერადოვან გადაწყვეტაში. სპონტანური, თითქოს არქიტექტურული ლოგიკიდან ამოვარდნილი ეს რიტმი მხატვრულ ხერხად იქცევა „მიტოვებული ქუჩის“ ციკლის 1996

წელს შესრულებულ ნამუშევარში. ფანჯრები განსხვავებული ზომისაა და ფორმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კონტრასტული ფერის ღიობები სიბრტყეზე დატანილი მხოლოდ ფერადოვან-დეკორატიული დეტალია, რადგან მის მიღმა სივრცე, სახლის შინაგანი სამყარო აღარ იგულისხმება. ამგვარი გულუბრყვილო, ხალისიანი ფერადოვანი გადაწყვეტა ბავშვობასთან მხატვრის ემოციურ კავშირს ადასტურებს.

ძლიერ სემანტიკურ აქცენტს ქმნის სახლებს შორის და მათ მიღმა დატოვებული ცარიელი სივრცე. უკაცრიელი, უდაბური სივრცე ერთგვარი ვაკუუმია, რომელიც მიტოვებულ სახლებს აპსტრაგირებულ, არამატერიალურ განზომილებას ანიჭებს და ვიზუალური ხატის ემოციურ ზემოქმედებას აძლიერებს.

ამ ცარიელი სივრცეების განსაკუთრებული როლი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ მათი მეშვეობით იქმნება არქიტექტურასთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. გარდა ვიზუალურად ნეიტრალური ფონისა, უკაცრიელი სივრცე განსაკუთრებულ პირობებს ქმნის მარტოობის განსაცდელად. მარტოობა კი სწორედ ის მოცემულობაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი დაკარგულ, მივიწყებულ იდენტობასთან ბრუნდება. წარსულის ზმანებები, სივრცული გამოცდილება, რომელიც უშუალოდ სახლს, პირველად კოსმოსს უკავშირდება, მხოლოდ მარტოობაში ცოცხლდება. მდუმარე გარემო და უკაცრიელი ქუჩები გამოძახილია მარტოობისა, რომელიც აუცილებელია წარსულთან, საკუთართავთან „შესახვედრად, ცნობიერების ეკრანზე იმ ზმანებათა გასაშვებად, რომლითაც საკუთარი მიძინებული იდენტობის გაღვიძებას შევძლებთ.

ადამიანისა და სახლის სწორედ ამგვარი ურთიერთობა იჩენს თავს ჩაგელიშვილის სივრცული მოდელის ანალიზის დროს. მიტოვებული ქუჩის სივრცის კონსტრუირებისას მხატვარი ორ ელემენტს – ფასადსა და ცარიელ სივრცეს ეყრდნობა. სწორედ ფასადია „ცნობიერების ეკრანის“ ის სიბრტყული გამოსახულება, რომელზედაც მნახველის ემოციების უშუალო პროეცირება ხდება, უკაცრიელი გარემო კი მოგონებთა სიღრმის განზომილებას ქმნის, რაც განმარტოებისა და მოგონებების სტიმულირებისათვისაა აუცილებელი.

ჩაგელიშვილი განსაკუთრებულ სემანტიკურ დატვირთვას ანიჭებს ნამუშევრის მოჩარჩოებასაც, როგორც წესი, მხატვარი ჩარჩოდ დაძველებულ, შენაღებ, გაცრეცილ ფიცრებს იყენებს, რომლებსაც მკაფიოდ ეტყობათ სიძველის კვალი და ხის ფაქტურა. მათი ფორმები ბუნებრივია, ხშირად არასწორხაზოვანიც. „მიტოვებული ქუჩის“ ციკლი ამ ჩარჩოთა მრავალფეროვნებით გამოიჩინა, რომელთაც საერთო კონცეფცია აერთიანებთ: ჩარჩოს გამომყოფი ფუნქციის ნაცვლად მხატვარი მას რეალური და წარმოსახვითი სივრცეების ინტეგრაციონის ფუნქციას აკისრებს, რომლის მეშვეობითაც ხატი რეალობიდან აღებულ მასალას უერთდება და ამ ორ სამყაროს შორის შეუმჩენეველ გადასვლას ქმნის. ნამუშევრის შესრულების ტექნიკა ხის ზედაპირს მოგვაგონებს. ჩარჩოს ფერი ერწყმის საერთო კოლორიტს ან დამატებით ზოლს/ფერს ქმნის სურათში. იგი ერთგვარად ასრულებს ნახატს და კომპოზიციის განუყოფელი ნაწილად იქცევა. ზოგჯერ მისი ფორმა ნახატის კომპოზიციური სქემის საკვანძო ელემენტია. ვხვდებით ასიმეტრიული ფორმის ჩარჩოსაც, რომელიც დიაგონალურ აგებაში მონაბილეობს. მხატვარი არ ერიდება ნახატის ჩარჩოზე გაგრძელებას და ამ გზით ჩარჩო მთლიანად შემოჰყავს სურათში. ხის ბუნებრივი ფაქტურა განსაკუთრებით აძლიერებს მიტოვებული ქუჩის მეტაფორას და მხატვრის იდეურ-მხატვრული ამოცანის განხორციელებაში მონაწილეობს: ამ გზით იგი ნოსტალგიის, დროის უმოწყალო შედეგის, სიძველის ესთეტიკის მატერიალურ, ხელშესახებ მხატვრულ სახეს ქმნის და საკუთარი განცდები ჩვენს რეალობაში შემოჰყავს. ამის ყველაზე მძაფრი გამოვლინება კარია, რომელშიც მხატვარი თავის ტილოს განათავსებს. ძველი, რეალური ადგილიდან წამოლებული კარი ამ შემთხვევაში მატერიაა, რომელიც არსებულ ნახატს კი არ ერგება, არამედ ხშირად თავად წარმოადგენს შემოქმედებით სტიმულს. კარი, რომელიც ერთი მატერიალური სივრციდან მეორეში გადასვლას, შეღწევას, კავშირსა და ორ სივრცეს შორის ზღუდეს გულისხმობს, აქ საკუთარი თავდაპირველი აღსანიშნის (ფუნქციის) და ყარგვის სიმბოლოა, ანუ წარმოსახვისა (ნახატი) და რეალობის სივრცეთა შეერთების ნიშანი.

1998 წელს შექმნილ „მიტოვებული ქუჩის“ ციკლის ერთ-ერთ ნამუშევარში მხატვარი არქიტექტურის მატერიალური სხეულის ქრობის, სივრცეში განლევის მეტაფორას გვაძლევს. ვიწრო, მართვულთხა კომპოზიცია ორ ნაწილადაა გაყოფილი, მარცხნივ თბილი ტონალობის მქრალი ლაქები მოჩანს. მათი გაცრეცილი ფაქტურისა და მწირი გრაფიკული ნახატის მიღმა შესაძლებელი ხდება არქიტექტურის ამოკითხვაც. საერთო სახის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცისფერი სივრცე, რომელსაც მთელი კომპოზიციის ნახევარი უკავია. ამ ორი ელემენტის – გაცრეცილი, სქემატური ქალაქისა და ცარიელი სივრცის ურთიერთქმედებით მხატვარი გაქრობის პირას მისული ქუჩის სახეს ქმნის, რომლის მატერიალური არსებობა თანდათან სიმბოლურ განზომილებაში გადადის. ამ შემთხვევაში ფიზიკური ქრობა სულიერი დანაკარგის სიმბოლოა.

არქიტექტურის შლის, ნგრევის პროცესი, მიუხედავად მისი არაესთეტიკურობისა, ადამიანის ნარმოსახვას აღვიძებს. იგი ინახავს გამქრალი ცხოვრების, გადასახლებული ხალხისა და ჩაძირული ეკონომიკის კვალს. ნაპრალები, ნანგრევები ადამიანს უბიძებს გააკეთოს მისული ინტერპრეტაცია და სივრცე საკუთარი მნიშვნელობებით დატვირთოს. არქიტექტურაზე დაკვირვებისას შესაძლებელი ხდება დროის მსვლელობის ვიზუალიზაციაც. ეს ურბანული ჭრილობები ერთგვარი გონების სტიმულებია, რომლებიც ათასგვარ კითხვას აღძრავენ, მოგონებებს შლიან და ნარმოსახვა წარსულში ან პოტენციურ მომავალში გადაჰყავთ.

გარემოს იღუზორული, დაუსულებული ფრაგმენტები ნარატივის მნიშვნელოვანი ნაწილია, ცარიელი შენობები გაუცნობიერებლად წარმოშობს მელანქოლიასა და ნოსტალგიის განცდას, და აქედან გამომდინარე, მხატვრებისა და მწერლებისთვის შთაგონების წყაროდ გვევლინება. ამ თვისების გამო, ურბანული პრობლემატიკის თანამედროვე მკვლევარები, მიუხედავად დაშლილი სხეულისა, შეცდომად მიიჩნევენ ნანგრევების მკვდარ სხეულებად განხილვას, რადგან სწორედ მათი მეშვეობით ვერთვებით საინტერესო მოგზაურობაში: ისინი ჩვენში აღძრავენ სხვადასხვა სახეებს, გარინდებისა და თამაშის მოციმციმე იმპულსს. მათ გააჩნიათ ულევი დისტოპიური და არტისტული პოტენციალი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნანგრევები რაციონა-

ლურად გათვლილი ქალაქის ოპოზიცური სახეა იმ აზრით, რომ საკუთარ თავში დროის წარმავალობისა და დესტრუქციულობის იდეას განასახიერებს. მათში მკაფიოდ ჩანს არქიტეტურის, ერთი შეხედვით, არაცხადი, ფარული ნიშანი: ის, რომ არქიტექტურა არის პროცესი.

სიმონ პიცაგალი თავის ესსეში „სივრცე, პოეტიკა, ნანგრევები“ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ცარიელი სივრცის ნარატიულ მნიშვნელობაზე და პარალელს ავლებს ენასა და სივრცეს შორის. მისი მოსაზრებით, ქალაქი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლოგიკური მექანიზმი, სადაც ცარიელ ნაგებობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ენაში სიჩრუმე მნიშვნელოვანი ელემენტია, პაუზის წყალობით მნიშვნელობით იტვირთება როგორც უშუალოდ სიჩრუმე, ასევე ის, რაც მანამდე ან მის შემდეგ ითქვა. დაწერილ ენაში ხაზებს, სიტყვებს, ასოებს შორის სიცარიელეს მკითხველი საკუთარი ფანტაზით ავსებს. სწორედ სიცარიელის მეშვეობით ხდება იმ სივრცის აღქმა, რაც ჩვენს ირგვლივა: „ სივრცე მთელი თავის ძალაუფლებით წარმოადგენს ადგილს, სადაც რეალობის ხელახალი მოკრება, ნაწილების მოგროვება, ცხოვრების ფრაგმენტების შეკონინება ხდება.“

\*\*\*

რომანტიკოსთა ეპოქის წარსულით აღფრთოვანებასთან ზედაპირული მსგავსების მიუხედავად, თანამედროვე დაცარიელებულ ურბანულ ქსოვილებთან დამოკიდებულება არსობრივად განსხვავებულია. ნგრევის, მიტოვებულობის განცდა აქ დროის სვლას კი არ უკავშირდება, რაც სამყაროს ლოგიკური მნემონური დინამიკის ხედვის წაყოფია, არამედ უშუალოდ ადამიანის სოციალურ ცხოვრებას ან სტიქიას. რომანტიკოსთა მსოფლადებაში დაცარიელებული სივრცე წარსულის სიდიადის სიმბოლო და მისი იდეალიზირებული სახის მატერიალური დასტურია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი მარადიულ ღირებულებებს ჭვრეტს. რომანტიზმისაგან განსხვავებით, თანამედროვე ქალაქი არარსებობის, გამქრალი ცხოვრების, სიცარიელის აღმნიშვნელად გვევლინება, თანამედროვე არქიტექტურული ქსოვილის ნანგრევების მეტაფიზიკური სახე განსაკუთრებულ როლს თა-

მაშობს ურბანული ხატის ჩამოყალიბებაში. ვიზუალური ხელოვნება ხაზგასმული ყურადღებით ეპყრობა ქალაქის გაუდაბურებულ, დეგრადირებულ ფაქტურას და ხელოვნების სხვადასხვა დარგში – სახვით ხელოვნებასა თუ კინოში – ცდილობს მისი ხატის სხვადასხვა კუთხით გახსნას. ამ ურბანული ფენომენის ფსიქოლოგიური გავლენა მაყურებელზე თანამედროვე პარადიგმების ნაზავია და როგორც ზემოთაც ავლიშნეთ, არსობრივად განსხვავდება ნებისმიერი სხვა სახის კულტურულ-ისტორიული ნანგრევებისა და ნარჩენებისაგან.

განსხავებული ფსიქოლოგიური ნიუანსებით იგება თანამედროვე ნანგრევების რომანტიკული ატმოსფერო: ახალი ქალაქები, რომანტიზმისაგან განსხვავებით, ამჯერად არა წარმავალობის განცდას, არამედ უკვალოდ გამქრალ ყოფას, მატერიალ ქცეულ სიცარიელეს წარმოაჩენენ. დაცარიელებული ნამოსახლარები ამ შემთხვევაში ქრობის, არარსებობის სემიოტიკურ ნიშანად იქცევა, რომელიც კონტაციურ დონეზე წარსული ცხოვრების ბუნდოვან ხატებს აღძრავს. სივრცული აღქმის ამგვარი განშრევება (ორმა-გობა) მიტოვებული ხედების მისტიკურობის განცდას ბადებს: მუდმივად თანამყოფი წარსული, უხილავი ცხოვრების ყრუ ხმაური არ ემთხვევა ნანგრევის ძლიერად მოქმედ ვიზუალურ ხატს. სწორედ ამ ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კომუნიკაციის – წარმოსახვითისა და ხილულის – კონფლიქტი გარდაიქმნება ემოციურ შრედ, რომელზედაც შეუსაბამობის, აბსურდულობისა და შეუცნობლის ურთიერთკავშირის შედეგად აღძრული მისტიკური განცდა განთავსდება.

ბუნება რომანტიკოსთათვის მითოსური მატერია, რომელიც ადამიანის სულიერ სამყაროს ირეკლავს; სიმბოლური ველია, რომლის ამოკითხვაც ადამიანის სულიერი სამყაროს გაშიშვლების გზით ხდება შესაძლებელი. რომანტიკოსთა ეს მსოფლმხედველობა თანამედროვე კულტუროლოგიაში ადამიანისა და ბუნების რადიკალური ოპოზიციის კონცეფციად იქცა. ბოლო საუკუნის განმავლობაში შეცვლილი ბუნებრივი გარემო, ძლიერად დაზიანებული პირველქმნილი ლანდშაფტი და ადამიანის ბუნებაში უხეშად შეჭრა ეპოქის ნიშანი, მისი სახე ხდება. ლანდშაფტის სახეცვლილების ღრმა ფსიქოლოგიური გავლენები სივრცული იდენტობის რყევებ-

სა და ცდომილებებში ვლინდება, აღნიშნული პროცესის ფსიქო-ლოგიური გავლენები კი ინდივიდუალურიდან საზოგადოებრივ, უფრო მეტიც, ზოგადსაკაცობრიო მასშტაბებს აღწევს.

შლის, ნგრევის სახელოვნებო დისკურსს პოსტსაბჭოთა არეალში კულტუროლოგიური წინაპირობა გააჩნია.

სისტემის ნგრევასთან ერთად იწყება რენატურალიზაციის უკუპროცესი: ადამიანის ქმნილება ნელ–ნელა ქრება; ბუნება შთანთქავს სისტემის ნაშთებს – მათზე საკუთარ „ძალაუფლებას“ ავრცელებს.

დროის ერთგვარი უკუსვლის განცდა, გამოხატული ბუნების სტიქიური ძალების მომძლავრებით, სადაც პროცესი შექმნილის თანდათანობით განადგურება – გაქრობისკენ მიდის, ძლიერი ემოციური შინაარსით ტვირთავს მთელ პეიზაჟს: განსაკუთრებით თვალშისაცემია უფუნქციობა, რომელიც ნაგებობას თანამედროვე რეალობიდან აგდებს, აცლის მას არქიტექტურის პირველადი ნიშანის ფუნქციას და ესთეტიკური რიგიდან შემთხვევითი ბუნებრივი წარმონაქმნის რიგში გადაჰყავს. ამ ახალ კონტექსტში წინ იწევს საშენი მასალის თვისებები, ბუნებრივი წარმოშობა, მდგრადობა ა.შ. მარტივი სწორკუთხა კონტურები, რაც ამ ტიპის ნაგებობებს ახასიათებთ, თანდათან კარგავს სიმკვეთრეს და ბიომორფულ ფორმებს უახლოვდება. ეკოლოგიური გარემოსა და არქიტექტურული ნაშთების კომბინაცია მსუბუქად ნოსტალგიურ, რომანტიკულ ემოციურ მუხტს აღძრავს, რაც სამეურნეო ნაშთების ხილვისგან განსხვავებულ ფსიქოლოგიურ ეფექტს ქმნის.

წარსულის ფანტომებით საესე, შეუქცევადი ნგრევისკენ მიდრეკილი პეიზაჟები, რომელთაც განახლებისა და მომავლის პოტენციალი არ გააჩნიათ, ადამიანის მხრიდან აპათიის, მოშვებულობის, ნიჰილიზმის ფსიქოლოგიურ პასუხს ბადებს. ბუნების მიერ შთანთქმული ნაგებობები ადამიანს საკუთარ უსუსურებას ახსენებს, უპირატესობისა და ყოვლისშემძლეობის თვითშეგრძების ნაცვლად იგი მას ბუნების სტიქიურ ძალებთან წაგებულ ბრძოლაზე მიანიშნებს.

რენატურალიზაცია არქიტექტურას საკუთარ პირველსაწყისს უბრუნებს. მცენარეებში ჩაფლული ნაგებობები ბუნებასა და ადამიანის ერთობლივ ქმნილებათა მოულოდნელ სახეებს ბადებენ. ეს

არის ერთგვარი სახე-ხატი ადამიანური სფეროს მიღმა დარჩენილი პროცესისა, რომელიც მას შემდეგ იწყება, რაც არქიტექტურა ადა-მიანის კონტროლისგან თავისუფლდება და ბუნება თავის შემოქ-მედებით ძალებს ავლენს. არქიტექტურა გადის კულტურის სფე-როდან და სამყაროს ბუნებრივ წიაღს უბრუნდება. იმის გამო, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციის ფარგლებში მოიაზრება, არქიტექტურის ნაშთი უკვე არქიტექტურა კი აღარ არის, არამედ ქვის გროვა, რომელსაც ბუნება, როგორც მისსავე წიაღიდან გა-სულ მატერიას, საერთო კანონზომიერებაში, სამყაროს ბუნებრივ დროით ციკლებში აბრუნებს (წარმოშობის, განვითარების, ქრო-ბის). არქიტექტურა ადამიანისა და ბუნების საერთო ქმნილება ხდება.

ჩაგელიშვილის „მიტოვებული სახლების“ ციკლში ვხვდებით ნამუშევრებს, სადაც ცენტრალურ სახეს ქმნის ბუნების შემოქ-მედებითი ძალა, როგორც არქიტექტურის „სიცოცხლის“ ფორმის განმსაზღვრელი და საბოლოო „დანიშნულების ადგილი“.

ურბანული ხატის დეკონსტრუქციის კონცეპტი ჩაგელიშვილის მხატვრობაში მჭიდროდ უკავშირდება დაშლილი, დეკომპონირე-ბული არქიტექტურისა და ნგრევის მეტაფიზიკას. ამ კონცეპტის ადგილს ცნობიერებაში განსაზღვრავს არა მხოლოდ მხატვრის პი-რადი ეგზისტენციალური გამოცდილება (დროსთან მიმართება, ყოფიერების შესახებ სივრცული წარმოდგენები და ა. შ.), არც მხო-ლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდის სივრცული ტრანსფორმაციები და მისი თანმხლები ფსიქოლოგიური მოვლენები, არამედ დაკვირვება სივრცის ფუნდამენტური მატერიების სახეცვლილების დინამიკაზე და ამ ცვლილებათა ფორმალიზების შემოქმედებითი ამოცანით ნა-კარნახევი ძიებები. ამ პროცესში იგი სივრცის ერთგვარ მითოსურ-არქეტიპულ სახეს გვთავაზობს, რითაც უპირისპირდება მითის გა-რეშე დარჩენილ მეგაპოლისს, უფრო ზუსტად, ახალ მითს ბუნების არაკონტროლირებად, დაუმორჩილებელ ძალებზე. არქიტექტუ-რის, როგორც ადამიანის ტოტალური ნებისა და ძალაუფლების დისკურსის შესახებ მეგაპოლისთან ეს სიღრმისეული დაპირის-პირება ბუნება/კულტურის რადიკალური ოპოზიციის ანტითეზაა, რომელსაც პოსტმოდერნული პარადიგმა კულტურის (არქიტექ-

ტურის) სასარგებლოდ წყვეტს, ჩაგელიშვილი კი ბუნების სასარგებლოდ გადაჭრის. ასე შეიქმნა სურათების გარკვეული რიგი.

ურბანული ხატის ყოველი სახეცვლილება გოგი ჩაგელიშვილთან სხვა არაფერია, თუ არა დროიდან გასვლა, ანუ თანამედროვეობიდან გასვლის იმიტაცია.

არქიტექტურას, რომლის სიცოცხლეც, ჩვეულებრივ, ვექტორულ დროში განიხილება, მხატვარი ბუნების ციკლურ ცვლას უმორჩილებს. არქიტექტურას იგი განიხილავს, როგორც მასალას ბუნებრივი მატერიის მნიშვნელობით.

მინა ბუნების ის ხტონური ენერგიაა (/მატერიაა), რომელიც საკუთარი მატერიისგან ჯერ თავად წარმოშობს სტრუქტურებს, განაგებს მათ დონამიურ მოძრაობას, შემდეგ კი უკან იპრუნებს მის დაშლილ სხეულს. მინის სტრუქტურული ქსოვილი ტექტონიკური ძალების მოქმედების დემოსტრირებას ახდენს. ჩაგელიშვილი ცდილობს, არ დაარღვიოს ბუნების თვითმყოფადი კონსტრუქცია და მისი პირველადი, გეოლოგიური აგებულება. ამ გზით იგი ხაზს უსვამს ბუნების ზედროულობას.

ძირითადი ხერხი, რომლითაც მხატვარი ბუნებისა და არქიტექტურის განუყოფელ სახეს ქმნის, არქიტექტურისა და ბუნების საერთო მატერიაა. არქიტექტურის ნაგრევებისა და მიტოვებული სოფლების სიუჟეტებში, სადაც განმსაზღვრელ მოტივს დაშლილი, დეკომპონირებული არქიტექტურისა და მინის სტიქიის ურთიერთობა წარმოადგენს, არქიტექტურა განიხილება, როგორც მასალა ბუნებრივი მატერიის მნიშვნელობით..

ნამუშევარში „მიტოვებული ქუჩა“ (1992) არქიტექტურა ბუნებრივ წარმონაქმნს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ადამიანის მიერ შექმნილ კონსტრუქციას. ეს არის სახე, სადაც ბუნების ძალა ბატონობს და ადამიანის მყოფობის კვალს სრულიად აქრობს. გეომეტრიული ფორმები მოქნილი, არახისტი სტრუქტურებია. სურათის ცენტრში თითქოს შემთხვევით დახვავებული არქიტექტურული ქსოვილისა და ბუნების ფაქტურული მსგავსება-ერთიანობა მცირე ზომის მართკუთხა ელემენტის მეშვეობით იქმნება, რომელიც საერთო უჯრედის მსგავსად მეორდება როგორც ნიადაგის, ასევე ნაგებობების ზედაპირზე. ფერადოვანი არქიტექტურული ქსოვილი და მოყავისფრო-მონაცრისფო ნიადაგი

ერთიან მატერიალ მოაზრება, არქიტექტურული დეტალებისთვის თეთრის, ოხრისფრისა და ყავისფრის გამოყენება ბუნებისა და შენობის ჰარმონიული თანაარსებობის დამატებით ნიშნად აღიქმება.

ნიადაგის, როგორც თავისთავადი, მარადიული სუბსტანციის ხატს ქმნის მხატვარი კომპოზიციაში „ნანგრევები“ (1999). სასურათე სიბრტყის ძირითადი ნაწილი ნიადაგის სტრუქტურის გადმოცემას უჭირავს, მის უკან კი უსაზღვრო ლურჯი სივრცე იშლება, რომელიც ზღვის ასოციაციას აჩენს. ნიადაგის ამგვარი განშლა საშუალებას აძლევს მხატვარს ზედმინევნით აღნეროს ნიადაგის არა მხოლოდ ზედაპირი, არამედ მისი სტრუქტურული ჭრილი. ერთფეროვანი კოლორიტი, რომელიც ყავისფრის სხვადასხვა ტონალობით იქმნება, გამომშრალი, მნირი ნიადაგის ხატს ქმნის: მიწა ზოგან ფხვიერია, ზოგან ნაშალი, ნაპრალებით დაღარული. ალაგ-ალაგ ვხვდებით თიხით ნალესის ფაქტურას პატარა წრიული მოხაზულობის ელემენტებით, წერტილებითა და წვრილი შტრიხებით, რაც ჩამოშლილი ქვების ასოციაციას აღძრავს, ბუნების არქაულ სხეულს აღვინერს და ამავდროულად მარადმოძრავ მატერიაზე მიგვანიშნებს. ხაზები, წერტილები, მცირე ზომის წრეები ხის ტოტების, ქვების, ნაპრალების ასოციაციას აჩენს, რომელთა შორის არქიტექტურული დეტალები ისევ შერწყმული, როგორც მსგავსი მასალა. ესაა კონსტრუქციათა ერთობა, სადაც ზედაპირის მასათა მოძრაობის რიტმებით იქმნება ნიადაგის დინამიკა. ამ საერთო მოძრაობაში ჩართულია არქიტექტურაც, რომელიც, ერთი შეხედვით, არც კი განიჩევა ნიადაგის მატერიისგან. ბუნების ყოვლისმომცველობა, მისი შემოქმედებითი და ამავე დროს, გამანადგურებელი ძალა აქ არქიტექტურასთან მიმართებაში ვლინდება. ქოხის სილუეტი, სახურავი, კიბეები და ფანჯრები საერთო ფაქტურას ერწყმის და მის ორგანულ ნაწილად გვევლინება, რომელსაც მიწა ქმნის და შთანთქავს კიდეც. ნიადაგის თავისუფალი შემოქმედების ფორმა არქიტექტურის ბიომორფულობას ინახავს, ავლენს საკუთარ თავში, როგორც საკუთარი დინამიკის, მოძრაობის ნაწილს. ეს ბუნებრივი ციკლის ეტაპებია, რომელთა მარადიულობას, ზედროულობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლურჯი უსასრულო სივრცე.

## **ლალი ავალიანი**

### **თბილისური პოეტიკის მაესტრო (ოთარ იოსელიანი)**

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ჩემს ნაცნობ-მეგობართა წრეში, მეტადრე, ჩემს სამთაობიან ოჯახში და სანათესავოში, სიმდიდღვე უმეტესწილად „ცუდ ტონად“ ითვლებოდა. გასაგებია რატომაც: ზოგჯერ კი გამიფიქრებია „ქურდის ქურდი ცხონდაო“ (ე.ნ. საქმოსნებზე), რადგან კომუნისტები, ფარისევლურად, აქაოდა, როგორი უანგარონი ვართო, „ზედა ეშელონებსაც“ მიზერულ ხელფასს უნიშნავდნენ. ინტელიგენციისაგან განსხვავებით, რაღაცა მანქანებით, მაინც დიდებულად ცხოვრობდნენ.

ინტელიგენცია (მუდამ „ჯამაგირზე რომ ცხოვრობდა“, – ასეა ახლაც, თუკი გაუმართლა და სამსახური აქვს) ხომ განტევების მარადიული ვაცია, თუ, ცხადია, სულგაყიდული არ არის.

ჩემი უფროსი მეგობარი, უსაყვარლესი პიროვნება და უნიკალური მწერალი ერლომ ახვლედიანი, მუდამ ვალებში იყო გახლართული (ხანდაზმული მშობლები ჰყავდა); მევახშის ვალიც კი აიღო, როცა მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლეს სასცენარო კურსებზე სწავლობდა. სწორედ ამ დროს, მოსკოვში ყოფნისას, ინსტიტუტის საოცრად ღარიბულ საერთო საცხოვრებელში წამიყვანა და სხვადასხვა ეროვნების თანაკურსელები გამაცნო. ერთი ჩეჩენი ბიჭი დამამახსოვრდა, რომელმაც დიდი მგზნებარებით წაგვიკითხა თავისი რუსული ლექსი. მშვენიერი ლექსი იყო – ცხენებსა და მხედრებზე, – როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, ნამდვილი კავკასიური „გახელებით“ დაწერილი.

ამ დროისათვის უკვე დიდი ხმაურით იყო „დაბლოკილი“ ერლომის სცენარით გადაღებული ოთარ იოსელიანის „აპრილი“, რომლის ნახვა მხოლოდ „პერესტროიკის“ მერე მეღირსა. ბავშვობიდან კინომანი ვიყავი, სტუდენტობიდან ბედი და ნაცნობ-მეგობრები მწყალობდნენ და აკრძალულ უცხოურ ფილმებსაც კი ვნახულობდი.

\* \* \*

ოფიციოზისაგან მრავალგზის შერისხული „გიორგობისთვე“  
საკულტო ფილმად მიმართდა.

ოთარ იოსელიანს თუმცა ხშირად ვხედავდი ზემელზე და რუს-  
თაველზე, არ ვიცნობდი. მოულოდნელად სახლში დამირეკა, – მოს-  
კოვიდან ახლახანს ჩამოვედი, ერლომის დავალებით ფული უნდა  
გადმოგცეთო. შეხვედრაც დავთქვით, რუსთაველზე, აფთიაქთან.  
არ გამკვირვებია, რადგან ერლომის მევალე ჩვენი საერთო მეგობ-  
რის მეზობელი იყო. ცოტა კი ავღელდი: როგორი ამბავია ოთარ  
იოსელიანთან შეხვედრა!

პუნქტუალური ვიყავი, დროზე გავემზადე, მაგრამ ვიფიქრე,  
ხელოვანი კაცია, უთუოდ დაიგვიანებს, გომიმი ხომ არა ვარ, ადრე  
მივიდე, თანაც გრიბოედოვის ქუჩიდან კიბით რუსთაველზე ჩარქე-  
ნას რა უნდოდა, აფთიაქიც ხომ იქვე იყო. თურმე რა მელის...

დათქმული დროიდან ხუთიოდე წუთის შემდეგ მივედი: ჭადარ-  
თან მდგომა ოთარმა ჯერ მკაცრად შემათვალიერა, დაგვიანები-  
სთვის დამტუქსა, ხეირიანად არც დამლაპარაკებია; ცალხაზიანი  
რვეულის ფურცელში გახვეული შეკვრა გადმომცა, თუმცა დამ-  
შვიდობებას რატომლაც არ ჩქარობდა.

გულში გავიფიქრე, ოლონდ ამ უუმურ ტიპს მოვშორდე, მე-  
ტი არაფერი მინდა-მეთქი და ჩქარი ნაბიჯით გავეცალე. კი-  
ბემდე ვიყავი მისული, როცა დამენია და გამაჩერა, ამჟამად  
აშკარად ირონიულად ამხედ-დამხედა (შემდეგში მრავალჯერ  
შემიმჩნევია, რომ რეჟისორებს განსხვავებული, გამჭოლი მზე-  
რა აქვთ), შემეშალაო, მითხრა და ისეთივე ქალალდის სხვა  
შეკვრა გამომიწოდა. სასწრაფოდ დავუბრუნე ჩანთაში ჩაგდე-  
ბული პაკეტი, ნაჩქარევად დავემშვიდობე და გავქუსლე სახლი-  
საკენ. პაკეტის შემონმება, რასაკვირველია, აზრადაც არ მომ-  
სვლია. ერლომის მევალეს ფული იმ საღამოსვე მივუტანე.

თუმცა საკმაოდ მიამიტი ვიყავი, მაშინვე ეჭვი შემეპარა, რომ  
ოთარმა გამაშაყირა: პირველად ფულის შეკვრა კი არა, ე.ნ. „კუკლა“  
ანუ ქალალდის გროვა შემაპარა, მერე კი ფულის პაკეტი გადმომცა.

ახლა ვფიქრობ, რომ ეს ამბავი მისთვის მხოლოს პატარა სახა-  
ლისო რეჟისურა იყო.

\* \* \*

ოთარ იოსელიანი თბილისის პოეტიკის უპირველესი დამფუძნებელთაგანია კინემატოგრაფში. „იყო შაშვი მგალობელი“ მოჰყვა, რომელშიც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა „ნამდვილი“ თბილისი, – ერთადერთი და განუმეორებელი. ორივე ფილმი რადიკალურად განსხვავდებოდა საბჭოური ხელწერისა-გან: საუკეთესო ნამუშევრებშიც კი შელამაზებულ-შეფერადებული დედაქალაქი კომუნისტური „კიჩისა“ თუ ნაივური „ლუბოკის“ სტილში წარმოჩინდებოდა.

თბილისის ყოველდღიურობის კონტრაპუნქტს ბუნებრივად ერწყმოდა შეუმდგარი ხელოვანის ტრაგიზმი.

„იყო შაშვი მგალობელი“ ნამდვილი კინოკლასიკაა, უბერებელი შედევრი.

\* \* \*

„პასტორალის“ ნახვა, მიუხედავად იმისა, რომ არავის აუკრძალავს, დიდხანს ვერ მოვახერხეთ. მაშინ დიდი და მცირე კინოთეატრებით დახუნძლულ რუსთაველზე, მთამინდასა თუ სოლოლაკში, რუსთაველის კინოში სიარულს ვამჯობინებდით. „პასტორალს“, თუ არ ვცდები, რუსთაველის კინოეკრანი არ აღირსეს, ამიტომაც რუსთაველისა და ბესიკის ქუჩის კუთხეში განთავსებულ „დეკას“ (“Дом Красной Армии”) მივაშურეთ. პარადოქსია, რომ სწორედ ასეთი „საშიში“ სახელწოდებების (ძერუინსკის კლუბიც, ბესიკის ქუჩაზე) კინოთეატრებში ბევრი ისეთი მიჩუმათებული უცხოური ფილმი გვინახავს, დიდ ეკრანებზე რომ არ აჭაჭანებდნენ.

„დეკაში“ ვნახეთ „პასტორალიც“. დარბაზი გადაჭედილი იყო. სულგანაბულნი, თვალს ვერ ვაშორებდით ეკრანს. მოხდა საოცრება: ხალხმა ნელ-ნელა დაინტე გასვლა, ფილმის დასრულებისას დარბაზში მხოლოდ ოციოდე მაყურებელი ვისხედით. ეს შესანიშნავი ფილმი, როგორც ახლა ამბობენ „კარგი“ ქართულით, – „არა-ყურებადი“ აღმოჩნდა!

\* \* \*

ხშირად „აჯიბრებენ“ ერთმანეთს (მწერლობაში, სახვით ხელოვნებაში, თეატრსა და კინოში...) ტოტალიტარიზმის დროს შექ-

მნიღ „პროდუქტს“ – რომელია სხვაზე უფრო ანტისაბჭოთა: ასეთი მიდგომით ნიჭიერ-უნიჭოს შემოქმედების ნიველირებას ვიმკით. უკუგდებული ცენზურისა და ტაბუს პირობებში ხშირად სწორხა-ზოვნებასთან ერთად, ახლებურ კონიუნქტურას ვაწყდებით; ეს კი ახალი კლიშების დამკვიდრების მცდელობაა. ვინ მოგვცა უფლება, რა ადრე მოთხოვნები წავუყენოთ ხელოვანს, მიუხედავად იმისა, რა „რეჟიმში“ მოღვაწეობს!

\* \* \*

„პასტორალზე“ მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს უნივერსა-ლური ფილმია, რომელიც ნებისმიერი რეჟიმის დროს შეიძლება შექმნილიყო. არსებითად, ეს არის „ანტიპასტორალი“, XX საუკუნის ტრაგიკული, გლობალური სნეულების – გაუცხოების უდახვეწი-ლესი, ფილიგრანული ესთეტიკით გადმოცემა, – უშუალოდ, სა-დად, შესაშური ბუნებრიობით.

როგორც ყოველთვის, ოთარ იოსელიანის ფილმების ბოლო კადრები დიდი აზრობრივი დატვირთვით გამოირჩევა, ასეა „პას-ტორალშიც“; უმანკო ედუკი მომავლის, ნათელი სხივის, უკეთესის მოლოდინის, იმავდროულად – სინანულის, გაცრუებული იმედის სიმბოლოა. მსგავსი ამბივალენტურობა, ჩემი აზრით, დიდი რე-ჟისორის სხვა ფილმების თანამდევიც არის.

\* \* \*

საფრანგეთში მოღვაწე რეჟისორმა თავისი ე.ნ. საავტორო ანუ ჩინებული არაკომერციული ფილმებით ყურადღებაც მიიპყრო და პრესტიული ჯილდოებიც დაიმსახურა. თავისი ხელწერისათვის მას არასოდეს უღალატია: თუ ბოლომდე წრფელი ვიქნები, მისი „იქითური“ ფილმები ჩემს სულსა და გულს ნაკლებად ესალბუნე-ბოდა; ამიტომაც განსაკუთრებული ინტერესით ველოდი მის ქარ-თულ-ფრანგულ „შანტრაპას“. ფილმის საქართველოში გადაღე-ბების დროს ტელეწამყვანი დაინტერესდა, – რატომ დაარქვით „შანტრაპაო“; რეჟისორმა ჩვეული ლაკონურობით უპასუხა, – იმი-ტომ რომ ფილმი შანტრაპაზეაო, რაც დამაინტრივებელი შეიქნა. ეს რუსული სიტყვა „ძველი“ ანუ 60-70-იანი წლების თბილისური ჟარგონით ორაზროვანი იყო: შანტრაპა თაღლითს, ყალთაბანდს,

მარგინალსაც მიესადაგებოდა და მეგობართა, ახლობელთა გუნდ-საც, ვინმე გამორჩეულ, ცნობილ ბიჭსა ან გოგოზე ვამბობდით – ამა და ამ შანტრაპას მიეკუთვნება, ან – მოვიდა და თავისი შანტრაპაც მოიყოლაო.

თავის დროზე შანტრაპა რუსმა თავადაზნაურობამ იმ თვით-მარჯვია ფრანგ გუვერნიორებს დაარქვა, რომელთაც განათლების უქონლობის გამო არ შესწევდათ უნარი მუსიკის სწავლებისა – თავის დასაძვრენად, აღსაზრდელებს ცილს სწამებდნენ – ვერ იმღერებენ! (ფრანგ. chantera pas). სწორედ ამ ფრანგული ფრაზიდან შეკონინებულა ეს სიტყვა.

ფილმის სათაური ასე აღვიქვი (კვლავ ამბივალენტურად): ახალგაზრდა რეჟისორი, რომელიც ცდილობს თავისი ნიჭის რეალიზებას, სიახლის მაძიებელთა „შანტრაპას“ მიეკუთვნება, იგი ფიასკოს განიცდის სამშობლოშიც და უცხოეთშიც. ვისაც ხელენიფება და ევალება კიდეც ხელოვანის მხარდაჭერა, მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს და სულაც არ ანალვლებს ფილმის ბედი. რეჟისორის თითო-ოროლა დამფასებელი („აქაც“ და „იქაც“) ვერ ქმნის ამინდს. მეორე მხრით, კინემატოგრაფის კომერციალიზაციის უპირობო მსახურო უფრო მიესადაგება „შანტრაპა“, – რადგან არ აქვთ სათანადო კომპეტენცია და არც მზაობა ნიჭისათვის გზის გაკვალვისა.

ფინალი (ბიჭის წყალში გაუჩინარება) მეტაფორად მესახება: წყალი – წყალობა – შეწყალება, განწმენდა... ერთხელ ორი წლის ნინუკას ლოცვას ვასწავლიდი: „უფალო შეგვიწყალე“, ბავშვმა წამსვე გაიმეორა: „უფალო, მომე წყალი“.

გამახსენდა ტელეეკრანზე ნანახი ერთ ფილმის შთამბეჭდავი კადრი: ნავი მდინარეს მიჰყვება, ნავში მარტოხელა ოთარ იოსე-ლიანი დგას (სამწუხაროდ, მისი ეს ფილმი არ მინახავს); გამახსენდა ფრანგი მწერლის მარგარეტ იურსენარის ბრწყინვალე მოთხოვნის სიუჟეტიც: ჩინელი მხატვარი ხატავს მდინარეს და ნავს, ხატავს წლობით, აუჩქარებლად, სრულყოფილების მისაღწევად დღენი-ადაგ უმატებს თითოეულ შტრიხს, მერე, უკვე ღრმა მოხუცი, „შედის“ თავის ნახატში, ნავში ჯდება და უჩინარდება...

\* \* \*

თუკი კინემატოგრაფის დღევანდელ ტენდენციებს გავითვა-  
ლისწინებთ, როცა ტექნიკური პროგრესი – სპეცეფექტები, კომ-  
პიუტერული ჩარევა, გრაფიკა, მონტაჟი, კორექტირება და ა. შ.  
– თანდათანობით, მხატვრული თუ შემოქმედებითი თვალსაზრი-  
სით, ფიტავს და სულიერად ანადგურებს ხელოვნების ამ დარგს,  
ისლა დაგვრჩენია, პროვიდენციური ფილმის „შანტრაპას“ ავტორს  
ვუთხრათ: ბრავო, მაესტრო!

# ზურნალის ტიკა

---

## მანანა შამილიშვილი

### პოპმუსიკის პოლიტიკა და პოლიტიკური მუსიკის ძირითადი გზავნილები

თანამედროვე გლობალიზებული სამყარო კულტურათა მუდმივი ურთიერთქმედების პროცესშია ჩაბმული. სულ უფრო ძლიერდება ე.წ. „მესამე კულტურის“ – მსოფლიო მუსიკის გავლენა სხვადასხვა ქვეყნის მსმენელთა გემოვნებაზე. ამასთანავე, იკვეთება პოპკულტურის ამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტის პოლიტიზების მზარდი ტენდენციაც. გლობალიზაციის „ლოგიკა“, ცხადია, გულისხმობს პოპულარული მუსიკის განსხვავებული ჟანრის მომხმარებელთა გლობალურ აუდიტორიად გადაქცევის მცდელობას, რასაც ავტორიტარი მმართველები (და არა მხოლოდ ისინი) კონტრდინების სახით ეფექტურად უპირისპირებენ გლობალურის ყაიდაზე შეფუთული ლიკალური პროდუქციის ექსპანსიას. მას ეროვნული „დღის წესრიგის“ შესაბამისი „ღია“ და „დახურული“ პოლიტიკური ტექსტების სახით აწვდიან საკუთარ მომხმარებლებს. საჭირო შინაარსით დატვირთული და მოდური ტენდენციების კვალად არანუირებული პოლიტიკური მესიჯების შემცველი სიმღერები არა მხოლოდ ადგილობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი, არამედ ცენტრისკენული მოძრაობის პრინციპით გლობალურ მსმენელსაც მიემართება და მეტ-ნაკლებად სხვა ლიკალურ კულტურებზეც ახდენს გავლენას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობას იძენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კულტურული და გეოგრაფიული სიახლოვე, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი და ა.შ..

მართალია, სამეცნიერო წრეებში პოპკულტურასა და მის მრავალგვარ გამოვლინებაზე მსჯელობა დიდად სერიოზულ საქმედ არ მიიჩნევა, მაგრამ ეს არის ფენომენი, რომლის გავლენა ადამიანებზე იმდენად ძლიერი და მასშტაბურია, რომ მისი იგნორირება,

ან ყურადღების მიღმა დატოვება არა გვგონია, მართებული იყოს. პოპულარული კულტურა ყველგანაა. იგი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია და გვინდა თუ არა, მას ჭარბად მოვიხმართ. წინამდებარე ნაშრომით შევეცდებით წარმოვაჩინოთ მუსიკალური ინდუსტრიის მიზნებისა და მისი პოლიტიკური მიზანდასახულობა. ამ ამოცა-ნის შესასრულებლად ვიხელმძღვანელებთ საბიბლიოთეკო კვლე-ვით, გამოსახულების დესკრიფციითა (ვიზუალურის ვერბალიზება) და შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდით. ჩვენი ვარაუდები ასეთია:

- თანამედროვე გლობალური მუსიკა სულ უფრო მეტად გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის;
- პოპმუსიკით ხელისუფალნი ცდილობენ ადგილობრივი აუდიტორიის მიმხრობას;
- რიგ შემთხვევებში, მუსიკალურ ნარატივში ასახულ ლო-კალურ პოლიტიკურ დღის წესრიგს გავლენის მოხდენა შეუძლია არა მხოლოდ ავთენტურ, არამედ გეოგრაფიულად და კულტურუ-ლად დაახლოებულ აუდიტორიებზეც.

პოპულარული მუსიკის, როგორც „რბილი ძალის“ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გამოვლინების თაობაზე მსჯელობა დიდი ხანია მიმდინარეობს. ვიდრე ამ თემაზე ჩამოვაგდებდეთ სიტყვას, მიმოვ-იხილოთ პოპულტურის აღნიშნული სეგმენტის კვლევის გამოც-დილება. პირველ ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ფრანკფურტის ფი-ლოსოფიური სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის – თეოდორ ადორნოს ნაშრომი „პოპულარული მუსიკის შესახებ“. ადორნოს გამოკვლევასა და მის ძირითად თეზისებს საფუძვ-ლიანად და საინტერესო კომენტარებით მიმოიხილავს ჯონ სთორი თავის წიგნში: „კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა“. ყველაზე საგულისხმო ადორნოს ნაშრომში არის თავად პოპმუსიკის არსის განსაზღვრა და იმ ძირითად ასპექტებზე ყუ-რადღების გამახვილება, რაც მასობრივი მუსიკალური პროდუქ-ციის პოპულარობას განაპირობებს.

ყველამ იცის, რომ ე.წ. „აკვიატებული სიმღერების“ კიჩგმირები დღეს უდიდესი გავლენით სარგებლობენ პოპმუსიკის მოყვარულ-თა შორის. პოპულარული სასიმღერო კულტურის ასეთი მასობრი-ობის მიზეზებს ადორნო შემდეგი ფაქტორებით ხსნის:

პირველი და მნიშვნელოვანი პრეტენზია, რომელსაც მკვლევარი პოპულურია უყენებს, მის მიერ „სტანდარტების კრისტალიზებად“ სახელდებულ პრობლემაში უნდა ვეძიოთ. აი, რას გულისხმობს აღნიშნული: ნებისმიერი მუსიკალურ ნიმუშს, თუკი იგი ერთხელ წარმატებული აღმოჩნდება, კომერციულ ამონურვამდე იყენებენ. შემდეგ იწყება სტანდარტიზების პროცესი – ერთი პოპულარული სიმღერის დეტალის სხვა სიმღერაში გამოყენების ტაქტიკა. უფრო მეტიც, ამ დეტალმა შეიძლება სიმღერიდან სიმღერაში ისე იტრიალოს, რომ მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურის მთლიანობა არ დაარღვიოს. სტანდარტიზების შესანილბად კი მუსიკალური ინდუსტრია მიმართავს „ფსევდოინდივიდუალიზებას“. ადორნოს განმარტებით: „სასიმღერო ჰიტების სტანდარტიზება მომხმარებელს იმით ინარჩუნებს, რომ, ასე ვთქვათ, მანამდე არსებულს ას-მენინებს. ფსევდოინდივიდუალიზება, თავის მხრივ, მსმენელების შესანარჩუნებლად მათ ავინწყებს იმას, რომ რასაც ახლა უსმენენ, უკვე მოსმენილი, ანუ „უკვე გადახარშული“ აქვთ“ (სთორი 2007: 136).

მეორე საყვედური, პოპულარული მუსიკის მიმართ ადორნოს მიერ გამოთქმული, ახალი სოციალური ფენის – „მასის ადამიანის“ (ხოსე ორტეგა ი გასსეტი) მოთხოვნებს უკავშირდება. როცა საქმე გვაქვს დამღლელი სამუშაო დღისგან განტვირთვის აუცილებლობასთან, სწორედ მაშინ გვევლინება პოპინდუსტრია „მაშველ რგოლად“. იგი გვთავაზობს რეალობიდან გაქცევის მარტივ საშუალებას. ყოველდღიური დაძაბულობისა და რუტინისგან თავდასაღწევად ადამიანები იოლი და გატკეპნილი გზების ძიებაში პპოვებენ შვებას, რადგან „ახლის“ ათვისება დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს. ამ მდგომარეობას მეცნიერი „პასიურ მოსმენას“ უწოდებს, რაც ისევ და ისევ ერთფეროვნებას ნიშნავს. მისგან თავის დაღწევა კი თითქმის შეუძლებელია.

მესამე პრეტენზიას ადორნო „სოციალური დუღაბის“ სახელით მოიხსენიებს. მისი აზრით, პოპმუსიკა მოქმედებს როგორც „ფსიქიური მომწერიგებელი“, რაც, თავის მხრივ, გამოვლენილია მასობრივი ქცევის ორ მთავარ სოციო-ფსიქოლოგიურ ტიპში: „რიტმულად“ მორჩილსა და „ემოციურში“. „პირველი თავდავინწყებით ცეკვას თავისი ექსპლუატირებისა და დათრგუნვის რიტმში, მეო-

რესენტიმენტალურ გრძნობებს მისცემია არსებობის რეალური პირობების დასავინყებლად“ (სთორი 2007: 137).

თეოდორ ადორნოს მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ბევრი აქვს საერთო კულტურის პოლიტიკურ ეკონომიკასთან. ამ მიდგომის დემონსტრირებაა აგრეთვე პოპკულტურის „ორმაგი ექსპლუატირების“ ბუნებასთან დაკავშირებული თვალსაზრისი. კრიტიკოსები ფიქრობენ, რომ კიჩს ორმაგი ექსპლუატაციის უნარი აქვს: ის, ვინც მედიას აკონტროლებს, მოქალაქებს მარტო მაღალ კულტურასთან ზიარების საშუალებას კი არ ართმევს, არამედ მათგან დიდ ფინანსურ მოგებასაც ნახულობს. შეიძლება ითქვას, რომ კიჩი აბლაგვებს აუდიტორიის ინტერესებს, სათავისოდ იყენებს ფოლკლორსა და ელიტურ კულტურას და ამავე დროს, მასების ეკონომიკური ჩაგვრის იარაღად გვევლინება (დეფლორი..2009: 367 – 392 ).

მასკულტურა ინდუსტრიაა, ბიზნესი, რომელიც ხელოვნებას კომერციულ პროდუქტად განიხილავს. პოპულარული მუსიკაც მისი ნაწილია და დიდი წარმატებით სარგებლობს „მასის ადამიანებში“. თუკი მედიით გავრცელებულ პოპკულტურის ნიმუშებს განვიხილავთ, მასში ჭარბობს კიჩური პროდუქცია. „კიჩი“ მასკულტურაში ფართოდ გავრცელებული, მდარე ხარისხის, ხელოვნების ნიმუშთა უხარისხო კოპირებაა, რომელსაც ძნელია ხელოვნება უწოდო. კიჩი მაღალი ხელოვნებისგან იღებს ფორმას, მაგრამ შინაარსს კი – არასოდეს. დღეს მედია კიჩგმირების გალერეას გვთავაზობს, რომელშიც ერთ-ერთ კატეგორიას „აკვიდატებული სიმღერის“ კიჩგმირებიც ქმნიან. ისინი არიან მუსიკალური ინდუსტრიის ვარსკვლავური წარმომადგენლები, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე სათაყვანებელი, მისაბაძი ვარსკვლავების იმიჯს ირგებენ და უზარმაზარ აუდიტორიაზე ზემოქმედებენ.. ყოველ ეპოქას თავისი მუსიკალური კიჩგმირი ჰყავს. ეს ფსევდოგმირები გავლენის ქვეშ აქცევენ მილიონობით მსმენელს და ჭეშმარიტი ხელოვნების ზიარების შესაძლებლობას ართმევენ მათ. რაც მთავარია, ისინი რეალურ ცხოვრებაში გმირობის ჩადენის სურვილს უკარგავენ ადამიანებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის სუბკულტურა, რომელიც ხელოვნების სიმულაციას წარმოადგენს.

მასის სატყუარად გამოყენებული კიჩი კეთილდღეობის ილუზიას ქმნის. როგორც მ. კუნდერა ამბობს, იგი არის „მოზრდილებისთ-

ვის შექმნილი და ტირაუირებული საბავშვო ზღაპარი. სამოთხე ჯო-ჯოხეთის გარეშე“. კიჩი ყველასათვის ხელმისაწვდომი კულტურაა. „...მას არ ახასიათებს არც „ელიტური“ კულტურის დახვეწილობა და კონცეპტუალიზმი, არც ხალხური ხელოვნების სულიერება. მასკულტურა ინდუსტრიაა, ბიზნესი, რომლისთვისაც ხელოვნება კომერციული პროდუქტია“ (დიურინგი 2009: 78).

მოხმარების კაპიტალისტურ ურთიერთობებზე „მოლაშქრე“ მემარცხენების თვალსაზრისთა საპინონედ, პოპმუსიკის კულტურის ცნობილი მკვლევრები სტიუარტ ჰოლი და პედი უანელი პოპმუსიკას განიხილავენ ახალგაზრდებს შორის იდენტურობის განცდის ხელშემწყობად. მათი აზრით, პოპულარული სიმღერები ასახავს მოზარდთა ემოციურ დილემას, მათ პრობლემებს, სიძნელეებს, რომელთა ნინაშე მყიფე გარესამყაროს შეცნობისას აღმოჩნდებიან ხოლმე(სთორი 2007: 142-143).

ამ ვრცელი სამეცნიერო „უვერტიურიდან“ ძირითად სათქმელზე გადავალთ და იდეურ ჩანაფიქრს კონკრეტული შემთხვევებით გავაცხადებთ.

### • პოლიტიკა მუსიკაში

ჯონ სთრითის თქმით, „მუსიკის პოლიტიკა არის სახელმწიფო პოლიტიკის, ბიზნესის, ხელოვანთა არჩევნისა და აუდიტორიის მოთხოვნილების ნაზავი“. ამ განსაზღვრებაზე მართებულ კომენტარს აკეთებს ჯ. სთორი და ამბობს, რომ ყველა ეს ელემენტი პოპმუსიკის პოლიტიკას შეზღუდვებსაც უწესებს და შესაძლებლობებსაც სთავაზობს (სთორი 2007: 157). განვიხილოთ ზოგიერთი ამგვარი შესაძლებლობა.

მსოფლიო მუსიკის მიმდინარეობებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და აქტუალური სასიმღერო ფორმა ჰიპ-ჰოპია. ამ ჟანრსა და მისთვის სახასიათო საშემსრულებლო მანერას ეფექტურად იყენებენ ამა თუ იმ ქვეყნის მუსიკოსები საჭირბოროტო თემებზე საკუთარი თვალსაზრისის გამოსახატავად. მასზე არც ავტორიტარი მმართველები ამბობენ უარს. განსაკუთრებით პოლიტიზებულია ეს ჟანრი რუსეთში, სადაც გლობალური მუსიკაც

ადგილობრივ სახელისუფლებო ინტერესებს ემსახურება. ნათქვა-  
მის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ.

ახლახან რუსულ მუსიკალურ „ჩარტებში“ (მსმენელთა მიერ  
ყველაზე ხშირად მოთხოვნადი სიმღერების ჩამონათვალში) წარ-  
მოდგენილი იყო ამ სუბკულტურის ერთ-ერთი ნიმუში – „იურკისისა  
და ვლადიმირის“ (Юркисс и Владимир) მუსიკალური კომპოზიცია  
„მივდივართ ყირიმში“ (Едем в Крым). უანრის სპეციფიკით შექმ-  
ნილი სიმღერა და ვიდეოკლიპი ახალგაზრდების ჯგუფის საზღვაო  
კურორტზე მგზავრობით გამოწვეულ სიხარულსა და იქ ნანახით  
მოგვრილ აღფრთოვანებას გამოხატავს. იაფიასიანი, მდარე და  
არაფრით გამორჩეული კიდევ ერთი კიჩური „ნაგავი“ ალბათ არც  
მიიქცევდა მსმენელის ყურადღებას, რომ არა მისი აშკარა პოლი-  
ტიკური განზრახულობა, რაც იმთავითვე მჟღავნდება მისამღერი  
ფრაზა-რეფრენით, ქართულად დაახლოებით ასე რომ ჟღერს: „მივ-  
დივართ, მივდივართ. ყველა შურიანი მეზობლის გულის გასახეთ-  
ქად, ამ ზაფხულს ყირიმში მივემგზავრებით“ (мы едем, едем. на  
завись всем соседям, мы летом едем в крым...). მიუხედავად იმისა,  
რომ სიმღერაში არაერთგზის გვხვდება პოლიტიკური დატვირთ-  
ვის შემცველი სხვა ფრაზებიც (როგორიცაა მაგალითად – „ჩვე-  
ნიანები აქ არიან“ – „наши люди тут“ და სხვ.), მთავარი მაინც ზე-  
მოთ მოყვანილი მისამღერია – რითმული რეჩიტატივი, რომელიც  
უანრის თავისებურებიდან გამომდინარე, ჰიპ-ჰოპისთვის დამახა-  
სიათებელი სტილისტური ჟღერადობით განსაკუთრებულ მნიშვ-  
ნელობას იძენს.

აშკარაა, რომ წარმოდგენილი ნიმუში „კრემლის“ დაკვეთითაა  
შექმნილი. ახალგაზრდების ლაღობა, თითქოსდა უდრტვინველი,  
ყოველგვარ ქვენააზრს მოკლებული, სინამდვილეში მხოლოდ და  
მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების აპოლოგიასა და მისი ოკუპან-  
ტური სამეზობლო პოლიტიკის უპირობო გამართლებას ისახავს  
მიზნად. ამ მიზანდასახულობას მეტ მკაფიობებას სძენს ლია პოლი-  
ტიკური გზავნილები, რომლებიც მწვავე პოლიტიკური რეალი-  
ის, კონკრეტულად კი ყირიმის კონფლიქტის კონტექსტში იძენს  
სიმძაფრეს და ემოციური ფონის გაძლიერებას ემსახურება. ცხა-  
დია, მისამღერის ადრესატ „შურიან მეზობლებში“ უკრაინელებ-

თან და კრემლის სხვა არაკეთილმოსურნებთან ერთად ქართველებიც ვიგულისხმებით.

„როთმ ენდ ბლუზის“ (R'n'B) ჟანრშია შესრულებული ყველას-თვის კარგად ნაცნობი სიმღერა „ლონდონში წავალ საცხოვრებლად“ – „Я уеду жить в Лондон“, რომელსაც ქართული წარმოშობის რუსი მომღერალი, ეპატაჟური გრიგორი ლეპსი – ლეფსვერიძე (Grigory Leps) და რეპერი ტიმატი (Timati) ასრულებენ. სინგლი პირველად 2012 წლის ივლისში გამოჩნდა და მაშინვე დიდი პოპულარობა მოიპოვა პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, საქართველოშიც. მელოდიურ, მოდური ტენდენციების გათვალისწინებით შექმნილ სიმღერაში თითქოსდა ევროპის უმნიშვნელოვანესი მეგაპოლისია ხოტაშესმული, სინამდვილეში კი ტექსტი სულ სხვა კონტაციებს შეიცავს. მართალია, ლონდონი ლამაზია, აქ ცხოვრება უამრავ შესაძლებლობას, ათას სიკეთეს გპირდება, მაგრამ რაც უნდა საუცხოო იყოს სხვაგან ცხოვრება, საკუთარ თავს ვერსად გაექცევი. ბედნიერება იქაა, სადაც სამშობლოა. ეს სამშობლო კი დიდი რუსეთია – ასეთი შინაარსისაა სიმღერის ტექსტი. მისამღერი, რომელსაც ლამის მთელი პოსტსაბჭოთა ახალგაზრდობა ღიღინებდა, ასე ჟღერს: „წავალ ლონდონში საცხოვრებლად, მოსკოვი კი დამესიზმრება.. მხოლოდ პრობლემა ესაა – მოსკოვიდან ამ მიმართულებით მატარებლები არ დადია..“ („Я уеду жить в Лондон. Мне Москва будет сниться. Но проблема одна: в направлении том из Москвы никогда не едут поезда..“).

თუკი თავიდან ამ „გამჭვირვალე“ მეტაფორით იყო შენიდბული სათქმელი, სიმღერის ბოლოს მთავარი გზავნილი ღიადაა გაცხადებული. სკაბრეზული და მკვახე ნათქვამით სრულდება კომპოზიცია, რომლის ბოლო ეპიზოდი ანტიდასავლურ განწყობას აშკარად გამოხატავს, ხოლო ბრიტანეთის დედაქალაქის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებით გუნდრუკს უკმერვს რუსეთის ხელისუფლების ვესტერნოფობიურ პოლიტიკას. „რა ჯანდაბად მინდა ეს ლონდონი? ესე იგი, უნდა დავრჩე.. დავინყო ნულიდან, მივიღო რევერანსი და საკუთარ თავს მივცე შანსი.. რა ჯანდაბად მინდა ეს ლონდონი? ვის ვჭირდები იქ? იქაურობას ხუთი დღით მოვევლინები, მოვინყენ და ისევ მოსკოვს მივამურებ, ამის დედაც..“ (Да нафига этот Лондон? Значит, нужно оставаться. Начиная с нуля, получив реверанс, сам себе даю

шанс.. Нафига этот Лондон? Да кому я там нужен? Появлюсь дней на пять, погрушу и опять на Москву, твою мать..”.

ამ მოდურმა, ერთდროულად ახალგაზდრა და მოწიფული ასაკის მსმენელებზე გათვლილმა სინგლმა უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინა... იგი დღესაც უზარმაზარ აუდიტორიას იკრებს. სიმღერის მელოდიური მისამღერის წყალობით უამრავი ადამიანი ანგარიშმიუცემლად ადიდებს მტრული სახელმწიფოს ანტიდასავლურ პოლიტიკას.

დასავლეთთან მეტოქეობის, ჯიბრში დგომისა და ნიშნის მომგები პოზიციის დემონსტრირება თანამედროვე რუსულ-ტურის მთავარი მახასიათებელია. ამ მხრივ მუსიკალური სეგმენტის წვლილი განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ამასთან, სასიმღერო ტექსტების შინაარსობრივი დატვირთვა ყოველთვის თანხვდება კრემლის პოლიტიკურ დღის წესრიგს და ამ კონტექსტში იძენს დამატებით მნიშვნელობებს. ანტიდასავლური დისკურსი მეტად გაძლიერდა რუსეთის ფედერაციის 2018 წლის 18 მარტის საპრეზიდენტო არჩევნების ნინ. ეს ნარატივი პოპულარული დომინირებდა. თუმცა, არც სხვა დროს იგრძნობოდა მისი ნაკლებობა.

გავიხსენოთ ჰიპ-ჰოპის შემსრულებელი ჯგუფი „ბანდეროსი“ (Band’Eros) და მისი ჰიტი „კალამბია ფიქჩერს ნე პრედსტავლიატი“ („Коламбия Пикчерз не представляет“). „კალამბია ფიქჩერსი“ წარმოგვიდგენს – ამ სიტყვებით იწყებოდა გასული საუკუნის 90-იანი წლებში რუსული დუბლიაჟითა და პირატული სინქრონული თარ-გმანით გახმოვანებული ამერიკული ფილმები. მუსიკალური კოლექტივის ჰიტსა და ამავე სახელწოდების ალბომში სწორედ ეს ფაქტი აისახა. თუმცა, უარყოფითი „ne“ („არ“) ნაწილაკის დამატებით წინადადება განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს და ასე იკითხება: „კალამბია ფიქჩერზს“ წარმოდგენაც არ აქვს“.. სიტყვათა თამაშზე აგებული ამ ირონიული კალამბურით მუსიკოსებს სურთ ხაზი გა-უსვან საკუთარის უპირატესობას და დაამცრონ ცნობილი ამერიკული კინოლეიბლი, როგორც ჰოლივუდის სახე და ზოგადად, დასავლურობის სიმბოლო. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს რითმულ მისამდერ ტექსტში, რომელიც რ’ნ’b უანრის სპეციფიკითაა არანუირებული და ამგვარად უდერს: „კალამბია ფიქჩერზს წარმოდგენაც არ აქვს, რა კარგად ვგრძნობ შენ“

გვერდით თავს“ („Коламбия Пикчерс не представляет, как хорошо мне с тобою бывает“) და ა.შ. სიმღერის ქვეტექსტიდან გამომდინარე, მი-სამღერი ასე უნდა გავიგოთ: „კალამბია ფიქჩერზეს“ წარმოდგენაც არ აქვს, რა კარგად ვგრძნობთ ჩვენ აქ (დიად რუსეთში) თავს.“

აქვე უნდა ითქვას, რომ კინოსთან მუსიკალური ჯგუფის კავ-შირი დასტურდება მისი სახელითაც. „Банд'Эрос“ რუსულად წარმოითქმის როგორც „ბანდერას“ – ცნობილი ჰოლივუდელი კინოვარსკვლავის გვარის მსგავსად. სხეულის ჰედონიზმზე ორი-ენტირებულმა (რაზედაც ჯგუფის სახელწოდებაც მიგვანიშნებს) და არცთუ მახვილგონივრული ტექსტებით გამორჩეულმა „ბან-დეროსმა“ 2008 წელს ზემოაღნიშნული ალბომის 200 ათასი (!) ეგ-ზემპლარი გაყიდა. სიმღერა და კლიპი მრავალი თვის მანძილზე იყავებდა უმაღლეს ადგილს რუსეთის სხვადასხვა ჰიტ-პარადში. პოპულტურის ამ იდეოლოგიზმებულ, მდარე ნიმუშს დიდი მო-წონება ხვდა წილად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, ჩვენთანაც (მიუხედავად იმისა, რომ ჰიტის გამოშვების დრო ჩვენთვის ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა). მეტიც, ათი წლის წინანდელი ჰიტი ქართველ მსმენელთა გარკვეულ ნაწილში დღემ-დე ინაჩუნებს პოპულარობას.

რადგან თანამედროვე რუსულ პოლიტიკურ პოპმუსიკაზე ვსაუბრობთ, აქვე ვახსენებთ მუსიკალური ჯგუფის „ორკესტრი სანკტ-პეტერბურგის“ (Sankt Petersburg Orchester) ახალ სიმ-ღერასა და კლიპს „ფეხბურთის სამშობლო“ („Родина Футбола“), რომელიც დიდი ბრიტანეთის შესახებ პოლიტიკურ სატირას წარმოადგენს. მასში გამარჯებულია ყველა და ყველაფერი, რაც ამ ქვეყნის სიმბოლოდაა მიჩნეული – სამეფო კარიდან დაწყე-ბული, პოლიტიკოსებითა და ფეხბურთის ვარსკვლავებით დამ-თავრებული. გორან ბრეგოვიჩის სტილში, ბომური მელოდიების ყაიდაზე არანუირებული სიმღერა პასუხია ცნობილი ინგლისელი მომღერლის რობი უილიამსის კლიპზე „იმხიარულე რუსივით“ (Party Like A Russian). კომპოზიცია „ფეხბურთის სამშობლო“ სადღეისოდ რუსეთ – ინგლისის მეტისმეტად დაძაბული დიპლომატიური ურ-თიერთობების ფონზე გამოჩნდა. აშკარაა, რომ სიმღერა საკუთა-რი ქვეყნის საქომავოდ და „მტრის“ მიმართ ანგარიშგების მიზნით შეიქმნა. იგი მსმენელის კონსოლიდირების ისახავს მიზნად (იხ. ვებმის.: <https://www.youtube.com/watch?v=fSVX7Guht0Q>).

რაც შეეხება რობი უილიამსს, ეპატაჟური ინგლისელი პოპმომ-დერლის კლიპმა უკვე 4,6 მილიონზე მეტი ნახვა დააგროვა. ახალ ვიდეოკლიპში ჩანს, რომ რობი უილიამსი მდიდრულ დარბაზებში, მუზეუმებს რომ მოგაგონებთ, რუსი ბალერინების გარემოცვაში ერთობა, წამდაუწუმ იცვლის ძვირფას კოსტიუმებს და რუსი ოლი-გარქების საყვარელ საუზმეს შეექცევა – წინიბურის ფაფას, მოხარ-შულ კვერცხსა და ყველის კვერებს. ამ სანახაობას ფონად გასდევს გარემიქსებული მუსიკა სერგეი პროკოფიევის ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“ და მადლობის შეძახილები. კლიპის შარუულ ვიზუ-ალურ შემადგენელს ამძაფრებს სიმღერის ტექსტი, სადაც მომღე-რალი მდიდარ რუსებს ლიად დასცინის (იხ. ვებმის.: <https://www.youtube.com/watch?v=MdYGQ7B0Vew>).

თუმცა, ეპატაჟურმა ბრიტანელმა მომღერალმა ამ ირონი-ული პოლიტიკური პოპის შესრულებიდან სულ მცირე ხანში საო-ცარი „ფერისცვალება“ განიცადა. ყველასთვის მოულოდნელად, 14 ივნისს მის მიერ შესრულებული ცნობილი ჰიტებით გაიხსნა მოსკოვში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი, რის გამოც მომღე-რალმა იმედგაცრუებული თანამემამულების დიდი რისხვა დაიმ-სახურა. სამაგიეროდ, აღაფრთოვანა მოსკოველი მაყურებელი, რომელიც ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა სტადიონზე სუპერ-პოპულარული მომღერლის გამოჩენას. და ამ მქუხარე აპლოდის-მენტების ადრესატი დიდნილად საკუთარი ქვეყნის მეთაური იყო, აღფრთოვანებულმა პუბლიკამ მისი „მოხერხებულობის“ გამო რომ დააჯილდოვა. მართლაც, დიდი მიხვედრა არაა საჭირო იმის გამოსაცნობად, თუ რამ გადაანყვეტინა მომღერალს შეეცვალა სიმღერით ადრე გაცხადებული პოზიცია. ინგლისური მედია ლიად საუბრობს მრავალმილიონიან საფასურზე, რომლითაც რუსეთის ხელისუფალმა პოპვარსკვლავი მოსკოვში სტუმრობაზე დაიყოლია. ამ ფაქტიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ არაერთი კვირის მან-ძილზე პოპოცეულში ლიდერობის მაძიებელმა სიმღერამ „ფეხბურ-თის სამშობლო“ სწრაფადვე დატოვა ჩარტი. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, სინამდვილეში რა იმაღებოდა „კრემლის“ დაკვეთით შექმნილი სიმღერისა და სკანდალური კლიპის „პოპულარობის“ მიღმა.

რუსული მუსიკალური ინდუსტრია დიდი ხანია ხელისუფლების სამსახურშია, ხოტბას ასხამს მის მიერ აღებულ პოლიტიკურ კურს-

სა და იდეოლოგიას... თავის მხრივ, ხელისუფლება აქტიურად იყენებს პრობლემების „შიგნიდან გარეთ გატანის“ პოლიტიკას – გარე საფრთხეებზე ყურადღების გადატანით ცდილობს ლეგიტიმაციის გამყარებას, შიდათანხმობისა და საერთო კონსესუსის მიღწევას. ეს ყოველივე მასობრივი კულტურით ძალაუფლების განმტკიცების სტრატეგიას წარმოადგენს და ქვეყანაში არსებული სირთულეების დაფარვას ემსახურება. მსგავსი პოლიტიკა არა მხოლოდ ჩრდილო მეზობლის სამოქმედო არსენალშია, მას ზოგადად ავტორიტარები მიმართავენ, აქტიურად იყენებენ ასევე ნახევარდემოკრატიული რეჟიმებიც. რუსეთი მრავალი წელია ამ გზას ადგას და ახალ-ახალ საცდურებს სთავაზობს პოპულტურის ტრაფიალთ.

პოლიტიკური მუსიკის გამოვლინებებს ვხვდებით არა მხოლოდ პოპმუსიკაში, არამედ მაღალი, ელიტური კულტურის ცალკეულ ნიმუშებში. აშკარა პოლიტიკური მიმხრობის თვალნათელი მაგალითია რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან რამდენიმე დღეში, 2008 წლის 21 აგვისტოს, ქ. ცხინვალში სანკტ-პეტერბურგის მარიინსკის სიმფონიური ორკესტრის მიერ ჩატარებული კონცერტი ვალერი გერგიევის დირიჟორობით. კონცერტზე შესრულდა ჩაიკოვსკის მე-5 და მე-6 და შოსტაკოვიჩის მე-7 სიმფონიური ნაწარმოებები. ეს უკანასკნელი „ლენინგრადსკაიას“ სახელითაა ცნობილი და ლენინგრადის ბლოკადას ეძღვნება. კონცერტს ერქვა „თქვენ, ცოცხლებსა და დაღუპულებს! შენ, სამხრეთ ოსეთო!“ (“Вам, живым и погибшим! Тебе, Южная Осетия!”). ამავე კონცერტზე ცნობილმა მაესტრომ ცხინვალი 1941- 45 წ.წ. დიდი სამამულო ომის გმირ ქალაქ სტალინგრადს შეადარა (ფაშისტებში, სავარაუდოდ, ქართველი ჯარისკაცები იგულისხმებოდნენ).

რუსული პროპაგანდის ონლაინგამოვლინებებს იკვლევს მ.დე-მეტრაშვილი მუსიკალური შოუს „ы супер“ (გადაცემის მედია-პარტნიორია საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკი“ – Sputnik) მაგალითზე (დემეტრაშვილი 2017: 47–50). პროექტი ვოკალური ტალანტების კონკურსის ფორმატისაა და იმით განსხვავდება სხვა კონკურსებისგან, რომ მასში მხოლოდ მზრუნველობამოკლებული ბავშვები მონაწილეობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მათ შორის: ყირიმიდან, საქართველოდან, აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან“ (!). ავტორი სამართლიანად

შენიშნავს, რომ ერთი შეხედვით „უწყინარი“, „ჰუმანური“ მუსიკა-ლური პროექტი სინამდვილეში გლობალური პროპაგანდისტული ინსტრუმენტია. მისი მიზანია, მასშტაბური აუდიტორია გააერთიანოს საბჭოთა კავშირის ძმური, მეგობრული ოჯახის იდეის გარშემო (იხ. ვებმის.: <https://youtu.be/391zIAT3B9o>).

მოულოდნელი არავისთვის იქნება, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენა ვლადიმირ პუტინის დიდი ხნის სურვილია. ამ იდეის სამსახურშია თანამედროვე რუსული პოპინდუსტრია, რომელიც აქტიურად ექცს კავშირებს ყოფილ რესპუბლიკებში საბჭოური პერიოდისადმი ნოსტალგიურად განწყობილ აუდიტორიათა შორის და პოულობს კიდეც. ამ მიზანს ემსახურებოდა გასული წლის 17 სექტემბერს ბაქოში გამართული კონცერტი, რომელშიც ქართველი მომღერლებიც მონაწილეობდნენ. ამ კონცერტზე 2000 – იანი წლების პოპულარული რუსი მომღერალი „გლუკოზაც“ (Глюкоза – ამ ფსევდონიმითაა ცნობილი რუსი პოპმომღერალი ნატალია ლონოვა) გამოვიდა თავისი ჰიტებით, მათ შორის, ცნობილი სიმღერა „იცეკვე რუსეთი“ („Танцуй Россия“) შეასრულა, რომელიც ვულგარული და ცინიკური მისამღერით გამოიჩინა: „იცეკვე რუსეთი და იტირე ევროპავ, მე ყველაზე, ყველაზე ლამაზი უკანალი მაქვს“. ცხადია, ჩვენ აქ ევფემიზმი გამოვიყენეთ, ორიგინალურ ვერსიაში კი მომღერალი ეთიკურობას ხარკს მხოლოდ ამ უხერხული სიტყვის პირველი ასობგერის მოგუდვის ხარჯზე უხდის („Танцуй Россия и плачь Европа..А у меня самая, самая красивая (п)опа..“). შემთხვევითი არაა, რომ ორიგინალურ ვერსიაში სიტყვები „ევროპა“ და „უკანალი“ ერთმანეთს ერითმება, ისინი შესატყვისებადაა გამოყვანილი..

უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ მიუხედავად უფროსი თაობის ზოგიერთი ჯვაფის ნოსტალგიური დამოკიდებულებისა ჩრდილოელი მეზობლის კულტურის ცალკეული შემოქმედების მიმართ, თანამედროვე რუსული კულტურა ფეხს ვერ იკიდებს ქართულ საზოგადოებაში (გოგიძერიძე 2017: 654). რუსული პოპკულტურა აშკარად აგებს კონკურენციას ამერიკულ და ბრიტანულ მუსიკასთან. გარდა 200 წლიანი ტკივილიანი ისტორიისა, საქართველოს კარგად ახსოვს 2008 წლის ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია რუსეთის მხრიდან და მხოლოდ საერთაშორისო

თანამეგობრობის მყისიერი რეაგირების შედეგად მიღწეული საკმაოდ წამგებიანი ზავი. ამდენად, რუსეთის ძველი და ახლი „რბილი ძალის“ გამოვლინება ქართულ საზოგადოებაში სერიოზულ დასაყრდენს ვერ პპოვებს. რასაც ვერ ვიტყვით ქვეყნის სეპარატისტულ რეგიონებზე.

### • მუსიკა პოლიტიკაში

მუსიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის არხს, კვლევის თვალსაზრისით, შედარებით წაკლები ყურადღება ეთმობოდა, მაგრამ ბოლო დროს აღიარეს მისი გავლენა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე. მუსიკამ დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ასე მაგალითად, დაუმორჩილებლობის გამომხატველი ეროვნული სიმღერები ძლიერი საპროტესტო მუხტის მატარებელი იყო ირლანდიის დიდი ბრიტანეთისგან განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. არცთუ შორეულ წარსულში, საბჭოთა კონტროლის ბოლო წლებში, ესტონეთზე განხორციელებული იდეოლოგიური წნევის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას „მომღერალი რევოლუცია“ უწოდეს. საპროტესტო თავყრილობების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებს სწორედ მუსიკის მეშვეობით გადაეცემოდა. პოლიტიკური მუსიკა იწვევდა ხალხს შეკრების ადგილზე, რათა გამოეხატათ თავიანთი ერთგულება ავტონომიურობის აღდგენისა და ეროვნული კულტურის საბჭოთა ზეწოლისგან განთავისუფლების იდეებისადმი. როგორც დენის მაკეუელი შენიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ მუსიკის კონტენტი არასოდეს ყოფილა ადვილად დასარეგულირებელი, მისი გავრცელების პრიორიტეტი ძირითადად გარკვეულ დაწესებულებებს ენიჭებოდა და მუსიკის დევიანტური ტრადიციები კონკრეტულ სანქციებსაც ექვემდებარებოდა. (...) წებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე პოპულარული მუსიკა უწყვეტად გამოხატავს საკმაოდ მტკიცე ღირებულებებს“ (მაკეუელი 2018: 52-53).

მუსიკით საზღვრების „გარღვევის“ ნოვატორულ მცდელობად უნდა მივიჩნიოთ გვიანი საბჭოური და ე.ნ. „გარდაქმნის“ პერიო-

დების რუსული მუსიკალური ექსპერიმენტები. ეს ის დრო იყო, როცა „სკორპიონსი“ (Scorpions) „ცვლილებების მოახლოებაზე“ მღეროდა, ბონისა და „იუთუს“ (U2) მუსიკა კი სიმბოლურად ანგრევდა ბერლინის კედელს. საბჭოთა ცენტურისა და სოციალისტური ცხოვრების წესის წინააღმდეგ ნონკონფორმისტული კონცეფციით ერთიანდებოდნენ რუსული როკგუფები და სოლო შემსრულებლები: ანდრე მაკარევიჩი და „მაშინა ვრემენი“, ბორის გრებენშიკოვი და „აკვარიუმი“, იური შევჩუკი და „DDT“, ვიქტორ ცოლი და „კინო“, უანა აგუზაროვა და სხვები. მათი სასიმღერო ტექსტები ღია პოლიტიკურ კომენტარს შეიცავდა და თავისუფლების იდეით იყო განმსჭვალული. თუმცა, ეს ექსპერიმენტი დიდხანს არ გაგრძელებულა. პოსტელცინისეულ რუსეთში პოლიტიკური პოპის მოთვინიერების დრო მაღლე დადგა.

განსხვავებით იმ პოპვარსკვლავებისგან, რომლებიც სულ უფრო ხშირად იწონებენ თავს რუსეთის ხელისუფალთა გარემოცვაში გადაღებული ფოტოსურათებით (რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მათ შორის ბონიც უნდა დავასახელოთ), რუსული როკის ლეგენდარული წარმომადგენლები დღესაც არ ღალატობენ თავიანთ პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მარტში ბ. გრებენშიკოვმა, ი. შევჩუკმა, ვ. ბუტუსოვმა და მ. ლეონიდოვმა გაავრცელეს ვიდეომიმართვა და რუსეთსა და უკრაინას მშვიდობისკენ მოუწოდეს (იხ. ვებმის: <http://pirveliradio.ge/?newsid=21574>). იმავდროულად, გრებენშიკოვის მიერ კიევში ჩატარებული კონცერტი რუსეთის დუმაში სამშობლოს ღალატად გამოაცხადეს.

საერთო პოლიტიკურ არჩევნად იქცა მუსიკოსთა მსგავსი გემოვნება ამერიკაშიც, როდესაც დასავლეთ სანაპიროს როკმოძღვრები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ისინი თავიანთ აუდიტორიას „ალტერნატიული“ საზოგადოების მოქმედ თუ პოტენციურ წევრებად აღიქვამდნენ. ეს „ნევრობა“ კი დაკავშირებული იყო მსმენელის ვიეტნამის ომისადმი დამოკიდებულებასა და ანტისაომარ განწყობებზე. ამ ფონზე, კონტრკულტურის კონტექსტში, ყველა სიმღერა ომთან დაპირისპირებულად მიიჩნეოდა. როგორც ჯონ სთორი შენიშნავს: „მუსიკა გამოხატავდა კონტრკულტურის ლირებულებებსა და მისწრაფებებს და, ამავე დროს, ხელს უწყობდა კულტურის კონსოლიდირებასა და პროდუქტიულობას“

(სთორი 2007: 155). პოლიტიკური პროტესტის გამოხატულება იყო ის ფაქტიც, რომ ჯონ ლენონმა 1969 წელს თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯილდო (MBE -ს პრიზი) დიდი ბრიტანეთის მიერ ვიეტ-ნამის ომში ამერიკის მხარდაჭერის გამო დააბრუნა.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ბრძოლაში მარკეტინგული პრინციპის გამოიყენება დაიწყეს, პოპულარული მუსიკა იმიჯმენტერთა შემოქმედებითი სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა მან წინასაარჩევნო სარეკლამო კამპანიაში. მუსიკალური პოლიტიკური კლიპები საუკეთესო საშუალებაა ელექტორატის მისამხრობად და პოლიტიკოსების-თვის დადებითი იმიჯების შესაქმნელად. მარტივი, რითმული და იოლად დასამახსოვრებელი მუსიკალური ვიდეორგოლი შესაბამისი ვიზუალური შემადგენლით ეფექტურად მოქმედებს ამორჩეველზე, ხელს უწყობს სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებას.

მუსიკალური საარჩევნო რეკლამის ერთ-ერთი პირველი შემქმნელია ჟაკ სეგელა – პოლიტიკური რეკლამის ფრანგი ოსტატი. მას შემდეგ, რაც იმიჯოლოგიური ნიჭის წყალობით ფრანსუა მიტერანი „გააპრეზიდენტა“ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), სეგელამ შემდეგი ვადითაც იზრუნა მის არჩევაზე. ამისთვის კი სრულიად ახალი, იმ დროისთვის (1988 წ.) ნოვაციური სარეკლამო ფორმა – სასიმღერო პოლიტიკური რეკლამა შექმნა. სეგელა ფრანგული კომიქსების გმირს, კეთილ ძიას დაესესხა და მიტერანისთვის მეტსახელი „ტონტონი“ მოიფიქრა (გავიხსენოთ მეტსახელი „ბაბუ“, რომელიც ჯერ ედუარდ შევარდნაძეს, მერე კი – ასლან აბაშიძეს შეარქვეს). ამ მოტივზე დაიწერა სიმღერა – „ნუ მიგვატოვებ, ტონტონ“, რომლის შესრულებაც პოპულარულ შანსონიე რენოს მიანდეს. შედეგმაც არ დაახანა და სულ მალე მთელ საფრანგეთს „ტონტონი“ ეკერა პირზე (მუბითიძე ... 2009: 47). რთული გამოსაცნობი არაა, როგორ დასრულდებოდა არჩევნების შედეგი.

პოლიტიკური და საარჩევნო მუსიკალური სარეკლამო კლიპების მაგალითები მრავლად მოგვეპოვება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. გავიხსენოთ ყველასთვის კარგად ნაცნობი სამიჯვა და პროპაგანდისტული რეკლამების ნიმუშები: 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით შექმნილი სიმღე-

რა და კლიპი „გაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, „ქვეყანაშია ფერები მუქი“- უცნობის შესრულებით (1998), „მოქალაქეთა კავშირის“ სარეკლამო კლიპი „გიხაროდენ“ (1999), „ველოდები მზეს“ – „ახალი მემარჯვენების“ მხარდასაჭერი საარჩევნო კლიპი უცნობის შესრულებით, „შენც წადი“- დარდუბალა (2001), „ახალ დღეს“ – „ვარდების“ რევოლუციის ჰიმნი (2004), საქართველოს ჰიმნი „თავისუფლება“ (2004), „მიშა მაგარაი“ – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კლიპი (გოგა ხაჩიძის ავტორობით), „კოკოთი ფანდარასტ“ – ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის წინააღმდეგ გადაღებული კლიპი ლექს-სენის შესრულებით (2006), „გამარჯობა აფხაზეთო შენი“ – პროპაგანდისტული კლიპი ყველა ვარსკვლავის შესრულებით, „ფსოუს წყალია“ – ნინი ბადურაშვილის შესრულებით, „პატრიოტები“ – პატრიოტთა ბანაკის საიმიჯო კლიპი ლექს-სენის შესრულებით, „საქართველო, საქართველო“ – რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ გადაღებული კლიპი (2008), „დედაენა“ – 2008 წლის წინასაარჩევნო კლიპი უცნობის ავტორობით, „აფხაზეთო ჩემო“ – პროპაგანდისტული კლიპი სოფო ნიუარაძის, ნინო სურგულაძისა და გიორგი უშიკიშვილის შესრულებით (2010), „ბათუმს თვალნარმტაცს“ – ბათუმის აღმშენებლობასთან დაკავშირებით შექმნილი საიმიჯო კლიპი სოფო ნიუარაძის შესრულებით, „ჩემო თბილის ქალაქი“ – თბილისის მერიის საიმიჯო კლიპი ძვალისა და მაია კაჭკაჭიშვილის შესრულებით (2011), „სისტემა უნდა დაინგრეს“ – სერგი გვარჯალაძის, მაქს მაჩაიძის, უნგ უ უნკიი, შვანსიკ და სხვების მიერ შესრულებული პროპაგანდისტული კლიპი (2012), „საქართველო ჩვენ ვართ“ – ბერა ივანიშვილისა და ბიძინა ივანიშვილის დუეტი (2012), „ჩემი საქართველო აქ არის“ – „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პოლიტიკური კლიპი (2016) და ამავე სიმღერის 2017 წლის საარჩევნო რიმეიქი (დასახელებული კლიპები შეგიძლიათ იხილოთ ურნალ „ტაბულას“ ვებგვერდზე, მის: <http://www.tabula.ge/ge/story/124751-saarchevno-da-politikuri-klipebi-damoukidebeli-saqartvelos-istoriashi>).

როგორც ვხედავთ, ქრონოლოგიური პრინციპით წარმოდგენილი მუსიკალური კლიპების დიდი ნაწილი გადაღებულია 2004-2012 წლებში, ძირითადად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. რაც ცხადად მონმობს ამ პოლი-

ტიკური ძალის გათვითცნობიერებულობას პიარტექნოლოგიებსა და საარჩევო სარეკლამო სტრატეგიის დაგეგმვაში. მიუხედავად დასამახსოვრებელი კლიპების სიმრავლისა, ქართული პოლიტიკური მუსიკის „მაგნუმ ოპუსი“ გახლავთ „მიშა მაგარია“ – გოგა ხაჩიძის მიერ შექმნილი საარჩევნო კლიპი. მისი ტელეეკრანზე გამოჩენისთანვე დიდ-პატარას პირზე ეკერა მელოდიური მისამ-ღერი. სიმღერის რეფრენად გამოყენებული სიტყვათა მარტივი შე-თანხმების გარითმებით მიღწეული ეფექტი კი ადეკვატურად აისახა არჩევნების შედეგზე.

ასე რომ, სანამ ქართული პოლიტიკის „სიმფონიაში“ დირიჟორბისა და „პირველი ვიოლინოს“ თემა აქტუალურია და პირველ ხმასაც გადამწყვეტი როლი ენიჭება, პოლიტიკური შედეგის მისაღწევად მუსიკაც არ დაკარგავს მნიშვნელობას... იქნება თუ არა ეს „მუსიკა“ პოლიფონიური, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დემოკრატიულ გარემოში მოგვიწევს მისი შესრულება...

პოლიტიკური პოპმუსიკის ნიმუშთა ჩამონათვალი უსასრულოდ შეგვიძლია განვავრცოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთ მოხმობილ შემთხვევათა ანალიზიც საკმარისია, რომ დასაწყისში გაცხა-დებული ვარაუდების მართებულობა ვამტკიცოთ. კონკრეტულ ნიმუშებზე დაკვირვებამ და რელევანტური ლიტერატურის გან-ხილვამ მოგვცა იმის თქმის საფუძველი, რომ თანამედროვე გლობალური პოპმუსიკა სულ უფრო მეტად გამოიყენება ლოკა-ლური პოლიტიკური მიზნებისთვის. მას ქვეყნის მმართველები მიმართავენ საკუთარი აუდიტორიების მისამხრობად. ზოგჯერ მუსიკალურ ნარატივში ასახული ლოკალური პოლიტიკური დღის წესრიგი გავლენას ახდენს გეოგრაფიულად და კულტურულად ახლომყოფ აუდიტორიებზეც.

ყოველი ეპოქა თავის პოლიტიკურ მუსიკას ქმნის და პოლიტიკური მიზნების მსგავსად, ახალი შინაარსით ავსებს აკვიატებული მელოდიების ტრივიალურ ტექსტებს.. კვლევის ეს რაკურსიც მუ-დამ აქტუალური იქნება და მდიდარ ემპირიულ მასალას მოიკრებს პოპულარული პოლიტიკური მუსიკის ახალი მნიშვნელობების და-საძებნად. ჩვენ მიზნად დავისახეთ, გვეჩვენებინა ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და სადაც კიჩპროდუქცია ბატონობს. მკითხველის გადასაწყვეტია, მოცემულ მსჯელობას გამოცდი-

ლების ნაწილად აღიქვამს, თუ არსებულის ჰიპერბოლიზებად, ერთი დიდი პოლიტიკური სპექტაკლის წარმოჩენის მცდელობად მიიჩნევს ამ „მუსიკალურ ოპუსს“, თუ მხოლოდ და მხოლოდ „დივერტისმენტად“.

#### **დამოცვებანი:**

**გოგიბერიძე 2017:** Gogiberidze S. *Georgia and Cultural Globalization: Effect and Challenges* (საქართველო და კულტურული გლობალიზაცია: ეფექტები და გამოწვევები), David Publishing Company, 2017. ელექტრონული მისამართი: <http://www.davidpublisher.org/index.php/Home/Article/index?id=34117.html>

**დემიტრაშვილი 2017:** დემიტრაშვილი, მ. რუსული პროპაგანდის გამოვლინებები ქართულ ონლაინებრიაში. სამაგისტრო ნაშრომი (ხელმძღვანელი მ.შამილიშვილი, შესრულებულია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში). თბილისი: 2017.

**დეფლორი ... 2009:** დეფლორი მ., დენისი. ე. მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის. თბილისი: 2009.

**დიურინგი 2009:** დიურინგი ს. კულტურის კვლევები: კრიტიკული შესავალი. თბილისი: .2009.

**მაკელი 2018:** მაკელი დ. მასობრივი კომუნიკაციის თეორია (მეცნიერებაქტიურული გამოცემა. თარგმანი შესრულებულია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებზე. ხელნაწერის უფლებით). თბილისი: 2018.

**სთორი 2007:** სთორი, ჯ. კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.

**შუბითიძე ... 2009:** შუბითიძე ვ., ბუცხრიკიძე ა. იმიჯოლოგია. 2009.

## **MEMORIA\***

---

### **ილია ჭავჭავაძე – 180**

**გია არგანაშვილი**

**ლიტერატურა ცხოვრებისთვის  
(ქართველი კაცის ისტორიული სახის რეცეფცია  
ილია ჭავჭავაძის მოთხოვნებში)**

წარმოსახვას რატომ უნდა უჭირდეს რაიმეს წარმოდგენა, თუ ის ეთიკის და ესთეტიკის ნორმებს არ არღვევს, თუ სურათი მხატვრული რეალობის საზღვრებს არ სცილდება? თითქოს, მართლაც ასეა... მაგრამ მე თუ რაიმეს დანახვა გამიჭირდება, ეს ბავშვური გატაცებით ქვიშაში მოთამაშე რომელიმე დიდი და ცნობილი მწერლის წარმოდგენაა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მდიდრული და საინტერესო მხატვრული სახეები ბავშვური გატაცებით სწორედ „იმ მასალაში“ იქმნება, სადაც ასევე ძალიან ადვილად შეიძლება უნებლიერ „შეცდომის“ კვალის გაქრობა.

თუნდაც ბავშვური ფანტაზიით და გატაცებით, ცნობილ ადამიანთა შორისაც ჩემში ყველაზე მეტ რიდსა და კრძალვას მაინც ქვიშაში მოთამაშე თავადი ილია ჭავჭავაძე, წმიდა ილია მართალი იწვევს. თანაც, თუ ამგვარ თამაშში გართულს ჩვენ პატარა ილიკოს კი არ ვხედავთ, ერთხელ მამიდამ მუშების დასაძახებლად რომ გააგზავნა და ხელცარიელი უკანვე დაბრუნდა, ვერ გავლვიძე, ისე ტკბილად ეძინათო, არამედ უკვე კაცობაში შესულ ილია ჭავჭავაძეს.

მართლაც ძნელი წარმოსადგენია ერთდრულად ლიტერატურულ თამაშში გართული, მეორე მხრივ კი ქვეყნის ბედზე დაფიქრებული, ბანკისა და გაზეთის საქმეებით გაბეზრებული მწე-

რალი, პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და მომრიგებელი მოსამართლე ილია ჭავჭავაძე.

უფრო კი მომრიგებელი მოსამართლე ეს იყო მისი ერთადერთი პროფესია, რომელიც არასოდეს უსწავლია და არც არასოდეს დაუგდია. თანდაყოლილი ნიჭით, მონდომებით, მონადინებით და მოწოდებით მთელი ცხოვრება სხვადასხვა წოდებათა მორიგებას ცდილობდა.

და არა მხოლოდ წოდებათა შორის იყო დამაკავშირებელი ხიდი ჩანგრეული, არამედ მოსარიგებელნი იყვნენ მდიდარი და ღარიბი, წარსული და აწყობო, აწყობო და მომავალი, ძველი და ახალი, ძმას-თან, შვილი მამასთან, ცოლი ქმართან უნდა შეერიგებინა..

ლიტერატურა მისთვის მაინც ცხოვრების ლაბორატორია იყო. ცდის ექსპერიმენტი ტარდებოდა იმ საკითხების თეორიულად გადასჭრელად, რომელიც ცხოვრებაში, პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა.

ქვიშაში კი წარმოსახვითი, ნამდვილი „ლიტერატურული თამაშა“ იყო გაჩაღებული და თვითონაც მოთამაშეს ჰგავდა, როდესაც ბავშვური სიჯიუტით ცდილობდა მდინარის სხვადასხვა მხარეს, საუკუნეების განმვლობაში დაპირისპირებულ მხარეთა მორიგებას, როდესაც დაშორებული ნაპრების დასაკავშირებლად ხიდის გადებას ლამობდა.

ეს იყო ლიტერატურა ცხოვრებისთვის (სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება). მწერალი წინასწარ ქმნიდა გარემოს, სიტუაციას, ხოლო შემდეგ პერსონაჟები ერთვებოდნენ ხელოვნურად შექმნილ ცხოვრებისეულ კონფლიქტში.

ბავშვებიც ხომ ასე ქმნიან თამაშის დროს მაპროვოცირებელ გარემოს, სადაც სამოქმედოდ თიხისგან გამოძერნილ პერსონაჟებს უშვებენ?!

გარემო კი უშუალოდ სინამდვილიდან იყო აღებული. სცენა წარმოადგენდა თავადის სახლ-კარს – დიდ მეურნეობას მამულით, ტყით, საძოვრით, უამრავი საქმითა და ლამის უფასო მუშახელით. კონფლიქტში კი მონაწილეობდნენ: მრისხანე ბატონი, მოხუცი გლეხვაცი და მისი მემბოხე შვილი.

თავდაპირველად („რამდენიმე ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრები-დანი“) ბატონის სახე იყო ძალზე სქემატური და დაუმუშავებელი.

თუმც კი ტიპური იმ დროისთვის და ერთგვარად ნაცნობიც („ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი“), რომლის მსგავსიც მრავალჯერ გვინახავს ილიამდე და ილიას შემდეგაც.

გლეხის (ზაქროს მამა) სახე იყო ნედლი და დაუხვენავი. ისეთი, რომ ბერიკაცს მოძრაობაც კი უჭირდა... სახელი კი არცერთს არ ჰქონდა და ეს უფრო მეტად არწმუნებდა მკითხველს, რომ ისინი ზოგადი ხასიათის მატარებელნი, თავიანთი წრის სისხლი სისხლ-თაგანნი და ხორცი ხორცათაგანნი იყვნენ.

პეიზაჟი იყო ერთფეროვანი, ექსტერიერი – ღარიბი. სიტუაცია – ყბადალებული (სტერეოტიპული). სრა – სასახლესთან მდიდრულ ქურქი გამოწყობილი აჯამი, უშნო, რეგვენი ბატონი, ხოლო ხიდის მეორე ნაპირზე მიწური ქოხი და სანთელივით გულმართალი გლეხკაცი თავისი ღარიბი კერით.

თავდაპირველად ასე ისურვა ავტორმა.

ჯერ მხოლოდ ეს ორნი იყვნენ და მათი უფრო ახლოს გაცნობა არც იყო საჭირო. დადგებოდა დრო და ბატონს არჩილს, დათიკოს ან კოლას დაარქმევდა ავტორი, გლეხკაცს კი – კაკოს, ზაქროს, გაბრიელს ან გიორგის.

ქვიშაში ყველაზე ადვილი ხიდის აშენება იყო. რიყის ქვებზე დაყრდნობილი ხის ორი ნეირიც კი საკმარის პირობითობას ქმნიდა მნახველზე სრული შთაბეჭდილების მოსახდენად.

და ამ ხიდზე პირველად თორმეტი წლის კაკო შეაბიჯებს... კი არ შეაბიჯებს, კისერზე თოკჩაბმულს დასაკლავ ხბოსავით გადა-ათრევენ მეორე ნაპირზე და ვიდრე უკან დაბრუნების საშიშროება იქნება, დაბმული ეყოლებათ.

მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი,  
როცა ბატონმა სახლს მომაშორა...

(თორმეტი წლის ბავშვი – არც ისე პატარაა, თუმცა ის მრავალი უხილავი ძაფით არის მშობლების გარემოსთან დაკავშირებული. ეს კავშირები თითქოს ადვილად წყდება, მაგრამ მკაცრი გარემოს პირობებში გაწყვეტილი ურთიერთობები შეუხორცებელ ჭრილობად მიჰყვება მოზარდის ჩამოუყალბებელ ფსიქიკას).

მკითხველს ვთხოვ, რომ აქ ფაქტობრივ შეცდომას ნუ დაუწყებს ძებნას, რადგან კარგად გვახსოვს, რომ საკუთარ ოჯახს და გარე-

მოს მოშორებული ბიჭი კაკო კი არა ზაქროა. ზაქრო ყვება თავის თავგადასავალს, მაგრამ მსგავსება ამ ორ ადამიანს (კაკოსა და ზაქროს) შორის იმდენად დიდია, რომ მკითხველი დარწმუნებულია იმდროინდელი ყველა გლეხკაცის შვილის ისტორია გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს.

კაკოც ისე ისმენს ამ ამბავს, როგორც საკუთარს. მასში ხელახლა იღვიძებს ბავშვობის მძიმე მოგონება. თითქოს თვითონაც ერთვება კონფლიქტში. განიცდის, იარაღს უჭერს ხელს და მზად არის ხელახლა დაიცვას დაჩაგრული გლეხის უფლება.

მხოლოდ ერთხელ, როდესაც ზაქრო თითქოს ძალით წელავს ამბის თხრობას და შურისძიებას აგვიანებს, კაკოს მოთმინების ძაფი უწყდება და ჩეკარობს იმის შეტყობას, რაც თავისი თვალით უხილავს, განუცდია და გაუკეთებია კიდეც...

ქვიშაზე ადვილად იშლება დაწერილი. არც დეკორაციების შეცვლა ჭირს. პერსონაჟებიც ადვილად იცვლიან გარემოს. ისინი ადვილად ჩნდებიან და ასევე ადვილად ქრებიან...

ავტორმაც დაუნანებლად ნაშალა ისინი, რადგან გლეხისა და თავადის ურთიერთობის ნორმალიზების პერსპექტივა ამ სცენარში არ იკითხებოდა.

მეორე ცდაზე („გლახის ნაამბობი“) გარემოც უფრო მეტი რუდუნებით შეიქმნა. სახლიც სახლს დაემსგავსა, ეზო-ეზოს. ბატონიც უფრო მეტად დამთმობი გახდა და გლეხიც. ურთიერთობისთვის უფრო მეტი სიცოცხლე და რომანული განწყობილება რომ მიენიჭებინა, ახალგაზრდა ბატონსა და გლეხს შორის ქალი – თამრო გააჩინა.

გლეხის შვილი კი ახლა უკვე თავისი ნებით მიყვება ბატონს (აქ დედინაცვლის სტერეოტიპული სახეც თამაშობს თავის უარყოფით როლს). პატარა ბატონსა (დათიკოს) და გლეხის შვილს (გაბრიელს) შორის რაღაც სიყვარულის მსგავსიც ჩნდება, რადგან როდესაც გაბრიელის მამა (სწორედ ისე, როგორც ზაქროს მამა) შვილის სახლში დასაბრუნებლად ეახლება ბატონს, ბატონი იქცევა ისე, როგორც მის კეთილშობილებას შეეფერება. არჩევანის საშუალებას აძლევს გაბრიელს, თუმცა გაბრიელი ბატონიშვილის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს და მოხუც მამას განბილებულს ტოვებს.

ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ ბატონისა და გლეხის ურ-თიერთობაში უკვე დიდი წინსვლაა. ამ ეპიზოდის მიხედვით, ბა-ტონი მართლაც რომ მამაშვილურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს გლეხის შვილისადმი. თუმცა ეს ურთიერთობა ჯერჯერობით მა-ინც მთლიანად ბატონის კეთილ ბუნებაზეა დამყარებული, მაგრამ რა ელის ამ ურთიერთობას, თუ ახალგაზრდა ბატონს ამგვარი დამოკიდებულების შესანარჩუნებლად არც დიდსულოვნება ეყო-ფა და აღარც მოვალეობის გრძნობა შეაწუხებს?!

დათიკოს ბუნებამ ყველაფერი მისცა, მაგრამ გარემომ წვრთნა დააკლო და საკუთარ გენეტიკაში ჩამარტული სისასტეკის თუ სხვათა წამხედურობის გამო მისი ზე ერთი მიმართულებით გამრუდდა. მის ხასიათში გაიღვიძა ძველმა მრისხანე ბატონმა. ერთი მხრივ მოძალადემ და შეუწყნარებელმა მესაკუთრემ, ხოლო ,მეორე მხრივ, საკუთარ ყმებზე მზუნველმა თავადმა (?!)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურა დათიკოსნაირ რთულ პიროვნებას არ იცნობს. მასში ორი პიროვ-ნული მე ცოცხლობას. მართალია, მკითხველი ვერ ხედავს, ვერ გრძნობს მის შინაგან კონფლიქტს, მაგრამ, თუ კარგად და-ვაკვირდებით, ძნელი არ არის იმის დანახვა, რად უჯდება საკუ-თარი ნებით გაციმბირებული ყმების გამოხსნა და ამ ამბის სა-იდუმლოდ შენახვა.

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დათიკოში პიროვნებამ (ადამი-ანურმა ცოდვამ) გააციმბირებინა გაბრიელი და პეპია, ხოლო წო-დებრიობამ (თავადაზნაურობის ისტორიული ფუნქცია) იხსნა ისი-ნი ტყვეობისგან.

მაგრამ როგორ რიგდებიან თავადი და პიროვნება ერთ სხეულ-ში და როგორ წარმართავენ ისინი მოქმედების ინიციატივას?

ვნებადაცლილი, დამცხრალი დათიკო თითქოს ეშმაკს იშმორებს თავიდან. მასში უპირველესად ისევ საკუთარი მამის (მზრუნველი ბატონის) აჩრდილი იღვიძებს. ის აჩრდილი ახსენებს მას საკუთა-რი ყმების დაცვის ოდინდელ ვალდებულებას და მამისავე აჩრდილი ამზადებს მას სიკვდილთან შესახვედრად..

შემთხვევითი არ არის, რომ ამ წანარმოებში ჰამლეტის სახეც ჩნდება. ჯერჯერობით, თუ დათიკოს შემთხვევაში ეს ჩვენება იღუზიურია, გაბრიელში უფრო ნათლად ამოიზრდება დანიელი

პრინცის ხასიათი, რადგან მასში მამის სახეც (პეპია) უფრო ცხა-დად იკვეთება, მისგან ფიცით ვალდებულებაც მოტივივაციას იძენს, ხოლო გაბრიელს ჰამლეტზე ნაკლებად როდი აწვალებს შურისძიების განცდა და აქედან გამომდინარე, ყოფნა-არყოფნის დილემა, რამაც საკუთარი ბედის ასე დაუნანებლად განირვა მოითხოვა მისგან.

ავტორს სამართლიანობის თუ ადამიანური ცოდვა-მადლის ასა-ნონად ნაწარმოებში ქრისტიანი მოძღვრის სახე შემოჰყავს. მარ-თალია, მისი მსჯავრი ლვთიურად ლმობიერია, მაგრამ მკითხვე-ლისთვის ძალზე ადვილია მათი სულიერი მდგომარეობის შეცნობა, იმისდა მიხედვით, ზიარებამიღებული მიდის ამქვეყნიდან ცოდვი-ლი ადამიანი თუ უზიარებლად კვდება:

„—პეპია რასა იქს?

—მოკვდა.

—ესე უზიარებლად და მოუნანიებლად, როგორც მე?

—ეგრე...“ (ჭავჭავაძე 1988: 215).

მკითხველს ალბათ გული წყდება, რომ პეპიასა და დათიკოს მსგავსად (ესენი კონფლიქტში უშუალოდ ჩართული მხარეები არი-ან და შესაბამისად, ორივეს თავისი წილი ცოდვა აძევს კისერზე) ვერც გაბრიელი ელირსება ზიარებას და შენდობას. არადა თითქოს ყველაფერი მზად იყო ამისთვის. მღვდელს ხელში სანაწილე ეჭირა და სულ რაღაც წამებში გაბრიელის ცოდვილი სულიც იგრძნობდა ტანჯვის შემსუბუქებას, მაგრამ რაღაც გაუთვალისწინებელი მოხ-და და გაბრიელიც არ დაემორჩილა არც მოძღვრის რჩევას (აღარც ავტორის სურვილს) და მუხლებზე წამომართული შუამავლის გა-რეშე წარსდგა უზენაესი სამსჯავროს წინაშე.

ისეთი სურათი იხატება, რომ ბრალდებული ძალით შეიჭრა სა-სამართლო დარბაზში და ასე თავაუწევლად (იცის, რომ მისი ცოდ-ვილი სული ვერ გაუძლებს ლვთიურ ნათელს) და უზენაესი მსაჯუ-ლის წინაშე მკაცრი განაჩენის მოღლოდინში გაერთხა მიწას.

არ შეიწყალეს.

კაცის კვლა, შურისძიება არ ეპატია. არ ეპატია, რადგან ეს მის ბუნებასთან შეუთავსებელი იყო. მას, ვისგანაც პატიებას ელოდა, მისი არსება შურისძიებისთვის არ შეუქმნია. ეს ძალზე მძიმე ტვირ-თი აღმოჩნდა მისთვის. არც ის გაითვალისწინეს, რომ ის აიძულეს

შურისმაძიებელი გამხდარიყო . აიძულეს სიყვარულის სახელით. გამწარებული მამის ნებამ ფიცით შეკრა (ჰამლეტივით) და საკუთარი მიზნის განხორციელებას დაუმორჩილა გაბრიელში დანთებული ცეცხლი:

„— რამ მოგიყვანა ამ დღემდინ — ჰყითხა შეწუხებულად ბლალოჩინშა.

— იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას გულში ღვთისგან გვინთია, როგორც შენ ერთხელ მიპრძანე. მე ესე მგონია და სხვისა კი არ ვიცი..“ (ჭავჭავაძე 1988: 218).

.....

ისევ დაიქცა ქვიშაზე აშენებული სრა-სასახლე და გლეხური ქოხი. მოსწორდა ქვიშა და უკვე მერამდენედ, ჯიუტად დაიწყო ახალი სცენის გათამაშება.

მესამე ცდა თითქოს უფრო წარმატებული გამოდგა. გლეხკაცის ეზო-კარიც კესოს ყვავილნარივით რუდუნებით მოეწყო. ამ დაგვილ-მოწესრიგებული ეზოდან თავისი გულივით სუფთა ტანსაც-მლით და ლირსების შეგრძნებით გამოვიდა უკვე საკმაოდ დადინა-ჯებული გლეხეცაცი ოთარაანთ გიორგი. მასაც გაბრიელის ცეცხლი ენთო გულში, ისიც მასავით თონეში იყო გამომცხვარი, თუმცა ოთარაანთ ქვრივის გაზრდილს შურისძიებისკენ ვერავინ უბიძებდა. მას მთელი ის ცეცხლი მხოლოდ დაჩაგრულის დასახმარებლად და სამართლიანობის აღსასრულებლად სჭირდებოდა.

ზაქროს მრისხანე ბატონიდან არჩილამდე მაღალ წოდებასაც დიდი ცვლილება განუცდია.

განათლებას მის ჯიშში მხოლოდ კეთილი და სამართლიანობის ნერგი უხარებია. არჩილი დაფიქრებული კაცია. ის არ ჯერდება მამა-პაპით გადმოცემულ სიკეთეს. ფიქრობს, რომ ის ტალანტივით გაამრავლოს და კეთილად მოიხმაროს.

მთავარი ცვლილება კი, რაც წინა მოცემულობასთან შედარებით მომხდარა, ისევ ქალის სახეა. თამროს ამჯერად კესო ჰქვია და ის ბატონის დაა. ამით კონფლიქტის მიზეზიც ამოწურულია და ყოველგვარი პირობაა იმისთვის, რომ ეს საუკუნოებრივი დავა ბატონსა და გლეხს შორის მორიგებით დასრულდეს.

თუმცა ქვიშაში მოთამაშე პერსონაჟები იგრძნობენ რა ნამდვილი სიცოცხლის ნიშან-წყალს, უკვე დამოუკიდებლად იწყებენ

მოქმედებას. ავტორი, რომელიც აქამდე ხანდახან ხელითაც კი დაატარებდა მათ ფიგურებს, ახლა მხოლოდ მათი ცხოვრების მე-მატიანედ და დამკვირვებლად იქცა. მართალია, დროდადრო ის მაინც შემოდის მოქმედებაში (ტექსტში), ოღონდ არა სიტუაციის შესაცვლელად, არამედ განსჯისა და ანალიზისთვის.

გიორგი და ოთარაანთ ქვრივი არ ჰგვანან სხვა გლეხებს. ისინი არა მხოლოდ სამართლიანობის დასამკვიდრებლად (ეს სოციალ-ური დაკვეთა ერთგვარად წახალისებულიც არის იმ ეპოქაში) იბრძვიან, არამედ თანასწორთა შორის შრომის კულტურის, მორალის და ადამიანური ღირსების შესანარჩუნებლადაც ზრუნავენ. ისინი სხვა გლეხებივით (ზაქროს მამა, პეპია) მხოლოდ ბატონის კეთილ ნებაზე როდი არიან დამოკიდებულნი. ოთარაანთ ქვრივის ეზოში გავლას არა მხოლოდ სოფლის გზირი უფრთხის, არამედ თავადებიც კარგად ხვდებიან, რომ მათი დაჩაგრვა ასე იოლი არ არის.

არც არჩილი და კესო ჰგვანან სხვა თავადებს. მართალია, ისინი იდეალური პერსონაჟები არიან (ის „უსიცოცხლობა“ და „უენერ-გიობა“, რაც კრიტიკის აქვს შენიშვნული და-ძმის სახეში, სწორედ მათი იდეალური ფორმებითაა გამოწვეული), რადგან ავტორს „ცდისპირებად“ მხოლოდ იდეალური პერსონაჟები ჰყავდა წარმოდგენილი, რათა წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის პრობლემა თეორიულად – ქალალდზე (ქვიშაში) მაინც გადაეწყვიტა.

თუმცა საოცარია, რომ ამ ექსპერიმენტის დროს ტრაგედია მაინც ხდება. კვდება გიორგი. კვდება არა რაღაც დაპირისპირების მიზეზით ან შურისძიების ნიადაგზე, არამედ საბედისწერო შემთხვევის გამო. თუმცა საეჭვოა, რომ ეს საბედისწერო შემთხვევა საფუძვლიან მოტივს იყოს მოკლებული.

როდესაც ილია ჭავჭავაძემ საზოგადოების წინაშე „ოთარაანთ ქვრივი“ წაიკითხა (დავით სარაჯიშვილის სახლში), შეფასება არაერთგვაროვანი იყო. ილია მანსვეტაშვილი იგონებს: „ზოგმა დაუწუნა ილიას გიორგის სიკვდილი: „არაბუნებრივია, შემთხვევითიაო, თვით მოთხოვის მსვლელობისგან არ გამომდინარებს, როგორც აუცილებელი, საბედისწერო შედეგი იმ მოვლენათა გადახლართ-გადმოხლართვის, რომელსაც ცხოვრება ჰქმის“.

პერსონაჟის შემთხვევითი, მოტივაციის გარეშე სიკვდილი ნამდვილად უპატივებელი შეცდომაა მწერლისთვის, ასეთ დროს კრი-

ტიკას შეუძლია ავტორს „ლიტერატულ მკვლელობაში“ დასდოს ბრალი. თუმცა ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების გათვალისწინებით, ავტორი ამჯერადაც სწორედ მკითხველისგან იმსახურებს გამოსარჩლებას და მხატვრული ტექსტის დაცვას.

ნუთუ მართლა შემთხვევის მსხვერპლი გახდა გიორგი? ეს კითხვა ალბათ ერთ-ერთი უმთავრესია ამ ნაწარმოების მიმართ, რადგან (როგორც ვთქვით) პერსონაჟის „შემთხვევითი“ სიკვდილი (თუ ის ნაწარმოების განვითარების სრული უპერსპექტივობით არ არის ნაკარნახევი) აკნინებს არა მხოლოდ მწერლის ოსტატობას, არამედ იმ უმთავრეს იდეას, რომლის გადაწყვეტასაც ილიამ მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა.

თანმიმდევრობით მიკვეთ თთარაანთ გიორგის სიკვდილის სცენას. მას აშკარად შემთხვევით გაუწყდა წნელი, შემთხვევით იმ ადგილზე ჭალებიანი ურემიც აღმოჩნდა, ისიც შემთხვევითი მოხდა, რომ საიდანლაც მომავალი გიორგი სწორედ ზვინის აგებას შეესწრო. ზვინი თანაბრად ვერ იგებოდა და ამის გამო გიორგის მოუწია თივის ზვინზე ასვლა, ამას თავის მიზეზი ჰქონდა და თივის მდგმელ პეტრეს არც დაუმალავს ეს მიზეზი:

„აკი ღმერთი არ გამწყრომია! – დაიძახა პეტრემ, – გასწორება უნდა. მოდი, თუ ღმერთი გნამს, გიორგი, ერთი ამომეშველე, გავასწოროთ, თორემ მე მარტოკა დღეს მაგას ვერ მოვასწრებ და საქმის სახვალიოდ დაგდება კი მეზარება“ (ჭავჭავაძე 1988: 289).

არც ღმერთის წყრომაა პეტრეს მიმართ უსაფუძვლო (ეს პეტრემაც კარგად იცის): „ეპ, შვილო და ძმაო, კაცი რომ დაპერდება, უნდა შვილდი ძირს დასდოს“ (ჭავჭავაძე 1988: 290), მაგრამ რა უსამართლო და შეუწყნარებელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ბერიკაციის ეს გულწრფელი სინანული არად ჩააგდოს და ამ ტრაგედიაში ბრალი დასდოს?!

ოღონდაც, პეტრესგან რომ ეს უნებლიერ შეცოდება პირველი იყოს და მისგან თავისმართლებასაც პირველად ისმენდეს.

ვიდრე დაეჭვებული მკითხველი ტექსტში პეტრეს „სხვა დანაშაულის“ ძებნას დაიწყებს, უნდა ვთქვათ, რომ ზოგადად ილია ჭავჭავაძის პერსონაჟები, რომლებიც საუკეთესოდ ავლენენ ქართული ხასიათს, ხშირად მცირეოდენი სახეცვლილებით ტექსტი-დან ტექსტში გადადიან. პეტრე მათგან კიდევ უფრო გამორჩეუ-

ლია, რადგან მას ავტორის თითქმის ყველა პროზაულ ნაწარმოებში ვხვდებით („სარჩობელაზე“, „გლახის ნაამბობი“. „ოთარაანთ ქვრივი“) და ხშირ შემთხვევაში ის (იმის გათვალისწინებით, რომ ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება ერთი მთლიანი ტექსტია) კონფლიქტის მაპროვოცირებელს გარემოს ქმნის, საიდანაც უმეტესად საბედისწერო (რადგან მოტივაცია აშკარად არ ჩანს) ტრაგედიის ნამდვილი მიზეზი იკითხება.

და მაინც, ვინ არის პეტრე?! სწორედ ასე სვამს ამ პერსონაჟის მიმართ კითხვას თავის წერილში („ვინ არის პეტრე?“) მანანა კვაჭანტირაძე, ვრცლად იკვლევს მის ხასიათს ერთ-ერთი მოთხოვნის „სარჩობელაზედ“) – ფარგლებში და ზუსტად აღწერს იმ თვისებებს, რომლებიც პეტრეს, როგორც „მზა პერსონაჟს“, ილია ჭავჭავაძის სხვა ტექსტებშიც უცვლელად მიყვება.

„პეტრე „ჩვენიანია“ და „ბებერია“, როგორც საქრისტიანო საქართველო, ამიტომ ისიც ილიას საზრუნავია, ილიას გასაძლიერებელია („დიდის ღმერთის საკურთხევლის/მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, /რომ ერისა მონმედ ვიყო /ჭმუნვასა და სიხარულში“), და რადგან ერს სძინავს („სულ ძილი, და ძილი...“), ცოდვასა და გაუკვევლობაშია, ისევ ილიამ უნდა შემოაბრუნოს სწორ გზაზე, საიდანაც გადაუხვია – ჯერ შეისვენა, მერე „ღრმად წაუძინა“ (ლოჭინის ხევის ეპიზოდი), ბოლოს კი სულ ასცდა გზას (მახათას მთის ფრაგმენტი) და უცხო გარემოში აღმოჩნდა (კვაჭანტირაძე 2013: 130).

„სარჩობელაზე“ პეტრეს ძალზე ახლოს ვეცნობით, „ოთარაანთ ქვრივში“ კი ის მხოლოდ ერთ პატარა ეპიზოდში ჩნდება, თუმცა მისი სიბერე ერთდროულად იტევს ცნობისმოყვარე და თამაშას მოწყურებულ, ეჭვიან და უანგაროდ კეთილ გლეხკაცს, იტევს მის ძილს, გაურკვევლობას, გზის აცდენას და უცხო გარემოში მოხვედრას („სარჩობელაზე“), ასევე სწავლისადმი ნიჭილისტურ დამოკიდებულებას („არა შეჯდა მწყერი ხესა..“ („გლახის ნაამბობი“) და ერთგვარ გლეხურ სიჯიუტეს, რათა თავისი უძლურება იგრძნოს და „ურმის“ მართვა შვილს დაუთმოს, ოღონდ არა ისე, როგორც პეტრემ თავისი ადგილი ზვინზე გიორგის დაუთმო, უკვე წამხდარი საქმის გამოსასწორებლად.

მცირეოდენი ცვლილება პეტრეს ხასიათში „სარჩობელადან“ „ოთარაან ქვრივამდე“ მაინც შეინიშნება. თუ პირველ შემთხვევაში

(„სარჩობელაზე“) პეტრე საკუთარ „დანაშაულში“, რომელიც უპირველესად მისი სიბერით და ზედმეტი ნდობით არის გამოწვეული, ვერ გარკვეულა და ეს გაურკვევლობა „-მე რა შუაში ვარო..“ (ჭავჭავაძე 1988: 239) ამოაკვნესებს, მეორე შემთხვევაში, ის სრულად აცნობიერებს თავის უნებლივ მონაწილეობას ამ ტრაგედიაში, რაც „რა შეგცოდე ღმერთო, რომ მე გამხადე საბაბიო“ (ჭავჭავაძე 1988: 291) – უნებურად ამას ათქმევინებს და აატირებს...

მართალია, ჩვენმა მსჯელობამ ნაწილობრივ გააბათილა ის ბრალდება, რომ გიორგის სიკედილი შემთხვევითია, მაგრამ მკითხველი ხვდება, რომ პეტრეს ეს საყვედური – „რა შეგცოდე ღმერთო...“ პირველ რიგში, სწორედ ავტორს მიემართება. მართლაც, რა შესცოდა პეტრემ (რომელიც ქართველი ხალხის კრებით სახეს წარმოადგენს) ისეთი, რომ ავტორმა ის „ოთარაანთ ქვრივში“ მომხდარი ტრაგედიის საბაბად აქცია?

ერთი შეხედვით ჩანს, რომ ავტორმა ეს პერსონაჟი აქაც იმაზე მეტ ფუნქციით დატვირთა, ვიდრე ეს ერთ უბრალო გლეხკაცს შეიძლებოდა ეტარებინა, თუმცა მკითხველი შეამჩნევდა, რომ ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა გალერიაში, პეტრეს სახე კირქვასავით გამომშრალ ფიგურად ჩანს, რომელიც ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ცვლილებას.

ვინაიდან პეტრე ქართველი ხალხის კრებით სახეს გამოხატავდა, სწორედ ამიტომ ავტორმა წარუმატებლობის მიზეზი (საბაბი) წოდებათა მორიგების, ჩატეხილი ხიდის გამთლიანების საქმეში პეტრეში (ქართველის ხალხის ეროვნულ ხასიათში) დაინახა და შეეცადა ეს მკითხველისთვისაც დაენახვებინა.

ისევე, როგორც „სარჩობელაზე“, „გლახის ნაამბობში“ (აქ პიას სახეც პეტრეს ერთგვარი ვარიაციაა), „ოთარაანთ ქვრივშიც“ პეტრეს რთული ხასიათი – ხშირ შემთხვევაში უზომო სიკეთე, უკვე უმწეობად ქცეული პატიოსნება გახიდულა გზაზე და ერს წინსვლის საშუალებას უსპობს..

ის ახლა („ოთარაანთ ქვრივი“) თაობათა მონაცვლეობის პროცესსაც აყოვნებს. ეს, ერთგვარად პოლიტიკური საკითხი, ავტორმა ძალზე ფაქიზად გიორგის და პეტრეს უკანასკნელ დიალოგში დასვა და სხვა პროგრამულ საკითხებთან ერთად, რომელიც ამ ნაწარმოებში ისედაც იკითხება, მკითხველს დაუტოვა სამსჯელოდ:

„— მათაო, ჩემო კარგო, რომ ბერიკაცს თვალიც ატყუებს და ხელი ჰქონდათობს. ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზრდას, შენს ხანძი ხელს არ მოვიტებდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა?“

— ახლისა ნამუდრაგალსა, ბერის სჯობიაჩანჩალიო, გულს ნუ გაიტე.

— გაცოცხლოს ღმერთმა, თქმაც იცი და კეთებაც“ (ჭავჭავაძე 1988: 290).

გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვები ველარ გაიგონაო — ამბობს ავტორი. თუმცა, რომც გაეგონა, ეს მაინც ვერაფერს შეცვლიდა ვერც მის და ვერც ქვეყნის ბედისწერაში, რომელიც რატომღაც ძალიან დაემსგავსა ერთმანეთს.

#### დამოცვებანი:

**კვაჭანტირაძე 2013:** კვაჭანტირაძე მ. „ვექტორები“ წერილები, სტატიები. თბილისი: 2013.

**ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. ტ. 2. მოთხოვნები, პიესები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988.

## კოტე ხიმშიაშვილი – 100

### ზორა ცხადათა

### კოტე ხიმშიაშვილი

2017 წელს ასი წელი შეუსრულდათ „ჩვენთაობელებს“, ქართული მწერლობის „ოქრობიჭებს“ (როგორც მათ გალაკტიონი მოხსენიებდა მათსავე სიცოცხლეში): ზოგი უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა, ზოგი II მსოფლიო ომმა შეინირა, ზოგიც ...

ამავე თაობის წარმომადგენელი, ეპოქის ავტედით განსაცდელს გადარჩენილი, ლადო (ვლადიმერ) ავალიანი ჭირისუფლის გულწრფელი წუხილით იტყვის წლების შემდეგ: „საკვირველია ის ბედი და უბედობა, რაც ჩვენს თაობას დაჲყვა. სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის სამი მეოთხედი რომ 22-25 წლის ასაკში განადგურებულიყოს, მეორე ამგვარი შემთხვევა ქართულ მწერლობას არ ახსოვს“ (ავალიანი 1972, №13). ლადო ავალიანის ტკივილიან მოგონებაში გამორჩენილია ამ თაობის ახალგაზრდა მწერალთა გვარ-სახელები (იმ ხანად ჯერ კიდევ რომ არ ჰქონდათ რეაბილიტაცია), რომლებიც 1940-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ. 1942 წლის ე.წ. „შეთქმულების საქმეზე“ დახვრეტილები, უკვე საკმაოდ ცნობილი პროზაიკოსი კოტე ხიმშიაშვილი, პოეტები: გიორგი ძიგვაშვილი, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე. მათი სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა ერთ დღეს – 1942 წლის 17 ოქტომბერს... (შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქ. № 421349); იმ დღეს 17 ახალგაზრდა დახვრიტეს (ფ.6. საქმე № 20285-60; საარქ. №422549); თითოეული მათგანი დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ „იყვნენ რა მტრულად განწყობილნი სოციალისტური სისტემისადმი, 1921 წელს დააარსეს სამხედრო-ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოს ტერიტორიაზე და კაპიტალიზმის აღდგენა გერმანიის პროტექტორატით“ და ა.შ.

მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს მიიღეს მათ რეაბილიტაცია. ნაწყვეტი მათი გამამართლებელი ტექსტიდან: ... „ბრალდების საფუძველია ბრალდებულთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები ერთმანეთის მიმართებით. გარდა ამისა, დამატებითი გამოძიებით დადგინდა, რომ წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა კანონის უხეში დარღვევით, გამოძიებისათვის მიუღებელი უკანონო მეთოდების გამოყენებით, სისტემატური ცემით, რაც აიძულებდა მათ ელიარებინათ ბრალდებები“.

საქმეების გამომძიებელი ა. მ. მარკაროვი ესწრებოდა ხოლმე სასამართლო პროცესს და ზემოქმედებდა განსასჯელებზე. 1954 წელს ის გაათავისუფლეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან, საგამოძიებო საქმეში სოციალისტური კანონების დარღვევისათვის (!).

... გადაწყვეტილება: ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1942 წლის 20 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი (20 კაცის სია ერთვის, მათ შორის ისინიც არიან, რომელთაც არ ჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი – ზ.ც.), შეიცვალოს, საქმე შეწყდეს დანაშაულის არარსებობის გამო...“ (ფ. 6. საქმე № 20285-6, საარქ. №421579. ყ. 351). საქმე „შეწყდა“ მაშინ, როცა მათი სიცოცხლე უკვე დიდი ხნის შეწყვეტილი იყო. ქართულ მწერლობაში დარჩა წყვეტილი ხაზები, რომლებიც მათ უნდა შეევსოთ და ამას ისინი შეძლებდნენ, შეძლებდნენ წარმატებულად. ამის თქმის საფუძველს იძლევა მათი დანატოვარები, რომლებიც ნახევარი საუკუნე ელოდნენ ტაბუს მოხსნას.

1942 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მასწავლებელთა დაპატიმრებიდან 75 წელი გავიდა. რეპრესირებულთაგან (ვინც დახვრეტას გადაურჩა) აღარავინაა ცოცხალი. გადარჩენილთა შორის უკანასკნელები იყვნენ თინათინ თუშმალიშვილი და ლეო კვაჭაძე, რომლებიც მოესწრნენ ამ თავგანწირული ახალგაზრდების ცხოვრებისა და შემოქმედების ჯეროვნად შეფასებას: როსტომ ჩხეიძის უაღრესად საინტერესო წიგნით „დაწყევლილი თაობა“, რევაზ კვერენჩილაძის, თავად თინათინ თუშმალიშვილის, ლეო კვაჭაძის და სხვათა პუბლიკაციებით.

კოტეს ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. მამა – ალექსანდრე ხიმშიაშვილი, ზედმინევნით განათლებული პიროვნება, პროვიზორი,

აფთიაქის გამგედ მუშაობდა. დედა – წერეთლებისა და ბაგრატიონების ჩამომავალი, აკაკი წერეთლის ბიძაშვილი იყო. როგორც კოტეს და, ცნობილი საბავშვო მწერალი, ძმის ხსოვნისთვის თავგა-დადებული ქალბატონი, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია (მთელი ცხოვრება ვადაჭკორიას გვარით გაატარა, ამბობენ, თავისი გვარი ბევრ დაბრკოლებას უქმნიდაო კომუნისტური რეჟიმის პირობებში), გაიხსენებს: კოტე, წლოვანებასთან შედარებით, ძალიან განა-თლებული, ნიჭით გამორჩეული, ჭკვიანი ბავშვი იყო და ექვსი წლი-სა პირდაპირ მესამე კლასში ჩარიცხესო. ამიტომაც მოსწრო ბევრი: სკოლის დამთავრება თექვსმეტი წლის ასაკში, უნივერსიტეტი, ასპირანტურა. სრულიად ახალგაზრდამ მძიმე სულიერი ტრავმაც მიიღო. როსტომ ჩხეიძე წერილში „სახება კოტე ხიმშიაშვილისა“, მის ცოცხალ პორტრეტს გვიხატავს: „30-იანი წლების ფოტოსურა-თებზე, რომლებზეც მაშინდელი ახალგაზრდა მწერლები, უურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ შემოკრებილი პოეტები და პროზაიკოსე-ბი არიან აღბეჭდილნი, უიშვიათესად, შემთხვევით თუ გაკრთება კოტე ხიმშიაშვილის სახე. არც „ჩვენი თაობის“ რედაქციაში და-ყოვნდებოდა დიდხანს. არც უნივერსიტეტში ტრიალებდა. სუფრებს და დროსტარებასაც გაურბოდა. რუსთაველის გამზირზეც იშვია-თად გამოჩენდებოდა... „ჯონქა ხორნაულში“ რუსთაველის გამზირი ისეთი დაკვირვებით და სიყვარულით აქვს აღწერილი, ვერც დაი-ჯერებ, იქ თუ არ ათენ-ალამებდა... მისი ეს მალ-მალე გაუჩინარება შეუმჩნეველი როგორ დარჩებოდა და ასე ახსნიდნენ. ამაყი და უკა-რებაა, თავს არავის უტოლებსო.

ახლობლებმა ხომ მაინც იცოდნენ, უკარება არა ყოფილა, მისი ბუნების ადამიანს მეგობრებსა და საზოგადოებაში ტრიალი ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ ის უნებლიერ, ოღონდ ტრაგიკული და საბედისწერო შემთხვევა მძიმე და განუურნებელ დალად დააჩნდა ყმაწვილის სულს, შინაგანი მარტობისა და ტანჯვისთვის განირა და ისიც გაურბოდა ადამიანებს. მანამდე სულ სხვა ბიჭი ყოფილა, ლალი და ხალისიანი, უდარდელი და მეოცნებებ და ასე ერთბაშად გადასხვაფერებული“ (ჩხეიძე 2010: 220). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო საქმეებში კოტე ხიმშიაშვილთან დაკავშირებით ბევრი რამ განადგურებული აღმოჩნდა. შემორჩე-ნილია ბრალდების, განაჩენის და რეაბილიტაციის ფურცლები.

ბრალდების ოქმები რამდენჯერმე მეორდება. მათგან მხოლოდ ერთშია (ისიც გიორგი კალანდაძის საქმეში, № 20285-60- ფ. 6. სა-არქ. №42 1549-07, ყ. 351, გვ. 1-9) ნახსენები ის ტრაგიკული შემთხვევა, რაც 16 წლის ასაკში შემთხვევია კოტე ხიმშიაშვილს, რამაც, როგორც ჩანს, არსებითად შეცვალა მისი სულიერი მდგომარეობა.

კოტეს ოჯახი ქუთაისიდან ჯერ კოჯორში, მერე თბილისში გადმოსახლდა. ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. მას ასწავლიდა პროფესორი ერეკლე ტატიშვილი, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც წარჩინებულ სტუდენტს.

„ჩვენ ერთდროულად ვსწავლობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (იგი ჩემზე ორი კურსით უკან იყო), – იხსენებს მწერალი გრიგოლ აბაშიძე. ლამაზი, თვალტანადი ჭაბუკი – კოტე ხიმშიაშვილი შორიდანვე იქცევდა მნახველის ყურადღებას. იგი თავის ტოლ სტუდენტებში მარტო გარეგნობით კი არა, განათლებით, დახვეწილი მანერებითა და ბუნებრივი კეთილშობილებითაც გამოიჩინდა“ (აბაშიძე 1984: 5).

1934 წელს უურნალში „ახალგაზრდა მწერალი“ (№ 4, 5) კოტეს პირველი ნოველა „ბებია ელისაბედი“ გამოქვეყნდა, რომელიც ნათესავების და, ზოგადად, 1924, 1937 წლების რეპრესიებით გამოწვეული ტრაგედიის მხატვრული ინტერპრეტაციაა. მოთხოვნის პერსონაჟები მისი ახლობლები იყვნენ. ბებია ელისაბედის პროტოტიპი ანეტა ყიფიანი-აბაშიძეა, რომლის ვაჟიშვილი, პოლკოვნიკი დიმიტრი აბაშიძე 1924 წელს დაუხვრეტიათ. მალე შვილიშვილიც (მიტოს დედაც) გარდაეცვალა. დარჩა სამი წლის მიტო, რომლის მამაც, ილიკო მამულაიშვილი, თეოტორი ოფიცერი, ოქროს იარაღით დაჯილდოებული (ასეთებს უკვე გარდაუვალი დახვრეტა ელოდათ, როგორც ეს ისახება 1937 წლის სუკის საქმეებში – ზ.ც.) 1937 წელს დახვრიტეს; მოთხოვნა სწორედ ამ პატარა ბიჭზე, მიტოზეა, კოტე ხიმშიაშვილის ბიძაშვილზე. შეცვლილია ანეტას სახელი (ელისაბედი), დიმიტრის, ელისაბედის ერთადერთ შვილს (პროტოტიპიც დიმიტრია), ნოველის მიხედვით, „თავზარი დასცა მამულის დაკარგვამ და რევოლუციით დატრიალებულმა ამბებმა. ამას ლვინის სმით და უწესო ცხოვრებით დასუსტება ზედ დაერთო და ის,

ბოლშევიკების მიერ ქალაქის აღების შემდეგ, დამბლისგან უცირად გარდაიცვალა. „ლვინის სმა და უწესო ცხოვრებით დასუსტება“ ცენზურის საამებელი ფრაზაა ამ მოთხოვნაში და ასევე, ფინალი (ორაზროვანი ფინალი), სადაც ჩანან, ერთ მხარეს, პიონერთა რიგებში შესვლით გაბრწყინებული, წითელყელსახვევიანი მიტო და, მეორე მხარეს, ამდვრეულ თვალებში სასოწარკვეთა ჩამდგარი ბებია ელისაბედი. ფაქტი სახეზეა, რომ ნოველა გამოქვეყნდა და დიდი მოწონება დაიმსახურა, თორემ დაუჯერებლად მოეჩივნება მკითხველს, როგორ დაიბეჭდა ის თამამი დეტალები, რომელსაც აქ ამოკითხავთ: ელისაბედის „დედისერთა შვილს გული გაუხეთებეს ამ საზიზლრებმა, ოჯახი დაუქციეს, ყველაფერი წაართვეს და მოხუცებული ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით, ლვისანაბარა დატოვეს... ფუფუნებაში გაზრდილი ქალი ერთ ვიწრო ოთახში შეუშნეს, რაღაც ხარახურა დაუტოვეს და თავის ბედს მიანდეს... უკიდურეს სიდუხჭირები ზრდიდა პატარას, ქსოვდა, კერავდა, ყიდდა, რომ მჩხავანასთვის შაქრიანი რძე ესმია. არ მიიღო მეზობლების რჩევა, არ გაიმეტა ბავშვთა სახლისთვის პატარა ქუჩუკი. თავად ბასრიძების ერთადერთ შთამომავლს, კეთილშობილი სისხლის ყმანვილს ბოლშევიკების ტურტლიან ბოგანობებთან და ნაბუშრებთან ერთად გასაზრდელად არ მივცემო. შიმშილით ამოხდეს სული თავის ბებიასთან ერთად მის ქუჩუკს და დიმიტრის მკვლელ ბოლშევიკებს მაინც არ ჩაუგდებს ხელში“, – წერს ავტორი და მოხუცის ეს ახირება ერთგვარი ხერხია, რითაც უნდა გადაიფაროს ის მწარე სიმართლე და სისატიკე, რაც ამ ქალს დამართა ულმობელმა რეჟიმმა. ძილის წინ ბებია ელისაბედი სუნდუკიდან ძველ წიგნებს იღებდა და უკითხავდა ქუჩუკს: გიორგი სააკაძის, სოლომონ მეორის, დიმიტრი თავდადებულის ამბებს... წიგნების გარდა აღარაფერი ჰქონდა, თითქმის ყველაფერი წაართვეს, თუ რამე დარჩა, ხატიც კი გაყიდა, შვილიშვილის გამოსაკვებად. იმედს არ კარგავს მოხუცი, რომ „გაზრდის ქუჩუკს, გაზრდის და დაე მის დამლუპველებს, ბასრაძეების გვარით, მტრები ნუ მოაკლდებათ“, არიგებს შვილიშვილს, პიონერთა რიგებში არ შევიდეს, მერე კომკავშირშიც გადაგრიცხავნო... მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ქუჩუკი პიონერი გახდა. უყურებდა ბებია ელისაბედი ბავშვთა დღის დემონსტრაციაზე წითელყელსახვევიან შვილიშვილს და პატარა მებუკეებისა და მედო-

ლეგების თავზე თავისი შვილის ცხედარს ხედავდა. „... პატარები მოიწევენ ზევით, ყიუინით მოაქვთ ცხედარი და მის სისხლში დას-ვრილ დროშებს აქნევენ და ა.შ...“

ფინალი კი: „ოთახში შვილიშვილი იდგა. საოცრად უბრნყინავდა თეთრი ხალათი და თითქოს ანათებდნენ ამ ბნელ ოთახს წითელი ყელსახვევი, მბზინავი თვალები, თმა და ქუჩიდან შემოტანილი მხიარულება... რა ნათელი ადგია, ენაცვალოს ბებია“, – თითქოს ურიგდება ბედა მოხუცი. აქ, ამ ფინალში, არის ასეთი ფრაზაც, ავ-ტორისეული დასკვნა: „უსაზღვრო ბავშვურ ბედნიერებას მხოლოდ ბებიას ქცევა უჩრდილავდა, ვერ შეხედავდი ცუდის თვალით. **ეს ხომ თვითონ სიყმანვილე იყო**...“ სიყმანვილის ასაკი, „სიყმანვილის ბრმა სარწმუნოება“ იყო და ალბათ, ამიტომაც ვერ გაერკვია სიმართლე ჯერ და, ვინ იცის, როდემდის – ბოლშევიკებისგან ოჯახდაქცეულ და გვარამონტყვეტილ ქუჩუკს. მოთხრობა ასახავს ფსიქოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს, საინტერესოა სწორედ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, თხრობის სტილით, ოსტატობით, რომლი-თაც საჭიროებისამებრ „შენიბლულია“ მწერლის განწყობა მთავარი პერსონაჟისადმი. დღეს კი თვალნათლივ ჩანს, რა უნდოდა ეთქვა 17 წლის ყმანვილს ამ მშვენიერი და, ამასთან, ტრაგიკულ სიუჟატი-ანი მოთხრობის ავტორს. ლაკონიურობით, დახვეწილი მანერით იგი ახლოსაა თავის შემდეგომ თაობებთან. აღნიშნავენ და სავსებით სამართლიანად, რომ „კ. ხიმშიაშვილი ისეთივე განსაკუთრებული მოვლენა იყო ჩვენს ახალ მწერლობაში, როგორიც გ. რჩეულიშვილი. ერთიცა და მეორეც არაჩვეულებრივი ნიჭით იყო დაჯილდო-ებული“ (გრ. აბაშიძე, კოტე ხიმშიაშვილი, თბილისი, გამომცელობა „მერანი“, 1984, გვ. 5-6).

ნოველამ გამოქვეყნებისთანავე მიიქცია გერონტი ქიქობის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვი-ლის ყურადღება. გაზეთებში დაინერა, რომ დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა პროზაიკოსი მოვიდა. მალე ამ ნოველებს მოჰყვა სხვა ნოველებიც და რომანი „ჯონქა ხორნაული“.

კოტე ხიმშიაშვილი და მისი ოჯახის წევრები ხშირად სტუმ-რობდნენ თურმე კოჯრის ბავშვთა სახლს, სადაც უკიდურესად ცუდ პირობებში ჰყავდათ პატარები (დოდო ვაჯაჭკორია-ხიმშიაშ-ვილის მოგონებიდან). აბგით მიჰქონდათ ხიმშიაშვილებს საკვე-

ბი და საჭირო ნივთები. მათ შესახებ დაიწერა მოთხრობა „ლამე“ (1934); მოთხრობაში აქცენტი კეთდება ობოლი ბავშვების მთავარ სადარდებელზე – „დედა მოვიდეს“... სიზმრად და ცხადად დედა ელანდებათ. სხვა დანარჩენი – ყველაფერი წესრიგშია. ასე უნდა დაიწეროს. სიმართლის თქმა გამორიცხულია: „ბავშვების სიზმრებით სავსე ოთახი“ (ზუსტად მიგნებული, შთამბეჭდავი და ნალვლიანი მეტაფორა – ზ.ც.) სდუმს. პატარა ლილი მოუსვენრად ტრიალებს და საბნის ზემოდან იყურება. ის წუხს. რატომ, – პასუხს ვერ მოგცემს, რადგან ამ წუხილს არც ერთი ჩამოყალიბებული მიზეზი არა აქვს. ლილის არც შია და არც სწყურია... საბანიც თბილია და გარედან ზაფხულის წყნარი დამე შავი ზურგით მიჰყუდებია სარკმელს“... დედას უხმობს პატარა, „უნუგეშო და უსუსური არსება“... ტიროდა მასში ბუნების ინსტინქტი. შეუგნებლად გრძნობდა, რომ არსებობისათვის ბრძოლაში უდროოდ მოსცილდა მზრუნველი ხელი. ჩვილი ხელები ვედრებით გაეშვირა კარისკან და ოქროსფერი კულულები უცახცახებდა შეკავებული ქვითინით“, – ამას წერს 17 წლის ჭაბუკი, სავსე სიყვარულით, თანაგრძნობით, სევდით, წუხილით – რა ეშველებათ პატარა ლილის და დანარჩენებს, ფაქტობრივად – მშივრებს... იმედად შემოჰყავს საშუალო სკოლის დამამთავრებლი კლასის გოგონა – ლენა, რომელიც ამავე პირობებშია გაზრდილი და მიზნად დაუსახავს ობოლ ბავშვებთან მუშაობა. ეს მწერლის ნატვრა და ოცნებაა უკეთესი ფინალისთვის. ერთ-ერთი საინტერესო ისტორიაც ამასთან დაკავშირებით დოდო ხიმშიაშვილის მოგონებიდან: „ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა კოტე, როდესაც კოჯორს გორკი ესტუმრა. განათლების კომისარმა მარიამ ორახელაშვილმა ამოიყვანა სკოლაში. ამ შეხვედრაზე კოტე სიტყვით გამოვიდა რუსულ ენაზე, მაგრამ საქებარი არაფერი უთქვამს, პირიქით, რა დღეში უყვნენ უდედმამო ბავშვები. სწორედ ეს მოენონა გორკის. ეგონა, რომ კოტეც უდედმამო იყო, მაგრამ მარიამ ორახელაშვილმა გააცნო იქვე, პირველ რიგში მსხდარი ჩემი მშობლები. მეც მათ შორის ვიჯვექი. გორკიმ მარიამს უთხრა; გამოუწერე საგზური და როგორც კი სკოლას დაამთავრებს, მოსკოვში გამოაგზავნეთ სასწავლებლადო. ეს რომ მომხდარიყო და კოტე რუსეთში წასულიყო, ალბათ, ეს ტრაგიკული ბედი ასცდებოდა და სამშობლოს ერთი ნიჭიერი შვილი არ დაეკარგებოდა“ (ხიმშიაშვილი 2010: 258).

1934 წელს გამოქვეყნდა კოტე ხიმშიაშვილის ნოველა „გლობუსი“, რომელმაც განსაკუთრებული გამოხმაურება გამოიწვია, პრემიაც კი დაიმსახურა. ნოველის გმირი ოორდულა (შერქმეული სახელია) უნიგნური, სიღატაკეში, ლელითა და ტალახით ნაგებ ისლის ქოხში გაზრდილი, კოლმეურნეობის წყალობით, ოდა სახლს აშენებს, მომჭირნეობით ფულიც დაუგროვებია, მაგრამ გარეგნულად ისევ ჩამოძონძილი დადის. სულითაც ის ბოგანო და გაუთლელია, როგორიც იყო (მისი შვილები კი სწავლობენ, როგორც თვითონ იტყვის – საექიმოზე და აგრონომიულზე)... ერთ დღესაც იორდულამ გლობუსი იყიდა. ფული ჰქონდა და რატომდაც გლობუსი მოეწონა. რომ ეკითხებიან, რად გინდაო, – „ისე ვიყიდე, კარგი შესახედავია, დავდგამ სახლში და იყოს. არც ქე ვიცოდი, რისი მოსახმარი იყო. ხანდახან დავატრიალებ“ კოტე ხიმშიაშვილმა მიაგნო სიმბოლოსაც და გამოსახვის შთამბეჭდავ ხერხსაც: გარეგნულად იუმორისტული, შინაგანად – ტრაგიკული მოტივი“ (ჩხეიძე 2010: 3).

ლიმილისმომგვრელია უვიცი კაცის ხელში სათამაშაოდ ქცეული გლობუსი, ტრაგიკულობა კი იმაშია, რომ „იორდულებს“ დანაზოგით, შრომით, ჯახირით თუ „შემთხვევისა გამო“ ნაშოვი ფულით“ მერე ქვეყნის ბედის „დატრიალების“ ამბიციაც უჩნდებათ. ავტორს ხმა გაუვრცელეს თურმე, იორდულაში სტალინს გულისხმობსო; როგორც დოდო ხიმშიაშვილი იხსენებს, იორდულა ნამდვილად ცხოვრობდა კოჯორში, თუმცა, ეს არ უშლიდა ხელს მწერალს, ვინც უნდოდა, ის ეგულისხმა... ან – მკითხველის ნებაც არის, ვის ამოიცნობს იორდულაში თუ სხვა რომელიმე პერსონაჟში, ზოგადად... „გლობუსს სიმბოლოდ, როგორც სამყაროს სათამაშოდ გადაქცევის, მისი დასალუპად განწირვის მოსალოდნელ პერსპექტივის გამოხატულებას, რამდენიმე წლის შემდეგ გამოიყენებს ჩარლი ჩაპლინი ფილმში „დიქტატორი“ და ისიც თვალწინ აღმართულ რეალურ ყოფას და რეალურად არსებულ პიროვნებას (ოლონდ სხვას) იგულისხმებს“ (ჩხეიძე 2010: 3).

„გლობუსი“ კოტე ხიმშიაშვილის ყველაზე წარმატებული ნოველა აღმოჩნდა. გარდა ამისა, ის ავტორია კიდევ რამდენიმე ნოველისა, მათ შორის: „თავთავი მწიფეა“, „ჯიბის სარკე“, „შუადღის ზღაპარი“ და სხვ.

ნოველა „მიკროსკოპი“ სატუსალოს ცხოვრების სურათს ასახავს – ვიწრო, დახუთული ინტერიერით და ჭრელი „საზოგადოებით“; „სატუსალოში ჭიბმოჭრილი ძია დათა, ძველი ქურდი, მორიგი ეტაპით რომ უნდა გადაასახლონ, ორი ახალგაზრდა კომბინატორი, თავიანთი ჭიჭყინით ყველას რომ ანუხებენ, მავნებლობისთვის დაპატიმრებული ზუსტი მექანიკის პროფესორი ვოლკოვი (ათი წელი აქვს მისჯილი, შორეული გადაასახლებით, ამიტომ მალე უნდა გაიყვანონ საკნიდან), მიკროსკოპის ქურდი მიკროშკაც, კამერის ქურდი მახარა და სხვები. როგორც ყველა, ეს უკანასკნელიც თავს იმართლებს, მეზობლებმა მომიგონესო. მათ საუბრებში მათი პიროვნული ხასიათებიც იყითხება, საკმაო იუმორიც ჩანს... „საერთოდ ჩვენს საკანში მიკროშკასა და ჩემს მეტი თავის დანაშაულს არავინ აღიარებს, – ამბობს ახალგაზრდა პატიმარი, რომელსაც ორი წელი აქვს მისჯილი, ეს თავად მთხოვნელია. საკანში რომენ როლანს კითხულობს. პროფესორი ინტერესდება მისი პიროვნებით, საუბრობენ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით – დოსტოევსკიზე. პროფესორს აინტერესებს, რისთვის მიუსაჯეს ამ ახალგაზრდას ორი წელი. პასუხი ასეთია: „გრძელი ამბავია, სისხლის სამართლის დანაშაული...“

როცა რაპის ექი ჯერ კიდევ არ იყო მიჩუმებული, როცა ტოტალიტარული რეჟიმის წნეხი და იმ იდეოლოგიას დამორჩილებული სალიტერატურო კრიტიკა ლამის პოლიციურ რეჟიმში აკონტროლებდა მხატვრულ სიტყვას, როცა ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლების ნაწილი განადგურებული იყო რეჟიმისთვის მიუღებელი, „საეჭვო ყოფაქცევის“ გამო ... ამ ფონზე ახალგაზრდა კოტე ხიმშიაშვილმა გამონახა გზა და საშუალება, მხატვრულ-ესთეტიკური მიგნებებითა და საინტერესო, მანამდე ლიტერატისათვის უცხო ყოფითი დეტალებით ისეთი ხიბლი მიენიჭებინა თავისი რომანისათვის, რომ შენდობა არ დასჭირვებოდა არც თავისი თანამედროვე და არც მომავლის მკითხველისაგან... იმ მიზეზით, რომ მან ანგარიში გაუწია ეპოქას; ეპოქის ხმის გამოძახილია რომანში მხილებულ მავნებელთა საქმიანობა, რომელთა დახვრეტა-გაციმბირებამ კოტე ხიმშიაშვილის თაობის თვალწინ ჩაიარა.

რა იყო, რა არის ის, რაც კოტე ხიმშიაშვილის რომანს აცოცხლებს დღემდე და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ყოველთვის განაცდევინებს ქართველ მეითხველს (ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია ლამპიონებით განათებულ რუსთაველის გამზირზე, ვისაც, თუნდაც შორიდან, შეუხედავს ერთფერად დიდრონ ხეებში შეყუული სტუდენტური სახლებისათვის, ე.წ. სტუდენტურისათვის) ნოსტალგიას... ზოგში ცნობისწადილს მაინც გააჩენს, რათა გადახედოს წარსულს, როგორც ცოცხალ ისტორიას. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მწერლის მიერ წარმოსახული რუსთაველის გამზირი: „მრავალი ბალია ქალაქში, ლამაზი სანაპირო, ნარიყალა, თბილისის ფიქრიანი შუბლი, მთაწმინდა. მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰყავს იმდენი მუდმივი, განუყრელი მეინახე, რამდენიც რუსთაველის გამზირს. უცნაური შეჩვევა სცოდნია ამ დალოცვილ ალაგს. ვინც ერთხელ მაინც სოლოლაკიდან ვერის დაღმართამდე გაპყვება ნელი ნაბიჯით, შემოპრუნდება და ისე ჩაივლის ბოლომდე, მორჩა, იგი სამუდამოდ მოჯადოებულია... ღვინის სმას მიატოვებს კაცი, თამბაქოს დასთმობს, სიყვარულსაც დაივინყებს, მაგრამ გამზირს ვერ მოშორდება, სიბერემდე გაპყება ჩვეულზე უმტკიცესი ჩვევა...“ ვინც ამ რომანის ავ-კარგს შეხებია, ვისაც კეთილი და მართებული სიტყვა არ დაუშურებია, ალბათ გახსენებია უნებურად ლადო ასათიანის სტრიქონები: „რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა“, რომელიც ამ რომანის დაწერიდან ორ-სამ წელიწადში დაიწერა (თითქმის ერთ ასაკში დატოვა ორივემ რუსთაველის გამზირიც და წუთისოფელიც).

ჯონქა ხორნაული, ახალგაზრდა მთიელი, სტუდენტი, ჩართულია ქალაქის ცხოვრებაში. იგი პროვინციიდან ჩამოსული იმ ახალგაზრდობის ნაწილია, რომელსაც თბილისის სიყვარულის სენი დამართნია და „ქალაქის დაპყრობა“ (რომანის ერთ-ერთი თავის დასათაურებაა) სურს. „ჯონქა ხორნაულში“ პირველადაა წარმოჩნილი „თბილისის დაპყრობის“ მოტივი. პატივმოყვარეობისთვის, ქალაქში დამკვიდრებისთვის „ბრძოლის“ ცდაა ჯონქას გარეგნული იერსახე (ახალი ჩაცმის სტილი, ყელსახვევი...), გულწრფელი და უილბლო, იმთავითვე განწირული სიყვარული. გაუცხოება გულანთებულ ჭაბუქსა და საეჭვო ოჯახში ფუფუნებით გაზრდილ

გოგონას (მანანას) შორის და სხვ. საინტერესოა დეტალები, არა მხოლოდ ჯონქას ცხოვრებისეული ეპიზოდიდან. მრავლად არიან სტუდენ-ტი-ახალგაზრდები, მეოცნებები, სხვადასხვა ხასიათითა და, ასევე, განსხვავებული ხედვებით, მიზნებით, „თბილისის დაპყრობის“ მონადინენი, მაგრამ, ვიტყოდით, არა მხოლოდ პატივმოყვარებით, არამედ სიყვარულით, იმ ანდამატის ძალით, რომელსაც დედაქალაქი ასხივებს მათ თვალსაწიერში. ე.ნ. „თბილისის დაპრყობის“ მოტივი შემდეგ გამოჩნდება ოთარ ჩხეიძის რომანში „აღმართ აღმართი“ და რეზო ჭეიშვილის რომანში „დალი“.

ჯონქა ხორნაული საბოლოოდ უკან იხევს, თბილისში დარჩენის, დამკვიდრების, ასე ვთქვათ, პატივმოყვარულ სურვილს წერტილს უსვამს. ამაში არშემდგარი სიყვარულიც ეხმარება და ის მოულოდნელი ფაქტი, რომელსაც შემთხვევით წააწყდება. ჯონქა თვითმხილველი ხდება იმისა, თუ როგორ შეიკრა „მავნე ელემენტების“ ჯგუფი: თანამდებობის პირი ალფეზ ჩიქოვანი, პროფესორი დავით ციხისელი... ვინმე სარახანია, რომელიც საწამლავით მიდის მეცხვარეებთან, რომ ჩუმად ცხვრები მონამღლოს (ცნობილია, რომ 1937 წელს მთელ საქართველოში, დივერსიული მავნებლობის ბრალდებით, ასეულობით ადამიანი დააპატიმრეს და ბევრი მათგანი დახვრიტეს. რაიკომის მდივნები, აგრონომები, ზოოვეტერინარები, მეცხვარები, მეცნიერ-თანამშრომლები და სხვები. კახეთის შემთხვევაში საუბარი იყო იმაზე, რომ თითქოს სამეგრელოდან შემოჰყავდათ ავადმყოფი თხები და ასე გავრცელდა ცხვრის ავადმყოფობა კახეთში. მხოლოდ .... რაიონში 80-მდე კაცი გაასამართლეს და ზოგს დახვრეტა მიესაჯა, ზოგს – ციმბირში გადასახლება.

სუკის არქივში აღმოჩნდა ამ ბრალდებით დახვრეტილი, საქართველოს სასოფლო სამეურნეო კელევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ზოოტექნიკოს-აგრონომის, **შალვა პავლეს ძე გენდეხაძის** განაჩენის ოქმი, რომელიც, ზოგადად, საყოველთაო სურათის ერთი მოცემულობაა. განაჩენში ვკითხულობთ:

ოქმი № 99. 10 მარტი, 1938 წ. შ. პ. გენდეხაძეს, დაბადებულს 1902 წელს, ქალაქ წულუკიძეში, უპარტიოს, ცოლშვილიანს, უმაღლესი განათლებით, აგრონომ-ზოოტექნიკოსს, დაპატიმრებამდე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს ბრალი ედება იმაში რომ:

იყო აქტიური წევრი კონტრრევოლუციური-ტერორისტული დი-ვერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ორგანიზაციისა, რომლის დავალებით ენეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას საქართველოს მეცხოველეობაში.

მუხლი 58/7, 58“11

### თავი დამნაშავედ არ ცნო.

მომხ. რუსკოვი

დაადგინეს: გენდეხაძე შალვა ნიკოლოზის ძე დაიხვრიტოს.

პირადი საკუთრების ქონების კონფისკაციით.

დახვრეტას ხელს აწერენ:

დახვრიტეს 1938 წლის 14 მარტს. განაჩენის გამოტანიდან მე-ოთხე დღეს. ოჯახს დიდხანს უუბნებოდნენ, რომ გადასახლებულია მიმოწერის უფლების გარეშე.

ვინ იცის, საზოგადოების დიდ ნაწილს და იქნებ ახალგაზრდა მწერალსაც სჯეროდა (?) ამ მავნებლობისა. ასე იყო თუ ისე, რაღაც უნდა დაწერილიყო ისეთი, რომ მთავარი გადარჩენილიყო მწერ-ლის ჩანაფიქრიდან. ვიზიარებთ იმ აზრს, რომ „მაშინდელი ტენ-დენციის გამოჩენა რომანში უდავოდ ფერმკრთალდება პირწმინ-დად მხატვრულ-ესთეტიკური მიგნებისა და განწყობილებათა ფონზე“ (რ. ჩხეიძე).

ჯონქა ხორნაული ფაქტზე წაასწრებს სარახანიას, რომელსაც ბოთლით მოუტანია სანამლავი და უნდა მონამლოს ცხვარი. ჯონ-ქას დახმარებით „დივერსანგს“ აპატიმრებენ... ჯონქა, სრულიად გათავისუფლებული ყოველგვარი საჭოჭმანო გრძნობა-ამბიცი-ებისგან, უბრუნდება თავის სოფელს, მასწავლებლად. წასვლამდე ერთხელ კიდევ შეიარა სტუდენტთა ქალაქში, ფეხით იარა, უნივერ-სიტეტთან დიდხანს იდგა... და მაინც – გული მიუწევს მთისკენ.

კოტე ხიმშიაშვილის თანამედროვეთა მოგონებით, რომანის ფი-ნალი ავტორის დაუკითხავად გამომცემლობას „შეულამაზებია“, რაც მწერალს თავის მასწავლებლისა და უფროს მეგობარს, ერეკ-ლე ტატიშვილისთვის შეუჩივლია... „მიხეილ ჯავახიშვილივით უნ-და გაგენირა თავი ანდა უჯრაში გამოგეკეტა შენი ნაწერები და ასე გადაგერჩინა შეუბლალავად შენი მხატვრული სამყარო. სიცოცხ-ლის მიწურულს თვით მიხეილ ჯავახიშვილიც ველარ გაბედავდა

ხმალშემართულ დგომას ახალმოწესეთა წინაშე... მორჩილების გარეგნული გამოცხადება ვერ უშველიდა, რადგან თვით „ქალის ტყირთიც“ ვერ გამოუვიდოდა მთლად მორგებული სახელისუფლებო სქემებს... განკითხვის დღე მოუახლოვდებოდა...

... და როდესაც კოტე ხიმშიაშვილი შესჩივლებდა (ერეკლე ტატიშვილს) სულ დამიმახინჯეს რომანის ფინალი, შეუთანხმებლად ჩაერივნენ და მე თვითონ ველარ მიცვინა „ჯონქა ხორნულის“ დასასრულიო, – მოძღვარი თანაუგრძნობდა ახალზრდა კაცის იმ წუხილს, მაგრამ იძულებული გახდებოდა შეეხსენებინა: ამათ ხელში უკეთესს რას მოელოდიო?“ (ჩხეიძე 2024: 120-121);

... და კოტე ხიმშიაშვილის განკითხვის დღეც ახლოვდებოდა...

ომის დაწყებისთანავე კოტე ჯარში გაიწვიეს, მაგრამ 1942 წელს (თვე და რიცხვი ჯერჯერობით გაურკვეველია) დააპატიმრეს გორში; დანაშაულის ხასიათი – ანტისაბჭოთა აგიტაცია; კ/რევოლუციურ-ნაციონალისტურ სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობა, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით ხელისუფლების დამხობა და „თავისუფალ საქართველოს“ აღდგენა. გერმანიის პროტექტორატით. მასთან ერთად დაპატიმრებულები, სულ – 17 ახალგაზრდა, გაასამართლა. ამიერკავკაიის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს. მუხ. 58-10, ნან. II, 58-11, რაც ითვალისწინებდა დახვრეტას. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი 1942 წლის 17 ოქტომბერს (საარქ. №20285-60); ოჯახმა სიმართლე არ იცოდა (ასევე – დანარჩენი პატიმრების ოჯახებმაც); საქმეში დევს კოტე ხიმშიაშვილის ოჯახის წევრების რამდენიმე განცხადება: 1946 წელს კოტეს დედა თამარ ივანეს ასული ხიმშიაშვილი მოსკოვის შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის – ... სთხოვს აცნობონ, ცოცხალია თუ არა მისი შვილი, რომელსაც მიუსაჯეს 10 წელი. პასუხი არ ჩანს; მეუღლე – ნუნუ ქადეიშვილიც იმავეს ითხოვს (1946 წელს), პასუხი არ ჩანს. საქმეში დევს ცნობა, რომ კოტე ხიმშიაშვილი გარდაიცვალა 1941 (?) წლის 26 აპრილს, ქუთაისის ციხეში, მუცლის ტიფით. შემდეგ ამას ტექნიკურ შეცდომას დაარქმევენ და 1982 წლის თარიღით რამდენიმე ფურცელია საქმეში, რომლებშიც თბილისიდან ქუთაისის ციხის ადმინისტრაციას სთხოვენ, გარდაცვალება გადაათარიღონ 1943 წლის 26 აპრილით. ამასთან, თბილისიდან აგზავნიან ხიმშიაშვილის გარ-

დაცვალების მოწმობას, №27096. ხელს აწერს პატარკაციშვილი. 1982 წ. 29/IV. რამდენიმე სასწრაფო მოთხოვნის შემდეგ პატარკაციშვილი იღებს სასურველ (შეკვეთილ) დასტურს, შეტყობინებას მოქ. კ. ა. ხიმშიაშვილის გარდაცვალების გადაკეთებულ თარიღთან დაკავშირებით.

1982 წლის 23 ივლისს ნუნუ ქადეიშვილი იღებს კოტე ხიმშიაშვილის „გარდაცვალების“ დამადასტურებელ ცნობას (ნ. ქადეიშვილი ადასტურებს ხელმოწერით, რომელიც საქმეში დევს), ასევე ნ. ანდლულაძე, 1982 წლის 26 ოქტომბერს იღებს ასეთსავე ცნობას, ადასტურებს ხელმოწერით... (გარდაცვალება დარეგისტრირებულია ქ. ქუთაისში, ლენინის რაიონი, მმაჩის ბიუროში, 29.06.82 წ. ხელს აწერს ნ. გუბელაძე... სიმართლე ჯერ კიდევ იმალებოდა...).

სრული სახით კოტე ხიმშიაშვილის საქმეში მოპოვებულ მასა-ლებს მკითხველი იხილავს წიგნში, რომელიც მზადდება.

#### **დამონიშვანი:**

**აბაშიძე 1984:** აბაშიძე გრ. კოტე ხიმშიაშვილი. თბილისი: გამომცელობა „მერანი“, 1984.

**ავალიანი 1972:** ავალიანი ლადო. „ალექსანდრე საჭაია“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972, № 13.

**ჩხეიძე 2010:** ჩხეიძე რ. „სახება კოტე ხიმშიაშვილისა“. კოტე ხიმშიაშვილი. თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2010.

**ჩხეიძე 2014:** ჩხეიძე რ. „ლეგენდა ერეკლე ტატიშვილისა“. საგა ვახტანგური. თბილისი: „ჩვენი მწერლობა“, 2014.

**ხიმშიაშვილი 2010:** ხიმშიაშვილი დ. კოტე ხიმშიაშვილი. მოგონებები. თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2010.

# კულტურული ორიენტაციის პრობლემა 1910-20-იანი წლების ქართულ მწერლობაში\*

## ლევან ბრეგაძე

### ევროპა ვართ თუ აზია?

1997 წლის სექტემბერში თბილისში სტუმრად მყოფ ჰანს მაგნუს ენცენსბერგერს ვკითხე: „როგორ ფიქრობთ, სად იმყოფებით ამჟამად: აღმოსავლეთში თუ დასავლეთში?“ გერმანელი პოეტის პასუხი ასეთი იყო: „უფრო დასავლეთში. ადამიანთა აზროვნების მანერა აქ დასავლურია. აღმოსავლურია ყოველდღიური ცხოვრება, ეს იგრძნობა ქუჩაში, სუფრასთან... წეს-ჩვეულებებში ბევრი რამ აღმოსავლურია, მაგრამ სულიერების მხრივ საქართველო, მე ვფიქრობ, უფრო ევროპული ქვეყანაა“ (ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზიერ „კვირის ფოსტაში“, შემდეგ იგი „ლიტერატურულმა საქართველომ“ გადაბეჭდა).

ეს არ ყოფილა მოულოდნელი პასუხი – მსგავს შეკითხვაზე სხვა უცხოელებიც დაახლოებით ასეთ პასუხს იძლევიან.

ევროპა ვართ თუ აზია? – ეს საკითხი ჩვენი ინტელიგენციის განსჯის საგანი გახდა XX საუკუნის 20-იან წლებში, ანუ იმ დროს, როცა რეალური შეიქნა რუსეთის იმპერიიდან თავდაღწევის შესაძლებლობა და ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე ჩვენი ქვეყნის მომავალი ორიენტაციის საკითხი დადგა დღის წესრიგში.

ჩვენს დროშიც, როცა საქართველოს კიდევ ერთხელ გაუჩნდა შესანისი დამოუკიდებლობის მოპოვებისა, კვლავ აქტუალური გახდა საკითხი „ევროპა ვართ თუ აზია?“ და ამასთან დაკავშირებული პრობლემა: დასავლური ორიენტაციის გზას დავადგეთ თუ უარი ვთქვათ დასავლურ იდეალებზე, ცხოვრების დასავლურ წესზე და აღმოსავლური ელემენტი გავაძლიეროთ ჩვენში?

\* 2017 წლის 31 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სესია: „საქართველოს კულტურული ორიენტაციის პრობლემა 1910-20-იანი წლების ქართულ მწერლობაში“. კრიტიკა გთავაზობთ სესიაზე წარმოდგენილ მასალებს.

მაგრამ ისევ 20-იან წლებს დავუბრუნდეთ. იმ დროს ამ პრობლემას დასტრიალებდა თავს მაშინდელ ქართველ ინტელექტუალთა ახალგაზრდა თაობის აზრი – ამაზე სერიოზულად ფიქრობდნენ და წერდნენ კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, აკაკი პაპავა და მრავალი სხვა მათი თანამედროვე, რომელთა ნაფიქრ-ნააზრეს ამ თემაზე შეგიძლიათ ერთად თავმოყრილს გაეცნოთ კრებულში „ევროპა თუ აზია?“, რომელიც გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში მომზადდა და 1997 წელს გამოიცა.

კრებულში თავმოყრილი მასალების გაცნობისას სამგვარი პოზიცია გამოიკვეთება. ზოგნი მთლიანად დასავლეთისაკენ არიან მიმართული და ქართული კულტურის ხსნას ევროპულ ორიენტაციაში ხედავენ. გერონტი ქიქმიძის აზრით, „ევროპულმა კულტურამ უცილობლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა... თუკი აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აისხნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანასა და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო აღმართული“.

საპირისპირო პოზიციაზე იდგა ვახტანგ კოტეტიშვილი:

„ევროპამ შეგვშალა და, ალბათ, წაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა. აზიაში მყოფნი ევროპიდან ვუმზერდით აზიას. ამიტომ ჩაგვიქრა შემოქმედება, მკვდარ მიმბაძველობამ კი დაგვასნეულა. ასე იყო და არის. ასე ვეღარ გაგრძელდება... დევიზი: უკან, აზიისაკენ, წინ წასასვლელად!“.

უფრო მრავალრიცხოვანი მომხრე ჰყავდა იმ თვალსაზრისს, რომ საქართველოში ოდითგანვე ევროპული და აზიური კულტურების ორიგინალური სინთეზი ხორციელდებოდა და მომავალშიც ამ გზით უნდა გვევლო. ამ პოზიციის გამომხატველი იყო ტიციან ტაბიძის ფორმულა – „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში. ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე. გრ. რობაქიძის სიტყვით, „ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ...“

და საქართველოც თითქოს ამისთვისაა შობილი. აბა დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰქრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევნებული რენესანსის გაქანებისა!..“

ეს კითხვა – ევროპაა თუ აზია? – ამ კონტინენტების საზღვართან ახლომდებარე კიდევ რამდენიმე ქვეყნის მიმართ დაისმის ხოლმე, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ თვალსაზრისით ისეთ თავსატესს არ აჩენს, როგორსაც საქართველო.

1992 წელს გერმანულ გაზეთ „რაინიშერ მერკურში“ გამოქვეყნდა მეტად საინტერესო სტატია სათაურით „სად გადის ევროპის კონტინენტის საზღვრები?“ (ავტორი ჰელმუტ სვობოდა). ვნახოთ, რა არის იქ ნათქვამი ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ქვეყნის შესახებ.

თურქეთზე ვკითხულობთ:

„ერთ დროს, როდესაც შეიქმნა ნატო, როგორც დასავლეთის ფარი ბოროტების იმპერიის წინააღმდეგ, თურქეთი ამ ევრო-ატლანტიკური კავშირის ნეერად მიიღეს, მაგრამ თუ ამგვარ სტრატეგიულ და აქტუალურ პოლიტიკურ მიზანდასახულობებს გვერდზე გადავდებთ, ძალიან გაგვიჭირდება თურქეთი ევროპას მივაკუთვნოთ, მით უფრო, რომ მეოცე საუკუნის დამდეგამდე თურქეთი ევროპის დაუძინებელ მტრად ითვლებოდა, რომელმაც თითქმის მთელი ბალკანეთი დაიბყრო, ორჯერ მიაღწია ვენამდე, და მხოლოდ ამ ქალაქის კარიბჭესთან იწვნია მარცხი. (თუმცა პრეზიდენტმა ბუშმა თურქეთს „ევროპის ცაზე გამობრნყინებული ვარსკლავი“ უწოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ყვავილოვანი დიპლომატიური ფრაზა იყო)“.

რუსეთის გამო ავტორი წერს:

„ცხადია, შეიძლება სანკტ-პეტერბურგი, რომელიც საგანგებოდ იმისთვის დაარსდა, რომ დასავლური ორიენტაციით მოსკოვს დაპირისპირებოდა როგორც დასავლეთისკენ გაჭრილი კარი, ასევე ლემბერგი (ლვოვი), რომელიც ჯერ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის, ხოლო შემდეგ პოლონეთის ნაწილი იყო, ევროპულ ქალაქებად ჩავთვალოთ, მაგრამ ამის გამო რომ რუსეთი ან უკრაინა და ბელორუსია ევროპას მივაკუთვნოთ, ნაჩეარევი გადაწყვეტილება იქნებოდა. თუმცა რუსული კულტურა უეჭველად ევროპული კულტუ-

რის შემადგენელი ნაწილია; რა იქნებოდა საკონცერტო დარბაზები და საოპერო სცენები ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, სტრავინსკის გარეშე? ან განა ჩეხოვი, ტოლსტიო, დოსტოევსკი და თუნდაც გორგი მსოფლიო ლიტერატურას არ ეკუთვნიან? რა თქმა უნდა. მაგრამ მსოფლიო ლიტერატურა მეტია, ვიდრე ევროპული ლიტერატურა, და, გარდა ამისა, ისეთი ავტორები, როგორიცაა დოსტოევსკი და ახლო წარსულში სოლუენიცინი, სრულიად მკაფიოდ მოითხოვნენ რუსეთის კულტურული და პოლიტიკური როლის თვითმყოფადობას, რაც სულიერების სფეროში მკვეთრად უპირისპირდება ევროპულ-ამერიკულ დასავლეთს“.

ამ სტატიაში სომხეთი და აზერბაიჯანიც არის ნახსენები, იქ, სადაც ევროპასა და აზიას შორის კავკასიაზე გამავალ საზღვარზეა საუბარი, და ამ ქვეყნების შესახებ ნათქვამია, მათ უპირატესად აზიას მიაკუთვნებენ.

ყველა წესითა და კანონით აქვე, სომხეთისა და აზერბაიჯანის გვერდით, საქართველოზეც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, მაგრამ არაფერია ნათქვამი, უთუოდ იმის გამო, რომ ძნელია მისი მიკუთვნება ევროპისა ან აზიისადმი (ისე კი, სხვა საკითხებზე საუბრისას საქართველო ორჯერ არის ნახსენები ამ წერილში).

მთელი სტატია იმ პათოსით არის გამსჭვალული, რომ ყველა მცდელობა, ზუსტად დავადგინოთ ევროპის საზღვრები, წარუმატებლობისთვის არის განხირული. ეს იმიტომ, რომ დღეს ევროპა აღარ არის არც მხოლოდ გეოგრაფიული, არც მხოლოდ ისტორიული, არც მხოლოდ პოლიტიკური, არც მხოლოდ ეკონომიკური და არც მხოლოდ კულტურული ცნება. შეიძლება ქვეყანა გეოგრაფიულად უეჭველად ევროპას განეკუთვნებოდეს, მაგრამ იგი მაინც არ იყოს ევროპა დღევანდელი გაგებით, მაგალითად, ალბანეთი. მეტიც, ნაციზმისძროინდელი გერმანია არ იყო ევროპა დღევანდელი გაგებით. დღეს ევროპისადმი კუთვნილებას ყველა სხვა ნიშანზე მეტად განსაზღვრავს საერთოევროპული, საერთოდასავლური იდეალებისადმი, სულიერი ფასეულობებია ეს? – წამოჭრის კითხვას სტატიის ავტორი და ასე უპასუხებს მას:

„ეს ფასეულობები გამომდინარეობენ განმანათლებლობისა და საფრანგეთის რევოლუციის იდეალებიდან (არა პრაქტიკიდან).“

ესენია: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, დემოკრატია, თვითგამორკვევა, თანაბარი შანსები ყველასათვის, ხელისუფლების დანაწილება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, ადამიანის უფლებები, პრესის თავისუფლება. როგორც არ უნდა გასტეხოდა სახელი ამ იდეალებს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, მაინც ისინი შეადგენენ ევროპული აზროვნების ფასეულობათა კარკასს და საბოლოო ანგარიშით ევროპელად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, ვინც ამ ცნებებთან შინაგან კავშირს გრძნობს“.

მაგრამ ყველა ეს პირობა რომ შეასრულოს, ვთქვათ, ინდოეთმა, სრულიად ცხადია, რომ იგი მაინც ვერ გადაიქცევა ევროპად.

და, აი, ახლა ასეთ საკითხს მივადექით: მსოფლიო გაყოფილია ორ კულტურულ სივრცედ – დასავლურ და აღმოსავლურ კულტურულ სივრცებად. დასავლური და აღმოსავლური კულტურები ურთიერთდაპირისპირებულნი არიან, მათ შორის არსებობს წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა ანტაგონისტურია (შეურიგებელია). მაგრამ ანტაგონისტურია „რიგითი“ ადამიანების დონეზე. კაცობრიობის დიდი მოაზროვნების, დიდ შემოქმედთა, დიდ ჰუმანისტთა დონეზე ამ წინააღმდეგობას ანტაგონისტური ხასიათი არა აქვს. დიდ ჰუმანისტებს არათუ აღიზიანებთ მშობლიურისაგან ტიპოლოგიურად განსხვავებული კულტურული ფაქტების არსებობა, არამედ დიდი ინტერესითა და გატაცებით სწავლობენ მათ, რაც მათთვის ახალი შემოქმედებითი იმპულსების წყარო ხდება. ევროპელთაგან ამგვარი შემოქმედისა და მოაზროვნის ნიმუშად შეიძლება იოპან ვოლფგანგ გოეთე დავასახელოთ, ხოლო აღმოსავლელთაგან XIII საუკუნის დიდი სირიელი სწავლული და მწერალი, ქრისტეს სჯულის აღმსარებელი გრიგოლ-იოანე აბუ ლ-ფარაჯ ბარ ჰებრაია.

მაგრამ გოეთეს იმედი – აღმოსავლეთის და დასავლეთის ერთიანობა აღარასოდეს არ მოიშლებაო – ამ დიდი ჰუმანისტის კეთილსურვილად დარჩა. დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის წინააღმდეგობა დღემდე ძალიან მწვავეა, ანტაგონისტურია.

ვგონებ, ერთადერთი ადგილი დედამიწის ზურგზე, სადაც დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის დაპირისპირებულობა თვით „რიგით“ ადამიანების დონეზეც კი არ არის ანტაგონისტური, საქართველოა.

თბილისი დღეს ევროპული სამუსიკო ხელოვნების ერთ-ერთი ცენტრია, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ქართველი გულგრილია აღმოსავლური ჰანგების მიმართ, ხოლო ორიგინალური ქართული ხალხური მუსიკა სრულიად განსაკუთრებული ფენომენია.

თბილისი არქიტექტურული ნოველების, არქიტექტურული მოულოდნელობების ქალაქია. თავისუფლების მოედანს ცოტას გასცდებით და გოთიკა შემოგეფეთებათ. აქ ერთმანეთის ახლომახლო „მშვიდობიანად“ თანაარსებობენ ვენეციური სტილით ნაგები რუსთაველის თეატრი და ფსევდომავრიტანული სტილის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა. არაფერი აქვთ ერთმანეთთან სადაც არც აღმოსავლური მანერით ნაგებ ქალაქის საკრებულოს შენობასა და იქვე წამომართულ „ქორთიარდ მარიოტის“ შთამბეჭდავ თანამედროვე ევროპულ ნაგებობას. რაც შეეხება რელიეფთან არაჩვეულებრივად შეხამებულ ძველ უბნებს მტკვრის გაღმაგოლმა, ესენი თბილის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, განუმეორებელ იერს სძენენ.

ზემოთ ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვები მოვიყვანეთ: „დევიზი: უკან, აზიისაკენ, წინ წასავლელად“. ერთი შეხედვით უცნაური ჩანს, რომ ამას წერს ევროპულად განათლებული ადამიანი. მაგრამ ევროპულად განათლებული რომ არის, სწორედ ამიტომ წერს ასე. ამ პარადოქსში რომ გავერკვეთ, გავიხსენოთ, რომ ვ. კოტე-ტიშვილის ეს წერილი 1920 წელს გამოქვეყნდა. ახალი დამთავრებულია პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც ევროპა გააჩანაგა. იმედგაცრუებული ევროპელი ინტელექტუალები ხსნას აღმოსავლურ კულტურებში ეძებენ. აღმოსავლეთი მაშინდელი ევროპიდან ერთობ მიმზიდველი ჩანდა. 1918 წელს აღმოსავლეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ჰერმან ჰესე წერს ზღაპარს სათაურით „ევროპელი“, რომელშიც მან დალუპვა უქადა ევროპულ კულტურას და პირდაპირ განაცხადა, მომავალი აღმოსავლეთისააო; იმავე წელს გამოდის ოსვალდ შპენგლერის წიგნი „ევროპის დაისი“. ვიმეორებ: აღმოსავლეთის კულტურული მისიის გადაჭარბებული შეფასება, აღმოსავლეთის გაიდეალება დასავლეთის დაქნინების ხარჯზე, იმდროინდელ მოაზროვნეთა შორის მაშინდელი ევროპული სინამდვილით იმედგაცრუებამ გამოიწვია. ნამდვილად კი აღმოსავლეთი სულაც არ იყო ესოდენ იდილიური. აღმოსავლეთი

როდია მარტო „ათასერთი ლამე“, დიდებული სპარსული, ჩინური და იაპონური პოეზია, არაჩეულებრივი ინდური არქიტექტურა ან, თუნდაც, იმავე ჰერმან ჰესესაგან ხოტბაშესხმული აღმოსავლური „ღვთაებრივი უსაქმურობა“ (Göttlicher Müssiggang), რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს თავის თავშიც ჩაღრმავდნენ და დედაბუნებასაც შეერწყან, განიცადონ მედიტაციით მოგვრილი ნეტარება. აღმოსავლეთი ამავე დროს არის – შაჰსე-ვაჰსე, ჰარაკირი, კამიკა-ძე... მოკლედ, აღმოსავლეთი არის აღმოსავლური ფანატიზმიც. ამ ფანატიზმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა და გონიერების ყველა საზღვარი გადალახა. სულ სხვაგვარი გახდა ჰერმან ჰესეს საყვარელი ჩინეთი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ნეტა რას იტყოდა დიდი მწერალი იმის შემხედვარე, რაც ხდება ირანში, ავღანეთში... ხოლო ხდება კი ის, რომ ადამიანს მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის, თუ იგი სასულიერო წრეებმა მკრეხელობად მიიჩნიეს, შეიძლება ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გამოუტანონ სასიკვდილო განაჩენი (სალმან რუშდი) ან სასტიკად დაისაჯოს ვინმე ევროპელი კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოების არამარტო შესრულებისათვის, არამედ მოსმენისთვისაც...

მეორე მხრივ, არც ევროპაა მხოლოდ პრესის თავისუფლება, პიროვნების უფლებების დაცვა და მატერიალური კეთილდღეობის მაღალი დონე; ევროპა არის „პომო ფაბერიც“, სულიერებისაგან დაცლილი ადამიანი-მანქანა, რომელსაც სერიულად აწარმოებს დასავლური რაციონალიზმი და ტექნიციზმი.

ჩვენი დასკვნა ასეთი იქნება:

ქართული კულტურა და ქართული მენტალიტეტი არასოდეს ყოფილა და ალბათ არც არასოდეს იქნება წმინდად ევროპული ან წმინდად აზიური. ჩვენთვის არ არის უცხო ევროპული იდეალები, მაგრამ უცხოა ევროპული რაციონალიზმი და ტექნიციზმი.

ჩვენთვის არ არის უცხო აღმოსავლური კულტურული ფასეულობანი, მაგრამ უცხოა აღმოსავლური მისტიციზმი და ფანატიზმი.

ამ უკიდურესობათაგან თავისუფალი ქართული სული დასავლურ და აღმოსავლურ ორიენტაციებს შორის მანევრირების კარგ უნარს ამჟღავნებს, და, ვინ იცის, იქნებ იგი მართლაც გამოდგეს ევროპულ და აზიურ კულტურათა შემაერთებელ ხიდად.

სხვათა შორის, ამ აზრის არის იტალიელი ქართველოლოგი ლუიჯი მაგაროტო, რომელიც 1982 წელს ვენეციაში გამოცემულ კრებულში „ავანგარდიზმი თბილისში“ წერს: თანამედროვე ევროპული გადასახედიდან საქართველო მოიაზრება როგორც „ხიდი ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის“.

P. S.

არ დაფიქრებულხართ, რამ შეიძლება მოხიბლოს ლამის ყოვლისმნახეველი მდიდარი უცხოელი საქართველოში? არადა, უეჭველია რაღაც ხიბლავთ ისეთი, რასაც, ეტყობა, სხვაგან ვერ პოულობენ.

1974 წელს საბჭოთა კავშირს ერთი კვირით ენვია ამერიკელი სენატორი ედუარდ კენედი. მან სამი ქალაქი მოინახულა: ჯერ, თავისთავად ცხადია, მოსკოვი, შემდეგ დიდებული პეტერბურგი (ლენინგრადი) და ბოლოს თბილისი. სამშობლოში გამგზავრების წინ სენატორმა პრესკონფერენცია გამართა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. მოსკოვის ფრანგულენოვანმა გაზეთმა „ლე ნუველ დე მოსკუ“-მ (4 მაისი, №18) პრესკონფერენციის ანგარიში გამოაქვეყნა. ამ ანგარიშის ერთ ქვეთავს ასეთი სათაური აქვს: „მხოლოდ ერთი შეკითხვა დარჩა პასუხგაუცემელი“.

ეს „პასუხგაუცემელი“ შეკითხვა (რატომ ჩავსვი სიტყვა „პასუხგაუცემელი“ ბრჭყალებში, ახლავე მიხვდებით) ქართულად ასე უდერს: „რომელირეგიონი მოგეწონათ ჩვენში ყველაზე მეტად?“

კენედიმ გაილიმა და თქვა:

„მე კარგა ხანია პოლიტიკის სფეროში ვმოლვანეობ და ვიცი, რომ ამგვარ შეკითხვებს პასუხი არ უნდა გავცე. ყველა ძალიან მომეწონა. მოგზაურობა ზღაპრული იყო, როგორც საქართველოში, ასევე სხვაგანაც.“

## თამაზ ვასაძე

### დასავლური პრინციპების იმედით

იმის შესახებ, საქართველო ევროპაა თუ აზია, რა გვაკავშირებს ევროპულ კულტურასთან, რას ნიშნავს ევროპული ორიენტაცია, ხშირად უმსჯელიათ, უკამათიათ და ასეთი მსჯელობა თუ დისკუ-სია დაუსრულებელი შეიძლება იყოს.

ეს თეორიული პრობლემები საბოლოოდ უნდა გადაჭრას პრაქ-ტიკამ – ჩვენმა პრაქტიკულმა, ქმედითმა არჩევანმა, ვინ და რა გვ-სურს ვიყოთ, ჩვენმა მყარმა ნებამ, საკუთარი შინაგანი რაობით, არსებით ვიქცეთ ჩვენთვის მიმზიდველი ცივილიზაციის ნაწილად.

თუ მართლაც გვინდა ევროპულ ცივილიზაციაში ვიპოვოთ ჩვენი ადგილი, თუ ეს ჩვენი ცნობიერიდა ქმედითი არჩევანია, ახლა არსებობს ობიექტური შესაძლებლობა, რეალურად გავხდეთ ევროპული ნაცია, ქვეყანა, სახელმწიფო.

ამას ბევრი რამ ენინააღმდეგება ჩვენშივე თუჩვენს გარშე-მო, მაგრამ ევროპის მიმართულებით საქართველოს სვლის და-მაბრკოლებელი ფაქტორების საპირნონეა თვით ევროპის, დასავ-ლეთის გამოკვეთილი ნება, შედგეს ჩვენი ქვეყნის ინტეგრირება დასავლურ ცივილიზაციაში.

მე მგონია, რომ დღეს დასავლეთი იგივეა საქართველოსთვის, რაც ისტორიულად იყო ბიზანტია, მასთან ურთიერთობის თანმ-დევი კონფლიქტების მიუხედავად – პოლიტიკური მფარველო-ბის გამწევი და ნაყოფიერი კულტურული ზეგავლენის მომხდენი ძალა. თუ ბიზანტია ქართულ ქრისტიანულ კულტურას აძლევდა იმპერიას, დღევანდელი დასავლეთის დახმარებით საქართველო-ში დემოკრატიული სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა ინერგება.

რამდენად ვართ ევროპელები, ეს შეიძლება პრობლემატური იყოს, მაგრამ ევროპისკენ, დასავლეთისკენ ჩვენი საკმაოდ ხან-გრძლივი სწრაფვა კი თვალსაჩინოა.

დასავლური ცივილიზაციისკენ ქართველების ლტოლვა მეოცე საუკუნის დასაწყისში დაბოლოვდა იმით, რომ როგორც კი საქარ-

თველოს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მი-  
ეცა, იგი ევროპულ-დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებას  
შეუდგა.

საქართველოს ევროპული არჩევანის მკვეთრი გამოხატულება  
იყო ის, რომ აქ, რუსეთისგან განსხვავებით, დომინანტურ ძალად  
მოგვევლინა არა სოციალიზმის აზიურ-დესპოტური ნაირსახეობა –  
ბოლშევიზმი, არამედ ევროპული ტიპის სოციალ-დემოკრატია.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურა, მხატვრული  
თუ თეორიული აზროვნებაცაშკარად ევროპაცენტრისტულია, მა-  
შინაც, როცა კრიტიკულია ევროპის, დასავლეთის მიმართ. ასეთ  
ფონზეც კი გამოირჩევა მიხეილ ჯავახიშვილის ფიგურა, რადგან  
მას, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სწამდა ევროპული იდეალების,  
ფასეულობების სიცოცხლისუნარიანობა და კეთილმყოფელობა.

მიხეილ ჯავახიშვილისთვის, როგორც ილია ჭავჭავაძის მემ-  
კვიდრისთვის, არსებობის ევროპული წესის მთავარი კრიტერიუმე-  
ბია განმანათლებლობის მიერ დამკაიდრებული რაციონალიზმი,  
მეცნიერების, ცოდნის და განათლების გადამწყვეტი მნიშვნელო-  
ბა, მეცნიერებაზე და ტექნიკაზე დაფუძნებული, ორგანიზებული  
შრომა, მატერიალური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების  
პროგრესული გარდაქმნის და განვითარების, სრულყოფის განუ-  
წყვეტილი ცდა, ადამიანის თავისუფლების და ღირსების ხელშე-  
უვალობის აღიარება.

მიხეილ ჯავახიშვილს, რომლის მხატვრული ხედვათავისი არსით  
მწვავედ სკეპტიკურ-ირონიულია, თითქოს უიმედოდ ტრაგიკული  
თუ ტრაგიკომიკური და სატირულია, ძირეული ევროპული ღირე-  
ბულებები, პრინციპები მაინც ეიმედება. თუმცა „ჯაყოს ხიზნებში“  
იგი ამ ღირებულებათა კატასტროფულ მარცხს წარმოსახავს, მა-  
გრამ ეს მარცხი გამოწვეულია არა თვით მათი ნაკლულოვნებით,  
არამედ ქართულ სინამდვილეში ევროპეიზმის სწობურად ზედა-  
პირული კულტივირებით. ხოლო თავისთავად ევროპული ორიენ-  
ტირები მწერლისთვის საეჭვო არ არის.

ამის დადასტურებაა 1924-25 წლებში გამოქვეყნებული „ჯაყოს  
ხიზნების“ შემდეგ მალე, 1926 წელს დაბეჭდილი მოთხოვნა „პა-  
ტარა დედაკაციც“. იგი თავისი ფაბულით, პერსონაჟების რაობით და

განლაგებით, კონფლიქტით და პრობლემატიკით „ჯაყოს ხიზნების“ თანხმიერია, მაგრამ მისგან განირჩევა ოპტიმისტური კონცეფციით – ოპტიმისტური ვარიაციაა „ჯაყოს ხიზნების“ თემაზე.

ნიჭიერებით აღქვეყდილ ამ მოთხოვნაში, რომელიც სიღრმით და სირთულით „ჯაყოს ხიზნებს“, ცხადია, ვერ გაუტოლდება, ცხოვრების დასავლური ორიენტირები ტრიუმფალურად აღზევებულია, თუმცა ეს, გასაგები მიზეზების გამო, პირდაპირ არ არის წარმოჩნდილი და გააზრების საგნად ქცეული, ოსტატურად არის ვუალირებული.

ევროპული ცივილიზაცია, მეცნიერება და ტექნოლოგია, მედი-ცინა თეიმურაზ ხევისთავის მონათესავე პერსონაჟს, სულიერად დავრდომილ ადამიენს, ნარკომანიით და სქესობრივი უძლურებით დაავადებულს და გამოფიტულს, თითქმის შეშლილს და მომაკვდავს, თავისი საშინელი ბედის გადატეხვას შეაძლებინებს, განკურნავს, სასიცოცხლო ენერგიას და ლირსებას ალუდგენს; ევროპიდან, სადაც ადეკვატური თვითრეალიზაციის შესაძლებლობა ეძლევა, იგი სამშობლოში ბრუნდება როგორც სრულფასოვანი, შემოქმედებითი პიროვნება, დასავლურად განათლებული და განაფული პროფესიონალი – მედიკოსი, ქიმურგი (ამ ნაწილში გარდა, მწერლის საგანგებო ინტერესი მედიცინის ფენომენისადმი თუ მედიკოსის პროფესიისადმი გამოვლენილია მოთხოვნებში „ყბაჩამ დაიგვიანა“, „ეურდღელი“, „ლამბალო და ყაშა“).

მოთხოვნაში უკვე განკურნებული ამირან რიმანიძის სახე ასოცირებულია მითიურ ამირანთან, საქართველოს და ქართველის ტრადიციულ ლიტერატურულ სიმბოლოსთან, პრომეთეს – დასავლური ცივილიზაციის თავისებურების სიმბოლური განსახიერების – ქართულ ანალოგთან. ბედისწერასთან უთანხმოების ნიშანთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი ატარებს პრომეთესეული საწყისის სხვა არსებით ნიშანსაც – გონების სინათლეს და ნების სიმტკიცეს, მიმართულს ახალი, ჰუმანური, პროგრესის უზრუნველმყოფი ცოდნის და პრაქტიკის დამკვიდრებისკენ.

ამირანის სახეში ამეტყველებულია დასავლური იდეა, რომ ადამიანი არ არის ბედისწერის უღონო მონა, რომ გონებაზე დაყრდნობით, მუდმივად განახლებადი ცოდნის, მისი პრაქტიკის

გამოყენების წყალობით შესაძლებელია ადამიანის არსებობის პოზიტიური შეცვლა, ობიექტური ფაქტორებისგან ადამიანის თავისუფლების ხარისხის და ადამიანური ძალებისკარდინალური ზრდა, რეალობის ჰუმანიზაცია.

ამირანის ანტაგონისტი სპირიდონ რონველი გარეგანად სახე-ცვლილი, გროტესკულად ბარბაროსული იერის არმქონეჯაყოა. იგი მარგოს ასევე არაარსებით სახეცვლილებას, სოფიოს, მისი ქმრის მატერიალურ საკუთრებასთან ერთად, ამჯერად მიიტაცებს, ადამიანს თავისუფლებას ართმევს არა უხეში ძალადობით, არამედ ჯაყოსთვის აგრეთვე დამახასიათებელი, ოღონდ ახლა უფრო დახვეწილი თვალთმაქცობით და ვერაგობით, მანიპულაციებით, თავისი მსხვერპლისთვის გონების ნარკოტიკული დაბანგვით და ფატალიზმის, ბედისწერის წინაშე უმწეობის გრძნობის გაღვივებით.

რონველის არსენალს – ადამიანის გონების და თავისუფალი, აქტიური ნების გამხევებელს, შეუთავსებელს პიროვნების თავისუფლების და ჰუმანიზმის, რაციონალიზმის, პროგრესის დასავლურ პრინციპებთან – ბუნებრივად ესადაგება და აგვირგვინებს მისი, როგორც ქირურგის, საყვარელი, სასტიკი მეთოდი, აღმოსავლური, „არაბული ხერხი“, ცხელი შანთის გამოყენება. ამ პერსონაჟის – მეტაფორულად „აფთრის“, „მინის მგლის“, „მგელკაცის“ – ანტიპუმანური ბუნება, ფარული მოძალადეობა განსაკუთრებული მხატვრული შთამბეჭდაობით არის გამომულავნებული ეპიზოდში, რომელშიც იგი, ევროპეიზებულ ამირანთან პროფესიულ და მამაკაცურ მეტოქეობაში დამარცხებული, მეტოქის რევანშის შედეგად ფსიქიკურად შერყეული, გახურებული შანთით ჯიჯგნის მის ხელში დაღუპული პაციენტების ცხედრებს.

მწერალი ერთბაშად, ერთი გაელვებით ხდის დასანახს რონველის საბჭოურ პროფილს – ცხადია, ამ პროფილის საგულდაგულოდ გამოკვეთა ბოლშევიკური ცენზურის პირობებში შეუძლებელია. რონველის სამედიცინო ნაშრომის კონსპექტში, რომელიც ფსიქიკურად სნეულის მიერ დაწერილ დასმენის წერილს გავს, მისი იდეოლოგიურ-პოლიტიკური თვალთახედვა ჯავახიშვილის სტილისთვის ნიშანდობლივ სარკასტულ შტრიჩებში ამოიცნობა. „ყველა ქვეყნის განთემული დოსტაქერები ქართველები იყვნენ... გიუ დე შოლიაკი გივი შილდელია... ჯონ გენტერი გადაკეთებული

გიორგი გენტერაშვილი უნდა იყოსო. დასკვნაც შესაფერი ჰქონდა: უცხოელები ჩვენ დოსტოევსკიას ვერ გვასწავლიან, თვითონვე მოვიდნენ და ისნავლონო... შინაგანი სეკრეციის თეორია კაცობრიობას დაპლუპავს, ხოლო ამ მოძღვრების მოციქული ამირან რიმანიძე ხალხის მოსისხლე მტერია და ისიც საზღაპრო ამირანივით კლდე-ებზე მისაბმელი გიუია... ამირანს და იმის შეამიან წიგნსაც მე თვითონ დავწვავ უნივერსიტეტის მოედანზე“.

პრიმიტივიზებული ნაციონალიზმი აქ სავსებით კანონზომიერად იღებს საბჭოთა პატრიოტიზმის სახეს, რომელიც უცხოურის მიმართ ყოველივე „სამამულოს“ უპირატესობის გამუდმებულ მტკიცებას გულისხმობდა. საბჭოთა პატრიოტიზმის და სახელმწიფო იდეოლოგიის პოზიციიდან ხშირად მდარედ, მავნედ და მიუღებლად მიიჩნეოდა უცხოური, დასავლური მეცნიერება (ასევე ლიტერატურა, ხელოვნება), ისე, რომ არავითარ ლირებულებას არ წარმოადგენდა ობიექტური მეცნიერული ჭეშმარიტების თავისუფალი ძიება, ხოლო დასავლური, ევროპული განათლების მქონე, თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენტები „ხალხის მტრებად“ შეირაცხებოდნენ.

რონველის კონსპექტში მოდელირებულია აგრეთვე „ხალხის მტრების“ შერისხვის თანმდევი მოვლენა – რეალიზების საშუალება ეძლეოდა პრივატული ხასიათის ამორალურ იმპულსებსაც, ზრახვებსაც: პირად სიძულვილს, შურს, ანგარებას, სამაგიეროს გადახდის თუ კონკურენტის ჩამოცილების სურვილს...

გავა ათიოდე წელი მოთხრობის დაწერიდან და რონველის კონსპექტი გრანდიოზულად მატერიალიზდება, გაიშლება და მისი ავტორის აგრესიული იდეოლოგიზებული ბოდვა უკვე სრულად შეისხამს ხორცს საბჭოეთის შემლილ, ფანტასმაგორიულ რეალობაში; „ხალხის მტრების“ – მათ შორის თვით მიხეილ ჯავახიშვილის – საბოლოო დათრგუნვისას, განადგურებისას რონველისეული ცხელი შანთის მსგავსი ინსტრუმენტებიც ექნებათ ხელთ რეპრესიული აპარატის ერთგულ და ენერგიულ მუშაკებს – რონველის ტიპის ადამიანებს...

მიხეილ ჯავახიშვილი მოთხრობის პიკანტურ სიუჟეტს, ისევე როგორც „ჯაყოს ხიზნებისას“, მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური, პოლიტიკური მოტივებით მსჭვალავს, სიმბოლურ

განზომილებას სძენს, რომელშიც დასავლური ცივილიზაცია, მისი პრინციპები წარმოდგება ეპოქის ავანსცენაზე გამოსული დესტრუქციული და მტაცებლური, ანტიპუმანური, ადამიანის თავისუფლებისადმი მტრული ძალების დამმარცხებლად, მათგან მსხველად.

მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა ქართველი მოაზროვნების არჩევანი დასავლური ცივილიზაციის სასარგებლოდ თითქოს გაზიარებულია დღევანდელი ქართული საზოგადოების მიერ, მაგრამ მისი დეკლარირებული არჩევანის ქმედით არჩევანად ქცევას ხელს ისიც უშლის, რომ ხშირად დასავლეთს ისევე აღვიქვამთ, როგორც „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთავარი პერსონაჟი: „კვაჭი მსოფლიოს დედაქალაქში (პარიზში) ჰქედავდა და ჰგრძნობდა მხოლოდ შიშველს, ფეხაყრილს პირუტყვს, მუდმივ ნადიმს და ზეიმს, ლხინს და განცხრომას, ფუფუნებას და მოსვენებას“; მისი თვალსაწიერის მიღმაა დასავლეთის კეთილდღეობის საყრდენი – მას შეუმჩნეველი რჩება, რომ დასავლური სამყაროს რიგითი მკვიდრები „თავის ოჯახისთვის და პატიოსნებისთვის დღე-ლამეს ასწორებდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ და მთელ თავისს სიცოცხლეს მუდმივს ფუსფუსსა, დაუდგრომელ შრომასა და ჯაფაში ჰლევდნენ“.

## მანანა კვატაია

### დასავლეთ-აღმოსავლეთის პარადიგმის ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტისათვის

ერთსა და იმავე აზრობრივ კონცეპტს მწერლობა და მეცნიერება განსხვავებული მიზანდასახულობით იკვლევს. ნორტონ ფრაი წიგნში „კრიტიკის ანატომია“ წერს: „ლიტერატურისათვის მთავარია თვითკმარი, დამოუკიდებლად ლირებული ენობრივი სტრუქტურის შექმნა და არა ფაქტობრიობისა და ჭეშმარიტების ასპექტი“. არისტოტელეს „პოეტიკაში“ კი ვკითხულობთ: „პოეზიას უპირატესად ზოგადი აქვს მხედველობაში, ისტორიას კი – ცალკეული“ და ა.შ.

დასავლეთ-აღმოსავლეთის დიქოზომიურ პარადიგმას მწერლობა და მეცნიერება ასევე საკუთარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალთახედვით წარმოადგენს. ამ ტევად ცნებას კულტუროლოგიური ცნობიერების წილში გამომუშავებულ პირობით აზრობრივ კონსტრუქციად განიხილავენ, რომელიც მსოფლიო კულტურის პოლარიზებული ერთიანობის დიქოზომიასაც გამოხატავს.

დასავლეთ-აღმოსავლეთის ანტინომიურ სივრცეთა მარკერების დეფინიციის, მენტალური ასპექტების კვლევის, კულტურათა შედარების შედეგად მკვლევრებმა განსაზღვრეს დასავლეთის სამყაროს მახასიათებლები: დემოკრატია (თავისუფლება, თანასწორობა), ასკეზი, მეცნიერული ცოდნა, რაციონალურობა, დინამიზმი, განვითარება, მოდერნიზაცია, ინოვაციურობა, „ლოგოსი“, ინდივიდუალიზმი, პიროვნება, მსოფლიოს აქტიური ტექნიკურ-ტექნოლოგიური გარდაქმნა, კაპიტალიზმი და ა.შ. აღმოსავლურ სივრცეს სხვა მახასიათებლები დაუკავშირდა: დესპოტიზმი, მისტიკა, ინტუიცია, სამყაროში წვდომა, უძრაობა, სტაბილურობა, ტრადიციულობა, რიტუალი, „დაო“, კოლექტივიზმი, მედიტაცია და ნამდვილი ბუნებრივი გარემოთი პარმონიის მიღწევა, უკლასო საზოგადოება და სხვ. ამავე დროს, ეს კონცეპტები ისევე, როგორც მათი მარკერები, ისტორიულად ცვალებადია, მუდმივობით არ ხასიათდება.

ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტებით მითითებულია, რომ „აღმოსავლეთის“, როგორც გეოგრაფიული მთლიანობის, გაგებას თავდაპირველად ძველ ეგვიპტელებთან და ებრაელებთან ვხვდებით. ეგვიპტელები აღმოსავლეთის ქვეყნებს Abt-s უნდებდნენ, ებრაელები კი Kadim-ის სახელწოდების ქვეშ პალესტინის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს მოაზრებდნენ (ლექსიკონი 1892: 285).

დასავლეთ-აღმოსავლეთის დიქტომია ძველმა ბერძნებმა ელინისა და ბარბაროსის დაპირისპირებით შეცვალეს და „anatole“-ს გაგებას ასტრონომიული მნიშვნელობა მიანიჭეს. რომაელები, რომანიზებული დასავლეთის საპირისპიროდ, „აღმოსავლეთში“ ელინური კულტურის ქვეყნებს გულისხმობდნენ და მას ერთ მთლიანობად აღიქვამდნენ. სიტყვა Oriens-მა მიიღო როგორც გეოგრაფიული, ისე აღმოსავლური კულტურის გაგება, თუმცა რომაელების „აღმოსავლეთი“ ხშირად არ ემთხვეოდა „ძველ აღმოსავლეთს“, რომელიც საბერძნეთსაც მოიცავდა. ეს ცნება ჯერ რომის იმპერიის, შემდეგ კი ქრისტიანული ეკლესიის გაყოფის შემდეგ დამკვიდრდა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის საზღვრები მაშინ ელინიზმისა და რომანიზმის საზღვრებს ემთხვეოდა.

ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, დიოკლეტიანეს მიერ რომის იმპერიის ორ ნაწილად დაყოფის შემდეგ Oriens ენოდა აზიურ პროვინციებს, ეგვიპტეს, მიდიას, რაც ერთ პრეფექტურას წარმოადგენდა. შემდეგ საუკუნეებში ევროპელებმა აღმოაჩინეს და უკეთ გაიცნეს აღმოსავლეთის ქვეყნების თვალუწვდენელი სანახები – სიბრძნის, ეგზოტიკისა და საოცრებათა საუფლო. Ex orientem lux, – ამ მაქსიმას ოდენ ასტრონომიული გაგება არა აქვს. თვით გოეთე „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ წერდა: „გაიქეცი, თავი შენი აღმოსავლეთს შეაფარე, სუფთა ჰაერს არ მოგაკლებს ნინაპართა წმინდა მხარე...“ (გოეთე 1972: 165).

საუკუნეზე მეტია, რაც ინგლისელმა მწერალმა რ. კიპლინგმა თავისი „კატეგორიული იმპერატივი“ ამგვარად ჩამოაყალიბა: „დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი კი აღმოსავლეთი და ისინი ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან“. მაქს ვებერი შრომაში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ კაპიტალიზმს „ჩვენი ბედისწერის განმსაზღვრელს“ უწოდებს, ევროპელი

ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას კი პროტესტანტულ რელიგიას უკავშირებს (ე. ჯგერენაია).

XX საუკუნის დასაწყისის „ევროპის კრიზისის“ პარადიგმას ოსვალდ შპენგლერი იკვლევს ნაშრომში „ევროპის დასასრული“ (Der Untergang des Abendlandes) (1912-17), სადაც ავტორი ევროპული კულტურის აღსასრულს წინასწარმეტყველებს. ფრენსის ფუკუიამას დაკვირვებით, ამგვარი პესიმიზმი დასავლურ სამყაროში ადრეც შეინიშნება: ამერიკული და ფრანგული რევოლუციების მაგალითმა ჰეგელს შესაძლებლობა მისცა, ემტკიცებინა, რომ ისტორია დასრულდა, რამდენადაც ისტორიული პროცესის მამოძრავებელი უინი – აღიარებისათვის ბრძოლა – უკვე დაკმაყოფილდა საზოგადოებაში, რომლის დამახასიათებელ ნიშნად თანაზიარი აღიარება იქცა.

ახალ რეალობაში, 1980-იანი წლების ბოლოს, ამერიკელმა პოლიტოლოგებმა ფრენსის ფუკუიამამ და სემუელ ჰანთიგტონმა ახალი თეორიული მოდელები შექმნეს, სადაც თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური პრობლემატიკის, კერძოდ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლარიზებულ სივრცეთა და შესაბამისად, მათი ცივილიზაციების, კვლევის ახლებური მეთოდოლოგია ჩამოაყალიბებს.

ფუკუიამას თეორიის კონცეპტები აისახა 1989 წელს ამერიკულ ურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც აღნიშნულია, რომ XX საუკუნის დასასრული პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზმის უდავო გამარჯვებით აღინიშნა. შესაბამისად, ეს არა მხოლოდ ცივ მმის, არამედ ისტორიის, როგორც ასეთის, დასასრული და უნივერსალური დასავლური დემოკრატიის, როგორც მმართველობის საბოლოო ფორმის, დამკვიდრების დასაწყისია.

ამერიკელი პოლიტოლოგის თეორია განვითარდა მის წიგნში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ (1992), სადაც ავტორი იხსენებს ჰეგელის სოციალურ-ისტორიულ მოძღვრებას, რომლის თანახმად, „ტიმოს“, ანუ „აღიარების სურვილი“ „ლირებულებათა საფუძველია“. ფრ. ფუკუიამას აზრით, რელიგია, მორალი, ნაციონალიზმი, ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი სფერო სულის ტიმოსური ნაწილის პროდუქტია, შედეგი აღიარებისათვის ბრძოლისა.

დასასრულის თეორიაზე მსჯელობს ფილოსოფიური ანთროპოლოგის ერთ-ერთი დამაარსებელი არნოლდ ჰელენი (1904-1976), რომელიც აღიარებს, რომ კაცობრიობამ თავისი შესაძლებლობები ამონურა და არანაირი სერიოზული ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ადამიანი – ბიოლოგიური ცხოველი – „ზიანის მომტანი არსებაა“, რომელსაც, ცხოველისაგან განსხვავებით, თავის გადასარჩენად ინსტინქტების უნარიც არა აქვს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სემუელ ჰანთიგტონი წერილში „ცივილიზაციათა შეჯახება“ (The Clash of Civilization, 1993), რომელიც უურნალ Foreign Affair-ში (“საერთაშორისო ურთიერთობები”) გამოქვეყნდა, მსოფლიო პოლიტიკის ახალი ფაზის დადგომას იუწყება და წერს: „მსოფლიოში, რომელიც ისახება, კონფლიქტების ძირითადი წყარო უკვე არც იდეოლოგია და არც ეკონომიკა არ იქნება. კაცობრიობის გამყოფი უმნიშვნელოვანესი საზღვრები და კონფლიქტების უპირატესი წყაროები კულტურით განისაზღვრება“. მეტიც, პოლიტოლოგი წინასწარმეტყველებს, რომ „ცივილიზაციათა შეჯახება მსოფლიო პოლიტიკის დომინირებადი ფაქტორი გახდება. ცივილიზაციებს შორის ტეხნიკი – სწორედ ესაა მომავალი ფრონტების ხაზი“. ჰანთიგტონის შეფასება პერსპექტივაზე გათვლილი: „მომავალი კონფლიქტი ცივილიზაციებს შორის – თანამედროვე მსოფლიოს გლობალური კონფლიქტების ევოლუციის დამამთავრებელი ფაზაა“ (ჰანთიგტონი 1997: 6).

შესაბამისად, „ცენტრში ექცევა ურთიერთქმედება დასავლეთსა და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის“ (იქვე, გვ. 7). ცივილიზაციას პოლიტოლოგი „უმაღლესი რანგის კულტურულ ერთობას, ადამიანთა კულტურული იდენტურობის ყველაზე ფართო დონეს“ უწოდებს. მისი განმარტებით, ცივილიზაციები გარკვეულ მთლიანობას წარმოადგენს. საზღვრები მათ შორის იშვიათადაა მკაფიო, მაგრამ ისინი რეალურია. კაცობრიობის ისტორიის ძირითადი ნაწილი – ცივილიზაციათა ისტორიაა.

ს. ჰანთიგტონის ისტორიულ-ფილოსოფიური ტრაქტატის იდეა განვითარებულია მისივე წიგნში „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“ (The Clash Civilizations end Remaking of World Order, 1996).

„ცივილიზაციათა შეჯახების“ აღნიშნულ თეორიას კრიტიკოსებიც გამოუჩნდა, რომლებიც შენიშნავენ, რომ კონფლიქტის მიზეზი კულტურული განსხვავება კი არა, არამედ ქვეყანათა ერთი ნაწილის ეკონომიკური ექსპანსია გახლავთ. ამას გარდა, თვით ცივილიზაციები გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ყალიბდება და მათი არსებობა შედარებით-დროებითია. საერთოდ, ამ დაპირისპირებისას მთავარია მზის ქვეშ ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლა და არა მათი კულტურული განსხვავებანი და ა.შ.

დასავლეთი თუ აღმოსავლეთი? პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის ამგვარი დილემა საქართველოს ისტორიის მუდმივი თანამდევი იყო. მეოცე საუკუნის დასაწყისში ის ჩვენში ფართო დისკუსიის საგანი გახდა. 1923 წლის 30 დეკემბრით თარიღდება კონსტანტინე გამსახურდიას ესე „Anno 1923“, სადაც მწერალი ქვეყნისათვის საბედისნერო ისტორიულ გზაჯვარედინზე წინასწარმეტყველურად მედიტირებს: „ინგრევაინ ძველი ციტადელები, ილენება ძველი სამყარო და სამშვიდობოს მხოლოდ ის ერი გააღნევს, რომელსაც მავთულის ნერვები აქვს, პერსპექტივა არწივისა, გონებამახვილობა მაკიაველის“ (გამსახურდია 1983: 452).

ახალ, ურთულეს დროში კონსტანტინე გამსახურდია ქართველ ერს დაფიქრებისაკენ მოუწოდებს, მაგრამ არა შეჩერების, არამედ იმ მიზნით, რომ ვეფხისებური ნახტომი გააკეთოს და წინ წავიდეს. მწერალი ერის შინაგანი გარდატეხის, მორალური გარდაქმნის აუცილებლობაზეც მიუთითებს, რადგან, მისი აზრით, მათ, ვისაც ახლო ნარსულმი ქართველობის სადავეები ხელთ ეპყრათ, ქვეყნის სწორი ორიენტირება ვერ მოახერხეს. კ. გამსახურდია ოპტიმისტური განწყობით განსჯის: „დასავლეთის დიდი ცივილიზაციისა და კულტურის ცეცხლოვანი ეტლი უახლოვდება ჩვენი სამშობლოს საზღვრებს“ (გამსახურდია 1983: 454). შესაბამისად, მისი, აზრით, საპასუხისმგებლოა შემოქმედთა მისია: „ჩვენი ლოზუნგია ოკციდენტ! (დასავლეთი (ლათ.). – მ. კ.) განახლება უნდა ქართულ შემოქმედებას. დაფიქრება მართებს ქართველობას, მორალური გარდატება ჩვენს ეროვნულ პიროვნებას“ (იქვე).

„ჩვენს ლიტერატურაში ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ ევროპულ ლიტერატურას, რაც დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს“ (აბაშიძე 1971: 617), – წერდა 1894 წელს კიტა აბაშიძე და ქართული

მწერლობის ძირითად ტენდენციებს ევროპული ლიტერატურის არეალში ხედავდა.

XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიოში მიმდინარე პროცესების საფუძვლიანმა ანალიზმა და ევროპულმა გამოცდილებამ გერონტი ქიქოძეს საქართველოს დასავლურ ნიადაგზე აღორძინების იდეა შთააგონა. ლრმად განსწავლული მოაზროვნე ხედავდა, რომ ახალი საუკუნის დასაწყისში ტექნიკის შემწეობით წაიშალა ძველი გეოგრაფიული თუ ტოპოგრაფიული საზღვრები, საერთაშორისო ურთიერთობანი უფრო მჭიდრო და წესიერი გახდა, გამანათებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერგია კი კაცობრიობას დასავლეთ ევროპიდან ეძლეოდა. შესაბამისად, ქიქოძის აზრით, საჭიროა, ფართოდ გაიღოს დასავლეთის კარები, რათა საქართველოშიც შემოვიდეს და დამკავდრდეს ევროპული იდეები: „დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემცნობი და მოქმედი ერისათვის, უამისოდ მის კერას გაციება და მის სხეულს გაყინვა მოელის“ (ქიქოძე 2003: 225). სწავლული იმედოვნებს, რომ „ასეთ პირობებში ქართველი ერიც თავს დაახწევს ვიწრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა“ („დასავლეთის კარები“).

1920-იანი წლების ევროპის პოლიტიკურმა თუ სულიერმა კრიზისმა ვახტანგ კოტეტიშვილი პესიმისტურ დასკვნამდე მიიყვანა: „გაევროპიელებამ პსიხოზის ხასიათი მიიღო. ევროპამ შეგვშალა და ალბათ წაგვშლის კიდეც“ („უკან, აზიისაკენ!“) (კოტეტიშვილი 2016: 162). მკვლევრის შეფასებით, „ქართული ხელოვნება“ მკვდარ წერტილს ვერ გადასცდენია, რადგან „ძველი მტკიცე გზები დავკარგეთ. ახალი საფუძველი ფხვიერია“. ამავე დროს, ამ სიტყვების ავტორს არ ავიწყდება, რომ მისი დროის „ზანტი“ აღმოსავლეთი „თვლემას შეუპყრია“, თუმცა ქართული ხელოვნების (და არა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის) დილას იგი კვლავ აზიაში ელის.

დასავლეთ-აღმოსავლეთის პარადიგმატიკის მხატვრული კვლევა და, შესაბამისად, საქართველოს ადგილის განსაზღვრა მსოფლიო პროცესებში გრიგოლ რობაქიძის მუდმივი ინტერესის საგანი გახლდათ. ადრეულ შემოქმედებაში რობაქიძის სიმპათია ამომავალი მზის საუფლოსაკენ იხრებოდა. მისი რომანტიკული აღფრთოვანება არაერთ სტრიქონს აღუბეჭდავს: „დიადია აღმოსავ-

ლეთი: მწვავი და ნელი მისი ცხელი შუადღე, როცა მზის ნადიმზე ოქროს ნაკადულებში ლურჯთვალა ქალწული იბადება; ღრმა და მყუდროა მისი შუალამე, როცა ცის ლურჯ ფსკერზე უძირო საიდუმლონი ბრილიანტობები“. საქართველო „საიდუმლო უდელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.. ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს“, – კულტურათა სინთეზის გზას ირჩევდა ქართველი მწერალი 1920-იან წლებში (იხ. მისი „ქართველ მწერლებს“. – ჟ. „ლეილა“, 1917, №1), დ. კიზირიას შენიშვნით, „გველის პერანგში“, სადაც ურთიერთგამომრიცხველი ძალების კეთილად შერწყმის იდეაა განვითარებული, „არჩიბალდი მიიმართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს მოძრაობა რომანში გააზრებულია, როგორც აპოლონიურიდან დიონისურში გადასვლა“ (კიზირია 1988: გვ. 14-15).

მოგვიანებით, გერმანიაში ყოფნისას, ამ ანტინომიურ სივრცე-თა მახსასიათებლების კვლევას გრიგოლ რობაქიძემ უძღვნა ესე „სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“, რომელიც შეტანილია მის კრებულში „დემონი და მითონი“ (იენა, 1935). თხზულებაში ორიგინალურადაა განხილული ამ ორი სამყაროს ონტოლოგიური პრობლემატიკა, დრო-სივრცული თუ ექსისტენციალური მარკერები, მათი ბუნებრივი გარემოს, სასიცოცხლო არეალის, მსოფლებვის, განცდათა, რელიგიურ წარმოდგენათა განსხვავებული ასპექტები, ტექნიკასთან, ცივილიზაციასთან დამოკიდებულების სხვადასხვაობანი.

ესეში ამ სამყაროთა პაეზაჟის კონტურებიც გაანმსაზღვრელი ღირებულებისაა. აღმოსავლური ლანდშაფტის სიმშვიდე და უძრაობა ირგვლივ ყოველივეს ეუფლება: საგნები თუ არსებები აქ საკუთარ თავში მშვიდად ჩაძირულიან, „თითქოს კვლავ მარად სუნთქვას შეისუნთქავენ პირველქმნილნი“. ეს, რობაქიძის აზრით, „გენეზისის სუნთქვაა, ყოველივეს რომ მსჭვალავს, მინის ბელტებსაც კი. აქ დრო ჩერდება, ანმყო მიმქრალია, არის მხოლოდ წარსული, რომელიც ზმანებებში ცხადდება. ირგვლივ ასტრალური ლანდები გალურსულან, დედამიწა კი კოსმიური ყოფიერებაა, რომელშიც მითის სუნთქვა აღმოცენდება“ (რობაქიძე 2012: 42). ამ ფონზე ადამიანი პატარაა, ერთი ციდა. „დრო აქ არ მიედინება, ის, სივრცეში ამაღლებული, გაქვავებულია – და წამი თავის თავში მარადისობას

ინახავს, როგორც ხმაურს დიდი ხნის წინათ უკუქცეული ოკეანის ტალღებისას“.

განსხვავებულია დასავლეთის ბუნებრივი გარემო: მშვენიერი, საუცხოო ლანდშაფტები ადამიანთან უფრო ახლოა, თუმცა მათში გენეზისის სუნთქვა ოდნავ იგრძნობა. დედამინა აქ მხოლოდ ნიადაგია, რომელსაც ამუშავებენ და უვლიან. დასავლეთში არაფერია ხელუხლებელი: არც ტოტემი, არც ტაბუ. არადა, რობაქიძის რწმენით, „ტერიტორიის რომელიმე ნანილი დაუმუშავებელი უნდა დარჩეს, რათა დედამინამ თავისი კოსმიური სუნთქვა არ დაკარგოს“. სწორედ ამიტომ, „მშვენიერ და მყარად დასრულებულ დასავლურ ლანდშაფტებს მხოლოდ ესთეტიკური ხიბლი აქვთ“. აქ ყველაფერი სიმძიმეში იშლება: „ჩანს ძლიერი გაქანება, მაგრამ არ იგრძნობა, თუნდაც პაუზებში, სიჩქმე“. ამ სივრცეში დროის შეგრძნებაც განსაკუთრებულია: „წამი აქ არ არის ჩასუნთქვა, რომელშიაც მარადიულობის კეთილსურნელება შეიწოვება, ის უბრალოდ წელთაღრიცხვის მონაკვეთია, თითქმის საათის მიხედვით გაზომილი, მას არა აქვს ხანგრძლივობა“ (იქვე).

გრიგოლ რობაქიძე ორიგინალურად ახასიათებს ყოფიერების აღმოსავლურ ფენომენს: აქ თაურმცენარე (პირველმცენარე) უფრო ხაზგასმულია, ვიდრე მცენარე. „აღმოსავლეთი თავის თვითონ-ს (მე-ს, selbst) თაურსაწყისში შლის, ყოველი საწყისი მისთვის თაურსაწყისია. დასავლეთი პიროვნულ მონადებად ვითარდება და დასაწყისი მისთვის თითქმის მუდამ ერთჯერად ახალ საწყისს ნიშნავს“ (რობაქიძე 2012: 44). აღმოსავლეთი თაურსაწყისში სუნთქავს, სადაც ყველა ნივთი ერთეულია (ცალკეულია). დასავლეთში ყოველ ნივთს თავისი ზოგადად აუცილებელი, საკუთარი სინამდვილე აქვს. ამიტომ დასავლეთის ადამიანს საგნები ნათელ და მტკიცე მონახაზებში ესახება, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის მკვიდრნი მათ მცრთალად და ბუნდოვნად აღიქვამენ. რობაქიძე თვლის, რომ აღმოსავლეთში შეუძლებელია გოთური კათედრალების შექმნა. დასავლეთს კი, პირიქით, საზღვრის გრძნობა აქვს.

რაც შეეხება რელიგიას, გრიგოლ რობაქიძე ფიქრობს, რომ აღმოსავლეთის ადამიანი ღმერთს დახუჭული თვალებით ხედავს, დასავლეთისა – გახელილით და, ამავე დროს, ის თითქის ცდილობს, ხელით შეეხოს მას.

არანაკლებ საინტერესოა რობაქიძისეული გააზრება კონცეპტისა: როგორ დაიძლევა ამ განსხვავებულ სამყაროებში თაურშიში (პირველშიში, შემი სიკვდილისა). რობაქიძის ხედვით, აღსასრულის უამს აღმოსავლეთში ადამიანი „მე“-საგან თავისუფლდება, ის მას გაქრობის წებას აძლევს, რათა ყოველი სასიკვდილო საზღვარი გადალახოს. ამავე სიტუაციაში „ადამიანი დასავლეთში თავის საკუთარ „მე“-ს კი არ ამდაბლებს, პირიქით, ის მას გარემომცველ სამყაროში აფართოვებს“. მისი „მე“ ამის შედეგად უფრო ნათელი და ნაკლებად მტკიცნეული ხდება.

განსხვავებათა მიუხედავად, გრიგოლ რობაქიძე ესეში კიპლინგის საპირისპიროდ დაასკვნის: „დასავლეთი და აღმოსავლეთი – ორი სამყარო, ან, უფრო სწორად, ყოფიერების ორი სახეა. რაც ერთს აკლია, ის მეორეს აქვს“ (რობაქიძე 2012: 55). ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ, პირიქით, კოსმოურად მონესრიგებულნი, ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. მწერლის აზრით, თაურსაწყისის სუნთქვა აღმოსავლეთიდან მოდის, დასავლეთი კი ამ სუნთქვას ფორმას აძლევს. შესაბამისად, ეს ორი სამყარო ერთმანეთს ანაყოფიერებს.

ამ მოსაზრებას გრ. რობაქიძე ტექნიკის პრობლემის გააზრებით ნათელყოფს: „ტექნიკა დასავლეთს ეკუთვნის. ის მისი ჯადოსნური ძალაა, რომელიც – არასწორად გამოყენებული – შეიძლება უბედურებად იქცეს“. მისი საშუალებით შეუძლებელიც მიიღწევა, მაგრამ „საგნის საბოლოო, ე.ი. მისტიკური შეხება, მისი მეშვეობით, შესაძლოა, ვერ ანაზღაურდეს“. რობაქიძე აქაც სინთეზის გზას არჩევს: დასავლეთის ადამიანი, განსაკუთრებით, ტექნიკის წყალბით, მისთვის დამლუპველი Hybris-ის (ამპარტგავნების) საფრთხეში ვარდება, თუმცა ამ საფრთხეს მაინც არ ემორჩილება, რადგან მისგან სწორედ თაურსაწყისის აღმოსავლური ძალები იცავენ.

გრიგოლ რობაქიძე მსოფლიოს ხალხთა, განსაკუთრებით, ევროპელთა, დამახასიათებელ არსებით თვისებებზე სხვა თხზულებებშიც მსჯელობს. საგულისხმოა 1947 წლით დათარიღებული გერმანულენოვანი ესეს „ჩემი განმარტება“, სადაც ქართველი მწერალი სიღრმისეულად იკვლევს გერმანელი ერის შინაგანი აპრისის შტრიხებს.

ამავე ესეში ჰიტლერის პიროვნებიდან მომდინარე საფრთხე-ების გააზრებისას გამოყოფილია გერმანულობის რამდენიმე სახი-ფათო მარკერი, რომელთაგან პირველი ბედისწერასთან დამკი-დებულებას ეხება: მწერლის თქმით, ბერძნების, ისევე, როგორც ძველი გერმანებისათვის თავად სინამდვილე წარმოადგენს ბედის-წერას.... გერმანულებს კი ის ტვირთივით აწევთ. ამსთან, „აქ, გერ-მანულ ქვეყნებში, ქრისტიანობამ ვერ შეძლო, საკუთარ თავში შე-მოქმედებითად გაეთავისებინა წარმართული... გერმანულში კვლა-ვაც წარმართი ცხოვრობს, თუმცა ისეთი, რომელიც, ამ წარმოდ-გენით, მისტერიებში იკარგება“ (რობაქიძე 2012ა: 13).

მწერლის გაგებით, გერმანულის სიცოცხლის შეგრძნებაში ბა-ტონობს ბედისწერის სიყვარული: *Amor fati*. ამ თეზას გრიგოლ რობაქიძე ასე განმარტავს: ევროპის ხალხები ბედისწერას იღებენ, ვითარცა „გარედან იძულებას“, გერმანული კი იღებს მას, როგორც „შინაგან აუცილებლობას“ და არ ეშინია, უკანასკნელ ამოსუნთქ-ვამდე ატაროს იგი. დიახ, ის სწორედ ამით თვრება“ (რობაქიძე 2012ა: 14).

განმაზოგადებელია გრიგოლ რობაქიძის სხვა დაკვირვებები: „ცხოვრებაში მორჩილების“ ნაცვლად გერმანულმა მხოლოდ ცხოვ-რებისადმი გაძედულება უწყის, ზოგჯერ კი ეს გაძედულება ზე-გამდედაობაში გადადის. ამის გამოხატულება მწერლისათვის გერ-მანული მუსიკაა. მისთვის გამძვინვარებული გერმანული „Furror teutonicus“-ის („ტევტონური შიში“) განსახიერებაა, იგი „ყველაფერს მეტაფიზიკურის კიდეზე განიცდის“ და ა. შ.

დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართების ასპექტების მხატვრუ-ლი კვლევა და გააზრება 1920-1930-იანი წლების ქართული მწერ-ლობის მარკერია. ამ პერიოდის პოეტური, პროზაული თუ პუბლი-ცისტურ-ესეისტური ტექსტების ანალიზი იმ კულტურულ-მენ-ტალურ ატმოსფეროს პლასტებს გადმოსცემს, რომლებიც საქარ-თველოში ახალ ლირებულებათა დამკვიდრებას განაპირობებდა.

## დამოცვებანი:

**აბაშიძე 1971:** აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.

**გამსახურდია 1983:** გამსახურდია კ. თხზულებანი, ტ. 7. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

**გოეთ 1972:** გოეთი ი. ვ. რჩეული ლირიკა (გერმანული ენიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ა. გელოვანმა). თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1972.

**რობაქიძე 2012a:** რობაქიძე გრ. *Pro domo sua* (გერმანულიდან თრგმნა მ. კვატაიამ). თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.

**რობაქიძე 2012b:** რობაქიძე გრ. დემონი და მითოსი (გერმანულიდან თარგმნა მ. კვატაიამ). თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.

**ლექსიკონი 1892:** ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ.VII (გამომცემლები: ფ. ა. ბროკ-პაუზი და ნ. ა. ეფრონი). სანკტ-პეტერბურგი: 1892 (რუსულ ენაზე).

**კიზირია 1988:** კიზირია დ. „გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის კონტექსტში“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წლის 29 იანვარი.

**ჰანთინგტონი 1997:** ჰანთინგტონი ს. ციფილიზაციათა შეჯახება. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია. პლურალიზმის ცენტრი, 1997.

# საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა – 100

## კიტა აბაშიძე

ლალი ავალიანი

### კიტა აბაშიძის ცხოვრება და ღვაწლი\*

აგი (გიორგი) აბაშიძის ნათელ ხსოვნას

კიტა აბაშიძის ფენომენი ქართულ სინამდვილეში თითქოს მისი სათაყვანებელი ილიას თარგზეა მოჭრილი: იყო მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, მწერალი (ლიტერატურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი, ესთეტიკის თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, დაუნდობელი პოლემისტი, უურნალისტი ...), სოციალისტ -ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი; წარმოშობით თავადს, მშრომელი ხალხისა და საქართველოს წყლული აჩნდა წყლულად, ბოლომდე ერთგულებდა ეროვნული თვითმყოფობის ილიასეულ მიზანს.

წარჩინებულ და წიგნიერ ოჯახში აღზრდილს, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრებამ ბევრი ვერაფერი შესძინა: ქართველობის აბუჩად აგდება ძნელი ასატანი იყო მისთვის; მაგრამ მთელი გულით დაეწაფა სწავლასა და თვითგანვითარებას. 4 წლის ასაკში მამით დაობლებულ კიტას მფარველობდნენ და ნივთიერადაც ეხმარებოდნენ ნათესავები. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, დეიდაშვილის ეკატერინე თავდგირიძისა და მისი მეუღლის, ცნობილი მეცნიერის ვასილ პეტრიაშვილის შემწეობით, მათთან ერთად გაემგზავრა პარიზში.

\* 2018 წლის 30 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის საიბილეო ღონისძიებათა ფარგლებში ჩატარდა კიტა აბაშიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. „კრიტიკა“ გთავაზობთ სესიაზე წარმოდგენილ მასალებს.

1889-90 წლებში მან ათი თვე დაჲყო პარიზში: დახვეწა გიმნაზიაში ნასწავლი ფრანგული, სორბონაში ისმენდა ფილოსოფიის, ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ლექციებს; მისი სულის დღესასწაული იყო ლუვრსა და სხვა უმდიდრეს მუზეუმებში დაცულ მსოფლიოს საგანძურთან მიახლება. და, რაც უმთავრესია, მან სამარადუამოდ შეისისხლხორცა დასავლური ცივილიზაციის მადლი; ხანმოკლე და ინტენსიური მოღვაწეობის მანძილზე უდიდესი ამაგი დასდო მშობლიური კულტურის ევროპეიზაციის პროცესს.

მოგვიანებით იგი წერდა: „თუ პარიზში ვიყავი, იმან შემინარჩუნა ადამიანობა... თუ მართლაც არის ღმერთთან დაახლოება, ექსტაზი, – ეს სწორედ იმ დროს არის, როცა დიდებულ შემოქმედებას უყურებ და სტკებები. ... ეს მთელი სიმფონიაა გრძნობათა, სრული პარმონია სულისა და აზრისა“...

დედის, 25 წლის ასაკში დაქვრივებული სოფიო გურიელის მიერ გაყიდული საოჯახო ძვირფასეულობისა და კვლავ ეკატერინესა და ვასილ პეტრიაშვილის წყალობით, 1890-95 წლებში იგი ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა; სტუდენტობის წლებშივე, 1893 წლიდან ქართულ პრესას აწვდიდა თარგმანებს ფრანგულიდან და წერილებს ფრანგული ლიტერატურის შესახებ.

რომ შევადარე პარიზი  
ამ ჩემ სამშობლო მხარესა,  
კინაღამ გული გამისქდა...  
ფიქრებს მივეცი მწარესა

– დაწერს აკაკი უკვე XX საუკუნეში, 1909 წელს, – კიტა აბაშიძის პარიზის აპოლოგიდან 20 წლის თავზე.

„საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი“ (ეს როგორც აკაკის, ისე კიტა აბაშიძის მიმართ უდიდესი პიეტეტით აღვსილი პაოლო იაშვილის სიტყვებია მისი ეპატაჟური „პირველთქმიდან“, 1916 წ.).

ოდესის „ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტის „ქართველ სტუდენტს კიდევ უფრო გაუმძაფრდა სამშობლოს სიყვა-

რული: „ჩვენ დაგბადებულვართ, ალვზრდილვართ საქართველოში, და მხოლოდ მანდ გვაქვს მოქმედების ასპარეზი... ყოველი ჩვენგანი უნდა ეცადოს, მას მოუტანოს სარგებლობა რაიმე ნაირად“ (კერძო წერილიდან, 1893 წ.).

სწორედ ამგვარი განწყობით დაბრუნდა საქართველოში კიტა აბაშიძე, თუმცა დიდი იმედგაცრუება ელოდა: უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულისათვის შესაფერისი ასპარეზი რუსი ჩლუნგი ჩინოვნიკებით გაძეგილ ბიუროკრატიულ სამსახურებში არ აღმოჩნდა; კიტას ქვრივ დედასა და დებზე უნდა ეზრუნა, ლიტერატურული მოღვაწეობა კი ცხოვრების სახსარს ვერ მოუპოვებდა. ერთხანს რაჭაში, მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა, შემდეგ თბილისის „Контрольная палата“ -ში, სხვადასხვა დროს იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარე, შემდეგ მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აქტიურად იღვნოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, თითქმის ყველა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში, ხელმოკლეობას თავს მაინც ვერ აღწევდა.

„დაუღალავი მუშა, იგი თავის თავზე იმდენს არ ფიქრობდა, რამდენად საზოგადო საქმეზე, თავის დაზოგვა მუშაობაში მისთვის გაუგებარი რამ იყო, სრულიად არ ეგუებოდა მის ბუნებას“ (დავით კლდიაშვილი).

მძიმეზე მძიმე იყო ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და ფედერალისტთა უშიშარი ლიდერის ჭაპანი რუსეთის იმპერიის მიერ დამონებულ, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაყოფილ საქართველოში.

\* \* \*

როგორც ჩვენი „ვერცხლის ხანის“ – XIX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, კიტა აბაშიძე საყოველ-თაოდ აღიარებულია პიონერად. მისი „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (პირველად გამოიცა ქუთაისში ორ ტომად, 1911-12 წლებში) მიჩნეულია ფუნდამენტურ ნაშრომად, XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების პირველ წარმატებულ მცდელობად, უშრეტ წყაროდ და გეზის განმსაზღვრელად ყველა დროის მკვლევართათვის. უეჭვე-

ლია, რომ ავტორს თავადვე ჰქონდა გაცნობიერებული მნიშვნელობა „ეტიუდებისა“, რომელიც, მისი თქმით წარმოადგენდა „ერთადერთ სისტემატურ შრომას ( რა ღირსებისაც არ უნდა იყოს იგი ) XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ ქართულ ენაზე, სადაც ავტორი ცდილობდა ეს დიადი მოვლენა ჩვენი ერის აზრის და გონების სამეუფოისა თვალწინ გადაეშალა მკითხველი საზოგადოებისათვის“ (1911 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან ).

აქვე შევნიშნავ, რომ „ეტიუდების“ მეორე გამოცემა, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, არც მეტი და არც ნაკლები, ნახევარი საუკუნის (!) დაგვიანებით, 1962 წელს განხორციელდა; თუ რატომ და რისთვის, ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

კონსტანტინე გამსახურდიას მართებული მოსაზრებით, „მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ჩვენს მწერლობაში თავი ისახელეს ათ-თორმეტზე მეტმა კრიტიკოსმა, მაგრამ ორი თაობის კრიტიკოსებმა ძვრა ვერ უქნეს კიტა აპაშიძის მიერ დადგენილ სამანებს ქართული მწერლობისა“.

\* \* \*

1895-96 წლებიდან იღებს სათავეს მისი ნაყოფიერი კრიტიკული მოღვაწეობა, თანამედროვე ლიტერატურის კვლევა-შეფასება, წლიური ლიტერატურული მიმოხილვები. 1897 წლიდან კიტა, ილიას მიწვევით „ივერიის“ უახლოესი და თავდაუზოგავი თანამშრომელი ხდება; ორმაგი მუშაობა უწევს, დღისით სახელმწიფო სამსახურშია, საღამოობით, – რედაქციაში.

განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს ახალგაზრდა მწერლების მიმართ, თუმცა მკაცრად საყვედურობს მათ პესიმიზმისა და „საზოგადო საქმეში ინდიფერენტიზმის“ გამო; მისაპაპ ნიშან-სვეტად იღიას, აკაკის და ზოგადად სამოციანელთა შემოქმედებასა და მოღვაწეობას უსახავს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თვით კიტა აპაშიძე ამ დროისათვის 25-26 წლის ყმაწვილკაცია. გასაოცარია მისი ერუდიცია, ღრმა აზროვნება, ხატოვანი და ემოციური სტილი. ე. წ. ლიტერატურული შეგირდობის პერიოდი მას, ფაქტობრივად, არ ჰქონია. იღიას „ივერიაც“ ხომ დიდი სკოლაა მისთვის. როგორც ყოველი კრიტიკოსი, კიტაც „ზომიერად“ სუბიექტურია, განსაკუთრებით, XX საუკუნის დასაწყისის ახალგაზრდა

მწერლებთან მიმართებით: ზოგჯერ ზედმეტად ლმობიერია, იშვიათად – მკაცრი.

თანდათანობით მძაფრდება მისი განუხრელი ევროპული გეზი:

„ის ერნი, რომელნიც ძალიან შორს ჩამორჩნენ ევროპას, მხოლოდ ერთს უნდა ცდილობდნენ: რაც შეიძლება მალე მიაღწიონ ევროპის ერთა კულტურამდე“.

ზოგჯერ კიტა აბაშიძესაც უმტყუნებს ალლო, დეკანოზიშვილისა და ზურაბიშვილის მცირე პროზას საგანგებო განსჯის საგნად მიიჩნევს და დადებითად აფასებს; ამისათვის მას მკაცრად გააკრიტიკებენ დუტუ მეგრელი („ივერიაში“) და დავით კლდიაშვილი (არა საჯაროდ, არამედ კერძო წერილში პეტრე უმიკაშვილისადმი).

კრიტიკოსი თავის პოზიციას არ თმობს: „მე თუ დეკანოზიშვილისა და ზურაბიშვილის შესახებ „მთელს ტირადებსა“ ვწერ... იმიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ახალი მიმართულების ხელოვნურ თხზულებებსა სწერენ, ისეთი მიმართულებისას, რომელიც ევროპულ ლიტერატურაშია დამკვიდრებული და საუკეთესოდ მიჩნეული“.

ახალგაზრდა მწერლებისთვის უდიდესი სტიმულია კიტა აბაშიძის ყურადღება: მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, მოგვიანებით, ცისფერყანწელები, – მისი თვალთახედვის არეში მოხვდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ კიტა აბაშიძეს „გამორჩა“ გალაკტიონი, რამაც ამ უკანასკნელის რისხვა გამოიწვია: გამოუქვეყნებელ წერილში „ჯ. ჯორჯიკია, თხზულებანი, 1911-1914 წწ. „ნარგიზის“ გამოცემა, ქუთაისი“ (ხელნაწერი დათარიღებულია 1915 წლით), გალაკტიონი მკაცრად აკრიტიკებს ჯაჯუ ჯორჯიკიას და „თხზულებათა“ წინასიტყვაობის ავტორს – კიტა აბაშიძეს:

„როდესაც კიტა აბაშიძე მიმტკიცებს, „ჯ. ჯორჯიკია უფრო უაილდის ტიპის მწერლობის განმახორციელებელია ჩვენშიო“ (ჰმ!), მე ვამტკიცებ, რომ ჯ. ჯორჯიკია, სრულიად უბრალო, ჯერჯერობით უსახო და მართლაც ყოველგვარ პრეტენზიას მოკლებული მწერალია. ... კურიოზი, სკანდალი!“ გავითვალისწინოთ, რომ გალაკტიონს ამ დროისათვის უკვე გამოცემული აქვს პირველი წიგნი (1914) და მისი გულისტკივილი უფრო გასაგები გახდება!

\* \* \*

1916 წლის 28 თებერვალს პაოლო იაშვილმა უურნალი „ცისფერი ყანები“ გამოსცა. „გავიგეთ იმ აურზაურის შესახებ, რაც უურნალმა გამოიწვია ქუთაისის საზოგადოებაში. ... ამბობდნენ უურნალის მონანილეთა რაღაც სკანდალურ გამოსვლებზე, მათ ბოჰემურ განწყობილებებზე. პოეზიის ასპარეზზე გამოსულ პოეტებს უფრო კაფეების ცხოვრებას უკავშირებდნენ“ (შალვა აფხაძე).

ცისფერყანელთა ერთ-ერთ ამგვარ „სკანდალურ გამოსვლად“ თვლიდნენ 1916 წლის 9 მარტს კაფე-საჩაიეში გამართულ პოეზიის საღამოს. ეს იყო ცისფერყანელთა პირველი საჯარო გამოსვლა, პირველი უშუალო შეხვედრა მკითხველთან.

პოეზიის საღამოს ქუთაისისა და თბილისის პრესის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ორგანო გამოეხმაურა.

იმ დღეს ცისფერყანელებს ერთადერთი დამცველი ჰყავდათ, გავლენიანი და ღვაწლმოსილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. დავით კლდიაშვილის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზედ“ – ვკითხულობთ: „კიტა მეტად ლამაზი იყო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელით მან მიმართა მრავლათ შეკრებილ საზოგადოებას კაფე „სამოთხეში“, როცა პირველად აქ გამოვიდნენ დემონსტრაციით ახალგაზრდა პოეტები – „ცისფერი ყანები“. ბევრს არ მოეწონა ახალგაზრდობის მედიდური დეკლარაცია, ლექსები მათ მიერ წაკითხული, მათი განმარტება თავიანთ ზრახვათა, შეიქმნა კამათი, შემდეგ ცხარე დაობა და ბოლოს თავშეუკავებელი მიმართვა ზოგიერთი დამსწრეთაგან. და ამ აღელვებულ საზოგადოებაში საოცარი ლამაზი იყო კიტა მის მიერ წარტვამი სიტყვით, მის მიერ სიმპატიის გამოსახვით ახალ ძალებისადმი, მისი იმედიანობით და ნდობით ამ ახალ ძალებისადმი. მან დაამშვიდა აღელვებული შეკრებილობა და საყურადღებოდ გახადა ამ ახალგაზრდათა მისწრაფება და სურვილი“.

კიტა აბაშიძეს უთქვამს: ჩვენს ლიტერატურაში ახალი მიმართულება გაჩნდა, რომელსაც საზოგადოების უმრავლესობა გულისწყრომით შეხვდა, მაგრამ ასეთია ყოველი ჭეშმარიტად ახალი მიმართულების ბედი: ილიასა და აკაკის საბიელზე გამოსვლასაც

ხომ ასევე შეხვდა მაშინდელი საზოგადოებამ (გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916), მომავალი ცისფერყანწელებისაა, რადგან ძველი მიმართულება მარცხდება ხოლმე და ახალი იმარჯვებსო (გაზ. „სამშობლო“, 1916).

თქმა არ უნდა, რომ ცისფერყანწელთა თუნდაც ლიტონი სიტყვით აღიარება ისეთი პიროვნების მიერ, როგორიცაა კიტა აბაშიძე, თავისთავად ლირსსაცნობი ფაქტი იყო.

მოგვიანებით კიტა აბაშიძე გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ წერდა: „დაუძინებელი ჩემი მტრები ყვირიან : კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ მფარველობს და სხვ.

...კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ არ მფარველობს იმიტომ, რომ არ იცის, სად არიან ჩვენში ფუტურისტები, ამ აზრის ევროპული მნიშვნელობით. თუ „ცისფერ ყანწების“ მწერლებზე ბრძანებთ, ისინი თავისთავს სიმბოლისტებად თვლიან და არა „ფუტურისტებად“.

...ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, მიმაჩნია ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკველად.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მომწონდეს „ცისფერ ყანწებში!“ – არა, არ მომწონს...

...ჩემი მფარველობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებას ვთხოვე იმ საბედისწერო საღამოზე: „ნუ ავიგდებთ ამ მწერლებს აპუჩად, რომელთაც „ცისფერ ყანწებში“ მიუღიათ მონაწილეობა და რომელთაგან ზოგიერთს უკვე საპატიო სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენში-მეთქი. ძველი და ახალი ყოველთვის იბრძვის. ახალი ძნელი შესათვისებელია, მაგრამ ცხოვრება კი მაინც ითვისებს მას; მხოლოდ ყველაფერი კი არ უნდა მოვიწონოთ ახალში, მოვიწონოთ ის, რაც მოსაწონია და დასაგმობი დავგმოთ-თქმა“ („გონს მოდით!“).

დამსწრე საზოგადოების უმეტესობისათვის მიუღებელი ყოფილა კიტა აბაშიძის გამოსვლა, თუმცა აშეარა გულისწყომის გამოხატვას მოერიდნენ. სამაგიეროდ, ცისფერყანწელ პოეტებს ობსტრუქცია მოუწყვეს.

ბოლოს პაოლოს სიტყვა წარმოუთვამს, რითაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმწვავებია: „საზოგადოების აზრს ანგარიშს არ

ვუწევთ, თავი მოგვწონს კიდეც, რომ ჩვენი არა გესმით რაო!“. ამის შემდეგ კინალამ ხელჩართული ჩხუბი გამართულა, „ისევ კიტამ დაიხსნა ჩვენი „ფუტურისტები“ გატყეპისგანო“, – წერდა „სამშობლო“, 1916 წ.).

ტიციან ტაბიძე წერილში „ცისფერი ყანწებით“, გრიგოლ რობაქიძის გარდა არჩილ ჯორჯაძისა და კიტა აბაშიძის ავტორიტეტს იშველიებდა: „პირველ სიმბოლისტ პოეტებს უთხრეს თავისი დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემო“.

კიტა აბაშიძის მიმართ მრავალგზის გამოხატა პიეტეტი გრიგოლ რობაქიძემაც: „ახალგაზრდა პოეტები მოვიდნენ ჩემთან, როგორც უფროს ძმასთან – და მათი უურნალის პირველი ნომრი-სათვის სიხარულით გადავეცი ჩემი საყვარელი ლექსი „სირენას სიმღერა“ („ქართული მოდერნიზმი“). მართლაც, „ცისფერი ყანწების“ | ნომერში დაიბეჭდა „სირენას სიმღერა“ ავტორისეული მიძღვნით: „თავად კიტა აბაშიძეს“.

ზემოხსენებულ სტატიაში „გონს მოდით!“ კიტა აბაშიძე შენიშნავდა, რომ „ცისფერი ყანწების“ ზოგიერთი „ანტიესთეტიური მოვლენა“ და „მშვენიერების რლვევა“ მისთვის მიუღებელი იყო. განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა იმ მწერლებს, რომელთა უმრავლესობა მალევე გაემიჯნა ცისფერყანწელებს:

„განა შემიძლია თანაგრძნობით არ მოვეკიდო იმ მწერალთა ჯგუფს, რომელთა შორის არიან: გრიშაშვილი, რობაქიძე, ნიკოლოზთქიფანიძე, ჭუმბაძე, ტაბიძე (ცხადია, გალაკტიონი იგულისხმება – ლ.ა.) და სხვ. და როდის იყო, რომ მათ თანაგრძნობით არ ვეკიდებოდი“.

კიტა დეკადანისის აპოლოგეტი არასდროს ყოფილა, მაგრამ ფრანგული ლიტერატურის ჩინებულ მცოდნეს, სიახლის მაძიებელი ახალგაზრდა პოეტებისადმი სიმპათიას უმყარებდა მათი სწრაფვა ფრანგი სიმბოლისტების ნოვაციათა შემოქმედებითი ათვისებისაკენ. იგი, „დაუღალავი მუშა“ (დავით კლდიაშვილი), ცისფერყანწელთაგან განსხვავებით, შორს იყო ბოპემური ცხოვრებისაგან; თუმცა, ძველი ლიტერატურული ბოპემის ყველაზე თვალსაჩინო პოეტები მისი უახლოესი ნათესავები იყენები: მამია გურიელი – დედის ძმა, ხოლო გრიშა აბაშიძე- ღვიძლი ბიძაშვილი.

შემოქმედის თითქოსდა დაკანონებული ხატი, ილია – საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი სულიერი საჭეომპყრობელი, აკაკი – ნებიერი ოლიმპიელი და „ბედნიერი ტანჯული“, – სწორედ ამ ორმა, მოუწყობელი ცხოვრებით და ცხოვრების ტრაგიკული დასასრულით გამორჩეულმა პოეტმა შეცვალა; თუ მათ ფრანგი ე.წ. „დაწყევლილი“ პოეტების ეპითეტს მივუსადაგებთ, – ეგეც სწორი იქნება. ცისფერყავანებები დიდად აფასებდნენ მამია გურიელსაც და გრიშა აბაშიძესაც.

\* \* \*

კიტა აბაშიძე, სხვა ქართველ მოღვაწეთა დარად, დიდი მოღოდინით შეხვდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციას და მეფის გადადგომას; ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო, უაღრესად ემოციური სიტყვითაც გამოვიდა ზემზე.

თუ როგორი უმწიკვლო, პიროვნული თუ საზოგადოებრივი რეპუტაციისა იყო კიტა აბაშიძე, იმითაც ცხადდება, რომ მიუხედავად ავადლისა, იმპერიის ნგრევის შემდეგ, იგი ამიერკავკასიის „განსაკუთრებული კომიტეტის“ წევრად და განათლების კომისრად მოგვევლინა.

ბედის მწარე ირონიით, იგი ვერ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, გარდაიცვალა 1917 წლის დეკემბერში, 47 წლისა.

კიტა აბაშიძის უდროო აღსასრულს (დაკრძალეს დიდუბის პანთეონში) უდიდესი გულისტკივილით გამოეხმაურა სხვადასხვა თაობის თითქმის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე. იმდროინდელ უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ წერილებში, გარდა მისი სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობისა, აღნიშნულია მისი „ავთანდილური“ ბუნება, თავმდაბლობა, სისპეტაკე და მოხსიძევლობა, გონიერება და გულმხურვალე გრძნობიერება, დამატყვევებელი მჭევრმეტყველება, — „კიტა იყო სიტყვის ბეთჰოვენი, საქართველოს ოქროპირი“...

“Вся эстетическая Грузия в продолжении последних пяти месяцев была обращена взорами к большому Кита Абашидзе, смерть которого вызвала такой глухой болезненный стон в наших сердцах. Это был маркиз, влюблённый в Миоссе и Уайльда...

В момент радостных улыбок (იგულისხმება თებერვლის რევოლუციით გამოწვეული ეიფორია – ლ.ა.) ушёл от нас человек в трёх лицах – князь, эстет и социалист!

И на его похоронах было много знамён, были рабочие с печальными лицами и были искренние, но ординарные слова о свободе и о нём.

И только молчали мы, им обласканные, им образованные, молчали, боясь нарушить церемониал похорон измученного гражданина. Но молодая Грузия скажет достойное слово и над могилой высокого и озарённого друга” (გაზ. “Республика”), ნერდა ის ფერყანნელთა თავკაცი პაოლო იაშვილი და ამით „ცისფერი ორდენის“ საერთო სულისკვეთებასაც გადმოსცემდა.

\* \* \*

დღევანდელი თვალსაწიერიდან აშკარაა უდიდესი ამაგი, კიტა აბაშიძემ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას რომ დასდო, როგორც მეცნიერმა და როგორც მწერალმა; ასევე დიდია მისი წვლილი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ევროპეიზაციისა თუ მოდერნიზაციის საქმეში.

კიტა აბაშიძის სახელი და ლიტერატურული მემკვიდრეობა საქართველოს ანგელის შემდგომ ტაბუდადებული აღმოჩნდა, ამას ბევრი მიზეზი განაპირობებდა: იყო სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერი, ილიას ეროვნული მრნამსის განუხრელი დამცველი, დიდგვაროვანი თავადი, მისი მეუღლეც თეკლე ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი ერეკლე მეორის შთამომავალი გახლდათ. დაუნდობელი ბოლშევიკებისათვის მისი „ცისფერსისხლიანობაც“ (რითაც კიტა აბაშიძეს, ვითარცა დახვენილ ინტელექტუალს და „სულის არისტოკრატს“, არასდროს მოუნონებია თავი) საკმარისი მიზეზი იქნებოდა მისი შეჩვენებისათვის.

1924 წელს ჯერ დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს მისი 25 წლის ვაჟიშვილი, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი გია(გიორგი) აბაშიძე, 1937 წელს გადაასახლეს 1901 წელს დაბადებული ვატო (ვახტანგ აბაშიძე), რეაბილიტირებული 1957 წ. (ამის თაობაზე არქივში დაცული ცნობები მოიძია ზეინაბ ლომჯარიამ, მასვე ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა – „კიტა აბაშიძე და მისი კულტურულ-საზოგადოებრივი გარემო“, 2004 წ.).

საბედნიეროდ, რეპრესიებს გადაურჩა კიტას უმცროსი ვაჟი ერეკლე. მისი შვილი აგი(გიორგი) აბაშიძე, – მეცნიერი, მომხიბლავი პიროვნება, წარმატებული მთამსვლელი, – XIX საუკუნის მწერლობის შესანიშნავი მკვლევარი, ღირსეული მამა-პაპის ღირსეულ მემკვიდრედ მოგვევლინა. ის რომ არა, კიტა აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ვერ იქნებოდა სათანადოდ წარმოჩენილი.

თუ როგორი იყო საბჭოთა ოფიციოზის მიმართება დიდ მამულიშვილთან, ამის ნათელსაყოფად პროლეტარული მწერლის, იმავდროულად მწერალთა კავშირის მაღალჩინოსან კარლო მელაძის 1937 წელს წარმოდგენილი ბრალდებებიც კმარა: იგი გაშმაგებით ეპრძოდა ილიას, აკაკის, არჩილს ჯორჯაძეს, კიტა აბაშიძეს, აგრეთვე, თანამედროვეთ, – ვახტანგ კოტეტიშვილს, კონსტანტინე კაპანელს, მიხეილ ზანდუკელს, – ეროვნული იდეალებისა და ანტიმარქესისტული მიმართულების გამო.

მიხეილ ზანდუკელს, რომელმაც 1932-36 წლებში გამოსცა „ახალი ქართული ლიტერატურა“, კარლო მელაძე, იოსებ მეგრელიძის თქმით, „მყვირალა კამსამოლა“, – უკიშინებდა „კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე დამას“ და არც მის დიდ წინამორბედს კიტა აბაშიძეს ივიწყებდა: „მიხეილ ზანდუკელი ისევ კიტა აბაშიძის დამპალი აზრების ეპიგონად დარჩაო“.

მხოლოდ 1962 წელს დაისტამპა ხელმეორედ მკვლევართათვის სამაგიდო წიგნი „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, დავით გამეზარდაშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით. უნივერსიტეტის გავლენიანი და ალლოიანი პროფესორის გამოცემა იმის მაუნყებელიც იყო, რომ კიტა აბაშიძის სახელს ტაბუ მოეხსნა; თანაც ე.წ. დათბობის ხანაც დამდგარიყო. 1964 წელს უკვე შესაძლებელი გახდა გიორგი აბაშიძის ნაშ-რომის „კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა (ნაკვეთი პირველი)“ გამოცემა.

ავტორს, რომელსაც საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი მის ოჯახში დაცული კიტა აბაშიძის არქივი და ლიტერატურული მემკვიდრეობა, რასაკვირველია, მოუხდა დათმობაზე წასვლა: ჯერ კიდევ საშიში იყო რეპრესირებულებზე (ვგულისხმობ მის ბიძებს, გიორგი და ვახტანგ აბაშიძეებს) საუბარი, კიტა აბაშიძის პარტიული მოღვაწეობის პერიპეტიების და „ესდეკვებთან“ ან მომავალ

ბობოლა ბოლშევიკთან ფილიპე მახარაძესთან დაუნდობელი პოლემიკის გადმოცემა.

1964 წელსვე გამოიცა დანიელ რამიშვილის „კიტა აბაშიძე“.

ყინული დაიძრა: 1971 წელს დაისტამბა კრიტიკოსის რჩეულ სტატიათა კრებული „ცხოვრება და ხელოვნება“; რედაქტორის, დავით გამეზარდაშვილის შესავალი წერილის ბოლო, მრავლისმთქმელი წინადადება კი ასეთია: „საჭიროდ ვცანით ზოგიერთი წერილიდან ამოგველო დღევანდელი მკითხველისათვის უკვე არაფრისმთქმელი ფრაზები და მათი ადგილები მრავალ-წერტილებისათვის დაგვეთმო“. თუ რა სახის „არაფრისმთქმელი“ ნაწყვეტები ამოილო შემდგენელმა, ცხადზე უცხადესია !

1982 წელს გამოიცა გიორგი აბაშიძის წიგნის „კიტა აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ მეორე ნაკვეთი, რომელშიც გამოწვლილვით იყო წარმოჩენილი კიტა აბაშიძის როლი XIX საუკუნის ქართული ოიტერატურის ისტორიისა ზოგადად, და, კერძოდ, რომანტიზმის შესწავლის საქმეში. გავითვალისწინოთ, რომ იმ დროისათვისაც ვერ მოხერხდა პოლიტიკური კონიუნქტურის მარწეხებისგან თავის დაღწევა, — კიტას მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდთა გამომზეურება.

მხოლოდ მაშინ, როცა „სიტყვის თავისუფლების ანაზღეულმა ტალღამ ნამსხვრევებად აქცია ნაყალბევი იდეოლოგიური ჯებირები“, გიორგი აბაშიძემ ჯერ სათანადო ამომწურავი კომენტარებითა და შენიშვნებით გამოსცა კიტა აბაშიძის პუბლიცისტური ნარკვევი – „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“ (1991წ.), ხოლო 2005 წელს დააგვირგვინა მრავალწლიანი, თავდაუზოგავი შრომა ფუნდამენტური წიგნით – „ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და ღვაწლი)“, 2005 წ., რომელშიც გააშუქა ილიას ფასდაუდებელი ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა და მისი მონამეობრივი აღსასრულის შეულამაზებელი ისტორია; წარმოაჩინა კიტა აბაშიძის, – ილიას წინააღმდეგ ქართველი „ესდეკების“ ბრძოლის პირველი უკომპრომისო მემატიანის უდიდესი როლიც.

გიორგი აბაშიძის „ილია ჭავჭავაძეს“, ღირსებისამებრ, მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“. 2010 წელს კი გამოიცა ზემოსენებული წიგნის მეორე, შევსებული ვერსია.

\* \* \*

დღესდღეისობით, იკვლევენ კიტა აბაშიძის ცხოვრების ცალ-კეულ წვრილმანებსაც კი (ნიმუშად იქმარებს 2009 წლის “Weekend”-ის ერთი, ცოტა არ იყოს მყვირალასათაურიანი წერილი – „რატომ არ უყვარდა კიტა აბაშიძე აკაკი წერეთელს“), – მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ამომწურავი და სრულყოფილი მონოგრაფია და, რაც უმთავრესია: ჩვენთვის სამარცხვინოა კიტა აბაშიძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის უქონლობა !

## მანანა კვატაია

### კიტა აბაშიძე – ევროპული ლიტერატურის მკვლევარი

1911 წელს გამოქვეყნებული კონცეპტუალური წიგნის „ეტი-უდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ „წინა-სიტყვაობაში“ კიტა აბაშიძე ქართულ ლიტერატურულ პროცესს ევროპულს უკავშირებს და შენიშნავს, რომ ჩვენი მწერლობა „კვალ-დაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას“: როგორც ევროპა-ში, ისე საქართველოში, მე-19 საუკუნე რომანტიზმით დაიწყო და დასრულდა რეალიზმით, რომელიც სამოცდაათიან წლებში ნატუ-რალიზმად გადაგვარდა, შემდეგ პერიოდში ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი გამეფდა. მკვლევრის აზრით, ეს ფაქტი ადასტურებს ფრანგი თეორეტიკოსის ფერდინანდ ბრუნეტიერის მეორე ლიტე-რატურულ კანონს, რომლის თანახმად, არსებობს საერთო „ევრო-პის ლიტერატურა“, რაც ამა თუ იმ ეპოქის იდეალების, განწყო-ბილებების, სტილის ერთიანობითაა განპირობებული. კ. აბაშიძის აზრით, ქართული მწერლობა ამ უნივერსალური პროცესის ნაწილია.

საერთო მხატვრული დისკურსის აღმოცენებას კიტა აბაშიძე სხვადასხვა ქვეყანაში მსგავს გარემოებათა არსებობას უკავში-რებს. ნაციონალური გაერთიანების ეპოქად სახელდებულ მონარ-ქიულ წეს-წყობილებას მკვლევარი დრამატული ხელოვნების აღორძინების ხანად მიიჩნევს. სალირიკო, კერძოდ, რომანტიკული, პოეზიის ფესვებს იგი ინდივიდუალიზმის ეპოქაში ხედავს, „როცა პოლიტიკური წყობილება პირად, ინდივიდუალურ თავისუფლე-ბას უწყობს ხელს“ (აბაშიძე 1971: 105). რეალიზმის მიმდევრები კი, მისი აზრით, ადამიანის უღლონბას, ცხოვრების კანონის ულ-მობელობას აღიარებენ. ამავე დროს, ისინი მწერალს ცხოვრების ფაქტების დოკუმენტურ ჩვენებას და პირადობის დამალვას ავალდებულებენ.

ლიტერატურული პროცესის კარდინალური საკითხების კვლე-ვა კიტა აბაშიძემ 1890-იანი წლებიდან დაიწყო. საზოგადოების მენტალური განახლების, ახალი პარადიგმებისა და კონცეპტების

დამკვიდრებისათვის მკვლევარი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ევროპული მწერლობისა და ფილოსოფიის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას და ტირაჟირებას, რასაც, მისი აზრით, იმ დროის საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. სტატიაში „პოლ ბურჟე“ (ჟ. „მოამბე“, 1894, №8-9) კ. აბაშიძე შენიშნავდა: ეს „დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.. ჩვენი ლიტერატურა ჯერ ძლიერ ღარიბია, რომ მარტო ორიგინალური თხზულებები ვიკმაროთ ჩვენის გონიერის საზრდო-საკვებად“ (აბაშიძე 1971: 117). ასეთ ვითარებაში მკვლევარმა თავადვე იყისრა ევროპული ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლისა და ინტერპრეტირების რთული მისია.

მე-19 საუკუნის დასასრულის საფრანგეთის მწერლობის განხილვისას კიტა აბაშიძე შენიშნავს, რომ ლიტერატურაში უკვე ასპარეზს იპყრობს პოზიტივიზმს, ნატურალიზმსა და მატერიალიზმს დაპირისპირებული ახალი, იდეალისტური მიმართულება. მწერლობა „ცდილობს, გაატაროს მაღალზნეობრივი აზრები, ფილოსოფია კი ადგას იდეალურ გზას“. 1890-იანი წლების საუკეთესო ფრანგ შემოქმედთა შორის მკვლევარი მოიხსენიებს პოლ ბურჟეს, გიუდე მოპასანს, პიერ ლიატს, მარსელ პრევოს, პოლ მარგერიტის, რომელთაც, მისი თქმით, „მარტივად და მკაფიოდ აქვთ გამოთქმული თვით უძნელესი აზრები“.

იმდროინდელ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში კიტა აბაშიძე ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფს: პირველი, რომელიც ცდილობს, „მიაქციოს ყურადღება იმ საუკუნო მეტაფიზიკურსა და მორალურ კითხვებს“ (მათი მეთაურები: პოეტი გიურ და ფილოსოფოსი ფულიე), მეორე, რომელიც „მორალური და ფილოსოფიური კითხვების გადაწყვეტას ელის სარწმუნოებისაგან“ (ფილოსოფოსი სეკურეტანი და რომანისტი ბურჟე). ფრანგ მწერალთაგან მკვლევარი გამოყოფს კრიტიკოსსა და რომანისტს პოლ ბურჟეს, რომელიც, მისი თქმით, „აზრის მხრით... მაღლა დგას თვით ზოლაზეც და დოდეზეც“.

პოლ ბურჟე (Paul Burget, 1852-1935) XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის პოპულარული მწერალი გახლდათ. იგი მატერიალისტურ მსოფლადქმას კათოლიციზმისა და მონარქიზმის პოზიციებიდან ებრძოდა. ცნობილ რომანში „მონაფე“ (1889) ავტორი ახალგაზ-

რდებს მოუწოდებდა, ტრადიციულ კათოლიკურ მორალს დაბრუნებოდნენ. პოზიტივიზმის პრინციპები მის სხვა ტექსტებშიც იკვეთება.

ფრანგი მწერლის შემოქმედებას კიტა აპაშიძე ორიგინალის ენაზე გაცნობია და მისი ნაწერები ორ ჯგუფად დაუყვია. მკვლევარი მიუთითებს, რომ რომანში „საშინელი გამოცანა“ გადმოცემულია არისტოკრატიული ოჯახიდან წარმოშობილი ყმანვილი კაცის ისტორია, ღალატის ანატომია და წარმოდგენილია „მთლად ცხოვრება“, რომელიც თავადვე გახლავთ „საშინელი გამოცანა“. რომანი „ქალის გული“ ამბავია ახალგაზრდა ქვრივისა, რომელსაც ათ წელიწადია, ერთი საყვარელი ჰყავს. „ანდრე კორნელი“ შექსპირის ჰამლეტის გამეორებაა, „მხოლოდ ანდრე უფრო ნაკლები ფილოსოფოსია“. წერილში „პოლ ბურჟე“ გაანალიზებულია ამავე ავტორის რომანი „ცოდვა სიყვარულისა“: გადმოცემულია მისი ფაბულა, შეფასებულია გმირების ქმედების მართებულობა და ა.შ. კ. აპაშიძე აღნიშნავს, რომ თხზულება „ბურჟემ დაამთავრა თავისი გმირის მოქცევით, მისი სულიერი განახლების მიზეზი იყო კაცობრიობის ტანჯვის შეგნება“ (აპაშიძე 1971: 642). რომანს, რომლის სათაურია „სიცრუვე“, მკვლევარი ორი ლიტერატორის ისტორიას უწოდებს, „მონაფის“ არსი კი წერილში ამგვარადაა გადმოცემული: გმირი მხეცური სიყვარულითა შეპყრობილი და კლავს ანგელოზის მსგავს ქალს. კ. აპაშიძე შენიშნავს, რომ ამ სისასტიკეს რომანის ავტორი მორალური პოზიციებიდან განიხილავს. „სწორედ ამ მორალურმა ქადაგებამ ბურჟესამ მიგვიზიდა ჩვენ, როცა ამ წერილის დაწერას შევუდექით“ (აპაშიძე 1971: 671), – განმარტავს მკვლევარი.

კიტა აპაშიძე საფუძვლიანად განიხილავს საზღვარგარეთის ლიტერატურის თარგმნის პრობლემებს, ხაზს უსვამს ქართველ მთარგმნელთა უნუგეშო ხვედრს: „საზოგადოდ, მთარგმნელები მიჩნეულნი არიან შავ მუშად და, რასაკვირველია, მოკლებულნი არიან ყოველგვარ ლიტერატურულ პატივს“ (აპაშიძე 1971: 672). მკვლევარი შენატრის იმ დროს, როდესაც ყოველ საზოგადო საქმეს მოწინებით ეკიდებოდნენ და რუდუნებით აქართულებდნენ სასულიერო წიგნებს: სახარებას, დავითნს – ჩვენი ენის „დღემდეც თითქმის ერთ-ერთი დაუშრეტელი წყაროს“ და საუნჯეს.

მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ქართულად თარგმნის აუცილებლობაზე მსჯელობისას კიტა აპაშიძე აღნიშნავს: „ისეთი დიდებული ნაწარმოებებიც კი არა გვაქვს თარგმნილი, რომლის უქონლობაც უდრის ლიტერატურის უქონლობას... არა გვაქვს გეტეს „ფაუსტი“, შილერის დრამები (ლესად), დანტე, ბაირონი, ჰეინრი, ჰიუგო, მიუსსე, ბალზაკი, უორუ ზანდი, დიკენსი, თეკერეი, ელიოტის რომანები“ (აპაშიძე 1971: 673.). მკვლევრის აზრით, ამ ხარვეზის შესავსებად უურნალ „მოამბის“ რედაქციას „შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს ლიტერატურას“.

ქართველ მთარგმნელთაგან კიტა აპაშიძე მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ყიფშიძეს, რომელსაც, მისი თქმით, „მშვენივრად აქვს ქართული ენა შესწავლილი“. მკვლევარს მოსწონს ყიფშიძის მიერ ნათარგმნი პოლ ბურჟეს რომანი „ცოდვა სიყვარულისა“. მისი თქმით, ეს თარგმანი უარყოფაა მანამდე გავრცელებული მცდარი შეხედულებისა: ქართულ ენაზე განყენებული აზრები თავისუფლად ვერ გადმოდისო. მკვლევარი თარგმანის ნაკლზეც მსჯელობს და შენიშნავს: „ჩვენ მომაკვდინებელ ცოდვად მიგვაჩინია რომელიმე მწერლის ნაწერებიდან რისამე გამოკლება, თუ გინდ სრულიად უმნიშვნელო სტრიქონებისა“ (აპაშიძე 1971: 676). მკვლევარი გრიგოლ ყიფშიძეს პოლ ბურჟეს სხვა რომანების თარგმნასაც ურჩევს.

საფრანგეთის სახელგანთქმულ ახალგაზრდა მწერალთა შორის კ. აპაშიძე მოიხსენიებს მარსელ პრევოს, პოლ მარგერიტსა და უან რონის. მათი შემოქმედებითი მანერის დახასიათებისას იგი შენიშნავს, რომ ეს მწერლები მარტო ცხოვრების ფოტოგრაფიულ სურათს კი არ გადმოსცემენ, არამედ აფასებენ მის ზნეობრივ მხარეს. „მხოლოდ ზნეობრივ საზოგადოებას შეუძლია დიადი პრინციპების შეგნება“ (აპაშიძე 1971: 683), – დაასკვნის მკვლევარი.

1895 წელს „ივერიაში“ (№198) კიტა აპაშიძეს დაუბეჭდავს წერილი „მარსელ პრევოს – „Les demi-vierges“, რომელმაც, ავტორის თქმით, „მთელი განათლებული ქვეყანა აალაპარაკა“. ფრანგი მწერალი და დრამატურგი ეჟენ მარსელ პრევო (Marcel Prevost, 1862-1941) მის თანამედროვეთა ბოპემურ ცხოვრებას აღწერდა და აკრიტიკებდა. მისი მოთხოვნის მთავარი გმირი მოდ დე რუერი ახალგაზრდა ქალია, პარიზის უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენელი, უცნაური სახელდებით: demi-vierges – ნახევრად ქალ-

წულნი. მას გაგიჟებით უყვარს თავისივე წრის ახალგაზრდა კაცი. თავის წერილში კიტა აბაშიძე აფასებს პრევოს მოთხრობას და მიუთითებს, რომ ავტორი მშვენიერად ახასიათებს ამ გახრნნილ აზოგადოებას, თუმცა მისი ხსნის უხერხულ გზებს გვიჩვენებს.

1895 წელს ალექსანდრე ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (შვილი) (Alexander Dumas, fils, 1824-1895). შემოქმედის ნიჭი გახსა-კუთრებით მის ფსიქოლოგიურ დრამებში გამოვლინდა, რომლებიც ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მტკიცნეულ საკითხებს ეხებოდა. იმავე პერიოდში თბილისში წარმოუდგენიათ მისი პიესა, რომელსაც ეძღვნება კიტა აბაშიძის სტატია „მარგარიტა გოტიე“, დრამა ალ. დიუმა-შვილისა“ („ივერია“, 1895, № 62, 63). ავტორი წერს: „ეს დიდებული დრამა, ერთის მხრით, თაყვანსა სცემს და აღმერთებს ადამიანის სულის სიმშვენიერეს... მეორეს მხრით, კრიტიკა მთელი ეხლანდელი გათახსირებული და უგრძნობელი საზოგადოების ცხოვრებისა; ბრალმდებელი ოქმია“ (აბაშიძე 1971: 689). მთავარი გმირი გაუბედურებული ქალი, სხეულით ვაჭრობს, მაგრამ ეს „შემთხვევით დაცემული არსება სულით მაღალი დარჩენილა“. შესაბამისად, ის სიბრალულს იწვევს საზოგადოების მხრიდან, რომელმაც მისი დაღუპვის გამო საკუთარი დანაშაული უნდა შეიგრძნოს. „მარგარიტა გოტიეს“ კ. აბაშიძე ვიქტორ პიუგოს „მარიონ დე ლორშს“ ადარებს და აღნიშნავს, რომ პირველ მათგანს რომანტიკულ ტექსტად, მეორეს რეალურ დრამად მიიჩნევენ.

კ. აბაშიძე სტატიას უძღვნის გერმანელ დრამატურგს, ნობელის პრემიის ლაურეატს (1912) გერჰარდ ჰაუპტმანს (1862-1946) – „დი-ადი ნიჭის პატრონს“, რომელსაც მთელს ევროპაში სახელი აქვს განთქმული. წერილი „ჰაუპტმანის ახალი პიესის გამო“ გაზეთ „ივერიაში“ 1906 წელს დაიბეჭდა. დრამატურგის ცნობილი ტექსტები-დან ავტორი „ჰანნელესა“ და „ჩაძირულ ზარს“ გამოყოფს. წერილში ჰაუპტმანი ბელგიელ დრამატურგ მეტერლინკთან ერთად ახალი დრამის მეთაურადაა სახელდებული, დრამისა, რომლის უმთავრესი სიახლე მუსიკის როლის გაძლიერებაა: „თვით მონოლოგები, სიტყვები, სახელები აღსავსეა მუსიკითა და რითმით“ (აბაშიძე 1971: 699). ამავე დროს, ახალი დრამა ცხოვრების ბრძოლის სიღრმისეული დინებების ამსახველია. წერილში კ. აბაშიძე განიხილავს ჰაუპტმანის დრამას „პიპა კი ცეკვავს“, რომელიც იავორსკის დასს არტის-

ტულ თეატრში წარმოუდგენია. კიტა აბაშიძე პიესის შეფასებისას დაასკვნის, რომ „იგი არის რთული, მშვენიერი და საიდუმლოებით მოცული, როგორც თვით ცხოვრება“ (აბაშიძე 1971: 706).

სტატია „აისედორა დუნკანის გასტროლების გამო“ (გაზ. „ამირანი“, 1908, №58) მიუთითებს ღრმა ცვლილებებზე, თეატრალურ სამყარში რომ ხდება: „რადიკალურად შეიცვალა დრამატული ხელოვნების გარეგანი გამოსახულება, ინტერპრეტაცია, ახსნა დრამატული ნანარმოებისა არტისტთა თამაშით“, – წერს კ. აბაშიძე და გენიოსს უწოდებს აისედორა დუნკანს, რომელიც მოსკოვისა და პეტერბურგის შემდეგ თბილისაც სწვევია. მკვლევარი თვლის, რომ განთქმულმა მოცეკვავემ სათეატრო ხელოვნებაში ახალი ეპოქა შექმნა.

წერილი „კამილ ლემონიეს ტრაგედია „ხელები“ ქართულ სცენაზე“ (გაზ. „ფასკუნჯი“, 1909, №3) ეძღვნება ბელგიელ მწერალს, რომანისტსა და კრიტიკოსს კამილ ლემონიეს (Camille Lemonnier, 1844-1913). იგი გახლდათ ფრანგულენოვანი ნატურალიზმის წარმომადგენელი, 1880-1900-იანი წლების რეალისტი მწერალი. კიტა აბაშიძის შეფასებით, ლემონიეს პიესა „ხელები“ ხელოვნურად არის დაწერილი. შაბლონური თემა – კაცის მოკვლით გამოწვეული სინდისის ქენჯნა, მისი აზრით, მხატვრული ხორცშესხმისას მეტ ოსტატობას ითხოვს. კ. აბაშიძე მკითხველს აუწყებს, რომ კამილ ლემონიე ხანში შესული მწერალია, რომლის თხზულებათა 65-ე ტომის გამოსვლა ბრიუსელში საგანგებოდ აღინიშნა.

ვრცელი წერილი „საფრანგეთის თანამედროვე დრამატიული ლიტერატურა“ გაზეთ „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს დაბეჭდა (372-377). ავტორის შეფასებით, „საფრანგეთის სიტყვაკაზმული ლიტერატურა მონინავე აზრების მქადაგებელია“: სენიორ ბილ საზოგადოებას ის წყლოულა და იარას თვალწინ უყენებს და მისი წამლობის აუცილებლობაში არწმუნებს, თან ცდილობს, მომავლის გზაც განჭვრიტოს. ამ რიგის შემოქმედთა შორის კ. აბაშიძე ასახელებს მოპასანს, ანატოლ ფრანსს, ბურჟეს, მირბოს, რემი-დე გურანს, პრევოს, პოლ მარგერიტს და სხვ. 1900-1910-იანი წლების საფრანგეთის დრამატული მწერლობას მკვლევარი ნაყოფიერ პერიოდად მიიჩნევს. მისი ცნობით, 1906-1910 წლებში 150 დრამაზე მეტი გამოვიდა და ისინი პარიზის უპირველეს თეატრებში წარმოადგინეს.

კიტა აბაშიძის დასკვნით, ფრანგული დრამების დიდი ნაწილი ოჯახურ პრობლემებს ეძღვნება: ალ დიუმა (შვილი) სასტიკად და შეუბრალებელად ილაშქრებს მრუშობის წინააღმდეგ (დრამა „კლო-დის ცოლი“). მისი „ქალი კამელიიებით“ „თავისუფალი სიყვარულის გულწარმტაცი მაგალითით გვხიბლავს“. კ. აბაშიძის აზრით, ალ. დიუმა-შვილის გზას ადგას პოლ ერვიუ, დრამების წყალობით, აკა-დემიკოსად არჩეული. ალფ. კაპიუბის დრამა „მეტოქეს“ ქვეტექსატს მკვლევარი ასე განმარტავს: შესაძლებელია, ყოველ ქალში სხვა მდედრის მეტოქე იმალებოდეს. ოჯახური დრამის ნიმუშს უწოდებს კ. აბაშიძე პოლ ბურჟეს „განქორწინებას“, სადაც ავტორი – მორწმუნე კათოლიკე, განქორწინების წესს გმობს. მკვლევრის მოსაზრებით, სოციალური ხასიათისაა პოლ ბურჟეს დრამა „ბარიკადები“, ანრი ბატაილის „უგუნური ქალიშვილი“ და სხვ.

წერილში მოხმობილია ანატოლ ფრანსის მოსაზრება: რასინისა და კორნელის შემდეგ ფრანგულ დრამას თვალსაჩინო არაფერი შეუქმნიაო. თუმცა ავტორი ხაზს უსვამს ფრანგ დრამატურგთა წერის ტექნიკის მაღალ დონეს და ახალ შემოქმედთა შორის ასახელებს: ალ. დიუმას (შვილს), მის ნიჭიერ შეგირდს პოლ პერვიეს, როსტანს. კიტა აბაშიძე ახასიათებს კრიტიკოსთაგან შედევრად შერაცხულ პოლ პერვიეს დრამას „მეჩირალდნეთა სირბილი“, რომლის სიმბოლური დედააზრი განმარტებულია, როგორც დედაშვილური სიყვარულის გამოხატულება ძველ საბერძნეთში (გამწკრივებული ხალხი ერთმანეთს ჩირალდანს გადასცემდა და ტაძარს გარს უვლიდა).

კ. აბაშიძის თქმით, სოციალური ხასიათისაა პოლ ბურჟეს დრამა „ბარიკადები“, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ბატონი და მუშა, წარმოდგენილია ბურჟუაზიული კლასის გადაგვარება. „ტენდენციის“ დრამას უწოდებს ავტორი ჰანრი ბატაილის „უგუნურ ქალიშვილებს“. დრამატურგს მკვლევარი „გაბედულ ამორალისტს“ უწოდებს, რომელიც გაბედულად იბრძვის დახავსებული ზნეობრიობის წინააღმდეგ. კ. აბაშიძის აზრით, ბატაილის გამაფრთხილებელი დასკვნა ასეთია: თავისუფალი სიყვარულის არჩევის შემთხვევაში ქალიშვილი საკუთარ თავს კატასტროფას უმზადებს, რომელიც მისი სიკვდილითა და უბედურებით მთავრდება. კიტა აბაშიძე დაწვრილებით არ განიხილავს ედ. როსტანის შემოქმედებას, თუმცა ამ ავტორსაც ჰაუპტმანთან და მეტერლინკთან ერთად

ახალი დრამის მამამთავართა შორის მოიხსენიებს. ამავე დროს, მკვლევარი შენიშნავას, რომ მისმა „შანტეკლერმა“ ისეთი აღტა-ცება ვერ გამოიწვია, როგორც უწინდელმა დრამებმა.

ვრცელი წერილის დასკვნით თეზაში კიტა აბაშიძე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის დრამატულ მწერლობას „დღემდე პოლიტიკური როლი აქვს და სცენიდან იბრძვის ახალი აზრების დამკვიდრებისათვის“ (აბაშიძე 1971: 757).

კონცეპტუალურ წერილში „ცხოვრება და ხელოვნება“ (გაზ. „მზე“, 1908, №1) მკვლევარი მიუთითებს, რომ ხელოვნების გენი-ოსები ახალი ცხოვრების დადგომას საუკუნეებით ადრე გრძნობენ. რუსოსა და ვოლტერს კ. აბაშიძე საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედებს, ბაირონსა და სხვა რომანტიკოსებს პიროვნების თავისუფლების მოსარჩევებს უწოდებს. XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ ევროპელ მწერლებს: ანუნციოს, მეტერლინკს, უაილდს, რუსული ლიტერატურის იმდროინდელ წარმომადგენებს თე-ორეტიკოსი ახალი ცხოვრების მახარობლებად თვლის.

მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედების ანალიზისას კიტა აბაშიძე იყენებს და იმონქმებს მისი დროის ევროპელ ავტორთა თეორიულ ნაშრომებს, მათზე დაყრდნობით განმარტებულია ძირითად ლიტერატურულ მიმდინარეობათა არსი, რომანტიზმისა და რეალიზმის მიმართება, ამ მიმართულებათა ნიშნები, ფილოსოფიური საფუძვლები და ა.შ.

რომანტიზმს მკვლევარი „ინდივიდუალური ფილოსოფიის ღვიძლ შვილს“ უწოდებს. რომანტიკოსი ავტორის გაგებით, ადამიანი ცხოვრების მეფეა, ის ყოვლის შემძლეა. რეალიზმი და პოზიტივიზმი, პირიქით, აცხადებს, რომ ადამიანი სუსტი და ულონია, ცხოვრების ულმობელი კანონის წინაშე იგი ყურმოჭრილი მონაა, უმნიშვნელო ჭია, „ჭიანჭველა“. შესაბამისად, თუ ინდივიდუალური ფილოსოფიის მიმდევარნი ხატავდნენ გმირებს, პოზიტივისტების აზრით, თუ გარემოება ხელს არ შეუწყობს, გმირს არაფერი შეუძლია.

რეალიზმისა და ნატურალიზმის დახასიათებისას მკვლევარი განმარტავს, რომ რეალისტი მწერალი ცხოვრებას და მოვლენებს შეძლებისდაგვარად ობიექტურად აღწერს, ამასთან, ცდილობს, თავისი პირადობა დამალოს, „მის შემოქმედებაში მარტო მშრალი

გონება უნდა იყოს გაბატონებული“. მწერლობის საგნად ავტორმა უნდა მიმართოს „ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოვლენას, ადა-მიანის ჩვეულებრივ ცხოვრებას“. რაც შეეხება ნეორომანტიზმს, საქარ-თველომი მის მამამთავრად ალ. ყაზბეგი სახელდება, „სიმ-ბოლიზმის საუკეთესო წარმომადგენლად“ – ვაჟა-ფშაველა.

კიტა აბაშიძის დეფინიციით, სიმბოლიზმი რეაქცია იყო გადა-ჭარბებული ნატურალიზმის წინააღმდეგ. „ნატურალიზმა, ამ და-მახინჯებულმა რეალიზმმა გამოიწვია თავისი უარმყოფელი მი-მართულება – სიმბოლიზმი“ (აბაშიძე 1970: 441). მასში მკვლევარი როგორც რომანტიზმის, ისე რეალიზმის ელემენტებს ხედავს. შე-საბამისად, ევროპულ სიმბოლიზმში იგი ორ დიდ ნაკადს გამოყოფს: ნეორომანტიკულსა და ნეორეალისტურს. მკვლევარი ფიქრობს, რომ, თავის მხრივ, ორივე მიმარტულებამ დაკარგული მნიშვნელო-ბა აღუდგინა „ინდივიდუალიზმს, მწერლის პირადობას“ და პირად შთაბეჭდილებას.

კ. აბაშიძე იხსენებს „სიმბოლიზმის სახარებად“ სახელდებულ მორის მეტერლინკის „მშვიდთა საუნჯეს“, სადაც მითითებულია, რომ ხელოვანი ღვთაებრივი ძალით მოსილი არსებაა და იგი „უნდა ცდილობდეს, დაგვანახოს, რა არის განსაცვიფრებელი თვით იმ მოვლენაში, რომელსაც სიცოცხლე ჰქვიან.. მისი მხატვრობის სა-განი უნდა იყოს იმ საიდუმლოების, იმ „გამოუცნობელის“ და მიუწ-ვდომელის ახსნა და სურათებით ნათელყოფა, რომელიც შეადგენს დედა აზრს და დედა ძარღვს ადამიანის ცხოვრებისას“ (აბაშიძე 1970: 444).

სიმბოლიზმის აღმსარებელთათვის ყოველი ფაქტი თუ მოვლე-ნა ერთგვარი წინანია, სიმბოლო ცხოვრების იდუმალებისა. „სიმ-ბოლისტი-მწერალი ცდილობს შეიტანოს ხელოვნებაში გრძნობა საიდუმლოებისა, ცდილობს, გვაჩვენოს უხილავი და გამოუცნო-ბელი კავშირი, რომელიც არსებობს „საიქიოსა“ და „სააქაოს“ შო-რის, ცდილობს, თვალწინ დაგვიყენოს „მოვლენათა შორის დაფა-რული კავშირი“, დაგვანახოს საიდუმლოებით მოცული ბედისწერა“ (აბაშიძე 1970: 445).

კ. აბაშიძის აზრით, კრიტიკოსისათვის მათი განმასხვავებელია ისიც, რომ სიმბოლისტი მცირე მოვლენას დიად მნიშვნელობას აძლევს, რადგან პოეტს შეუძლია, უმნიშვნელო მოვლენის ქვეშ მთე-ლი ბედისწერა აღმოაჩინოს. ის „ზედაპირის გაგლეჯას ცდილობს

და ზედაპირის ქვეშ ეძიებს საიდუმლო მექანიზმს ჩვენი ცხოვრებისას.. იგი ერთგვარი ნიშანია, ერთგვარი მხატვრული ციფრი, სიმბოლო, რომელიც აღნიშნავს ტრაგედიულ ძალასა და ცხოვრების იდუმალობას“ (აბაშიძე 1970: 448).

მეთოდი, რომელსაც კიტა აბაშიძე ლიტერატურულ მოვლენათა განხილვისას იყენებს, ფრანგი ლიტერატურის ისტორიკოსის, თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის ფერდინანდ ბრუნეტიერის ლიტერატურის განვითარების ევოლუციის თეორიას უკავშირდება. ამას თვით კ. აბაშიძე მიუთითებს თავისი „ეტიუდების“ წინასიტყვა-ობაში. თავის წერილებში ქართველი კრიტიკოსი ხშირად იმოწმებს ბრუნეტიერს, როგორც ავტორიტეტს.

ფერდინანდ ბრუნეტიერი XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის საფრანგეთის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა (იხ. აბაშიძე 1964: 118). ის ჟურნალ „Revue des Deux Mondes“ („ორი სამყაროს ჟურნალის“) თანამშრომელი და შემდეგ რედაქტორი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, საფრანგეთის აკადემიის წევრი გახლდათ. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პრესაში 1875 წლიდან იბეჭდებოდა. ბრუნეტიერს საფრანგეთის აკადემიის სპეციალური პრემია დაუმსახურებია, თუმცა მეცნიერს მომხრეებთან ერთად მონინააღმდეგებიც ჰყავდა. ფ. ბრუნეტიერის მოღვაწეობაში ორ პერიოდს გამოყოფენ: XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც მეცნიერი პოზიტივიზმის პოზიციებზე იდგა, კერძოდ, ავითარებდა ტენის პოზიტივიზმის პრინციპებს და ცდილობდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდები ლიტერატურის ისტორიის მიმართ გამოეყენებინა. მეორე პერიოდში ბრუნეტიერი აღიარებს „მეცნიერების გაკოტრებას“ და მეცნიერებასა და რელიგიას ერთმანეთს უპირისპირებს.

კიტა აბაშიძის მკვლევარი გიორგი აბაშიძე დაწვრილებით განიხილავს ფერდინანდ ბრუნეტიერის შეხედულებებს და დაასკვნის: „კრიტიკოსის ესთეტიკური კონცეფცია, მის ნაკლოვან მხარეთა გვერდით, რიგ შემთხვევაში, მეტად საყურადღებო და თავისი დროისათვის უთუოდ მონინავე შეხედულებათა შემცველიცაა“ (აბაშიძე 1964: 131). ფრანგი მეცნიერის ნაშრომში „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში“ კიტა აბაშიძემ

1894-1895 წლებში ქართველ მკითხველს უურნალ „მოამბის“ ფურცლებიდან გააცნო.

ფერდინანდ ბრუნეტიერს XIX საუკუნის მეცნიერული აზრის უდიდეს მონაპოვრად დარვინის ევოლუციური მოძღვრება მიაჩნდა. გ. აბაშიძე წერს: „მხატვრულობის ობიექტური კრიტერიუმების ძიებამ და მეცნიერული მეთოდით ხელოვნების ნაწარმოების კვლევის აუცილებლობის რწმენამ განაპირობა ბრუნეტიერის სურვილი, ლიტერატურის სფეროში გადმოენერგა დარვინის ევოლუციური მოძღვრება“ (აბაშიძე 1964: 139). ლიტერატურის ევოლუციის თეორიის ზოგადი პრინციპები ფრანგმა მეცნიერმა 1890 წელს გადმოსცა ნაშრომში „გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში“. ეს წიგნი პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო 4 ტომიანი გამოკვლევისა, რომელშიც „კრიტიკოსი აპირებდა როგორც ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრების ევოლუციის განვითარების გზის ჩვენებას, ასევე, ნაირგვარ კრიტიკულ მეთოდთა დახასიათებას და შეფასებას, ლიტერატურის ისტორიის ევოლუციური მეთოდით შესწავლის მეცნიერულ დასაბთებას“ (აბაშიძე 1964: 140).

კიტა აბაშიძის თეორიული წერილებმა, რომლებიც ევროპის ლიტერატურულ პროცესს და მის ცალკეულ წარმომადგენლებს ეძღვნება, სათავე დაუდო საზღვარგარეთის მწერლობის სისტემურ კვლევას. ერუდირებული ქართველი ანალიტიკოსის შეფასებანი საკითხის სიღრმისეულ გააზრებას ემყარება და აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს.

#### დამოცვებანი:

**აბაშიძე 1970:** აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ (დ. გამეზარდაშვილის რედაქციით). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.

**აბაშიძე 1964:** აბაშიძე გ. კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. ნაკვეთი 1. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.

**აბაშიძე 1971:** აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება (დ. გამეზარდაშვილის რედაქციით). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.

## კიტა აბაშიძე და მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა

კიტა აბაშიძემ, ერთსა და იმავე დროს, იტვირთა ქართული ლიტერატურის ისტორიკოსობაცა და მისი თანადროული მწერლობის კრიტიკაც. კრიტიკოსის ანალიტიკური უნარი, შემფასებლური კრიტერიუმების სისწორე ყველაზე სრულად და დამაჯერებლად თანადროული მწერლობის გაშუქების დროს მულავნდება, ვინაიდან ლიტერატურული პროცესი დაუმთავრებელია და ამავე დროს, საჭიროა მწერლისათვის სათანადო ადგილის მიჩენა ლიტერატურის ისტორიაში. პირველშემფასებლობა ძალზედ ხშირად დიდი სიძნელების წინაშე აყენებს მკვლევარს და საკვირველი არცაა, რომ შეცდომაც ადვილად იქნას დაშვებული.

მე-19 საუკუნის მინურულსა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ცოცხლები იყვნენ ქართული მწერლობის კლასიკოსებიცა და ამავ-დროულად, ლიტერატურულ სივრცეს ახალგაზრდა მწერლები იპყრობდნენ. ამ მწერლებიდან ბევრი მათგანი კ. აბაშიძის მეგობარი იყო, ბევრი კი კრიტიკოსის ხელდასმით შემოვიდა ჩვენს მწერლობაში. ძალზედ რთულია, როდესაც „შენ თანატოლზე და მეგობარზე წერ რასმეს“ <...> მეტად მძიმეა მოვალეობა კრიტიკოსისა და მით უმეტეს ქართველი კრიტიკოსისა“, რადგან „თუ კარგი სთქვი ვისმეს შესახებ ან ცუდი“, ნათქვამის საფუძვლიანობას კი არ განიხილავენ, არამედ დაუწყებენ ჩხრეკას „რა დამოკიდებულებაა თქვენსა და მწერალს შორის“, – წუხდა აბაშიძე (აბაშიძე 1971: 341) და იქვე აზუსტებს ამ სირთულის მიზეზს – პირველი, რომ ერის სიმ-ცირის გამო ყველა ერთმანეთის ნათესავი ან მეგობარია და მეორე, და მთავარი, რომ, ხშირ შემთხვევაში, თუ შენი ნაცნობი მწერალი „სიმპატიური ხასიათისაა“, მისი ტექსტების ნაკლოვანებას უფრო ლმობიერად ეკიდებით და ღირსება უფრო გიტაცებთ და, პირიქით, თუ უსიამოვნო ადამიანია, მის ნაკლს შეუბრალებლად აკრიტიკებთ და ღირსებას გულცივად აღიქვამთ. კრიტიკოსის თვალსაზრისით, შენი თანამედროვე ზნეობრივად სუსტი მწერალი, რომლის უზ-

ნეო მოქმედებას ათასობით მოწმე ჰყავს, სიცოცხლეში ვერასოდეს მოიპოვებს იმ პატივისცემას, რასაც მომავალში ეღირსება, რადგან ნიჭიერი მწერლის დანაშაული, მხოლოდ ქალალდზე „აღნერილი ბიოგრაფია“, მომავალში აღარ ააღელვებს მკითხველს.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ კიტა აბაშიძე ქართველ მწერლებზე დაწერილ კრიტიკულ ტექსტებში დიდ ყურადღებას უთმობს თეორიული ხასიათის პრობლემების განხილვას – კრიტიკის დანიშნულებაზე, ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და უანრების შეფასებაზე. მისი მტკიცებით, კრიტიკა, როგორც წების-მიერი მხატვრული ნაწარმოები, შეიძლება იყოს მოსაწყენი, სწორი ან არასწორი, დამაჯერებელი ან არადამაჯერებელი, მაგრამ ეს სრულებიდაც არ აყენებს ლიტერატურის ამ „უანრს“ ხელოვნების გარეშე. აბაშიძის სიტყვებით, კრიტიკოსი სიტყვაკაზმული მწერლობის ქურუმი უნდა იყოს.

აბაშიძის 90 - 900 წლების კრიტიკულ ტექსტებში სოციო-კულტურულ სივრცესა და მწერლობაში მოსალოდნელი მოვლენებისა და ცვლილებების მოლოდინი შეიმჩნევა. მისი წინათგრძნობით, ქართული მწერლობა „ახალი ეპოქის კარიბჭესთან დაება“ და ლიტერატურულ სივრცეში ახალი სახელები გამოჩნდება. კრიტიკოსის ქომაგობა არა ერთ დამწყებ ავტორს უგრძენია, სამაგიეროდ, მათ მხარდამჭერს „ბევრი ურიკო სიტყვა“ და უსაფუძვლო ცილისწამება შეხვდა. ახალგაზრდობა „ის შემაერთებელი ხიდია, განუწყვეტილი ჯაჭვია ახლო წარსულსა და შორ მომავალს შორის“ – მიაჩნდა აბაშიძეს და მისი წერილი „ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს) ამის ნათელი დასტურია. ბელეტრისტული ფორმით წარმართული კრიტიკული ნააზრევი ავტორის გარკვეული სუბიექტურ-პირადული შეხედულებების გამოთქმის სურვილსაც ემსახურება, მაგრამ, ამავე დროს, ნარკვევში ამოსავალ დებულებათა ჭეშმარიტება ამ კრიტიკული ტექსტის უმნიშვნელოვანესი მხარეა. კიტა აბაშიძე წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა“ მე-19 საუკუნის მიწურულს მოღვაწე ახალგაზრდა თაობის მწერლებს 60-იანების ადარებს: „თუ გვინდა, რომ დავაფასოთ ჩვენი ახლანდელი ახალგაზრდობა, უნდა შევადაროთ ბრწყინვალესა და დიდებულ ახალგაზრდობას მესამოცე წლებისას“ (აბაშიძე 1971: 125). კრიტიკოსისათვის 60-იანების პირველი და უდიდესი დამსახურებაა, რომ შესძლეს

„ნაციონალური თვითცნობიერების“ დანერგვა, მიძინებულ ერს იდეალი დაუსახეს და „აზრი მისცეს ქართულ მწერლობას“. კრიტიკოსი კარგად აცნობიერებს, რომ უდიდესი ტალანტით დაჯილდოვებული 60-იანელები, „ვისი ბადალი მემკვიდრეები“ სამწუხაროდ არ ჩანდნენ ქართულ ლიტერატურაში, „მარტო ენას როდი იცავდნენ, არამედ ენის ვინაობას იცავდნენ“ და თანაც, ამავდროულად, შინაურ, სოციალურ უსამართლობას ებრძოდნენ. კრიტიკოსის შეხედულებით, მეორე ღირსება 60-იანელებისა მათი იდეალისტობა იყო. აბაშიძე იქვე განმარტავს, თუ რას გულისხმობს ტერმინში იდეალისტი. იდეალისტია ადამიანი, ვისაც უყოფანოდ სამშობლოსათვის თავის განირვა და სულიერი მოთხოვნების ხორციელზე მაღლა დაყენება შეუძლია. კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ მესამე და მთავარი თვისება 60-იანელებისა იყო ღრმა რწმენა იმ საქმისა, რასაც ემსახურებოდნენ, შეიძლება მათ ყველაფერზე საერთო შეხედულება არ ჰქონდათ, მაგრამ 60-იანელებმა შეძლეს ერთი იდეისათვის ემსახურათ, სამოქმედო პროგრამაც წინასწარ ჰქონდათ ჩამოყალიბებული და განსაზღვრული. თავიანთი მხერბისა და თავგანწირვის საფუძველს კი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში ჰპოვებდნენ. „ისტორიას მხოლოდ ფანატიკოსები ქმნიან“, – ასკვნის კრიტიკოსი.

კიტა აბაშიძის მოსაზრების თანახმად, 60-იანელების „ტალანტი მიუწვდომელი შეიქნა ახალი თაობისათვის“, რადგან ახალ თაობას არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი თვისება არ გააჩნდა. მართალია, ახალგაზრდები უფრო მეტი ფაქტების ცოდნით იყვნენ აღჭურვილი, მაგრამ კრიტიკოსის შეხედულებით, ეს ცოდნა ხშირ შემთხვევაში არ იყო სათანადოდ გამოყენებული: „გაგაოცებდათ სხვადასხვა მეცნიერული თეორიების ცოდნა, მაგრამ სული ვერ ჩაედგათ ამ ცოდნისათვის“, ისტორიული და საზოგადოებრივი მოვლენისაგან ლოგიკური დასკვნა ვერ გამოეტანათ. 60-იანელთა ღირსებად აბაშიძეს წორედ მოვლენათა სისტემურ გააზრებას თვლის და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მათვის ორიოდე ფაქტიც კმაროდა: „მოვლენის ძირითადი კანონებისა და მათი არსებითი მხარის გასააზრებლად“.

ახალ თაობას კიტა აბაშიძე პირობითად ორ ჯგუფად ჰყოფდა. ახალგაზრდების პირველი ჯგუფის ერთ ნაწილი არც უნიჭო იყო

და კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ „სჭირდათ სენი აპათიისა, ენერგიის უქონლობა“, მათ 60-იანელების სიმხნევე, თავგანწირვა აკლდათ, „ძაბუნი, მომცონარებული და სუსტნი იყვნენ < ... > რწმენა აკლდათ, რწმენა კი მოქმედების საწყისია“. მეორე ნაწილი ახალ თაობისა კი „ცინიკური აღვირახსნილობით და იმ თვისებებით გამოირჩეოდა, რომელიც გარყვნილებას ამართლებს“. ისინი, აბაშიძის დეფინიციით, სამშობლოსა და საზოგადოებას მხოლოდ პირადი სარგებლობის მიზნით ემსახურებოდნენ: „რაც არ უნდა უღირდეთ, გამარჯვება და წარმატება უნდათ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ზენობას ეწინააღმდეგება, ცოდნაც მათ მხოლოდ ეგოისტური სიამოვნების მისაღებათ სჭირდებათ. მთავარი ახალგაზრდების ამ ნაწილისათვის, მე-ს გაღმერთებაა უსაზიზლრეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ (აბაშიძე 1971: 163). მართალია, კრიტიკოსს ისინი პირველ ჯგუფთან შედარებით უფრო აქტიურად ეჩვენებიან, რადგან მეტ მხნეობას და გამბედაობას იჩენდნენ, მაგრამ აბაშიძე ფიქრობდა, რომ ეს ნაწილი ახალგაზრდებისა მწერლობაში თავს ვერასოდეს გამოიჩენდა, რადგან „საამისო ტალანტი საკმაოდ აკლდათ“.

ახალგაზრდების მეორე ჯგუფში აბაშიძე ე.ნ. მესამედასელებს მოიაზრებდა: „მესამედასელები კარგად გააწვრთნილი კრებულია, რომელიც ერთგულად ემსახურება თავიანთ მეთაურებს, აქვთ პარტიული დისციპლინა და ორგანიზება, ენერგიულად და მხნედ მოქმედებენ, მაგრამ მათი გონიერების პორიზონტი ვიწროდ არის შემოფარგლული და გონიერად მრავალმხრიობას მოკლებული“ (აბაშიძე 1971: 166).

მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული პროცესის კვლევისას კრიტიკოსის ყურადღებას ახალგაზრდა მწერლები - შიო არაგვისპირელი, დავით კლდიაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი იპყრობენ\*. ისეთი ავტორიტეტული კრიტიკოსის მოლოდინი, როგორიც აბაშიძე იყო, სრულიად კანონზომიერია, რადგან ლიტერატურულ სივრცეში გამოსული ეს ახალგაზრდა მწერლები მომავალში ქართული ლიტერატურის კლასიკოსები

\* იხ. „კიტა აბაშიძე და უახლესი პერიოდის ქართული მწერლობა“ (ავტორეფერატი).  
თბ. თსუ. 1986.

გახდნენ. აბაშიძისათვის ისინი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებლებიც არიან და, ამავდროულად, ნოვატორებიც. ცხადია, კრიტიკოსის ნარკვევებს – შიო არაგვისპირელზე, დავით კლდიაშვილიზე, სანდრო შანშიაშვილზე, იოსებ გრიშაშვილსა და მიხეილ ჯავახიშვილზე არ შეიძლება მოვთხოვოთ ამ ავტორთა შემოქმედების სრული დახასიათება, ვინაიდან, იმ დროისათვის მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ „დამთავრებული თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობა“.

კიტა აბაშიძე თავის ტექსტებში არაერთხელ უბრუნდება შიო არაგვისპირელის პროზას. მისი სიტყვებით, ეპოქა, რომელშიც არაგვისპირელის ნოველები იქმნებოდა, გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით, „ადამიანის პირუტყვული გრძნობების უწყალოება ღვთაებრივი გრძნობების დამდაბლებას იწვევდა და ბუნებრივიცაა, რომ ყოველი ნიჭიერი და მგრძნობიარე მწერალი პესიმისტურად ყოფილყო განწყობილი“. და მართლაც, არაგვისპირელისათვის დამახასიათებელია ცხოვრების უაღრესად ტრაგიკული, დრამატული აღქმა, მძაფრი ფსიქოლოგიზმის ფონზე ნაჩვენებია სოციალური კონფლიქტები და კოლიზიები, კონტრასტის – ფუფუნებისა და სიღატაკის, ბედნიერებისა და გამოუვალობის, იმედისა და სასოწარკვეთის საკითხებზე დაფიქრებით შექმნილია იმ ეპოქის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ვრცელი პანორამა.

ჩვენ დეტალურად არ შევეხებით შიო არაგვისპირელის შემოქმედების აბაშიძისეულ რეცეფციას და ყურადღებას შევაჩერებთ კრიტიკოსის ორ მთავარ დებულებაზე. პირველი – პესიმიზმის ის თავისებური გაგება, რომელიც განუყოფლად თან ახლავს მწერლის ტექსტების აბაშიძისეულ თვისობრივ ანალიზს: „გულისგამგმირავი პესიმიზმი, ურწმუნობება და გამოურკვევლობა იდეალებისა, სევდა და კაეშანი“ <...>, ავტორის მელანქოლიური პესიმიზმი სულ უფრო და უფრო მკაცრი ხდება და კულმინაციას მის ბოლო-დროინდელ ტექსტებში აღწევს“. აბაშიძე არაგვისპირელთან პესიმიზმის გაგების დიფერენციაციას ახდენს და მას შემდეგნარად ახარისხებს: ღრმა პესიმიზმი, ირონიული პესიმიზმი, მკაცრი, დაუნდობელი და ულმობელი პესიმიზმი. კრიტიკოსის თვალთახედვით, ასეთი დიფერენცირება ავტორის სულიერი მდგომარეობის, განწყობის და მისეული ემოციური აქცენტები უთუოდ მრავალ-

ფეროვნებას სძენს არაგვისპირელის ნოველებს. სხვათაშორის, ვამ. კოტეტიშვილიც მწერლის ნოველებში ამ გამოუვალობასა და ტრაგიზმზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც წერდა: „მას ებადება სასონარკვეთილების ტონი და ღმერთსლა ეკითხება: „ღმერთო რა დაგიშავეო“ და როცა იქიდანაც არ ესმის სანუგეშო პასუხი, ხელს-ლა ჩაიქნევს „ეპ“, „სულ ერთია“, „ჯანდაბას ჩემი თავი და ტანიო“ (კოტეტიშვილი 1915: 3).

რამდენად სწორია და მიზანშეწონილი პესიმიზმის ასეთ სახე-სხვაობებად დაყოფა, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ისიც უნდა აღი-ნიშნოს, რომ ჩვენი აზრით, სიტყვა პესიმიზმი აბაშიძეს სხვაგვა-რად ესმის, იმისგან განსხვავებით, რა მნიშვნელობითაც ვხმარობთ დღეს. კრიტიკოსი პესიმიზმში გულისხმობს მწერლის მიერ სინამდ-ვილის მძაფრ, მამხილებელ, დაუნდობელ კრიტიკას. არაგვისპი-რელის ნოველების წაკითხვისას ცხადი ხდება, რომ ისინი სინამდ-ვილის პირნშინდა უარყოფას ისახავს მიზნად. პესიმიზმის ამგვარი დეფინიციაში, რომ ის ულმობელი და სასტიკია, ადვილად ცნაურ-დება ფსიქოლოგიური რეალიზმისათვის ნიშნეული თვისებები. საგულისხმოა, რომ კიტა აბაშიძემ, ერთერთმა პირველთავანმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფსიქოლოგიურ და მხატ-ვრულ ტრანსფორმაციის, „სულის მღელვარებასა და სევდას“, რო-მელიც ახალგაზრდა პროზაიკოსების ტექსტებშია წარმოდგენილი: „არაგვისპირელს ბედმა არგუნა ჩვენ მწერლობაში ახალი ხანის დაწყება <...> ის ჩვენ ლიტერატურაში ფილოსოფიურ-ფსიქოლო-გიური მიმართულების შემოტანია <...> და კველაზე უფრო ღრმა ფსიქოლოგი და ყველაზე უფრო სერიოზული მორალისტი ამ სიტყ-ვების საუკეთესო მნიშვნელობით“ (აბაშიძე 1962: 426). კრიტიკოსი კარგად აცნობიერებს, რომ ახალთაობის ავადმყოფი სულისა და შფოთვა-ვაების დასურათება ავტორს ხშირად „უხერხულ ეფექ-ტებსაც“ უქმნის. არაგვისპირელის სკოლის გამგრძელებლებად კიტა აბაშიძე ახალგაზრდა მწერლებს – ილია ზურაბიშვილსა და ან.დეკანოზიშვილს მოიაზრებს. მკვლევარის მტკიცებით, არაგვის-პირელთან (ყველაზე უფრო სრულად – თ.ც.) და მის თანადროულ ავტორთა ტექსტებში მკვეთრად ისახება დაეჭვებულობა და მნარე სკეპტიციზმი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო იმ ეპოქის ახალგაზრდა ქართველი მწერლებისათვის. ამასთან დაკავშირე-

ბით, მოგვყავს ამონარიდი კიტა აბაშიძის მეორე წერილიდან „XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის“ (1901), სადაც კრიტიკოსი კვლავ უბრუნდება თერგდალეულებსა და ახალთაობას შორის სხვაობის საკითხს და გადაჭრით ასკვნის: „თუ ილია გვიჩვენებს სასოებისწარმკვეთ სურათს, მაგრამ გვაფრთხილებს კიდეც, რომ ცხოვრებიდან გაქცევა შეუძლებელია და ცხოვრების მძიმე ტვირთვის ზიდვა აუცილებელი, ახალგაზრდებს ეს პესიმიზმი მთელ ცხოვრებაზე გადააქვთ და უარყოფითად ეპყრობიან თვით აზრს კაცისას და ამ აზროვნებით შექმნილ ლოგიკურ კატეგორიებს“ (აბაშიძე 1971:277). ეს სიტყვები კიტა აბაშიძის იდეური პოზიციის დასტურია.

კრიტიკოსს არაგვისპირელის პროზის მეორე არსებით თვისებად ორი ლიტერატურული მიმდინარეობის – რომანტიკული და რეალისტური სკოლების ზეგავლენა მიაჩნია: „მისი ნაწარმოებები ორი დიდი ლიტერატურული სკოლის ელემენტების შემაერთებელია“ (აბაშიძე 1962: 421). არაგვისპირელის შემოქმედების შეფასებისას აბაშიძე კიდევ უფრო შორს მიდის და მას ლიტერატურაში ახალი მიმართულების „გამომხატველად რაცხავს“, მისი დაკვირვებით, მწერალი „სიმბოლიზმის იმ შტოს განკუთვნება, რომელსაც ჩვენ ნეორომანტიზმს ვუწოდებთ“. „ნეორომანტიზმის“ დეფინიცია პირველმა კიტა აბაშიძემ შემოიტანა ქართულ კრიტიკულ დისკურსში და მას, შემდგომ ვახტანგ კოტეტიშვილმაც გაიმეორა. აბაშიძის მტკიცებით, სწორედ შიო არაგვისპირელია მეთაური ახალი თაობის ქართველი მწერლებისა, ვინც ქმნის „იმ ნაწილებს, იმ სხვადასხვა ძაფს მიმართულებისას, რომლისგანაც უნდა აღმოცენდეს ჩვენი ახალი ლიტერატურა“. კიტა აბაშიძემ დაგვიტოვა არაგვისპირელის მხატვრული ტექსტების სილრმისეული ანალიზი და ამავე წერილებში გამოთქვა არაერთი საყურადღებო მოსაზრება 90-იანი და 900-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ პროცესზე.

კიტა აბაშიძის კრიტიკულმა ნარკვევმა დავით კლდიაშვილზე შექმნა მყარი საფუძველი, რომელზედაც დამკვიდრდა მწერლის ტექსტების შემდგომი რეცეფცია. ძირითადი, დროით აპრობირებული და საყოველთაოდ გაზიარებული კრიტიკული აზრი აბაშიძეს ეკუთვნის. მკვლევარი კლდიაშვილის პორტრეტს მწერლისავე

სიტყვებით იწყებს, რაც ერთგვარი კრიტიკული კამერტონის მნიშვნელობას იძენს: „ეს კაცი პირდაპირ შეგეცოდებოდა, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო“. აბაშიძემ, თვითონაც იმ კუთხის შვილმა, სადაც კლდიაშვილის პერსონაჟები ცხოვრობდნენ, ადვილად შეიცნო „შემოდგომის აზნაურების“ ტრაგედია და პირველმა გამოიყენა კრიტიკაში მწერლის განსაზღვრება პერსონაჟთა გარკვეული ტიპის დამახასიათებელ ლიტერატურულ ტერმინად. სწორედ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანთა ტრაგიზმი ათქმევინებს კრიტიკოსს, რომ კლდიაშვილის მთელი ეს დრამა ხელმოკლე კაცის ცხოვრების ნიადაგზეა აღმოცენებული, რომ ესაა კოლორიტული ფერწერულობით შექმნილი ეპოპეა გაჭირვებული და გაღატაკებული ადამიანებისა და დაუსრულებლად გაგრძელებული ურთიერთმოტყუების ჯაჭვური რეაქცია. აბაშიძე, კლდიაშვილის მსგავსად, თანაუგრძნობს შემოდგომის აზნაურებს, რადგან მათ უამრავი შრომა, ზნეობრივი და საზოგადოებრივი კომპრომისი სჭირდებათ ცხოვრებაში თავის გასატანად, მაგრამ კრიტიკოსისათვის ადამიანი მშვენიერი უნდა იყოს, მან თავი არ უნდა დაუხაროს ცხოვრების ულმობელ კანონს: „ცხოვრებას ქმნის, ცხოვრება ნინ მიყავს აღშფოთებულ მეომარ მონას“. ამ სიტყვებში მოჩანს აბაშიძის კრედიტი ერთერთი ძირითადი დებულება, რომელიც ილია ჭავჭავაძის აქტიური მოქმედებისაკენ მოწოდებას გვაგონებს. კლდიაშვილს კრიტიკოსი ფსიქოლოგიურ-რეალისტურ სკოლას აკუთვნებს (საბჭოთა კრიტიკა არაგვისპირელსაც და კლდიაშვილსაც კრიტიკული რეალიზმის ნარმომადგენლებად მიიჩნევდა – თ.ც.): „მწერალი ჩვენი ხალხის გარეგან მოვლენათა მაგიერ სულიერ მდგომარეობას გვიხატავს და ამით ფსიქოლოგ-რეალისტობს, თანაც მისი სიბრალულით აღსავსე ირონია ფილოსოფიურ-პესიმისტურ სახეს აძლევს მის მოთხოვნებს“ (აბაშიძე 1971: 262). კიტა აბაშიძე იყო პირველი, ვინც ილია და კლდიაშვილი ერთმანეთს შეადარა. მიუხედავად მნიშვნელოვანი სხვაობისა, ის დავით კლდიაშვილს ილია ჭავჭავაძის პირდაპირ მემკვიდრედ აცხადებს. კრიტიკოსის თვალსაზრისით, სოციალური უკულმართობა ილიას ეპოქასთან შედარებით, კლდიაშვილის ეპოქაში კიდევ უფრო გაზრდილია. თუ ილია ადამიანის სიბინძურეს გვიხატავს და კაცის შენდობასა და შებრალებას დამამცირებლად მიიჩნევს,

კლდიაშვილის სოციალურად ტანჯული გმირები კი ტალახში სვრიან ადამიანის დიდებულ სახეს, მაგრამ მწერალი მაინც იცოდებს მათ. აბაშიძისათვის ილიას დრო იყო ადამიანის ყოვლის-შემძლეობაში დარწმუნების ხანა, ხანა ენერგიისა და იდეალებისა, ხოლო კლდიაშვილი ადამიანის სასოწარკვეთილების პერიოდშია დაბადებული და გაზრდილი, როდესაც ადამიანი საწყალი, ბეჩავი და უძლური ქმნილებაა. საგულისხმოა, რომ აბაშიძეს, კლდიაშვილის დარად, ადამიანი მიუხედავად ყოველგვარი საზიზღრობისა, მაინც შესაბრალისად ესახება, რადგან მის ცოდვებში დიდი წილი საზოგადოებასა და მის ყოველ წევრს მიუძღვის. კიტა აბაშიძე ჭავჭავაძისა და კლდიაშვილის მსგავსებისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჭავჭავაძე საზოგადოების ბედსა და იღბალს ადამიანისა და „მისი პირადობის განკარგულებისა და უფლების ქვეშ“ აყენებს, კლდიაშვილი კი კაცის ავსა და კარგს საზოგადოების ან პირადობისაგან დამოუკიდებელ გარემოებას აპრალებს. სწორედ ამაში ხედავდა კრიტიკოსი ილიასა და კლდიაშვილის სატირის განსხვავებულობის მთავარ მიზეზს. ჭავჭავაძის სატირა მას ვოლტერის უსასტიკეს სატირას აგონებს, კლდიაშვილი კი დიკენსისა და თეკერეის ნაზ, გრძნობიერ იუმორს ახსენებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აბაშიძე თავის ეტიუდებში ქართულ მწერლობას ისტორიულ-შედარებითი მეთოდით განიხილავს (ბარათაშვილი – მიცკევიჩი, ბარათაშვილი – ბაირონი, ილია – ფლობერი, გ. წერეთელი – ზოლა.), მამ თავის პრინციპებს არც კლდიაშვილის პროზის შეფასებისას უდალატა. ქართულ კრიტიკაში ქრესტომათიურ ჭეშმარიტებად ქცეული კლდიაშვილის მსგავსება დიკენსსა და თეკერეისთან პირველად აბაშიძემ მიაწოდა მკითხველს. აქვე გვინდა გავიხსენოთ კრიტიკოსის გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები, რომ საკმარისია ჩვენში რომელიმე ევროპელი სახელგანთქმული მწერალი ახსენო და მასთან ერთად ჩვენი რომელიმე მწერლის სახელიც მოიხსენიო, რომ: „მაშინვე ყიუინას დაგაყრიან, ესა და ეს მწერალი დიდებულ ევროპელ მწერალს შეადარა და იმაზე მაღლა დააყენაო. საუბედუროდ ასეთ მოყიუინეთა გუნდი საკმაოდ დიდია <...>, ჩვენ სრულიადაც არ გვაქვს სახეში ამ მწერალთა ერთმანეთთან დაპირდაპირება ან მათი ნიჭის ერთმანეთთან შედარება, რომ ერთი მეორეზე მაღლა ან დაბლა დავაყენოთ“

(აბაშიძე 1971 :209). კიტა აბაშიძემ დავით კლდიაშვილის კრიტიკული რეცეფციის ის მოდელი მოგვცა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ქართულმა კრიტიკამ გაიზიარა კლდიაშვილის გმირების აბაშიძისეული კონცეპტუალური თვალსაზრისი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კიტა აბაშიძის ორი წერილი („ჩვენი ლიტერატურული ზე-ჩვეულებანი“, 1909 და „ჩვენი ახალგაზრდა მნერლები“, 1913), სადაც ის ვრცლად განიხილავს სანდრო შანშიაშვილის თხზულებებს. აბაშიძე არ იყო დაზღვეული შანშიაშვილის გადაჭარბებული შეფასებისაგან, მაგრამ ეს ის კეთილგანწყობა და ყურადღებაა, რომელსაც კრიტიკოსი ყოველთვის იჩენდა დამწყები ახალგაზრდა მნერლებისადმი – „ჩემი რწმენა ყოველი მნერლის მიმართ კეთილი უნდა იყოს და ნაყოფიც კეთილი გამოილოს“ – ასეთი იყო კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის პოზიცია. აბაშიძის ოპონენტები ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა ავტორების ქადაგი „დამღუპველი სენი“ იყო და კიტას მათ „მესაფლავებას“ აბრალებდნენ. კრიტიკოსი მღელვარებით შენიშნავდა, რომ მესაფლავე თვით საზოგადოებაა: „შურით აღსავსე წუმპე და ჩვენი მნერლობა ჯაჭვებით აღსავსე ჯოვანოხეთი“.

სანდრო შანშიაშვილისათვის მიძღვნილ წერილებში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კრიტიკოსის მსჯელობა ლიტერატურულ ურთიერთობებზე\*. აბაშიძემ, ერთ-ერთმა პირველმა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, მეცნიერულ საფუძველზე წამოჭრა იმ დროისათვის საქმაოდ აქტუალური (არამარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპისათვის) ლიტერატურული ურთიერთობების – ლიტერატურათა ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგამდიდრების პრობლემა. ამ საკითხის აღძვრის საბაბი ზოგიერთი კრიტიკოსის მხრიდან შანშიაშვილზე უსამართლო თავდასხმა იყო, რომელსაც ფრანგი მნერლის როსტანის პლაგიატობას აბრალებდნენ. აბაშიძის შეხედულება ლიტერატურის ამ კარდინალურ საკითხზე უაღრესად მართებულია. ბუნებრივია, რომ მას, დღევანდელ თვალსაზრისთან შედარებით, პრობლემა რამდენადმე უფრო ვიწროდ ესმოდა და ლიტერატურული ურთიერთობის გან-

\* იხ. Модебадзе И. Цицишвили Т. Становление грузинского литературоведения и теория компаративистики. (Страницы истории: Кита Абашидзе). ‘Caucasus Philologia‘. 1(5) 2009. Пятигорск. 2009. 25-40.

საკუთრებით ერთ ფორმას, მხოლოდ ლიტერატურულ გავლენებს უსვამდა ხაზს. გავლენების, როგორც მსოფლიო ლიტერატურული პროცესის, ისე ყოველი ეროვნული ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად მიჩნევა უდავოდ სწორი პოზიციაა (ეს შეხედულება დამკვიდრებული იყო იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც, ხოლო აბაშიძემ უფრო სწორად წარმოსახა ეს პრობლემაა, ვიდრე იგი ზოგიერთ იმ ეპოქის ქართველ და ევროპელ კრიტიკოსს ჰქონდა წარმოდგენილი – თ.ც.). აბაშიძის აზრით, იდეა არ შეიძლება შეიქმნას ერთი რომელიმე ერის მიერ, იგი მთელი კაცობრიობის მოღვაწეობის ნაყოფია და ერთი მეორის დახმარებითაა შექმნილი: „აზრთა ზრდისა და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ძნელია ამა თუ იმ აზრის, იდეის პირველშექმნების მიგნება“ და სადამდეც კი „წვდება ჩვენი გონება, ვამჩნევთ, რომ აზრი გავრცელებული ამა თუ იმ ერში, არის შედეგი მეორე ერის ზემოქმედებისა, სხვა ერის ლიტერატურისა და გონების წანარმოების შესწავლის შედეგი“ (აბაშიძე 1971: 344).

აბაშიძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ლიტერატურული სესხება არასოდეს არ დაიყვანება სტიქიურ, უბრალო ასლგადალებამდე, რომ იგი ყოველთვის გამიზნული და გააზრებულია. ამასთან და-კავშირებით კრიტიკოსი გვიხსნის, რომ არც ერთი ერი არ სესხულობს მეორისგან აზრს ბრმად, თუთიყუშივით კი არ იმეორებს მას, არამედ წასესხებ აზრსა თავისებურებ ბეჭედს ასვამს და თავისებური სამოსელით მოსავს და იმდენად განასხვავებს, რომ თუ ღრმად არ ჩავუკვირდით, „თუ თანდათანობით არ ვსდიეთ ამ აზრის წვრთნასა და აღზრდას, ვერც კი გაიგებთ, საიდან წარმოსდგა იგი <...>, იდეათა განვითარება ყოველთვის მოდიოდა მიმბაძველობისა და წინააღმდეგობის გზით“ (აბაშიძე 1971: 343-345). აბაშიძის კატეგორიული მტკიცებით, სიუჟეტური ქარგის მსგავსება სრულია-დაც არ ნიშნავს წასესხობასა და მსგავსი თხზულების „ურთიერთი-საგან წარმომავლობას“ (იმუამინდელი ქართული კრიტიკისათვის უმრავლეს შემთხვევაში ყოველგვარი „ლიტერატურული სესხება“ პლაგიატობად იყო აღქმული). კრიტიკოსისათვის ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია მწერლის ინიციატივა და ის მნიშვნელოვანი გარემოება, თუ რამდენად გადასხვაფერებული იქნება ის აზრი და ფორმა, რომელიც მიმბაძველობით შექმნა ავტორმა. სწორედ ამის

მიხედვით უნდა ფასდებოდეს მწერლის ნიჭი – დარწმუნებულია კრიტიკოსი. მსოფლიო ლიტერატურისა და ნებისმიერი ნაციონალური ლიტერატურის განვითარების პროცესში ლიტერატურული გავლენების მნიშვნელოვან ფაქტორად აღიარება და დასაბუთება, ცხადია, ქართული კრიტიკის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. აბაშიძე ერთიმეორისაგან განარჩევს კომპარატივისტიკის ფუნდამენტურ ცნებებს, როვორიცაა: ლიტერატურული გავლენები, სესხება, მიბაძვა. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მსგავსი დიფერენციაცია და მათი თეორიული გააზრების მცდელობა არამარტო აბაშიძის, არამედ იმდროინდელი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის უდავო მიღწევაა. კიტა აბაშიძე თავის კვლევებში იყენებდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ევოლუციურმა სწავლებამ განაპირობა მისი თვალსაწიერის თავისებურება. ნებისმიერი ლიტერატურული მოვლენის შეფასებისას ის ცდილობდა მის განხილვას ზოგადი ლიტერატურული პროცესის ჭრილში და ევროპულ (უმეტესწილად ფრანგულ) ლიტერატურაში მიმდინარე მოვლენებს ადარებდა. ცნობილია, რომ შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა), როგორც მეცნიერების დარგი, ევროპაში XIX საუკუნის მიწურულს იწყებს განვითარებას. კიტა აბაშიძე ამ საკითხებით XX საუკუნის დასაწყისში დაინტერესდა. კრიტიკოსის მიერ ლიტერატურული პროცესისა და მწერლობის ისტორიისადმი ასეთი მიდგომა სრულიად შეესაბამება იმდროინდელი ევროპული მეცნიერული აზროვნების დონეს. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ აბაშიძე იყო პირველი, ვინც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კომპარატივიზმის თეორიული საფუძვლები დაამკვიდრა.

კაცობრიობის არსებობის ისტორიის მანძილზე განსხვავებულ კულტურულ ეპოქებში, ერთი და იგივე არქეტიპური სიტუაციის, მოტივისა და სიუჟეტის ინტერპრეტაციისას ვლინდება კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი კულტურული მენტალობა და ავტორის სუბიექტური პოზიცია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა მსგავსებასა და განსხვავებაზე ფიქრი და მსჯელობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნაციონალური იდენტობის ძიებასთან, რამაც ფართო გამოხმაურება პპოვა მსოფლიო და მათ

შორის, ქართულ ლიტერატურაში. ძალზედ ხშირად დასავლეთ-აღ-მოსავლეთის ოპოზიცია „ჩვენიანი-უცხო“ ოპოზიციის გაგებასთან იგივება და მხატვრულად აისახება განსხვავებული მენტალობით გამოწვეულ კონფლიქტებსა და ნაციონალურ ხასიათში. ეს პრობ-ლემა განსაკუთრებული სიმძაფრით მე-20 საუკუნის დასაწყისში იჩენს თავს, როდესაც დიქოტომიაში დასავლეთი-აღმოსავლეთი აშკარად იკვეთება ცივილიზაცია – ველურობის (აღქმული, რო-გორც ბუნებრიობა, სიახლოე პირველსაწყისთან) სიმბოლური ცნებები. ქართულ მწერლობა მეოცე საუკუნის დასაწყისში ანტი-კური ცივილიზაციის მემკვიდრეობით, ბერძნულ-რომაული მი-თოლოგითა და მხატვრული ლიტერატურით ინტერესდება. ამ კულტურულ ფონზე ჩვენ ყურადღებას იპყრობს სანდრო შანშიაშ-ვილის (შვეიცარიაში ყოფნის პერიოდში) ბერძნულ მითებზე შექმ-ნილი პოემები: „მედეა“, „რენე და დემეტიკა“ და „პარისი და ელე-ნე“. ამ პოემებიდან გამოყოფილ „მედეას“. ტექსტში მედეას სახის რეცეპცია მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურული მენტალობის პოზიციიდანაა დანახული. კიტა აბაშიძის თვალსაზ-რისით, ბერძნები მედეაში უცხო (არა ბერძენ) ბარბაროს ხედავენ, „წრეგადასულ, არაადამიანურად გაბოროტებულ ქალს“ და ამი-ტომაც კოლხი მედეას „დამცირებასა და გაუპატიურებასაც არ ერ-იდებიან“, თვით იაზონი მას ველური ქვეყნიდან ჩამოსულ ურჩხუ-ლად და ბარბაროსად მოიხსენიებს, „ელინთ თქმულება მას ყოველ ცუდ საქმეს აკისრებინებს“. შანშიაშვილისათვის კოლხეთის ველურ ქვეყნად მოხსენიება მიუღებელია. კრიტიკოსი მწერალს პოზიციას უწონებს, რადგან ავტორი უფრო საღი თვალით უყურებს მოვლე-ნებსა და ცვლილება შეაქვს ამ „ზღაპრულ გადმოცემაში“. მისი მედეა ბევრად ადამიანურია და ქართველის „გულსა და გონებას უფრო ხვდება“. „ეჭვი არ არის, ჩვენ მგოსანს უნდოდა მედეა და მისი ამბავი მრავალგვარად მოტყუებული და გაბაიბურებული საქართ-ველოს სიმბოლურ სახედ შეექმნა“ (აბაშიძე 1971: 464). „მედეაში“ ცოლ-ქმრული ოჯახური კონფლიქტი სხვადასხვა „ქცევითი მო-დელის“ (ემოციურობა – თავშეკავება) დაპირისპირებაში გადაი-ზარდა. კიტა აბაშიძის წერილში აშკარად იგრძნობა შეხმიანება მე-19, მე-20 საუკუნეების მიჯნაზე საერთოევროპული კულტურ-

ული კონტექსტისათვის დამახასიათებელ მსჯელობასთან თემაზე – აღმოსავლეთი და დასავლეთი (გრძნობა და რაციო)\*.

მეოცე საუკუნის დასაწყისში იოსებ გრიშაშვილის პოეზიის გარშემო ატეხილი ცხარე კამათის მთავარი მიზეზი პოეტის „სა-სიყვარულო ლირიკა“ გახლდათ. კამათში სხვადასხვა თაობისა და შეხედულების მქონე ლიტერატორები იღებდნენ მონაწილეობას. გრიშაშვილის პოეზიაში არსებულმა „შედარებით თამამმა ეროტი-ულმა ნაკადმა“ ურთიერთსანინააღმდეგო, ხშირ შემთხვევაში ურ-თიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი დაამკვიდრა. ერთი მხარე, მის პოეზიას, როგორც წმინდა წყლის პორნოგრაფიას, ისე უყურებდა, მეორე მხარე კი მას „მაღალი რანგის ეროტიულ პოეტად“ მიიჩნევდა. გრიშაშვილის თანადროული ქართული კრიტიკა ხშირ შემთხვევაში ამ ორ ცნებას – ეროტიზმა და პორნოგრაფიას აიგივებდა, ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებდა და მნერლისათვის სამარცხვინო და მიუღებელ მოვლენად სახავდა. კიტა აპაშიძის 1913 წელს დაბეჭდილი წერილი „ჩვენი ახალგაზრდა მნერლები“ მგოსნის ნიჭისა და უნარის პირველი საჯარო გამოცხადება იყო. კრიტიკოსის აზრით, გრიშაშვილის ლექსები ეროტიული ხასიათის პოეზიის ნიმუშებია და მას საერთო არაფერი აქვს პორნოგრაფიასთან. კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ეროტიზმი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში მხოლოდ მოსანონი ფაქტორია, რადგან მნერალი ამ დროს სრულად შეიგრძნობს „მთელ ფატალიზმს სიყვარულისას“. ეროტიზმთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ საფრანგეთში შემდგარი გახმაურებული სასამართლო პროცესი. „მადამ ბოვარის“ ავტორი გუსტავ ფლობერი საბოლოოდ გაამართლეს, მიუხედავად იმისა, რომ რომანში „უბინოების შეურაცხმყოფელი ადგილები“ საზოგადოების მხრიდან სასტიკ გაკიცხვას იმსახურებდა. მნერალმა განაცხადა, რომ პატივს მიაგებს „ზნეობასა და ყოველივეს,

\* იხ. Modebadze I. Tsitsishvili T. Artistic Personification of Opposites: analysis (XXth century Georgian poetry). ჩომპარატივე იტერატურე: რცხვეტყობეს ინ იტერატურე ანდ ჩუქულტურეს. ეტერ ანგ – სტერნატიონალ ცადებიც უბლისპერ. რანცფურტ. ერმანე. 2013. პაგეს 284-297.

ციციბეგილი თ. მოდებაძე ი. „მედეა კორინთოშ“ მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ დისკურსში. მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება. შრუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ. 2012. გვ. 170-177.

რაც რელიგიურ მორალს“ შეეხება. სამაგიეროდ, შარლ ბოდლერი გაასამართლეს „უხეში და შეურაცხმყოფელი რეალიზმისათვის“ და „ბოროტების ყვავილები“-დან ექვსი ლექსი აკრძალეს. გაზეთები წერდნენ, რომ „ბილნი რომანი „მადამ ბოვარიც“ კი „ბოროტების ყვავილებთან“ შედარებით გაცილებით უფრო „მორალური ტექსტია“. ბუნებრივია, რომ იმ პერიოდის საქართველოშიც ლიტერატურაში ეროტიკა მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა.

კიტა აბაშიძე პირველი ქართველი კრიტიკოსია, ვინც მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ეროტიზმსა და პორნოგრაფიას შორის ზღვარი გაავლო. ის სიყვარულს უნიდებს ტაძარს, სადაც სოციალური თუ პოლიტიკური უკულმართობით აღსავს ქვეყნის შვილებს შეუძლიათ ბედნიერება პპოვონ. ეროტიზმის წინ წამოწევას ლირიკაში კრიტიკოსი იმანენტურ, შინაგან ცვლილებებს უკავშირებს, რაც აშკარად ჩანს იმ დროინდელ ქართულ ლიტერატურაში. იოსებ გრიშაშვილს აბაშიძე „ეროტიულ პოეტად“ მოიხსენიებს და სიტყვა ეროტიზმი ვერავითარ სამარცხვინოსა ან დასაწუნებელს ვერ ხედავს. პირიქით, კრიტიკოსისათვის გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა ახალგაზრდა პოეტს ზურგი ექცია და თავი აერიდებინა ამ თემატიკისათვის. მისთვის მთავარია, რომ ეს გრძნობა სრული სინრფელით იყოს შემოსილი და პოეტის შინაგან „მე“-ს ეხმაურებოდეს. „ეროტიული ე.ი. სიყვარულის, ტრფობის, მიჯნურობის მგალობელი პოეტი ყოველივე პატივისცემის ლირსია“, – ასკვნის აბაშიძე.

კიტა აბაშიძემ განსაზღვრა გრიშაშვილის შემოქმედების ეთიკური ასპექტი და მასში ბინიერი ვერაფერი შენიშნა. მაგალითოსათვის მას „ელინთა მთელი კულტურა“ მოყავს, რომელიც სიყვარულის გაღმერთებით იყო ძლიერი, მომხიბვლელი და წარმტაცი. აბაშიძის მტკიცებით, კაცობრიობას არ ექნებოდა პომეროსის „ილიადა“, რომ მისი შემქმნელი გამსჭვალული არ ყოფილიყო ყოვლად ხორციელი, თავბრუდამხვევი, დამათრობელი გრძნობით. კრიტიკოსი ერთმანეთს უპირისპირებს ბიზანტიურ და რენესანსის კულტურას. მას ბიზანტიურ მხატვრობის „დაღმეჭილი“ სახე და „მოკრუნჩხული“ ტანი თვალწინ წარმოუდგენს იმ ადამიანს, ვისაც ცოდვა კისერზე დასწოლია და მისგან საცოდავად იკლაკნება, ხოლო იტალიური რენესანსის- მიქელანჯელოს, ტიციანის, კორეჯოს

და სხვათა მხატვრობაში, ის ლაღ, თავისუფალ, წარმტაც ხორცსა და მის მომაჯადოვებელ ძალას ხედავს, „მათ ხელოვნებას პირუტყვული არაფერი ეტყობა. მათი ნანარმოებები ხორციელების სახით ავლენს ყოველივეს, რაც არის ცხოვრებაში დიდებული და ზეალ-მტაცი“ (აბაშიძე 1971: 477). პორნოგრაფია კრიტიკოსს ეროტიზ-მის ჰიპერტროფიად, გადაჭარბებად და გადამლაშებლად ეჩვენება. აბაშიძისათვის პორნოგრაფიულ ლიტერატურას მგრძნობელობის უაღრესი გაშიშვლება, ფიზიოლოგიური ხორციელების დაუფარავი ჩვენება და ვულგარულობა ახასიათებს. ნიშანდობლივია ის გარე-მოებაც, რომ კრიტიკოსი პორნოგრაფიის გაჩენას დასნეულებულ საზოგადოებას და ზნეობრივი დაცემისა და დაქვეითების ეპოქებს უკავშირებს, როდესაც ადამიანის პირუტყვული თვისებები თავს წამოყოფენ და ავინწყებენ მას ადამიანობას, საშინელი სიმძაფრით აღიძვრიან არაადამიანური მისწრაფებები, „ჭამისა და სმის მადა უძიროა, სქესობრივი ინსტიქტები გამხეცების გზას დაადგებან და იმ უკიდურესობამდე მიდიან, რომ ბუნებრიობასაც გვერდს უქცევს <...>. მთელი სახელმწიფო ერთი პატარა ჯგუფის ქეი-ფზეა დამოკიდებული, ყოველი ადამიანური გრძნობა და უფლება შელახულია და მხოლოდ ამ ჯგუფის კაპრიზებია დაყენებული საკურთხეველზე“ (აბაშიძე 1971: 168. 481). კიტა აბაშიძის თვალ-საზრისით, ეროტიზმი განყენებული ცნება კი არ არის, არამედ ის ცხოველმყოფელი ძალაა, რომელიც ჩვენი ცხოვრების სხვა მოვლე-ნებთან არის დაკავშირებული. კრიტიკოსი გრიშაშვილის ეროტი-კას ალ. ჭავჭავაძის ეროტიკას ადარებს და გვიმტკიცებს, რომ თუ ჭავჭავაძე პირად ქერქში იყო გამომწყვდეული და ცდილობდა თავი გაეთავისუფლებინა იმ საერთო ტკივილისაგან, რაც მას უაღრესად ტანჯავდა, გრიშაშვილი სიყვარულს- სქესობრივ გრძნობას მთელ პრინციპად შექმნის და „ცხოვრების სარჩულად“ აღიარებს. აბაში-ძემ პოეტის ადრეულ ლირიკაში დიდი ზნეობრივი ძალა დაინახა. ეს იყო იმ ფსიქოლოგიური ფაქტორის შემჩნევა, ხაზგასმა, სიყვარუ-ლის ძალისა და მისი ამ ფორმით გამოხატვის როლის მნიშვნელობის აღიარება, რომელიც გრიშაშვილის პოეტურ სამყაროს ახასიათებს. კრიტიკოსმა „მიწიერში“ მხოლოდ სიმაღლე და სიფაქიზე დაინახა\*.

\* იხ. ციციშვილი თ. ოსებ გრიშაშვილის „ეროტიკული ლირიკის“ კრიტიკული რეცე-ფცია, როგორც იმდროინდელი სოციო-კულტურული პროცესების მჩვენებელი (10-იანი და 20-იანი წლები). ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემე-

კიტა აბაშიძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ლიტერატურულ სივრცეში მიხეილ ჯავახიშვილის გამოჩენა და მას ერთერთი პირველი, მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი წერილით გამოეხმაურა. კრიტიკოსს ამჯერადაც არ უმტყუნა ალლომ, როდესაც ჯავახიშვილი ახალგაზრდა მწერალთა შორის გამოარჩია, „უეჭველი დიდი ნიჭი“ უწინასწარმეტყველა და მკითხველის ყურადღება მხატვრის საუცხოო, თავისებურ წერის მანერაზე გაამახვილა. აბაშიძის შეფასებით, ჯავახიშვილის წერის მანერაში „ნატურალიზმი და რომანტიზმია, „შედუღაბებული“. კრიტიკოსს ამ მანერით დაწერილად ესახება „უპატრონო“, „ჩანჩჩურა“, „მეჩექმე გაბო“. ჯავახიშვილის „თავდავიწყება“ მისთვის იდეალური მხატვრული ტექსტია, რადგან აბაშიძის კონცეფციის თანახმად, ხელოვნური ნანარმოები, რომელსაც ძლიერი ვნება არ ამოძრავებს, მკვდარია, რადგან ტექსტში ყოველთვის ვნებების სხვადასხვა მხარის ძლიერი და შეუდარებელი „მხატვრული გაგება და ანალიზი“ უნდა იყოს მოცემული.

რაც შეეხება კიტა აბაშიძის დამოკიდებულებას ცისფერყან-ნელებისადმი, ვის პოეზიასაც ის მომავალი ქართული ლიტერატურის „ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკვლად“ მოიაზრებს, ჩვენ არ ვეხებით ამ საკითხს, რადგან ქართულ კრიტიკულ დისკურსში ამ თემას არაერთი საგულისხმო წერილი ეძღვნება.

კიტა აბაშიძის მსოფლმხედველობა, პოლიტიკური მოღვაწეობა, ფედერალისტობა (ის ატიურად იყო ჩაბმული პარტიათა შორის გამართულ პოლემიკაში), დაუფარავი ევროპოცენტრიზმი, რუსეთის კოლონიური რეჟიმის ნინააღმდეგ შეურიგებელი პოზიცია საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის გარკვეულ ეტაპზე მას მიუღებელ ფიგურად ქმნიდა. კრიტიკოსის პოზიცია ნათლად ჩანს მოყვანილ ვრცელ ამონარიზმი: „რუსეთმა თავისი ლიტერატურა სწორედ მახვილით გააგრცელა, იმ აზრით, რომ რაკი რუსეთმა პოლიტიკური ძლიერება მოიპოვა, მისი ლიტერატურაც საყურადღებოდ შეიქმნა“ (აბაშიძე 1971: 290). „ჩვენი ლიტერატურა დიდ-სა და უდიდეს კრიზისს განიცდის. რუსეთის ლიტერატურისა და ცხოვრების აყვავება ჩვენთვის დიდად საშიშარი „მტერია“. თავის დღეში რუსეთის გარყვნილი ბიუროკრატია იმ დღეს ჩვენ ვერ დაგ-

ბი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ. 2010. გვ.480-491.

ვაყენებდა გარუსებისა და გადაგვარების მხრივ, რასაც ახალი რუსეთი გვიზამს. ძველი რუსეთი საერთო ზიზღს იწვევდა ყველა დამონებულ ხალხში <...> ადვილი შესაძლებელია, ის რაც ვერ შესძლო ცეცხლმა და მახვილმა მშვიდობიანმა განწყობილებამ მოახდინოს და ჩვენი ლიტერატურა და კულტურა საუკუნოდ დასახირდეს“ (აბაშიძე 1971: 321). ამ სიტყვებს რეჟიმი არასოდეს დაუვიწყებდა. კიტა აბაშიძე იყო პირველშემფასებელი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურულ სივრცე ში მიმდინარე პროცესებისა, მან უდიდესი მისია შესრულა ეროვნული მწერლობის სისტემური კულტურის სფეროში და ქართული სალიტერატურო კრიტიკა შესაბამისობაში მოიყვანა იმდროინდელ მსოფლიო კრიტიკულ და მეცნიერულ აზროვნებასთან. ჩვენ ვეთანხმებით მანანა კვატაიას პოზიციას, რომ კიტა აბაშიძის „ეტიუდები“ „ქართული მწერლობის ნაციონალური კანონის ჩამოყალიბებასა და რეფორმირებასაც ემსახურებოდა“ (კვატაია: 2017: 254). კიტა აბაშიძესთან მიმართებაში ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ აბაშიძე იყო პირველი ქართულ კრიტიკაში და მართლაც ის იყო პირველი ლიტერატურათმცოდნე, ვინც მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ კრიტიკულ დისკურსში ზემოთმოყვანილი საკითხები საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა. ნერილი გვინდა დავამთავროთ კონსტანტინე გამსახუდიას სიტყვებით, რომ კიტა აბაშიძის დადგმულ სამანებს ძვრა ვერავინ უყო ჩვენს მწერლობაში.

#### დამოცვებანი:

**აბაშიძე 1971:** აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1971.

**აბაშიძე 1962:** აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1962.

**კვატაია 2017:** კვატაია მ. „კიტა აბაშიძე – ახალი ქართული ლიტერატურული კანონის რეფორმატორი“. ლიტერატურული ძიებანი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2017.

**მოდებაძე ... 2009:** Модебадзе И. Цицишвили Т. *Становление грузинского литературоведения и теория компаративистики. (Страницы истории: Кита Абашидзе).* “Caucasus Philologia“. 1(5) 2009. Пятигорск. 2009.

**მოდებაძე ... 2013:** Modebadze I. Tsitsishvili T. *Artistic Personification of Opposites: analysis (XXth century Georgian poetry)*. Comparative Literature: Archetypes in Literature and Cultures. Peter Lang – International Academic Publisher. Frankfurt. Germany. 2013.

**ციციშვილი ... 2012:** ციციშვილი თ., მოდებაძე ი. „მედეა კორინთოში“ მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ დისკურსში. მითოსური აზროვნება, ფოლ-კლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოც-დილება“. შ.რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. V საერთა-შორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი: 2012.

**ციციშვილი 2010:** ციციშვილი თ. „იოსებ გრიშმაშვილის „ეროტიული ლირიკის“ კრიტიკული რეცეფცია, როგორც იმდროინდელი სოციო-კულტურული პრო-ცესების მაჩვენებელი (10-იანი და 20-იანი წლები)“. ლიტერატურათმცოდნე-ობის თანამედროვე პრობლემები. შ. რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. III საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი: 2010.

## ნონა კუპრეიშვილი

### კიტა აბაშიძე – ქართული მოდერნიზმის ნინამორბედი

„სიმბოლიზმს ჩვენში... თავისი დასტური უთხრეს არჩილ ჯორ-ჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესტეტიური კულტურა გრ. რობაქიძემდე...“ – ტიციან ტაბიძის დღეს უკვე ქრესთომატიულად ქცეული ამ სიტყვებით დამკვიდრდა ჩვენი თაობის მეხსიერებაში კიტა აბაშიძის სახელი (ტაბიძე 1916: 123). „ცისფერყანწელთა“ მიერ თავიანთ საპროგრამო წერილში მისი მოღვაწეობის ასეთი შეფასება, ცხადია, პირდაპირპროპორციული იყო ახალი თაობის მომავალი შემოქმედებითი ცხოვრების მართებული პროგნოზირებისა, რომლის დემონსტრირება მაშინ კიტა აბაშიძემ მოახდინა. ამგვარი რამ კი, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ კულტურულ გარემოს, არც თუ ისე ადვილი განსაჭვრეტი იყო.

გიორგი აბაშიძე, რომელმაც ყველაზე ვრცელი ნაშრომი უძლვნა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ამ გამორჩეულ მოღვაწეს (გ.აბაშიძე, კიტა აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ. 1964), საგანგებოდ საუბრობს კიტა აბაშიძის შემოქმედებისადმი ქართული საბჭოთა ლიტმცოდნების დამოკიდებულების (ეს კი, ფაქტობრივად, ობიექტური და სრული კვლევა-ძიების ტაბუირებას გულისხმობს) რეალურ მიზეზებზე: ა) კიტა აბაშიძის სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრობა, რის გამოც მას „იდეალისტსა და რეაქციონერს“ უწოდებდნენ; ბ) ფრანგი ფილოსოფოსის ფერდინანდ ბრუნეტიერის ევოლუციის თეორიის მიმდევრობა, რაც იდეალისტური ფილოსოფიის მიმდევრობას ნიშნავდა და არანაკლებ მიუღებელი იყო წითელი რეჟიმისთვის. ამასთან საგულისხმოა, რომ მეორე მაინც პირველის გადასაფარად იყო გამოყენებული და მეცნიერული მიდგომის იმიტაციას წარმოადგენდა. აქვე შეიძლებოდა დაგვემატებინა ილიას მკვლელობისადმი მიძღვნილი კიტა აბაშიძის ცნობილი პუბლიცისტური წერილი „ჯვარს აცუებენ“ და მივიღებდით სრულ ჩამონათვალს იმ პრე-

ტენზიებისა, რომელიც წლების მანძილზე შეუძლებელს ხდიდა მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობის ადეკვატურ ანალიზს.

არადა, კიტა აბაშიძის არა მარტო ლიტერატურულ-პუბლიცისტური, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ თავის დროზე ბევრი თანამედროვე წერდა: მაგ., დავით კლდიაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, შალვა ამირეჯიბი, დიმიტრი უზნაძე, კონსტანტინე გამსახურდია. დიმიტრი უზნაძე, მაგალითად, კიტა აბაშიძეზე საუბრობს როგორც ორი საუკუნის მიჯნის „ქართული კულტურის უძლიერეს პიროვნულ ფაქტორზე“, რადგან მრნამსით ილიელი, განათლებით ევროპული ტიპის ინტელექტუალი, კიტა აბაშიძე სავსებით ლოგიკურად იქცა ქართული მწერლობის ისტორიის ანალიტიკოსად და სისტემატიზატორად, მის მიერვე შექმნილ „მართებულ ევროპაცენტრისტულ კონტექსტში ქართული ლიტერატურული კანონის რეფორმატორად“ (კვატაია 2017: 261). სხვათა შორის, ევროპაცენტრისტული კონტექსტის სწორად შეფასების უნარი, რომელიც გამოარჩევდა კიტა აბაშიძეს და რაც ჩვენი კულტურის ფართოდ გააზრების ერთადერთი სწორი მიმართულება იყო, თურმე ნუ იტყვით, საკუთარი ერის შემოქმედებით უნარში ღრმად დაჭრებულ მონიჰილისტობის „შეურაცხყოფას“ აყენებდა. კიტა აბაშიძე წერილში „ეკატერინე გაბაშვილის მოთხოვნაზე“ დაუფარავად და გულისტკივილით აღნიშნავს კიდეც ამ ფაქტს: „ჩვენში საკმარისია ახსენო რომელიმე ევროპიელი სახელგანთქმული მწერალი და მასთან ერთად ჩვენი რომელიმე მწერლის სახელიც მოიხსენიო, მაშინვე ყიუინას დაგაყრიან: ესა და ეს მწერალი ამა და ამ დიდებულ ევროპელ მწერალს შეადარა და იმაზეც მაღლა დააყენაო. საუბედუროდ, ასეთ მოყიუინე გუნდთა რიცხვი საკმაოდ დიდია ჩვენს დაქვეითებულსა და გადაგვარებულ საზოგადოებაში...“ (აბაშიძე 1971: 202).

საბედნიეროდ, თანამედროვე მკვლევრებმა (თ. ციციშვილი, ლ. ავალიანი, თ. ვასაძე, ბ. წიფურია, მ. ჯალიაშვილი, მ. კვატაია) ღრმად შეისწავლეს და განსხვავებული რაკურსით წარმოადგინეს კ. აბაშიძის ნაშრომები. პირველ ყოვლისა, გამოიკვეთა ქართული ლიტერატურული პროცესის უწყვეტობისა და მთლიანობისთვის

„ეტიუდების“ მნიშვნელობა. ეს იდეა გამყარებული იყო ბრუნე-ტიერის ნაშრომზე „გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში“ დაყრდნობით. ავტორისეული კონცეფცია კი ცხადყოფდა ევროპუ-ლი ლიტერატურული მიმდინარეობების (იგულისხმება რომანტიზ-მი, რეალიზმი, სიმბოლიზმი) ძირითადი პრინციპებისადმი ქართუ-ლი მწერლობის ერთგულებას, უფრო ზუსტად კი თანმიმყოლობას, მათი ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეალების ათვისების საკმაოდ ორიგინალური პრაქტიკის დამკვიდრებას.

კიტა აბაშიძის ერთგვარი წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ რეალიზმი, მით უფრო ნატურალიზმი, აუცილებლად უნდა ჩანაცვლებულიყო პარადიგმატულად მკვეთრად განსხვავებული მოდერნიზმით, სწორედ ლიტერატურის ევოლუციური განვითა-რების იდეის გამოძახილი იყო. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის კიდევ ერთი ლიდერი არჩილ ჯორჯაძე თავის „ნერილებ-ში ხელოვნებაზე“ ამის შესახებ ბევრს და არგუმენტირებულად წერდა. კიტა აბაშიძეც სრულად იზიარებდა არა მარტო ლიტერა-ტურის, არამედ კულტურის სხვა სფეროების განახლების, მათი ევროპეიზების დროის მიერ მკვეთრად დასმულ მოთხოვნებს. იგი უშეცდომოდ მიანიშნებდა იმ წინაპირობებზე, რომლებიც მოსა-ლოდნელ ცვლილებას განაპირობებდნენ. აი, ერთი ასეთი შეფასე-ბა: „მშრალი სენტენცია, დოგმატური მოძღვრება ჩვენს დროში, როცა ყოველივე რწმენა ეჭვის ქვეშ არის დაყენებული, აღარავისთ-ვის არაფერ საინტერესოს შეადგენს. შაბდონური ჭეშმარიტება აღარავის ყურადღებას არ იპყრობს. მეცნიერებამ და ფილოსო-ფიამ ისე გაგვითართოეს ჩვენი მხედველობის არე, რომ ძნელად დაგვაინტერესებს ვინმე რაიმე მოვლენის ფოტოგრაფიული გად-მოღებით. ფოტოგრაფია კი არა სინემატოგრაფიც ვერ გვაკმა-ყოფილებს, რადგან ხილული მოვლენების ქვეშ უხილავს ვიძიებთ და „მოვლენათა შორის დაფარულ კავშირს“ ვეტანებით. მნერალს, რომლისთვისაც ბუნებას მიუნიჭებია უფრო ნაზი გრძნობიერება და ფაქტიზი ნერვები, ვინემ უბრალო მოკვდავისათვის, ვალად ადევს ის გვაჩვენოს და დაგვისურათოს, რასაც უბრალო მოკვდავი ვერ შენიშნავს და საგნის არსებითი მხარე რაიმენაირად მოგვიახლო-ვოს. ეს სურვილი ე.ნ. მწვავე და საუკუნო კითხვების გადაწყვეტი-სადმი უფრო ძლიერად აქვს გამჯდარი დღევანდელ კაცობრიობას,

რადგან ვერც პოზიტიურმა ფილოსოფიამ, რომლისგან მოელოდნენ ხსნას და შველას, ვერ გაუმართლა იმედები ... (აბაშიძე 1971: 262 ცხოვრება და ხელოვნება, 1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა). ამ სიტყვების ავტორი კარგად გრძნობს იმ არსებით განსხვავებას, რაც გუშინდელსა და მომავლის მხატვრულ აზროვნებას შორის იქმნება, პოზიტივიზმით ნაკვები ცხობიერების ამონურვასა და სახეცვლილებას. სწორედ ამით აისხება, კ. აბაშიძის როგორც კრიტიკოსისა და ესთეტის გამახვილებული ინტერესი ახალი შემოქმედებითი თაობისადმი. როგორც კ. გამსახურდიას მიერ თავისი მოამაგისადმი (მუდმივად მხარს უჭერდა ნიჭიერ ახალგაზრდას, მისივე ინიციატივით დაენიშნა სტიპენდიაც) გაგზავნილი წერილიდან ჩანს, კიტა აბაშიძე თავისი ავტორიტეტით სერიოზულ გავლენას ახდენდა ქვეყნის სამსახურისთვის მოწოდებულ ახალგაზრდებზე: „მე და ჩემი ამხანაგები – წერს კ. გამსახურდია – გისმენდით ბავშვობიდან – წიგნებში თუ თეატრში, ხალხში თუ საზოგადოებაში. თქვენ გაგვიღვიძეთ, თქვენ აგვინთეთ გულში ის ნაპერნეალი, რომელიც დღეს ალად ქცეული მოსდებია ჩვენს ჭაბუკურ გულებს...“ (გამსახურდია 2003: 57). ცხობილია, რომ გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, მ. ჯავახიშვილი თუ ს. შანშიაშვილი დიდად აფასებდნენ კიტა აბაშიძის მაღალპროფესიულ და უაღრესად საგულისხმო გამოხმაურებებს. მაგ. მ. ჯავახიშვილის მოთხოვნამ „თავდავიწყება“ კრიტიკოსის მაღალი შეფასება დაიმსახურა: „ჩვენს პროზაში ცხოვრების სიხარულით შეფერადებული სურათები ჩნდებიან. სიცოცხლის გამაცისკროვნებელი გრძნობებით თავდავიწყებული გატაცება ემჩნევა ზოგიერთ ნაწერს, რაც სულ ახალი მოვლენაა ჩვენი პროზისათვის. მაგალითად, ადამაშვილი... მოთხოვნა „თავდავიწყება“ ნამდვილი შედევრია, ხელოვნების გამარჯვებაა“. როგორც მწერლის ქალიშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი აღნიშნავს, მწერალს საგანგებოდ ამოუწერია კ. აბაშიძის რეცენზიის ეს ფრაგმენტი, რაც მსგავსი ობიექტური კრიტიკისადმი მის დამოკიდებულებას ადასტურებს (ჯავახიშვილი 1991: 93). იგვე შეიძლება ითქვას გრ. რობაქიძის მიერ დაკვალიანებულ და „სანქცირებულ“ ქართველ სიმბოლისტებზე, რომელთა პირველ ნაბიჯებს, როგორც ცნობილია, საზოგადოების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ამ პროცესში კიტა აბაშიძის მიერ შესრულებულ როლს

დადებითად აფასებს დავით კლდიაშვილი თავისი მოგონებების წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“: „მან მიმართა მრავლად შეკრებილ საზოგადოებას კაფე „სამოთხეში“, როცა პირველად აქ გამოვიდნენ დემონსტრაციით ქართველი პოეტები – „ცისფერი ყანწები“. ბევრს არ მოეწონა ახალგაზრდების მედიდური დეკლარაცია, ლექსები მათ მიერ წაკითხული, მათი განმარტება თავიანთ ზრახვათა. შეიქმნა კამათი, შემდეგ ცხარე დაობა, დაბოლოს თავშეუკავებელი მიმართვა ზოგიერთ დამსწრეთაგან. და ამ აღელვებულ საზოგადოებაში საოცარი ...იყო კიტა მის მიერ ნათქვამ სიტყვით, მის მიერ სიმპატიის გამოსახვით ახალი ძალებისადმი, მისი იმედიანობით და ნდობით ამ ახალ ძალებისადმი. კიტამ დაამშვიდა აღელვებული შეკრებილობა და საყურადღებოდ გახადა ამ ახალგაზრდათა მისწრაფება და სურვილი. მას ღრმად ახარებდა ახალი ძალების გამოსვლა და ამუშავება...“ (კლდიაშვილი 1961).

ნიშანდობლივია, რომ 1916 წლის 13 მარტის გაზეთი „სამშობლო“ მკითხველს იმავე მოვლენის უკიდურესად წევატიურ ინფორმაციას აწვდის. ლიტერატურულ შეხვედრას სოციალისტ-ფუტურისტული თავყრილობა ეწოდა, რაც სოციალისტ-ფუტურისტი პარტიის მიმართ „ცისფერყანწელთა“ სიმპატიის აქცენტირებაც იყო, ხოლო პალლ იაშვილის – „კრიტიკოსისგან (ეს, ცხადია, კ. აბაშიძეა – ნ.კ.) გათამამებული სადღეისო გმირი“. კიდევ ერთი დეტალი: თურმე „ჩვენი ფუტურისტები“ გატყეპისაგან კიტა აბაშიძეს დაუხსნია. შედეგად გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ 1916, №10-ში ქვეყნდება კიტა აბაშიძის მიმართვა სათაურით „გონს მოდით!!!“: „ერთი აყალ-მაყალია, ერთი ყაყანია, ერთი დავიდარაბა!!! – ვკითხულობთ აღნიშნულ მიმართვაში – დაუძინებელი ჩემი მტრები ყვირიან: კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ მფარველობს და სხვ... კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ არ მფარველობს იმიტომ, რომ არ იცის, სადარიან ჩვენში ფუტურისტები, ამ აზრის ევროპული მნიშვნელობით. თუ „ცისფერ ყანწების“ მზერლებზე ბრძანებთ, ისინი თავისთავს სიმბოლისტებად თვლიან და არა „ფუტურისტებად“... უკვე 1909 წელს აღვნიშნე და მივესალმე ... ჩვენი პოეზიის ახალ მიმართულებას (იგულისხმება გამოხმაურებები არაგვისპირელის, შანშიაშვილის, გრიშაშვილის, რობაქიძის, ნ. ლორთქიფანიძის,

ტაბიძის შემოქმედებაზე – ნ.კ.), ხოლო „ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, მიმართია ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკვლად...“ (აპაშიძე 1971: 514). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ქართული სიმბოლისტური სკოლის პოლიტიკურ ორიენტაციას ეხება. კიტა აპაშიძის წერილში კარგად ჩანს დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთმიუღებლობა, რომელიც იმდენად დიდია, რომ ახალი ლიტერატურული ორდენისადმი მტრობის მიზეზად ქცეულა. ეს მიზეზი კი ისაა, რომ „ცისფერყანწელები“ მსოფლებელით ფედერალისტური ჰგონიათ („ეს ხომ ჩვეულებრივი ხრიკებია ჩვენი მტრების... გონიათ, რომ „ცისფერი ყანწების“ მწერლები ფედერალისტები არიან“ – იქვე).

ამ ქომაგობისთვის კიტა აპაშიძემ კიდევ ერთი, ამჯერად პორნოგრაფიისტების დამცველის, იარღიყი დამსახურა. სწორედ ასე „კიტა აპაშიძე – პორნოგრაფიისტების დამცველი“ იყო დასათაურებული ერთ-ერთი გამოხმაურება, რომელიც გაზეთშა „თანამედროვე აზრმა“ დაბეჭდა და რომლის ავტორი „დასინის“ ფსევდონიმისაა ამოფარებული (ცხადაია 2017: 513). ზოგადადაც თურმე კ.აპაშიძეს საყვედურობდნენ კიდეც დამწყები მწერლებისადმი ასეთ ყურადღებას (მოგვიანებით კი პირიქით, ისმოდა სინაცული იმის გამო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი დააკლო ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების შეფასებას – გ. აპაშიძე) და მას გადამეტებულს უწოდებდნენ. შ. ამირეჯიბი აღნიშნავს, რომ წლების განმავლობაში „გემოვნების არბიტრად ქცეულ“ ამ ადამიანს, რომლის „კალამი დიდი იარაღი იყო გავლენისა და გემოვნებისა... ჰქონდა უტყუარი ნიჭი ნამდვილი ტალანტის გამოცნობისა... თუმცა, „როდესაც ცხოვრება არ იძლეოდა მას, ის ქმნიდა მას ნინააღმდეგ ფაქტისა, რათა ხალხს თავისი თავი ღარიბად არ ეგრძნო...“ (ამირეჯიბი 1917: 277).

სიმპტომატურია, რომ კიტა აპაშიძეს იმთავითვე მოუხდა დაპირისპირება არა იმდენად საზოგადოების კონსერვატულად განწყობილ ნაწილთან, რამდენადაც „XX საუკუნის დასაწყისის ინტერნაციონალური იდეოლოგიების ფსიქოლოგიურ დიქტატან“ (ზ. ფირალიშვილი), რომლებიც ქვეყანას არა ავტონომიის ან დამოუკიდებლობის, არამედ რუსულ ორბიტაზე სხვა ფორმით (მოგვიანებით მას „ნეოცარიზმი“ ეწოდა) დაბრუნების პერსპექტივას-

ღა უქმნიდნენ. ამ დიქტატს, რა თქმა უნდა, განასახიერებდნენ ქართველი მარქსისტები სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, რომელთა მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას კიტა აბაშიძე არ მალავდა და, შეიძლება ითქვას, უფრო მკვეთრადაც კი გამოთქვამდა, ვიდრე სხვა მისი თანაპარტიიელები: „...მესამე დასელები“ საზოგადოების სამსახურის სურვილით აღტყინებულნი არიან, მაგრამ მათგან ღვთად მიჩნეული მარქსიზმი ეროვნების სამსახურის წინააღმდეგია“ ან კიდევ: „ჩვენში უდროულსა და უნიადაგო აზრს ეპოტინებიან. მისი შედეგია ის, რომ სასტიკი ფანატიზმით აღვსილნი არიან და საზოგადოების პატივსაცემ უმრავლესობაში სიმპატიას ვერ პოულობენ“ (1897 წ.) და სხვ. სწორედ ამიტომ მიჩნევს საჭიროდ ვაჟა ფშაველას მსგავსად („პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“) განუმარტოს მკითხველს პატრიოტიზმის არსი.

რაც შეეხება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების პერიოდიზაციას (1913 წელს წერილში „იღიას ძეგლი“ სამი დიდი ეპოქა სამი გამორჩეული მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის, ილიას და არჩილ ჯორჯაძის, სახელითაა აქცენტირებული), 1832 წლის შეთქმულების ხანა კიტა აბაშიძის მიერ „პოლიტიკური რომანტიზმითაა“ დეტერმინირებული. ამავე სახელწოდების წერილის ერთგვარი განვრცობა-გაგრძელება ა. ჯორჯაძის ნაშრომი „თავადურ-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში“ (1909 წ.). ამ ტიპის ანალიზი კი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან, როგორც ვიცით, სწორი კულტურული ორიენტაციის შემუშავებასთან ერთად ხელს უწყობდა ქართული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას.

მიუხედავად ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილების სიმრავლისა და ამ წერილების განუზომელი ღირებულებისა, კიტა აბაშიძეს მოდერნიზმის შესახებ საგანგები ტრაქტატები არ შეუქმნია და ეს იმ დროისთვის ნაკლებად მოსალოდნელიც იყო. გარდა იმისა, რომ ინფორმაცია ევროპიდან იმ პერიოდში ჯერ კიდევ შეზღუდულად შემოდიოდა, ლიტერატურის სამსახურში მყოფი ადამიანების მდგომარეობა მატერიალური თვალსაზრისითაც ერთობ შევიწროებული იყო. გავიხსენოთ ივანე გომართელის წეხილი ქართულ მწერლობაში არსებული „დროებითი მწერლების“

შესახებ. „დროებითი“, ცხადია, იმ თვალსაზრისით, რომ დღეს მწერლობის სამსახურში მდგომს, შესაძლოა, ხვალ შექმნილი სირთულეების გამო სულაც თავი დაენებებინა წერისთვის. კიტა აბაშიძის ბიოგრაფიიდანაც ცნობილია მისი სახელმწიფო სამსახურში (მომრიგებელ მოსამართლედ) ყოფნის თუ ბიზნესში (ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ბანკის თავმჯდომარე, შემდგომ საბჭოს თავმჯდომარის გ, ზდანოვიჩის მოადგილე) აქტივობის რეალური ფაქტები, რომელიც აძლევდნენ საშუალებას თავისუფალ დროს თავისი მოწოდების მიხედვით ელვანა, შეექმნა კრიტიკულ-ანალიტიკური და თეორიულ-ფილოსოფიური ხასიათის სახელოვნებო პროფესია. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობდა არა მარტო მატერიალური ხასიათის სირთულეები. აი, რას წერს ამის შესახებ თავად კ. აბაშიძე: „დამერწმუნებით, ამგვარ წეს-წყობილებაში, სადაც ურეგლამენტო სული ვერ დაგიძერავს, ... სადაც პოლიტიკური ფორმები იმ ბარბაროსულ ხანას ვერ გადასცილებიან, როცა ერთი თავაშვებული ვიგინდარა და მისი ამალა, რამოდენიმე ათეული კაცისგან შემდგარი, ფეხქვეშ სთელავს მთელის საზოგადოების ყოველგვარ უფლებასა..., სადაც მოქალაქეთა ძილი და მოსვენება ყოველ წუთში განსაცდელშია, ასეთს მხარეში დაწყნარებული მსჯელობა და მშვიდად განხილვა ამა თუ იმ საგნისა – ყოვლად მოუხერხებელია...“ (აბაშიძე 1910: 66:3).

სწორედ ვაჟა ფშაველასადმი მიძღვნილი წერილის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ შეხედულებაზე, რომელიც კიტა აბაშიძეს მოდერნიზმის, კერძოდ კი მისი ერთ-ერთი ნაისახეობის, სიმბოლიზმის, შესახებ გააჩნდა და ისიც იმიტომ, რომ ვაჟა მას სიმბოლისტად მიაჩნდა. „სიმბოლიზმი ლიტერატურაში – წერს ავტორი – გამოიწვია რეაქციამ გადაჭარბებულის ნატურალიზმის წინააღმდეგ. სიმბოლიზმა იგივე როლი შესარულა მწერლობის მსვლელობასა და განვითარებაში, რაც თავის დროზე რეალიზმა, როცა რომანტიზმს შეებრძოლა და კარგა ხნის დავის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა“. კიტა აბაშიძისთვის, ისევე როგორც არჩილ ჯორჯაძისთვის, ეჭვს არ ბადებდა ის, რომ მხოლოდ თვალშილული, რეალური სამყაროს ყავლგასული ატრიბუტიკით შეუძლებელი იყო ამავე სამყაროს მეტაფიზიკური არსის ახსნა. ამიტომაც დასახელებულ წერილში აპელირება ხდება ევროპული სიმბოლიზ-

մուս օշատո ցամորհից լու նարմոմագցենցեծու, ռոգորեծու ոյզնեն մեցիրլունքու դա բարձու. ամ մեցրլունքու Շեմոյմեցեծա լրմագ օնդու ցուցալուրուս, մասնու „Շպորվելուսու աջգունու პորագուլունքաս ցտմոնքա“, յու կո աხալու դրուս ցպորվելուսու նոմանու. կուրա ածածունու աթրու, ոնքուրու րեալունքա յարտուլ մեցրլունքասա դա եղլոցնեծամու մեցացսու մուցգունցունքու, կոնկրեցուլագ յու սոմծոլունքունքու մուս դամցունցունքու ցարդացալունքա ցցարնաեռունք. օմոնմունքու րա մեցիրլունքունքու, „Ցմցու-ու-տա սայնչեցու“, յուրա ածածունքու սոմծոլունքունքու մացուս օմ յոմունքունքու սայմունքունքա աճարյունք, ռոմելունքու „Ցմոնճա նյուլուտ սացաւ ժորժչունքու հիանցետունքու րաճաց սաօդումլու նցետու դա նամս նմոնճա նյուլու մացուր ցամոցանինցունքա մտելու մեօդունու ցրուսգալունքունքու, ռոմլունքունքա այսմցու զերու յո ցամինցունքուտ“. սոմծոլունքունքու մեցացսեծա րոմանցունքունքու մտան, նոմանուն (սոմծոլունուն) սուսկումուսա մուսու ցանսացուրցեցու մցրնունքունքու, սաօդումլունքունքու մեօդունքունքու ացցուցագուրագ ցամոցունքունքու դա ամուս եարջին ծունքունքու լրմագ Շելթէցու շնարու, յուրա ածածունքունքու ցայս ցմացելաս Շեմոյմեցեծունքունքու դոմոնանցու մաեասուտեցունքու. ցեծու րա յրտմանունքու ցցերգուտ ցուորցու նցըրտունու դա ցայս մույր ալներունքու ծունքունքու սցուրատու, յուրա ածա-ծունքու մատմու ցանսեցացեծա արա մեօդունու նոյնունքունքու, արամեց մեօդունու ալունքունքու ցուունքու եցացու. „Ամճասումա մցուսանմա (սայնարուս ցայսանին 6.շ.) ուցու դա Շելթէցու ալմունքունքու դա տալունին ցամոցցունքունքու հցընտունքու շնուրացու, ցամուցնունքունքու, դայուրշունքու յացնուրունքու տցուտ շնարալու հցընտունքունքու մուցլունքատու մոմցունարյունքունքու յցըթ..“.

յարտուլումա լուգմունցենքունքու ար ցայսուարա ցայս սոմծոլունքունքու յուրա ածածունքունքու ցցըրսու, տումցա ցերու յու սարցու, ռոմ յրուունքունքու տուունքունքու ցցըրսու ասպեցիունքու Շելթէցարագ սցամս այցունքունքու ցայս որոցունալուր, հցընու մեցրլունքունքունքու այսմցու ցունունք, ցամուցլունքու սամցարուսցու ալյմանին. ու ցացունքունքու ցամունքունքու դա սոմծոլունքունքու մեցացսեծունքու օդցաս, մաշուն սրու-լու դա ու արա, նանունքունքու մանց շնճա մոցունուտ հցընու դունքու կլասունքունքու Շեմոյմեցեծունքու յ. ածածունքու մույր Շեմոտացանինցու դուունքունքու. դուախ, ցայս ար ոյս սոմծոլունքունքու ամ ցնենքունքու որտու-դուունքու ցացենու, մացրամ յու սադացու ոյս ռոմանցունքունքու ան ցու-րու նցորմանցունքունքու (ռոգորու ոցունքու յ. ածածունքու ալ. յանինցու շնունքունքու) ու ցացենու, ռոմ տացունքու սանցլուրու ցանցունքունքու, նարմուսացունքու ցամորհից լու շնարու, ռացուոնալուրունքու դա որացու-

ონალურის ზღვარზე მუდმივი მოძრაობით გარკვეულწილად სიმბოლიზმს უახლოვდებოდა. „ცისფერყანწელებმა“ კ. აბაშიძის გზავნილი სწორად გაიგეს და გამოიყენეს კიდეც. ვაუა ფშაველა, რუსთაველთან და ბესიკთან ერთად, შეურყვნელი, ღრმად ეროვნული და იმავდროულად ევროპული მოდერნიზმის სიმბოლოდ დასახეს, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო ახალი ხელოვნება. არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ შ.არაგვისასირელის „ურნმუნო და უნდო გონების“ ნალვანის იმზანად ქართული მწერლობისთვის ნოვატორული ფსიქოლოგიური პროზის ნიმუშად მიჩნევა, ი. გრიმაშვილის პოეზიაში ეროტიზმის კონცეპტის გამოკვეთა, ისევე როგორც ნ.ლორთქიფანიძის სტილურ-მსოფლმხედველობრივი ნიშნით გამორჩევა უკვე იყო კიდეც ქართულ მოდერნიზმზე კვალიფიციური საუბრის დაწყება, რაც კ. აბაშიძე ბევრ სხვა კრიტიკოსზე ადრე შეძლო.

#### **დამოცვებანი:**

**აბაშიძე 1964:** აბაშიძე გ. კიტა აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი: 1964

**აბაშიძე 1916:** აბაშიძე კ. „გონს მოდით!!!!“. გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916, № 10.

**აბაშიძე 1971:** აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება (რედ. დ. გამეზარდაშვილი). თბილისი: 1971

**აბაშიძე 1970:** აბაშიძე კ. ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (რედ. დ. გამეზარდაშვილი). თბილისი: 1970.

**ამირეჯიბი 1917:** ამირეჯიბი შ. „კიტა აბაშიძე (სამგლოვიარო ნერილი კრიტიკოსის გარდაცვლების გამო)“. გაზ. „საქართველო“, № 277. 1917.

**გამსახურდია 2003:** გამსახურდია კ. 1ნერილი კიტა აბაშიძეს“. გრ. რობაჭიძისადმი მიძღვნილი სამეცნ. კრ. „თეორ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით“. თბილისი: 2003

**კვატაია 2017:** კვატაია მ. „კიტა აბაშიძე – ახალი ქართული ლიტერატურული კანონის რეფორმატორი“. ლიტერატურული ძიებანი. XXXVIII. თბილისი: 2017.

**კლდიაშვილი 1961:** კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე. თბილისი: 1961.

**ცხადაი 2017:** ცხადაი ზ. „ასი წლის ნინ: „ცისფერი ყანწები“ და 10-იანი წლების ლიტერატურული პერიოდიკა“. X საერთაშორისო სიმპოზიუმის „მოდერნიზმი ლიტერატურაში“ მასალები. 2017 №38.

**ჯავახიშვილი 1991:** ჯავახიშვილი ქ. მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება. თბილისი: 1991.

## ინგა მილორავა

### ვაუა-ფშაველა კიტა აბაშიძის ლიტერატურულ პრიზმაში

კიტა აბაშიძის წვლილი განუზომელია ქართული ლიტერატურის „ევროპული რადიუსით გამართვის“, საქმეში. კიტა აბაშიძის მეცნიერულიმა ნააზრევმა შეძლო ამოევოს ის სიცარიელე, რომელიც ისტორიის ავბედითი განვითარების გამო გაჩნდა ქართულ მხატვრულ აზროვნებასა და, ზოგადად, კულტურაში. ვეროპა, როგორც ქრისტიანული სამყარო, რომლის ნაწილად მიიჩნევდა ქართული აზროვნება თავს, ბიზანტიის დაცემის შემდგომ ერთგვარად შორეულ და არაორგანულ სივრცედ იქცა ქვეყნისათვის, რომელიც უკვე „ყურესა ამა ქვეყნისასაც“, აღარ არის, ქრისტიანული დასავლეთის განაპირა და რთულ სივრცედაც ვედარ ხედავს თავს, არამედ მოქცეულია მაჰმადიანური, განსხვავებული კულტურის ოკეანეში, როგორც კუნძული. სწრაფვა იმ ორიენტირებისა და ფასეულობების, კულტურული ნიშნებისა და სახეობრივი აზროვნებისაკენ, რომელიც სახელდებულია ევროპულად და საფუძვლით ქრისტიანულია, თუმც თავის მხრივაც შინაგანად საკმაოდ მულტიკულტურული, შენარჩუნდა. ეს სწრაფვა ერთგვარ გადარჩენის ლამპრად, შუქურად, ორინეტირადაც კი იქცა, ამ მაჰმადიანური და აღმოსავლური – ჭრელი, ფერადოვანი, ღრმა, ფილოსოფიური, კეთილხმოვანი, სახეთა და ფორმათა სიმდიდრით გამორჩეული – მაგრამ შედარებით არსობრივად უცხო სამყაროს სივრცეში მოქცეულ ქართულ კულტურისათვის. სწორედ ამიტომ გამოიყენა მან ასე პროდუქტიულად რუსეთთან შეერთების შემდგომ გამორჩენილი შესაძლებლობანი, რომ ამ ახალი ხიდის მეშვეობით ისევ გადაეხედა იმისთვის სხვასთან შედარებით ყველაზე ორგანულ, სამყაროში და შეძლებისდაგვარად შეევსო ის, რაც გამოიტოვა ამ წლების, საუკუნეების განმავლობაში.

სწორედ ამ ვაკუუმის გადალახვას, მის ამოვსებას, განვითარებული, დიდი, ძლიერი, ქრისტიანული სახეობრივი სისტემის მქონე ქართული კულტურის კიდევების თანამედროვე რეალობასთან

ისე „მიკერებას“ ცდილობს კიტა აბაშიძე, რომ გამოტოვებული არ დარჩეს, როგორც ამოგლეჯილი, არსის და მიმართულების შემცვლელი, საბედისწერო და გადაულახავი, მოუშუშეელი ჭრილობა. მან იცის, იმისთვის, რომ ქართულმა კულტურამ შეძლოს თანამედროვე ყველაზე მონინავე მხატვრულ სამყაროებთან თანაბრად თანაარსებობა, უნდა ჰქონდეს იგივე ქარგა, განვითარების დინამიკა და ფილოსოფია, ფორმა და გზები. ამ იდეით არის გამართული კიტა აბაშიძის მთელი თეორიული მემკვიდრეობა. ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთი კი ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყაროს ანალიზსა და ქართული ლიტერატურის თავისებურ კლასიფიკაციაში მისთვის ადგილის შერჩევას ეძღვნება.

კიტა აბაშიძე ფრედერიკ ბრუნეტიერის თეორიის – ლიტერატურული ევოლუციის მომხრე იყო და ფიქრობდა, რომ ლიტერატურაც, ცოცხალი ბუნების მსგავსად, ევოლუციურად ვითარდება და ყოველი ახალი მიმდინარეობა არის აუცილებელი რგოლი ამ ევოლუციური ჯაჭვისა. მან ქართული ლიტერატურის განვითარების ნაკადში რეალიზმის შემდგომ გამოყო ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი. ნეორომანტიზმს მიაკუთვნებს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას, ხოლო ნეორომანტიზმს – ვაჟა-ფშაველასას. სწორედ ამ სურვილში, ეპოვნა ქართულ სინამდვილეში ზუსტი შესატყვისი ევროპული ლიტერატურის განვითარების ხაზის ყველა უბისათვის, ჩანს, თუ რა მიზანდასახულობა აქვს კიტა აბაშიძეს. მას სურს ქართული ლიტერატურა იმ ყალიბში მოაქციოს, რომელიც ევროპულად და თავისი ქვეყნისთვის ორგანულად მიაჩნია. იგი ცდილობს დაანახოს და დაარწმუნოს მკითხველიც და საკუთარი თავიც, რომ ევროპასთან სიახლოვის გამოტოვებული დრო, განსხვავებული მიმართულებები, რომლებმაც თავისებური სახე და ფორმა ჩამოუყალიბა ქართულ მხატვრულ აზროვნებას, არც იმდენად მნიშვნელოვანია და ფატალური, რომ თვისობრივი ცვლილება გამოეწვია და ამოეგდო იგი შემდგომი განვითარების ანალოგიური ყალიბიდამ. ამიტომ ეძებს იგი შესატყვისებსა და შესაბამისობებს. სწორედ ამიტომ მიიჩნია ვაჟა-ფშაველაც სიმბოლოსტად – განვითარების მისთვის ასე პრინციპულ მოდელში, ქართულ კულტურას, თუ იგი ევროპულის იდენტური და განუყოფელი ნაწილი იყო ისევ, უნდა შეექმნა სიმბოლისტი თავისივე

წიაღში და ასეთად მიიჩნია ვაჟა-ფშაველა – თავისი განუმეორებელი, იდუმალი, ყველსგან და ყველაფრისგან გაბსხვავებული სამყაროთი, რომელშიც მართლაც უამრავი სიმბოლოა, მაგრამ იმთავითვე ნათლად და გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ არ არის სიმბოლისტი მწერალი, არა მარტო სააზროვო ტენდენციების, კონცეფციის მიხედვით, არც წმინდა გამოშსახველობით დონეზე. კიტა აბაშიძე კი თავის ძალიან კარგ წიგნში, „ეტიუდებში“ შეეცა-და ასე წარმოეჩინა მისი შემოქმედება და ჩაესვა იგი მისთვის ასე მნიშვნელოვან ევოლუციურ წაკადში. სწორედ ეს მძაფრი და წი-ნასწარ ამორჩეული მიზანი უშლის ხელს მას დაინახოს რეალობა.

იგი ვაჟას ასახელებს და ახასიათებს საუკეთესო სიმბოლისტ მწერლად. კიტა აბაშიძე ამ ნაშრომში დაწვრილებით განიხილავს ყველა იმ მოტივს, რომლებიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ასაზრდოებს. ავტორი აქვე დასძენს, რომ ვაჟას შემოქმედებაში წარმოუდგენელი სილამაზითაა აღწერილი ბუნება და მაგალი-თად მოჰყავს „ია“. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების წაკითხვისას მყითხველში მრავალი აზრი და გრძნობა იღვიძებს, რადგან აქ თვალნათლივაა მოცემული ბუნების საერთო ჰარმონია, სადა, წარმონია, სა- სურათები და მშვენიერების ცხოველმყოფელი ძალა. თვით მგოსნისა და სიმბოლისტი პოეტის საუკეთესო და-სუ-რათებაც ვაჟას ეკუთვნის. თუნდაც მისი „გველის მჭამელი“ გავიხსენოთ. მინდია ხომ მგოსანია, რომელიც გრძნეულის ძალე-ბით მოჯადოებულია. ამ ძალთა შემწეობით მინდიას „ახალად სული ჩაედგა“, იგი ამგვარად ბუნების მესაიდუმლეა, მასთან განუწყვეტელი ჯაჭვით არის შეკავშირებული.

ლოტა აბაშიძე სწორად და ზუსტად ხედავს, რომ ვაჟას შეუ-ძლია აღმოაჩინოს და თვალწინ გადმოგვიშალოს ჩვენთვის უხი-ლავი, „გამოუცნობელი“, „დაფარული კავშირი“ თვით უბრალო, ჩვეულებრივ მოვლენათა მიმდინარეობის ქვეშ. სწორედ ეს ინტუი-ტიური მიხვედრა სიმბოლისტური და, ზოგადად, მოდერნისტული აზროვნების უმთავრესი მსოფლმხედველობრივი საყრდენის – სა-მყაროს ზმანებისა და ცხადის მიჯნაზე არსებობის და მათ შორის იდუმალი კავშირის – შესახებ აძლევდა, როგორც ჩანს, კიტა აბა-შიძეს საშუალებას, რომ გულწრფელად მიეჩნია ვაჟა-ფშაველა სიმბოლისტ მწერლად. თუმცა იგი აქვე ახდენს დიფერენციაციას

რომანტიკოსსა და სიმბოლისტ მგოსანს შორის და წერს: „ერთსა და იმავე აზრს იმის შესახებ, რომ მგოსანი არაჩვეულებრივი არ-სებაა, რომელსაც „სწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთ და უსულოთ შორის“, რომანტიკოსი უფრო განცენებული ფრაზე-ბით გამოსთქვამს, სიმბოლისტი კი ცოცხალი სურათებით. მაშინ, როდესაც რომანტიკოსი უსათუოდ თავისი ყურადღების ღირსად ხდის მხოლოდ რაიმე არაჩვეულებრივ დიად მოვლენას, რომელსა-მე „ჩინარს“, „მაღლად მაჩინარს“, რომელიც „სდგას მედიდურად და სიამაყით და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდიღებს სევდიანისა შერხევის სახით“, სიმბოლისტი უბრალო „იას“ აიღებს და მთელ სიმფონიას შეჰქმნის მისი ჩუმი და მარტივი ცხოვრებიდან; გამხმარ, ყველასაგან ათვალისწინებულ „ნიფელს“ დაგვისურათებს და მის ამბავში ჩაგვიქსოვს მთელ გამას გრძნობათა და აზრთა. საერთო კი რომანტიკოსსა და სიმბოლისტს ისა აქვთ, რომ მგოსნის პირად ზრახებსა და ფიქრებს გვიმსულვნებენ, მგოსნის განსაკუთრებულ ფსიქიკას თვალწინ გვიშლიან“ (აბაშიძე 1970: 439).

ზმანებისმიერი სამყაროს ხატად, როგორც ჩანს, კიტა აბაშიძემ ბუნების ვაჟასაული სრულიად არავის მსგავსი, აბსოლუტურად თვითმყოფადი მოდელი წარმოიდგინა. იგი სწორად ხედავს, რომ ვაჟა ნამდვილი ბუნების შვილია, ბუნება მისთვის საყვარელია, როგორც უმშვენიერესი და უდიადესი ელემენტი სიცოცხლისა და ცხოვრებისა, სიცოცხლის გამაცისეროვნებელი, სულისა და გულის წარმტაცი, გონების მომაჯადოებელი. მისთვის ბუნება და ყოველივე ნანილი ამ ბუნებისა ცოცხალი არსებაა, მისთვის ბუნების არც ერთ ნაწილს არა სდევს სიკვდილისა და უსიცოცხლობის ნიშანი. ყოველივე ნანილი ბუნებისა განხორციელებულია და განსულიერებული: „მთანი მაღალნი“, სალი კლდეები, ველი და მდინარე ისეთივე სიცოცხლით არის აღვსილი, როგორც ბულბული, გინდ მერცხალი, ლომი, გინდ არნივი, როგორც ყოველი პირუტყვი და მეტყველი. საინტერესოა, რომ სიკვდილის ესთეტიკის თვალსაზრისითაც მართლაც არის გარკვეული თანხვედრა სიმბოლისტურ აზროვნებასთან.

ვაჟასათვის გაზაფხულზე „მწვანის კალთებით კოხტაობს მთების კალთები ტყიანი“, თითქოს ტურფა იყოს და მიჯნურის მოლოდინში კეკლუცობდეს; „არაგვიც მოქუხს მრისხანედ, ამ დროს

შავფერად მდინარე, იღვიძებს, იფშვნეტს თვალებსა მის არე-მარე მძინარეთ,“ თითქოს დიდის ხნის ძილისაგან გაღვიძებული ადამიანი იყოს და დღიურ ჭირ-ვარამისათვის ემზადებოდეს.ვაჟას პოეზიაში ყოველი ფერი ცხოვრობს, მოძრაობს, იბრძვის, ოცნებობს. თუ „სუდარ-ჩაცმულნი მთანი სდგან“ იმიტომ, რომ იგინი არიან: „ფიქრის მზიდველნი მწარისა, სულ მუდამ ყინულიანი, არ როს მნაცველი მწვანისა“; თუ „დაბნელდა, წყალნი სტირიან, კალთა გვეხურვის ღამისაო“. თუ „თენდება, მთის წვერნ დაწითდენ“, თითქო უცაბედად მიჯნურს შეეფეთენო, ხოლო „ნისლნი აგროვდენ მთებზედა“.

კიტა აბაშიძე ზუსტად შენიშნავს, რომ მგოსანმა შეგვამჩნევინა ის უწყვეტელი ჯაჭვი, რომელიც აკავშირებს ადამიანსა და ბუნებას, ის ძლევამოსილი განწყობილება, რომელიც მათ ერთი დიადი ძალის თანასწორ ქმნილებად ხდის. როგორც მოსალოდნელი იყო, პანთეისტური გრძნობა იმ დროს იჩენს თავს, როცა თვით ბუნება თითქოს ცდილობს, ამ დიადი საიდუმლოს კავშირი გვამცნოს.ვაჟას ბუნება მიაჩინა კაცის მეგობრად, რომელიც, თუმც ავსაც სჩადის, მაგრამ კარგის მქმნელიც არის. მან ბუნებას ცხოველმყოფელი სული ჩაპბერა, ყოველ მის ნაწილს სიცოცხლე ჩაუდგა და ამ მხრით ჩვენს ლიტერატურაში ყაზბეგის შესაფერისი მემკვიდრეობა იკისრა. ეს აზრი საყრდენი წერტილია კიტა აბაშიძისათვის, რომელიც ყაზბეგს თავის ევოლუციურ მოდელში ნეორომანტიკოსის ადგილს აკუთვნებს, ხოლო ვაჟა-ფშაველას – სიმბოლისტის. იგი მიიჩნევს, რომ ყაზბეგის შემდეგ არც ერთ ჩვენს პოეტს ვაჟა-ფშაველასავით არ გამოუხატავს ყოველგვარი კავშირი და დამოკიდებულება ადამიანისა ბუნებასთან, არც ერთს არ უგრძვნია ისე უხვად და მადლი-ანად მთელი ცოცხალი ძალა „უასაკოთა და უსულოთა“. ვაჟასათვის ბუნებას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ილიასათვის სატრიფოს და აკაკისათვის ნესტან-დარეჯანს.ეს ის ერთადერთი იდეალი და საგანია, რომელიც მთელს მათ პოეზიას აცისკროვნებს და ანათებს, ეს ის ერთი რამ არის, რომლის ტრფიალიც შოთამ ნამდვილი მელექსის თვისებად აღიარა.

ვაჟა-ფშაველამ დიდი ცვლილება შეიტანა ჩვენს პოეზიაში. მის პოეზიას შორეული მოგონებაც კი არ ამჩნევია პუბლიცისტიკისა და პოლიტიკისა, მაგრამ უამისოდაც მრავალმნიშვნელოვანი აზ-

რების აღმძვრელია. „არწივი“, ეს ის შედევრია მისი პოეზიისა, სა-დაც კარგად სჩანს რა სიმაღლემდის მიაღწია მისმა პოეზიამ. იგი წერს:

არწივი ვნახე დაჭრილი,  
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,  
ენადა ბერავს ადგომა,  
მაგრამ ვეღარა დგებოდა...

აქ, რაც სიტყვაა, ის სურათია. პოეზიის ტექნიკა უმაღლეს სა-ფეხურამდე არის მიყვანილი. მთელი დიდი სურათი, დიდი გრძნო-ბა რამდენიმე სიტყვაშია გამოთქმული. თქმა არ უნდა, არწივი მისი საყვარელი სამშობლოა. თუმცა, დაჭრილი არწივი შეიძლება დიდი ნიჭის, დიდი გმირის გამომსახველიც იყოს, რომელიც დასუსტების დროს უბადრუკთა და ლაჩართა გასანენად გამხდარა. ამგვარივე შინაარსისაა მისი „ბებერი ლომი“ – ასე ხედავს კიტა აბაშიძე არ-წივის სახეს და მას სიმბოლოს აღიქვამს. თუმცა რთული სათქ-მელია, რატომ ჩათვალა ერთ შემთხვევაში სიმბოლოდ ის, რასაც სხვა შემთხვევაში აშკარა ალეგორიად მიიჩნევს. „ილიასა და აკა-კის პოეზიაში სიმბოლიზმი ალეგორიას უახლოვდება, აქ კი ნამდ-ვილი სიმბოლიზმია“-ო წერს კიტა აბაშიძე (აბაშიძე 1970: 439) სამშობლო მისი დაჭრილი არწივია, ბებერი ლომია, გმირი, რომლის დაუძლურება ბუნების ცოდვად არის აღიარებული. ამ შეცდომის მიზეზი, შესაძლოა, მხოლოდ ბრუნეტიერის მოდელის ხელოვნუ-რად გადმოტანის ბრალიც არ იყოს. არის კიდევ, როგორც ზმანები-სა და ცხადის შემტხვევაში აღვნიშნეთ, გარკვეული ნიშნები, რომელთა აღმოჩენა, თითქმის გაუაზრელად დაჭერა, მიღება მხო-ლოდ გამახვილებული პოეტური მგრძნობელობას შეუძლია. ეს მისივე თანამედოროვე ხელოვნებისთვის და მხატვრული აზროვ-ნებისთვისაც კი ძალიან ნოვატორული მხატვრული სისტემები, კოსმიური სამყარო, გასვლა მხატვრულად გარდაქმნილი ემპი-რიული დროისა და სივრცის ფარგლებიდან და სრულიად გან-სხვავებული სიმბოლოებით სავსე მითოპოეტური სივრცის და დროის თვალნინ თვალნათლივ არსებობა აფიქრებინეს მკვლე-ვარს, რომ ვაჟა-ფშაველა არ არის 60-იანელების სააზროვნო და მხატვრული სისტემის ორგანული ნაწილი, რომ რაღაც სხვაა,

სრულიად განსხვავებული. ამ თვალსაზრისით კიტა აბაშიძეს მართლაც არ უმტყუნა ლიტერატორის ალლომ, ინტუიციამ, ტექსტის ემოციურად და ღრმად განცდის უნარმა, მაგრამ ის ვერ ჩასწვდა ან თვალი ვერ გაუსწორა ამ მოვლენის მასპტანს და მისი ადგილის თავის მოდელში, წინასწარ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით მონიშვნით დაკმაყოფილდა, გამოიყვანა იგი რეალიზმის ჩარჩოდან (არასწორად) და სიმბოლისტის სახელი უბოძა (დაავინწროვა ამ მხატვრული სამყაროს უჩარჩო სივრცე)

მნიშვნელოვანია კიდევ ის მომენტიც, რომ რადგან ვაჟა, სიმბოლისტად ჰყავს განხილული კრიტიკოსს, ამიტომ იგი, როგორც სიმბოლისტი, მისთვის ინდივიდუალისტია, თითქმის უკიდურესი. იგი თვლის, რომ ვაჟასთვის პირადობას დიდი მნიშვნელობა აქვს, თითქმის ერთადერთი პირადობა ცხოვრების გადამკეთებელი და გამაუმჯობესებელი. აი, გოგოოთური, რომელიც სძლევს აფშინას და ერთად მასთან მთელ შეხედულებას, მთელ სისტემას ცხოვრებისას, რომელიც ძარცვა-გლეჯითა და სხვისი ნაშრომით თავის ფუფუნებას მისდევს. აი, ალუდა ქეთელაური, რომელიც ახალ გზას ადგება, მთის ზნე-ჩვეულებათა შეცვლა სწადიან. იგი პირველი მერცხალია, პირველი ნაბიჯია და, როგორც ეგრეთი, დამარცხებული რჩება. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგია ის პირადობა, ის ელემენტი, რომელიც ცხოვრებას ცხოვრებადა ჰქმნის, რომელიც ცხოვრებას სიცოცხლის ელფერს სდებს. საზოგადოება დესპოტია, იგი ზნე-ჩვეულების მედგარი დამცველია. მისთვის ყოველივე გარდასვლა რჯულისა და ჩვეულებისა, თუგინდ იგი მომავლის საიმედოც იყოს, ბოროტმოქმედებაა და ისე ექცევა ყველა თავის ურჩ წევრს, როგორც ალუდას მოექცა. პოეტის სიმპათია კი მთლად ალუდასკენ არის. ასეთივე მისი „სტუმარ-მასპინძელი“. აქაც რწმენა თემისა, იმავე საზოგადოებისა, რომელსაც ძირები უკვე მომპალი აქვს, შეეჭიდება ინდივიდუალურ ინიციატივას, ინდივიდუალურ იდეალს და მით უფრო ძლიერად ეომება, რამდენად თავის გახრწნილებასა და დასასრულს გრძნობს.

კიტა აბაშიძე მის მიერ შემუშავებული კონცეფციის თვალსაზრისზე აგებს ვაჟასეულ სიყვარულის კონცეფციასაც და მიჩანია, რომ სიყვარულში ვაჟა უფრო მგრძნობელობის თაყვანისმცემე-

ლია და ამაში ალ. ჭავჭავაძეს მისცა მხარი. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ სიყვარულის „საუკუნო ზღაპარი“ ვაჟამ „ეთერში“ დაგვიხატა. ეს „ეთერი“, რომელიც 1890-შია დაწერილი, ბევრში წააგავს პშიბი-შევსკის „საუკუნო ზღაპარს“, რომელმაც ევროპის ლიტერატურის დიდი ყურადღება მიიქცია და რომელიც 1905-შია დაწერილი, ე. ი. 15 წლის უფრო გვიან „ეთერზე“.

სიკვდილის გარეგნული ესთეტიკა, რომელიც ასევე მოდერნიზმის ნიშანია, კიტა აბაშიძისთვის, როგორც ჩანს, თავისივე კლასიფიკაციის გამართლების კიდევ ერთი საშუალება ან მიზეზია. ლირიკოსი პოეტების აზრი და ფიქრი ხშირად დასტრიალებს ხოლმე ცხოვრების ერთ უმწვავეს საგანს, ჩვენი სიცოცხლის დასასრულს, ჩვენი ცხოვრების ბოლოს და, როგორც სხვა დიდ მომენტებს ცხოვრებისას, სხვადასხვა პოეტი სხვადასხვაგვარად ეპყრობა მას. ვაჟა ჩვენი სიცოცხლის დასასრულის საგანს აქაიქ გაკვრით თუ შეხებია და ისიც სიკვდილი უფრო მეცნიერულად და ფილოსოფიურად განუსჯია, ვიდრე პოეტურად. „სიკვდილის ბრჭყალით ვერ გვიხსნის“, ამბობს იგი, „ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი. ბუნების ცოდვა ესაა, მუდამ საწყინო სჩვევია, ავსა და კარგსა ყველას ჰქონდეს, არავინ გადურჩენია“. ამგვარად, მისთვის სიკვდილი ფატალური და უგუნური ძალაა. ეს არის მეცნიერული შეხედულება ჩვენი არსების უცნაური დაბოლოვების შესახებ. ვაჟას ერთი რამ ანუხებს სიკვდილის დროს: ეს ის, რომ „გულსა და გრძნობას შაურევს ცივის სამარის ქვიშასა“ და მკვდრად გა-დაქცეული აღარ ნახავს ვერც აშთოთებულ მისი სიკვდილის გამო ისა, ვერც მის სამარეზედ ციდამ ჩამომსხდარ ვარსკვლავებს, ვერც მგლოვიარე მდინარეს. ერთის სიტყვით, ვაჟას ყურადღებას იპყრობს გრძნობა, აზრი და ფიქრი, რომელსაც აღვიძრავს წყეული საკითხი სიცოცხლის წუთიერებისა. ეს მსჯელობა ნათელს ხდის, რომ კიტა აბაშიძე მართლაც ამჩნევს იმ ახალ სულიერ მოძრაობას, ახლებურ მსოფლალქმას, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას სიკვდილ-სიცოცხლის, მთელი სამყაროს, ადამიანის არსის, ადამიანებს შორის ურთიერთობის, ბუნებისა და ცხადოსა და მიღმურის მიმარტ, რომელიც ქმნის ვაჟა-ფშაველას განუმეორებელ ახალ იდეურ-მხატვრულ რეალობას, მაგრამ ვერ დააყენეა იგი განცალკევებით და სწორედ ესაა მისი თეორიის ნაკლი და შცდომა:

„ვაჟას პოეზია კანონიერი მეტკვიდრეა ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა. იგი გახდა ჩვენში სიმბოლიზმის დამწყები და განმამარტიცებელი. ამ პოეზიის მშვენიერებით სავსე ნიმუშები მოგვცა ვაჟას კალამშა. მისი სიმბოლური პროზა შეუდარებელი სილამაზითა და ხელოვნებით არის აღსავსე, მისი რამდენიმე მოთხოვნა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „ხმელი წიფელი“, „მთის წყარო“, „ქუჩი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „არნივი“ და სხვა შედევრია სიმბოლური პროზისა. ასეთი ყოველი მხრით მოხდენილი პროზა, ჩვენ ილიას აქეთ იშვიათად წაგვიკითხავს“ (აბაშიძე 1970: 439) ეს დასკვნა გამოტოანილია ძალიან ფასეული მიხვედრების, კრიტიკოსის, ლიტერატურატმცოდნის აბსოლუტური სმენის საფუძველზე და ფასეულია, მაგრამ თვაისთავად დასკვნა და საბოლოოს დეფინიცია უკე არასწორია. თუმცა კიტა აბაშიძის დიდი ლირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან შენიშნა ის ცვლილებები, რომელბიც ხდეოდა ქართული ლიტერატურის წიაღში, დაინახა, რომ მართლაც, მხატვრული აზროვნება, რომელიც კარგა ხანს მოშორებული იყო მისთვის შედარეით ყველაზე მონათესავ და შინაგანად ახლობელ სააზროვნო სივრცეს, არც ისე დაშორებია მას და ის, რაც ხდება ევროპულ მხატვრულ აზროვნებაში, რაღაც ფორმით თავისთავად, ბინებრივად, სახეცვლილად, შესაძლოა, ხანდახან უფრო მაღალ დონეზეც, როგორც ვაჟა-ფშაველას შემთხვევაში, ხდება ქართულ სინამდვილეშიც. რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველა არ არის სიმბოლისტი, მაგრამ მასთან მართლაც მძაფრდება არა მარტო სიმბოლისტური, შიძება ითქვას, ნეორომანტიკული ელემენტებიც. კიტა აბაშიძემ იგრძნო ამ სამყაროს ზეთანამედროულობა, მისი ზედროულობა, თუმცა ზუტად ვერ განსაზღვრა ის, რაც იგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერასოდეს დავეთანხმებით მის შეხედულებას ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის შესახე, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოქნენტი ამ მოსაზრებაში, თანაც ყოველგვარი ბრუნეტიერის თეორიის ადეპტობის გარეშეც – ვაჟასთან მართლაც არის სიმბოლოების ესთეტიკის გამახვილება, ინდივიდუალისტური ხედვა, სიყვარულის და სიკვდილის მოდერნისტულთან მიახლოებული კონცეფციები, ზმანებისა და ცხადის, რეალურისა და ილუზორულის მიჯნაზე არსებული სამყაროს შეგრძნება, მითოპოეტური დროისა და სივრცის განუმეორებელი ხატი, რაც ადასტურებს, რომ მე-20 საუკუნეში განხორციელებული ქართუ-

ლი მწერლობის მოდერნიზაცია არ იყო მხოლოდ გარედან შემოტანილის გააზრება, კონცეფციების და სისტემების გადმონერვა და მხატვრულად ათვისება, არამედ მას ჰქონდა საფუძველი, მყარი, ძლიერი და არქაული, თვითმყოფადი შრეებიდან ამოზრდილი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

**აპაშიძე 1970:** აპაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.

**ევგენიძე ... 2002:** ევგენიძე ი., მინაშვილი ლ. ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.

**ვართაგავა 1921:** ვართაგავა ი. ვაჟა-ფშაველა. კრიტიკული მიმოხილვა. ტფილისი: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა 240, 1921.

**კიქნაძე 1989:** კიქნაძე გრ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

## ერლომ ახვლედიანი – 85

### ლალი აგალიანი

#### მოგონება (ერლომ ახვლედიანი)

ერლომ ახვლედიანი, მინიმალისტური პარადოქსების ოსტატი, მეიგავე-მეზღაპრე-ფილოსოფოსი, ყოველგვარი ყალიბის „საბჭოურიდან“ ამივარდნილი მწერალი, სცენარისტი და, უბრალოდ, შესანიშნავი პიროვნება, – გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ ინტერვიუში წერდა: დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების კეთილდღეობას, სიმდიდრესა და წესრიგს რომ შევნატრით, რატომ არ ვფიქრობთ, – რა დიდი შრომა-გარჯის, მრავალწლიანი გამოცდილების, ცოდნის და პასუხისმგებლობის ფასად დაუჯდათ ეს ყველაფერიო...

ციტატის სიზუსტეზე პასუხს ვერ ვაგებ, ერლომს ალბათ უკეთესად ეწერა, როგორც სჩვეოდა, – სადად, მართლად და ოდნავ დაბნეულად... თავად იყო დიდი პასუხისმგებლობით აღჭურვილი: „ვანო და ნიკო“ ჯერ ე.ნ. ზეპირ მოთხოვნებად ყალიბდებოდა, ავტორი მას თითქოს „აჭაშნიკებინებდა“ მსმენელს (მათ შორის მეცვიყავი), მერე კი მის დაბეჭდვას არ დაადგა საშველი.

ურნალების რედაქტორებს, ამ პატარა შედევრის გამოქვეყნებას რომ უარობდნენ, ძნელი დასაჯერებელია, არ სცოდნოდათ მისი ნამდვილი ფასი. თუ არ ვცდები, მისი პირველი თარგმანი ჰილანდიაში დაისტამპა, მოგვიანებით კი – ქართულად გამოქვეყნდა. ცალკე წიგნაკად – მისი მეგობრისა და ქართული ანდერგრაუნდის ერთ-ერთი პიონერის, დღემდე სათანადო შეუსწავლელი უნიკალური მხატვრის თემო ჯაფარიძის არაჩვეულებრივად რელევანტური, ნაივური ილუსტრაციებით გამოიცა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე ვიტყვი ორიოდე სიტყვას თანამედროვე „ანდერგრაუნდზე“, რომელიც, უცენზურობის, სიტყვის თავისუფლებისა და ყოველგვარი ტაბუს ახსნის პირობებში, როცა

თითქმის ყველაფერი ნებადართულია, სრულიადაც აღარ არის ანდერგრაუნდი.

ერლომის შემოქმედებაც (მათ შორის კინოსცენარებიც) სწორედ რომ ანდერგრაუნდად გვესახებოდა.

„კოლო ქალაქში“, ისევე როგორც „ვანო და ნიკო“, დიდხანს იწერებოდა, – აღმაფრენით და წვალებით, რწმენით და ეჭვით, თვითირონიით და სათნო იუმორით, ბავშვური გაოცებითა და ზრდასრულის სიბრძნით, შეძრნუნებითა და სიყვარულით, მორჩილებით და გაბრძოლებით...

ზურაბ კიკანაძე, მრავალმხრივი ნაყოფიერი შემოქმედი (მეცნიერი, მთარგმნელი, ესეისტი, კრიტიკოსი...), რომლის ნებისმიერ პუბლიკაციას დღემდე აღტაცებით ვკითხულობ, ავტორია ერლომის წიგნის წინასიტყვაობისა „მე აქ ვარ!“ („კოლო ქალაქში“, 2010, გამომცემლობა „სიესტა“). მისი აზრით, გაოცების თვისება ერლომისათვის თანდაყოლილი უნდა ყოფილიყო, ეს უნარი სიცოცხლის ბოლომდეც არ განელებია. მისი გაკვირვების ექსტაზი ამ ორ მოვლენას – განკვირვება-ეკსტასის – შორის პირდაპირ კავშირს სახარების ძველი ქართული ტექსტი ამხელს), „პირველქმნილობას-თან“ უნდა იყოს წილნაყარი.

გამოქვეყნდა მანანა კვაჭანტირაძის ვრცელი და საფუძვლიანი ესეი ერლომის თხზულებაზე – „ოთახის დალაგება შესაძლებელია“ (შურნალი „კრიტიკა“, 2016, №11). იგი ერლომს ნარმოგვიდგენს არა მხოლოდ „პირველადმომჩენის“, არამედ ჭეშმარიტი ნოვატორის ამპლუაში, რომელმაც გაუსწრო დროს; ყოველივე ეს, სიღრმისეული წვდომით, ტექსტის გათავისებით, ავტორის „მეთოდის“ ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოჩენით, და, რასაკვირველია, ინტელექტუალური მზაობით მიიღწევა.

„ერლომი უცნაური მწერალია, ავტორი, რომელიც ჭკვიანი ბავშვივით, უცნაურობებს გვეუბნება. ეს რაღაც უსაზღვროდ ძველია და თანაც ახალი, თითქოს სახარებისეულიც. ერლომის თხრობას ახლავს ერთდროულად სინათლე და სუნთქვა, რიდე და ჭეშმარიტება (სინათლე, გარკვეულობა). მწერალი, რომელიც ხედავს ზედაპირის სიღრმეს და სიღრმის ზედაპირს, სამყაროს მტვერს და მტვრულ ბუნებას, აღქმის სიმცდარეს და მცდარობის ყოვლადობას, მცდარობის სიმშვენიერეს, ხედავს სამყაროს ხედვის ახალ

პოტენციას, ხედვის განახლების შესაძლებლობებს, ამ ხედვების ამოუნურავ მრავალფეროვნებას“ (მ. კვჭანტირაძე).

ერლომი პიროვნულადაც უცნაური იყო, – „უცნაური მოთამაშე“. მის წიგნებში თითქოს არაფერია ემპირიული, მაგრამ მასვე რომ დავესესხოთ, – „არის და არც არის“. ლიას მონოლოგიდან: „გია ჭკვიანია და არ შეიძლება, არ იძინოს. სათვალეს რომ არ იკეთებდეს, მაშინ ჩემსავით ლამაზი თვალები ექნება. სათვალის მინები უბატარავებს თვალებს, მაგრამ სათვალეს რომ არ იკეთებდეს, ასეთი ჭკვიანი აღარ იქნება...“ – ეს ხომ ერლომის ირონიული ავტოპორტრეტია! ხოლო „ლია“, – მოხდენილი და მინიატურული ქალიშვილი (ერთ დროს ვსწავლობდით უნივერსიტეტში), ავტორზე ბევრად უმცროსი, ნამდვილად „სებობს“, – როგორც ბავშვები ამბობენ ხოლმე და ერთ დროს ის ნამდვილად იყო ერლომის ხანმოკლე „ცალმხრივი სიყვარულის“ საგანი.

ერლომის ახლობლებს კარგად მოეხსენება, როგორი უილბლო და ხშირად ტრაგიკული იყო მისი ცხოვრება; დღენიადაგ წუხდა, – ყოველდღიური ყოფის სიმძიმით განაწამები, მაგრამ არც ურყევი რწმენა შერყევია, არც „გაკვირვების ექსტაზი“ (ზ. კიკნაძე), არც სიყვარულის უნარი და არც იუმორის გრძნობა. ამ „უილბლობის“ გამოძახილია პატარა ქვეთავის „გრაფომანი მწერალი (განზრახვა)“ უაღრესად სასაცილო დასაწყისი: „ამ ამბის წერა დავიწყე თუ არა, ერთი ალიაქტოთი ატყდა. თავბრუ დამეხვა. მუცელმა დამინწყო გვრემა, გამოხრული და რის ვაი-ვაგლახით ამოგლეჯილი სიბრძნის კბილი ამტკივდა. მარცხენა ფეხი დამიბუჟდა. სათვალე დამივარდა და ერთი მინა გამიტყდა. მანამდე კი მარჯვენა ხელზე რაღაცამ მიკბინა. მარცხენა ხელი მარჯვენას დავარტყი. აქამდე არ ვიცი, მოკვალი თუ არა. ქარი ამოვარდა, მინები ჩაამსხვრია და სახურავს კრამიტები აჲყარა. განვიმდა. ჩემს მაგიდას ჯერ ერთი წვეთი დაეცა. მერე მეორე. მერე მესამე... მერე თვლა ამერია. ტაშტის მოსატანად როცა წამოვვარდი, მუხლი მაგიდის კუთხეს მივარტყი. ამ დროს სინათლეც ჩაქრა. სანთელი ვერ ვიპოვე (ისე ალბათ იცით, რომ სანთელი უფრო ცოცხალია, ვიდრე ნათურა). ასანთის კოლოფი სულ მთლად დასველებულიყო თავის ღერებიანად.

ნამომახურა. მერე შემაცია“...

საკუთარ თავთან მისადაგებული „გრაფომანი მწერალი“ უთუ-ოდ გროტესკული სათაურია. ნეტავ თუ აქვს „გრაფომანს“ ანტო-ნიმი, ე.წ. ოპოზიციური წყვილი? არა მგონია. ერლომისათვის „ან-ტიგრაფომანია“ ზედგამოჭრილი სახელი.

... იყო და არა იყო რა, იყო უცნაური და უნიჭიერესი ერლომ ახვ-ლედიანი, რომლის „ვანო და ნიკო“ და „კოლო ქალაქში“ იყო, არის და იქნება ქართული მწერლობის ავანგარდში.

### მანამა კვაჭანტირაძე

#### ჩანაწერები

გალაკტიონი: „სანამ წვიმა გადივლიდეს, / გზები გამშრალდებოდეს/ ნუ მოაცლი ციურ რიდეს, / რომ ბურუსში ჩნდებოდეს. / თითქოს სული სადმე ვლიდეს / და გულს ცეცხლი სდებოდეს, / სანამ წვიმა გადივლიდეს, / გზები გამშრალდებოდეს“. გალაკტიონი აქ შეგრძნების დონეზე უკავშირებს ერთმანეთს წვიმას, სულის ხეტიალს, ცეცხლმოდებულ გულს... და ამ ყველაფერს – „ციურ რიდეს“. ამოდ ვეცდებით ზუსტი მნიშვნელობის პოვნას. ის რაღაც უცნობ ემოციურ რეალობაზე გვესაუბრება, რომელიც მის პოეტურ სიტყვასთან ერთად გაჩნდა, როგორც საიდუმლო. რას გვეუბნება ეს კავშირები და დროის რომელ მონაკვეთზე მიანიშნებს სიტყვა „სანამ“? ვის ეუბნება „ნუ მოაცლი“-ო?, ვის აფრთხილებს, ვის ავალებს საიდუმლოს („რიდის“) შენახვას – ადამიანს ზოგადად თუ პოეტს? ვგონებ, „რიდის“ ხსენებით ის პოეტის მოვალეობას შეგვახსენებს სამყაროს დაცვაზე, რადგან კანონი ორია: „კანონი ღვთისა და კანონი სიტყვისა“ (ბ. ხარანაული) – და მათ ერთმანეთს უნდა უერთგულონ.

სხვათა შორის და ამასთან დაკავშირებით: ჰიუგენსმა შემოიტანა ეთერის გაგება, რომელიც ავსებს მთელ სივრცეს (სხვათა შორის, ჰიუგენსმა კაცობრიობას მისცა საათიც დროის გასაზომად). ამ თეორიის თანახმად, რომ მატერიალური სხეულები გადაადგილდებიან ეთერში. განა ეს ჰიპოთეზა მსოფლიო ეთერისა, რომლითაც გამსჭვალულია მთელი სივრცე, არ ადასტურებს შემოქმედის გენიალობას, ააფაროს რიდე თავის შექმნილ სამყაროს, დაიცვას იგი ვიღაცის (ადამიანის) დაუინებული, ეჭვიანი და გამაშიშვლებელი, არაესთეტური მზერისაგან? და განა იგივე ეთერი თუ „რიდე“ – უხილავი და უწონადო, არ იცავს და არ აკავშირებს ერთმანეთთან მთელ სამყაროს დიდიდან მცირემდე, ზემოდან – ქვემომდე?

რა არის თანამედროვე ადამიანის ავადმყოფური სურვილი ყველაფრის გასაგნებისა, რაციონალიზაციისა, ფსიქოლოგიზაციისა, რიდის ჩამოგლეჭისა, თუ არა უტიფარი თავხედობა სამყაროს საიდუმლოებების მიმართ, გამოწვეული სიცოცხლის შეგუბების, სულისხუთვის განცდით?

\*\*\*

ავთანდილი ბრძენია. მხოლოდ ბრძენს უსმენს ყველა ( „სმენად მხეცნი მოვიდიან“). ის თითქოს სიცოცხლის საიდუმლოს ფლობს, მისი ქურუმია, ამიტომ ვერ აიტანს, რომ სიცოცხლის ხაზი გამრუდდეს, რომ სიყვარული სიკვდილს ემსახუროს. ამიტომაც ეხმარება ტარიელს, რათა მოვლენათა ბუნების, სამყაროს მოწყობის ზოგადი კანონი დაიცვას.

ტარიელი – ამა სოფლის სრულყოფილი ნაყოფი, რაინდული კულტურის მიერ აღიარებული იდელური ტიპი, ადამიანის შესაძლებლობათა მაქსიმუმია. პოემის სახელნოდებადაც ტარიელის ეპითეტი რუსთაველს სწორედ ამ განსაკუთებულობის გამო გამოაქვს – მისი გმირი ადამიანის რომანტიკული ოცნებაა რეალობაში. იგი უზომოა: სიკეთით, ვაჟკაცობით, თავგანწირვით, სიუხვით, ძალით, გარეგნობით, ცრემლის ღვრითაც კი. აი, ვის გადასარჩენად მიდის ავთანდილი. ისე ჩანს, რომ ავთანდილის წასვლა უცხო მოყმის საძებნელად სამყაროს დეტერმინაციაა, რომელსაც ხელი ეწყობა ადამიანების მხრიდან (სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებლის საგალობელში(„ეპა, სიტყვაო“), რომელიც რუსთაველის პოემას ქრონოლოგიურად წინ უსწრებს, უკვე სინანულია გამოთქმული ადამიანის სიტყვასთან (ლოგოსთან) დაშორების გამო. რუსთაველი სამყაროსთან ადამიანის ერთიანობის იდეის ერთგულია და ყველაზე მკაფიოდ ეს ავთანდილის სახე-ში იჩენს თავს.

ტარიელი სიყვარულის კაცია, გული/გონების, რაციო/ემოციის ოპოზიციის კუთხით – გულის კაცია. გული კი „კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“... რუსთაველმა კარგად იცის, რა არის გული და რასთანაა „მიბმული“: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან...“ აი, როგორია ტარიელის ხასიათის მოსალოდ-

ნელი შინაგანი დინამიკა, აი, რა საფრთხე ემუქრება ტარიელს: ემო-ციური სიჭარბის გამო მას მოვლენათა კონტროლი არ შეუძლია, არადა, სრულიად პრაქტიკული ამოცანა აქვს გადასაჭრელი – ნესტანის გამოხსნა. სიყვარულის გარდა, ქალის დაცვას მას რაინდული კანონიც ავალებს. ამ კანონის დაცვის გარეშე იგი სრულყოფილ კაცად ვერ იგრძნობს თავს. დარღვეული წონასწორობა უნდა აღდგეს და სწორედ აქაა საჭირო გონივრული პრაგმატიზმი, როგორც სასიცოცხლო ენერგიათა ჰარმონიული მიმოქცევის (ბალანსის დაცვის) ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც, თუ არა რაციონალური არსების – ადამიანის ხელით – ვერ განხორციელდება. ეს ფარული კოსმიური შეთანხმებაა სამყაროს შემოქმედსა და ადამიანს შორის და ამ ჭრილში უნდა განიხილებოდეს ავთანდილის ყველა ადამიანური ნაბიჯი. არსებობს რაინდული კოდექსის იერარქიაც, რომელიც ამ კულტურული პარადიგმის დაცვის სახელით ეთიკურ გადაცდომას ნებასაც იძლევა. ეთიკა ადამიანის შეტანილია სამყაროში, ყოფიერების უფრო მაღალი ღირებულებების – სიცოცხლის, ჰარმონიისა და სიმეტრიის დაცვის მიზნით. ასე რომ, ყველა სხვა ტიპის წაკითხვა (მაგალითად, ჭაშნაგირის მკვლელობის შეფასება რელიგიური და ზნეობრივი კუთხით) სხვა არაფერია, თუ არა კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლობა.

ავთანდილი სწორედ ის „იგია“, რომელმაც ტარიელი, ანუ ადამიანთა განსაკუთრებული ჯიში და მოდგმა უნდა გადაარჩინოს. და რომ არა ავთანდილი, მას შველა არ უწერია. ავთანდილის გარეშე იგი არ არსებობს, რადგან სულ გადასარჩენად აქვს საქმე, სულ ხიფათი ემუქრება. სულ არსებობს იმის საშიშროება, რომ ამოინუროს, დაუძლეულდეს, ხელი ჩაიქნიოს, არ განახორციელოს საკუთარი შესაძლებლობები. ამიტომ მისი მოდგმისა და ჯიშის დასაცავად აუცილებელია ავთანდილი – კოსმიური კაცი – ჰარმონიული, კოსმიური წესრიგის მცველი. რა ძალას უნდა ფლობდეს კაცი, რომელიც მიდის, მიიმდერის და მთელ სამყაროს ერთიანობად კრავს – თუ არა კოსმიურს? რა სამყაროული კოდია ამ სიმღერაში, რა ძალაზე ლაპარაკობს რუსთაველი, რომელიც მხეცსაც იზიდავს? ვის შეუძლია სამყაროს ერთიანობა ამტკიცოს სიმღერით (სიმღერა უნივერსალური ნიშანია ამ ერთიანობისა,

ფორმულასავით)? აი, ეს კაცია „იგი“, ანუ ის „მე“ („მე იგი ვარ“), რომელსაც შეუძლია სრულად და უდანაკარგოდ მიუძღვნას საკუთარი თავი „სხვას“. ავთანდილი ადამიანი-მეტაფორაა. როგორც მეტაფორით გვაუწყებს ენა იგივეობას და არა ოდენ მსგავსებას, რაღაც საერთო განზომილების არსებობას სამყაროს სხვადასხვა მატერიებს, ენერგიებს, სტიქიებს შორის, ისე რუსთაველი გვატყობინებს ავთანდილის მეშვეობით მეგობრობაზე, როგორც ადამიანთა შორის ამ სამყაროული ერთიანობის ემანაციაზე. მოკლედ, თუკი ტარიელი სრულყოფილი ადამიანია, რაღა გა-საკვირია, რომ კოსმიური კაცი იდეალური ადამიანის დასახმა-რებლად წავიდეს? და რა უნდა ქნას ამ კოსმიურმა კაცმა სიყ-ვარულის დაცვაზე უკეთესი? სახელმწიფო მართოს, ინადიროს, ასპარეზობებით შეიქციოს თავი თუ თინათინთან ალერსით? თუ არ ვცდები, ქართულ ცნობიერებაში ესაა პირველი სიტყვა, სადაც „მე“-ს პრობლემა ეგზისტენციალურ კონტექსტში დაისმის, სადაც ადამიანი „მე“ ყოფიერების მიმართ საკუთარი არჩევანის განაცხადს აკეთებს: იგი ირჩევს საკუთარ თავს, როგორც „სხვის“ („მოყვრის“) მსახურს. როგორც პროტაგორა პირველად ახელებს მე-ს იდენტობას ფრაზით – „ეს მე ვარ, პროტაგორა“ – და სათავეს უდებს მე-ს ინდივიდუალიზაციის ხანგრძლივ ისტორიულ პრო-ცესს (ლაკანის მიხედვით), ისე ავთანდილი ამბობს: „მე იგი ვარ“ და სათავეს უდებს „მე“-ს, როგორც სხვისი სიცოცხლის სამსახურის რელიგიური იდეის ღრმა სეკულარულ გააზრებას ქართულ მწერლობაში.

სოფელი, ასეთი დაბმარების გარეშე, მე-იგი-ში გარდასახვების გარეშე ერთი ბებერი კიტრია და მე მისი მუშტარი არ გახლავართო – აი, რას ამბობს ავთანდილი. ცხოვრების სისავსე იქაა, სადაც არის „მე“, სადაც „მე ვარ“: მე ვარ-ის ლეგიტიმურობა კი მოწმდება თავისუფალი არჩევანის ნებით და არა მისი შედეგით. შედეგი ცხოვრებისეულია და არა ყოფიერებისეული. ავთანდილი იმასაც ამბობს, ჩემისთანა კაცისთვის მოყვრისათვის სიკვდილი თამაში და სიმღერაა, ანუ ყველაზე თავისუფალი, და თუ პლატონისებურად ვიტყვით, ღმერთისთვის საამებელი საქციელიო. სერიოზულობიდან გასვლა სათამაშო მოედანზე ყოველდღიურობიდან თავისუფლებაში, ზემში, დღესასწაულში გასვლაა, როცა შენი სიცოცხლე სიკვდილთან

თამაშში, სასაზღვრო სიტუაციაში შეგიძლია გაატარო, სიკვდილი სიმღერით ჩაანაცვლო და ხალისად (თამაშად) აქციონ („თამაშად და მიჩანს მღერად“).. შეკვრა, შეერთება, გამთლიანებაა ავთანდილის სიცოცხლისა და სიკვდილის საზრისიც. აქედან – მისი თავგანწირვის უმაღლესი კოსმიური მისია.

\*\*\*

დარეჯანის ცრუ საქმიანობა ილიას „კაცია ადამიანში“ იმაზე მიანიშნებს, რომ მან რაღაც იცის ჭეშმარიტ საქმიანობაზე. ლირებულებათა ბუნდოვანი ხსოვნა კი არსებობს, მაგრამ აღარ არსებობს ცოდნა, ცოდნა დაკარგულია. სწორედ ამაზე მიანიშნებს ილია ფანჯარაზე გაპრულ გაქონილ ქალალდზე ამოკანრული ფრაზით: „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო“. ცოდნა ჩანაცვლებულია მისი დამახინჯებული, მრუდე და ბუნდოვანი კვალით. იგივე ხდება კვაჭი კვაჭანტირაძის შემთხვევაშიც რაინდობის კონცეპტის მიმართ. სხვათა შორის, დათიკოს („გლახის ნაამბობი“) ბოლო ქმედებაც ამ ხსოვნის გამოძახილია. მას ახსოვს, რა შეეფერებოდა, რომელიც ერთ შემთხვევაში (თამროს) ვერ (არ) დაიცვა და მეორეში (გაბროს დახსნა) კი დაიცვა, თუნდაც სიცოცხლის ფასად და დათიკოს ამ საქციელის გამო ილია, ჩემი აზრით, მას შემწყნარებლურად უყურებს. ბოლო ორ შემთხვევაში რაინდული კოდექსის ხსოვნა დასტურდება გადაშლილი კვლებით, მაგრამ სისტემა უიმე-დოდ დარღვეულია.

\*\*\*

თათქარიძეობაზე, როგორც მოვლენაზე საუბრისას, საგანგებოდ ხაზგასმულია მისი დამოკიდებულება ცოდნასთან და სწავლასთან. როცა ლუარსაბი მენტორის ტონით ლაპარაკობს მისთვის გაუგებარ საკითხებზე და დარწმუნებულია თავისი აზრების სისწორეში, მართებული იქნება იმის გათვალისწინება, რომ, რაც არ უნდა პარადოქსულად უდერდეს, პროფესიონალიზმი, ღრმა ცოდნა, გარდაა რაინდული კოდექსით გათვალისწინებული ცოდნის (საქმიანობის) გარკვეული სახეობებისა (გამორჩეულად კი საბრძოლო ხელოვნებისა) – ტრადიციული რაინდული არისტოკრატი-ისათვის დამახასიათებელი არ არის, ხშირ შემთხვევაში კი მიუღე-  
264

ბელიცაა. ცხადია, შეუძლებელია ილიას ეს არ ცოდნოდა. ვფიქრობ, ლუარსაბს იგი განიხილავდა როგორც უკიდურესად ჩამორჩენილ, დროისა და რეალობისაგან კომიკურად დაშორებულ გარკვეულ კულტურულ ტიპს, რომელსაც ახსოვს, მაგრამ არ იცის, რა, და იცავს, მაგრამ არ იცის, რას.

\*\*\*

თეიმურაზი, ჯაყო, ლუარსაბ-დარეჯანი, კვაჭი, ნაცარქექია საერთო კოდის ნიშნები, გენეტიკურად მონათესავე სახეებია, რაღაც პრასახის დამახინჯებული, დეფორმირებული, დაშლილი და დაკინინებული ნარჩენები (ნაცარქექიას გარდა). ეს დაკინინება და სიმახინჯე ქართულმა ლიტერატურულმა ტრადიციაშ საქმესთან დამოკიდებულებით გამოხატა: თეიმურაზიც, სხვების მსგავსად, ცრუმოსაქმეა. კვაჭიც ასეთივეა – „გაიმასქნება“ ის საქმიანობაა, რომელიც, არათუ ვერ ჩითვლება საქმიანობად, არამედ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ანტისაქმიანობა. შესაბამისად, არც საკუთარი სახელი და საქმიანობის ობიექტი აქვს და სახელიანი საქმეებისგან განსხვავებით, სამყაროს („მყარს“) აზიანებს.

\*\*\*

ხიდჩატეხილობა ილიასთან სოციალურზე გაცილებით ღრმად, ზოგადყოფიერებისეულ ჭრილშია დანახული. სიყვარულის ვერ-შემჩნევა სოციალური განსხვავების გამო ადამიანთა არაბუნებრივ გათიშულობაზე მინიშნებაა. ილიას ეს პრობლემა ყველა მოთხოვნაში აწუხებს და მის განსხვავებულ ვარიანტებს გვაძლევს „ოთა-რაანთ ქვრივშიც“, „გლახის ნამბობშიც“ და პატარა მოთხოვნაშიც „სარჩობელაზედ“. კესო, ბრმასავით, საერთოდ ვერ ამჩნევს გიორგის სიყვარულს, არადა, რამდენი ნიშანია კესოს თვალწინ – და სწორედ ესაა ტრაგედია. პეტრესაც, მიუხედავად იმისა, რომ კეთილი და შემბრალე კაცია, მეხსიერებაში არ რჩება ქურდი ბავშვების ეპიზოდი. მეტიც, კაცის ჩამოხრჩობის საყურებლად ისე მიღის, როგორც სანახაობაზე (თუმცა ძლიერ სულიერ შფოთვას იღებს სანაცვლოდ). ასევეა დათიკოც, რომელიც თანაშეზრდილი გაბროს ერთგულებასა და სიყვარულს გულგრილი სისასტიკით თელავს. ამ განხეთქილებას ზედაპირულ დონეზე სოციალური ელფერი კი აქვს,

მაგრამ ილიას მიერ იგი, თუ შეიძლება ითქვას, ეგზისტენციალურ საზღვრებშია დანახული. ილია რომ ამას მხოლოდ სოციალური ხიდჩატებილობის ჭრილში არ ხედავს, ოთარაანთ ქვრივის შემთხვევაშიც დასტურდება: მას თითქოს შეურაცხყოფს სოსიას სიყვარული. ადამიანის, როგორც მსგავსის, დაგვარის სიყვარული გაძევებულია ამ სოციალურად სტრუქტურირებული სივრციდან, თუმცა კესოსა და არჩილს ლიბერალიზმის ნიღაბი ფარავთ, ოთარაანთ ქვრივს – გარდაცვლილი მეუღლის ერთგულების მორალური კანონი; პეტრეს – ქრისტიანული საქართველოს ხსოვნა; დათიკოს კი – რაინდული სამრთლიანობის იდეა. აქ თითქოს ყველაფერი წარსულშია, ყველაფერი მხოლოდ წარსულის ნიშნებით მეტყველებს და ამიტომაცა უძლეური და უნაყოფო. ილიასთვის ადამიანისა და შესაბამისად, სოციუმის პრობლემა სიყვარულის ვერდანახვის, ვერშემჩნევის პრობლემა. ვერც კესო, ვერც ოთარაანთ ქვრივი, ვერც გიორგი (დედის მიმართ) ვერ ამჩნევენ მხურვალე გულს. სამყარო გაციებული, ენერგიადაკარგულია. ქრისტიანული თანაგრძნობა, თავისი ღრმა და ჭეშმარიტი გაგებით, დამშრალია. სიყვარულის დათმობა – ესაა ილიას ცენტრალური რელიგიური და ზნეობრივი თემა. სოციალურმა განსხვავებულობამ დააზიანა ადამიანური ურთიერთობები ეგზისტენციალურ დონეზე და გაუცხოვების ზღვარს მიუახლოვა. სწორედ ამ სიღრმის გამო იძლევა ილია ყოველ დროში ახალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

\*\*\*

განდეგილის ეჭვი თავს ავლენს წამოცდენაში: „მე უბედურსა“ – ესაა რწმენის შერყევა, რომელიც ამოთქვა სიტყვამ. ენამ გაამჟღავნა ცნობიერების საიდუმლო, მისი ფარული, სავარაუდოდ, განდეგილისთვისვე უცნობი მდგომარეობა, რომელმაც გაიღვიძა მასში ქალთან შეხვედრის შემდეგ და რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სინანული, ეჭვი ღმერთის უპირობო სიყვარულის (რწმენის) მიმართ. ეს ის კაცი იყო, რომელიც შეუდგა ღმერთს მიუხედავად ყველაფრისა, ახლა კი ისაა, ვინც განუდგა ღმერთს წამიერი სისუსტის გამო. ამდენად, მით უფრო მძიმეა მისი დანაშაული (როგორც ბუდას ერთ არაკშია: ვეებერთელა სულიერ სიმაღლეებს ზიარებულ კაცი წამიერი სისუსტის გამო უმკაცრესად ისჯება – ქვად იქცევა).

ეს შეიძლება ერთდროულად იყოს ნების სისუსტეც და რაციონალური განსჯის შექრაც რწმენის სფეროში, რაც იწვევს რწმენის მოშლას – მტკიცებულებათა მოთხოვნას ღმერთის არსებობაზე, რათა გაამართლოს თავგანწირვა რწმენისათვის, ანუ ადამიანური „მსხვერპლი“ ( „გზა ხსნისა ასეთი მერგო მე უბედურსა“).

\*\*\*

ტოკვილი ამბობს, რომ „ლირსების გაგება ადამიანთა შორის სოციალურმა განსხვავებამ და არათანასწორუფლებიანობამ შექმნა. ეს გაგება სუსტდება იმის კვალდაკვალ, რაც წინააღმდეგობები და განსხვავებები ერთმანეთში რიგდებიან და საერთოდ ქრებიან“. ღრმა სულიერი კატეგორიის ასეთი სოციოლოგიზირებული შეფასება, რბილად რომ ვთქვათ, ვუღლგარულ-პრიმიტიულ ელფერს ატარებს. თუ ტოკვილი ვარაუდობს, რომ ფსიქიკური სტრუქტურა სოციალური გარდაქმნების შედეგად მთლიანად წაიშლება და ასტრუქტურად იქცევა, ეს ნიშნავს, რომ ამ განცხადებით იგი კაცობრიობის ცხოველურ მომავალს წინასწარმეტყველებს. ღირსების გრძნობა არამხოლოდ სოციალური ურთიერთობების მორალურ დონეზე მომანესრიგებელი, არამედ თვითშეფასების, მე-ს იდენტობის საფუძველია. იმ თვითშეფასების საფუძველი, რომ იგი ადამიანთა მოდგმას ეკუთვნის და პატივს ცემს ამ კუთვნილებას. არაფერი ისე ახლოს არაა ერთდროულად ადამიანის სულიერებას-თან და ფსიქიკურ არაცნობიერთან, როგორც ღირსების გრძნობა. იგი ფსიქიკური სტრუქტურის ისეთ წერტილებში წარმოიქმნება, სადაც „ზე-მე“ და არაცნობიერი ერთმანეთს ხვდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეხვედრა ტოპოლოგიურად თითქოს მოსალოდნელი არაა. იგი სწორედ იქ იბადება, სადაც „მე“ საკუთარ თავთან შინაგან აცდენებს გადალახავს და თავის ჭეშმარიტ არსს წვდება. ცხადია, იგი ისტორიული განვითარების ნაყოფია, მაგრამ ამ განვითარების შედეგად მას ყველაზე ღრმა და ზოგადი შინაგანი კანონის სახე აქვს შეძენილი, რომელიც ადამიანში საკუთარი არსის ღირებულებით აღქმას ანესრიგებს.

\*\*\*

კულტურა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ფორმა, წარმოადგენს ენას, ანუ ნიშანთა სისტემას. ეს ცნობილია. კულტურის ამ ენობრივ ბუნებაზე სემიოტიკის შექმნამდე დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე იცოდა იმ ოსტატმა, რომელმაც ერეკლეს ხმალზე ამოტვიფრა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის, ერეკლესი“.

\*\*\*

დიალოგი (საუბარი, „მუსაიფი“) შეუძლებელი ხდება მაშინ, როცა კულტურა აღარ ასრულებს ადამიანთა ურთიერთობაში არა-ნაირ როლს და ურთიერთობა ძალადობის ენაზე ითარგმნება. ასეთ დროს კულტურული ნირმები ირლვევა და მთელი სოციოკულტურული სფერო ძლიერ რყევებსა და ცვლილებებს განიცდის. ამის ნიშნები უამრავია მე-19 საუკუნის ლიტერატურაში. რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას:

სპირიდონ მცირიშვილი დამბაჩას ატარებს („ჩვენი ქვეყნის რაინდი“). ამ დამბაჩითვე კლავს ტარიელ მკლავაძეს. თუკი ადამიანური ღირსების კუთხით შევხედავთ, ეს სამართლიანია, მაგრამ მოულოდნები: რატომ შეიძლება მასწავლებელი ატარებდეს დამბაჩას? რას წარმოადგენს აქ დამბაჩა, როგორც ნიშანი? თავისუფალი ადამიანობის სიმბოლოს, ანუ თავისუფლების ნიშანს, რომელიც კულტურას ეკუთვნის, თუ საგანს, რომელსაც პირდაპირი პრაგმატული დანიშნულება – თავდამსხმელისგან თავდაცვა, ან სულაც, თავდასხმა აკისრია? იარაღის ტარების სოციალური პრივილეგია, თუ მე-19 საუკუნის კულტურული ნორმებით ვიმსჯელებთ, მას არ ეკუთვნის. სოციალურად სპირიდონი „მცირიშვილია“, ანუ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი, გვარის შესატყვევისა გარეგნობითაც. მისი ეს მდგომარეობა ჩანს უცნობის რეპლიკაშიც მკვლელობის სცენის დასასრულს: „ამ გლახამ“ რაინდული კოდექსის მიხედვით, ერთმა შეიძლება დაჩაგროს მეორე, როგორც ღირსების არმქონე. მაგრამ ამ გარემოში რაინდის ცნება პერვერსირებულია ისევე, როგორც ინტელიგენტისა. მე-19 საუკუნის ბოლოს რაინდი უკვე აღარ ატარებს იარაღს, როგორც სოციალური და კულტურული მიკუთვნებულობის (ნი-

მუშის, ტიპის) სიმბოლოს. ეს სოციოკულტურული ჰაბიტუსი მასში მკვდარია და მოძალადედაა გარდაქმნილი. შესაბამისად, მკლავი, როგორც ძალადობის პრიმიტიული, ფიზიკური და ველური იარაღი, ჩაენაცვლება ხმალს, დაშნას, როგორც კულტურის ნიშანს. ამ გაგებით, ტარიელი კულტურის გარეთ დგას და მის პირველყოფილ, განუვითარებელ (ჩამორჩენილ) ფორმას განასახიერებს. რაინდობას დაკარგული აქვს ღირსების დაცვის (სხვისი თუ საკუთარი) მნიშვნელობა და სოციალური ძალადობის ფორმადაა გარდაქმნილი (ანტინიშნებით აქ სრულიად მკაფიო ხდება ინტერტექსტუალური გადაძახილია „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელთან და რაინდობის ქართულ ტრადიციასთან: ტარიელი ქალთა მხსნელია, მკლავაძე – მოძალადე. ტარიელის მკლავის ძალა სიკეთეს, მამაკაცურ ღირსებას, მეგობრობისა და ქალის დაცვას ხმარდება. აქ – ყველაფერი პირიქითა). ქალზე ძალადობის, უსამრთლობისა და ადამიანის დამდაბლების, განადგურების სურვილი კულტურის განადგურების ნიშანია. ეგნატე ნინოშვილი კულტურის იმ ეტაპს გვიჩვენებს, როცა ყველაფერი აღრეულია, და არც წესების დაცვა ევალება ვინმეს. ესაა საზღვრებმორღვეული კულტურა, რომელიც ესთეტიკის და ეთიკის მიღმა. ნიშნები, რომლებიც კულტურის მოცემულ ენას წარმოადგენენ, ან მნიშვნელობაშეცვლილია, ან საერთოდ დავიწყებული. მეორეს მხრივ, დგება კულტურის ენის გადარჩენის აუცილებლობა, რომელიც მფარველობს ადამიანთა ურთიერთობას, ღირსებასა და თავისუფლებას, და ამ გადამრჩენის ფუნქციას საკუთარ თავზე იღებს ინტელიგენტი. ასე რომ, მკლავაძე აღარაა რაინდი და აღარც სპირიდონია „გლახა“, რომლის დაჩაგვრაც რაინდს, კოდექსის მიხედვით, ეპატიება. სპირიდონის ხელში (ჯიბეში) დამბაჩა ორმაგი დანიშნულებისაა: ერთის მხრივ, მისი თავისუფალი მოქალაქეობის ნიშანია (რომელსაც ღირსების დაცვა შეუძლია), ანუ კულტურის ნიშანი, რომელიც მან მიისაკუთრა არისტოკრატისაგან, როგორც ამ ნიშნის ახალმა პატრონმა ამ უფლების დამკარგველისაგან, მეორეს მხრივ კი ამ თავისუფლების დაცვის იარაღი და ფიზიკური გადარჩენის პირობაა.

\*\*\*

ოთარაანთ ქვრივისთვის მუხლზე ხელის დაკვრა ( „შინაურული“ ჟესტი) კესოს მხრიდან დაშვებული შეცდომაა. კესო არღვევს სოციალური იერარქიის დაცვის კოდსაც და უფროს-უმცროსობის ტრადიციულ ეტიკეტსაც. ოთარაანთ ქვრივი ამაზე მიანიშნებს. ის ცნობს სოციალურ განსხვავებულობას, მაგრამ იცავს კულტურულ ნორმასაც და კესოსგან კულტურის ამ ენის სტატუს-ქვოს შენარჩუნებას მოითხოვს.

\*\*\*

უპირველესად, რაც დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში მოგხვდებათ თვალში, ისაა, რომ მისი პერსონაჟები განუწყვეტლივ მოძრაობენ, გადაადგილდებიან ერთი სივრცული წერტილიდან მეორეში: სოფლის გზებზე – მეზობლიდან მეზობელთან, სახლიდან ვენახში ან ეკლესიაში, უფრო იშვიათად – სოფლიდან ქალაქში ან პირიქით. ძირითადად მოძრაობენ ფეხით, ხანდახან ცხენითაც. „სამანიშვილის დედინაცვლის“ სიუჟეტურ ხაზზე რომ არაფერი ვთქვათ, დავით კლდიაშვილის მემუარულ თხზულებასაც ასე ქვია: „ჩემი ცხოვრების გზა“. გზა მის შემოქმედებაში მთავარი რეალობა და მთავარი სიმბოლო (თუმცა, არა მგონია, კლდიაშვილის მიერ იგი სიმბოლოდ ყოფილიყო ჩაფიქრებული), სივრცის ნაწილი, სადაც მისი პერსონაჟები თავიანთი ცხოვრების ტვირთს მიათრევენ, იტანჯებიან და ხანდახან უხარიათ კიდევ. ისინი ლაპარაკობენ, მოქმედებენ, გადაწყვეტილებებს იღებენ და ცვლიან არა ზღურბლზე (დოსტოევსკისებურად), არამედ გზაში ან ოთახში, რომელიც გზასთან შედარებით, თითქოს მათი დროებითი სადგომია. ნახეთ სოლომანი, პლატონი, დარისპანი, ოტია ქამუშაძე... ისინი ან სახლიდან გასასვლელად ემზადებიან, ან ბრუნდებიან, ან გზაში არიან. თითქოს საკუთარ სახლში ვერ ისვენებენ, ადგილს ვერ პოულობენ, სხვა სივრცეში ეძებენ იმას, რაც საკუთარში დაკარგეს. სახლს თითქოს დაკარგული აქვს ის დაცულობა და სიმშვიდე, რაც შინაურულ გარემოს უნდა ახასიათებდეს. ეკვირინე განუწყვეტლივ ყვება სხვა დროზე, სხვა სივრცეზე, თითქოს მისი ცხოვრების რეალობა წარსულშია. ზოგადად სახლს, როგორც „კულტურის აგენტს“,

კლდიაშვილთან თითქოს დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია და იგი გზის ნაწილად, დროებით თავშესაფრადაა ქცეული (სახლის ამ დაკარგული როლის შესახსენებლად მნერალი თითქოს შესა-დარებლად მოიხმობს სალობერიძის სახლს, რათა ტრადიციული სოციოკულტურული ატმოსფეროს ცვლილება გვაგრძნობინოს). სწორედ ამიტომ პლატონი განუწყვეტელ დისკომფორტს გრძნობს სხვის სახლებში ისევე, როგორც დარისპანი და სოლომანი, რადგან საკუთარი სახლებიდან ბედის საძიებლად გამოსულები თუ იძუ-ლებით გამოგდებულები, სხვის სახლებში ასეთივე იძულების გამო ხვდებიან და არა საკუთარი სურვილით, ანუ, არა რაიმე ემოციური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ან კულტურული მისიის შესასრულებლად (მეგობრული ან ნათესაური ვიზიტი), არამედ პრაქტიკული აუცილებლობით.... ამ პერსონაჟთა არაცნობიერ აღ-ქმაში სხვისი სახლი მათი იძულების, არჩევანის არარსებობის, ღირსების შელახვის ადგილია.

სახლის და ზოგადად სივრცის მიმართ იდენტობის რღვევა, ეს მოუსვენრობა და მუდმივი გადადგილება მათი ცხოვრების ხატია. გზა აქ არ წარმოადგენს „სივრცეს, სადაც ხორციელდება „მე“-ს მიღწევა „მე“-მდე (მ. მამარდაშვილი), პირიქით, „მე“ აქ სულ უფრო და უფრო შორდება საკუთარ თავს, გზა მასში არსებობისთვის მებრძოლ მხეცს აღვიძებს.

გავიხსენოთ პლატონი და მისი მოგზაურობის შედეგი, სოლო-მანის „წანწალი“ და მისი ბოლო მონოლოგი. მართალაც და, „რა გამოვიდა ორი თვის წანწალიდან?“ პლატონ სამანიშვილი ამ გზას საკუთარი ადამიანურობის ნგრევამდე მიჰყავს, დარისპანი და მისი ქალიშვილი - ღირსების გათელვამდე, როსტომ მანველიძის ქალიშვილებისთვის წანწალი იძულებასთან შეწყმული „დროს გასა-ტარებელი“ ყოველდღიურობაა. „წანწალი“ ცხოველის მოძრაობის აღმნიშვნელია, განსაკუთრებით, პატარა ზომის მტაცებლების ისეთი მოძრაობისა, რომელიც ჭამის ინსტინქტის დაკმაყოფილე-ბას, სტომაქის ამოვსების ყოველდღიურ მოთხოვნილებას უკავ-შირდება. სოლომანი ასახელებს კიდეც ამ ცხოველს თავის ბოლო მონოლოგში და ღმერთის პირით შეჩვენება-შეფასებასაც უგზავნის ამ გზას: „ღმერთმა დასწევევლოს, ღმერთმა, ამისთანა გაძალებუ-ლი ცხოვრება“. პერსონაჟების ქცევა მართლაც ძალიან ჰგავს სე-

რაფიონის ძალლის, კუსიას ქცევას საჭმლის მოსაპოვებლად („ქა-მუშაძის გაჭირვება“). პლატონ სამანიშვილის მოგზაურობაც სხვა არაფერია, თუ არა წანწალი, მიუხედავად იმისა, რო იგი ცდილობს, ცხენზე შეჯდომით ამ წანწალს ღირსეული სახე მიანიჭოს.

\*\*\*

რეზო ინანიშვილის ნოველა „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“ ნოველის ქვეშანრის უმთავრეს პირობას – მოულოდნელობის ეფექტს აკმაყოფილებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მწერლის მიერ მოყოლილი ტრაგიკული ამბის ბოლოს მსმენელი – მწერლის ქალიშვილი – სრულიად უცნაურ შეკითხვას სვამს. ნოველისთვის დამახასიათებელ მოულოდნელობის ეფექტს სწორედ ეს შეკითხვა ბადებს. თუმცა ამ მოულოდნელობის არსი უფრო ღრმა დონეზე სტრუქტურირდება საკუთრივ სიუჟეტის შიგნით. სხვა რა არის ახლგაზრდა ვაჟის რომანტიკულ-რაინდული შეხედულება ქალზე და ცხოვრებაზე, თუ არა მოულოდნელობა, მეტიც, გაუგებრობა გენერლისა და მისი თანმხლები ქალისთვის, ზოგადად კი – მათი თაობისთვის? იმ ობიექტური, რეალური დროისთვის და მისი შესაბამისი სოციუმისთვის? როგორც მოთხოვობის ახალგაზრდა პერსონაჟის ქცევა, ისე გოგონას შეკითხვა ხაზს უსვამს რადიკალურ დაშორებას თაობათა შეხედულებებსა და წარმოდგენებს შორის, რომელიც გოგონასათვის შეუძლებელს ხდის, არა მხოლოდ ჩანვდეს მომხდარის მთელ ტრაგიზმს, არამედ ელემენტარულ დონეზე მაინც მისვდეს, რა მოხდა. ამ დიალოგის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ აქაა გადადება (გაგების) და არა შესმენა. ნოვლის ფილოსოფიური მუხტი იქ ჩნდება, სადაც შეკითხვის შეუსაბამობა მოთხოვობილ ამბავთან ავლენს დროთა აცდენას, მის ფრაგმენტებს შორის კავშირის წყვეტას და ამ დაშორებით გამოწვეულ სრულ გაურკვევლობას იმ ცნებებისა და ღირებულებების მიმართ, რომელიც ძველი თაობების ცხოვრების წესს ქმნიდა. თუკი მართალია აზრი, რომ ნოველაში ფილოსოფიური ეშმაკი უნდა იცინოდეს, ის აქ წამდვილად იცინის. მეტიც, ამაზრზენად ქირქილებს ადამიანის რომანტიკულ წარმოდგენებზე, ყველა დროის დონ კიხოტებზე და დროის მუდმივ ღალატზე.

უფრო კონკრეტულად ამ „აცდენების“ მიზეზებზე: ბიჭი ობოლია, ბებიამ გაზარდა და ბებიების თაობის რომანტიკული წარმოდგენებით იკვებება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, ღირსებაზე, რაინდობაზე. მამის თაობა, რომელსაც ბიჭისთვის შეეძლო ეჩვენებინა ამ ღირებულებების სრული უნიადაგობა თანამედროვეობაში და იგი უხეშ რეალობაში დაებრუნებინა, გენერლის სახითაა წარმოდგენილი და სწორედ მასთან უწევს დაპირისპირება ვიტგენშტეინს. დუელი, რომლითაც იგი (ქალისა და) საკუთარ ღირსებას იცავს, ახალგაზრდა არისტოკრატისთვის რეალური შინაარსის შემცველია, საზოგადოებისთვის კი – ცარიელი ფორმა, დაცარიელებული აღსანიშნია მხოლოდ, ფორმა კი გვიან კვდება. მამებსა და შვილებს, ზოგადად დროის მონაკვეთებს შორის ჩამონლილი ეს ფატალური გაუგებრობა, დიალოგის შეუძლებლობა ყოფიერების ნიშნადაა წარმოდგენილი და ორივე ეპიზოდში საგანგებოდაა აქცენტირებული. გენერალი გულწრფელად წუხს ამ გაუგებრობის გამო და სწორედ ამიტომაა დაბნეული, ხვდება, რომ საშინელი ხიფათი შეუქმნა ახალგაზრდა კაცს თავისი ერთი სალდაფონური, ხეპრული ჟესტით. რაღაც უჩვეულო დაძრა, რომელთან გამკლავება არც მას, არც ვიტგენშტეინს არ შეუძლია. დაბნეული ჩანს ქალიც, თითქოს მისთვისაც გაუგებარია ბიჭის თავგამოდება, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობს. იმ დროის მიღმა, რომელშიც მოქმედება ხდება, სხვა დროის აჩრდილი წამომართულა და დაკარგული ღირებულებების გამო საჩვენებელ შურისძიებას აწყობს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოთხოვთ ამ მთავარ პერსონაჟს ერთადერთი რეალური მაყურებელი ჰყავს – მწერალი.

\*\*\*

რეალიზმში სიუჟეტი ვითარდება ვექტორული მოდელით. დროითი გადახვევები ცენტრალური სიუჟეტის ხაზოვანი შენაკადებია, რომელებიც ძირითად ამბავს უბრუნდებიან და არსად მიდიან შორს. მოდერნიზმი ვექტორულ მოდელს დროის ფარდობითობის იდეითა და შესაბამისად, მრუდე ხაზით ცვლის. თუმცა მოდერნისტული ხედვის სივრცეში ისინი ერთდროულადაც არსებობენ. პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელია დროსივრცის აბსოლუტური ფარდობითობა და მიზეზ-შედეგობრიობის ონტოლოგიის სრული

უარყოფა. დომინანტური (აქტუალური) ხდება სამყაროს სინქრონულობისა (ერთდროულობისა) და ტექსტურობის სივრცული მოდელი. პროცესის განვითარება დროსის კონცენტრირების რიზომულია, შესაბამისად, მოვლენები შეიძლება დროში ერთდროულად ხდებოდეს, მიზეზსა და შედეგს შორის მიმდევრობა დაირღვეს, სივრცე კი კონტექსტიდან იყოს ამოგდებული და არ ითვალისწინებდეს არამცოლისტორიული დროის რეალურ ფაქტებსა და გარემოებებს, არამედ პერსონაჟის მოვლენითი დროისა და ხასიათის კონტექსტსაც, მეტიც, იგი შეიძლება ერთი პერსონაჟის სივრცის შემადგენელი იყოს და მეორის დასახასიათებლად გამოიყენებოდეს. მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძის ომში წასვლა აკა მორჩილაძის „რიმეიქში“ სხვა კონტექსტში აქცევს ლუარსაბს და მის სახასიათო ნიშნებსაც: ლუარსაბის მეტყველება – დინჯი, საქმიანი; ხასიათი – ღრმა, ღრმა განცდის უნარი; გასტრონომიული ლტოლვები საერთოდ უგულებელყოფილია. იგი ჩოხაშია ჩაცმული და დაკავშირებულია ჩოლოქის ომის, ანუ ქართული არისტოკრატიის უმთავრესი კულტურულ-ისტორიული საქმიანობის კონტექსტთან გარეგნული მახასათებლებითაც კი.

აკა მორჩილაძემ მშვენიერი შანსი მისცა ილიას პერსონაჟს, რომანტიკულ ეპოქაში ეცხოვრა და ადამიანად ეჩვენებინა თავი ახალი საუკუნის მკითხველისათვის. სწორედ ამ შანსის მიცემაში ვხედავ მნიშვნელობის ყველაზე დიდ დამსახურებას ყველა დროის მკითხველის წინაშე.

\*\*\*

ის, რაც სუბიექტურობის გაძლიერებას ახლავს, თითქოს აზართებს სამყაროს და ადამიანს – იმას, რაც გარს გვაკრავს და იმა-საც, რითაც მთლიანობად იკვრება ჩვენს შიგნით. ვრჩებით მარტო, ჩვენი დამცავი გარეშე ობიექტური ძალების გარეშე, სამყაროს რეალურობის (როგორც გარეშე სივრცის), ღმერთის მხარდაჭერის გარეშე (როგორც გარეშე წესრიგის კანონმდებლის), ისტორიის (როგორც ჩვენამდე, ჩვენი მონანილეობის გარეშე არსებული რეალური პროცესის) გამაძლიერებელი ძალის გარეშე. ვრჩებით ჩაკეტილნი ჩვენს შინაგან სამყაროში, მოწყვეტილნი ყველაფერს, რაც ჩვენს გარეთაა – სივრცის სახით და ჩვენს მიღმაა, მიმდინარეობს,

ხდება – დროის სახით. უსაზღვროება აღარ შეიცავს დადებით კონტაციებს. საზღვარი სიმშვიდის გარანტიაა და იგი მოშლილია, დარღვეულია (პირველ ყოვლისა, „მე“-საზღვრები). გალაკტიონშა და მოდერნიზმა ეს უკვე იგრძნო: „სულს სწყურია საზღვარი... როგორც უსაზღვროებას“. სუბიექტურობის გაძლიერებას ახლავს „უნდობლობა ყველაფრის მიმართ, რაც ჩვენს გარეთაა“ (ბახტიონი), რაც სხვა არაფერია, თუ არა რეალობის მიმართ გაჩენილი დამანგრეველი ეჭვი: ნამდვილია თუ არა ის ყველაფერი, რაც გარს გვაკრავს ხილული თუ უხილავი სახით, რაც არის, და რაც იყო? სწორედ პოეზია, პოეტური ენა, როგორც ყოფიერების საზღვრებზე (და უსაზღვროებაზე) ყველაზე ღრმა ცოდნის მფლობელი, გარანტიად უდგება რეალობას: „ყველაფერი ნამდვილად იყო“ (ბესიკ ხარანაული: „მკვდრების სიმღერა“).

\*\*\*

ბუნება, როგორც სიცოცხლის ფორმა, ესაა ტექსტი საზღვრების გარშე. ადამიანი ამ ტექსტის გამონათქვამია – მის მაგივრად მოლაპარაკე, მისი ნების და კანონზომიერების გამხმოვანებელი. სწორედ მას ევალება საზღვრების დადება. არჩევანის ნებაც აქედანაა, თავისუფლებაც აუცილებლობით შემოსაზღვრული სიცოცხლის ტექსტია. სხვათა შორის, სწორედ ასე ხედავს ბუნების შეტყობინებებს გურამ რჩეულიშვილი – გამონათქვამებად („ბათარეკა ჭინჭარაული“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „ალავერდობა“). რა არის ადამიანში ბუნებრივობა, რას ამბობს ყოფიერება ამ გზით, ადამიანის გზით სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და საზღვრებზე?

\*\*\*

მხატვრულ ტექსტებში ხშირია დიალოგი არა ადამიანებს, არა-მედ ადამიანსა და არავერბალურ მოვლენებს შორის ( მაგ., ბუნება, ისტორია და ა. შ..). შემდგარი გაგებისა და დიალოგის პირობებში პასუხი შეიძლება იყოს არავერბალური, მაგრამ სავსებით რეალური და **ხმამაღალი** – როგორც, მაგალითად, ვაჟასთან; როგორც რჩეულიშვილთან ალავერდი და მთელი ის კულტურული ლანდშაფტი, რომელსაც გურამი ალაზნის ველზე გათენებისას ხედავს.

\*\*\*

შემოქმედებით კომუნიკაციას ყოველთვის ახლავს (უსმენს, ხედავს) წაკითხვის რაღაც დამატებითი პერსპექტივა, ჰიპო-თექტური მკითხველი, რომელსაც ბახტინი მესამე ძალას უწო-დებს. მესამე ძალა – „ზეადრესატი, რომელიც სხვადასხვა ეპოქებ-სა და განსხვავებულ მსოფლგაგებებში ღებულობს სხვადასხვა კონკრეტულ იდეოლოგიურ გამოხატულებას (ლმერთი, ისტორი-ული სამართლიანობა, მეცნიერება და სხვ.)“.

თუ ამ აზრს გავყვებით, გამოდის, რომ მესამე არის ინსტანცია, სადაც ლირებული სიტყვა არ იკარგება, ვის მიერაც იგი ყოველთ-ვის შეისმინება, როგორც საკუთარი ტექსტურის ნაწილი. ამ მესა-მის ფარული ან ლია შეფასების გარეშე არ არსებობს ზედროული სიტყვა, საზრისი. სიტყვის მნიშვნელობის კავშირს სამყაროსთან, მის ონთოსს სწორედ ეს მესამე უზრუნველყოფს. აღმნიშვნელის დაღსანიშნის ურთიერთმიზიდულობასაც მესამე განაგებს. მესამის გარეშე საერთოდ არ არსებობს არანაირი კავშირი. კავშირი, რო-გორც სისტემის, კოსმოსის ქმნადობის ნიჭი, ნება – მესამის ფუნქ-ციაა, მაგრამ ამ შემთხვევაში „მესამე“ ვერაფრით ვერ იქნება ვერც მეცნიერება და ვერც „ისტორიული“, თუმცა, შესაძლოა იყოს დრო, მისი არა მეცნიერულ-მატერიალისტური, არამედ მისტიკური გაგე-ბით (როგორც ე. წ. „ტრანსცენდენტური სუბიექტის“ სათავსო).

ვინ ხედავს მთელი მასშტაბით ფინალურ „სტოპკადრს“ რჩე-ულიშვილის „ალავერდობაში“? ვინ ხედავს გურამს, მის ხელებ-გაშლილ ხატს ზემოდან? ეს სივრცული პერსპექტივა ხომ აშკარად იკითხება ალავერდობის მოვლენით სივრცეში. ვინ ხედავს გაქ-ცეულ მხედარს, რომელიც იკარგება მკითხველისა და დამსწრე-ების თავალთახედვიდან და თითქოს ავტორსაც ავიწყდება? ვის ესმის ისტორიის ხმა, გაუდერებული ალავერდში და ალაზნის ვე-ლის სანახებში, უფლისციხის ტალანებში და ქვის ბილიკებზე? „ალავერდობაში“ მკაფიოდ ჩანს სიტყვის მესამე ინსტანცია – დრო, რომელიც, მართალია, არ არის დასახელებული პირდაპირ, მაგრამ არაორაზროვნად იგრძნობა ტექსტში. ვის ეკუთვნის ეს დრო, ვინ დგამს ამ ყველაფერს, ვინ აფასებს? მკითხველი? ავტორი? თუ ის „მესამე“, რომელიც ამ ყველაფერს ერთ მთლიანობად აქცევს? თუ სამივე ერთად?

„.... ყველაფერს სამი აკეთებს...“ (აკა მორჩილაძე. „წიგნი“).

\*\*\*

გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობაში“ და „უსახელო უფლისციხელში“ დაკვირვებული თვალს არ გამოეპარება პოლიტიკური პროცესისა და მის კვალდაკვალ, საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილების ნიშნები, რომელიც აუცილებლობით აყენებს ღირებულებათა გადახედვისა და პოზიციის შეცვლის აუცილებლობას. ამ ისტორიულ ეტაპზე, ხანგრძლივი იძულებითი „მოდუნების“ შემდეგ კვლავ იღვიძებს მწერლის, როგორც ისტორიის პატრონისა და მეთვალყურის შემკრები და პასუხისმგებელი ცნობიერება იმ ყველაფრს მიმართ, რაც შეიძლება ისტორიის მიღმა დარჩეს – დროის დინებამ წალეკოს და ხსოვნის მიღმა დატოვოს. საზოგადოებრივი ცნობიერების ეს ინტენცია განსაკუთრებით აქტიურდება 50-იანი წლებიდან და ამ მოძრაობის სათავეებთან მწერალთა ახალი თაობა დგას.

\*\*\*

50-იანელთა შემოქმედებითი პრინციპი პერსონაჟის ხატვისა საბჭოთა სამწერლო ტრადიციისათვის სრულიად უჩვეულოა. იგი ორიენტირებულია არა სოციალურ ფაქტორებზე, არამედ სასიცოცხლო ენერგეტიკაზე, სულიერზე, ნებელობითზე, სხეულებრივზე. სხვათა შორის, 50-60-იანი წლებიდანვე იწყება რეალობის ფსიქოლოგიზაცია ჩვენს მწერლობაში. ჯონ კუტზე ამ პერიოდზე წერს, როგორც ახალი ლიტერატურული ტრადიციის – ფსიქოლოგიური რეალიზმის – ჩამოყალიბების ხანაზე დასავლურ მწერლობაში.

\*\*\*

გურამ რჩეულიშვილი ისტორიას ხედავს, როგორც თანადროულობაში შემოჭრილ აუცილებელობას, რომელიც სწორად უნდა იქნას წაკითხული. ეს ახალი მიმართება ისტორიასთან გურამის თანამედროვე სააზროვნო კონტექსტის აუცილებელი შრეა. ისტორიის მაორგანიზებელ, მომარტესრიგებელ როლს იგი ჭვრეტს შრომის შედეგში და ამ პროცესში სურს ჩართოს საკუთარი შემოქმედებაც.

უფლისციხე და ალავერდი წარმართული და ქრისტიანული კულტურული ტოპოსები და ხსოვნის რეზერვუარებია – განსხვავებული ბიოგრაფიით, ასაკით, დანიშნულებით, არქიტექტურით, რელიგიურ-კულტურული მნიშვნელობით. ისინი მხოლოდ შთამომავლის ისტორიზმის განცდაში ერთიანდებიან. „უსახელო“ ერთეულ გმირობას განასახიერებს და ხალხის საპრძოლო სულისკვეთების სიმბოლიზირებას ახდენს. „ალავერდობის“ პერსონაჟი კი საკუთარი ხალხის კულტურული და შემოქმედებითი შრომის ნაყოფს საკუთარ გამოცდილებად აქცევს და ისტორიული ერთიანობის ექსტაზს თვითონაც უერთდება. გურამი ყოველდღიურ გარემოში რთავს ისტორიას ორივეგან. ისტორიის „მოკლე ჩართვით“ იგი წამიერად ცვლის, ახალ სიცოცხლესა და სიკამაკაშეს ანიჭებს ალავერდობის გახუნებულ, ფუნქციადაკარგულ სივრცეს, „უსახელოში“ კი – საკუთარ შინაგან სივრცეს, უფერულ, ერთფეროვან და უენერგიო ყოველდღიურობას („რატომძაც მინდა უფრო მომწყურდეს...“).

გურამი ორივეგან **ფხიზელია**. ის ფხიზლობს და ამიტომაც ეს-მის ალაზნის ველზე დილის სიმღერა და უსახელო უფლისციხელის მოძრაობის ჩქამი. ამიტომ გრძნობს, რომ „ეს ისტორიულადაც ბოლო დღეა“ („ალავერდობის“ თავდაპირველი ვერსია), გრძნობს რაღაც ახლის დასაწყისს, ისტორიულ გზაჯვარედინს. ეს ცოდნა სიფხიზლის წყალობით ეძლევა. მისი წყალობითვე ერთვება დიდ დროში, რომელშიც ვერასოდეს მოხვდებიან მოფუსფუსენი და მთვლემარენი.

ორივეგან იგრძნობა გურამის დაძაბული მცდელობა, მოძებნოს ისტორიზმის კონცეპტის შესატყვისი თანამედროვე სახე, მხატვრული ხატი, რაღაც ახალი და განსხვავებული. სწორედ თავგანწირული ქმედება და არა სიტყვა (გურამი საგანგებოდ არჩევს უენო პერსონაჟს) – აძლევს პასუხს დასმულ კითხვაზე, ქართველი კაცის გამძლეობაზე და ერთგულებაზე. ეს მიაჩნია გურამს დავიწყებული, გამოუთქმელი, დაკარგული ისტორიის ასამეტყველებელ ხერხად და საშუალებად.

\*\*\*

რატომ დაწერა გურამმა „კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ“ – ასეთი საშინელი მოთხრობა ქალისა და კაცის სრულ და რადიკალურ მტრობაზე, ასეთ თავზარდამცემ ძალადობაზე ერთ-

მანეთის მიმართ, რომელშიც საბოლოოდ კაცი იმარჯვებს? თავი-სუფლების მოპოვების (თუ ღირსების დაცვის?) ასეთ სასტიკ და უჩვეულო გზაზე?

ესაა ამბავი არსებობის შიგნით ჩამალულ განხეთქილებებზე, შიგნიდან დაშლილ მთლიანობაზე, რომელსაც მხოლოდ გარეგანი ხედვა (ქალაქის მაცხოვრებლების) კრავს ერთიანობად. საშინელ იმედგაცრუებაზე, მოულოდნელობებზე, აცდენებზე ადამიანთა ურთიერთობაში, სიყვარულის პარადოქსებზე, ხაფანგებზე, ყოფი-ერების ყოველდღიურ ღალატზე ჩვენი მოლოდინების მიმართ.

გურამი სიყვარულის საშინელ, სახიფათო სიღრმეებს წვდება. შურისძიების უჩვეულო შესაძლებლობებისა და ფორმების შესახებ იწყებს ფიქრს, ნამდვილი მწერლის იშვიათი შორსმჭვრეტელობით ხედავს ჩვენი ემოციური ყოფიერების სახიფათო, შიშისმომგვრელ სიღრმეებსა და მასშტაბებს, ძალადობის უჩვეულო და სასტიკ ფორმებს, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ნგრევას ელემენტარუ-ლი შეხების გარეშე ახდენს.

გურამი შემოქმედებაში ეს მოთხრობა, ვფიქრობთ, განცალკევ-ებით დგას, თუმცა თავიდანვე შევიდა მის ადრინდელ კრებულებში. იგი არასოდეს ყოფილა საგანგებოდ გაანალიზებული, სავარაუ-დოდ, მისი აღსანიშნის ბუნდოვანებისა და გადაწყვეტის არაორ-დინალურობის, უჩვეულობისა და გაბედულების გამო; იმ მნარე და უჩვეულო სიმართლის გამო, რომელიც გურამმა ამ მოთხრობით თქვა ადამიანსა და ცხოვრებაზე. ვფიქრობ იმასაც, რომ გურამს არ იტაცებდა და არც უცდია ამ ბუნდოვანების გაფანტვა. პირი-ქით, ის ყოველთვის ტოვებდა მას თავისი შემოქმედების შიგნით და თავის გარშემოც, რადგან მასში სამყაროს ესთეტიკურ მაჩვენე-ბლს ხედავდა. „ბუნდოვანება, რომლის ყოველი ნაწილი სინათლით სუნთქვავს“ – ამ ფრაზით გამოხატა თავის დღიურში შემოქმედე-ბითი პროცესის არსი და მიზანი. ხანგრძლივი ცქერისას ცხოვრება მას თვალს ტკენდა, თუმცა თითქოს მისი არსის შეცნობისკენ მოძ-რაობდა სულ. პატივს მიაგებდა ყოფიერებისთვის ჩამოფარებულ ფარდას, რეალობის „დამაგრებულობასა“ და სიცხადეს (უტყუარო-ბას) ის წარმოსახვის ბუნდოვან სიუჟეტებს უპირისპირებდა.

მოთხრობის „ვიზუალური“ სიცხადეც თითქოს საგანგებოდ უს-ვამს ხაზს „არაცხად“ აღსანიშნს.

იშვიათად მეგულება ქართულ ლიტერატურაში სხვა შემთხვევა, სადაც ძალაუფლების ნების დემონსტრირება ასეთი ფაქტი, თითქმის შეუმჩნეველი დეტალებით ხდება. ამ ნების კულმინაციაა მოთხრობის ფინალი: ხელის მოძრაობა, რომლითაც ტრაგედიის მერე კაცი ფანჯარას აღებს და ოთახის ჩაკეტილ, დახშულ სივრცეში გაზაფხულისა და იასამნების სურნელს უშვებს: „ქმარმა ხელისკვრით გააღო ფანჯარა...“

\*\*\*

რა ხდება ბათარეკაში? როგორი სიკვდილია? მამის ხელით? მკვლელობის არაპირდაპირი ფორმა, იარაღი – შვილისთვის გაწნული სილა. სისასტიკე, სიბრძავე, შეუსმენლობა, უდიალოგობა – ამ ყველაფერს გურამი უკვე პრობლემებად ხედავს და მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჩაუფიქრებია ეს მოთხრობა, როგორც რეალობის ტიპიური სურათი, იგი მაინც ასხივებს მას, ფანტომების სახით ავრცელებს ამ სიბრძავის ხიფათს თავისი თავზარდამცემი სისასტიკით. მაშინ, როცა „მეს“ ცნობიერება „სხვისთვის“ იხურება, ადამიანის მოქმედება დესტრუქციული ხდება და ნგრევისკენაა მიმართული. ჩაკეტვის, დახშვის ეს მდგომარეობა დროსივრცულადაა დამუშავებული მოთხრობაში ზამთრის, სივრცის ჩაკეტილობის, დიდთოვლობის სურათებში, რაც პირდაპირ უკავშირდება ბათარეკაში აგრესის მოზღვავებასა და შეგუბებას და იარაღად აქცევს მის ხელს, მარჯვენას, რომლის ძალისხმევაც სხვა შემთხვევაში, ალბათ, სასიკეთო საქმეს ხმარდებოდა.

\*\*\*

რჩეულიშვილი ერთ-ერთი პირველი ეხმაურება ავტორსა და პერსონაჟს შორის ურთიერთმიმართებათა განახლების ამოცანას.

ავტორის პერსონაჟ-მთხრობელად ქცევის მთელი პროცესის „გამოტანით“ ლაბორატორიიდან ლია საკომუნიკაციო სივრცეში, იგი აბრუნებს გულწრფელობას დოკუმენტალიზმით, ნონფიქშენით. იგი თითქოს ცხოვრებისეულ თავგადასავალს ყვება, კი არ „თხზავს“, კი არ „ბაძავს“, არამედ „იწერს“, აღწერს კოდის გაშიფრის პროცესს: სად მიდის და რატომ, როგორ და რისთვის, სიუ-

უეტი და დრო-სივრცის არქიტექტონიკაც ამ პრინციპზეა აგებული („ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“, „სიკვდილი მთაში“...).

თუ ყველას არა, მის ზოგიერთ პერსონაჟს მაინც შეიძლება ვუ-ნოდოთ გმირი – ამ ლიტერატურული ტერმინის ტრადიციული გაგებით – მოქმედების მთლიანობის, მიზანდასუბულობის, აზ-როვნების და მიზნის ერთიანობის თვალსაზრისით, გნებავთ, სა-კუთარი მიზნისა და მრნამსის ერთგულების ხაზგასმით. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ეს 50-იანი წლების ლიტერატურული პერსონა-ჟია, რომელიც ხელოვნური ლიტერატურული გარემოს დარღვევას, მასში ახალი სიცოცხლის შეტანას ისახავს მიზნად, ანუ, ცოტა სხვაგვარად: საბჭოთა წნების გავლენით მნიშვნელოვნად შეცვ-ლილი კულტურულ- ზნეობრივ ღირებულებათა სივრცის რეკონ-სტრუქციას მასში ტრადიციული ღირებულებების დაბრუნების გზით. დღევანდელი გარემო გმირს გამორიცხავს, მეტიც, ტერმინს ერთგვარ ირობიულ ულერადობასაც კი ანიჭებს. 50-იანი წლების პერსონაჟები რჩეულიშვილთან და ზოგადადაც ჯერ კიდევ ატარე-ბენ მთლიანი, მონუმენტური ხასიათის ნიშნებს.

\*\*\*

გურამი უკვე ამჩნევს მე-20 საუკუნის ადამიანის სენს: ცნო-ბიერების დაშლის ნიშნებს და მისი გამთლიანება გულწრფელობით სურს, რადგან გულწრფელობა, როგორც ადამიანის ყოფიერების ერთ-ერთი ფორმა, ადამიანის ფსიქიკის შიდასტრუქტურებთან, მის თავდაპირველ, დაცულ და ადექვატურ არაცნობიერ ფორმებთან მიბრუნებად აღიქვამს. ამ რანგში განიხილავს, როგორც თავადვე ამბობს, სათამაშო პრაქტიკებსა და როგორც ჩანს, ლიტერატურა-საც („მხოლოდ თამაშის დროს ყველაზე გულწრფელია ადამიანი...“), „სცენაზე დგომა – აი, უდიდესი სიყვარული...“).

\*\*\*

რატომ იყო გულწრფელობა ორივესთვის – გურამ რჩეულიშ-ვილისთვისაც და ერლომ ახვლედიანისთვისაც ასეთი მნიშვნე-ლოვანი? ეპოქის საშინელი სიყალბის გამო, ესთეტიკური პრინცი-პების გადახალისების შინაგანი მოთხოვნილებით თუ კიდევ იყო სხვა მიზეზი – გადაუდებელი შემოქმედებითი ამოცანის სახით,

რომელზედაც ერთმანეთში ჰქონდათ დადებული შეთანხმება? გურამთან გულწრფელობა თითქოს შემოქმედებითი თავისუფლების საზომი თუ ფორმაა, ერლომთან ეს რაღაც სხვაა, სხვა რიგის, სხვაგვარად გადაჭრილი ამოცანა.

\*\*\*

შეიძლებოდა გვესაუბრა ერლომ ახვლედიანის ფილოსოფიური ზღაპრის ბუნებაზე, იმ სიახლეებზე, რაც ერლომის პარადოქ-სულმა ხედვამ მოიტანა ქართულ ლიტერატურაში, იმ ახალ გზაზე, რომელიც, საბას ტრადიციაზე დაყრდნობით, ერლომმა გაკვალა თანამედროვე ქართული ნარატივის ახალ შესაძლებლობათა მოძიების პროცესში, ფრაზის სინტაქსურ და ინტონაციურ სიახლე-ებზე ორიენტირებით, გარდამავალი შეგრძნების გამომხატველი პარალოგიზმებით, რომელიც ახალ ხედვასა და აზრის ახალ ნიუანსებს აჩენს და უჩვეულოდ ხვეწს და აფაქიზებს მკოთხველის ენობრივ ალლოს. მაგრამ ისე ჩანს, რომ იგი ერთეულ გამოვლინებად დარჩა და არ შეუქმნია მყარი ტრადიცია ქართულ მწერლობაში.

\*\*\*

ასე, ბავშვივით, მხოლოდ ერლომი ყვება. გურამი ვერასდროს იტყვის ასე, რადგან იგი თითქოს გადაახტა ამ მდგომარეობას, თითქოს დიდია და დიდურ პრობლემებს ეჭიდება. მისთვის ეს უკვე შეუძლებელი მდგომარეობაა, შეიძლება, საოცნებოც – ბავშვობა ხომ მუდამ საოცნებოა – მაგრამ მისკენ არასდროს გადადგამს ნაბიჯს, მისგან კი – ყოველთვის, რადგან კი არ ელოდება, არამედ ეძებს, თითქოს მოსწრებას ცდილობს. მას დღესვე სჭირდება პასუხი.

ის ამოცანა, რომელსაც საკუთარ თავს უსახავს, გურამს აქტიური საქმიანობისკენ აქეზებს, საქმიანობა კი მისთვის ქმედებაა და არა ჭვრეტა, არა მოლოდინი ( „შენებაა“ და არა „ტკბობაა“), ის მოქმედების, შეცვლის, დალაგების ვნებითაა შეპყრობილი. სიმშვიდეში კი არ ჭვრეტს, არამედ მოძრაობაში, აქტიურობაში, თითქოს გზადაგზა, თითქოს სიცოცხლის სხვადასხვა ფორმათა დინამიურ ერთობლიობაში. თავის მშფოთვარე, მოუსვენარ ყოველდღიურობაში მხოლოდ ხანდახან, თითქოს შემთხვევით ჩამოჯდება ხოლმე,

რათა ეს მშვენიერება აღიქვას, ეზიაროს და გაიზიაროს. სულ ადგილს ეძებს, შფოთავს და ვერ ისვენებს. ვნების სიმძაფრით ტკბება და ამას უძღვნის საკუთარ სიცოცხლესაც და წერასაც. მას თითქოს არ ეშინია სიკვდილის, მის გარეთაა. შიში ერთგან იგრძნობა მხოლოდ: „მუნჯ ახმედში“, ისიც არა იმდენად სიკვდილის, რამდენადც მარტოობისა და უსიყვარულოდ დარჩენის შიში... დღიურშიც წერს ამაზე. გურამი მოკლებულია მეზღაპრის სიმშვიდეს. მღელვარება, მოუსვენრობა მისი სიცოცხლისა და შემოქმედების ფორმაა.

\*\*\*

ერლომის მზერაში და გურამის მზერაში ყოფიერების ორი მდგომარეობა ირეკლება. რჩეულიშვილის გმირის ამოძრავებამდე ერლომის გმირია, ერლომის მიერ მშვიდი ჭვრეტისას დანახული სამყაროა (თუ პირიქით?), მისი დამუხტული სიმშვიდე და გაკვირვებაა. ეს მდგომარეობა ერლომისთვის მოძრაობაზე, მოქმედებაზე მნიშვნელოვანია, რადგან ჭვრეტით შეიცნობს სამყაროს. ეს გარდაჯწის, ცვლილების, ამოძრავების წინა წამია, მოძრაობისთვის იმპულსის მიმცემი. გურამს ეს წამი ნაკლებად აინტერესებს, რადგან ყოფიერების რიტმების ამოცნობას ცდილობს და მზერა ადამიანის შესაძლებლობების ინტენსიურ ფაზაზე აქეს მიპყრობილი, სამყაროს მეორე ბოლოსკენ: არაყოველდღიურობისკენ, ყოფიერების არამუდმივი, არამდგრადი მდგომარეობისკენ. ცვლადში, არამუდმივში, შემთხვევითში, მოულოდნელში, ამოვარდნაში, ექსტაზში და არამშვიდ მდგომარეობაში ხედავს ყოფიერების სახეს..

და მაინც, ისინი ერთმანეთისკენ მოძრაობენ, როგორც მწერლის ორი ტიპი, ორი ტიპის გამოცდილება, ცოდნის ორი მდგომარეობა, სიტყვის მაძიებელთა უჩვეულო ტანდემი, ცხოვრების (ქმედების) და ცნობიერების (ფიქრის, ჭვრეტის) ორი პოლუსის განსახიერება, როგორც მარჯვენა და მარცხენა, რათა შეერთნენ და შემოჰკრან ტაში, შექმნან ხმაური.

\*\*\*

„კიბო – მკვდარი ფიქრების მეტასტაზი“. ერლომ ახვლედიანის არაჩვეულებრივი განმარტება ფიქრისაც და კიბოსიც, თუმცა რამ გაყო.

ერლომი ერთგან ამბობს: „სახლიდან გამოვედი და კარი ფარ-თოდ მოვხურე. მეშინოდა, ხმაურზე არ გამღვიძებოდა. შორს მივდიოდი“-ო, სად მიდის? რას აპირებს? სიჩუმისთვის მიყურა-დებას? ამ სიჩუმის თხრობას? დაფარულის თხრობას? სადაა ეს „შორს“?

ერლომი ერთდროულად შინაცაა და გარედაც, სიზმარშიც და რეალობაშიც. ყველგანაა. თითქოს საკუთარი თავის (ცნობიერების) გარეთაც კი. ცნობიერების „განრთხმული“ (ქვანტური) მდგო-მარეობა. ეს მდგომარეობა ცნობიერებას საიდანლაც ახსოვს და იმიტომაც ამოთქვამს ენა.

ლიტერატურის ინსტიტუტში ვიღაცამ გაიხსენა: სიმონ ჩიქო-ვანს „ვანოს და ნიკოს“ წაკითხვის მერე უთქვამს: ამ კაცს უკვე ყველაფერი დაუწერია, სხვა რაღა უნდა დაწეროსო.

\*\*\*

ენა და სიკვდილი ერთმანეთს არ იცნობენ, რადგან ენა მხოლოდ სიცოცხლეში მყოფობს, სიცოცხლეს ემსახურება, ცნობიერება არ იცნობს სიკვდილის მდგომარეობას. ამიტომ სიკვდილის სცენები მნერლისთვის და შესაბამისად, მხატვრული ენისთვის საჯილდაო ქვაა.

\*\*\*

ნიკო სამადაშვილი: „სამყარო არის, დანამდვილებით“. საოცა-რია და თუკი ვინმემ რამე იცის დანამდვილებით, ისევ პოეტმა. ამი-ტომ ამბობს რიკიორი, „მე ვარ“ მხოლოდ პოეტს შეუძლია თქვასო. გამოდის, რომ „ვარ“-ის ლეგიტიმურობა და პრეზუმეცია მხოლოდ პოეტურ სიტყვაშია დაცული.

\*\*\*

თხრობა, როგორც სიცოცხლის ფორმა, სიცოცხლის მოთხ-რობა. სიტყვა ყოფიერებაზე; ყოფიერება, რომელიც ღმერთმა შექმნა და ყოფიერება, რომელსაც სიტყვა ქმნის. სამყაროს წიგნის დამწერი (ღმერთი) და მისი გადამწერი (მწერალი). ყოფიერების, სიცოცხლის გადასვლა-გადმოსვლა, გადადინება სიტყვებში, ფრა-

ზებში. სიტყვის ჩრდილები და აჩრდილები. მნიშვნელობის აჩრდილი, რომელიც ან წევს, ან დგას, დაგვენახვება ხოლმე აზრში, წინადადებაში, ფრაზაში, წერილობით ტექსტში, სიცოცხლის ტექსტში... და ასე დაუსრულებლად...

\*\*\*

როცა პაკო სვიმონიშვილის ავადმყოფობის ამბავი გავიგე, ვიფიქრე, ასეთი კაცის წაყვანას ღმერთი არ დაუშვებს-მეთქი.

პირადად არ ვიცნობდი. რუსუდან მეგრელიშვილის მიერ მე-6 სკოლაში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციებზე შევხვედრივარ. მსმენია ჩემი შვილისგან, მისი თაობის ახალგაზრდებისგან, სხვებისგანაც. სიცოცხლის, სილალის, ადამიანობის რაღაც განსაკუთრებულ სხივსა შუქებდაო – ასე ახასიათებდნენ.

ჩემთვის პაკო სვიმონიშვილის პორტრეტი იმ ვიდეოკლიპით იწყება, ხეზე აძხვრალი გალაკტიონს რომ კითხულობს, პატარა, საყვარელი, ისეთი გატაცებით, სისუფთავით, ერთგულებით, რომ შეგრცევება... ამ ერთგულების ნაწილია მისი ლექსებიც, თითქოს იმ სამყაროში იყო ყველაზე ბეღნიერი, იქნებ ამიტომაც იყო ასეთი...

მეორე ეპიზოდზე ჩემი კოლეგისგან მოვისმინე: თავისი სოფლის ეზოში იჯდა თურმე, ჯორკოზე (დაბალი ორფეხა სკამია) და ამბობდა: როცა აქ ხარ, წინ კი არ უნდა იყურო, ცას უნდა უყუროო, წინ ხომ ისედაც სულ იყურები, მით უფრო, როცა მანქანაში ზიხარო. თვითონაც ზემოთ, ცისკენ იყურებოდა ამ დროს და ამასობაში, სკამიდან გადაკოტრილებულა. ალბათ, ბევრს იცინებდა... ალბათ, ამ მოძრაობის კანონზომიერებაც არ დარჩებოდა შეუმჩნეველი... დეტალები არ ვიცი, მაგრამ ესეც პაკოა, მისი ცხოვრება, მაგრამ თუკი სადმეა, ყველაზე მეტად იმ პატარა, უჩვეულო ლექსში ვხედავ, ფიროსმანს რო მიუძღვნა:

ცათა სიმძიმით დახრილ მზერას  
უარყოფს ფერთა სიმყუდროვე  
და თეთრი ბელი  
წყალს დალევს გულის ყრუ მდინარიდან.  
მთვარე დასუნთქავს სიბნელეში  
თოვლიან მინას

და უმკრთალესი შარავანდით  
ნაგრძნობ ობლობას  
დააფრენს მშვიდად  
შავი ბელის ნაღვლიან ზურგზე.

\*\*\*

თორნიკე ჭელიძის ლექსები ვნახე ინტერნეტში. შოთა იათაშ-  
ვილს დაუდია. გამეხარდა, პოეზიას შევხვდი.

\*\*\*

ოთარ ჭილაძის ჩანაწერების კრებულში „ცა მიწიდან იწყება”,  
ბ-ნი ოთარის ხელით შესრულებული რამდენიმე ჩანახატია. წიგნის  
ბოლო ფურცელზე, პირამიდების ფონზე, უდაბნოდან ოაზისისკენ  
(თითქოს!) მიმავალი კაცი ხატია, ალვირით აქლემი მიჰყავს, წინ კი  
კუ მიდის, კაცს უსწრებს. ალბათ, ასეთია კაცობრიობის გზა სული-  
ერი სრულყოფისაკენ – კუსაც კი ჩამორჩება.

## ზაზა ფირალიშვილი

### მცირე ჩანაწერები

\* \* \*

სააბაზანოში ვიღაცამ ჩაახველა. ჩემი შვილი იყო. არადა, თითქოს დედაჩემის ხმა მომესმა. ხმაც და ჩახველების მანერაც მისი იყო. თითქოს ჩემი შვილის პირით შემომებმიანა, თავი გამახსენა და მერე ისევ მიიმალა იმავე მოუხელთებელ წერტილში, სადაც წლების წინ. ასე შემომებმიანება ხოლმე – ხან იმ ლურსმნით, რომელიც ჯერ კიდევ მისი სიცოცხლეში ჩავაჭედე კედელში, ხან სარდაფში მიგდებული ქვაბის თუ გაფუჭებული უთოს პირით, ხან რომელი-ლაც სუნით, ხან ფიქრით, რომელიც უცნაურად დამსგავსებია მის ფიქრებს, ხან მარტოობის იმ განწყობით, მასში რომ ამომიკითხავს. ეს არ არის გახსენება. ეს, უმაღ, მისი თანაყოფნაა საგნების, სუნი-სა თუ ხმების მეშვეობით. ეს უმაღ წამიერი თანაყოფნაა. ყველაზე ახლოს ჩაძინებისას მოდის, როდესაც თვლემამორეულ გონება-ში ფიქრები ერთ ჭურჭელში ჩასხმული სალებავების მსგავსად გარკვეულობას ჰყარგავენ და ერთმანეთში გადადიან და როდესაც გონების ფხიზელი დარაჯი საზღვრებდაკარგული ფიქრების ამ როკებში თავგზას დაკარგავს ხოლმე. ამ დროს შეიძლება დადგეს წამი, როდესაც მისი ხმაც მესმის. თანაც ეს სწორედ მისი ხმაა და არა რაღაც თუ ვიღაც სხვა, ვისი მეშვეობითაც იგი ხმას მანვდის. ხან მეძახის, ხან, უბრალოდ, ხმიანებს და ხანაც, უბრალოდ, არის ის, რაც მისგან დარჩა გარდაცვალების შემდეგ: რაღაც თავის თავში დასრულებული მუსიკალური ფრაზის თუ მუსიკალური განწყობის მსგავსი. მოგა, ერთმანეთში გადასულ და კონტურებდაკარგულ ფიქრებს თავის ადგილზე დააბრუნებს, ჩემი გონების დარაჯსაც გამოიყვანს წიაღიდან და კვლავ მიიმაღება.

ვერაფერი ახსნის ამ უცნაურ ურთიერთობას – ვერავითარი ფსიქოანალიზი, ხოლო მისტიკას თუ რელიგიურ ფოლკლორს მხოლოდ ის ძალუქთ, რომ ახსნის შთაბეჭდილება შექმნან. ეს ასე ხდება და მორჩა – ყოველგვარი ახსნისა და განმარტებების გარეშე. ეს ასე ხდება. იგი ჩემი თანამყოფია და მხოლოდ იმედი თუ შეიძლება

მქონდეს იმისა, რომ ერთხელაც გავიგებ, თუ რა ხდება და რა არის ის, რასაც ამქვეყნად ჩემი, როგორც არსებულის სხვა არსებულთან თანაყოფნა ჰქვია.

\* \* \*

თუ შესაძლებლობა მაქვს, ჩუმად ვუსმენ თუშების საუბარს. ნაცნობი სიტყვები და გამოთქმები თითქოს იმ წამს, საუბრის აქტში იპადება ხელახლა, თან სრულიად ახალ, სიტუაციურად გაჩენილ სიტყვებს მოყოლებენ – ერთგვარ ფანტომურ სიტყვებს, შემდეგში რომ თითქმის ვეღარსად გაიგებ. ხალხურ მეტყველებას ეს მაღლი აქვს. ენა ცოცხალია და ნაკლებად ექვემდებარება უკვე ჩამოყალიბებული კონვენციების სისტემას. თითქოს კონვენციაც სიტყვის დაბადების აქტში ჩნდება. ვერავინ გეტყვის, საიდან გაჩნდა ეს ფანტომური სიტყვა და დარჩება თუ არა ის მეტყველებას. იგი თითქოს ენის არაცნობიერმა წამოისროლა, როგორც თავისი ცხოველმყოფელობის დასტური და უკანვე დაიბრუნა მანამ, სანამ მის გამუდავნებას ენის ნებელობა კვლავ არ მოითხოვს. ესაა თითქოს მეტყველების ის პირვანდელი მდგომარეობა, როდესაც სიტყვა უმაღლ შორისდებული იყო, ვიდრე აღმნიშვნელი. თითქოს მას ჯერაც არ მოუპოვებია თავისი ავტონომიური, საკომუნიკაციო გარკვეულობა და ჯერაც ხდება მყისიერად გაჩენილი განცდისა თუ ინტუიციის ბერათა ცხოველმყოფელ დაძაბულობაში მოქცევა. თითქოს ახლოს ვართ იმ პირვანდელ მდგომარეობასთან, როდესაც აზრი ჯერაც არ დაუტყვევებია კომუნიკაციათა ფორმალიზების იმპერატივებს. თანაც მთელი ეს დრამა თამაშდება არა ცალკეული ადამიანის სულში, არა მისტიკური ჭვრეტისა თუ აღქმის აქტში, არამედ სწორედ რომ ცოცხალ კომუნიკაციაში.

თავად საუბარი იქცევა სიტყვის დაბადების „ადგილად“ ამ უკანასკნელის პირვანდელი, იმაგინაციური მნიშვნელობით. სიტყვა ხომ სწორედ დიალოგის აქტში შეიძლება დაიბადოს, როგორც თანაზიარი გამოცდილების სივრცის შექმნის მცდელობა. ეგაა, ამგვარ ცოცხალ გამოცდილებაში თანაზიარი სივრცე ნაკლებ „გახევებულია“, ნაკლებად არის გადატვირთული პირობითობებით, ნაკლებად არის ფორმალიზებული და ჯერაც ტოვებს იმ ბზარებს, რომლებიც ახალი სიტყვების დაბადების შესაძლებლობას უშვებენ.

ამიტომაც არ არის ეს მეტყველება მხოლოდ ის, რასაც დი-  
ალექტს უწოდებენ. ამ გამოთქმით კომუნიკაციათა ფორმალიზე-  
ბის ალტერნატიულ, უფრო კი მარგინალურ შემთხვევას მოიხსე-  
ნიებენ. ესაა ენის ის მდგომარეობა, რომელშიც ყოფიერება ჯერ  
კიდევ შეიძლება განთავსდეს, როგორც თავის სახლში (ჰაიდეგერი),  
რომელშიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია შეხვედრის სიცხოველისა  
და დაძაბულობის ნიშნები.

\* \* \*

ვიქტორ ფრანკლი ერთგან წერს, საკონცენტრაციო ბანაკში  
ყოფნისას ყველაზე მეტად იმაზე მწყდებოდა გული, შეიძლებოდა  
საკუთარი სიკვდილით არ მოვმკვდარიყავიო. სწორედ ასე ამბობს:  
„საკუთარი სიკვდილითო“. არადა, შენი სიკვდილი თითქოს ნების-  
მიერ შემთხვევაში „შენია“. თუკი რაიმე არსებობს ამქვეყნად  
და უსაკუთრივესი, სწორედ ისაა. სწორედ მისი მოლოდინის გამო  
დროში გაჭიმული ძრწოლაა – ხან ღია და თავსდამტყდარი, ხანაც  
ნაპერნენალივით მიმალული – რომელიც თან დაგვყვება და ასაკთან  
ერთად – სულ უფრო და უფრო ნათლად. ის ყველას დაგვყვება იმ  
აზრით, რომ ამ მოლოდინში არა ვართ მარტო. ყველანი ამ მოლო-  
დინში ვთანაობთ და ამ თანაობით მოვიპოვებთ ისეთ სოლიდარო-  
ბას, შეუძლებელი რომ არის ნებისმიერ სხვა ათვლის სისტემაში  
– იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული. მისი  
წყალობით წამიერად მაინც გადაიღახება ხოლმე ათასგვარად და-  
სახსრული პირობითობათა ქსელი, წამიერად მაინც ვიგრძნობთ  
ხოლმე ურთიერთობათა პირველად სისადავეს, სხვა გზებით რომ  
ძნელად შემოდის ჩვენში. მოკლედ, ის ერთდროულად ზღვრულად  
საკუთრივიცაა და ისიც, რაც სხვებთან უჩინარი და გარდუგალი  
კავშირით გვკრავს.

და ამ დროს, თურმე, ის ვიღაცამ შეიძლება წაგვართვას.

რას შეიძლება ნიშნავდეს სიკვდილის ეს მუდმივი თანხლება? რა  
არის ის, რასაც, ალბათ, ერთადერთს ძალუძს ჩვენში მოულოდნე-  
ლი, თავსდამტყდარი საზრისის აღმოჩენით მოგვრილი ძრწოლა  
აღძრას და გვაიძულოს, საკუთარი არსებობის პანორამას გადავ-

ხედოთ, რაღაც მიახლოებაში მაინც აღვიქვათ ის, რისი გამოთქმაც უფალს ჩვენთან თანხმობაში და ჩვენი მეშვეობით სურდა? ალბათ, ეს თავდამტყდარი საზრისი სიკედილის გამო ძრწოლის სხვა სახელია. საზრისი ხომ მუდამ თავსდამტყდარია. ჩვენი არსებობის მთელს გრძეობაში უჩინრად თან დაგვდევს ცოდნა სადღაც მიმაღული მოლოდინის შესახებ, თავისი უცვლელობითა და უსასრულო მნიშვნელობით ერთიანობას რომ ანიჭებს ამ გრძეობას, იმ მთლიანობად ჰკრავს, როგორადაც იგი ოდესლაც და სადღაც, ონო-ს დროს იყო ჩაფიქრებული. იგი მოიცავს იმ მნიშვნელობის გაგების მოლოდინსაც, რომელსაც კოსმოსი ჩემს არსებობაში გულისხმობდა. იგი თითქოს ერთად თავმოყრილი ჩემი არსებობაა, ჩემი არსებობაა დროსა და სივრცეში განფენის გარეშე, ჩემი არსებობაა როგორც ასეთი, როგორც იმგვარი რამ, რამაც თავი დააღწია ჩემს მიზანდასახულებებს და კოლექტიურ პირობითობათა ლაპირინთებს. და თუ ეს ასეა, მაშინ უაზრო ყოფილა საუბარი იმის შესახებ, რომ ოდესმე შეიძლება საკუთარი სიკვდილით არ მოვკვდე და რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჩემი სიკედილით ვკვდები.

კიდევ ერთხელ: მე თან ვატარებ ჩემი ფარული და გარდუგალი მოლოდინის აღსრულების მოუხელთებელ წერტილის ხსოვას და ვერასოდეს განმისაზღვრავს მისი ადგილი. იგი შეიძლება იყოს აქაც და გარკვეული დროის შემდეგაც. მთელი ამოცანაა არა იმის გაგება, თუ როდის შევხვდები მას, არამედ ის, რომ ამ შეხვედრის მზაობა მქონდეს. და თუკი ფრანკლი არასაკუთარი სიკვდილით კვდომაზე ლაპარაკობს, ალბათ, ამ მზაობის უქონლობის აზრით. ვიღაცამ თავს ნება მისცა და მზადების წმინდათანმინდა უფლება წამართვა, უხეშად შეწყვიტა ის ფარული ლიტურგია, რომლითაც მე მას ვუახლოვდებოდი – ცხადად თუ ფარულად, მასზე ფიქრი-საგან გაქცევის ათასგვარი ფორმების შემუშავებით, მიმიკრიის მრავალსახეობით და ა.შ. და მაინც, ეს მზადება ჩემი იყო და ჩემით ვიკვალავდი გზას მისი გარდუგალობისაკენ. ვიღაცამ კი ამის უფლება წამართვა და მოლოდინის აღსრულების წინაშე წარმადგინა. ასეთი რამ არ შეუძლია ცოცხალ არსებას, რომელიც შენთან ერთად თანაობს ამ მოლოდიში. ასეთი აბსოლუტური მხოლოდ იმას ძალუძს, ვინც სხვა ადამიანებთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი გადაჭრა და განმხოლოვდა. ასე შექმნა მან თავისი ჯოჯოხეთი,

რადგა ჯოჯოხეთი, თუ ანტონი დიდს დავესესხები, აბსოლუტური მარტოობაა. ამიერიდან მას მხოლოდ აბსოლუტური მარტოობა ძალუდს.

ჯალათი ან სრულ მარტოობაში დაცემული ცოდვილია, ან წმინდანი. წმიდანი იგი, ალბათ, იმ შემთხვევაშია, თუკი აქვს ძალა, რომ ბოლო წამამდე შენთან იყოს და მოლოდინის აღსარულების მყისიერობა შეგიმსუბურებოს. ყველა სხვა შემთხვევაში იგი აბსოლუტური მარტოსულია, რომელიც ღვთისაგან მონიჭებულ უფლებას გართმევს. ალბათ, ასეთ სრულ უსამართლობას გულისხმობდა ფრანკლიც.

\* \* \*

დღის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი დილის ის ორიოდე საათია, როდესაც სულში ჯერაც ხმიანებს ძილიდან გამოყოლილი განწყობა. მისი აღწერა, ალბათ, შეუძლებელია: ესაა სახეები, რომლებსაც ჩვეული კონტურები გამკრთალებიათ, მეტაფორები, რომლებიც ჯერაც ვერ დალაგებულან ცნებებად და ჯერაც რაღაც უჩვეულოს აღნიშნავენ და კიდევ ყრუ განცდა იმისა, რომ რაღაც განსხვავებული გამოცდილებიდან მოდიხარ. როგორც ჩანს, ხანგამშვებით უნდა გავთავისუფლდეთ იმისგან, რაც ჩვეულია: მექანიკურად თვითმწარმოებელი აზრებისა თუ განცდებისაგან, სიტყვებისაგან, რომლებიც, უმალ, აბსტრაქციებს წარმოადგენენ, ვიდრე ნივთონა შეხვედრის ველს, რაც მთავარია, უნდა გავთავისუფლდეთ ჩვენი ბედის იმ პანორამისაგან, საკუთარი იგივეობის ფარგლებში რომ გვეტავს და სამყაროში ჩვენს ყოფნას ლამის მთლიანად განსაზღვრავს.

ჩემი ძალისხმევით ამის მიღწევა არ შემიძლია. საამისოდ უნდა დავწვე, თვალები დავხუჭო, რაღაც წამს ფიქრების აირვა, საიდანლაც ძალზე ნაცნობი, თუმცა კი ჩვეულ კავშირებსა და ლოგიკას მოკლებული ადამიანები თუ ვითარებები გაჩნდებიან და ცნობიერების უცნაური დიფუზია იწყება. რაღაც წამის შემდეგ გონება უარს ამბობს მიჰყვეს ამ უჩვეულო გზებზე მავალ უჩვეულო დინამიკას. თუმცა, დროდადრო, სულ წამის მეასედის განმავლობაში – სიზმრისას – აღიქვამს რაღაცას, ამ ყოფაში მიღებულ ერთგვარ ანაბეჭდს.

ჩაძინება საკუთარი ფიქრებითა და იდენტობებით ნაგები კო-ორდინატთა სისტემისაგან გასცლას ნიშნავს. უძილობა კი იმას, რომ ეს სისტემა ჩემზე გაბატონებულა და რომ დამიკარგავს მის-გან გათავისუფლების უნარი. ჩემსა და იმ ყოფას შორის ვიღაც ჩასაფრებულა და ძალით მედენება უკან.

გაღვიძების შემდეგ ერთ ხანს კიდევ იგრძნობა გამოყოლილი ხმები. შემდეგ სივრცე წყნარდება, ლაგდება და, როგორც გოთე იტყოდა, გონება კვლავ მახინჯი ნიღბებით ივსება. სიზმარეული თავგადასავლების შემოტანა ფხიზელი ცნობიერების ჰორიზონ-ტში სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობაა. ერთის მხრივ, ფსიქიკურ აშლილობას და, მეორეს მხრივ, ლოცვასა და მედიტა-ციას სწორედ აქეთ უნდა მივყავდეთ. ძილში ხდება ის, რის გარე-შეც სული თავის თავში ჩაიკეტებოდა. მისგან მოდის არა მხილოდ ცნობიერების განახლების ენერგია, არამედ მისი ცხოველმყოფლო-ბის დასტურიც. ამის გარეშე, საკუთარ წილში ბზარების მოსიჯვის გარეშე გონება საკუთარი თავის უსასრულოდ გადამდეჭველ რა-მედ იქცეოდა. ეს არ არის მისი სიკვდილი. ეს არის მდგომარეობა იმ ცოცხალისა, რომელმაც უარი თქვა სიცოცხლეზე. ალბათ, ასეთია ჯოჯოხეთის ერთ-ერთი ნიშანი: უსასრულო მარტოობა და საკუ-თარ თავთან მუდმივი დაბრუნება ამ ჩაკეტილი წრიდან გამოსავ-ლის არსებობის გარეშე.

ძილში გონება საკუთარ თავს გაეპარება ხოლმე – თავის პირ-ველად სამშობლოში, უსასრულოდ ნაცნობ, თუმცა კი მივიწყე-ბულ ნივთებთან და ვითარებებთან და თითქოსდა იმ წიაღს უბრუნდება, სადაც მას არსებობა ებოძა. იქ მას ახალი ენერგიით აღჭურვავენ და ისე უშვებენ. ძილი ყველაზე ნათელი საბუთია იმისა, თუ ხანგამოშვებით საკუთარი რაობიდან გაპარვის გარეშე სული სიცოცხლეს დაჰკარგავს (თუმცა კი არ ერქმევა მკვდარი) და რომ ამგვარი „გარედან დახმარების“ გარეშე „მოსიარულე მიცვალებულებად“ იქცეოდა.

ჰოდა, ზოგჯერ ეს გაპარვა გიჭირს. თითქოს, ის ვიღაც ზღურ-ბლზე ჩასაფრებულა და ჩაკეტილ ციკლებსა და იდენტობებში გა-ბრუნებს. ან კიდევ არყოფნის ბავშვურ შიშს აბრუნებს, წამიერად რომ დაგივლის სხეულში და უკან გაგდებს. ჰოდა, დილით საკუთარ თავთან მიტოვებული და დაღლილი დგები. ის დღე უკვე დაკარგუ-ლია და ის ორიოდე ცოცხალი საათიც აღარ გაგაჩნია.

\* \* \*

ბაზი იშვიათად ჰყვება ამპავს. მისი მეტყველება ნაკლებად გულისხმობს ნარატივს. ეს არ არის ტიპური მცდელობა, რომ ბეგერათა სამყარო ნარატივის ნებელობით იქნას გაფორმებული. აქ რაღაც სხვა ხდება – ის, რისი წყალობითაც იგი ყველაზე განყენებულ კომპოზიტორად რჩება. თითქოს გრძნობა, რომ აქ, ამ პირველად ვიბრაციებში იბადება ის აბსტრაქტული ფორმები, რომლებიც შემდგომ ნებისმიერ ნარატივს იმორჩილებენ და ინსტრუმენტალურად იყენებენ. თითქოს ეს ის ვიბრაციებია, რომლებიც იბადება სივრცის განუზღვრელობაში მას შემდეგ, რაც მასში დრო გამჟღავნდება თავისი მათემატიკური ჰარმონიულობით, წესრიგითა და უჩვეულო, დრო-სივრცული განფენილობისგან განყენებული დინამიკით. ეს წამი, როდესაც სივრცეს ეძლევა დროითი განზომილება, სწორედ ის არსად და არასდროს, უფრო კი ყველგან და ყოველთვის არსებული წამია, როდესაც ღვთის სიტყვა განეფინება. ამით ბაზი მიგვანიშნებს და შორეულად მაინც გვაზიარებს იმ შესაქმისეულ „ონოს“ განზომილებასთან, სადაც სივრცე-დროის ტოტალური ერთიანობა „ახლადა“ იწყებს არტიკულირებას და თავის ზედაპირზე სხეულთა აბსტრაქტული ხატებების ამოტანას.

ჩაასხით წყალში რაიმე საღებავი ისე, რომ იგი წყლის ძირში მოექცეს, შემდეგ ეს ჭურჭელი რაიმე ვიბრირებად ზედაპირზე მოაქციეთ და არამდგრადი ფორმების მრავალსახეობას აღმოვაჩენთ. დავინახავთ არა სხეულებს, არამედ მათ აბსტრაქტულ და არამდგრად ფორმებს მთელს მათ მრავალფეროვნებასა და დინამიკაში; ჩვენ დავინახავთ, თუ რა თავისუფლად გადადიან კონტურები ერთმანეთში, როგორ იბადება „რაღაც“, თავისი თვითობის დადგენამდე რომ გარდაიქმნება „სხვად“. დავინახავთ გორაკებსა და მცენარეებს, ნაცნობ ნივთებსა და ცხოველებს, უფრო კი წარმონაქმნებს, რომლებიც ჩვენთვის ნაცნობი ფორმებიდან ხან ერთის იმიტირებას ახდენენ, ხან – მეორესი, ხან კიდევ – რამდენიმესი ერთად. წამიერად თვალს შევავლებთ ემპედეკლესეულ უცნაურ არსებებს, რომლებიც განურჩეველ ერთიანობას გამოჰყოფიან და ჩვენთვის ნაცნობ სხეულებზე მიგვანიშნებენ. თუმცა ეს მხოლოდ მინიშნებაა და არა თვითობისაკენ მიმავალი გზა. თუკი რომელიმეს სახელდებას ვახდენთ, მხოლოდ იმის გამო, რომ საგანთა სახელ-

დება და მათზე ზრუნვა ჩვენ განვივეჩინა მაშინ, როდესაც „ხატები-საებრ“ და მსგავსებისაებრ“ შევიქმნით. ფერი მცირე ულუფებად შორდება ფსკერს, ზევით იწელება, მეზობელ ნაკადებს ხვდება და ვიბრაციების ნებით ფორმათა ცეკვაში ერთვება. ვცვალოთ ვიბრა-ციების სიხშირე და ჩვენს წინაშე ახალი და ახალი სისწრაფით ახა-ლი და ახალი ფორმების გაჩნდება, რომლებსაც მე უნდა დავარქვა სახელი და ამით დროებით მაინც ჩემთვის გასაგები თვითობა მივა-კუთვნო. მე უნდა დავადასტურო სხეულებისა არსებობა იმით, რომ ისინი, პირველად ვიბრაციებთან ერთად, ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვას დავუქვემდებარო. ჭურჭელში მოთავსებული სალებავი კი განაგრძობს თავის როკვას მანამ, სანამ ყველა ფორმა წყალში არ განიძნევა და ერთიან ელფერად არ იქცევა.

ალბათ, სწორედ პირველადი ლოგოსის ვიბრაციებისა და ჩემს მიერ განხორციელებული სახელდების ერთიანობაშია ჩემი უფალ-თან თანაობაზე მინიშნება. ბახიც ამ პირველად ბეღნიერ მდგო-მარეობაზე მიმანიშნებს, ამ ტოტალურ საზრისზე, რომლის წყა-ლობითაც არსებობა მომეცა და რომელმაც უნდა გაამართლოს ეს არსებობა. ამიტომაც არის მისი მუსიკა ასე ზედმინევნით მათემა-ტიკური. მათემატიკა ხომ არსებულს განყენებულ კოსმიურ დინამი-კაში, პირველად ლოგოსისა და სივრცის პირველად მთლიანობაში, ყველა შესაძლო ფორმის თანამყოფობასა და ურთიერთგადასვ-ლაში აღწერს. მუსიკალური აზროვნების ეს „მათემატიკურობა“ ბუნებრივიცაა იმ ეპოქისათვის, როდესაც მუსიკა მათემატიკურ დარგად იყო მიჩნეული. ბახმა მიაღწია იმას, რომ მისი მუსიკა არ ყოფილიყო მთხოვნელი. იგი ცდილობს, შექმნას ის კონტურები და ვექტორები, რომლებშიც თხრობაა შესაძლებელი – მსგავსად მათემატიკისა, როგორც „უფლის ენა“, წინასწარვე ქმნის იმ გან-საზღვრულობებს, რომლებშიც სამყაროა შესაძლებელი.

ამიტომაც, ბახი არ გვიყვება რაიმეს. ის იმ ენის დაბადებას-თან თანაობს, რომლითაც რაიმეს მოყოლა და რაიმესათვის საზ-რისის მინიჭებაა შესაძლებელი. იგი ჩვენ არ გველაპარაკება. იგი იმ ენას ახმოვანებს, რომელშიც იმთავითვე ვმყოფობთ, როგორც „ხატებისაებრ“ და მსგავსებისაებს“ შექმნილი არსებანი. ამით ის უსასრულოდ უახლოვდება იმას, რასაც ოდესლაც სფეროთა მუსიკა უნდეს.

\* \* \*

ზღვაშ თავისკენ მიხმობა იცის, მის სანაპიროებზე გამეფებული ზერელე განწყობებისა და თავისუფლებისაკენ, საკუთარი სხეულის განცდის გამო იმ სიხარულისაკენ, რომელიც იქ მეფობს და კანონიერია – ისეთებისთვისაც კი, ვისაც თითქოს ამ სიხარულის საფუძველი უკვე ნაკლებად გააჩნია, ან არც არასოდეს გააჩნდა. შენიღბვისაგან თითქმის თავისუფალი სხეული სასიცოცხლო ძალებით იქვება. მშვიდი, სისხლსაცეს სიხარული მის ყოველ ნაკვთს მოივლის. საკუთარ არსებობას შესცინებ კაცი: მე ვარ, მე ვარსებობ წყლის ამ უსასრულო ტანთან ერთად, ზედაპირზე მოგდებული ტალღებითა და ქაფით რომ ფარავს თავის განცენებულ მდუმარებას და თავის წიაღში აცხოვრებს იმათ, უმაღლ შესაქმის დასაპამში დემიურგისა და წყლის თამაშით შექმნილ ეფემერულ არსებებს, მომავალ დასრულებულ ქმნილებათა ერთგვარ ესკიზებს რომ ჰგვანან, ან კიდევ – დიდი შემოქმედის მეხსიერების წიაღში მიმაღულ ჩანაფიქრებს. ხანგამოშვებით ამ ეფემერულ არსებათაგან რომელიდაც ერთი მიწაზე გამოდიოდა და შეუდგებოდა გამრავლებისა და კების რუტინულ საქმიანობას.

თუკი მიწიერი არსებობის გამო სიხარული შეიძლება განიცადო ადამიანმა, სწორედ აქ, ზღვაზე. აქ არავის უკვირს მეორე ადამიანის შიშველი სხეული. აქ ლამის ლეგალიზებულია სქესთა ის ურთიერთინტერესი, რომელსაც ვინ იცის, რამდენი აკრძალვა ადევს სხვა პირობებში. აქ, პირიქით, იმპერატიული ასკეზა, უმაღლ, უადგილოა და ერეტიკულიც კი. წყლის სტიქიას თავისი კანონები აქვს. ის მოგიწოდებს იცხოვრო და იარსებო იმ პირველადი განწყობილებებით, რომელთა ნაშთიც სადღაც მეხსიერების წიაღში ჯერ კიდევ ჭიატებს, თურმე. შიშველ სხეულთა ცქერა თუ ფლირტი ქალსა და მამაკაცს შორის ამ პირველყოფილების განუყრელი ნაწილია. ადამიანები აქ, წამიერად მაინც, გულახდილები ხდებიან თავისი სხეულის გამო სიხარულის გამოხატვაში და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ეჭვს იოლად ატანენ ზღვის მოლიცლიცე ზედაპირსა და მის ტალღებში მოთამაშე სულებს.

ესაა ბერძნული წარმართობის სამყარო, რომლის მოხილვის შანსიც გვეძლევა ჩვენ, ვინც მას შემდეგ ამ წარმართობის უარმყოფელი საუკუნეები განვლეთ და ასკეტურ პირობითობათა

ლეგიონებით აღვიჭურვეთ. თითქოს ხელახლა გვაქვს ყველაფერი დასაწყები, ხელახლა გვაქვს აღმოსაჩენი, თუ როგორ შეიძლება, რომ უფლის მადლი – ჩვენს სხეულსა და მისით განცდილ ბედ-ნიერებაში, ბერძნული სამყაროს ამ ანსა და ჰოეში გვიანრომაულ-მა ავხორცმა ბოროტებამ დაიბუდოს და სხეულებრივი არსებობის გამო სიხარული მისივე ბოროტ ორეულად – ტკბობისათვის სხე-ულის ინსტრუმენტალურ გამოყენებად აქციოს. ზღვა სადღაც მო-ტოვებულ ბერძნულ ბავშვობას აღვიძებს ჩვენში და გვიძიგვებს, კიდევ ერთხელ გადავხედოთ იმ გზას, რომელიც საუკუნეების გან-მავლობაში გაგვივლია, რათა იქნებ, ამ ჯერზე მაინც აღმოვაჩინოთ ის, რაც გვიანრომაული ბოროტებისგან შეძრულებს დაუდევრად მოგვისვრია – საკუთარი სხეულის, როგორც უფლის მადლის განც-და. ეგებ, ისეც მოხდეს, რომ წამიერად მაინც კალიგულა, ნერონი თუ მესალინა არ გავიკაროთ და ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედით ისე ვეთამაშოთ წყალსა და მის სულებს.

\* \* \*

დიდი ხნის მანძილზე ჩემს ურთიერთობას ნივთებთან უფრო-სები განსაზღვრავდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ეს დამოუკიდებლად არ შემეძლო და რომ აუცილებელი იყო, თვალი ედევნებინათ ჩემთ-ვის, საჭიროების შემთხვევაში კი ეჩვენებინათ, თუ რა მოჰყვებოდა ჩემს დაუდევრობას. მათთვის ნივთი უკვე თითქმის მთლიანად მი-სი ფუნქციით და ამ უკანასკნელის შესრულება-შეუსრულებლობის უნარით განისაზღვრებოდა. მათგან განსხვავებით, ჩემთვის ნივთი კითხვის ნიშნებით იყო დახუნძლული. თითქოს სამყარო ამ ნივთში იყრიდა თავს და მისით მეუბნებოდა რაღაც ახალს და მოულოდ-ნელს. ამიტომაც ვსწავლობდი ამ ნივთს, ვშლიდი, ვტეხავდი, გემოს ვუსინჯავდი, ვყნოსავდი და კიდევ, ვინ იცის, რას არ ვჩადიოდი, რათა გამეგო ის და ჩემი სხეულივით ცხადი გამხდარიყო. მასთანაც ხომ იმავე ინტიმს ვეძებდი, რაც ჩემს სხეულთან მაკავშირებდა. ბუნებრივია, უფროსებს არ ესმოდათ ეს და ცდილობდნენ, რო-გორმე დავერწმუნებინე, რომ ნივთში, პირველ რიგში, მისი ფუნ-ქცია და გამოსადეგარობა დამენახა. თავადაც ვერ გრძნობდნენ, თუ რამდენი უნებური ტკივილი მომაყენეს თავისი ამ კეთილი ზრახვებით, რადგან ჩემთვის რაღაც სხვა გაცილებით უფრო მნიშ-

ვნელოვანი იყო. მათ უკვე მოჩილუნგებული ჰქონდათ ის ინტუიციები, რომლებითაც ამ „სხვას“ ვიგებთ. ცხადია, ერთხელაც იქნებოდა და დავემორჩილებოდი მათ და ავითვისებდი სამყაროს იმ აღნერას, რომელსაც მთავაზობდნენ. როგორც კასტანედა ამბობს, მეც ამ აღნერის წევრი გავხდებოდი.

სულ 4-5 წლის ბიჭი ვიყავი. ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე ვცხოვრობდით. ქარიანი ამინდი იყო. მე, მამა და ჩემი ძმა დათო აივანზე ვიდექით. უფროსები შემპირდნენ, ფრანს გაგიკეთებთო. მამამ ქალალდზე მამაკაცის თავი დახატა და მომანოდა, დაიჭირეო. თვითონ დათოსთან ერთად ფრანის ჩარჩოს კრავდა. უცებ მოუთმენლობამ შემიპყრო. მინდოდა, რაც შეიძლებოდა მალე დამენახა, როგორ გააფრენდა ქარი კაცის თავს. ჰოდა, ერთხელაც რომ დაუბერა, ხელი გავუშვი და ქალალდი გაფრინდა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ეხეთქებოდა კედლებს და როგორ გვშორდებოდა. ჩვენი ეზო სამი მხრიდან სახლით იყო გარემოცული. ჩვენ ჩრდილოეთის ფრთის მესამე სართულზე ვცხოვრობდით მამის სამხატვრო სახელოსნოში. ქარმა ნახატი ჯერ დასავლეთის ფრთისაკენ გააქროლა, შემდეგ – სამხრეთისკენ, ბოლოს სადღაც მიკარგა.

ბევრი ვეზერნე უფროსებს, ახალი ფრანი გაეკეთებიათ, მაგრამ ყური არ მათხოვეს. დამსაჯეს. ძალიან განვიცადე ეს, იმდენად განვიცადე, რომ დღემდე ნათლად მახსოვს ჩემი მაშინდელი წუხილი. სათითაოდ ამიხსნეს, რომ უნდა მესწავლა ნივთისა და სხვისი შრომის დაფასება. მალე ამ საქმეში დედაც ჩაერთო. მე კი, აღბათ, ის ფრანი იმდენს ვერაფერს მომიტანდა, რამდენიც ნახატის მაშინდელმა გაქროლებამ დამანახა. ეს, აღბათ, ის შემთხვევა იყო, როდესაც ქარი შევიგრძენი და მასთან უცნაური კავშირიც ვიგრძენი. ამის შემდეგ იგი ისეთივე ნაცნობი იყო ჩემთვის, როგორც მინა თავისი სიმყარით, როგორც ბალახი თავისი სუნით...

ზრდასრულობაშიც ჩემს თაობას ნივთების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა. ნებისმიერი საგანი ხანგძლივი პერსპექტივით მოდიოდა ჩვენთან. მისი არსებობის ხანგძლივობა განუზღვრელი იყო. თითქმის ვერ ვიხსენებ საგნებს, რომლებიც ერთჯერადი გამოყენებისათვის იყო გამიზნული. უფრო მეტიც, თუ ჩვენში უცხოეთიდან რაღაც მანქანებით შემოაღწევდა ასეთი

საგანი, აუცილებლად ვახანგძლივებდით მის არსებობას ხან ფუნქციონალურად, ხან კიდევ – როგორც მინიშნებას ამ ფუნქციაზე. ისეც ხდებოდა, რომ ერთჯერად სანთებელებლებს ხელოსნები საგანგებოდ გადააკეთებდნენ ხოლმე, რათა მათი ხელახლა დატენვა ყოფილიყო შესაძლებელი და იყო შემთხვევები, როდესაც ასეთი სანთებელა, ხანგძლივი ხმარების შემდეგ, ვინმეს ჯიბეში უსკდებოდა.

ასე ჩნდებოდა კარადებში გამოფენილი უცხოური სიგარეტების კოლოფები, რომლებშიც ფორმის შესანარჩუნებლად სიგარეტების ნაცვლად ბამბა ჩატენათ, ფრანგული კონიაკის ბოთლები, რომლებშიც უკვე კარგა ხნის წინ კონიაკის ნაცვლად ჩაი ჩაესხათ. ისიც მინახავს, უცხოეთში ნამყოფებს სასტუმროებიდან წამოღებული ერთჯერადი საპნები რომ გამოეფინათ. ამგვარი ნივთებით თითქოს კავშირს ინარჩუნებდნენ იმ სამყაროსთან, რომლის არსებობის შესახებაც გაეგოთ ან სადაც, ბედის წყალობით, ოდესლაც მოხვედრილიყვნენ.

თუ არ ვცდები, 70-იანი წლების დასაწყისში ბოშებმა ქუჩებში კონტრაბანდულად შემოზიდული პოლიეთილენის პარკების გაყიდვა დაიწყეს. უცხოეთში ი მათ მაღაზიებში უფასოდ არიგებდნენ და სარეკლამო დანიშნულება ჰქონდათ. ჩვენთან კი (მთელს საბჭოთა კავშირში) ყოველ ნაბიჯზე ნახავდი გარეცხილებს და გასაშრობად გამოფენილებს.

მოკლედ, ნივთს მანამ არ ენერა გადაგდება, სანამ გამოსაყენებლად სრულიად უვარებისი არ გახდებოდა.

ცალკე თემაა კოლექციონერობა. უცხოური კევისა თუ ტკბილულის შესაფუთი ჭრელი ქაღალდის კოლექციებზე აღარაფერს ვამბობ. 5-6 წლისას მე თავად მქონდა კანფეტის ქაღალდის საკმაოდ დიდი კოლექცია. შემდეგში სადღაც გაქრა. აღბათ, სადღაც მივმაღლე, მერე კი დედამ გადაყარა. ან, ვინ იცის, რაიმეში გავცვალე. აღარ მახსოვეს.

თუ ადამიანი არაფერს აგროვებდა, ეს ნიშნავდა, რომ ინტერესებს იყო მოკლებული. ასე ჩნდებოდა სრულიად წარმოუდგენელი კოლექციები. ცხადია, ანტიკვარისა და იშვიათი ნივთების შეგროვების არც საშუალება გვქონდა და არც ცოდნა, სამაგიეროდ, ხალისით ვაგროვებდით ზღვის ჭრელ კენჭებს, უცნაურ ტოტებს,

პეპლებს, ფოთლებს, წიგნებში ვახმობდით ყვავილებს, ვაგროვებ-დით მეგობრების წერილებს, საფოსტო მარკებს, სათამაშო მანქანებს – ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა – მოკლედ ყველაფერს, რაზეც ხელი მიგვიწვდებოდა. ერთი ჩემი მეგობარი წლების განმავლობაში იუმორისტული ჟურნალებიდან კარიკატურებს ჭრიდა, საგანგებო ალბომში აკრავდა და ინახავდა. ასე დააგროვა მან ხუთი ალბომი. მეორე მეგობარს ორი თუ სამი რვეული ჰქონდა ანეგ-დოტებით სავსე.

სრულიად განსაკუთრებული იყო „ჩემი ნივთის“ ფენომენი. თუ ვინმეს რაღაც განსაკუთრებული ნივთი ჰქონდა, ვთქვათ, ჯაყვა, მას „მის ჯაყვას“ ვეძახდით. შესაბამისად, მეც უნდა მქონოდა „ჩემი ჯაყვა“ და ეს ერთგვარი პრესტიუსის საქმე გახლდათ. ჩემი დანა, ჩემი რვეული, ჩემი ფანქარი, ჩემი პერანგი ან რაიმე სხვა. ასეთი რამ პიროვნული იდენტობის ნაწილად იქცეოდა და მის დაკარგვას ან გაფუჭებას მძიმედ განვიცდიდით. ახლა ძნელი წარმოსადგენია ის ინტიმი, რომელიც ამ ნივთებთან გვაკავშირებდა. ვიმეორებ: მათი არსებობა არ იყო დროში განსაზღვრული. ის თითქოს სამარადისოდ ჩემი იყო, ჩემი პიროვნების ნაწილი, ჩემი რაობის განმსაზღვრელი. შეიძლება, ვინმეს ასეც ეთქვა: აი, ის მაგანი, რომელსაც ასეთი და ასეთი კალმისტარი აქვსო. ამ რამდენიმე ხნის წინაც სადღაც კარა-დაში აღმოვაჩინე მინის პატარა ბურთულა, რომელიც რვა თუ ცხრა წლისას ერთმა რუსმა ბიჭმა მაჩუქა. ნივთს სამარადისოდ ვინახავ-დი, განძივით, რომლის ფასიც მხოლოდ მე ვიცოდი, სხვამ – არა-ვინ. იგი მეგულებოდა ისევე, როგორც დედა, მამა, ან – მეგობარი. მისი მეშვეობით უცნაური წესით ვგრძნობდი იმას, რაც პატარა ბიჭისათვის ყველაზე ძნელი და ყველაზე საშური მოსაპოვებელია – საკუთარ მნიშვნელობას.

უჯრებში ზოგჯერ ვპოულობ ნივთებს, ოდესლაც რომ გადამი-მალავს და მათი არსებობა დამვიწყებია. ამიტომაც მიყვარს ძველი უჯრების გადმოლაგება. ზოგჯერ ისეთ რამეს წავაწყდები ხოლმე, ვეღარაფერში რომ ვერ გამოიყენებ, მაგრამ რაღაც მიზეზით გა-დასაგდებად ვერ გამიმეტებია. უცნაური შეგრძნებაა მივიწყებული ნივთის პოვნა. თითქოს საგანგებოდ გამოგეცხადა, რათა მას

შემდეგ განვლილი წლების პერსპექტივიდან რომელიღაც ძველი ბილიკი კიდევ ერთხელ მოსინჯო. მას უკვე მივიწყებული გამოც-დილებების ხმიანება მოაქვს. დავიწყებული ნივთი მასთან შეხ-ვედრისა და მასთან ერთად გავლილი თავგადასავლების დავიწყე-ბული გამოცდილებაა. მას ისევე შეიძლება მიესალმო, როგორც ბავშვობის მივიწყებულ მეგობარს, რომლის სახელიც ვეღარ გაგიხ-სენებია. ის ელფერს უცვლის და თითქოს აცოცხლებს კიდეც შენს თავგადასავალს.

სხვაა, როდესაც საგანგებოდ გადანახულ ნივთს ვეღარ პო-ულობ. თითქოს ამით შენი ცხოვრების მექვიდრეობითობა და ნარატივის მთლიანობა იღახება. კვლავ წააწყდები და ჰარმონია ბრუნდება. ასე მიმეკარგა ბავშვობისდროინდელი მეგობრის მიერ გამოთლილი პატარა თოფი. ერთ დროს წიგნების თაროებზე ვინა-ხავდი. ეს თაროები ე.წ. შუა ოთახში იყო. მთელ კედელს ფარავდა. თოფი მარჯვნივ, ზემოდან მეორე თაროზე იდო. ზოგჯერ უნებუ-რად გული გამინებს ხოლმე მის საძებნად. ეს სულ წამის მეასედი გრძელდება, რადგან მაშინვე მახსენდება, რომ ეს თაროები აღარ არის იქ და რომ უკვე ლამის სამი ათეული წელია, მათი დიდი ნა-ნილი გადავყარეთ, ნანილი სარდაფში ჩავიტანეთ. მაგრამ წამის მეასედის განმავლობაში მაინც გრძელდება იმედი, რომ ისევ იქ შეიძლება ამ პატარა თოფის პოვნა, ლულის ნაცვლად სპილენძის მავრთული რომ ჰქონდა. პაპაჩემისეული სამართებელიც თითქოს დანამდვილებით მახსოვს, სად მქონდა გადანახული: საწოლ ოთახ-ში, ტანსაცმლის კარადის მეორე უჯრაში. ვინ იცის, რამდენჯერ გადავქექე ეს უჯრა. წელიწადში ერთხელ მაინც მომივლის მისი მოძებნის ჟინი. კიდევ რამდენიმე რამ, თითქოს ზუსტად მახსოვს, სად ვინახავდი – ნივთები, რომლებთანაც რაღაც უფრო მეტი მა-კავშირებს, ვიდრე მათი საჭიროებაა. ოდესლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს და ახლა უიმედოდ არიან გადაკარგულები. თითქოს დაბეჯითებით მახსოვს, როგორ გადავინახე, მაგრამ ვე-ღარ ვაგნებ, თუმცა კი ვიცი, რომ სადღაც ახლოსაა.

ასე წამოტივტივდებიან ხოლმე მეხსიერებაში ნივთები და მახ-სენებენ იმას, რითაც ჩემთან მოვიდნენ. ეს „რაღაც“ დამიტოვეს და თავად მიიკარგენ. არადა, სანამ არ გაქრებოდნენ, ამ „რაღაცას“

თითქოს ვერც ვგრძნობდი, ან ვგრძნობდი, მაგრამ – მკრთალად. დაკარგვის შემდეგ უკვე მეხმიანებიან და მით უფრო მანუხებს მათი დაკარგვა. მოსვენებას არ მაძლევს საგნის ხმიანება თავად ამ საგნის გარეშე. ჰოდა, საგნის ეს მონატრება, უმალ, ამ ხმიანებას ეხება და არა თავად ნივთს, ეხება იმას, რაც ამ ნივთის მეშვეობით ჩემს სავალ გზებს დაემჩნა. თითქოს კიდევ ერთხელ მინდა მოვსინჯო ის წამი, როდესაც ეს ანაბეჭდი გავაკეთე.

## ნომრის სტუმარი

---

ზურაბ ნიჟარაძე

### „საგანი უნდა ჰგავდეს საგანს“

როგორ უთავსებთ ერთმანეთს პრაქტიკულ შრომასა და ფერწერული ამოცანის გაზრებას? რა არის ის უმთავრესი გამოცდილება თქვენს დარგში, რომელიც აიღეთ და შემოქმედების ორიენტირად აქციეთ?

– მთავარია, გვესმოდეს, რა არის დანიშნულება ხელოვნებისა, რა არის მისი ფუნქცია საზოგადოების ცხოვრებაში და საჭიროა თუ არა დღეს ის თანამედროვე ცხოვრებაში? ყველაფერს თან ახლავს იდეა და მისი ხორციელებისა მათ შემთხვევაში უნდა იყოს მოქცეული. „იდეა“ ნიშნავს თვალსაჩინოს, სახილველს. იდეა უნდა იყოს გამოხატული. ის საგრძნობი უნდა გახდეს სიტყვით, ფერით, ბერით... რამდენს მუშაობდა გალაკტიონი, რომ მოექცება ზუსტი შესატყვისი სიტყვა; როგორ ეძებდა ყველაზე გამომხატველსა და გამომსახველ სიტყვებს ნერის პროცესში. ფერწერის სპეციფიკა ისაა, რომ, რასაც აკეთებ, მას ხედავ! ჩვენ ფორმაში ვათავსებთ იდეას და ეს თვალითაც ჩანს. ეუენ დე ლაკრუამ თქვა – მხატვრობა თვალებისთვის დღესასწაულიაო. რატომ იბადება ეს-თეტიკის განცდა, იმიტომ რომ იბადება ჰარმონია. ახლა ვმუშაობ აფროდიტეს დაბადებაზე და ამ თემას ვიყენებ საღებავების გაცოცხლებისთვის, რომ მეორე ცხოვრება, სხვა სიცოცხლე მივანიჭო იდეას, თემას, ჩანაფიქრს. ვინმეს შეუძლია თქვას, რომ ვაჟა ცოცხალი არ არის?! მართალია, მისი სხეული მინაში წევს, მარამ თავად ვაჟას ლექსი ცოცხალია, ამიტომ არც ვაჟა-ფშაველაა მკვდარი.

ახალი სიცოცხლის მინიჭება მასალისათვის – აი ესაა მთავარი ჩემთვის! იმას, რაც მოსაყოლია, სრულყოფილად ასრულებს ლიტერატურა, მაგრამ მას არა აქვს თვალსაჩინო ხატი. ლიტერატურა თავის სპეციფიკაში ზის. უშველებელი კულტურული შრეა ჩვენ

გარშემო, კულტურის სივრცეში ვიმყოფებით. ეს არის დაგროვება მთელი ამ ცოდნისა, ნიმუშებისა, ძეგლებისა და ასე შემდეგ. ამას მოჰყვება გარკვეული საშუალებები, ხერხები, თუ როგორ მიაღწიო უკეთესად და ოპტიმალურად იმას, რაც ჩაფიქრებული გაქვს ან რისკენაც მიისწრაფვი.

თქვენ, როგორც მხატვარი, იყენებთ იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც გეხმარებათ სათქმელის უკეთ გამოხატვაში. მაინც რისკენ ისწრაფვით? როგორ ფიქრობთ, რა არის ზეამოცანა სახვითი ხელოვნებისა და, შესაბამისად, რა არის თქვენი მთავარი საფიქრალი?

— ფერწერაში ჩემი მთავარი საფიქრალია, მოვიყვანო ერთ მთლიანობაში დაპირისპირებული ელემენტები იმ სურათისა, რომელიც იქმნება და ამ გზით დაიპაროს ჰარმონია, იგივე, რაც, მაგალითად, „ხასანბეგურაშია“. ხელოვნებას სჭირდება სრულყოფა, დამუშავება, დახვეწა... მუშაობას საჭირო, რომ ყველაფერს მიეცეს განვითარების საშუალება. რა არის ზეამოცანა სახვითი ხელოვნებისა? — ადამიანი არის ცენტრში, ადამიანის პრობლემები, თვითონ არსებითი მხარე სხეულისა, პლასტიკისა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღეს ის მთავარი შინაარსი გამოიცვალა, რომელიც ტრადიციულად ყველაფერს ჰქონდა.

როგორ უყურებთ თანამედროვე ხელოვნებაში ფორმისა და შინაარსის სინთეზს, დაიკარგა თუ არა კონცეპტუალური მიდგომა, საზრისი და საითკენ მიდის თანამედროვე გამომსახველობითი ხელოვნება?

— ავანგარდი იმას კი არ ავითარებს, რაც თავის დარგშია ჩადებული, მას გვერდიდან შემოაქვს წარმოდგენები. ავანგარდისტები ფორმაზე ცოტას მუშაობენ – ეს, ფაქტობრივად, უფორმო ხელოვნებაა. მასალის განუმეორებლობიდან უნდა მივაღწიოთ განვითარებას, მგალითად: საღებავები არ არის დატვირთული ერთნაირი ულერადობით. რატომ იყო ძველი ფერწერა ბნელი? — იმიტომ რომ ნათელი სხეული უკეთ ჩანს მუქ ფონზე. იმპრესიონისტები რომ

გამოჩნდნენ, ფონი შეიცვალა, ჰაერზე გამოვიდნენ, პლენერზე და უკვე ოთახის განათება კი აღარ იყო, გაჩნდა განათება ცისა და მზისა და, ამდენად, იყო ნათელი. ამან ძალიან დიდი შედეგი გამოიღო. თუ უნინ ადამიანის ნათელი სხეული მუქ ფონზე მკაფიოდ ჩანდა, იმპრესიონისტების შემდეგ ნათელ ფონზე ნათელი სხეული უკვე იყარგებოდა, რამაც გამოიწვია ის, რომ საგანი გაქრა, საგნის არსი დაიკარგა და გაითქვიფა ჰაერსა და განათებულ ფონში. მონეს აქვს ერთი ნახატი – „რუანის ტაძარი“, – რომელზეც ლაქებია განათებული. ზოგადად, ფერწერაში კონტრასტები ერთმანეთს კი არ ჭამს, ერთმანეთს ამდიდრებს! იმპრესიონისტებს აღარ ჰყავთ ადამიანები, სეზანმა მოიტანა კონსტრუქციული პრინციპი, რომ საგანი უნდა ჰქონდეს საგანს! ზოგჯერ ჩვენ გვვინია, რომ ვავითარებთ ფერწერას, მაგრამ სეზანის გამოცდილება არ უნდა გამოვიყენოთ?! არ უნდა დავანახვოთ ადამიანს, რას ვხატავთ?!

ნიჭთან და შრომასთან ერთად, თქვენი პროფესია ითხოვს მასალის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ათვისებას. ეს პროცესი ხომ არ იქცა საქმის გამარტივების საშუალებად, გართობას ხომ არ ემსგავსება ულტრათანამედროვე ფორმებით „თამაში“?

– მასალას ჩვენს დარგში დიდი როლი აკისრია. აბსტრაქციონიზმს, რადგან საგნები „შემოეცალა“, მასალალა დარჩა ხელშესახები. მასალას მართლა დიდი მნიშვნელობა აქვს! არის მასალა, მაგალითად აგური, რომელიც მუშაობს სიმძიმეზე. აგურით აშენებულმა უნდა გამოხატოს თავისი ეს თვისება. ბრუკლინის დაკიდებული ხიდი სიმძიმეზე კი არ მუშაობს, არამედ – გაჭიმვაზე. ესე იგი, ახალი მასალით შეიქმნა ახალი ესთეტიკა. ასევეა ფერწერაშიც: უნდა შევეცადოთ, რომ არ დაკვარგოთ მასალის განუმეორებლობა, მისი სილამაზე უნდა მნიშვნელობდეს, ის არ უნდა იყოს ნიველირებული.

თქვენს შემოქმედებაში რაღაცნაირი ფარული ეროტიზმი იგრძნობა. რა არის ეს? – სამყაროს თქვენეული ხედვა თუ კონკრეტული სივრცის, გარემოს, მოვლენის განსაკუთრებული აღქმა? როგორ უკავშირდება ერთმანეთს თქვენს ცნობიერში ესთეტიკური და ეროტიკული?

– მთელი ისტორია ფერწერისა სავსეა შიშველი სხეულით. ვინმეს შეუძლია თქვას, რომ რუბენი ცუდია? შიშველი ქალი მაინტერესებს იმიტომ, რომ ის მშვენიერია. მთელი ანტიკური ხელოვნება სავსეა შიშველი სხეულით. ადამიანის სხეული არის მშვენიერების კრებული თავისი აგებულებით, ჰარმონიით, პროპორციებით.

**თანამედროვე მხატვართა გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ის გამონაკლისი ბრძანდებით, რომელსაც დიდად არ უყვარს პერსონალური გამოფენების მოწყობა; ერიდებით საჯარო გამოსვლებსაც, რატომ?**

– იმდენი ტყუილი, რამდენიც ახლავს საჯარო გამოსვლებს, ძნელი წარმოსადგენია, ამიტომ ვერიდები გამოფენებსა და პრეზენტაციებს. არ მიყვარს ყალბი პათეტიკა, რომ გმირად გამოხვიდე და იაფენასიანად თავმოწონებული იყო. პრინციპულად არ ვარ მომხრე იმისთვის მუშაობისა, რომ გამოფენა მოვაწყო. სულ არ მჭირდება არავითარი გამოფენა და არც მიყვარს, მართალი რომ ვთქვა! ამიტომ არ ვემზადები არავითარი გამოფენისთვის. მიგროვდება რაღაც ნამუშევრები და, თუ არის რამე, კი ბატონო, მივიღებ მონაწილეობას. თუმცა, სულ არ მხიბლავს ეს პრეზენტაციები. არც გახსნა მიყვარს – სულ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები...

1979 წელი იყო, თუ სწორად მახსოვს, მოსკოვიდან ჩამოვიდა ორი ქალბატონი, რომლებიც საკავშირო მხატვართა კავშირში საქართველოს კურირებდნენ. ისინი მოვიდნენ ჩემთან სახელოსნოში და მითხრეს, რომ მოსკოვში ჩემი გამოფენის მოწყობა სურდათ. მოკლედ, დავთანხმდი და, როდესაც ეს მხატვართა კავშირში გაიგეს, თქვეს: რაღა მოსკოვში, ბარემ აქ გავაკეთოთ უფრო ადრეო. გამოიყო დარბაზი – ორი სართული ჩემმა ნამუშევრებმა გაავსო! აი, ეს იყო პირველი და უკანასკნელი, იმიტომ რომ პერსონალური გამოფენა აღარ მქონია არასდროს. ყოველთვის საერთო გამოფენებში ვმონაწილეობდი.

ჩვენთან არსებობს ინგლისური საზოგადოება, რომელიც, მგონი, ყოველ წელს აღნიშნავს შექსპირის დაბადების დღეს. მთხოვეს,

მოდი, ბარემ სურათებით გავალამაზოთ ეს დღეო. შექსპირის პორტრეტიც დამახატვინეს. აი, ასე მოეწყო ეს გამოფენა ვაკის პარკში. სხვათა შორის, ყველა დარბაზს ჯობია ჰაერზე გამოფენილი – ძალიან კარგი გამოვიდა!

დიდი ხანია, ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში ვცხოვრობთ. როგორ შეაფასებდით იმ მოვლენებს, როცა ინგრეოდა საბჭოეთი და თავისუფალ საქართველოს ეყრებოდა საფუძველი? ეს თქვენი ოცნების საქართველოა?

– ეს არ არის ჩემი ოცნების საქართველო, ეს მწარე რეალობაა, რადგან მე ვცხოვრობ მასში. მენტალობა იტევს ყოფილი კულტურის წარმოდგენებს. დღეს შეიცვალა ფასეულობები და ლირებულებები, ახლა ფული გახდა მთავარი და ამან სულიერება მიჩქმალა. სამწუხაროდ, სულიერი ცხოვრება ალარ არის მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, თანამედროვე ყოფაში განათლების ძალიან დაბალი დონეა. კომუნისტური სულისკვეთება ხელსაყრელია უსაქ-ურებისათვის – სიზარმაცე, იოლად მოპოვებული ფული, დიპლომი – ეს ყოველივე საბჭოური ცხოვრების ინერცია, მანკიერი პრაქტიკაა და ამის დაძლევა გვმართებს, უპირველესად!

**ესაუბრა საბა მეტრეველი**

## XX საუკუნის ლიტერატურული აზროვნების ისტორიიდან

---

ანდრე მორუა

ანდრე მორუა (Andre Maurois, ნამდვილი სახელი ემილ ჰერცოგი, 1885-1967) – პროზაიკოსი, ესეისტი, ისტორიკოსი; 1938 წლიდან ფრანგული აკადემიის წევრი. მას ეკუთვნის ისტორიული თხზულებები, ფილოსოფიურ-ფანტასტიკური მოთხრობები. განსაკუთრებით აღიარებულია მწერალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ბიოგრაფიები: „არიელი, ან შელის ცხოვრება“ (1923), „დიზრაელის ცხოვრება“ (1927), „ტურგენევი“ (1931), „ოლიმპიო, ანუ ვიკტორ პიუგოს ცხოვრება“ (1954), „პრომეთე, ანუ ბალზაკის ცხოვრება“ (1965) და სხვები. ანდრე მორუამ ფრანგ მწერლებზე დაწერა ნარკვევების ოთხი წიგნი: „ლაბრიუერიდან პრუსტამდე“ (1964), „პრუსტიდან კამიუმდე“ (1963), „შიდიდან სარტრამდე“ (1965), „არაგონიდან მონტერლანამდე“ (1967). ესე „ლიტერატურის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, შესახებ“ ერთ-ერთია იმ ექვს ლექციათაგან, რომლებიც მწერალმა 1928 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში წაიკითხა და იმავე წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა სათაურით „ბიოგრაფიის ასპექტები“.

### ბიოგრაფიის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, შესახებ

ჩვენ რომ შევძლებოდა, საკუთარი ცხოვრება მხატვრის თვალთახედვით განგვეხილა, უეჭველია, ეს უმაღლეს ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვგვრიდა. ვერცერთი რომანისტი, ვერცერთი ბიოგრაფისი გრძნობათა იმდენად ნატიფ ელფერს ვერ წარმოაჩენს, როგორსაც საკუთარ სასიყვარულო პერიპეტიებზე, საკუთარ პატივმოყვარეობაზე, საკუთარ ეჭვზე, საკუთარ ბედნიერებაზე დაკვირვებით შევძლებდით. მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს, საკუთარ თავს დავაკვირდეთ, როდესაც ემოციებს განვიცდით. ისინი მეტად ძლი-

ერნი არიან და ესთეტიკურ ალქმადობას თრგუნავენ. ალბათ უფრო იოლი იქნებოდა, ესთეტიკური ემოციები განგვეცადა, თუ იმ ადა-მიანთა ცხოვრებას განვიხილავდით, გარს რომ გვახვევიან. მაგრამ მათდამი თითქმის ყოველთვის სიყვარულს, ან, პირიქით, ზიზღს განვიცდით და ამ გრძნობათა ძალა ასევე ხელს გვიშლის, მათი ცხოვრება აუღელვებლად განვსაჯოთ.

ამას შესანიშნავად განმარტავს მის ჯეინ ჰარისონი<sup>1</sup> თავის წიგნში “Ancient art and Ritual” („ძველი ხელოვნება და წეს-ჩვეულებანი“): „იმისათვის, რომ დავტკბეთ რაიმეთი, როგორც ხელოვნების ნაწარმოებით, დროებით თავი უნდა დავაღწიოთ მოქმედების ყოველგვარ სურვილს, უნდა გავთავისუფლდეთ შიშისა და ლელვათაგან, რეალურ ცხოვრებას რომ უკავშირდება. ჩვენ მაყურებლებად უნდა ვიქცეთ. რატომ? რატომ არ შეგვიძლია, ერთსა და იმავე დროს ვიცხოვოთ და განჭვრიტოთ? აშკარა გახლავთ ის ფაქტი, რომ ეს არ ძალგვიძს. თუ ვხედავთ, როგორ იხრჩობა ჩვენი მეგობარი, ვერ ვამჩნევთ შესანიშნავ მრუდს, წყალში ვარდნისას მისი სხეული რომ მოხაზავს, ვერც სინათლის ციმციმს ტალღებზე, როდესაც ის წყლის უფსკრულში უჩინარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში შემზარავი, არაადამიანური ესთეტები ვიქნებოდით. და მაინც, რატომ? განა ზიანს მივაყენებდით მეგობარს, თუ მრუდის სილამაზით და მზის სხივით დავტკბებოდით და, ამავე დროს, მას თოკს გადავუგდებდით? მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, მრუდს ან სინათლეს ვუყუროთ, რადგან მთელი არსებით ვემორჩილებით ქმედებას – წყალწალებულის გადარჩენას. ჩვენ ამ მომენტშიც კი არ ძალგვიძს, სრულად შევიგრძნოთ საკუთარი უბედურება და თავზარი დანაკარგის წინაშე, რომლის განცდაც გვემუქრება“.

მაინც რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანურმა ცხოვრებამ ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭოს? უპირველესად საჭიროა, ის ისე მცირედ იყოს დაკავშირებული ჩვენს ცხოვრებასთან, რომ მისი განჭვრეტისას არ განვიცდიდეთ ქმედების არავითარ მოთხოვნილებას, არავითარ ზნეობრივ გრძნობას, ამისთვის კი, ალბათ, ყველაზე უკეთესია, ვიცოდეთ, რომ ის არარეალურია, როგორც ეს რომანის კითხვისას ხდება. თუ ჩვენ ვიქნებოდით დავით

კოპერფილდის (დორეზე რომ გახლდათ დაქორწინებული) ადგილას, ამ პათეტიკური სიტუაციის მშვენიერებით ვერ დავტკებოდით. მაგრამ რომანს რომ ვკითხულობთ, ჩვენ მას ვუყურებთ, როგორც უცქერენ მხატვრულ ტილოზე გამოსახულ ხომალდის დალუპვას და არ გვიჩნდება მოთხოვნილება, გავცუროთ და რაღაცას მაინც მოვეჭიდოთ.

ზოგიერთი რომანისტი ესთეტიკურ სიამოვნებას კლავს, როდესაც მყითხველს განსაზღვრულ დასკვნებს ახვევს თავს და პრეტენზიას აცხადებს, გადაჭრას მორალური პრობლემები, რომელთაც მათი წიგნები წამოაყენებს. მაგრამ მათგან საუკეთესოებმა იციან, რომ ეს მხატვრის ამოცანა არ გახლავთ. მაგალითად, ჩეხოვი თავის მეგონარ სუვორინს<sup>2</sup> სწერდა: „თქვენ ურევთ ორ ცნებას: საკითხის გადაჭრას და საკითხის სწორად დაყენებას. მხატვრი-სათვის აუცილებელი მხოლოდ მეორე გახლავთ. „ანა კარენინას“ და „ონეგინში“ ვერცერთი საკითხი ვერ გადაიჭრება, მაგრამ თქვენ ისინი სრულად მხოლოდ იმიტომ გაკმაყოფილებთ, რომ მათში ყველა საკითხი სწორად არის დასმული“.

მაგრამ ეს არ გახლავთ „ერთადერთი მიზეზი“, რომლის მეშვეობითაც რომანი თითქოს ჩვენი პირადი გრძნობების, ჩვენი საკუთარი ვნებების ტვირთს ამსუბუქებს. რომანის პერსონაჟში ყოველთვის იგულისხმება გარკვეული გამარტივება და გეზის მიცემა. ამის გაგება ძნელი არ არის. რეალურ ცხოვრებაში ცოცხალი არ-სებანი – საშიში გამოცანებია: მათი ქცევები წინასწარგანჭვრეტას არ ექვემდებარება; მათ ფიქრები იპყრობთ, ფიქრები, რომლებიც განსაცვიფრებელი სისწრაფით უჩინარდებიან; ამ ქაოსში გარკვევა მეტისმეტად რთულია. ჩვენი მეგობრები თუ ჩვენი მტრები თითქოს უსაზღვროდ რთული დრამებიაო, რომელთა დასასრული არ ვიცით და ვერც ვერასდროს შევიტყობთ. რომანის პერსონაჟი, პირიქით, იმისგან შედგება, რაც მასში ავტორმა ჩადო; იგი, ადამიანური მიხვედრის უნარით შექმნილი, მისაწვდომია ადამიანური გაგებისათვის. ეს უკვე ღვთაებრივი, ამოუნურავი მრავალფეროვნება არ არის, არამედ პირობითი სიმარტივეა, ადამიანურ შესაძლებლობებს რომ პასუხობს. რა თქმა უნდა, შეიძლება, პერსონაჟი რთული იყოს (თანამედროვე რომანისტებთან ის თითქმის ყოველთვის ამგვარია), მაგრამ თვით ეს სირთულე მაინც მოწესრიგებულია, ჩვენ კი

შეგვიძლია, ჩავწვდეთ მას. აიღეთ ფორსტერის<sup>3</sup> “Passage to India” („მოგზაურობა ინდოეთში“); მისი პერსონაჟები მეტად ნიუანსი-რებულნი არიან. ავტორს სურდა – და მან ეს შეძლო – ჩვენთვის ერვე-ნებინა აზროვნების წესის ის ნატიფი განსხვავებანი, ევ-როპელსა და აზიელს ერთმანეთისგან რომ მიჯნავს. თუმცა მისი წიგნი ნათელია; ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო ნათელი, ვიდრე იდუმალი ინდოეთი, რომელიც მილიონობით ადამიანისაგან შედგება და სადაც შეიძლებოდა, წლები ისე გაგვეტარებინა, მაინც ვერ შეგვეცნო. ხელოვნების საგანი სინამდვილის სურათია – საკ-მაოდ დაშორებული ამ სინამდვილისგან საიმისოდ, რომ ქმედების სურვილისაგან გაგვათავისუფლოს და, ამავე დროს, ადამიანური გონებით მონესრიგებული. ჩვენ მივდივართ ბეკონის უკვდავ ფორმულამდე: “Ars est homo additus naturae” („ხელოვნება – ადამი-ანზე გამრავლებული ბუნებაა“ – ლათ.).

მაგრამ ყოველი ესთეტიკური აქტივობის ეს ორი განუყრელი თვისება (სულიერი წონასწორობა და ადამიანის მიერ ბუნების გარდაქმნა) ძალზე რთულ მდგომარეობაში გვაყენებს ახლა, როდე-საც გვსურს, ბიოგრაფია განვიხილოთ, როგორც მხატვრული ნაწარმოები, რადგან ისინი (ეს აქტივობანი), როგორც ჩანს, ხე-ლოვნების სფეროში შელწევისას გზას უღობავენ ბიოგრაფიას ისევე, როგორც ისტორიას.

ჯერ ერთი, ბიოგრაფიის პერსონაჟებს უფრო ნაკლებად, ვი-დრე რომანის პერსონაჟებს, აქვთ უნარი, გაგვათავისუფლონ მოქ-მედებისა და განკითხვის (განსჯის) მოთხოვნილებისაგან, რადგან ისინი სინამდვილეში არსებობდნენ. ჩვენ არა გვაქვს მოთხოვნილე-ბა, განვიკითხოთ ანა კარენინა, ან ბეკი შარპი, რადგან ისინი, ვისაც მათ ტანჯვა მიაყენეს, ასევე რომანის პერსონაჟები არიან. მაგრამ როდესაც ბაირონის ცხოვრების აღწერას ვკითხულობთ, გვახსოვს, რომ არსებობდა ნამდვილი ლედი ბაირონი, ნამდვილი ლედი კარო-ლინა ლემი<sup>4</sup>, და ეს ჩვენს ზნეობრივ გრძნობას აღვიძებს, ესთეტი-კურის საზიანოდ. ეს კიდევ უფრო ნათლად ვლინდება, როდესაც სახელმწიფო მოღვაწეზეა საუბარი. ინგლისელში, რომელიც გლად-სტონის<sup>5</sup> ან პილის<sup>6</sup> ცხოვრების აღწერას კითხულობს, ბუნებრივია, პოლიტიკური და ისტორიული მიკერძოებანი იღვიძებს, აუცილე-ბელ ობიექტურობას რომ უღობავს გზას.

მაგრამ ამ აზრს, სამართლიანობას მოკლებული რომ არ გახდავთ, უმთავრესად ჯერ კიდევ ცოცხალ ან ახლად გარდაცვლილ ადამიანებზე აქვს ძალა. თუკი გმირი აღესრულა და საკმარისად დიდი ხნის წინ აღესრულა, მკითხველს რომ არ გაუჩნდეს გრძნობა, რომ ის, რის შესახებაც კითხულობს, ტკივილს მიაყენებს ცოცხალ არსებას, ქალს ან ბავშვს, – თავისებური დამაწყნარებელი და დამამშვიდებელი ფლერი (რიდე, იდუმალება – მ. კ.) გადაეფარება ან უკვე დასრულებულ სურათს. სიკედილი – უდიდესი მხატვართა შორის; სადაც მან გაიარა, იქ ვნებები ცხრება.

ესთეტიკური გაეგებით, ბიოგრაფიას რომანის წინაშე ალბათ გარკვეული უპირატესობა აქვს. როდესაც გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფიას ვკითხულობთ, მთავარი პერიპეტიები და მოვლენათა დასასრული წინასწარ ვუწყით. ერთი შეხედვით, შეიძლება, მოგვეჩვენოს, რომ ეს ამცირებს ინტერესს, რომლითაც წიგნი იკითხება, მაგრამ სინამდვილეში, თუ ის კარგად არის დაწერილი, ამას პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგი აქვს. ყველაფერი ისე ხდება, როგორც თეატრში. როდესაც ტრაგედიის სანახავად მივდივართ, ვიცით, რომ დასასრულისათვის კეისარს ბრუტუსი მოკლავს, რომ ლირი ჭკუიდან შეიძლება. მაგრამ ამ მოსალოდნელი ამბებისაკენ დრამის ნელი მოძრაობა ჩვენს ემოციებს იმ პოეტურ სიდიადეს მატებს, ბერძნულ დრამას ყოველთვის თანმხლები ბედისწერის იდეა რომ ანიჭებს. ამგვარად, როდესაც ვკითხულობთ ცხოვრების ისტორიას, რომლის ამბები და დასასრული ჩვენთვის ცნობილია, თითქოს ნაცნობ გარემოში ვსეირნობთ, ჩვენს მოგონებებს ვაცოცხლებთ და ვავსებთ მათ. სულის სიმშვიდე, რომლითაც მოულოდნელობებს მოკლებულ სეირნობას შევუდგებით, ესთეტიკურ განწყობას უწყობს ხელს.

ტრაგიკული მშვენიერება ისევ ძლიერდება, როდესაც ცხოვრება ნაღვლიანად სრულდება. ლორენს ჰაუსმენი<sup>7</sup> ოსკარ უაილდთან თავის ერთ-ერთ საუბარს გადმოგვცემს, რომელშიც უაილდი შენიშნავს: ცხოვრება მშვენიერი რომ იყოს, ნარუმატებლად უნდა დამთავრდესო. მაგალითისათვის მან ნაპოლეონის ცხოვრება მოიყვანა და ამტკიცებდა, წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლება რომ არა, ის მთელ თავის ტრაგიზმს დაჰკარგავდაო. უნებლიერ ჩინდება აზრი, რომ თვით უაილდის ცხოვრებაც, მისადმი ინტერესით დავალებუ-

ლია იმ კატასტროფისაგან, რომლითაც ის დამთავრდა. ცხოვრება ლორდ ბიკონსფილდისა<sup>8</sup>, სიბერისას ყველა თავისი ბავშვური ოცნება რომ აისრულა, ზერელე დამკვირვებელს საოცრად წარმატებული მოეჩვენება. მაგრამ დიზრაელიმ ინტელექტუალური გაგებით კრახი განიცადა. გაზომეთ მანძილი ადრინდელი პერიოდის ინგლისის მიმართ მის პოლიტიკურ მოლოდინსა და მოხუცი პრემიერ-მინისტრის მიერ მიღწეულ შედეგებს შორის და თქვენ ყოველგვარი ქმედების ამაოების შეგრძნება შეგიპყრობთ, ეს ზნეობრივი კი არა, ესთეტიკური გრძნობაა.

ამგვარად, ბიოგრაფიის პერსონაჟების რეალურობა მათ ხელს არ უშლის, მხატვრულ ნაწარმოებთა გმირები იყვნენ. თუმცა რჩება მეორე სანინაალმდევო აზრი. ჩვენ ვთქვით, რომ მხატვრული ნაწარმოებების დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ობიექტური სინამდვილე მათში ადამიანური გონებით რეკონსტრუირდება: „Ars est homo additus naturae“. შესაბამისად, საჭიროა, რათა გონების მოღვაწეობისათვის იყოს სივრცე. ჩვენ ხომ შესანიშნავად ვხვდებით, როგორ აგებს რომანისტი თავის პერსონაჟებს: ის მათ გრძნებებისაგან ქმნის, რომლებიც ურთიერთკავშირშია, როგორც კარგი მანქანის კბილანები; თუ რომანისტი ნიჭიერია, მანქანა ისე კარგად არის დაფარული სხეულით, რომ თითქმის უჩინარი ხდება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის მაინც მანქანად რჩება და ყველაზე რთული რომანის გმირი უსასრულოდ ნაკლებად რთულია, ვიდრე ყველაზე მარტივი ადამიანი. უფრო რთულია, მიეხვდეთ, როგორ შეიძლება ისტორიული პიროვნების კონსტრუირება ისე, რომ მას ფორმა არ შეუცვალო. ეს პიროვნება ისეთი იყო, როგორიც იყო. მისი შეცვლა არ შეიძლება. აიღეთ რიოსკინი<sup>9</sup>, აიღეთ გლადსტონი; ყოველი მათგანი ისეთივე რეალური ადამიანი იყო, როგორც ჩვენ, როგორც ჩვენი მეგობრები; თითოეული მათგანი გამოცანა იყო მათვის, ვინც მას იცნობდა, გამოცანა, რომლის თვალწინ მთელი ცხოვრება გაატარეს და მაინც ვერ შეძლეს, დაკვირვებებისა და სახეების აურაცხელ სიმრავლეში სინათლე და წესრიგი შეეტანათ. რა გააკეთოს ბიოგრაფისმა? უნდა ეცადოს, ეს ცოცხალი გამოცანა აღადგინოს? მაგრამ ის დეტალების ისეთი სიმრავლისაგან ეწყობა, ადამიანური ცხოვრება არ ეყოფა, რომ ამოწურო. იქნებ, დეტალები ისე დააჯვეუფოს, როგორც კარგ პორტრეტში? ან იქნებ აღქმისათვის

მისაწვდომი მანქანა უნდა წარმოადგინოს? მაგრამ მაშინ ის რეალურ არსს დაშორდება. „მგონია, – ამბობს ჟილბერ მოჟი<sup>10</sup>, – რომ ახლახან ჩამერალ ცხოვრებაში, ჯერ რომ არ გაცივებულა, არის გიუური ქაოსი, რომელიც ქრება ჩავლილი წლების კვალდაკვალ, ბიოგრაფისები კი მისგან აგებენ ცივ და დასრულებულ სისტემებს, რომლებსაც ისინი ჰენრის II-ს ან ლუდოვიკ XIII-ს უწოდებენ“. შექმნან ადამიანისაგან ნათელი და ცრუ სისტემა, ან საერთოდ უარი თქვან მის სისტემატიზებასა და გაგებაზე – ასეთია დილემა, რომლის წინაშეც, როგორც ჩანს, ბიოგრაფისა დას.

ეს დამაჯერებელი მსჯელობა გახლავთ, მაგრამ იგი ზუსტად ასევე ამტკიცებს, რომ შეუძლებელია, სურათზე პეიზაჟი ან ცოცხალი ადამიანის სახე გამოსახო, იმიტომ, რომ სახე ძალზე მოძრავია, პეიზაჟში კი ძალზე ბევრი ელფერი, ძალზე ბევრი სხვადასხვა ფორმაა. გამოდის, რომ შეუძლებელია, დახატო პორტრეტი ან პეიზაჟი, ბუნებას რომ მიემსგავსება და, ამავე დროს, მშვენიერი იქნება. ბიოგრაფისმა, ისევე, როგორც პორტრეტისტმა და პეიზაჟისტმა, განსახილველ მთლიანში არსებითი უნდა გამოყოს. ამ არჩევნის საშუალებით, თუ მას უნარი აქვს, ისე ამოირჩიოს, რომ არ გააღარიბოს, ის სწორედ რომ მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის.

პირველ ყოვლისა, ეს თემის არჩევა გახლავთ. მხატვარი-პეიზაჟისტი, სადაც მოუხდება თავისი მოლბერტს ვერ გამოიყენებს. იგი ჩერდება პეიზაჟის წინ და საკუთარ თავს უუბნება: „ეს შესაფერისია, ეს ტილოზე კარგად გადავა“... დიდ იმპრესიონისტთაგან ზოგიერთები გაისეირნებდნენ ხოლმე ჩარჩოთი, რომელსაც ისინი პეიზაჟის სხვადასხვა ელემენტს უსადაგებდნენ, ვიდრე არ ამოარჩევდნენ იმას, რომლის დახატვასაც შეეცდებოდნენ. ბიოგრაფისმაც ჩარჩოთი ხელში უნდა გაისეირნოს, და მისთვის თემის არჩევა, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია. არსებობენ თავიანთი არსით მშვენიერი სიცოცხლეები, ერთგვარად დასრულებული გარემოებათა დამთხვევით, ან პიროვნების შინაგანი დინამიკის ძალით, როგორიც სტიქიურად დაბადებული ხელოვნების ნაწარმოებია. ზოგჯერ ისინი იმ იდუმალ სიმეტრიას ავლენენ, რომელიც, თუ ის საკმაოდ კარგად შეისხამს ხორცს, ადამიანურ ქმნილებებს თავიანთ სილამაზეს ანიჭებს. მაგალითად, შელის ცხოვრება მშვენიერ ბუნებრივ კომპოზიციას წარმოადგენს; ის ორი ქალის – გარიეტისა

და მერი გოდვინის<sup>11</sup> ირგვლივ ლაგდება; ეს ქალები შელის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სტადიას შეესატყვისება, და მათ მიმართ შელის მსგავსი გრძნობები ამოძრავებდა. კატასტროფა, რომლითაც მისი ცხოვრება დასრულდა, მაშინ მოხდა, როდესაც ის ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა იყო, და მოვლენათა ზღვარგადასულმა მრავალფეროვნებამ, ზრდასრულ ასაკს მიღწეულმა ადამიანმა რომ გადაიტანა, ვერ შეძლო, პოეტში ეს წარმტაცი უბრალოება ჩაეკლა. ბაირონი გაცილებით უფრო რთული ფიგურა გახლავთ; რომანისტი მოერიდებოდა, შეეთხა მოვლენებით ისე მდიდარი ცხოვრება, როგორიც ბაირონის ცხოვრება იყო. მით უფრო, რომ ამაშიც უნდა იმაღლებოდეს ლიტერატურული მთლიანობა, რომელიც საჭიროა, გავხსნათ.

სერ სიდნეი ლი<sup>12</sup>, ამ საკითხს რომ ეხება, ამბობს: ბიოგრაფიის თემა „ცნობილ სიდიადეს უნდა ფლობდესო“. შეიძლებოდა გვემტკიცებინა, რომ ყოველი ადამიანური არსების ცხოვრება საინტერესოა და თუკი მოინახებოდა ბიოგრაფიისი, რომელიც შეძლებდა, გაეანალიზებინა ყველა აზრი, უცნობ ბოგანოს რომ ეწვევა, ამგვარი ანალიზი უფრო მშვენიერი და მდიდარი იქნებოდა, ვიდრე კეისრის ცხოვრების აღნერა. სტერლინგი<sup>13</sup>, რომელსაც კარლეილმა ორი ტომი უძღვნა, გამოჩენილი ადამიანი არ გახლდათ და კარლეილმა ეს იცოდა. თქვენ გახსოვთ, რას წერს იგი დასკვნით ნაწილში:

„ეს ორი უბადრუე ტომი – ყველაფერია, რაც ხელშესახები ფორმით ამ ქვეყნად ჯონ სტერლინგის მოღვაწეობიდან დარჩა... ეს მოკრძალებული ძეგლია, რომელიც მიღწეული სიდიადის უკვდავსაყოფად არ არის გამიზნული, მაგრამ თავისი მნირი შესაძლებლობებით უბრალოდ ამტკიცებს, რომ აქ განდიდების ზრახვანი იყო. ეს ცხოვრება ტრაგედია გახლდათ, როგორც ამავე ჯურის სხვა ცხოვრებანი, ვითარცა ყოველი ცხოვრება. დიდი იმედები, კეთილშობილი ძალისხმევანი. სულ უფრო მზარდი სირთულეებისა და დაბრკოლებათა უამს იმავე სიმამაცით განახლებადი ვაჟკაცური მცდელობანი – და შედეგად – სიკვდილი... ეს ცხოვრება მსოფლიოს ყურადღებას ვერ მიიპყრობს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მოკრძალებულად გენევა თავისკენ, და თუკი მას სათანადოდ შეისწავლიან, ის დააჯილდოებს მათ, ვინც მას აღმოაჩენს“.

მარსელ შვილი<sup>14</sup> იმავე აზრს ემხრობა, რასაც კარლეილი. „ბიოგ-რაფოსები, – წერს იგი, – ფიქრობენ, რომ ჩვენ შეიძლება მხოლოდ დიდი ადამიანების ცხოვრებამ დაგვაინტერესოს. ხელოვნებისათვის ეს მოსაზრებები უცხოა. კრანახის<sup>15</sup> შექმნილი უცნობის პორტრეტი მხატვრის თვალში ისევე ღირებულია, როგორც ერაზმის პორტრეტი. ეს ნახატი შეუძარებელი მარტო ერაზმის სახელის წყალობით როდია. ბიოგრაფიის თსტატობა იმაშია, რომ უცნობი მსახიობის ცხოვრებას ისეთივე ღირებულება მიანიჭის, როგორიც შექსპირის ცხოვრებას. მდაბალი ინსტინქტის გამო ჩვენ სიამოვნებით შევნიშნავთ ხოლმე ალექსანდრეს ბიუსტზე სტერნომასტოიდული კუნთის სიმოკლეს, ან თმის კულულებს ნაპოლეონის შუბლზე. მაგრამ მონა ლიზას ღიმილი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით (შესაძლოა, ეს მამაკაცის სახე იყოს), უფრო იდუმალია, და გრიმასა ხოკუსანის<sup>16</sup> სურათზე კიდევ უფრო ღრმა ფიქრებს აღძრავს. მან, ვინც მოინდომა იმ ასპარეზზე გამოსვლა, სადაც ასეთი ბრწყინვალებით მოღვაწეობენ ბოსუელი<sup>17</sup> და ობრი<sup>18</sup>, უეჭველია, თავისი დროის უდიდესი ადამიანის ყველა წვრილმანი კი არ უნდა აღწეროს და ნარსულის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე კი არ უნდა დაახასიათოს, არამედ იმავე გულმოდგინებით უნდა მოუთხროს უცნობ ადამიანთა განუმეორებელი ცხოვრების შესახებ, – იქნება ის თაყვანისცების ღირსი, ულიმლამო თუ დამნაშავე ადამიანი“.

ამ ნაწყვეტის მთელი ხიბლის მიუხედავად, მასში გამოხატულ იდეებს სამართლიანად ვერ მივიჩნევ. განა უცნობ ადამიანთა ცხოვრება კვალს ტოვებს – ხომ არ წარმოვიდგენთ გენიალურ ადამიანს, რომელმაც შესანიშნავი წერილები დაწერა, არასოდეს რომ არ გამოქვეყნებულა. მაგრამ, როდესაც მათ ვაქვეყნებთ, ამით ამ ადამიანს გამოჩენილი ადამიანებს რიგში ვაყენებთ. რომანისტს სრულიად სხვა არჩევანი აქვს, ვიდრე ისტორიკოსს. იგი შებოჭილი არ არის ფიცით, იყოს მართალი და ოდენ ნამდვილი დოკუმენტებითა და ფაქტებით ისარგებლოს. შესაბამისად, მას უფლება აქვს, გამოიყვანოს უცნობი, ჩვეულებრივი ადამიანი და მას ესა თუ ის სიტყვები და ფიქრები მიაწეროს. მაგრამ როგორ მოიქცეს საპრალო ბიოგრაფია, რა უნდა თქვას მან ადამიანზე, რომელსაც არც წერილები დაუტოვებია, არც დღიურები, არც მეგობრების მონმობა-

ნი, არც თავისი მოღვაწეობის კვალი? აქ მას სხვა არჩევანი არა აქვს, თუ არა ის, რომ იმ პიროვნების ცხოვრებაზე მოყვეს, რომელთანაც ცხოვრობდა. უეჭველია, რომ ისეთ მწერალს, როგორიც ბოსუელია, შეეძლო „გაებოსუელებინა“ თავისი რომელიმე უცნობი მეგობარი, როგორც მან დოქტორი ჯონსონი „გააბოსუელა“, მაგრამ ეს არც ისე საინტერესო იქნებოდა.

იმ პირთა არჩევანს სასარგებლოდ, ისტორიასა და ხელოვნებაში მნიშვნელოვან როლს რომ ასრულებენ, სხვა საბუთიც არსებობს და ის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოთქმა „როლის შესრულება (თამაში)“ აქ უბრალოდ მეტაფორა არ არის. როდესაც ადამიანი მაღალ ფუნქციას ასრულებს, იქნება ეს მონარქის ფუნქცია, მხედარმთავრის ფუნქცია, თუ ის განსაკუთრებული მისია, რომელიც პოეტს თავისი ნიჭის პატივისცემას შთააგონებს, ნებით თუ უნებლიერ მართლაც თამაშობს როლს, ამიტომაც მისი პიროვნება რაღაც ზომით იმ მიუწვდომელ სირთულეს კარგავს, რომელიც ყოველ ადამიანურ პიროვნებას ახასიათებს და რომელიც მას არა ხელოვნურ, არამედ ორგანულ მთლიანობას ანიჭებს. დიადი ადამიანი (ხშირად მეფეც კი, რომელსაც დიად ადამიანს ვერ ვუწოდებთ) თავისი ფუნქციით ფორმირდება: იგი არაცნობიერად ცდილობს, თავისი ცხოვრებისაგან ხელოვნების ნაწარმოები შექმნას, გახდეს ის, ვისი ხილვაც მსოფლიოს სურს, და ამგვარად იძენს – არა საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ, არამედ თავისი ნების გვერდის ავლით და საკუთარი ბუნებისაგან დამოუკიდებლად – ხასიათს ქანდაკებისას, რომელიც მას მხატვრისათვის კარგ მოდელად აქცევს. სტრეიჩის<sup>19</sup> დედოფალი ვიქტორია შემთხვევით არ შეურჩევია; დედოფალი რომ არ ყოფილიყო, დედოფალი ვიქტორია, ალბათ, ერთი მოუცლელი მოხუცი ქალბატონი იქნებოდა, მაგრამ იმ უცნაური და ნატიფი პოეზიით არ აღივსებოდა, რომელსაც მას ყველაზე განსაკუთრებული ქალისა და დედოფლისთვის აუცილებელი მონოლითური ხასიათის თვისებების შერევა ანიჭებს.

\*\*\*

ვივარაუდოთ, რომ თემა არჩეულია. ხომ არ შეიძლება, ზოგიერთი წესი მივუთითოთ, რომლის მიუვნებისას ბიოგრაფისი შეძლებდა, თავიდან აეცილებინა სიმშრალე, იოტისოდენადაც არ

დასცილებოდა მეცნიერულ ჭეშმარიტებას და, ამასთან, რომანის-ტის ხელოვნებასაც მიახლოებოდა? მრავალი ისტორიკოსი თვლის, რომ ეს შეუძლებელია; ზოგიერთები ამაზე კატეგორიულ აზრსაც გამოთქვამენ; მაგრამ ისეთი ბიოგრაფიის, როგორიც ლიტონ სტრეიჩია, რა თქმა უნდა, სხვა მოსაზრებას ემხრობა და მას დი-ოგენეს მეთოდით ამტკიცებს – პრაქტიკულად. მსურს, თქვენთან ერთად ამ წესებიდან რამდენიმეს დადგენა ვცადო.

ვგონებ, მათგან პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერ-ში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ. ძველებს ეს ჩვეულება არ ჰქონდათ. პლუტარქე დასაწყისში თავის გმირთა საქმეებს გადმოსცემს, ცხოვრების აღწერილობათა ბოლოს კი აჯგუფებს საინტერესო შემთხვევებს, რომლებშიც მათი ხასიათი ვლინდება. უცნაური მეთოდია! ის ხომ მთელი თხრობის მანძილზე მყითხველს გმირთან ახლო ნაცნობობის შესაძლებლობას უსპობს, ამით კი თხრობისადმი მის ინტერესსაც ასუსტებს. პლუტარქეს მაგალითს ძალზე დიდხანს მისდევდნენ, და ეს სუფთა მიბაძვის შესანიშნავი ნიმუშიც გახლავთ, რამდენადაც სხვაგვარად ვერ შევ-ძლებთ, ავხსნათ ის ფაქტი, რომ დოქტორი ჯონსონი და ვიქტორი-ანული ეპოქის ბევრი ბიოგრაფიის აღწერის ბოლოს, როგორც ისინი ამბობდნენ, „ხასიათის თვისებებს“ აჯგუფებდნენ. ასე მშვენივრად შედგენილ და სხვა მიმართებითაც ასე შესანიშნავ Dictionary of National Biography-შიც კი (ნაციონალური ბიოგრაფიული ლექსიკონი<sup>20</sup>) როგორც განუხრელი წესი, მასალის გადმოცემის ასეთი რიგია მიღებული: ჯერ „ფაქტები“, შემდგ „ხასიათი“.

ჩემი აზრით, ძალზე რთულია, მკითხველის ინტერესი გამოიწვიო ფაქტებით, რომლებსაც ნორმალური თანმიმდევრობით არ გადმოსცემ. ცხოვრების აღწერილობას რომანტიკულ ინტერესს სწორედ მომავლის მოლოდინი ანიჭებს, ის, რომ ჩვენ ყოველდღიურად აღმოვჩნდებით უფსკრულის ნინაშე, რომელსაც ხვალ ჰქვია და ვერც კი წარმოგვიდგენია, რა გველის იქ. მაშინაც კი, როდესაც საუბარი ცნობილ ადამიანს ეხება და მკითხველმა კარგად უწყის, რომ გმირი მოწოდებულია, დიდი მხედართმთავარი ან დიდი პო-ეტი გახდეს, ჩემი აზრით, უგუნურებაა, ეს პირველივე ფრაზიდან-ვე გავაცხადოთ. რატომ უნდა დავიწყოთ ბიოგრაფია ისე, როგორც ფორსტერი იწყებს დიკენსის ბიოგრაფიას? „ჩარლზ დიკენსი, ჩვე-

ნი ქვეყნის ერთ-ერთი პოპულარული რომანისტი და ერთ-ერთი უდიდესი იუმორისტი იმათგან, რომლებიც ინგლისმა მსოფლიოს მისცა, დაიბადა პორტსში, პარასკევს, 1812 წლის 7 თებერვალს“. არა, არანაირი პოპულარული რომანისტი, არანაირი იუმორისტი არ დაბადებულა, 1812 წლის 7 თებერვალს დაიბადა ყრმა, ზუსტად ისევე, როგორც ყრმა იშვა ველინგტონის დაბადების დღეს, ან შექ-სპირის დაბადების დღეს.

გამოდის, რომ თუკი ცხოვრების აღწერილობას იწყებ, თავი ისე უნდა დაიჭირო, თითქოს არც კი იცი, რომ ეს დიდი მხედართმთავ-რის ცხოვრების აღწერილობაა, თითქოს შენ მთელი მისი კარიერა დაივინწყე? სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, რომ ასეა. შესაძლოა, ეს ხელოვნურია. მაგრამ სიტყვა ხელოვნურობას იგივე ძირი აქვს, რაც ხელოვნებას. ტრაგედიის ავტორი პირველსავე ლექსში არ აჩვენებს, როგორი იქნება მისი კვანძის გახსნა. ბიოგრაფიის ავტო-რისათვის დამალული არ უნდა იყოს, რომ მისმა მკითხველმა იცის, რით დაამთავრებს გმირი. მას ამის პირველსავე გვერდზე გად-მოლაგება არ უნდა სჭირდებოდეს. მან უბრალოდ უნდა დაინწყოს, არ აჰყეს სურვილს, უცებ გაიბრნებინოს და მხოლოდ მკითხველის იმ ატმოსფეროში შეყვანაზე იზრუნოს, რომელიც მას სულ უფრო მზარდი გმირის პირველი გრძნობების გაგების საშუალებას მისცემს.

შესაძლებელია, ჩვენ ქრონოლოგიური განვითარების უფრო მწვავე მოთხოვნილებას განვიცდით, ვიდრე ძველი ბიოგრაფოსე-ბი, რადგან მათზე ნაკლებად გვნამს უცვლელი ხასიათების არსე-ბობისა. ჩვენ პიროვნების სულიერ ევოლუციას ისევე ვალიარებთ, როგორც რასის ევოლუციას. ჩვენ ვთვლით, რომ ხასიათი მხო-ლოდ ნელ-ნელა ყალიბდება სხვა ადამიანებთან და მოვლენებთან ურთიერთობაში. ხასიათი, რომელიც გმირის ცხოვრების ნების-მიერ მომენტში საკუთარი თავის შესატყვისა, ჩვენი მოსაზრებით, გონებაჭვრეტითი წყობაა და არა რეალობა. ჩვენი თვალსაზრისი მის ლოუელმა<sup>21</sup> კიტსის ბიოგრაფიის დასაწყისში გამოხატა: „ჩემი მიზანი იყო, მკითხველისათვის შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ის იმავე გავლენებს ექვემდებარება, რასაც კიტსი, იმავე წრეში ტრი-ალებს და აკვირდება მისი ლექსების გამოჩენას იმისდა მიხედვით, თუ როგორ იპადებიან ისინი“.

ძნელია, ბიოგრაფიის უანრში შექმნა მხატვრული ნაწარმოები, თუ არ აჩვენებ, როგორ თანდათან იცვლება გმირის მიერ მოვლენათა აღქმა, და, ამავდროულად, როგორ იცვლება თავადაც. ჩემი აზრით, დაუშვებელია, მაგალითად, ბაირონის ბიოგრაფიაში შელის პორტრეტი იმ მომენტამდე დავხატოთ, ვიდრე ბაირონი არ გაეცნობა მას, და სასურველია, რომ ეს პორტრეტი მიუახლოვდეს შელის პორტრეტს, როგორიც ის ამ მომენტში ბაირონის თვალში იყო. ყოველი ჩვენგანის ცნობიერებაში ჩვენს მეგობრებზე წარმოდგენების ნელი ტრანსფორმირება – ცხოვრების ერთ-ერთი არსებითი ასპექტი გახლავთ. ადამიანი, რომელიც სრულყოფილებად მიგვაჩნდა, მოულოდნელად ჩვენ წინაშე წარმოჩინდება, როგორც არც მთლად უმრიყვლო. მაგალითად, ასე დაემართა დიზრაელს ჯონი მანერსთან<sup>22</sup>. ბიოგრაფიოსმა თავისი გმირის აღმოჩენებს არ უნდა გადააჭარბოს. თხრობის დინამიკისათვის არაფერია უფრო დამღუბველი, ვიდრე მაგალითად, მსგავსი ფრაზები: „თუმცა პირველი შთაბეჭდილება სასიკეთო იყო, საბოლოოდ მას წილად ხვდა, აღმოჩინა, რომ...“ ე.მ. ფორსტერმა, რომელიც ამაში ფრანგ ფილოსოფოს ალენს მიჰყება, გასულ წელს თავის ლექციებში რომანის შესახებ აგვიხსნა, რომ რომანის აწყობისას უკიდურესად მნიშვნელოვანია საკითხი „თვალსაზრისის“ შესახებ. აქ შესაძლებელია, სამი გადაწყვეტა იყოს: ან ყველაფერს გმირის თვალით ვუყუროთ, ან რიგრიგობით ყოველი მოქმედი გმირის თვალსაზრისზე დავდგეთ, ან ბოლოს, ავირჩიოთ რომანისტი-დემიურგის პოზიცია, რომელიც მოქმედებას თავად მართავს.

ბიოგრაფიაში უპირატესობას გადაჭრით ვანიჭებ პირველ მეთოდს, თუმცა მესმის, რომ ზოგჯერ აუცილებელია, დამკირვებელი პოსტი განუწყვეტლივ ვცვალოთ, რათა ვაჩვენოთ, რომ გმირის პიროვნება ისეთ არასრულყოფილ სარკებში აირეკლება, როგორებადაც ჩვენს ორგვლივ მყოფი ადამიანები გვევლინებიან.

კერძოდ, დიადი ისტორიული მოვლენები, რომლებიც სახელმწიფო მოღვანის ან მხედართმთავრის ცხოვრებას უკავშირდება, ბიოგრაფიაში ისე არ უნდა განიმარტოს, როგორც ისტორიულ ნაშრომებში. ბიოგრაფიოს ნამდვილი საგანი, თუ ის ნაპოლეონის ცხოვრებას აღწერს, – ნაპოლეონის სულიერი განვითარებაა;

ისტორია მხოლოდ ფონის სახით უნდა შემოვიდეს, იმისდა მიხედვით, რამდენადაც განვითარების გაგებისათვისაა აუცილებელი, და უნდა ეცადო, ის დაახლოებით იმგვარად გამოსახო, როგორც იმპერატორს წარმოუდგებოდა. აიღეთ, თუნდაც, ბრძოლა აუსტრელიცთან; ისტორიულ ნაშრომში, სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით, შესაძლებელია და აუცილებელი, ბრძოლა ყველა პერიპეტიით აღინეროს; ნაპოლეონის ბიოგრაფიაში კი იგი ისეთად უნდა წარმოჩნდეს, როგორადაც ნაპოლეონი წარმოიდგენდა. ამ მიმართებით კარგი მაგალითია ბრძოლა ვატერლოსთან, როგორადაც მას ფაბრიციო „პარმის სავანის“ დასაწყისში ხედავს.

ედმუნდ გოსი<sup>24</sup> ძალიან კარგად წერს: „ბიოგრაფიაში უადგილოა ფართო ისტორიული შეხედულება და არ არსებობს უფრო დიდი შეცდომა, ვიდრე ეცადო, დაწერო ის, რასაც ადრე დიადი ადამიანის „ცხოვრებასა და ეპოქას“ უნიდებდნენ. ისტორია მოვლენათა ფართო სურათის ფრაგმენტებს განიხილავს. იგი ყოველთვის ერთბაშად უნდა დაიწყოს და ათასგვარ საქმეში ჩაძირული ადამიანების მშფოთვარე არსებობის შუაგულში უნდა შეწყდეს. ისტორიამ ადამიანებზე ყოველთვის მიუკერძოებლად უნდა ისაუბროს. ბიოგრაფია მკაფიოდ შემოსაზღვრულია ორი თარიღით: დაბადებითა და სიკვდილით. იგი თავის ტილოს ერთადერთი ფიგურით ავსებს, სხვა ხასიათებმა კი, რაც არ უნდა მნიშვნელოვანნი იყვნენ ისინი თავისთავად, ცენტრალურ გმირთან მიმართებით ყოველთვის დაქვემდებარებული როლი უნდა შეასრულონ“.

მხატვრული ნაწარმოების მეორე თვისება დეტალების არჩევაა. ნამდვილ მეცნიერს ხელენიფება, ამა თუ იმ საკითხზე მრავალრიცხოვანი ცნობები შეაგროვოს და ისინი განურჩევლად გაგვაცნოს. თუმცა, ვფიქრობ, თუ ეს დიდი მეცნიერია, მაინც შეარჩევს ფაქტებს, მონიშნავს მთავარ ხაზებს და ამ აზრით მხატვარივით მოიქცევა. ბიოგრაფისმა-მხატვარმა მკითხველი უპირველესად ყველა უსარგებლო მასალისაგან უნდა გაათავისუფლოს. მისი მოვალეობაა, წაიკითხოს ყველაფერი, რადგან სხვაგვარად, შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი გამოტოვოს ან დაიჯეროს ჭეშმარიტება ფაქტისა, რომელსაც სხვა დოკუმენტები უარყოფენ; მაგრამ მას შემდეგ, რაც ხარაჩოს მოხსნის, იგი ცდილობს, მკითხველს მხოლოდ საკმარისად მყარი შენობა წარუდგინოს.

დაწერო ბიოგრაფია, ვგონებ, არ ნიშნავს, მკითხველს ყველა-ფერი აუნყო, რაც მის გმირზეა ცნობილი, რადგან მაშინ ყველაზე მცირე წიგნი ცხოვრებასავით გაჭიანურებული გამოვიდოდა. ეს ნიშნავს იმ ყველაფრის გათვალისწინებას, რაც კი ცნობილია და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანის შერჩევას. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ შერჩევისას ბიოგრაფიოს ხშირად უნებლიერ აქცენტს თავისი გმირის იმ თვისებებზე აკეთებს, რომლებიც მისთვის ყველაზე ძვირფასი და ახლობელია.

აქედან მოდის ის დეფორმაცია, რომლსაც ზოგჯერ გმირი ბიოგრაფიოსი-მხატვრის მხრიდან განიცდის. მაგრამ განა უხევირო ბიოგრაფიოს ნაკლებად უცვლის მას ფორმას დოკუმენტების ქაოტური დახვავებით და, ფერმწერთა ტერმინს თუ გამოვიყენებთ, „ვალიორთა“ არარსებობით, რომელიც არაჩვეულებრივ სახეს ბრტყელ პორტრეტად გარდაქმნის?

თუმცა, როდესაც ზედმეტ რამეებს მოაშორებს, ბიოგრაფიოსს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ის, რომ ხშირად უმცირესი წვრილმანები ყველაზე საინტერესოა. უაღრესად მნიშვნელოვანია ყველაფერი, რასაც შეუძლია ნარმოდგენა შეგვიქმნას იმაზე, როგორ გამოიყურებოდა ადამიანი სინამდვილეში, როგორი ხმა, მეტყველების როგორი მანერა ჰქონდა. მხედველობიდან არასოდეს უნდა გამოგრჩეს ის როლი, რომელსაც ჩვენს ნარმოდგენაში სხეული ასრულებს ჩვენთვის ნაცნობ ადამიანებზე. ჩვენთვის ადამიანი უპირველესად განსაზღვრული გარეგნობაა, განსაზღვრული გამოხედვა, დამახასათებელი ჟესტები, ღიმილი, გამომეტყველებანი; ყოველივე ეს იმ ადამიანთანაც უნდა აღმოვაჩინოთ, რომელსაც წიგნი გვაცნობს. ეს ისტორიკოსს უფრო რთულ ამოცანას უსახავს. პიროვნება, რომელსაც დოკუმენტებიდან ვეცნობით, დიდწილად აბსტრაქტული პიროვნებაა, ცნობილი მხოლოდ თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით. თუ ავტორი ვერ შეძლებს იმის მიღწევას, რომ ქალალდების, სიტყვებისა და საქმეების საბურველს მიღმა ცოცხალი არსება დავინახოთ, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი წყალშია ჩაყრილი.

„ისტორიული მეცნიერება, – ამბობს მარსელ შვობი, – ინდივიდებთან მიმართებით გაურკვევლობაში გვტოვებს. ის მათ მხოლოდ ისტორიულ მოვლენებთან შესაბამისობაში გვაჩვენებს. იგი

გვაუწყებს, რომ ვატერლოოს დღეს ნაპოლეონი ავად იყო, რომ ნიუტონის არაჩვეულებრივი ინტელექტუალური აქტივობა მისი ტემპერამენტით განპირობებულ აბსოლუტურ თავშეკავებას უნდა დავუკავშიროთ, რომ ალექსანდრე მთვრალი იყო, როდესაც კლიტოსი<sup>25</sup> მოკლა, და რომ ლუდოვიკო XIV-ის ზოგიერთი გადაწყვეტილების მიზეზი, შესაძლოა, მისი ფისტულა იყო, როდესაც კლეოპატრას ცხვირზე მსჯელობს, იმაზე, თუ რა მოხდებოდა, ის რომ უფრო მოკლე ყოფილიყო, არ ავინწყდება ქვიშის ნამცეციც კრომველის შარდსადენ მილში. ყველა ამ ინდივიდუალურ თავისებურებას მნიშვნელობა მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ მათ მოვლენათა მსვლელობა შევალეს, ან შეეძლოთ, შეეცვალათ. ეს ისტორიული ფაქტების რეალური ან შესაძლებელი მიზეზებია. მათი შესწავლა მეცნიერებს მივანდოთ.

ხელოვნება ზოგად ცნებათა ანტიპოდია, იგი ოდენ ინდივიდუალურს აღწერს, მხოლოდ ერთეულისაკენ გვეწევა. ის კლასიფიცირებას არ ახდენს; ნებისმიერ კლასიფიცირებას ეწინააღმდეგება. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ჩვენი ზოგადი ზარმოდგენები იმათი მსგავსია, პლანეტა მარსზე რომაა მიღებული, სამი გადამკვეთი სწორი ხაზი კი სამყაროს ნებისმიერ წერტილში სამკუთხედს ქმნის. მაგრამ დაათვალიერეთ ხის ფოთოლი მისი იყლიკანტური ძარღვებით, მზისა და ჩრდილისმიერი არათანაბარი შეფერილობით, მცირე ჩაღრმავებით, წვიმის წვეტმა რომ წარმოქმნა, მწერის მიერ დატოვებული ნაჩხვლეტით, პატარა ლოკოკინის ვერცხლისფერი ნაკვალევით, შემოდგომის პირველი სიკვდილისმიერი ვარაყით – მეორე, ზუსტად ამგვარ ფოთოლს ვერ ნახავთ, თუნდაც დედამიწის ყველა ტყეში ძებნოთ. არ არსებობს მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ყოველი ცალკეული ფოთლის საფარს, ყოველი ცალკეული უჯრედის ბოჭკოს, ვენის ხვეულს ყოველ კონკრეტულ პირთან, ყოველი ცალკეული ინდივიდის მიდრეებილებებს, ჩვეულებებსა და ხასიათის თვისებებს. ის, რომ რომელიმე ადამიანს ჰქონდა ერთი მეორეზე ზემოთ ჩამჯდარი თვალები, გაღუნული ცხვირი ან კორძიანი ხელის სახსრები, ის, რომ მას ჩვეულებად ჰქონდა, რომელილაც საათზე წინილის ფრთა მიერთმია და უპირატესობას ანიჭებდა შატო-მარგოს (მალვაზიას), – აი, რა არის ჭეშმარიტად განუმეორებელი. ისევე, როგორც სოკრატეს, თალესას<sup>26</sup> შეეძლო ეთქვა: “გნოთი სეაუტონ”

(შეიცან თავი შენი – ძვ. ბერძნ.)<sup>27</sup>, მაგრამ, საპყრობილებში ყოფნისას იგი ფეხს იმგვარადვე ვერ მოიფხანდა, როგორც სოკრატე, სანამ ციკუტას შესვამდა. დიად ადამიანთა იდეები – კაცობრიობის საერთო მონაპოვარია, არსებითად, ყოველ მათგანს მხოლოდ მათი ახირებები გამოარჩევდა. წიგნი, რომელიც ადამიანს ყველა თავისი ანომალიებით აღწერდა, ხელოვნების ისეთივე ნაწარმოები იქნებოდა, როგორც იაპონური ესტუარი, სადაც სამარადისოდ აღბეჭდილა ერთხელ, დღის განსაზღვრულ დროს დანახული მუხლუხო”.

ოდრისა და ბოსუელის ლირსება ის გახლავთ, რომ მათ ამგვარი დეტალებისადმი გამახვილებული მგრძნობელობა ახასიათებდათ. ბოსუელმა შესანიშნავი წარმოდგენა შეგვიქმნა ტონზე, რომლითაც, ჩვეულებრივ, ჯონსონი საუბრობდა. მარსელ შვობი აღფრთვანებულია დიოგენე ლაერციუსით<sup>28</sup>, რომელიც „გვაუწყებს, რომ არისტოტელეს მუცელზე ტყავის ჩანთა ეკიდა, ცხელი ზეთისხილის ზეთით და რომ მისი სიკვდილის შემდეგ მის სახლში ურიცხვი თიხის ჭურჭელი ნახეს. ვერასოდეს შევიტყობთ, რა უყო არისტოტელემ ამ თავის ჭურჭელს. და ამაზე მეტობაობა ისევე სასიამოვნოა, როგორც ფიქრი საკითხზე, რად სჭირდებოდა ჯონსონს ფორთობლის მშრალი ქერქი, რომელსაც ის, როგორც ბოსუელი გვიამბობს, ჩვეულებისამებ ჯიბით ატარებდა“. ობრი გვეუბნება, რომ სპერნერი<sup>29</sup> ტანდაბალი იყო, თმებს მოკლედ იკრეჭდა, პატარა საყელოსა და პატარა მანქეტებს ატარებდა; რომ ერაზმს არ უყვარდა თევზი და რომ ბეკონის ვერცერთ მოსამსახურე ვერ გაძედავდა, მის წინაშე სხვაგვარად წარმდგარიყო, თუ არა ტარსიკონის ჩექმებში, რადგანაც ის უმაღლე გრძნობდა ხბოს ტყავის სუნს, რომლის ატანაც არ შეეძლო. შეუძლებელია, გავიგოთ 18 ბრიუმერი<sup>30</sup>, თუ არ გვეცოდინება, რომ ნაპოლეონს მუწუკები ჰქონდა და იმ დღეს, ფხანისას, სახე დაუსისხლიანდა, რითაც აიხსნება კიდეც გრენადიორთა საშინელება.

როდესაც ბიოგრაფიას წერ, არაფერია უფრო გასაოცარი, ვიდრე ის, რომ ეს ცოცხალი დეტალები წერილებსა და მოგონებებში მოჩანაკუთ. ზოგჯერ ასობით გვერდს გადაიკითხავ და ვერაფერს პოულობ, გარდა ზოგადი, ანუ ცრუ განსჯისა, შემდეგ კი, ფრაზის მოტრიალებისას, უეცრად ცხოვრება გამოანათებს და ერთგულ მკითხველს აჯილდოვებს. რა სასიხარულოა, მაგალითად, შეიტყო,

რომ და, ორსე<sup>31</sup> მჭექარედ ხარხარებდა და ამასთან თანამოსაუბრეს ტკივილამდე უჭერდა ხელს. სტრეიჩი ამ სფეროში შესანიშნავი ოსტატია. მან იცის, რომ პატარა ვიკტორია ბავშვობაში ბარონესა სპატატან სწავლობდა მუყაოს ყუთების დამზადებას, რომლებზეც ოქროს ფოლგას აწებებდნენ და ყვავილებით რთავდნენ. იგი აღნიშნავს, რომ, როდესაც მის დღიურს კითხულობ, გვონია, თითქოს ის ბავშვმა დაწერა, მისი წერილები კი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ისინი ბავშვის ხელიდან გამოვიდა, მაგრამ გუვერნანტმა ქალმა ჩაასწორა. იგი გვაჩვენებს საღამოს უინძორის ციხე-სიმაგრეში, მოსაუბრეთა ჯგუფს მრგვალი მაგიდის ირგვლივ, დედოფალს, თავისი გრავიურების ალბომით და პრინცს, რომელიც თავის სამ დაახლოებულ პირთან ჭადრაკის უსასრულო პარტიებს თამაშობს. ნამდვილი დეტალის მნიშვნელობა ისე კარგად არავის ესმოდა, როგორც ყველა ბიოგრაფიათაგან საუკეთესოს გმირს, თვით დოქტორ ჯონსონს:

„ბიოგრაფოსის ამოცანა ხშირად ის გახლავთ, რომ, როდესაც თვალს გადაავლებს სიდიადის შემქმნელ ამბებსა და მოვლენებს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მკითხველი უფრო ინტიმურ სფეროში შეიყვანოს და აჩვენოს ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანები. თავი აარიდოს გარეგნულ გაზვიადებებს, თითქოს ამ ცხოვრებაში ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ წინდახედულებასა და სათნოებაში ეჯიბრებიან.

არსებობს მრავალი შეუმჩნეველი გარემოება, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებზე უფრო მნიშვნელოვანია. სალუსტიუსს<sup>32</sup>, პორტრეტის დიდოსტატს, თავის მონათხრობში კატილინას შეთქმულებაზე არ დავიწყებია, აღენიშნა, რომ კატილინას ნაბიჯი ხან აჩქარებული ჰქონდა, ხან შენელებული – ნიშანი მშფოთვარე სულისა.

მაგრამ ხშირად ბიოგრაფიის დაწერას იმ მწერლებს ანდობდნენ ხოლმე, რომლებსაც, ჩანს, თავიანთი ამოცანა ცუდად ესმოდათ. ისინი იშვიათად გვაცნობენ ოფიციალურ დოკუმენტებში შემონახულთაგან განსხვავებულ ცნობებს, მათ ჰგონიათ, რომ შეთხზეს ცხოვრების აღწერილობა, როდესაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამოთვალეს ქმედებათა რიგი და ასე მცირე ყურადღება დაუთმეს თავიანთი გმირების ზნე-ჩვეულებებს, რომ ადამიანის

ჭეშმარიტ ხასიათზე მის ერთ-ერთ ყოფილ მსახურთან ხანმოკლე საუბრით უფრო მეტს გაიგებ, ვიდრე ამგვარი საზეიმო თხრობი-დან, რომელიც გმირის გენეალოგიით იწყება და მისი დაკრძალვით მთავრდება“.

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ჯონსონმა ძალიან კარგად შეიგრძნო, როგორი უნდა იყოს განსაზღვრული ტიპის ბიოგრაფია, იმ ტიპისა, რომელიც სტრეიჩისთან რეალიზდება. სხვათა შორის, როდესაც თვით ჯონსონის „ინგლისელი პოეტების ცხოვრების აღწერილობებს“ კითხულობ, თვალში გხვდება, რომ მათი უმრავლესობა „სტრეიჩის სულისკვეთებითაა“ დაწერილი. მართლაც, საკმარისი იქნებოდა, წიგნის ერთ ნაწილს შერქმეოდა „Eminent Jacobians“ („იაკობ I-ის დროის გამოჩენილი ადამიანები“), მეორეს – „Eminent Augustans“ („დედოფალ ანას დროის გამოჩენილი ადამიანები“), რათა მისგან თანამედროვე წიგნი შექმნილიყო.

... გაგიმზილოთ თუ არა, რომ როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, მე უპირატესობას ვანიჭებ „Eminent Victorians“? („გამოჩენილი ვიქტორიანელები“). ჯონსონი თხრობას იმდენად მეტყველ მორალურ მსჯელობებს ჩაურთავს ხოლმე, რომ ისინი, მართალია, ნაწარმოებს თავშესაქცევ ხასიათს ანიჭებენ, მაგრამ საერთო შთაბეჭდილებას აზიანებენ, ან, ყოველ შემთხვევაში, აქცენტს ურევენ. „მისი ინვექტივების უხეშობა, – წერს ის სხვა ადგილას მილტონის შესახებ, – მხოლოდ მისი მლიქვენელობის ვულგარულობას თუ შეედრებოდა“. ჩემი შეხედულებით, ეს ბიოგრაფიის გმირზე თვით ბიოგრაფისის განსჯის ძალზე მძაფრი ფორმაა. ობიექტურობა, აუდელვებლობა უმაღლესი ესთეტიკური ღირებულებებია. ბიოგრაფისმა, ისევე, როგორც რომანისტმა, უნდა „აჩვენოს“ და არა „ამტკიცოს“, თავისი თვალსაზრისი თავს არ უნდა მოახვიოს. გამოჩენილი ადამიანის ცხოვრებაზე თხრობა სიცოცხლის გარკვეულ ფილოსოფიასთან შეგვახვედრებს ხოლმე, მაგრამ მას არ ძალუდს, ამ ფილოსოფიის გამოხატვით რაიმე მოგება ნახოს.

\*\*\*

ნუთუ შეიძლება ბიოგრაფიას პოეტური ღირებულება ჰქონდეს? დიახ, ვფიქრობ, რომ ასეა. პოეზია, ფართო გაგებით, ვგონებ, ესაა სინამდვილის ხორცშესხმა, მისი მშვენიერებად და მისაწვდომად

გარდაქმნა რიტმის შეტანით. პოეზიაში საკუთრივ ეს რიტმი ლექ-სისა და რითმის ფორმით იქმნება, მუსიკაში – თემით, წიგნში – ნა-წარმოების მთავარი მოტივების მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ინტერვალების განმეორებადი უდერადობით. ყოველი ადამიანის სიცოცხლისათვის განსაზღვრული მოტივებია დამახასიათებელი; როდესაც ამა თუ იმ ცხოვრებას სწავლობთ, ისინი მალე თავს თა-ვად შეგაგრძნობინებენ ხოლმე არაჩვეულებრივი ძალით. სიმფონი-აში, შელის ცხოვრებას რომ წარმოადგენს, წყლის მოტივი დომინი-რებს. მდინარის წაპირას მეოცნებე პოეტს თავს წავადგებით მისი ჭაბუკობისას, როდესაც ითონში სწავლობდა; წაპირზე ის ძველსა და, ამდენად, სიმბოლურ ქალალდის გემებს უშვებს; შემდეგ მისი ცხოვრება წავებზე გრძელდება; მისი პირველი მეუღლე, გარიეტი, წყალში იხრჩობა, და ტალღებში მისი დალუბვის სურათი მკითხ-ველს დიდხანს წამდვილ კვანძის გახსნამდე მიჰყვება, თითქოს ბე-დისწერას შელი ბავშვობიდანვე სპეციის უბეში მიჰყავდა.

ასევე იოლია, დიზრაელის ცხოვრებაში დაიჭირო წამყვანი მო-ტივები: ყვავილების მოტივი, ხანაც – დედოფლის ფურისულების ფორმით, ხანაც – დედოფლის ფურისულების მოტივი, სიჭაბუკეში – ფანფარი-სებრი, შემდეგ თანდათან შესუსტებული – ორკესტრის სპილენძი ნელ-ნელა ყუჩდება, – და სიკვდილის წინ კი – როგორც ოდენ შო-რიდან მოღწეული ხმაური, ინგლისური ვიოლინოებით ჩახშობილი; და ანტაგონისტური მოტივი წვიმის, თავსხმა ინგლისური წვიმისა, რომელიც ცდილობს, ეს ძალზე აღმოსავლური კაშკაშა ნათელი გადალახოს და ამასაც აღწევს. ეს ის წვიმაა, რომელიც ჯერ ეგლინ-ტონის ტურნირის<sup>33</sup> ტალახით გასვრილ მონაწილეებს აიძულებს გაქცევას, შემდეგ პილს გადაუვლის თავზე, გაპუტავს ჰუგენდე-ნის ფარშევანგებს,<sup>34</sup> დაბოლოს, თვით იმ ჯადოქარსაც გაიტაცებს, მზეს რომ ეფიცხებოდა.

სტრეიჩიმ შეძლო, ცხოვრების ამ მაღალ პოეზიას დაუფლებო-და, და მე ცოტა თუ ვიცი იმდენად მშვენიერი ტექსტი, როგორიცაა “Queen Victoria”-ს („დედოფალი ვიკტორია“ – ინგლ.) უკანასკნელი ფურცლები, სადაც სტრეიჩი აჩვენებს, როგორ გაიქროლებს მომაკ-ვდავის ცნობიერებაში დედოფლის ცხოვრების ერთბაშად ყველა მოტივი:

„...ოსბორნის ტყეული გაზაფზულზე, როდესაც ისინი სავსეა ფურისულებით ლორდ ბიკონსფილდისათვის; საპარადო კოსტიუმი და მედიდური გარეგნობა ლორდ პალმერსტონისა<sup>35</sup>, ალბერტის<sup>36</sup> სახეც, მწვანე ლამპით განათებული, ალბერტის პირველი ირემიც ბალმორალში, ალბერტი თავის ლურჯ, ვერცხლით გაწყობილ მუნდირში, კარში შემომავალი ბარონიც, უინძორში ჩამოსული ლორდი მელბურნიც<sup>37</sup>, თელებზე მსხდომი ყვავები რომ დასჩხავიან; გარიურაჟზე მის წინ მუხლებზე მდგარი კენტერბერიელი არქიეპის-კოპოსიც, გარდაცვლილი მეფის ინდაურისებრი კუტკუტიც, ძიალებოლდის<sup>38</sup> ალერსიანი ხმაც კლერმონში, ლეცენიც<sup>39</sup> თავისი გლობუსით, დედის ეგრეტიც, სახეს რომ უნიავებს, მამის საათიც, ძველებური მრეკავი ჯიბის საათი, კუს ბაკნის ზარდახშაში, ყვითელი ხალიჩაც, მუსლინის სახეებიანი საყვარელი ვოლანიც, ხებიც, გაზონიც კენსინგტონში”.

ეს ფურცელი გვახსენებს სამგლოვიარო მარშს „ზიგფრიდი-დან“<sup>40</sup>, ტეტრალოგიის თემებს, „ლმერთების დალუპვის“ დასასრულს სამგლოვიარო კრეპით რომ ბრუნდება. წარსულის ამ სწრაფ მიმოხილვაში სული მელანქოლიურ პოეზიას ეზიარება. ჩვენ მოკრძალებულ თაიგულად ვკრავთ მცირე ყვავილებს, ამ სიცოცხლეს თავიანთ არმატს რომ აფრქვევდნენ, და მას აღსრულებულ ბედისწერას მივართმევთ. ეს მინელებული სიმღერის ბოლო რეფრენია, დასრულებული პოემის ბოლო სტროფი. აქ ბიოგრაფოსი დიდო მუსიკოსისა და დიდი პოეტის სადარია.

1928

## შენიშვნები:

1. ჯეინ პარისონი – (1850-1928), ინგლისელი მკვლევარი ქალი, ავტორი ნაშრომებისა მითოლოგიასა და ხელოვნებაზე.
2. ჩეხოვი თავის მეგობარ სუვორნს სწერდა.. – იგულისხმება 1888 წლის 27 ოქტომბრს წერილი.
3. ედუარდ მორგან ფორსტერი (1879-1970) – ინგლისელი მწერალი.
4. კაროლინა ლემი (1785-1828) – ბაირონის შეყვარებული.
5. უილიამ გლადსტონი (1809-1898) – ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელი, ოთხჯერ იკავებდა პრემიერ-მნისტრის პოსტს.

6. რობერტ პილი (1788-1850) – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, რამდენჯერმე მეთაურობდა მინისტრთა კაბინეტს.
7. ლორენც ჰაუსმენი (1865-1959) – ინგლისელი მწერალი და მხატვარი-ილუსტრატორი.
8. ლორდ ბიკონსფილდი – ბენჯამენ დიზრაელი (1804-1881), ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი-რომანისტი; კონსერვატიული პარტიის ლიდერი, ორჯერ იყავებდა მთავრობის თავმჯდომარის პოსტს.
9. ჯონ რიოსკინი (1819-1900) – ინგლისელი მწერალი, ხელოვნებათ-მცოდნე, პუბლიცისტი.
10. ჟილბერ მოში (დაიბადა 1895 წელს) – ფრანგი მწერალი ქალის ედმე დე ლაროშფუკოს ფსევდონიმი.
11. მერი გოდვინი (1797-1851) – ინგლისელი მწერალი, შელის მეორე ცოლი.
12. სიდნეი ლი (1859-1926) – ინგლისელი მეცნიერი-ფილოლოგი, დედოფალ ვიკტორიას, მეფე ედუარდ VII-ს ბიოგრაფოსი, ავტორი ნაშრომისა ბიოგრაფიის პრინციპების შესახებ.
13. ჯონ სტერლინგი (1806-1845) – ინგლისელი პოეტი; მისი თხზულები ცნობილი გახდა კარლეილის წიგნით „ჯონ სტერლინგის ცხოვრება“ (1851).
14. მარსელ შვობი (1867-1905) – ფრანგი მწერალი და ფილოლოგი.
15. ლუკა კრანას უფროსი (1472-1553) – გერმანელი მხატვარი და გრაფიკოსი.
16. ხოკუსანი (1760-1849) – იაპონელი ფერმწერი.
17. ჯეიმს ბოსუელი (1740-1795) – ინგლისელი ლექსიკოგრაფის, პოეტ-სა და კრიტიკოსის სემუელ ჯონსონის (1709-1784) ბიოგრაფოსი.
18. ჯონ ობრი (1624-1697) – ინგლისელი მწერალი, ავტორი სიკვდილის შემდეგ გამოცემული წიგნისა „ყველაზე გამოჩენილი ინგლისელი პოეტების ცხოვრების აღწრანი“.
19. ლიტონ სტრეიჩი (1880-1932) – ინგლისელი მწერალი, ავტორი წიგნისა „დედოფალი ვიკტორია“ (1921), ბიოგრაფიათა ციკლისა „ცნობილი ვიკტორიანელები“ (1918).
20. „ნაციონალური ბიოგრაფიული ლექსიკონი“ – ინგლისური საცნობარო გამოცემა, რომელიც 1882 წელს დაიწყო და რეგულარულად ხელახლა გამოიცემოდა ხოლმე.

21. ემი ლოუელი (1874-1925) – ამერიკელი პოეტი ქალი, ეკუთვნის კიტ-სის ორტომიანი ბიოგრაფია.
22. უილიამ გოდვინი (1756-1836) – ინგლისელი პოლიტიკური მწერალი და რომანისტი, მერი გოდვინის მამა.
23. ჯონ მანერსი, ჰერცოგი რეტლენდი (1818-1906) – ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, დიზრაელის თანამებრძოლი.
24. ედმუნდ გოსი (1849-1928) – ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი, მრავალი მწერლის ბიოგრაფიის ავტორი.
25. კლიტოსი – ალექსანდრე მაკედონელის ცხენოსანი ჯარის უფროსი, მისი ფავორიტი. მოკლა ალექსანდრემ ნადიმზე, განრისხების შამს.
26. თალესი (ძვ. წ. აღ. VII საუკუნის ბოლო – VI საუკუნის დასაწყისი) – ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.
27. „შეიცან თავი შენი“ – ნარნერა დელფინში აპოლონის ტაძრის ფრონტონზე. ზოგიერთი მას თალესს მიანერდნენ. სოკრატემ ის თავის დევიზად აქცია.
28. დიოგენე ლაერციუსი – (III საუკუნე) – ბერძენი მწერალი, შემდგენელი ძველ გამოჩენილ ფილოსოფოსთა ცხოვრების აღწერილობებისა.
29. ედმუნდ სპენსერი (დაახლ. 1552-1599) – ინგლისელი პოეტი.
30. 18 ბრიუმერი რესპუბლიკის VIII წლისა (1799 წლის 9 ნოემბერი) – ნაპოლეონის მიერ ხელისუფლების მიტაცების დღე.
31. ალფრედ დ, ორსე (1801-1852) – ფრანგი არისტოკრატი ოფიცერი, ხელოვნების მცოდნე, ლუი ნაპოლეონ ბონაპარტეს მეგობარი.
32. გაიუს სალუსტიუს კრისპი (დაახლ. ჩ. წ. აღ.-მდე 86-35) – რომაული ისტორიკოსი, მის სხვა ნაწარმოებთა შორის ცნობილია „კატილინას შეთქმულება“.
33. ტურნირი ეგლინგტონში – 1839 წელს გრაფმა არჩიბალდ ეგლინგტონმა თავის საგვარეულო ციხე-სიმაგრეში შუა საუკუნეების რაინდული ტურნირის მსგავსი შეჯიბრება გამართა. ეს მოვლენა ასახულია დიზრაელის რომანში „ენდიმიონი“.
34. გუგენდენის ფარშევანგები – დიზრაელის ფარშევანგები ჰყავდა თავის მამულში, გუგენდენში.
35. ჰენრი ტემპლი, ლორდი პალმერსტონი (1784-1865) – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე; დედოფალ ვიკტორიას მეფობისას მას ორჯერ პრემიერ-მინისტრის პოსტი ეჭირა.
36. პრინცი ალბერტი (1819-1861) – დედოფალ ვიკტორიას მეუღლე.

37. უილიამ ლემი, ლორდი მელბურნი (1779-1848) – ლიბერალური პარტიის მოღვაწე, რომელიც ვიკტორიას მოღვაწეობის დასაწყისში პრემიერ-მინისტრი იყო.

38. ბიძია ლეოპოლდი – ლეოპოლდ I (1790-1865) – ბელგიის მეფე.

39. ლეცენი – მომავალი დედოფლის, ვიკტორიას გუვერნანტი ქალი.

40. „ზიგფრიდი“ (1868-1870), „ლმერთების დალუპვა“ (1869-1874) – ვაგნერის ოპერები ტეტრალოგიიდან „ნიბელუნგების ბეჭედი“.

**თარგმნა მანანა კვატაიაშ.**

## მიშელ ბიუტორი

მიშელ ბიუტორი (Michel Butor, 1929-2016) – ფრანგი რომანისტი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი. მისი წიგნები: „დროსტარება“ (1956), „ცვლილება“ (1957), „საფეხურები“ (1960) – „ახალი რომანის“ ნიმუშებადაა მიჩნეული, თუმცა ბიუტორის ტექსტები „ტრადიციული რომანის“ ელემენტებსაც ინარჩუნებს. გვიანდელ თხზულებებში („საპარო ქსელი“ – 1963; „ილუსტრაცია“ – 1964) მწერალმა გააღრმავა რომანის აგების ექსპერიმენტული ძიებები. მას, როგორც კრიტიკოსა და ისტორიკოსს, ეკუთვნის სტატიების ოთხი კრებული: „რეპერტუარი“ (1960-1974), თეორიული ესე „ცდები რომანის შესახებ“ (1969), წიგნები ბოდლერსა („არაჩვეულებრივი ისტორია“, 1961) და მონტენზე („ცდები“ ცდების შესახებ“, 1968). ქვემოთ გთავაზობთ მიშელ ბიუტორის ესეს „ცდები რომანის შესახებ“ ერთი მონაკვეთის თარგმანს.

## ფიქრები რომანის ტექნიკაზე

### 1. თხრობის ცნება და რომანის როლი თანამედროვე აზროვნებაში

სამყარო უდიდესი წილით მხოლოდ იმ სახით წარმოჩნდება, რასაც მასზე ამბობენ – საუბრები, გაკვეთილები, გაზეთები, წიგნები და ა.შ. ძალიან მალე ის, რასაც საკუთარი თვალით ვხედავთ, საკუთარი ყურით ვისმენთ, მხოლოდ ამ საერთო ქოროს შიგნით აღივსება აზრით.

ელემენტარულ ერთეულს ამ თხრობისას, რომელშიც მუდმივად ვიძირებით, შეიძლება ეწოდოს „ინფორმაცია“, ან, როგორც ჩვეულებრივ ვამბობთ ხოლმე – „ახალი ამბავი“. „გაიგეთ ახალი ამბავი? – გვიყვირიან – აქამდე ასე და ასე გვეგონა, ამიერიდან უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს ასე არ არის“. ის, ვინც რაღაც მოულოდნელი დაინახა, ხდება მატარებელი „ახალი ამბისა“, რომელსაც გარშემომყოფთ გადასცემს. ამასთანავე, უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი მონათხრობი, ცოდნა სამყაროზე.

ზოგჯერ „ახალი ამბავი“ იმის შიგნით მონახავს ადგილს, რაც ადრე სულ ადვილად ითქმებოდა ხოლმე; ის მხოლოდ უმნიშვნელო შესწორების შეტანას ითხოვს და დანარჩენს არ ეხება. მაგრამ როდესაც ამ „ახალი ამბების“ რაოდენობა და მნიშვნელობა იზრდება, მათვის უკვე სათანადო ადგილს ვერ ვპოულობთ, არ ვიცით, რა მოვუხერხოთ მათ.

ამიერიდან ჩვენ უკვე აღარ ძალგვიძს, გავითვალისწინოთ ყველაფერი, რაც აუცილებელია ვიცოდეთ... ჩვენი თვალები ამაოდ ფართოვდება, იძაბება სმენა – ყოველივე ამაოა. და ვიდრე არ მოვნახავთ საშუალებას, მოვაწესრიგოთ ეს ინფორმაცია, მყარად შემოვსაზღვროთ იგი, ჩვენ, ახალ ტანტალოსთა დარად, – ღატაკნი ვართ მთელ ჩვენს სიმდიდრეში, რომელიც ხელიდან გვისხლტება, როგორც კი მის მოხელეებას განვიზრახავთ.

თხრობა გვთავაზობს სამყაროს, მაგრამ საბედისწეროდ – ცრუ სამყაროს. როდესაც გვსურს, პიერს ავუხსნათ, ვინ არის პოლი, მის ისტორიას ვუყვებით – ჩვენი მოგონებებიდან, ცოდნიდან გამოვარჩევთ ცნობათა გარკვეულ რაოდენობას, მათ ისე დავალაგებთ, რომ „სახედ“ ჩამოყალიბდნენ და ვაცნობიერებთ, რომ ეს მეტწილად არ გამოვივა, რადგან პორტრეტი, ჩვენ რომ შეკვეწით, რაღაც ხარისხით გარდუვალად არაზუსტია და ამ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი პიროვნების ზოგიერთი მხარე ჩვენ მიერ დახატულ სახეს „ვერ ეწყობა“. და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბარი ვიღაც სხვას ეხება; გარღვევა არანაკლებ მნიშვნელოვანია, როდესაც საკუთარ თავზე ვფიქრობთ. უეცრად განსაცვიფრებელ „ახალ ამბავს“ შევიტყობთ, პოლს რომ ეხება: „მაგრამ ეს როგორ შეიძლება?“ და აქ უეცრად ვიხსენებთ – არა, ის ჩვენგან ამ განზრახვას, ან თავისი ცხოვრების ამ ნანილს სულაც არ მალავდა და დაწვრილებითაც კი მოგვითხრობდა, მაგრამ ჩვენ ეს თავიდან ამოვიგდეთ, ჩვენი, „რეზიუმედან“ გამოვრიცხეთ და არც ვიცით, ეს „დანარჩენებთან“ როგორ შევათანხმოთ.

და რამდენი ასეთი ფანტომი დგას ჩვენსა და სამყაროს, ჩვენსა და სხვებს, ჩვენსა და თვით ჩვენს საკუთარ თავს შორის!

თუმცა შესაძლებელია, ამ ფანტომებს სახელი ვუწოდოთ, თვალი მივადევნოთ. საკუთარ თავს ანგარიშს ვაბარებთ, რომ ჩვენთვის მოთხოვობილში არის ცრუ საგნები, და არა მხოლოდ შეცდომები, არამედ გამონაგონიც, და თვით სიტყვა „ისტორიაც“ ერთდროუ-

ლად სიმართლესა და ტყუილს აღნიშნავს: სამყაროს შეცნობა მის-სავე მოძრაობაში – „მსოფლიო ისტორიის“, ცხადის – და ზღაპრი-საც, ჩვენ რომ უყვებით, რათა დაგაძინოთ ბავშვი, და ის ბავშვიც თვით ჩვენში, რომელსაც არაფრით არ უნდა დაძინება; ჩვენ კარ-გად გვესმის, რომ მამა გორიოს არსებობა რაღაც სხვაა, ვიდრე არ-სებობა ნაპოლეონ ბონაპარტის.

ჩვენ იძულებული ვართ, თხრობაში განუწყვეტლივ გავარჩი-ოთ რეალური და წარმოსახვითი, თუმცა მათ შორის ზღვარი ერ-თობ ურთიერთშეღწევადია, ერთობ მოძრავი; ეს ზღვარი მუდმივად იხევს უკან, აკი ისიც კი, რასაც ჯერ კიდევ გუშინ აშკარა რეალო-ბად ვლებულობდით – „მეცნიერება“, ჩვენი ბაბუებისა და ბებიების ეჭვს რომ არ იწვევდა – დღეს უკვე ფანტაზიად ითვლება.

ტყუილად ვიმედოვნებთ, რომ დადგება დღე, როდესაც ეს ზღვარი საბოლოოდ დადგინდება. თუ წარმოსახულს კარიდან მიაბრძანებთ, იგი ფანჯრიდან დაბრუნდება. სიმართლის თქმის, სიმართლის ძების ერთადერთი შესაძლებლობა – ესაა განუწყ-ვეტლივ, მეთოდურად შევახვედროთ ჩვეული თხრობა მასთან, რასაც ვხედავთ, ვისმენთ – ინფორმაციასთან, რომელსაც ვიღებთ, ერთი სიტყვით – „დავამუშავოთ“ თხრობა.

რომანი – გამონაგონი, სიმართლეს რომ ბაძავს, – თვით თავი-სი არსით წარმოადგენს ამგვარი გადამუშავების ადგილს. მაგრამ როგორც კი ეს გადამუშავება საკმარისად საგრძნობი გახდება, სხვა სიტყვებით, როგორც კი რომანი შეძლებს, საკუთარი თავი დაამკვიდროს ახალი ენით, ახალი გრამატიკით, ახალი მეთოდით, მაგალითების სახით ერთმანეთთან შეერთებს შერჩეულ ინფორ-მაციის ელემენტებს და ბოლოსდაბოლოს გვაჩვენებს, როგორ გამოვარჩიოთ მათგან ისინი, რომლებიც უშუალოდ ჩვენ გვეხება, – იმავე წამს რომანი ამჟღავნებს თავის განსხვავებას ყოველდღი-ური მეტყველებისაგან და წარსდგება, როგორც პოეზია.

რასაკვირველია, არსებობს პრიმიტიული რომანი და რომანის პრიმიტიული „შთანთქმა“, როგორც გასართობის, ან გაქცევისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ერთი-ორი საათი გავატაროთ, „მოვკლათ დრო“. და ყველა დიადი წანარმოები, რაც არ უნდა სიბ-რძნით აღსავსე, თამამი და მკაცრი იყოს, ასე თუ ისე თანაზიარია ამ უსაზღვრო ოცნებისა, ამ ბუნდოვანი მითოლოგიის, ამ ურიცხვი

კონტაქტებისა, მაგრამ ამგვარ ნაწარმოებებს ასევე სრულიად სხვა და უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ: ისინი გარდაქმნიან სამყაროს ჩვენეულ ხედვას, ჩვენს თხრობას სამყაროზე და, შესაბამისად, გარდაქმნიან სამყაროს. და ნუთუ ამ სახის „პასუხისმგებლობა“ ყველა ძალისხმევას არ ამართლებს?

## 2. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა

ქველი მთხოვნებლი, „აედი“, რომლის ბაგებსა, როგორც ამბობენ, მსმენელები „სულგაკმენდილი აყურადებდნენ“, მათ მის გმირებთან გაიგივებაში რომ დახმარებოდა, ვალდებული იყო, მოვლენები იმ რიგით წარმოედგინა, როგორც თვით გმირებმა გადაიტანეს. მოცემულ შემთხვევაში თხრობის დრო – თავგადასავალთა შეკუმშული დროა.

მე შემთხვევით არ ვყვები „მოვლენებზე“ – ეს ის დონეა, რომლის ქვემოთ დაშვება შეუძლებელია, აქ საუბარი ჯერ კიდევ არ ეხება არც სიტყვათა რიგს, არც თუნდაც წინადადებათა რიგს, დიდი-დიდი – ის ეპიზოდების რიგს ეხებოდეს. და მაინც, ასეთი სწორხაზოვანი, ყველაზე პრიმიტიული აგებაც კი ხაირგვარ სიძნელეს აწყდება: მისი ძაფი წყდება, უკან ბრუნდება. შეგიძლიათ თავად გადაიკითხოთ „ოდისეა“.

როგორც კი ორი წარმყვანი პერსონაჟი გამოჩნდება, საკმარისია, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, რომიძულებულნი ვხდებით, რაღაც დროით ერთის თავგადასავლებს მოვწყდეთ, რათა გავიგოთ, რას აკეთებდა ამ დროს მეორე.

ყოველი ახალი პერსონაჟი, რომელსაც თვალი უნდა მივადევნოთ, ითხოვს ცნობებს მის წარსულზე, უკან დაბრუნებას, და მალე თხრობის გაეგებისათვის უკვე არსებითი აღმოჩნდება ამა თუ იმ პერსონაჟის არა უბრალოდ წარსული, არამედ ისიც, თუ რამდენად ცნობილია ან არ არის ცნობილი ის ამ მომენტში სხვებისათვის, – საჭირო გახდება მოულოდნელი აღმოჩნდები, აღიარებანი, მხილებანი.

ბუნებრივია, ამ პრობლემას წააწყდა ბალზაკი, როდესაც პერსონაჟთა რიცხვს ზრდიდა და მათგან ხან ერთს, ხან მეორეს განუწყვეტლივ უბრუნდებოდა, რაზეც „ქალიშვილ ევას“ წინასიტყვაობაში ვრცლად წერს: „ვიღაცის სასტუმრო ოთახში თქვენ ხვდებით ადამიანს, რომელიც ათი წლის წინ მხედველობიდან დაკარგეთ;

ის გახლავთ პრემიერ-მინისტრი ან კაპიტალისტი; თქვენ ის უსერ-თუკოდ ნახეთ, ფიქრადაც არ გაგივლიათ არც მისი საზოგადო-ებრივი მოღვაწეობის ნიჭი, არც ცხოვრებისეული ჭკუა-გონება. ახლა თქვენ მისით მისივე დიდების გაფურჩქვნის ხანაში ტკბებით, გაოცებთ მისი სიმდიდრე ან ტალანტი; შემდეგ სასტუმრო ოთა-ნის კუთხისაკენ მიემართებით, და იქ მაღალი წრის ახალი ამბების რომელიმე მომხიბლავი მთხოობელი ნახევარ საათში გაგაცნობთ ჩვენი ნაცნობის ცხოვრების ათ თუ თორმეტ წელინადს, რომლებზეც თქვენთვის არაფერი იყო ცნობილი. ამ ისტორიას – სკანდალურს ან პატივისცემის შთამაგონებელს, ამაღლებულს ან საძაგელს – ხშირად მხოლოდ მეორე დილას შეიტყობთ, ანდა ერთი თვეის შემდეგ, ზოგჯერ ნაწილ-ნაწილ. ჩვენს სამყაროში არაფერია მთლიანი, მასში ყველაფერი მოზაიკურია. ქრონოლოგიური თან-მიმდევრობით მხოლოდ ნარსულში მომზადარი ამბების გადმოიცე-მა თუდა შეიძლება; ეს მეთოდი მიუღებელია ანმყო დროისათვის, რომელიც განუწყვეტლივ მოძრაობს“.

როგორც წესი, ამგვარ მდგომარეობას თავს აღწევენ, როდე-საც თხრობას საკმარისად მიახლოებითი ქრონოლოგიური ხაზის ირგვლივ აყალიბებენ, რამდენადაც დათარიღების ყოველგვარი სიზუსტე საფრთხეს წარმოადგენს ამ „ფორმისთვის“, რომელიც ივსება უთავბოლოდ მოყვანილი ყველა ჯურის მითითებით, მო-გონებით, ახსნა-განმარტებით. როგორც კი ამ პრობლემას უფრო მეტად ვაკვირდებით, ვამჩნევთ, რომ არსებითად, არცერთ კლასი-კურ რომანს არ გამოსდის მოვლენების უბრალო თვალმიდევნება (სხვათა შორის, ჰუმანიტარული პოეტიკა რეკომენდაციასაც არ უწევდა თხრობის ან სპექტაკლის დაწყებას in medias res (ყველაზე მნიშვნელოვანი – ლათ.); შესაბამისად, აუცილებელია განვიხილოთ, როგორია მოვლენათა თანმიმდევრობის შესაძლო სტრუქტურები.

### 3. დროითი კონტრაპუნქტი

მკაცრი ქრონოლოგიური რიგის განუხრელი თვალმიდევნების მცდელობას, როდესაც საკუთარ თავს წარსულში დაბრუნებას უკრძალავ, საოცარ დაკვირვებებამდე მივყავართ: ჩანს, ეს მიუწვ-დომელს ხდის ყოველგვარ მითითებას მსოფლიო ისტორიის მოვ-ლენებზე, პერსონაჟთა წარსულზე, მათ ხსოვნაზე და, შესაბამისად,

შინაგან სამყაროზე. სწორედ ამით პერსონაჟები უწყალოდ ნივთ-დებიან: ჩვენ მათ მხოლოდ შიგნიდან ვხედავთ და მათი ალაპარაკება თითქმის შეუძლებელი ხდება. პირიქით, თუ უფრო რთულ ქრონოლოგიურ სტრუქტურას მივმართავთ, ჩნდება ხსოვნა, როგორც მისი ერთ-ერთი გამოვლენა.

ვჩეკარობ შევნიშნო: რეალური ქრონოლოგიური სტრუქტურები ისე თავპბრუდამხვევად რთულია, რომ ყველაზე დახვეწილი სქემები, რომლებსაც მხატვრული ნაწარმოების ავტორი, ან მისი კრიტიკოსი იყენებენ, სხვა არაფერია, თუ არა უხეში მიახლოება. ამის მიუხედავად, ეს სქემები რომანის სტრუქტურას ნათელს ჰქონის; აუცილებელია, ყველაზე მარტივიდან დავიწყოთ.

თუკი ეპიზოდები, რომლებზეც „უკან დაპრუნების“ მეშვეობით მოუთხრობენ, ასევე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და-ლაგდება, მაშინ ერთმანეთს ორი დროითი რიგი დაედება, როგორც ორი ხმა – მუსიკაში. ამ „ორ დროს შორის დიალოგის“ კანონიერ მაგალითს უკვე სიორენ კირკეგორის „ცხოვრების გზის ეტაპებში“ შემავალ „მოთხრობებში ტანჯვის შესახებ“ ვხვდებით. მოთხრობელი აქ წინა წლის დღიურს ავსებს და მას ახლანდელ დროზე შენიშვნებით ანაცვლებს: „სტრიქონები, რომლებსაც დილ-დილობით ვწერ, ნარსულზე გვიამბობს და გასულ წელს ეხება; ის, რასაც ახლა ვწერ – ეს „ლამის ფიქრებია“ – ჩემი მიმდინარე წლის დღიური“.

ამ ორ „ხმას“ შორის აღმოცენდება „მოცულობითობა“, ან ფსიქოლოგიური „სიღრმე“.

აქ ავტორი გულმოდგინედ ცდილობს, პარალელიზმს მიაღწიოს. რასაკვირველია, შეიძლება ხმების რიცხვი გაიზარდოს. თუკი წარმოვიდგენთ, რომ მოთხრობელის დღიური არა ორ, არამედ ოთხ სხვადასხვა პერიოდს ეხება, მაშინ ნაწარმოების შიგნით ქრონოლოგიის დარღვევა გარდუვალად გახშირდება. ჩვენ დროის დინების წინააღმდეგ წასვლა მოგვიწევს და წარსულში სულ უფრო ღრმად ჩავიძირებით, არქეოლოგისა და გეოლოგის მსგავსად, რომლებიც გათხრების დროს თავდაპირველად უფრო გვიანდელ შრეებს გაივლიან, შემდეგ კი თანდათანობით ძველებამდეც აღწევენ.

ახალ მონაცემთა გამოჩენა ხანდახან იმდენად ცვლის ჩვენს წარმოდგენას რომელიმე ისტორიაზე, რომ აუცილებელი ხდება, ის მეორედაც, ზოგჯერ კი მრავალჯერაც მოვყვეთ.

პარალელიზმები, წარსულში შებრუნება, განმეორებანი – ეს ყველაფერი ჩვენი დროებითი ცნობიერების ელემენტარული სა-წყისებია, რაც მუსიკალური ხელოვნების ანალიზით დასტურდება.

ნებისმიერი მოვლენა – ესაა საწყისი წერტილი და გადაკვთის წერტილი რამდენიმე თხრობითი რიგისა, ფოუსი, რომელიც მეტ-ნაკლები ძალით გარშემომყოფებზეც ახდენს ზეგავლენას. თხრო-ბა უკვე აღარ არის ხაზი, არამედ სიბრტყე, რომელზეც ხაზების, წერტილების, ან გამუღავნებას დაქვემდებარებული კომბინაცი-ების რაღაც რიცხვს გამოვყოფთ.

უკან დაბრუნებათა გარდა, არსებობს ასევე შეხედულება მო-მავალზე, გეგმები, შესაძლებლობათა მთელი სამყარო.

#### 4. დროის წყვეტადობა

ყოველ ჯერზე, როდესაც თხრობის ერთ შრეს ვტოვებთ და სხვა-ზე გადავდივართ, „ძაფი“ წყდება. ნებისმიერი თხრობა სისავსეთა და სიცარიელეთა მონაცვლეობად მოჩანს, რადგან შეუძლებელია, არა მხოლოდ ის, რომ ხელმეორედ მოვყვეთ ყველა ამბავი, მათი ხა-ზოვანი თანმიმდევრობით, არამედ ამოვწუროთ ფაქტების მთელი რიგი, შემოსაზღვრული მონაკვეთის შიგნით. დროის უწყვეტობა მხოლოდ ცალკეულ მომენტებში შეიგრძნობა, როდესაც თხრობა ნაკადივით იღვრება, მაგრამ ჩვენ, თითქმის ანგარიშმიუცემლად, ამ ნაკადის ერთი მონაკვეთიდან მეორეზე გადავხტებით ხოლმე.

ჩვეულების ძალით ვერც კი ვამჩნევთ ფორმულებს, რომლე-ბიც ანაწევრებენ ყველაზე მთავარ, ყველაზე წყნარად მიმდინარე თხრობას: „ხვალისათვის...“, „ოდნავ მოგვიანებით...“, „როდესაც მე ის კვლავ ვიხილე...“

თანამედროვე ცხოვრებამ წყვეტადობის სიმწვავე წარმოუდ-გენლად გაამწვავა, ამიტომ ბევრმა მწერალმა, ეს რომ გადმოე-ცა, თხრობის აგება ცალკეული ბლოკებისაგან დაიწყო; რა თქმა უნდა, ეს ცნობილი პროგრესია, მაგრამ, წარსულში დაბრუნებათა მსგავსად, რომელიც თვითნებურად, დამწერის ახირებით, შთ-აგონების კაპრიზით ხდებოდა, ხშირად ამგვარი დაქუცმაცებაც სა-თანადოდ არაა დასაბუთებული.

ამგვარად, შემოწმებას ითხოვს თვით გარღვევებისა და ნახ-ტომების ტექნიკა. ამისათვის კი, ცხადია, აუცილებელია ობიექტუ-

რი ცხოვრებისეული რიტმების შესწავლა, რომელზეც ფაქტობრივად ეყრდნობა დროის ჩვენეული განზომილება, ამ სტიქიის შიგნით წარმოქმნილი რეზონანსები. და, როდესაც ყურადღებას მივაქცევთ იმას, რაც ჩვეულებრივ, როგორლაც თავისთავად იგულისხმება, ამ სფეროში ამოუწურავ განძს ერ-თხელ კიდევ აღმოვაჩენთ.

როდესაც ვიწყებ ფრაზას ისეთი გამოთქმით, როგორიცაა „ხვალისათვის...“, ფაქტობრივად ჩვენი ყოფისათვის არსებითი რიტმისაკენ ვუთითებ, იმ ყოველდღიური განმეორებისაკენ, რომელიც ძილის შემდეგ დგება, იმ იმთავითვე ნაცნობისაკენ, რასაც თითოეულისათვის წარმოადგენს მისი დღე. სწორედ ამით დრო მისთვის თითქოს ჩვეული მომენტებით მოინიშნება. და ყოველი მოვლენა არა მხოლოდ ამოსავალი წერტილია იმის განხილვისა, რაც მანამდე იყო, ან შემდეგ მოხდება, ან მომავალში შეიძლება მოხდეს, არამედ ის ალვიძებს ექისაც, შუქს ჰფენს დროის ყველა იმ მონაკვეთს, რომელთაც არ შეუძლიათ, ამას არ გამოეხმაურონ: გუშინდელი ან ხვალინდელი დღე, წინა ან მომდევნო კვირა – ის ყველაფერი, რაც ზუსტ მნიშვნელობას ანიჭებს გამოთქმებს: „ერთხელ ნარსულში“, ან „შემდეგ ჯერზე“.

ამგვარად, ყოველი თარიღი საკუთარ თავში მასთან ჰარმონიაში მყოფი თარიღების მთელ სპექტრს მოიცავს.

## 5. სიჩქარები

შუალედი, უბრალო და უშუალო გადაბმა ორი პარაგრაფისა, დროით გამიჯნულ ორ მოვლენას რომ აღწერს, ამგვარად, თხრობის ყველაზე სწრაფი ფორმა აღმოჩნდება, ყოვლის შთანმთქმელი სიჩქარით. შუალედის შიგნით ავტორს შეუძლია, გამალოს მომენტები, რომლებიც მკითხველს აიძულებს, გარკვეული დრო დახარჯოს პირველი ამბიდან მეორეზე გადასასვლელად და, რაც მთავარია, აღნიშნოს გარკვეული გრადაცია მკითხველის დროსა და ამბისმიერ დროს შორის.

ყველაზე მარტივი სიტუაცია – მთხოობელის არსებობა – უკვე ორი დროის ერთმანეთზე დადებას გულისხმობს, როდესაც თხრობის დრო – ამბების შეკუბშული დროა. მაგრამ, როგორც კი ლიტერატურულ „გადამუშავებაზე“ ვიწყებთ საუბარს, ესე იგი, როგორც კი რომანის სფეროს მივუახლოვდებით, უკვე მოგვიწევს, ერთმანეთს დავადოთ სამი დრო: ამბის დრო, წერის დრო, კითხვის დრო.

ამბავში წერის დრო ხშირად მთხოვბელში აისახება. როგორც წესი, ამ განსხვავებულ დროთა დინება თანმიმდევრულად ჩქარდება: მხოლოდ ორი წელი გვჭირდება, რათა წავიკითხოთ რომელიმე პერსონაჟის შეკუმშული გადმოცემა ორდღიანი თხრობისა (რომელმაც, შესაძლებელია, ავტორისაგან ორი საათის მუშაობა მოითხოვა) ამბებზე, ორი წლის განმავლობაში რომ ხდებოდა. შესაბამისად, ჩვენ თხრობის შიგნით ვაწყდებით სხვადასხვა სიჩქარეთა ორგანიზების პრობლემას. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რამდენად მნიშვნელოვანია ამ აზრით პასაჟები, სადაც კითხვის ხანგრძლივობა ემთხვევა იმის ხანგრძლივობას, რაც იყითხება, როგორც, მაგალითად, დიალოგებში, რომელთა უკუგდებით მართლაც შეიძლება გამოვლინდეს შენელება ან დაჩქარება.

უკვე XVII საუკუნეში რომანების ავტორებს წერილებში შეჰქონდათ კითხვა, როგორც თხრობის მნიშვნელოვანი ელემენტი. ჩვენ, მკითხველები, იმავე დროს დავხარჯავთ (დაახლოებით), რასაც ჟიული, სენ პრეს წერილის კითხვისას (გმირები რუსოს რომანისა „ჟიული, ანუ ახალი ელოიზა“, 1761); არსებითად, ამ წარმოსახვით მკითხველს ჩვენს საკუთარ კამერტონს ვთავაზობთ, და შემდეგ ყველა დანარჩენი მასზე სწორდება.

რასაკვირველია, ყოველდღიური თხრობის იდეალი იქნებოდა, შეგვენარჩუნებინა მხოლოდ ყველაზე არსებითი, „მნიშვნელოვანი“, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ის, რასაც ხელენიფება, საკუთარი თავით ყველა დანარჩენი ჩაანაცვლოს, ყველა დანარჩენი საკუთარ თავში შეისრუტოს და ამით შესაძლებლობა მოგვცეს, ამ დანარჩენზე დავდუმდეთ, ან თუნდაც დასაწყისისთვის მთავარზე „შევჩერდეთ“ და არაარსებითს „გაკვრით შევეხოთ“. მაგრამ ამგვარი პარალელიზმი ეპიზოდის სიგრძესა და მის ნიშნად ლირებულებას შორის დიდ წილად წმინდა ილუზია; ზოგჯერ შეიძლება, ერთ სიტყვას ბევრად უფრო სერიოზული შედეგები ჰქონდეს, ვიდრე ვრცელ საუბარს. აქედან – სტრუქტურათა ინვერსია. შესაძლებელია, რომელიმე მომენტის მნიშვნელოვნებას სწორედ რომ მისი არყოფნით, შორისახლოს ხეტიალით გაესვას ხაზი, რაც ამ გზით გაგრძნობინებთ, რომ მონაყოლის ქსოვილში არის რაღაც აცდენა, ან რაიმეა დაფარული.

ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ დროითი მომენტების სისტემატური გამოყენებით – ვინაიდან მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში, თუ მივუთითებთ, სად იყო პიერი ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს, ოთხშაბათი რაღაც სიცარიელე აღმოჩნდება (ახლა ამგვარ ხერხს დეტექტურ რომანში ვაწყდებით) – ან იმის კონტურების, საზღვრების გულმოდგინე აღწერით, რაც ხელს გვიშლის, ამა თუ იმ მომენტში თვით ყოფიერების წვრილმანები შევიცნოთ.

## 6. სივრცის თვისებები

დინებას, დროის მოძრაობას მხოლოდ მისი განასერის მეშვეობით (ჭრილით) შევიგრძნობთ. რა თქმა უნდა, მისი ყოველი ფრაგმენტი ჩვენ მიერ აღიქმება, როგორც მიმართული, ხანგრძლივობის მქონე და სხვა ფრაგმენტებთან ურთიერთობაზე ორიენტირებული, მაგრამ მაინც როგორც უცვლელი ფრაგმენტი, მომენტებით შემოსაზღვრული, როდესაც დროის არსებობას ვივიწყებთ, ან მას ყურადღებას არ ვაქცევთ.

არსებითად, დრო რომ შევისწავლოთ მის უნივერტობაში და ამგვარად შუალედები გამოვავლინოთ, დრო სივრცეში უნდა გადავიტანოთ და განვიხილოთ, როგორც გზის რაღაც ხანგრძლივობა, მანძილი.

ნუთუ გასაოცარი არ არის, რომ ბერგსონი უნებლიერ უმთავრესად სივრცით მეტაფორებს ირჩევს, რათა გაამწვავოს ჩვენი მგრძნობელობა დროის ზოგიერთი ასპექტისადმი, მდინარებად რომ აღვიქვამთ: ცნობიერების ნაკადი, მდინარე, ხსოვნის კონუსი ან კიდევ – შაქრის ნატეხი, რომლის თანდათანობით გახსნას წყლიან ჭიქაში ბერგსონი დასაკვირვებლად გვთავაზობს. ეს ცდა შენელებულობის ამგვარ შეგრძნებას გვანიჭებს: „საჭიროა, დაველოდოთ, ვიდრე შაქარი სრულად გაიხსნება“, – სწორედ იმიტომ, რომ, როდესაც მორჩენილ ნაჭერს მის საწყის მოცულობას ვადარებთ, ჩვენ პროცესის სისწრაფეს ვზომავთ. დროთა მსვლელობის სათანადოდ თვალმიდევნება, მისი ანომალიების წვდომა შესაძლებლობას გვაძლევს, მზერა მხოლოდ სივრცეში გადავანაცვლოთ, რომელსაც ნათლად წარმოვიდგენთ. მაგრამ ჩვენი ცხოვრებისეული სივრცე ისევე არ ჰგავს კლასიკური გეომეტრიის სივრცეს, როგორც ჩვენი დრო – შესაბამისი მექანიკის დროს; ეს არის სივრცე, სადაც სხვადასხვა მხრით მიმართული მონაკვეთები სულაც არ არიან ექვივალენ-

ტურნი, სივრცე, საგნებით გადავსებული, ჩვენს ყველა გზას ერთი წერტილიდან მეორისაკენ რომ გადაანაცვლებს, სივრცე, სადაც, როგორც წესი, შეუძლებელია მოძრაობა სწორი ხაზის გასწვრივ, სადაც არის ღია და ჩაკეტილი მონაკვეთები, – მაგალითად, საგნების შიგნით, – და მთავარი, სივრცე, რომელიც საკუთარ თავში სხვადასხვა წერტილებს შორის კავშირთა მთელ სისტემას მოიცავს: სატრანსპორტო საშუალებები, ორიენტირები, რომელთა წყალობითაც ცხოვრებისეული მანძილები კარტოგრაფიის მანძილებამდე არანაირად არ დაიყვანება.

მცდელობა იმის, რომ მარტივი გეომეტრიული ფიგურები ცხოვრებისეულ სივრცეს შევუსაბამოთ, საშუალებას მოვცემს, გავხსნათ ამ უკანასკნელის სხვადასხვა თვისებები, რომლებზეც, როგორც წესი, სდუმან. ამგვარად შევძლებთ, მეთოდურად ვიკვლიოთ მისი შენადედები, მიმართულებები, ურთიერთქმედებანი. რომელიმე ინდივიდის ფიზიკური გადაადგილება – მოგზაურობა – „ლოკალური ველის“ კერძო შემთხვევა, თავისებური „მაგნიტური ველი“ აღმოჩნდება. და, თუკი ყოველი ადგილი ისტორიულია – მსოფლიო ისტორიასთან, ან ინდივიდის ბიოგრაფიასთან მიმართებით, მაშინ ყოველი გადაადგილება სივრცეში გულისხმობს დროითი სტრუქტურის რეორგანიზებას, ბიძგს მოგონებებში ან მომავლის გეგმებში, სწორედ იმაში, რაც პირველ პლანზე იჩევს – მეტ-ნაკლებად ღრმა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი.

სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ თუმცა განსხვავებული დროითი რიგების ფარდობითი დამთხვევის წერტილების მონახვა რთული არ არის, სივრცეებთან მიმართებით ჩვენი წიგნები ჩვულებრივი ფორმით ამისათვის პირდაპირ გზას არ გვთავაზობენ. ამიტომაც არის, რომ ზოგიერთ თანამედროვე ნაწარმოებში ვაწყდებით საშინელ ძალისხმევას, მკითხველის წარმოსახვას თავს მოახვიონ არაორაზროვანი „ხილვა“ – საგნების ყველა ეს ჩაკირკიტებული აღნერა, მათი ზუსტი ზომებითა და დეტალების განლაგებით – რა არის ზემოთ, რა – მარჯვნივ, – ყველა ეს ახალი ოპტიკური რეალიზმი, განაოგნებელ შეცბუნებას რომ იწვევს.

საგანს მიჯაჭვულ ყურადღებას გარდუვალად მივყავართ თვით წიგნის, როგორც განსაკუთრებული საგნის, თვისებების განხილვისაკენ, მისი სივრცის, ილუსტრაციების სისტემატური გამოყენებისაკენ და ა.შ.

## 7. ადამიანები

რომანის უმარტივესი ეპიზოდის კითხვა სამი ფიგურის აუცილებელ არსებობას გულისხმობს: ავტორის, მკითხველის, გმირის. გრამატიკულად ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, მესამე პირის ზმნურ ფორმას იღებს: ის – იგია, ვისზეც გვესაუბრებიან, ვის ისტორიასაც გვიყვებიან.

მაგრამ ადვილი მისახვედრია, რა უპირატესობათა მიღება შეუძლია ავტორს, თუ ის რომანში საკუთარ წარმომადგენელს – მთხოვნელს შემოიყვანს, მას, ვინც თავის საკუთარ ისტორიას ყვება და ჩვენ „მეს“ სახელით მოგვმართავს.

„ის“ გარეთ გვტოვებს, „მე“ შიგნით შესვლას გვაიძულებს, მაგრამ ეს შინაგანი სამყარო შეიძლება ჩაიკეტოს, როგორც ბნელი ოთახი, რომელშიც ფოტოგრაფი თავის სურათებს ამჟღავნებს. ასეთ პერსონაჟს არ ძალუძს, ყველაფერი გვითხრას, რაც საკუთარ თავზე იცის. აი, რატომაა, რომ ნაწარმოებში ზოგჯერ მკითხველის წარმომადგენელი შემოდის, ამ მეორე პირისა, რომელსაც მიემართება საუბარი სხვისა – იმისი, ვისაც თავის საკუთარ ისტორიას უყვებიან. რომანის პირველი და, განსაკუთრებით, მეორე პირი – ეს უკვე ის უბრალო ნაცვალსახელები არ გახლავთ, რომლითაც ყოველდღიურად ვსარგებლობთ. „მეს“ იქით „ის“ იმალება, „თქვენ“ – ის ან „შენ“ – ის იქით – ორი სხვა პირი, რომელთა შორის მოძრავი ურთიერთკავშირი წარმოიშობა.

შესაძლებელია, სცადო, შეძლებისდაგვარად ნათელი მოჰვინო ამ ურთიერთკავშირს ზმნის სხვადასხვა პირებსა და პერსონაჟებს შორის დამოკიდებლებათა ვარირების გზით: დავუშვათ, თუ საქმე გვაქვს რომანთან მიმონერის ფორმით, ყოველი გმირი რიგრიგობით გახდება: „მე“, „თქვენ“, „ის“.

ამ გადაადგილებათა კომბინირება შესაძლებელია ზედდებასთან: მაგალითად, მთხოვნელი, რომანისტის მსგავსად, დროებით ვიღაც სხვას „აძლევს სიტყვას“ და ეს სხვა პირველი პირის სახელით ლაპარაკობს.

ამგვარად, ნაცვალსახელებისაგან იქმნება არქიტექტურა, რომელიც მთლიანად რომანის უანრის ახალ სინათლეს ჰქონდა და ამით კვლევისა და ბუნდოვანების გაგების საშუალებას იძლევა.

ნაცვალსახელთა ფუნქციის უფრო ღრმა შესწავლა დროებით სტრუქტურებთან მათ მჭიდრო ურთიერთკავშირს გამოავლენს. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ – ისეთი მეთოდი, როგორც „შინაგანი მონოლოგია“, პირველი პირის თხრობას დისტანციის წარმოსახვით მოხსნას უკავშირებს ამბის დროსა და თხრობის დროს შორის, რამდენადაც პერსონაჟი გვიყვება იმას, თუ რა ემართება მას სწორედ იმ მომენტში, როდესაც ეს ხდება. „დიალოგის ქვეტექსტი“ შესაძლებლობას იძლევა, დაინგრეს იმ ციხის კედლები, რომელშიც კლასიკური შინაგანი მონოლოგია გამომწყვდეული, და გაცილებით მეტი სანდოობა მიანიჭოს დროში უკან დაბრუნებებსა და მოგონებებს.

ნაცვალსახელთა თამაში არა მხოლოდ პერსონაჟების ერთმანეთისგან განსხვავების საშუალებას იძლევა, არამედ ის ერთადერთი მეთოდია ჩვენთვის, რათა გარკვევით გავარჩიოთ შემეცნების დონეები ან ყოველი ამ დონისთვის დამახასიათებელი ფარული მდგომარეობანი, და განვსაზღვროთ მათი როლი როგორც სხვა პერსონაჟებისთვის, ასევე ჩვენთვის.

## 8. წინადადებათა ტრანსფორმაცია

დროთა, ადგილთა და პიროვნებათა ურთიერთკავშირი – ჩვენ გრამატიკაში ჩავიძირეთ. დასახმარებლად ენის ყველა რესურსის მოხმობა გვმართებს. აქ უკვე ფონს ველარ გახვალ ოდესლაც მასწავლებლების მიერ რეკომენდებული მოკლე ფრაზით, მსუბუქი რომ არის და არც ზედმეტი ტანსაცმელი ამძიმებს. როგორც კი გატკეპნილი გზიდან გადავუხვევთ, იმაზე დაფიქრება მოგვიწევს, როგორ „შევაერთოთ“ ორი წინადადება, ერთმანეთს რომ მოსდევს. ეს შეერთება თავისთავად უკვე არ იგულისხმება. ზოგჯერ აუცილებელი ხდება, პატარა წინადადებები დიდში გავაერთიანოთ, რაც საშუალებას იძლევა, სრულად გადავშალოთ ზმნური ფორმების დიდებული მარაო, როგორც ამას წარსულში ჩვენს დიად მწერალთაგან ზოგიერთი აკეთებდა.

როდესაც ეს ვერბალური ანსამბლები მეტისმეტად გაფართოვდება, ისინი, ბუნებრივია, პარაგრაფებად იშლებიან, გამეორებებით ჩახურდებიან, იმ მრავალფეროვანი კოლორისტული კონტრასტებით, ციტატებითა და პაროდიებით თამაშს შეყვებიან, „სტილთა“ მრავალსახეობაში რომ დაუდევთ ბინა. თავიანთ გადათ-

ვლილ ნაწილებს კი შესაბამისი სტამბური განლაგების მეშვეობით გამოყოფენ.

ასე სრულყოფს მკვლევარი მხატვრის იარაღს.

## 9. მოძრავი სტრუქტურები

როდესაც მასალის წარმოდგენის რიგს ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, გარდუვალად ჩნდება კითხვა, მართლაც ერთად-ერთი შესაძლებლობაა ეს რიგი, თუ არა; რამდენიმე გადაწყვეტა ხომ არა აქვს ამ ამოცანას, ხომ არ დგება იმის საჭიროება, რომ რომანის ნაგებობის შიგნით გავითვალისწინოთ კითხვის სხვადასხვა ტრაექტორია, იმის მსგავსად, როგორც არ არსებობს რომელიმე ტაძრის ან ქალაქის განსაზღვრული რიგით დათვალიერების აუცილებლობა. ამ შემთხვევაში მწერალი თავის ნაწარმოებს უნდა აკონტროლებდეს მის ყველა შესაძლო ვარიანტთან ერთად და პასუხს აგებდეს მათზე, როგორც სკულპტორი აგებს პასუხს იმაზე, რომ შეიძლება, მის ქანდაკებას, ფოტო ნებისმიერი რაკურსით გადაულონ და მისი ქმნილების სურათების მთელი ნაკრები ერთიან მოძრაობად შეიკრას.

უკვე „ადამიანური კომედია“ მაგალითია ნაწარმოებისა, ცალკეული ბლოკებისგან რომ ააგეს და, არსებითად, ყოველი მკითხველი მას თავისებურად უდგება. მოცემულ შემთხვევაში მოთხრობილი ამბების ერთობლიობა უცვლელი რჩება. რომელ კარშიც არ უნდა შევიდეთ, იგივე მოხდება; მაგრამ შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ უფრო მაღალი რანგის მოძრაობა – თუნდაც იმდენადვე ზუსტი და განსაზღვრული – როდესაც მკითხველი პასუხს აგებს ნაწარმოების მიკროკოსმოსში, ადამიანური ხევდრის ამ საკუკეში მომხდარზე, მნიშვნელოვან წილად, ალბათ, არაცნობიერად, როგორც ცხოვრებაში, მაგრამ აქ მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი არჩევანი მნიშვნელოვანია და მკითხველს საკუთარ თავისუფლებაზე უხელს თვალს.

უსათუოდ დადგება დღე, როდესაც ჩვენ აქამდე მივალთ.

1969

თარგმნა მანანა კვატაიაშვილი.

## სარჩევი

### ვექტორები

#### ადა ნემსაძე

80-იანი წლების ქართული მოთხოვნა.....3

#### მაია ჯალიაშვილი

ილუზიები და ცდუნებები –  
არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“.....16

#### სოფიო წულაია

არაცნობიერი ფსიქიკის გამოვლინება  
ლია ლიქოკელის პოეზიაში.....30

#### გია არგანაშვილი

პოეტი სოსო მეშველიანი.....38

#### მაია ჯალიაშვილი

წიგნის კითხვის გემო.....55

#### სოფო წულაია

ალექო მუღლაძის რომანი „გადამალვა“.....62

#### ლევან გელაშვილი

„საღაეჭი განთიადების“ ნარატივი.....67

#### ნონა კუპრეიშვილი

კულტურის ეკოლოგიისათვის.....80

### კულტურა

#### ამირან არაბული

„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო...“.....87

### ხელოვნება

#### ქეთევან ჯიშიაშვილი

დაცარილებული სივრცის ესთეტიკა  
გოგი ჩაგელიშვილის ფერწერაში.....104

345

<b>ლალი ავალიანი</b> თბილისური პოეტიკის მაესტრო (ოთარ იოსელიანი).....	118
<b>უურნალისტიკა</b>	
<b>მანანა შამილიშვილი</b> პოპმუსიკის პოლიტიკა და პოლიტიკური მუსიკის ძირითადი გზავნილები.....	123
<b>MEMORIA</b>	
<b>ილია ჭავჭავაძე – 180</b>	
<b>გია არგანაშვილი</b> ლიტერატურა ცხოვრებისთვის (ქართველი კაცის ისტორიული სახის რეცეფცია ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში).....	142
<b>კოტე ხიმშიაშვილი – 100</b>	
<b>ზოია ცხადაია</b> კოტე ხიმშიაშვილი.....	154
<b>კულტურული ორიენტაციის პრობლემა 1910-20-იანი წლების ქართულ მწერლობაში</b>	
<b>ლევან ბრეგაძე</b> ევროპა ვართ თუ აზია?.....	168
<b>თამაზ ვასაძე</b> დასავლური პრინციპების იმედით.....	176
<b>მანანა კვატაია</b> დასავლეთ-აღმოსავლეთის პარადიგმათა ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტისათვის.....	182

<b>საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა – 100</b>	
<b>კიტა აბაშიძე</b>	
<b>ლალი ავალიანი</b>	
კიტა აბაშიძის ცხოვრება და ღვაწლი.....	193
<b>მანანა კვატაია</b>	
კიტა აბაშიძე – ევროპული ლიტერატურის მკვლევარი.....	206
<b>თამარ ციციშვილი</b>	
კიტა აბაშიძე და მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა.....	217
<b>ნონა კუპრეიშვილი</b>	
კიტა აბაშიძე – ქართული მოდერნიზმის წინამორბედი.....	236
<b>ინგა მილორავა</b>	
ვაჟა-ფშაველა კიტა აბაშიძის ლიტერატურულ პრიზმაში.....	246
<b>ერლომ ახვლედიანი – 85</b>	
<b>ლალი ავალიანი</b>	
მოგონება (ერლომ ახვლედიანი).....	256
<b>ESSAY</b>	
<b>მანანა კვაჭანტირაძე</b>	
ჩანაწერები.....	260
<b>ზაზა ფირალიშვილი</b>	
მცირე ჩანაწერები.....	287

## **ნომრის სტუმარი**

**ზურაბ ნიშარაძე**  
„საგანი უნდა ჰეგავდეს საგანს“.....302

## **XX საუკუნის თეორიული აზროვნების ისტორიიდან**

**ანდრე მორუა**  
ბიოგრაფიის, როგორც მხატვრული  
ნაწარმოების შესახებ  
(თარგმნა მანანა კვატაიამ).....307

**მიშელ ბიუტორი**  
ფიქრები რომანის ტექნიკაზე  
(თარგმნა მანანა კვატაიამ).....331